

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს სტრატეგიისა და  
საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი

ვლადიმერ კაკავა

პოსტკომუნისტური  
კაპიტალიზმის  
კოლიტიკური ეკონომია  
და  
საქართველოს ეკონომიკა

თბილისი

2002

GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND  
INTERNATIONAL STUDIES

**VLADIMER PAPAVA**

**POLITICAL ECONOMY OF THE  
POST-COMMUNIST CAPITALISM  
AND ITS APPLICATION FOR  
GEORGIAN ECONOMY**

**TBILISI**

**2002**



**ვლადიმერ პაპავა.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, “პდპ”, 2002, 526გვ.

მონოგრაფია ეძღვნება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის, როგორც პრინციპულად ახალი საზოგადოებრივი ფენომენის პოლიტიკონომიურ ანალიზს. ამასთან, თითოეული პრობლემის განხილვა საქართველოს ეკონომიკის ამსახველი მასალათაა შეჯერებული.

ნაშრომი, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერ-ეკონომისტთა და ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში “გარდამავალი ეკონომიკისა” და “საქართველოს ეკონომიკის” სასწავლო კურსების შემსწავლელთათვისაა განკუთვნილი. ამასთან, წიგნი ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის კანონზომიერებებითა და საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს გაუწევს დახმარებას.

სამეცნიერო რედაქტორი: – **ელგუჯა მექვაბიშვილი**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: – **თემურაზ ბერიძე**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**იაკობ მესხია**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

© ვ. პაპავა, 2002.

საავტორო უფლებები დაცულია.

თუ ავტორის წერილობითი ნებართვა არ არსებობს, წიგნის არცერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს გადაბეჭდილი ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ყორმით, ქსეროკოპირების, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით.

## რედაქტორისაგან

(პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პოლიტიკონომიური ანატომია)

ტექტონიკური ძვრებით გამოჩნეული პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ანალიზი მოწმობს, რომ გარდამავალი პერიოდი დამამთავრებელ ფაზაში შევიდა. მობრუნების წერტილი განვლილია, ბაზარზე მიმართულ რეფორმებს ალტერნატივა არ გააჩნია. ის ორიენტირიც ნათლად გამოიკვეთა, საითკენაც გეზი გეჭირავს - კაპიტალისტური სისტემა. გამოცდილება იმასაც გვგარანახობს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, კაპიტალიზმისაკენ მოძრაობა თავისთავად არ იძლევა წარმატებული ეკონომიკური განვითარების გარანტიას. იგი მხოლოდ შანსია, რომლის გამოყენებაც დამოკიდებულია გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათზე, მის მეცნიერულ დასაბუთებულობასა და თანმიმდევრულობაზე.

ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე საიმედო საფუძველი რომ ეკონომიკური თეორიაა - ეს ტრივიალური ჭეშმარიტებაა. გარდამავალი ეკონომიკის თეორია ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია ზუსტად ისევე, როგორც თავად გარდამავალი ეკონომიკა. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფორმაციული (გარდამავალი) ეკონომიკის პრობლემატიკაზე უცხოელი და ქართველი ავტორების მიერ მრავალი გამოკვლევაა შესრულებული, ამ პრობლემის სისტემური პოლიტიკონომიური ანალიზის ნაკლებობა ბოლო დრომდე აშკარად იგრძნობა. ამ თვალსაზრისით სასიამოვნო გამონაკლისს სწორედ წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს.

წიგნი ემყარება ორიგინალურ მეთოდოლოგიურ საფუძველს - სისტემურ პარადიგმას. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ავტორის მიერ განხილულია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, იდეოლოგიური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური ასპექტების ორგანული ერთიანობის სახით და დასასიათებელია მათი წინააღმდეგობრივი ურთიერთ-ზემოქმედება.

წიგნი გადმოცემულ დებულებებს და მოსაზრებებს სათანადო მეცნიერულ სიდრემსთან ერთად ჩვენს რეალურ სინამდვილესთან კარგი მისადაგებულობაც ახასიათებს. ეს განპირობებულია იმით, რომ ავტორი არა მხოლოდ ფრიად განსწავლული მეცნიერი, არამედ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეცაა. იგი თვითონ არის მონაწილე, ხშირ შემთხვევაში კი შემოქმედიც იმ პროცესებისა, რომელთა თეორიულ განზოგადობას ამ წიგნი გვთავაზობს.

განსაკუთრებით გვსურს ხაზი გავუსვათ ავტორისეულ პოლემიკურ სტილს, რომელიც გლანდება როგორც დებულებათა შინაარსში, ასევე ტერმინოლოგიაში (მაგალითად, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი, სახელმწიფო მონოპოლისტური ფეოდალიზმი, არაეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ.).

წარმოდგენილი წიგნი პროფ. ელადიმერ პაპაგას ხანგრძლივი, ნაყოფიერი შრომის შედეგია და, ამასთანავე, იგი მოწვევაა სადისკუსიოდ მისი კოლეგა - მეცნიერებს, პოლიტიკოსებსა და ყველა იმ მოაზროვნე მოქალაქისა, ვისაც გულწრფელად აინტერესებს და აღელვებს ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი, მისი ზეაღინდელი დღე.

*პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი*

29 სექტემბერი, 2002 წელი

ეკონომიკურ საკითხებში უმრავლესობა  
მართალი არასოდეს არ არის.

*ჯონ კენეთ გელობრეითი*



# სარჩევი

წინასიტყვაობა.....	20
<b>თავი I. შესავლის მაგიერ, ანუ სახელმწიფო მონოპოლისტური ფეოდალიზმის შესახებ.....</b>	<b>27</b>
<b>თავი II. ეკონომიკური თეორია ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესახებ (უცხოური ლიტერატურის ანალიზი).....</b>	<b>32</b>
§ II.1. ეკონომიკური თეორიის “მზადყოფნა”	32
§ II.2. ტრანსფორმაციის ტერმინოლოგიის შესახებ	36
§ II.3. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ორი გზა	43
§ II.4. ეკონომიკური აზრის უახლესი მიმართულებების გამოყენება	57
<b>თავი III. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამები.....</b>	<b>64</b>
§ III.1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დამყარებაში	64
§ III.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკული ანალიზი	68
§ III.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია	90
<b>თავი IV. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციონალური ანალიზი და “ჩრდილოვანი პოლიტიკონომიის” საფუძვლები.....</b>	<b>98</b>
<b>თავი V. ადამიანი ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში (Homo transformaticus-ის ბუნება).....</b>	<b>108</b>
§ V.1. Homo economicus-ის პრობლემის შესახებ	108
§ V.2. Homo transformaticus-ი და პოსტსაქმოსანი	112

• თავი VI. საბაზრო თანასწორობის დოქტრინა.....	117
§ VI.1. თანასწორობის გაგება თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში	117
§ VI.2. საბაზრო თანასწორობა თავისუფალი ბაზრის პირობებში	123
§ VI.3. საბაზრო თანასწორობა ფსევდორეალური ბაზრის პირობებში	126
§ VI.4. საბაზრო თანასწორობა რეალური ბაზრის პირობებში	133
§ VI.5. საბაზრო თანასწორობა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში	139
§ VI.6. საბაზრო თანასწორობის ეკონომიკური პოლიტიკა	143
თავი VII. ნეკროეკონომიკა – პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ფემონენი.....	150
§ VII.1. ეკონომიკური თეორიის კვლევის არეალი	150
§ VII.2. “თეთრი ლაქა” ეკონომიკურ თეორიაში	153
§ VII.3. ნეკროეკონომიკის აღწარმოების საფუძველი: “რუტინა”	158
§ VII.4. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასრულების ინდიკატორი	163
თავი VIII. სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის პოლიტეკონომიური ასპექტები.....	167
§ VIII.1. სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის გზები	167
§ VIII.2. მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი დარიგება	169
§ VIII.3. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა	172
§ VIII.4. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა	175
§ VIII.5. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვა	178
თავი IX. წარმოების მესუთე ფაქტორი და სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში.....	183
§ IX.1. წარმოების ფაქტორები და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი	183

§ IX.2. წარმოების “დომინირებადი” ფაქტორების კონკეფცია 191

§ IX.3. სასოფლო-სამეურნეო დოვლათის გაყიდვის სისტემა 194

**თავი X. კორუფციის პოლიტეკონომიური მექანიზმი პოსტკომუნისტური**

**კაპიტალიზმის საზოგადოებაში (საქართველოს მაგალითზე)..... 200**

§ X.1. ტერმინოლოგიური საკითხი: “ბრძოლა”, თუ “შეხლედევა”? 200

§ X.2. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და კორუფცია 203

§ X.3. საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუტების სისუსტე და კორუფცია 206

§ X.4. კერძო საკუთრების ინსტიტუტი და კორუფცია 211

§ X.5. ანტიკორუფციული საქმიანობის “მთავარი მოქმედი გმირები” 216

**თავი XI. საგადასახადო კორუფციის ინდექსები..... 219**

§ XI.1. მეთოდური წანამდგრები 219

§ XI.2. საგადასახადო სამსახურის ხაზით საგადასახადო კორუფციის  
ინდექსები 224

§ XI.3. საბაჟო სამსახურის ხაზით საგადასახადო კორუფციის ინდექსი 228

§ XI.4. ქვეყანაში საგადასახადო კორუფციის ინტეგრირებული ინდექსი 230

§ XI.5. საგადასახადო კორუფციის ინდექსი 230

§ XI.6. ქვეყანაში საგადასახადო და საგადასახადო კორუფციის ინტეგრირებული  
ინდექსი 231

§ XI.7. გათვლების შედეგები 232

**თავი XII. საგადასახადო პოლიტიკა და ლაფერის ეფექტი..... 235**

§ XII.1. ლაფერის მრუდის შექმნისა და გამოყენების მოკლე ისტორია 235

§ XII.2. ლაფერის მრუდის ძირითადი თეორიული ასპექტები  
(მოკლე მიმოხილვა) 239

§ XII.3. ლაფერის მრუდი ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის  
პირობებში 247

§ XII.4. ლაფერის მრუდის ალტერნატივა 254



<b>თავი XIII. საგადასახადო ფედერალიზმის მოდელები</b>	
(საქართველოს მაგალითზე).....	<b>262</b>
§ XIII.1. “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის ურთიერთობის პოლიტიკონომიური ასპექტი	<b>262</b>
§ XIII.2. გადასახადების “იერარქიული” ბუნების შესახებ	<b>268</b>
§ XIII.3. “საგადასახადო სეპარატიზმი” ’269	
§ XIII.4. ”საგადასახადო თანხმობა”	<b>274</b>
<b>თავი XIV. ინფლაციის ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პირობებში (საქართველოს მაგალითზე).....</b>	<b>280</b>
§ XIV.1. პოლიტიკური “დაკეფითა” და ფაქტები	<b>280</b>
§ XIV.2. შეცდომის არსი	<b>284</b>
<b>თავი XV. საგარეო ვაჭრობის რეჟიმი და სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის თავისებურებანი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პირობებში (საქართველოს მაგალითზე).....</b>	<b>292</b>
§ XV.1. სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის თავისებურებანი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში	<b>292 ✓</b>
§ XV.2. პროტექციონიზმი თუ ფრიტრედერიზმი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში მრეწველობის განვითარებისათვის	<b>299</b>
<b>თავი XVI. საგარეო ვაჭრობის რეჟიმი და თავისუფალი ეკონომიკური ზონა (საქართველოს მაგალითზე).....</b>	<b>311</b>
§ XVI.1. რა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა და რა გამოცდილება აქვს საქართველოს?	<b>311</b>
§ XVI.2. რისთვის იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა?	<b>317</b>
§ XVI.3. რას გვასწავლის რუსეთის გამოცდილება?	<b>320</b>
§ XVI.4. რა პრეფერენციებს ითვალისწინებს თავისუფალი ეკონომიკური ზონა?	<b>323</b>
§ XVI.5. თავისუფალი ეკონომიკა – მილიანად საქართველოს, თუ მის	

თავი XVII. ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი პოლონური “დიქტატი” ქვეშ.....	332
§ XVII.1. უხვლიდავი “დიქტატი”, ანუ მიმბაძველობის წარუმატებელი მცდელობა	332
§ XVII.2. არაეკონომისტების “არაეკონომიკური პოლიტიკა” და პოლონელი ეკონომისტები “შინაური მღვდლის” როლში	344
თავი XVIII. ✓ საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში.....	352
§ XVIII.1. რეფორმისათვის საჭირო ფული – “შავი”, თუ “თეთრი” ?	352
§ XVIII.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიღწევები საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში	355
§ XVIII.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომები საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში	361
§ XVIII.3.1. პოლიტიკური შეცდომები	365
§ XVIII.3.2. მეთოდური ხასიათის შეცდომები	369
§ XVIII.3.3. მეთოდოლოგიური შეცდომა	380
§ XVIII.3.4. დაბნეულობით გამოწვეული შეცდომები	386
§ XVIII.3.5. ფასწარმოქმნის ფაქტორების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შეცდომა	388
§ XVIII.3.6. ტრაფარეტული მიდგომით გამოწვეული შეცდომები	390
§ XVIII.3.7. ლობირებით გამოწვეული შეცდომა	392
§ XVIII.3.8. წაყრუებით დაშვებული შეცდომა	394
§ XVIII.3.9. ტაქტიკური შეცდომა	395
§ XVIII.3.10. კომპეტენციის გადამეტებით გამოწვეული შეცდომა	397
§ XVIII.4. საერთაშორისო სავალუტო ფონდი – საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი	399

თავი XIX. საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია და რეგანშისტული საფრთხეები.....	402
§ XIX.1. რომანტიზმიდან რეგანშისტამდე	402
§ XIX.2. ეკონომიკური მიმსიდველობა და ქვეყნის ფუნქცია	408
§ XIX.3. გეოგრაფიაზე ბევრად მეტი...	412
§ XIX.4. საქართველოს ეკონომიკის “ხერხემალი”	415
§ XIX.5. ეკონომიკური ფუნქცია და საერთაშორისი ტერორიზმი	419

თავი XX. “ახალი ეკონომიკა”, გლობალური ეკონომიკური კრიზისის საფრთხე და საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია.....	426
§ XX.1. “ახალი ეკონომიკა” და დოლარის კრახის რუსული სცენარი	426
§ XX.2. გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობა საერთაშორისო ანტიტერორისტული ომის პირობებში	439
§ XX.3. მოსალოდნელი გლობალური ეკონომიკური კრიზისის და საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია	444

თავი XXI. დასკვნის მაგიერ, ანუ ქართული კაპიტალიზმის “არაპოლიტეკონომიური” ანალიზისათვის (“არაეკონომიკური პოლიტიკისა” და “ეკონომიკის პოლიტიკისა” სინთეზის მცდელობა).....	451
--	-----

ლიტერატურა.....	460
-----------------	-----

Political Economy of the Post-Communist Capitalism and its Application for Georgian Economy (Summary).....	523
--	-----

# CONTENTS

<b>Preface.....</b>	<b>20</b>
<b>Chapter I. For Introduction, i.e. Reflections on State Monopolistic Feudalism.....</b>	<b>27</b>
<b>Chapter II. Economic Theory Concerning Post-Communist Transformation of Economy (Review of Foreign Literature).....</b>	<b>32</b>
§ II.1. “Readiness” of Economic Theory	32
§ II.2. Concerning the Transformation Terminology	36
§ II.3. Two Ways of Post-Communist Transformation	43
§ II.4. Applying Modern Trends in Economic Thought	57
<b>Chapter III. International Monetary Fund and Macroeconomic Stabilization Programs.....</b>	<b>64</b>
§ III.1. Role of IMF in Establishing Macroeconomic Stability	64
§ III.2. Critical Review of IMF’s Activities	68
§ III.3. IMF and Post-Communist Transformation of Economy	90
<b>Chapter IV. Institutional Analysis of Post-Communist Transformation of Economy and Elements of “Shadow Political Economy”.....</b>	<b>98</b>
<b>Chapter V. Man in the Course of Post-Communist Transformation of Economy (the Nature of <i>Homo transformativus</i>).....</b>	<b>108</b>
§ V.1. Concerning the Problem of <i>Homo economicus</i>	108
§ V.2. <i>Homo Transformativus</i> and Post-Delstsi	112
<b>Chapter VI. The Market Equality Doctrine.....</b>	<b>117</b>
§ VI.1. Perception of Equality in Contemporary Economic Theory	117
§ VI.2. Market Equality Under the Conditions of Free Market	123
§ VI.3. Market Equality Under the Conditions of Quasireal Market	126
§ VI.4. Market Equality Under the Conditions of Real Market	133

§ VI.5.	Market Equality Under the Conditions of Post-Communist Transformation	139
§ VI.6.	Economic Policy of Market Equality	143
<b>Chapter VII.</b>	<b>Necroeconomy: a Phenomenon of Post-Communist Capitalism.....</b>	<b>150</b>
§ VII.1.	Subject Matter of Economic Theory	150
§ VII.2.	“White Stain” in Economic Theory	153
§ VII.3.	“Routine: a Reproductive Base of Necroeconomy	158
§ VII.4.	The Indicator of the End of Post-Communist Transformation of Economy	163
<b>Chapter VIII.</b>	<b>Political Economic Aspects of the Privatization of Government-Owned Capital.....</b>	<b>167</b>
§ VIII.1.	Ways of the Privatization of Government-Owned Capital	167
§ VIII.2.	Direct Allocation of Government-Owned Capital to People	169
§ VIII.3.	Free Allocation of Government-Owned Property to Employees	172
§ VIII.4.	Redemption of Government-Owned Property by Employees	175
§ VIII.5.	Direct Sale of Government-Owned Property	178
<b>Chapter IX.</b>	<b>The Fifth Factor of Production and Government’s Role in Modern Economic System.....</b>	<b>183</b>
§ IX.1.	Production Factors and Economic Ability of the Government	183
§ IX.2.	The Concept of “Dominated” Factors of Production	191
§ IX.3.	The System of Selling of Public Goods	194
<b>Chapter X.</b>	<b>Political Economic Mechanism of Corruption in a Post-Communist Capitalist Society (a Georgian Case).....</b>	<b>200</b>
§ X.1.	A Terminological Question: “Combating” or “Restriction”?	200
§ X.2.	Macroeconomic Instability and Corruption	203
§ X.3.	Weakness of Market Institutions and Corruption	206
§ X.4.	The Institution of Private Property and Corruption	211

§ X.5. “Dramatis Personae” of Anti-Corruptive Activities 216

**Chapter XI. Indexes of Tax Corruption..... 219**

§ XI.1. Methodological Premises 219

§ XI.2. Indexes of Tax Corruption at Tax Offices 224

§ XI.3. Indexes of Tax Corruption at Customs Offices 228

§ XI.4. The National Integrated Index of Tax Corruption 230

§ XI.5. Index of the Payment Corruption 230

§ XI.6. The National Integrated Indexes of Tax and Payment Corruption 231

§ XI.7. Results of Calculations 232

**Chapter XII. Tax Policy and the Laffer Effect..... 235**

§ XII.1. Brief History of Developing and Applying the Laffer Curve 235

§ XII.2. Key Theoretical Aspects of the Laffer Curve (Brief Overview) 239

§ XII.3. The Laffer Curve Under the Conditions of Post-Communist  
Transformation of Economy 247

§ XII.4. The Alternative to the Laffer Curve 254

**Chapter XIII. Models of Tax Federalism (a Georgian Case)..... 262**

§ XIII.1. Political Economic Aspect of Relationships Between the “Center”  
and “Regions” 262

§ XIII.2. Concerning the “Hierarchical” Nature of Taxes 268

§ XIII.3. “Tax Separatism” 269

§ XIII.4. “Tax Concord” 274

**Chapter XIV. Influence of Inflation on Economic Growth Under the Conditions of  
Post-Communist Capitalism (a Georgian Case)..... 280**

§ XIV.1. Political “Order” and Facts 280

§ XIV.2. The Substance of Error 284

<b>Chapter XV. External Trade Regime and Characteristic Features of Industrial and Technological Policy Under the Conditions of Post-Communist Capitalism (a Georgian Case).....</b>	<b>292</b>
§ XV.1. Characteristic Features of Industrial and Technological Policy in the Post-Communist Capitalist Countries	292
§ XV.2. Protectionism and “Free-Traderism” for Industrial Development in the Post-Communist Capitalist Countries	299
<b>Chapter XVI. Foreign Trade Regime and Free Economic Zone (a Georgian Case).....</b>	<b>311</b>
§ XVI.1. What is Free Economic Zone and what is Georgian Experience in it?	311
§ XVI.2. What is the Reason for Creating a Free Economic Zone?	317
§ XVI.3. What does the Russian Experience Teach us?	320
§ XVI.4. What Preferences does Free Economic Zone Provide?	323
§ XVI.5. Free Economy: for Entire Georgia or just Some of its Zones?	324
<b>Chapter XVII. A Georgian Model of Economic Reform under the Polish “Dictate”.....</b>	<b>332</b>
§ XVII.1. Invis-ble “Dictate”, i.e. an Abortive Attempt to Imitate	332
§ XVII.2. “Non-Economic Policy” of Non-Economists and Polish Economists in the Role of “Home Priests”	344
<b>Chapter XVIII. The Role of IMF in Reforming Georgian Economy.....</b>	<b>352</b>
§ XVIII.1. Money Necessary for the Reform: “Dirty” or “Clean”?	352
§ XVIII.2. IMF’s Achievements in Reforming of Georgian Economy	355
§ XVIII.3. IMF’s Errors in Reforming of Georgian Economy	361
§ XVIII.3.1. Political Errors	365
§ XVIII.3.2. Methodic Errors	369
§ XVIII.3.3. Methodological Errors	380
§ XVIII.3.4. Errors Resulting from Confusion	386
§ XVIII.3.5. Errors Resulting from Overlooking the Factors of Pricing	388
§ XVIII.3.6. Errors Resulting from a Stereotyped Approach	390
§ XVIII.3.7. Errors Resulting from Lobbying	392

- § XVIII.3.8. Errors Resulting from Indifference 394
- § XVIII.3.9. The Tactical Error 395
- § XVIII.3.10. Errors Resulting from the Abuse of Powers 397
- § XVIII.4. IMF – Georgia’s Strategic Partner 399

**Chapter XIX. Georgia’s International Economic Function and a Revanchist Threat..... 402**

- § XIX.1. From Romanticism to Revanchism 402
- § XIX.2. Economic Attractiveness and Country’s Function 408
- § XIX.3. Much More than Geography... 412
- § XIX.4. The “Backbone” of Georgia’s Economy 415
- § XIX.5. Economic Function and International Terrorism 419

**Chapter XX. “New Economy”, the Threat of Global Economic Crisis and Georgia’s**

**Economic Strategy..... 426**

- § XX.1. “New Economy” and the Russian Scenario of Dollar’s Failure 426
- § XX.2. Probability of Global Economic Crisis Under the Conditions of International War Against Terrorism 439
- § XX.3. Possible Global Economic Crisis and Georgia’s Economic Strategy 444

**Chapter XXI. For Conclusions, i.e. “Non-Political-Economic” Analysis of Georgian Capitalism (an Attempt to Synthesize “Non-Economic Policy” and**

**“Politicized Economy”)..... 451**

**Bibliography..... 460**

**Political Economy of the Post-Communist Capitalism and its Application for Georgian Economy (Summary in English)..... 523**



## წინასიტყვაობა

უინსტონ ჩერჩილის სიტყვების თანახმად, დემოკრატია მართვის ყველაზე ცუდი სისტემაა, მაგრამ სხვა დანარჩენი კიდევ უფრო უარესია; პრაქტიკულად იგივე შეიძლება ითქვას ბაზარზეც: ბაზარი რაიმე მომგებიანის რეალიზაციის ყველაზე ცუდი საშუალებაა, მაგრამ ყველა სხვა საშუალება კიდევ უფრო უარესია (фон Ва́йцеккер, Ловинс, Ловинс, 2000, с. 201). საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის ნებისმიერ სხვა სისტემასთან შედარებით აშკარა უპირატესობა ბაზარმა არაერთსაუკუნოვანი გამოცდილებით დაამტკიცა (Samuelson, 2002). აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სულ ცოტა ბოლო ათი წლის განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესთა შორის ერთ-ერთი წამყვანი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაა. მისი კანონზომიერებების შესწავლას არაერთი განმარტებული გამოკვლევა მიეძღვნა (მაგალითად, UNICEF, 2001). ამ პრობლემის გარშემო არსებული სამეცნიერო-ანალიტიკური პუბლიკაციების სიუხვის მიუხედავად საკითხთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სადისკუსიოა, ცალკეული ურთულესი პრაქტიკული, თუ თეორიული ხასიათის ამოცანა გადაწყვეტას ელის. ეს ამოცანები უმეტეს შემთხვევაში ტიპიურია, რის გამოც მათ გადასაწყვეტად ერთიანი მიდგომების შემუშავება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ამავე დროს, აუცილებელია ხაზი იმ გარემოებასაც გაესვას, რომ მხოლოდ უნიფიცირებული მიდგომებით ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პრაქტიკა (როცა უყურადღებოდ, ან თითქმის უყურადღებოდ, არის დარჩენილი თითოეული ცალკე აღებული ქვეყნისათვის დამახა-

სიათებელი სპეციფიკა) საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. ეს კი იმის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზია, თუ ყოველთვის რატომ ვერ ხერხდება თეორიულად გამართული სქემებით შედგენილი რეფორმატორული პროგრამებით წარმატების მიღწევა. ვფიქრობ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში ამ ქვეყნის სპეციფიკურ თავისებურებათა სათანადო დონეზე გათვალისწინების აუცილებლობა დღეს დიდად საკამათო აღარ არის.

ცნობილია, რომ აშშ-ის პრეზიდენტს ჰარი თრუმენს ერთხელ განუცხადებია, რომ ის “ცალხელა” ეკონომისტს ეძებდა, ვინაიდან, როცა თავის ეკონომისტებს რჩევას სთხოვდა, ისინი თავის პასუხს აგებდნენ სიტყვათაწყობაზე: “ერთის მხრივ, ..., მეორეს მხრივ, ...”, სადაც “მეორეს მხრივ, ...” – ინგლისურად “on the other hand” სიტყვასიტყვით ქართულად ნიშნავს “მეორე ხელზე” (მენქიუ, 2000, გვ. 39). ნამდვილი პროფესიონალი ეკონომისტი “ცალხელა” ვერ იქნება, რაც ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის მართვისას ამ სპეციალობის ადამიანებისაგან საყოველთაოდ აპრობირებული ერთიანი მიდგომების გამოყენებისას მოცემული ქვეყნისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ თავისებურებათა აუცილებელ გათვალისწინებას მოითხოვს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემატიკას მსოფლიოში მრავალი საყურადღებო გამოკვლევა მიეძღვნა. ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების მიმართ ასევე დიდია ჩვენი ქართველი კოლეგების – მეცნიერ-ეკონომისტთა დაინტერესებაც (მაგალითად, აბაშიძე, 2001; აბესაძე, 1999, 2002; აბრალავა, 2001; ანანიაშვილი, 2002; არევაძე, მიშინა, 2002; არჩვაძე, 2000; ასათიანი, 1997, 2001; აქუბარდია, 1996, 2002; აჩელაშვილი, 1998; ბაბუნაშვილი, 2000; ბარათაშვილი, ვეშაპიძე, 2002;

ბასარია, 1996; ბასარია, მესხია, 1995; ბასარია, შალამბერიძე, 2002; ბასი-  
ლია, სილაგაძე, ნიკეაძე, 2001; ბერიძე, 1997; ბოლაშვილი, 2000; ბოლო-  
კაძე, 2002; ბურდული, 2000ა, 2000ბ, 2000გ; ბურკაძე, 2000, 2001; გამსახუ-  
რდია, 1995, 1997; გარუნავა, სოსელია, 1998; გველესიანი მ., 1997; გველუ-  
სიანი რ., 1999; გიორგაძე მ., 2001; გიორგაძე ჰ., 2001; გოგოხია, 2000,  
2001ა, 2001ბ; გოცირიძე, 1999; გრიშკაშვილი, 1998; დათუკიშვილი, 2000;  
დათუნაშვილი, 2000, 2002; დარბუაშვილი, 1999; ელიავა, 2000; ერისთავი,  
ნოშახიძე, ცინცაძე, 2000, 2001; ვაშაძე, 1999, 2000, 2001; ზარნაძე, 2002;  
ზურაბიშვილი, 2001; თეთრაული, 1992, 2000; თვალჭრელიძე, კერვალიშ-  
ვილი, გეგია, ესაკია, სანაძე, 2002; თოდუა, 1997; თოდუა, ვეშაპიძე  
(რედ.), 2001; თოთლაძე, 2000; თოქმაზიშვილი, 1994, 1997; თურნავა, 2002;  
იაშვილი, 2001; კაკულია მ., 1999, 2000, 2001ა, 2001ბ; კაკულია მ., ასლა-  
მაზიშვილი, 2000; კაკულია რ., 1995; 1997, 1999, 2000ბ, 2000გ, 2001გ; კან-  
დელაკი, 2001; კაპანაძე, 2000; კოვზანაძე, 2001; კოპლატაძე, 2000; კოდუა-  
შვილი, 2002; კურატაშვილი, 2000ბ; ლეიაშვილი, 2001, 2002ა, 2002ბ; მა-  
ლაშხია, 1999; მანაგაძე, 2000, 2002ა, 2002ბ; მაქსოვეი, 1997; მესხია, 1995,  
1996ა, 1999ბ, 2000; მესხია, ბასარია, 2001; მესხია, მურჯიკნელი, 1996; მე-  
სხია, ნიკოლეიშვილი, 2002 მექვაბიშვილი, 1995, 1997, 1999; მითაიშვილი,  
2002; მიშინა, არევაძე, ცუცქირიძე, 2000; მოურავიძე, 1999; ნათელაური,  
2000; ნათელაური, გურაშვილი, 2002; ნაკაძე, ბარათაშვილი, ვეშაპიძე,  
2001; პავლიაშვილი, 2002; პაიჭაძე, 2000ა, 2000ბ, 2000გ, 2001, 2002; პაპავა  
გ., 1991, 2000, 2002; სამადაშვილი, 1996, 1998, 2002; სანაძე, 1999; სანთე-  
ლაძე, 1997, 2000, 2001; სართანია, 2001; სარნიშელია, კიკნაძე, 2002; სი-  
გუა, 2001; სილაგაძე, 1997; სილაგაძე, დიდბარიძე, ჯუღელი, გაბუნია,  
ჩხაიძე, აფხაზავა, 1996; ტუხაშვილი, 1998; ქარქაშაძე, 1998; ქვანახია,  
1997; ქისტაური, 2000; ქისტაური, ქისტაური, 1997; ლაღანიძე, 2001; ლაძა-

ძე, გელაშვილი, 2002; ღურჭიაია, 2001; ყარაულაშვილი, 2001; ყუფუნია, 1999, 2000; ყორღანაშვილი, 1997, 2000; ყორღანაშვილი, აბდუშეღლიშვილი, 1999; შათირიშვილი, 1996; შათირიშვილი, კერესელიძე, 2000; შენგულია, 1997; შიხაშვილი, 1996, 2001; ჩაგელიშვილი ლ., 1999; ჩაგელიშვილი პ., 2000; ჩარეკიშვილი, სარჩიშვილი, 2001; ჩიკვაძე, 1997, 2000; ჩიქავა, 1995, 2000; ჩომახიძე, 2002; ჩხეიძე, 2000; ცისკარიშვილი, 2000; ძნელაძე, 1991, 1993, 1997; წერეთელი, 1992, 1999, 2000ა, 2000ბ, 2002; წერეთელი, ბიბილაშვილი, 2002; წერეთელი, კილაძე, 1995; წიკლაური, 2002; ჭალაგანიძე, 2000; ჭითანავა, 1993, 1997, 1999ა, 1999ბ, 2000ა, 2000ბ, 2001; ხალერი, 2001, 2002; ხელაია, 1996; ხელაია, ბეკიტაშვილი, 2000; ჯგერენაია, 2002; ჯიბუტი, 1996, 2001; ჯოღია, 1998; Akubardia, 2000, 2002; Asatiani, 1998; Beridze, 1996A, 1996B, 2000; Bolashvili, 2002; 2000; Cukrowski, Kavelashvili, 2000; Gachechiladze, 1995; Gogishvili, Gogodze, Tsakadze, 1996; Gotsiridze, Kandelaki, 2001; Gurgenidze, Lobzhanidze, Onoprishvili, 1994; Lapachi, 2001, 2002; Tarkhan-Mouravi, 1998; Tvalchrelidze, Loladze, 2002; Асатиани, 1998; Басария, 1998; Беридзе, 1995; Беридзе, Чарекишвили, 1998; Бурдули, Церетели, 1998, 1999; Гочиташвили, Гоциридзе, 2002; Гоциридзе, Канделаки, 2001Б; Джугели, Гварამაძე, 1998; Закариадзе, 2000; Какулия М., 2001; Какулия Р., 1998; Ковзанаძე, 2002А, 2002Б; Мекვაბიშვილი, 1998; Месхия, 1998; Месхия, Яшвили, 1998; Маглакелиძე, 2002; Митаიშვილი, 1987; Сантელაძე, 1998; Силаგაძე, 1998; Сулаберидзе, 1998, 2002; Церетели, 2000; Тархниშვილი, 1997; Церетели, Бибилашвили, 2001; Чикава, 1998А, 1998Б, 1999, 2001).

ცალკე აღნიშვნის ღირსია უცხოელ მეგლეუართა დაინტერესება საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესებით (მაგალითად, ჰორნი, ცურეკი, 1998; Becker, 1998; Chand, Verhoeven, Korzyk, Vroman, 1997; Cukrowski, 2000; Cukrowski, Kavelashvili, 2001; EM, 1997; Ibadoglu, 2002;

MacPhee, 2001; PM, 1998; Wang, 1998; Wellisz, 1996; Велиш, 1996; Гварამაძე, Клец, Сннищина, 1999; Жирный, Ярочински, 1997; Ибадоглу, 2002; Клец, 1997; Панькув, Гончаж. Григолашвили, 1996; Панькув, Гончаж, Моргошиа. Ахаладзе, Поломски, 1998; Панькув, Гончаж (ред.), 1998; Петухов, 1999; Сннищина, 1996, 1997; Сннищина, Ярочински, 1998).

წინამდებარე მონოგრაფიის მიზანია კომუნისტური ორიენტაციის მქონე ეკონომიკის კაპიტალისტურში გარდაქმნის, ანუ ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის თეორიული განზოგადება, პოლიტეკონომიური შესწავლა და მის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე გარდაქმნების გაანალიზება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომში ტერმინი “*პოლიტიკური ეკონომია*” იმ გაგებითაა გამოყენებული, რომელიც დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა (მაგალითად, Brown, 1995) და რომლის თანახმადაც ის პოლიტიკური მოღვაწეობის პრაქტიკული ასპექტებისა და წმინდა ეკონომიკური თეორიის<sup>1</sup> ურთიერთკავშირის გულისხმობს (Пирс (ред.), 1997, с. 388)<sup>2</sup>. მისგან განსხვავებით ტერმინი “*ეკონომიკური პოლიტიკა*” ქვეყნის ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ქცევას ნიშნავს (Пирс (ред.), 1997, с. 145).

იმის გათვალისწინებით, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა პოლიტიკური პროცესის განვითარებაზე პრაქტიკულად სრულადაა დამოკიდებული

<sup>1</sup> ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინის “*ეკონომიკური თეორიის*” (რომელიც უმთავრესად ინგლისურენოვან ლიტერატურაში “*ეკონომიკის*” სახელწოდებითაა ცნობილი), ნაცვლად, მეუნი აზრით, უპირატესია ვისარგებლოთ ტერმინით “*თეორიული ეკონომიკა*” (პაპავა, 1993; პაპავა, ახმეტელი, ლეიაშვილი, ელუმბერაშვილი, 1993, გვ. 8-9; Папавა, 1992A).

<sup>2</sup> პოლიტიკური ეკონომიის მოცემული გაგება პრინციპულად განსხვავდება რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბოლო პერიოდში განვითარებული ე.წ. “*თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიისაგან*”, რომელიც კარლ შარქისა და ჯონ ჰეინარდ ქანსის თეორიების სინთეზს ეფუძნება (Мочалов, 2002), ან პოლიტიკური ეკონომიის ძალზედ განვრცობილ გაგებისაგან, რომლის თანახმადაც ის ფუნდამენტური, ეკონომიკური თეორიის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა ინტეგრაციას წარმოადგენს (Новицкий, 2002, с. 56).

(მაგალითად, Данилов-Данильян, 2001, с. 174), ვფიქრობ მეთხველისათვის ავტორისეული პოზიცია, რომლის თანახმადაც ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის კანონზომიერებათა კვლევას “პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია” ეწოდა, გასაგები იქნება. აქვე აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინები “პოსტკომუნისტური პოლიტიკური ეკონომია” (მაგალითად, Crawford, 1995; Pickles, Smith (ed.), 1998), “პოსტსოციალისტურ გარდაქმნათა პოლიტიკური ეკონომია” (Колодко, 2000) და “გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური ეკონომია” (Автономов, 1996) უკვე გამოიყენება.

ტერმინი “პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი” ავტორისეულია და ის იმ რეალური საზოგადოების ბუნებაზე მიუთითებს, რომელიც “კაპიტალიზმის” კლასიკური გაგების, თუ მისი თეორიულად განზოგადებული ცნობილი სხვადასხვა მოდელის (მაგალითად, Brown, 1995, pp. 15-177) ჩარჩოში ვერ ჯდება. ამის უმთავრესი მიზეზი ე.წ. “ნეკროეკონომიკა” (თავი VII), რის გამოც “პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის” ეკონომიკური სისტემა მთლიანობაში და მისი ცალკეული ნაწილი “კაპიტალიზმის” კლასიკური გაგების ფარგლებში ყოველთვის ახსნადი არ არის. სწორედ ამან განაპირობა ავტორისეული მცდელობა “პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიის” შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევის ჩასატარებლად.

წიგნის შექმნის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში დაგროვდა ავტორისეულ გამოკვლევათა და შესაბამის პუბლიკაციათა საკმაო რაოდენობა. ისინი მთლიანობაში ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესახებ თეორიული და გამოყენებითი პრობლემების ერთიან მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს, რაც წინამდებარე წიგნს დაედო საფუძვლად.

თითოულ თავს წამძღვარებულ აქვს ციობილი ადამიანების გამო-  
ნათქვამები, რომლებიც შერჩეული იქნა წიგნებიდან (ჭიაბრიშვილი, ჭი-  
აბრიშვილი, 2001; Knowles (ed.), 1999; Torricelli (ed.), 2001; Душенко, 2001).

საკვლევი პრობლემის სირთულიდან გამომდინარე ჩვენ პრაქტიკუ-  
ლად სრულად გვაქვს გაცნობიერებული, რომ წიგნში მოცემული ავტო-  
რისეული ხედვა ცალკეული მკითხველის მიერ შესაძლოა გაზიარებულ  
არ იქნეს, რის გამოც მათგან კონსტრუქციული ხასიათის კრიტიკულ  
შენიშვნებს სიამოვნებით მივიღებთ.

ნაშრომის მიმართ გამოთქმული საქმიანი შენიშვნებისა და რჩევ-  
ების გამო განსაკუთრებულ მადლობას უუხდით ნაშრომის სამეცნიერო  
რედაქტორს, პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს, და რეცენზენტებს  
პროფესორ თეიმურაზ ბერიძესა და პროფესორ იაკობ მესხიას. ამასთან  
მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ თავდაპირველი ტექსტის პი-  
რველი მკითხველების თამაზ აქუბარდიას, გელა ჩარკვიანისა და ნო-  
დარ ხაღურის წვლილი. რომელთა მიერ მოცემული შენიშვნებისა და  
რჩევების დიდმა ნაწილმა ნაშრომში ჰპოვა ასახვა.

თავი I. შესავლის მაბიერ,  
ანუ სახელმწიფო მონოპოლისტური ფეოდალიზმის  
შესახებ

სოციალიზმი არის მსოფლმხედველობა,  
სადაც წარმოების იდეა შეცვლილია  
განაწილების იდეით.

*ს. ფრანკი*

... აუცილებელი ბაზა საბჭოთა იმპერიას არ აქვს,  
ხოლო ის, რაც აქვს – აქვს ხალხზე ძალადობით,  
ტერორისტული რეჟიმით და მაშასადამე,  
უნიდაგო და უმწეო.

*ნოე ჟორდანი*

ეკონომიკურ საქმიანობას “საბჭოთა  
სისტემის” წარჩობებში არაერთარი  
საერთო არა აქვს ეკონომიკასთან.

*ჯორჯ სოროსი*

საქართველომ, როგორც საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში  
“იძულების წესით” შეყვანილმა, სახელმწიფოებრიობა დაკარგულმა  
ქვეყანამ, გასული საუკუნის უდიდესი ნაწილი იმ საზოგადოებრივ-ეკო-  
ნომიკურ სისტემაში “გაატარა”, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან  
გამომდინარე ეჭვგარეშე შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც კაცობ-  
რიობის განვითარების მაგისტრალური გზიდან გადახვევა. საყოველ-



თაოდ დამკვიდრებული ტერმინოლოგიის თანახმად ეს სისტემა სოციალიზმის სახელითაა ცნობილი.

სტალინიზმისა და “უძრაობის” ხანის კრიტიკის ფონზე სოციალიზმი “შემკობილ” იქნა “მბრძანებლურ-ადმინისტრაციული”, “ტოტალიტარული” და სხვა მისთანა ეპითეტით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არაერთმა მკვლევარმა ეჭვის ქვეშ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოთა იმპერიაში სოციალიზმი, როგორც ასეთი მართლაც იყო, თუ არა.

სოციალიზმის რაობისა და პრაქტიკული გამოცდილების თეორიული განსოგადების შესახებ ჩატარებულია უამრავი გამოკვლევა, თუმც ცალკეული გამონაკლისის გარდა (მაგალითად, Kornai, 1992; Olson, 2000; Stiglitz, 1996; Корнаи, 1990Б, 2000; фон Мизес, 1993, 1994, Хайек, 1992; Шумпетер, 1995), მათ პრაქტიკულად არანაირი სამეცნიერო ფასეულობა არ გააჩნიათ.

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის არსის გარკვევა თავის მხრივ სოციალიზმის სახელით ცნობილი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემის ეკონომიკური ბუნების გაანალიზებას მოითხოვს. განვიხილოთ მისი, უფრო კონკრეტულად კი მისი საბჭოური “ვერსიის” სოგიერთი არსებითი ნიშანი.

1. საბჭოთა იმპერია თავიდანვე იძულებული შეიქმნა საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკის ე.წ. *ნატურალური ტიპისათვის*, სადაც პრაქტიკულად გამორიცხულია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და ყოველივე ის, რაც საჭიროა მოხმარებისათვის მის (ამ ეკონომიკის) შიგნით იწარმოება. ეს, უწინარეს ყოვლისა, სხვა დანარჩენ სამყაროსთან საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირებით იყო განპირობებული. ეკონომიკის

ნომიკის ნატურალიზაცია თავის მხრივ საბჭოთა იმპერიის იმ მსოფლმსედველობრივი დოგმებით იყო გაღრღმავებული, რომელთა თანახმადაც ეკონომიკური სისტემის საფუძვლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, ბაზარი გამორიცხული უნდა ყოფილიყო. უმთავრეს ეკონომიკურ დოქტრინად ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარება იქნა აღებული. შედეგად, საგეგმო მანევრებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ნატურალური აღმონდა, ხოლო საწარმოებს შორის კოოპერაციული კავშირები წერილმან დეტალებში გაიწერებოდა. მართალია, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს, თუ თვით საწარმოებს შორის ანგარიშსწორებაში, ასევე ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა ფული, მაგრამ ამ უკანასკნელს მხოლოდ აღრიცხვის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. სახელმწიფოს მხრიდან მკაცრად კონტროლირებადი ნატურალური ტიპის ეკონომიკის პირობებში ბაზრის ელემენტები მხოლოდ არალეგალური სტატუსით “სარგებლობდა” და სახელმწიფოს მიერ უმკაცრესად იდევნებოდა.

2. კონკურენციის საყოველთაო უარყოფის პირობებში საბჭოთა იმპერიაში წარმოებული წარმოების საშუალებები (ძირითადად, სამხედრო მრეწველობის გარდა, რომლის განვითარებაც მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტურ სამყაროსთან სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებით იყო განპირობებული) ხარისხობრივი მახასიათებლებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთაშორისო სტანდარტებს; ეს კი ყოველგვარი ეჭვის გარეშე იძლევა იმის საშუალებას, რომ საბჭოური ტექნიკა და ტექნოლოგია განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებულთან შე-

დარების საფუძველზე შეიძლება შეფასდეს როგორც რეტი-  
ნული.

3. საბჭოთა იმპერიის შექმნისთანავე მიწა და კაპიტალი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. საკუთრების საკლემპურნეო-კოოპერაციული ფორმა პრაქტიკულად სახელმწიფო საკუთრების სახესხვაობას წარმოადგენდა.
4. ეკონომიკის გაძლიერების მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა მეთოდებმა ადამიანები სახელმწიფოსადმი უშუალო დამოკიდებულებაში ჩააყენა, რაც შრომის არაეკონომიკურ იძულებაში გამოიხატა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემის ეს ოთხი ნიშანი (ეკონომიკის ნატურალური ტიპი, ტექნიკისა და ტექნოლოგიის რუტინულობა, მიწასა და კაპიტალზე მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების არსებობა, შრომის არაეკონომიკური იძულება) ერთობლიობაში იმის საშუალებას იძლევა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მონოპოლისტი ფეოდალის სტატუსი მიენიჭოს, ხოლო მათთანად სისტემა კი შეფასებულ იქნეს, როგორც სახელმწიფო მონოპოლისტური ფეოდალიზმი (პაპავა, 1995ა, გვ. 9; Papava, 1994B, 1995B; Папава, 1990; Папава, Ахметели, 1990, с. 33). აქ მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის რისარდ ერიქსონის აზრით პოსტსაბჭოთა რუსეთის ეკონომიკური სისტემა შეიძლება დახასიათებულ იქნეს, როგორც ინდუსტრიული ფეოდალიზმი (Ericson, 2000).

არც თუ იშვიათად ის ეკონომისტები, რომლებიც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა განვითარების დოგმად ქცეული საკმაოდ ხელოვნური მარქსისტული სქემის “ტყეობაში” იმყოფებიან თვლიან, რომ სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა ეს ისტორიული უკუსუ-

ლაა და ამდენად მისი განხორციელება შეუძლებელიც კი არის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეკონომისტთა თეორიული “გემოვნებისადმი” მისადაგება წინამდებარე წიგნის მიზანს სულაც არ წარმოადგენს, მათ “გასაგონადაც” შეიძლება ითქვას, რომ თუ კი ისინი გაიზიარებენ საბჭოთა იმპერიაში შექმნილი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის შემოთმოყვანილ შეფასებას, მაშინ ფეოდალიზმიდან (კერძოდ, სახელმწიფო მონოპოლისტური ფეოდალიზმიდან) კაპიტალიზმზე გადასვლა მათ თეორიულ წარმოდგენებს სრულად შეესატყვისება.

თავი II. ეკონომიკური თეორია ეკონომიკის  
პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესახებ  
(უცხოური ლიტერატურის ანალიზი)

არ არსებობს არც ერთი იდეა, რომელშიც  
დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ იგი  
დროის გამოცდას გაუძლებდა.  
*ალბერტ აინშტაინი.*

საკმარისი არ არის ექიმი გერქვას,  
მკურნალობაც უნდა შეგეძლოს.  
*ბერტოლდ ბრენტი*

§ II.1. ეკონომიკური თეორიის მზადყოფნა

საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული, ცნობილი რუსი ეკონომისტი იგორ ბირმანის აზრით, კაპიტალიზმი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, და ამ პროცესში სწავლული, თუ უსწავლელი ეკონომისტები რჩევებითა და რეცეპტებით არ მონაწილეობდნენ (Нирман, 1996, с. 521). მართალია, ეს აზრი სულაც არ არის აბსოლუტურად ჭეშმარიტი, მაგრამ ის ძირითადად ასახავს ეკონომიკური მეცნიერების განვითარების იმ ისტორიულ ეტაპს, როცა ის (მეცნიერება), როგორც წესი, მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური პრაქტიკის ანარეკლი იყო.

ეკონომიკურ მეცნიერებას მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს, თუმცა ის ყოველთვის როდი იყო მზად დროული და თანაც სწორი პასუხი გაეცა იმ საჭირობოროტო საკითხებზე, რომელთაც დღის წეს-

რიგში პრაქტიკა აყენებდა. მიუხედავად ამისა ეს “წამორჩენა”, როგორც წესი, რამოდენიმე წელიწადში აღმოიფხვრებოდა, რაც შემდგომში ეკონომიკური განვითარების პრაქტიკულ ამოცანათა გადასაწყვეტად ახალ იმპულსს იძლეოდა. ქეინზიანულობის აღმოცენება და განვითარება ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. მიუხედავად ამისა, დასავლეთის წამყვანი ეკონომისტები საკითხს თანამედროვე ეკონომიკური აზრის კრიზისის შესახებ ხშირად ამწვავებენ, რაც მათი აზრით კაპიტალისტური ეკონომიკის და მისი მომავლის ხედვის საკითხების გადაწყვეტის უუნარობაში გამოიხატება (Хейбронер, 1993; Heilbroner, Milberg, 1996).

კომუნისტური რეჟიმის კრახმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში, ამ უკანასკნელის თითქმის იმავდროულმა დაშლამ და თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმოცენებამ დღის წესრიგში თვისობრივად ახალი პრობლემები დააყენა, რომელთა გადაწყვეტაც იმ კლასიკური სქემების ფარგლებს სცილდება, რომლებიც ეკონომიკური მეცნიერების მიერ მთელი წინა ისტორიის განმავლობაში იქნა გამომუშავებული (Hoyb, 1993).

თავისთავად ურთულეს ამოცანას წარმოადგენს კომუნისტურ პერიოდში არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების საბაზრო ტიპის ინსტიტუტებად გარდაქმნა (Nunberg, 1999). კომუნისტურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლის პროცესი ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც შეიქმნენ ფედერაციული წარმონაქმნების (სსრკ-ს, იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის) დაშლით და რომლებიც შესაბამისი ფედერაციების უშუალო სამართალმემკვიდრეები არ არიან, რთულდება საკუთარი სახელმწიფოებრიობის ეკონომიკური და არა მარტო ეკონომ-

მიკური (Schmitter, 1994) საფუძვლებების შექმნის ამოცანით (Balcerowicz, 1995, p. 146; Papava, 1996A, p. 252; Milanovic, 1998, p. 3). ამ ფონზე ბევრად უფრო “გამარტივებულად” წარმონდგება ყოფილი გდრ-ის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, რადგანაც მას წინ უძღოდა გფრ-თან (დასავლეთ გერმანიასთან) გაერთიანების პროცესი (Derlien, 1999; Алънах, 1999; Барфус, 1995, сс. 58-66).

ეს პროცესი განეკუთვნება მეოცე საუკუნის დასასრულის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენათა რიცხვს (Stiglitz, 1992, p. 137), რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გლობალური მსოფლიო პროცესი (Berend, 1994) და რომლის ზეგავლენაც ეკონომიკური აზრის განვითარებაზე შეიძლება შეედაროს გასული საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესიის დაძლევა (Автомов, 1996, с. 11), ან ევროპის რეკონსტრუქციას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (Fisher, 1992; Fisher, Frankel, 1992; Sachs, 1992; Summers, Nordhaus 1992; Wolfson, 1992). ჯონ ქენეთ გელბრეითის აზრით, ხსენებული პროცესი ორ მსოფლიო ომთან ერთიან რიგში დგას, როგორც ერთ-ერთი ამ სამი უდიდესი ისტორიული მოვლენათაგანი, რითაც გამოირჩევა მეოცე საუკუნე (Иноземцев, 1998, с. 7). შემთხვევითი არაა, რომ ჯ.ჰოქი და თ.ეში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესს “რეფოლუციას” (“Refolution”, “революция”) უწოდებენ, რომელიც მიიღება ტერმინების “რეფორმა” და “რეფოლუცია” გაერთიანებით (Голдстоун, 2001, с. 117).

ცალკეულ გამოკვლევებში (მაგალითად, Buch, Heinrich, 1997; Andor, Summers, 1998; Trushin, Trushin, 2002; Кузин (ред.), 1994) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები ე.წ. “ეკონომიკური სასწაულის” მიდგომის (გერმანულ (Эрхард, 1991; Зарицкий, 1997), იაპონურ (Латышев, 1970;

Цыры, 1981), სამხრეთ აზიის (Weder, 2001), იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ, ბრაზილიურ, მექსიკურ და სხვ. (Беззих, 1999, сс. 220-243), ასევე ქართულ “სასწაულთან” (Петухов, 1999) ანალოგიის მიხედვით (Петраков, 1998, с. 190)) ფარგლებშია გაშუქებული. საბაზრო მექანიზმების წარმატებული რეალიზაციის ამა თუ იმ მაგალითის “ეკონომიკური სასწაულის” ტერმინოლოგიით გაშუქებამ დიდი პოპულარობა, უწინარეს ყოვლისა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან მიმართებაში მოიპოვა (WB, 1993). XX საუკუნის ბოლო საფინანსო კრიზისმა, რომელმაც ამ ქვეყნების ეკონომიკა შეძრა ერთობ გააფერმკრთალა ტერმინ “სასწაულის” ეკონომიკაში გამოყენების მიზანშეწონილობა (Claessens, Glaessner, 1997).

ის, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას ჯერ-ჯერობით არ ძალუძს თეორიულად დასაბუთებული და ამასთანავე ამომწურავი პასუხი გასცეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ბევრ საჭირობოტო საკითხს, აღიარებულია წყენი დროის ცნობილი ეკონომისტების მიერ (მაგალითად, Stiglitz, 1996, p. 3; Becker, Becker, 1997, p. 259); შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეკონომიკური თეორია ჯერ-ჯერობით არ არსებობს (Бертенев, 1996, с. 301). იგორ ბირმანის ტრადიციულად რადიკალური და, ამდენად, საკამათო შეფასების თანახმად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემის გადაწყვეტაში ეკონომიკურმა მეცნიერებამ კვლავ დაადასტურა თავისი “დამაჯერებელი იმპოტენტურობა” (Бирман, 1996, 521).

აუცილებელად ხასგასასმელია, რომ დასავლეთის ეკონომისტებისათვის გეგმიანი განვითარების პრობლემებიც კი, რომ არაფერი ეთქვათ მისგან საბაზრო სისტემაზე გადასვლაზე, აღიქმება როგორც დროებითი გადახრა საყოველთაოდ მიღებული კაპიტალისტური ნორმიდან, რის გამოც მათთვის დროის კარგვად ითვლება დროებითი პრობ-



ლემების კვლევა (Аукуционек, 1996, с. 11). მიუხედავად ამისა, მსოფლიო-ში არაერთი ცნობილი ეკონომისტი თვლის, რომ ამ საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ეკონომისტთათვის კვლევის ძირითადი მიმართულება ხდება (Galbraith, 1992, p. 46), რის შედეგადაც თავად ეკონომიკური თეორიის პრობლემები უნდა იქნეს განხილული პოსტსოციალისტური განვითარების ფონზე (Buchanan, 1992; Fisher, Gelb, 1991).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ უკვე განიხილა პირველი სქელტანიანი სახელმძღვანელოებიც, რომელთა ავტორებიც არიან, როგორც რეფორმირებადი, ისე დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები (Абалкин (ред.), 1997; Белокрылова, 2002; Бузгалин, 1994; Гайгер 1996; Герасименко (ред.), 1997; Красникова (ред.), 1998; Киселева, Чепурин (ред.), 1998; Николаева (ред.), 2001); ამ პრობლემატიკამ აგრეთვე ასახვა ჰპოვა ეკონომიკური თეორიის (Видяпин. Журавлева (ред.), 1997, сс. 52-59, 87-92), ეკონომიკური აზრის ისტორიისა (Бертенев, 1996, гл. 18) და ეკონომიკის ისტორიისადმი (Березин, 1999, сс. 252-260) მიძღვნილ სახელმძღვანელოს ტიპის თანამედროვე გამოცემებშიც<sup>1</sup>.

## § II.2. ტრანსფორმაციის ტერმინოლოგიის შესახებ

მსჯელობის გაგრძელებამდე მიზანშეწონილია ყურადღება ზოგიერთ ტერმინოლოგიურ საკითხზე გამახვილდეს. კერძოდ, პოსტკომუნის-

---

<sup>1</sup> ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პრობლემები ქართველ ეკონომისტთა მიერ მიმზადებულ სახელმძღვანელოებშიცაა გაშუქებული (მაგალითად, ადგილი, ასათიანი (რედ.), 1998; კახნიაშვილი, 1997).

ტური განვითარების ქვეყნების ეკონომიკისათვის გავრცელებულია ტერმინები “გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა”, “გარდამავალი ეკონომიკა” (“Economy in Transition”, “Transitional Economy”, “Экономика переходного периода”, “Переходная экономика”), რომლებიც თავისი ბუნებით ძალზედ ბუნდოვანია, რადგანაც გაუგებარია, თუ, კერძოდ რომელ “გადასვლაზეა” საუბარი. მართალია, თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული ადგილი სწორედ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას უკავია, მაგრამ ეს პროცესი თავისი ბუნებით სულაც არ არის ერთგვაროვანი, რადგანაც ერთმანეთისაგან განარჩევენ ტრადიციულ და ახალი ტიპის გარდამავალ ეკონომიკას: პირველი დამახასიათებელია ტროპიკული აფრიკისა და სამხრეთ აზიის, ხოლო მეორე კი – აღმოსავლეთ ევროპის, საბჭოთა კავშირის დაშლით შექმნილი, ასევე ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნისა და ჩინეთისათვის (Гайгер, 1996, сс. 45, 51-53). აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად “გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის” ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, ჩინეთი და მონღოლეთი, თუმცა მსოფლიოში მრავალი ქვეყანა (მარტო აფრიკაში 30-მდე), რომლებიც იმყოფება ცენტრალიზებული დაგეგმვის ეკონომიკიდან საბაზროზე გარდამავალ პროცესში (Yarbrough, Yarbrough, 1997, p. 469).

XX საუკუნის ისტორიისათვის ისეთი მოვლენებიც არის ცნობილი, როგორცაა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე (Бухарин, 1990, сс. 81-207) (და შემდეგ კომუნიზმზე (O’ Brien, 1989, pp. 6-13, 23-28)) გადასვლა (Kanth, 1997, pp. 211-225; Kornai, 1992, pp. 26-30; Шумпетер, 1995, сс. 293-309, 524-537), გადასვლა კაპიტალიზმიდან პოსტინდუსტრიულ, პოსტეკონომიკურ საზოგადოებაზე (Белл, 1999; Иноземцев, 1995, 1999; Маркарян, 2002), თანა-

მედროვე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, როგორც ამას აფასებს ზოგიერთი ეკონომისტი (Coats, 1981, 1982; Brown, 1995, pp. 334-356; Бузгалин, 1994, сс. 23-32), სტალინიზმიდან სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (Nolan, 1995), წარმოების მნიშვნელოვან ზრდაზე გადასვლა აშშ-ის ეკონომიკაში (Feldstein (ed.), 1980); იაპონიის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი განვითარებაც “გარდამავალი ეკონომიკის” ტერმინოლოგიით ხასიათდება (Бок, 2002, гл. 2).

პიტერ დრაკერის აზრით დღეს კაცობრიობა მსოფლიო მეურნეობის ერთიან სისტემაზე გადასვლის (Иноземцев, 1998, с. 6) ეტაპზე, პოსტ-კომუნისტური სასოგადოების ჩამოყალიბების პროცესში (Drucker, 1993) იმყოფება. ჯონ ქენეთ გელბრეთის მიხედვით შეიძლება განხილულ იქნეს “სიუხვის სასოგადოებაზე” (“Affluent Society”) გადასვლის პროცესი (Galbraith, 1998, pp. 209-216).

მესამე ათასწლეულში გადასვლასთან დაკავშირებით XX საუკუნის 90-იან წლებში წამოწეულ იქნა საკითხი, რომლის არსიც კიბერსივრცის (Cyberspace), კიბერმეურნეობის (Cybereconomy) სუვერენული ინდივიდის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს (Davidson, Ress-Mogg, 1998, pp. 11-39). უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ყველა მეტ-ნაკლებად სერიოზული ეკონომიკური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა, თუ ქვეყანაში შეიძლება განხილულ იქნეს მსოფლიო ეკონომიკის ერთიანი გარდამავალი პროცესის კონტექსტში (Hinshaw (ed.), 1996).

ბელორუსის მაგალითზე გამოიკვეთა საბაზრო ეკონომიკიდან საგემო ეკონომიკაზე უკუგადასვლის პროცესი (Антчак, Гужински, Козаржевски, 2001).

ლუშეკ ბალცეროვიჩის კლასიფიკაციით შეიძლება განხილულ იქნეს „გადასვლის“ რამოდენიმე ისტორიული პროცესი (Balcerowicz, 1995, p. 145; Бальцерович, 1999, с. 153):

1. კლასიკური გადასვლა, რაც გულისხმობს დემოკრატიის გაფართოებას მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში 1860–1920 წლებში;
2. ნეოკლასიკური გადასვლა, რაც აისახა დემოკრატიზაციის პროცესში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელდა (დასავლეთ გერმანიაში, იტალიასა და იაპონიაში XX საუკუნის 40-იან, ესპანეთსა და პორტუგალიაში 70-იან, სოგიერთ ლათინურ-ამერიკულ ქვეყანაში 70-იან და 80-იან, სამხრეთ კორეასა და ტაივანში 80-იან წლებში);
3. ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები არაკომუნისტურ ქვეყნებში (დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სამხრეთ კორეასა და ტაივანში გასული საუკუნის ადრეულ 60-იან, ჩილეში 70-იან, თურქეთსა და მექსიკაში 80-იან, არგენტინაში 90-იან წლებში);
4. აზიური პოსტკომუნისტური გადასვლა (ჩინეთში XX საუკუნის გვიანი 70-იანი და ვიეტნამში გვიანი 80-იანი წლებიდან დაწყებული).

“კეთილდღეობის სახელმწიფოს” პოზიციებიდან მთელი მსოფლიო შეიძლება განხილულ იქნეს სწორედ ამ მიმართულებით მყოფ გარდამავალ პერიოდში (Esping-Andersen (ed.), 1997).

“ახალი მსოფლიო წესრიგის” (“New World Order”, “Новый мировой порядок”) ფორმირების შუქზე ტერმინი “გადასვლა” უფრო ფართო შინაარსს იძენს, რომლის თანახმადაც “გადასვლა” გაიგება იმ სტრატეგი-ათა ნაკრებად, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს განსაზღ-ვროს და მიაღწიოს მოცემულ წესრიგს მინიმალური დანაკარგებით (Calkins, Vezina, 1996, p. 311).

“გარდამავალი პერიოდისა” და “გარდამავალი ეკონომიკის” გან-ზოგადებული განმარტების ძიება როგორც წესი არაკონსტრუქციულია, რამდენადაც როგორც თეორიული, ისე (უფრო მეტად კი) პრაქტიკული თვალსაზრისით არაფრის მომცემია.

გადასვლის შესახებ და კერძოდ, “გარდამავალი პერიოდის” მი-მართ განზოგადებული მიდგომის მაგალითად შეიძლება მოყვანილი იქ-ნეს მისი განსაზღვრება, როგორც დროის პერიოდისა, როცა მიმდინა-რეობს ისტორიული არსივების პროცესი (Ракитиская, 1996, с. 87). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ განმარტების ავტორი იმავდროულად თვლის, რომ “გარდამავალი პერიოდის” ცნება მიუღებელია არსივების სიცხადის გამო (Ракитиская, 1996, с. 87).

“გარდამავალი ეკონომიკის” ერთ-ერთი ბუნდოვანი განზოგადებუ-ლი განმარტების თანახმად, ის “ფსიქოლოგიური და თეორიული თვალ-საზრისით რეგულაციის ორ მდგომარეობას შორის არსებული მდგომა-რეობაა”<sup>2</sup>, რომლებიც ერთმანეთისაგან “სისტემური, ან შოკური გარდა-ტეხითაა” გამიჯნული, და რომლებიც, თავის მხრივ, “ერთმანეთისაგან

---

<sup>2</sup> “გარდამავალი პერიოდის”, “გარდამავალი ეკონომიკის” მსგავსი განზოგადებული განმარტების მცდელობა ქართული ეკონომიკური ლიტერატურისთვისაცაა დამახასიათებელი; მაგალიად, “გარდა-მავალი ეკონომიკის” ერთ-ერთი განმარტების თანახმად ის ერიოდროულად ნორმალური გაწონასწო-რებული განვითარების მდგომარეობაში გადასვლასა და ერთი მდგრადა გაწონასწორებული რეჟიმ-დან სხვა მდგრადა გაწონასწორებულ რეჟიმში გადასვლასაც გულისხმობს (ბასილია, სულაგაძე, ნიქ-ვაიძე, 2001, გვ. 93).

ქალისა და ხანგრძლივობის მიხედვით განსხვავდებიან” (Кузнецов, 1994, сс. 5-6).

განსოგადებული მიდგომის მაგალითად ასევე გამოდგება “გარდამავალი პროცესების” გააზრება ე.წ. “კატასტროფების თეორიის” შუქსე; კერძოდ, ეს “პროცესები” ვიწრო გაგებით ახასიათებს სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლას, ანუ სისტემათაშორის ტრანსფორმაციას, ხოლო ფართო გაგებით კი – ამ სისტემის ნებისმიერ ცვლილებას (Шурғалина, 1997, сс. 66-67).

“გარდამავალი პროცესების” განსოგადებული შესწავლის მაგალითია აგრეთვე, მსოფლიოს სხედასხვა ქვეყანაში “განვითარებაზე გადასვლის ევოლუციის ინსტიტუციონალური ანალიზიც” (Intriligator, Braiguinsky, Bowen II, Tullock, Root, 1999).

ამჟამად, რომ ტერმინ “გარდამავალი პერიოდის” საყოველთაოდ აღიარებული განმარტება ჯერ-ჯერობით არ არსებობს (Березин, 1999, с. 253).

ყველა აქ მოყვანილი მიდგომის ფონზე შეიძლება დავასკენათ, რომ როცა კონკრეტულად საუბარია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაზე (მოკლედ, კაპიტალისტურ ეკონომიკაზე პოსტკომუნისტურ გადასვლაზე), ან თუნდაც ჯონ ქენეთ გელბრეითის სიტყვებით რომ ვთქვათ მასთან რაიმე მიახლოებულზე (Galbraith, 1996, p. 101) – ეს, ჩვენი აზრით, საგანგებოდ უნდა იყოს დაფიქსირებული, მით უფრო, რომ გადასვლის ამ პროცესს ისტორიაში ანალოგი არ აქვს (Cambell, 1991, p. 227).

იმისათვის, რომ სრულად ამოვწუროთ ტერმინოლოგიური საკითხი, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ორი ტერმინიდან – “პოსტსოციალისტური” და “პოსტკომუნისტური”, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია უპირატესობა

მეორეს მიენიჭოს, რომელიც შესაბამისი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამდე განვითარების მიმართულების დამახასიათებელ ორიენტაციას აფიქსირებს (Меньшиков, 1996, сс. 17-22). ამასთან, ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაესვას, რომ დისკუსია ტერმინ “სოციალიზმის” დეფინიციის შესახებ დასრულებულად ჯერაც არ შეიძლება ჩაითვალოს (Balcerowicz, 1995, pp. 19-27; Бальцерович, 1999, сс. 27-35), რამეთუ ერთმანეთისგან განასხვავებენ სოციალიზმის მარქსისეულ, საბჭოურ, ჩინურ, იუგოსლავურ და აფრიკულ მოდელებს (Brown, 1995, pp. 181-286), განიხილება აფრიკულ-აზიური სოციალიზმი (Nafziger, 1997, p. 541). თუ კი მას დაეუმატებთ “ფაშისტურ” (Фон Мизес, 1994, сс. 363-368) (მით უფრო, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოსტფაშისტურ და პოსტკომუნისტურ მოდელებს შორის თვისობრივი განსხვავება არსებობს (Олсон, 1995, сс. 53-54)), “ისლამურ” (Игнатенко, 1988, сс. 130-132), “არაბულ” (Luttwak, 1999, p. 244) და “შეეღურ” სოციალიზმს, გასაგები უნდა იყოს ტერმინ – “პოსტსოციალისტურის” ბუნდოვანობა. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით ის სისტემა, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში შეიქმნა, იყო არა სოციალისტური, არამედ, მაგალითად, “ფსევდოსოციალისტური” (Микульский, 1999, с. 8), ან “კეპ-ზისოციალისტური” (Симония, 1999, с. 14), რომ არაფერი ითქვას წინამდებარე წიგნის შესავალში საბჭოური სისტემის მიმართ მოცემულ შეფასებაზე სახელმწიფო მონოპოლისტური ფეოდალიზმის სახით.

სოციოლოგებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ, რაცა ამა თუ იმ ტიპის საზოგადოების არსი ბოლომდე გახსნილი არ არის, მას რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით უკეთებენ თავსართს “პოსტ” (მაგალითად, “პოსტინდუსტრიული”, “პოსტეკონომიკური”, “პოსტკომუნისტური”, “პოსტსოციალისტური”, “პოსტსაბჭოთა” და სხვ.). ამ ფონზე

აშკარად გამორჩეულია პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის გამოკვლევები, რომლებიც *“პოსტკომუნისტურისა”*, თუ *“პოსტსოციალისტურის”* ნაცვლად აშკარად ნათელი ტერმინის – *“კაპიტალისტურის”* დამკვიდრებას ემსახურება (პაპავა, 2001გ, გვ. 36; Papava, 2002, p. 5). ეკონომისტებს (და არა მარტო მათ) უნდა გეყოს პროფესიული პასუხისმგებლობა და მოქალაქეობრივი სითამამე, რომ საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლის პროცესს კომუნისტური ეკონომიკის კაპიტალისტური ტრანსფორმაცია ეუწოდოს.

კაპიტალიზმი, ისევე როგორც სოციალიზმი თავისი ბუნებით სულაც არ არის ერთგვაროვანი და კაპიტალიზმის ის მოდელი, რომელიც კომუნისტური ორიენტაციის მქონე სახელმწიფოთა ნგრევის შემდეგ ყალიბდება ამერიკული, ევროპული, თუ იაპონური მოდელისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ სამეცნიერო ბრუნვაში ტერმინი – პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი დაეამკვიდროთ. წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იმაშიც გამოიხატება, რომ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის არსი იქნეს გამოკვლეული.

### **§ II.3. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ორი გზა**

საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლისათვის ეკონომიკური თეორიის ბევრი კლასიკური სქემის უშუალო გამოყენების გამოუსადეგარობამ განაპირობა, რომ ეს ურთულესი პროცესი ბევრ ქვეყანაში თავიდანვე სერიოზული შეცდომებით იქნა დაწყებული.



პირველ კონსულტანტებს შორის, რომლებიც პოსტკომუნისტური ქვეყნების რეფორმატორების დასახმარებლად დასაგლეითიდან იყვნენ ჩამოსულნი, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების გარდა, როგორც წესი, დამოუკიდებელი ექსპერტებიც იყვნენ, რომ არაფერი ვთქვათ შემთხვევით მოგზაურებსა და შარლატანებსზე; ისინი უკეთეს შემთხვევაში შეიარაღებული იყვნენ ეკონომიკური თეორიისა და (ან) ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში შთამბეჭდავი რეფორმების გამოცდილების ცოდნით (Adams, Brock, 1993, p. XIII). იგორ ბირმანის ტრადიციულად “გამუქებული” შეფასების თანახმად ეკონომისტები დასაგლეითიდან იმიტომ წამოვიდნენ რჩევების მისაცემად, რომ საკუთარ სამშობლოში მათ დიდად არც კი უგდებდნენ ყურს (Бирман, 1996, с. 522). ამ დროს მოცემული რჩევები, როგორც წესი, შემოიფარგლებოდნენ ზოგადი ფორმულირებებით საბაზრო ეკონომიკის უპირატესობათა და ბაზარზე უსწრაფესი გადასვლის აუცილებლობის შესახებ (Stiglitz, 1996, p. 3).

საკმაოდ ვრცელი ემპირიული მასალის საფუძველზე დღეისათვის უკვე შესაძლებელი გახდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესახებ. ცალკეული, საკმაოდ სერიოზული თეორიული განზოგადების შემცველი, სამეცნიერო ნაშრომების შექმნა. ყოველივე ამის საფუძველზე, როგორც პრაქტიკოსი რეფორმატორები, ისე მეცნიერ-ეკონომისტები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: პოსტკომუნისტურ ეკონომიკურ რეფორმებში “შოკის” მომხრეებად და “გრადუალისტებად” (gradual – თანდათანობითი), რაც სრულიად შეესატყვისება რეფორმირების უკვე ჩამოყალიბებულ შესაბამის ორ ძირითად მიმართულებას (მაგალითად, Božyk, 1999; Hoen, 1999; Богомолов, 1998, сс. 49-52).

ამ საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაციის გარდა საინტერესოდ შეიძლება წაითვადოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სამი განსხვავებული სტრატეგიის სახით წარმოდგენა, რომელთაგან პირველია გრადუალიზმი (რომელიც ჩამოყალიბდა უნგრეთში), მეორე – “შოკური თერაპია” (პოლონურ-ჩეხოსლოვაკური “წარმომავლობის”) და “მესამე გზა” (“Third Road”) (რომლის სამშობლოდაც ბალკანეთის ქვეყნებია მინიშნული); ამ უკანასკნელის არსი მდგომარეობს თანდათანობით (დროში გაწევილ) გრადუალიზმში (gradual gradualism), როცა ბაზარზე გადასვლა დროში არის ძალზედ გაერცობილი მხოლოდ მცირე საწარმოთა პრივატიზების, კერძო სექტორის მხოლოდ ვაჭრობაში, მომსახურებასა და ტურიზმში დაშვების შედეგად (Berend, 1995, pp. 133-137). “მესამე გზის” დამოუკიდებლად განხილვა სასარგებლო შეიძლება მხოლოდ გრადუალიზმის თავისებურებათა (როგორც მისი გამოვლინების უკიდურესი ფორმის) შესწავლისათვის იყოს. აქვე აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ საკმაოდ ხშირად ეკონომისტთა შორის კამათი არა იმდენად პრინციპულ თეორიულ საკითხებზე დაიყვანება, რამდენადაც პოსტკომუნისტური რეფორმების პროცესის სისწრაფეზე (Бирман, 1996, с. 521).

“შოკური თერაპია” (უმთავრასად რუსული ვერსიით), ან “დიდი აფეთქება”, “დიდი დარტყმა” (“Big Bang” (Kowalik, 1994, p. 116), “Большой удар” (Автономов, 1996, с. 12), “Большой рывок” (Гайгер, 1996, с. 388), “Большой скачок” (Ростовский, 1997, с. 21)), ან “მწარე აბი” (“Bitter Pill” (Adams, Brock, 1993, p. XIII), “Горькая таблетка”) უმოკლეს ვადებში რადიკალური გარდაქმნების რიცხვის მაქსიმიზებას გულისხმობს, რომელთა შორის უმთავრესი გამიზნულია უზრუნველყოს ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია (ან მინიმიზაცია მაინც) და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გა-

ტარება, ნომინალური ფულის მასის ან ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების პირობებში. “შოკური თერაპიის” შინაარსი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული სცენარიდან გამოდის (Киселева, 1996, с. 113), როცა ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია (ან მინიმიზაცია მაინც) და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება ფულის ნომინალური მასის, ან ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების პირობებში ძალზედ სწრაფად, დროის შემჭიდროებულ ვადებში ხდება. ამასთან წარმატება დიდადაა დამოკიდებული პოლიტიკურ სტაბილურობაზე (Johem, 1999). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “შოკური თერაპია” ე.წ. “ვაშინგტონის კონსენსუსის” იდენტურია (Попов, 1998, с. 42; Афонин, 45), ხოლო ეს უკანასკნელი კი ტრანსფორმაციული პროცესებისადმი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიდგომებს უდევს საფუძვლად (Стиглиц, 1998).

იმ შემთხვევაში თუ მკაცრი საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკის გატარება ფასების და შემოსავლების რეგულირების პირობებში ხდება, მაშინ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ამგვარ სცენარს ჰეტეროდოქსული, ან არაორთოდოქსული ეწოდება (Киселева, 1996, с. 113). ამგვარი მიდგომა, როგორც წესი, იმ ქვეყნებში გამოიყენება, სადაც სტაბილიზაციის პროგრამების რეალიზაციას დადებითი შედეგები არ მოჰყოლია და მოსახლეობის მხარდასაჭერად დროებით (და მხოლოდ დროებით) ორთოდოქსული ხასიათის ღონისძიებებთან ერთად ფასებისა და შემოსავლების რეგულირება გამოიყენება (Ростовский, 1997, сс. 102- 103).

“შოკური თერაპიის” მეთოდი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად იქნა გამოყენებული დასავლეთ გერმანიის რეფორმირებისათვის.

“მეორე სიცოცხლე” ამ მეთოდს პოსტკომუნისტურმა პოლონეთმა შესძინა (Lipton, Sachs, 1990; Schaffer, 1992; Pankow, 1993; Sachs, 1993; Blanchard, Dornbush, Krugman, Layaed, Summers, 1994, pp. 17-22; Johnson, Kowalska, 1994; Balcerowicz, 1994; 1995, pp. 273-369; Wellisz, 1997; Алексашенко, 1990; Наринский, 1990; Ермошенко, Крицук, Скворцова, 1991, сс. 18-29) და შემდგომ სხვადასხვა ვარიაციით და მეტნაკლები წარმატებით ბევრ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაშიც, მათ შორის ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაშიც იქნა რეალიზებული (Stroev, Bliakhman, Krotov, 1999, pp. 285-352); კერძოდ, თუ პოლონეთში შემუშავებულ იქნა “ბალცეროვიჩის გეგმა”, იუგოსლავიაში მიიღეს “მარკოვიჩის გეგმა”, უნგრეთში “კუპას გეგმა”, ჩეხოსლოვაკიაში “კლაუსის გეგმა” (Алексеев, Волков и др., 1995, с. 465).

გრადულისტები გამოდიან რა თანდათანობითი, ეტაპობრივი გარდაქმნების მომხრეებად (ББ, 1996, сс. 11-16) “შოკური თერაპიის” მეთოდის კრიტიკას აგებენ დანქარებული ტემპებით რეფორმის განხორციელებისას მისი ცალკეული ასპექტების დაპირისპირებულობისა და შეუთავსებლობის ილუსტრირებაზე (Крегель, Мацнэр, Грабхер, 1992).

“შოკური თერაპიის” მომხრეებსა და გრადუალისტებს შორის უკვე ტრადიციად ქცეული კამათი ხშირად “აბსურდის თეატრს” ემსაგავსება (Adams, Brock, 1993, p. XV). ამის თვალსაჩინო მაგალითს ზედაპირული მსგავსების საფუძველზე გაკეთებული ფსევდომეცნიერული დასკვნა წარმოადგენს, თითქოსდა “შოკური თერაპიის” მომხრეები მარქსის მიმდევრები (?!), ხოლო გრადუალისტები კი – გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლები არიან (Автономов, 1997, сс. 6-7).

გრადუალისტთა უმთავრესი შეცდომა, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ძალზედ მნიშვნელოვანი პრაქტიკული ხასიათის

პირობებს ვერ ითვალისწინებენ, რომლებიც შეიძლება აყვანილი იქნეს თანდათანობითი რეფორმირების აუცილებელი პირობების რანგში.

კერძოდ, თანდათანობითი რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია პოლიტიკური გარანტიები, რომლებმაც, ჯერ-ერთი, მოსახლეობის მხრიდან რეფორმატორული ნაბიჯების დადებითი შეფასება უნდა უზრუნველყონ, და მეორე, ნაწილობრივი ლიბერალიზაციის დაწეების შემდეგ მთავრობას შეაძლებინონ ეკონომიკურ პროცესებზე კონტროლის შენარჩუნება. როგორც პოსტკომუნისტური რეფორმების გამოცდილება გვიჩვენებს ბევრ ქვეყანაში (და უწინარეს ყოვლისა “პერესტროიკის” პერიოდში მყოფ საბჭოთა კავშირში) ეს აუცილებელი პირობა არ (უფრო სწორედ ვერ) შესრულდა (BE, 1996, cc. 11-16).

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე აუცილებელი პირობაც, რომლის თანახმადაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია რეფორმების პროცესის *მძლავრი ფინანსური მხარდაჭერა*. თუ კი ქვეყანას ის არ გააჩნია მან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და დიდი შვიდეულის ქვეყნებს უნდა მიმართოს, რომლებიც დამკვიდრებული წესის თანახმად პრიორიტეტს ანიჭებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომელიც, თავის მხრივ ეყრდნობა “ვაშინგტონის კონსენსუსს”, ანუ “შოკურ თერაპიას”; მაშასადამე გრადუალისტური მიდგომის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა, სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნისაგან საკუთარი მნიშვნელოვანი ფინანსური წყაროების არსებობას მოითხოვს.

თანდათანობითი რეფორმირების კლასიკურ მაგალითს წინეთი წარმოადგენს (Nafziger, 1997, pp. 597-607; Cheung, 1998A; Boone, Gomulka, Layard (ed.), 1998, pp. 153-181), სადაც შენარჩუნებული იქნა კომუნისტური

პარტიის რეჟიმი<sup>3</sup>, თუმცა ერთობ “შერბილებული” ფორმით. ჩინური გამოცდილების გავრცელების შესაძლებლობები ძალზედ შეზღუდულია, რაც განპირობებულია თანდათანობითი რეფორმირების გზით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემოთმთქმანილი აუცილებელი პირობების შესრულების გარანტიის არარსებობით. კერძოდ, გრადუალიზმის პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო პირველი აუცილებელი პირობის შეუსრულებლობამ, ასევე ისტორიულ-პოლიტიკურმა მიზეზებმაც ნგრევის პროცესში მყოფ საბჭოთა კავშირსა და უმრავლეს პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ჩინური გამოცდილების გამოყენების სერიოზული განხილვის შესაძლებლობაც კი გამორიცხეს (Евстигнеева, Евстигнеев, 1999, 1999, с. 10; May, 1999, сс. 6-9), თუმცა მსოფლიოში ცნობილი ზოგიერთი ეკონომისტი (რომ არაფერი ვთქვათ რიგითებზე) სწორედ ასეთი უტოპიური მოდელის ანალიზით იქცევს თავს. კერძოდ, მსოფლიო ბანკის ყოფილი უფროსი ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი მიუთითებს, რომ რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში თურმე ჩინური მოდელის გამოყენება შესაძლებელი იყო (Stiglitz, 1999, pp. 1-3, 25; Стиглиц, 1999, сс. 4-6, 29); სამწუხაროა, რომ ამ ავტორიტეტული ეკონომისტის მიერ მხედველობაში საერთოდ არ მიიღება საბჭოთა კავშირის, როგორც იმპერიული სახელმწიფოს შექმნის ისტორია და ის პოლიტიკური, თუ საომარი პროცესები, რომლებიც ამ იმპერიის დაშლას მოჰყვა.

ჩინური რეფორმების ყოფილ საბჭოთა კავშირში გამოყენების პრინციპული შეუძლებლობა იქიდანაც გამომდინარეობს, რომ მიხედვით გორ-

---

<sup>3</sup> საყურადღებოა, რომ კომუნისტური პარტიის მიერ ინიცირებული საბაზრო (თუ ფსევდოსაბაზრო) რეფორმები, მისი (პარტიის) წამყვანი როლის შენარჩუნების მიზნებში იყო პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი რეფორმების დაწყებისათვის არა მარტო ჩინეთში, არამედ ვიეტნამშიც (Данг, 1999; Колодки, 2000, сс. 73-78). საყურადღებოა, რომ ასეთ ვითარებაში რეფორმის დაწყებას წინ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდი უძღვის (Дынкинбаева, 2001, с. 6).

ბანოვი ისეთ პირობებში აღმოჩნდა ჩაყენებული, როცა ნიკიტა ხრუშჩოვისა და ლეონიდ ბრეჟნევის მიზანმიმართული, თუმცა შესაძლოა გაუცნობიერებული “მცდელობით” კომუნისტური პარტიის ლიდერის ძალაუფლება შესუსტებული იყო, რადგანაც ის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანდათან გადანაწილდა პარტიულ-სახელმწიფო იერარქიის სხვადასხვა დონის ბიუროკრატებზე, მაშინ როცა დენ სიაოპინი გამოვიდა რა მათიზმის უკიდურეს გამოვლინებათა წინააღმდეგ, იმავდროულად “კულტურული რევოლუციის” ეპოქაში შექმნილი ძლიერი ძალაუფლებითი ინსტიტუტები გამოიყენა; ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ გორბაჩოვის “პერესტროიკას” წინ აღუდგა ე.წ. “უძრავობის ინერცია”, ხოლო დენ სიაოპინი რეფორმებს იწყებდა “კულტურული რევოლუციის” “ნანგრევებზე” (Осчунд, 1996Б, сс. 28-32). სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ჩინური რეფორმების ყოფილ საბჭოთა კავშირში გატარების თეორიულად საუკეთესო (პრაქტიკულად კი ერთადერთი) შესაძლებლობა პოლიტიკური თვალსაზრისით იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდგომი უახლოესი პერიოდი იყო.

ჩინური რეფორმების წარმატების “საიდუმლოება” აიხსნება, ჯერ ერთი, შიდა ინვესტიციების მაღალი ხვედრითი წილით მთლიან შიდა პროდუქტში (თითქმის 40 პროცენტი), მეორე – საბაზრო მექანიზმების (ეწინარეს ყოვლისა “თავისუფალი ეკონომიკური ზონების” მეშვეობით) თანდათანობითი რეალიზების სამთავრობო გადაწყვეტილებათა სტაბილურობით, მესამე – განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ჩინელის ეროვნულ ფორმებში მენეჯერებად მიწვევით, და მეოთხე – მსხვილ სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულთა შედარებით დაბალი დონით (მხოლოდ 18 პროცენტი) (Thurow, 1996, pp. 53-58). ჩინური რეფორმების წარმატების მოცემული ახსნა კიდევ უფრო ნათელყოფს

იმას, რომ ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანას არ გააჩნდა თანდათანობითი რეფორმირებისათვის საჭირო ობიექტური წინამძღვრები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გრადუალისტური მიდგომის წარმატება წინეთში სრულად განაპირობა ამ ქვეყნის ხსენებული სპეციფიკურმა თავისებურებებმა, რაც სულაც არ ადასტურებს გრადუალიზმის, როგორც ასეთის უპირატესობას (Богомолов, 1998, с. 50). ამავ დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ რეფორმების გაჭიანურების შედეგად წინეთში შესუსტდა საგადასახადო-საბიუჯეტო კონტროლი, რაც უარყოფითად შემოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე (Блейер, 1994).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის იმავე გრადუალისტური მიდგომის არა ნაკლებ მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს თანამედროვე უზბეკეთში მიმდინარე რეფორმები (Хикметов (ред.), 2001). მართალია, წინეთისაგან განსხვავებით ამ ქვეყანაში არ იქნა შენარჩუნებული კომუნისტური რეჟიმი, მაგრამ მის სანაცვლოდ შეიქმნა არანაკლებ ავტორიტარული ტიპის მმართველობის სისტემა, რომელიც ერთის მხრივ, სულაც არ უარყოფს ფსევდოდემოკრატიულ კომუნისტურ მიდგომებს (მაგალითად 1994 წლის საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ პრეზიდენტის მხარდამჭერი ორი პარტიის დაშეება, ან რეფერენდუმის “წარმატებით” ჩატარება საპრეზიდენტო არჩევნების ვადის გადაწვევისათვის და სხვ.) (Apostolou, 1997, p. 101). თანდათანობითი რეფორმირების უზბეკური მოდელის განსაკუთრებულ მიღწევად ეკონომიკის სფეროში აღიქმება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე უფრო დაბალი ტემპით ვარდნა (1990–1995 წლებში მხოლოდ 18 პროცენტით), სამრეწველო წარმოების მოცულობის თითქმის უცვლელ დონეზე შენარჩუნება (Жуков, 1997, с. 48), მნიშვნელოვანი უცხოური ინ-



ექსტიციების მობილიზება (Safaev, 1997, p. 100). აქ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უზბეკეთი არის სტრატეგიული ნეკლეულით (ოქრო, ნავთობი, ბამბა, ხორბალი) ძალზედ მდიდარი ქვეყანა, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორია და რისი აუცილებელი გათვალისწინებაც ერთობ აფერმერთალებს რეფორმების უზბეკური მოდელის “ტრიუმფს” (Kasenov, 1998, pp. 37-40; Trushin Esh., 1998; Trushin Esk., 1998; Rumer, 2000, pp. 36-47; Zhukov, 2000, pp. 160-169). ამ კონტექსტში ყურადსაღებია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, თუ კი რომელიმე ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში ადგილი აქვს ჯანსაღი აზრიდან გადახრას ეს, როგორც წესი, აიხსნება ეროვნული თავისებურებებით, თუმცა მათი შინაარსი, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ახსნილი არც კი იყოს (Сервапи, 1999, сс. 49-50).

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნის ეკონომიკა, როგორც წესი, ზოგადად წარმოების და კერძოდ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, შრომის მწარმოებლურობის, ინვესტიციების, რეალური შემოსავლების დონის მნიშვნელოვან დაცემასთან ასოცირდება (Nove, 1995, pp. 227-230; Hoyв, 1993, с. 22). ამასთან საყურადღებოა, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე მთავრობის ზომის შემცირებასა და წარმოების მოცულობის დაცემას შორის გამოიკვეთა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი (Коллѡдкო, 2000, сс. 252-256). დაზუსტების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის გამოშვების შემცირება უწინარეს ყოვლისა იმ საწარმოებში ხდება, რომლებიც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებამდე არიან შექმნილნი (Konings, Walsh, 1998), შესაბამისად წარმოების შემცირების ტენდენციას საფუძველი, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტურ რეჟიმში ჩაეყარა (Ослунд, 2001). ასევე ითვლება, რომ პოსტკომუნისტური რე-

ფორმების წარმატებით გატარების კვალობაზე წარმოების დაცემა იცე-  
ლება ზრდით (Winkler (moderator), 1992), რის გამოც ამ პროცესს U-მრუ-  
დის ფორმა აქვს (Blanchard, 1997, pp. 1-20). აქ აუცილებლად ხაზი იმ გა-  
რემოებას უნდა გაესვას, რომ ეკონომისტთა შორის აღნიშნული ეკონო-  
მიკური ზრდის გამომწვევი მიზეზების შესახებ ჯერჯერობით ერთიანი  
აზრი მიღწეული არ არის (Tanzi, 1997, pp. 315-316). საკითხის გაშუქების  
სისრულისათვის მოცემულ დებულებასთან ერთად ისიც უნდა ითქვას,  
რომ ჯონ ქენეთ გელბრეთის სამართლიანი შენიშვნის თანახმად ეკო-  
ნომიკური ზრდა თითქმის ყოველთვის იწვევს მისითვე შექმნილ დესტ-  
რუქციულ ტენდენციებს, რის გამოც რეცესია, ან დეპრესია გარდუევალი  
ხდება (Иноземцев, 1998, с. 14).

სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარების დაგროვილი გამო-  
ცდილება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ცხოვრების პირობების  
გაუარესებას ადასტურებს, რაც გამოწვეულია წარმოების დაცემით, ფა-  
სების ზრდით, რეალური შემოსავლების შემცირებით (Standing, 1997, pp.  
230-234); ეს მოვლენა შეისწავლება როგორც “ტრანსფორმაციული ვარ-  
დნა” (Kornai, 1993; Попов, 1998, сс. 48-51), “ტრანსფორმაციული კრიზისი”  
(Schmieding, 1993; Zukowski, 1996; Никипелов, 1996, сс. 189-190; Ольсевич, 1997А, сс. 255-277), “პოსტკომუნისტური დიდი დეპრესია” (“Post-Communist Great Depression”) (Milanovic, 1998, pp. 23-30), “რეფორმების ხაფანგი” (Klaus, 1997, p. 184), რომლის მიზეზიც არაა “შოკური თერაპიის” არსში, არამედ მის უარყოფაში (May, 1999, с.11), ეკონომიკური რეფორმების შე-  
ფერხებაში (Åslund, 2001) და რა თქმა უნდა ძველი სისტემის კრახში (Сакс, 1995, с. 53) ძვეს, რამეთუ ქვეყნები, რომელთა არჩევანიც “შოკური”  
რეფორმები იყო, ახალი ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში პირველები  
შევიდნენ (de Melo, Denizet, Gelb, 1997; Гайдар, 1997, с.11).

აღსანიშნავია, რომ ხსენებული “ტრანსფორმაციული კრიზისი” ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებს რეფორმატორების მიერ პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების შესაძლებლობას, რის შედეგადაც “შოკური” რეფორმების გამტარებელ პოლიტიკოსებს, როგორც წესი, უხდებოთ სამთავრობო პოსტების დატოვება (კლასიკური მაგალითებია გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ლეშეკ ბალცეროვიჩი პოლონეთში და ეგორ გაიდარი რუსეთში) (Crawford, 1995, p. 11).

დღეს უკვე პრაქტიკით დადასტურდა, რომ “შოკური თერაპიის” მეთოდს ყველაზე დიდი წარმატება იმ ქვეყნებში მოაქვს, სადაც რეფორმამდელი (უფრო ზუსტად კი “შოკამდელი”) ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად არადაძაქმაყოფილებელია, რომ მოსახლეობა მზადაა გადაიტანოს ყველაფერი, ოღონდ დაძლეულ იქნას არსებული პრობლემები (Гайдар, 1996, с. 388). ამ შემთხვევაში “შოკის” უარყოფითი ზეგავლენა ისეა მინიმიზებული, ხოლო დადებითი შედეგები კი იმდენად შესამჩნევია, რომ ასეთ პირობებში “შოკური თერაპიის” გამტარებელ რეფორმატორებს რაიმე პოლიტიკური სირთულეები არ ექმნებათ (ამის საუკეთესო მაგალითად 1994-1995 წლების საქართველო უნდა ჩაითვალოს). მაშასადამე, “შოკური თერაპიის” მეთოდის წარმატებით განხორციელება ემყარება პარადოქსს: “რაც უარესია – მით უკეთესია”. აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის, რომელიც არსებობის (ან თითქმის არსებობის) ზღვარზეა მისული, “შოკური თერაპიის” მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა არ უნდა იწვევედეს რაიმე ეჭვს (უფრო ზუსტად კი ალტერნატივაც კი არ აქვს), რადგანაც პრაქტიკულად გარანტირებულია დადებითი შედეგები. ასეთი შემთხვევები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს, როგორც “*მინიმალური შოკი, მაქსიმალური თერაპიით*” (“*Minimal Shock, with Maximum Therapy*”; “*Мини-*

*мальный шок, при максимальной терапии*”), ან “*რბილი დიდი დარტყმა*” (“*Soft Big Bang*”; “*Мягкий большой удар*”, “*Мягкий большой рывок*”, “*Мягкий большой скачок*”).

საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების თანახმად საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლის სიროულეთა “შესამსუბუქებლად” განვითარებული ქვეყნები ეკონომიკურად უნდა დაეხმარონ პოსტკომუნისტურებს, რაც სინამდვილეში შეიძლება რეალური რეფორმების მიუხრუჭი აღმოჩნდეს, რამეთუ დახმარებამ შეიძლება შეასუსტოს აუცილებელ საბაზრო გარდაქმნათა გადაუდებლობა, ხოლო შესაბამისი მთავრობები კი შეეცდებიან რადიკალურ რეფორმათა განხორციელების გადავადებას, დროში გაწელებას (Becker, Becker, 1997, pp. 261-262). ამ უარყოფითი ეფექტის თავიდან აცილების მიზნით ჯეფრი საქსი თვლის, რომ რეფორმატორ მთავრობათა ფინანსური მხარდაჭერა მიბმული უნდა იყოს ეკონომიკის რეფორმირების მკაცრი პირობებისადმი და ამასთანავე მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ამ მხარდაჭერის მოცულობა მოსახლეობის მიმომე სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, რაც თეორიულ ასპექტში მიმზიდველობის მიუხედავად მაინც სადისკუსიო რჩება (Hinshaw (ed.), 1996, pp. 128-130).

პოსტკომუნისტური სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის ამა თუ იმ მოდელის არჩევა იქიდან გამომდინარეობს, თუ რამდენად არის (მაგალითად, Абалкин, 1996), ან არ არის (მაგალითად, Илларионов, 1996) გათვალისწინებული ამ პოლიტიკის შემოქმედთა, მათ მომხრეთა თუ ოპონენტთა მხრიდან “თანდათანობითი რეფორმირების” ზემოთ მოყვანილი აუცილებელი პირობა.

აქვე, ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ “შოკური თერაპიის” მეტოდის ოპონენტები მას, ერთის მხრივ, იქიდან გამომდინარე აკრი-

ტიკებენ, რომ ამ მეთოდის საფუძველად აღებული მონეტარისტული სქემა<sup>4</sup> გამოუსადეგარია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პრობლემების გადასაწყვეტად (მაგალითად, Абалкин, 1996; Федоренко, 2001, сс. 412-413), ხოლო, მეორეს მხრივ, კი იმით, რომ ამ მეთოდს თითქოსდა არაფერი საერთო არ აქვს ნამდვილ მონეტარიზმთან, რომ ის ეყრდნობა “ფალსიფიცირებულ მონეტარიზმს” (Ольсевич, 1997Б); ასევე აღნიშნავენ, რომ “შოკური თერაპიის” მეთოდი ვარგისია ბაზრის “სამკურნალოდ” და გამოუსადეგარია ბაზრის შესაქმნელად (Петраков, 1998, сс. 194-195; Меньшиков, 1996, сс. 113-115). რადგანაც პოსტკომუნისტური რეფორმების მიმართ მონეტარისტული მიდგომა გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (Allen, 1992) და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ საფინანსო-ეკონომიკურ პროგრამებში, ამიტომ “შოკური თერაპიის” ოპონენტები ავტომატურად აკრიტიკებენ ამ პროგრამებსაც (მაგალითად, Абалкин, 2001, сс. 46-50). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიტიკას აქვს “პოსტკომუნისტამდელი”, ანუ “შოკამდელი” (თანამედროვე გაგებით ისტორია) (Nafziger, 1997, pp. 566-574). რადგანაც შეცდომებისაგან არავენაა დაზღვეული, ამრიგად საერთაშორისო სავალუტო ფონდის რჩევებიც ხანდახან კარგია, ხანდახან კი – ცუდი (Hinshaw (ed.), 1996, p. 134), ხოლო მისი მიზნები კი პრაქტიკულად ყველასათვის მისაღები; მაგალითისათვის გამოდგება რუსეთის სამეცნიერო, თუ პოლიტიკურ წრეებში გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ აღიარებული მიზნები არ ეწინააღმდეგება რუსეთის ეკონომიკური უსაფრთხოების ამოცანებს, მაგრამ ფონდის რეკომენ-

<sup>4</sup> უფრო სუსტად საქმე ეკავს არა უბრალოდ მონეტარიზმთან, არამედ ამ უკანასკნელისა და ნეო-კლასიკური თეორიის შერწყმასთან, როცა მეორე წარმოადგენს იდეურ ფუნდამენტს, ხოლო პირველი კი სახელმძღვანელოს მოქმედებისათვის (Меньшиков, 1996, сс. 106-107).

დაციები რუსეთის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით კი ემუქრება მის უსაფრთხოებას (Ведута, 1998, сс. 328, 362).

განსაკუთრებით ყურადსაღებია XX საუკუნის მიწურულს გახმაურებული დაპირისპირება მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის, როცა პირველი მეორის კონცეფტუალურ მიდგომებს არ იზიარებდა, მათ რევიზიას მოითხოვდა და თვისებრივად განსხვავებულ მიდგომებს აყალიბებდა, რომელთა თანახმიდაც “შოკური თერაპიის” მეთოდის გამოყენება ინსტიტუციონალური გარდაქმნების ჩასატარებლად უნდა გამორიცხულიყო (Stiglitz, 1999B; WB, 1999; Стиглиц, 1998, 1999).

#### § II.4. ეკონომიკური აზრის უახლესი მიმართულებების გამოყენება

ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებათა ურთიერთგანპირობებულობა და ურთიერთსეგავლენა (Friedmen, 1982, pp. 7-21) იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სწორად იქნეს გაგებული საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლის პროცესზე პოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელოვანი ზემოქმედების მექანიზმი (Braguinsky, 1998; Cheung, 1998B; Intriligator, 1998), საიდანაც შეიძლება დაეასკენათ, რომ ამ პროცესის შესასწავლად ერთ-ერთ ყველაზე უფრო მისადაგებულ ეკონომიკურ თეორიას “საზოგადოებრივი არჩევანის”<sup>5</sup> თეორია წარმოადგენს (Lavigne, 1995, pp.249-250). მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი

---

<sup>5</sup> ეკონომიკის აზრით ინგლისური “Public Choice”-ის შინაარსობრივი თარგმანი რუსულ ენაზე “политический выбор” არის და არა “общественный выбор”, რაც გამოდის თუთონ ამ ცნობილი თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ბუნებიდან (Автономова, 1996, с. 8).

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ სისტემებთან მიმართებაში ჩაი-სახა (Buchanan, Tullock, 1962, Бьюкенен, Таллок, 1997; Эклунд, 1991, сс. 159-161; Долан, Линдсей, 1992, гл. 15), შემდგომ ეს თეორია ასევე განვი-თარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვისაც გამოიყენება; ეს უკანასკნელი კი შესაბამის სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში კვალიფიცირე-ბულია, როგორც “ახალი პოლიტიკური ეკონომია” (Paulson, 1994, p.97) და ის მეტ-ნაკლებად პოსტკომუნისტური ეკონომიკის რეფორმირების პროცესის შესასწავლადაც გამოდგება (Paulson, 1994, Ch. 18). კერძოდ, ეს თეორია კარგ შედეგებს იძლევა ამ პროცესის დაქარების, თუ დამუ-ხრუბების მექანიზმების ანალიზისათვის (Murrel, 1991; Афронцев, 1996; Хиллман, 1996).

ეკონომიკური რეფორმების კონსტრუქციულ მიმართულებათა შე-მუშავებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ე.წ. ინსტი-ტუციონალური მიდგომა (მაგალითად, Intriligator, Braguinsky, Bowen II, Root, 1999; Parava, Khaduri. 1997; Интрилигатор, 1997; Нестеренко, 1997; Норт, 1997; Олейник, 1996, 1997А, 2000; Тамбовцев, 1997, 1998), რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი – ევოლუციური თეორია (Hamilton, 1991; Nelson, Winter, 1992; Нельсон, Уинтер, 2000) ძალზედ ეფექტიანად გამო-იყენება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პრობლემების შესასწავ-ლად (Мюррел, 1994). ამ თეორიის ძირითად “ინსტრუმენტს” ე.წ. “რუ-ტინის” ცნება წარმოადგენს, რომელიც ფირმის ქცევის ჩამოყალიბებულ იმ წესებსა და ხერხებს გულისხმობს, რომლებიც მისი (ფირმის) მოქ-მედების აღწარმოებას არეგულირებს. ევოლუციური ეკონომიკური თეო-რიის მიმდევრები, გამოდიან რა ორგანიზაციებში პოსტკომუნისტურ რე-ფორმებამდე ჩამოყალიბებული “რუტინის” ანალიზიდან, მიიჩნევენ, რომ საბაზრო ტიპის ახალი ორგანიზაციების ჩამოყალიბება სტიმული-

რებულ უნდა იქნეს, და მათ თანდათანობით გარდაქმნად ქველ ორგანიზაციებთან ერთად უნდა იარსებონ.

აქედან გამომდინარე, განასხვავებენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორ გზას “ზემოდან – ქვემოთ” (“Top – Down”, “Сверху – вниз”) და “ქვემოდან – ზემოთ” (“Bottom – Up”, “Снизу – вверх”): პირველის თანახმად აუცილებელია სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია, მაშინ როცა მეორეს მიხედვით ეკონომიკური სტრუქტურა ახალი საწარმოების შექმნითა და უკვე არსებული კერძო ფირმების განვითარებით უნდა შეიცვალოს (Brezinski, Fritsh, 1996, p. 297), რამაც შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, როცა საწარმოებს დროებით უნარჩუნდებათ “რბილი” საბიუჯეტო შეზღუდვები, უნდა უზრუნველყოს კომუნისტურად ორიენტირებული ეკონომიკიდან საბაზროზე ევოლუციური გადასვლა. აქვე აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის მიერ შემუშავებულ იქნა ახალი კონცეფცია – “ყოვლისმომცველი განვითარების სქემა” (“Comprehencive Development Framework”, “Схема всеобъемлющего развития”) (Wolfenson, 1999A), რომლის თანახმადაც უპირატესობა უნდა მიეცეს მიდგომას “ქვემოდან-ზემოთ” (Stiglitz, 1999, p. 25; Стиглиц, 1999, сс. 29-30). ეს კონცეფცია მიზანშეწონილია თითოეულ პოსტკომუნისტურ ქვეყანის სტრატეგიული განვითარების სახელმწიფოებრივ პროგრამას დაედოს საფუძვლად (იხ., მაგალითად, Koichuev, 2001, pp. 163-194).

ევოლუციურ-ეკონომიკურ თეორიასთან თანახვედრაშია (Гутник, 1996, с. 7, 2002; Гутник (ред.), 2002) სამეურნეო წესრიგის თეორია (Ойкен, 1995, 1996), რომელიც კონკრეტული ქვეყნისა და მოცემული ისტორიული პერიოდის გათვალისწინებით რეფორმირებადი ეკონომიკის სტრუქტურის



ტურის გაგებისათვის საჭირო “გასაღებს” იძლევა (Автономов (ред.), 1999).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ არც თუ ისე იშვიათად ეკონომიკის პოსტკომუნისტური განვითარებისადმი მისი ევოლუციური მიდგომის გაიგივება ხდება თანდათანობითი რეფორმირების მიდგომასთან (ანუ გრადუალიზმთან)<sup>6</sup> (Lavigne, 1995, p. 250). ამ დროს უყურადღებოთ რჩება ის ფაქტი, რომ “შოკური თერაპიის” მეთოდსაც არ შეუძლია “საეტიოს” პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ერთჯერადი აქტის ჩარჩოში. ამას შემდეგი მარტივი ახსნა აქვს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოითხოვს შემდეგი ექვსი ტიპის ღონისძიებათა კომპლექსის გატარებას (Lipton, Sachs, 1990)<sup>7</sup>:

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
2. ფასების ლიბერალიზაცია;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმდინარე ოპერაციების მიხედვით კონვერტირების უზრუნველყოფა;
4. საწარმოთა რეფორმა, უწინარეს ყოვლისა, პრივატიზაციის გზით;
5. სოციალური დაცვის ქსელის შექმნა;
6. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი სტრუქტურის (და მასში საბაზრო ფინანსური სისტემის) ფორმირება.

---

<sup>6</sup> ეს, სამწუხაროდ, ქართველი ეკონომისტებისთვისაცაა დამახასიათებელი (იხ., მაგალითად, ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაიძე, 2001, გვ. 96, 132; ბერიძე, 1997; კანდელაკი, 2001, გვ. 119-120).

<sup>7</sup> მოცემული ექვსი ტიპის ღონისძიებათა კომპლექსი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს განსხვავებული დაჯგუფებითაც; მაგალითად მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შეიძლება მონეტარულ და ფისკალურ ნაწილებად დაიყოს, ხოლო საწარმოთა რეფორმა და ინსტიტუციონალური სტრუქტურის ფორმირება კი ერთ ჯგუფში იქნეს განხილული (Wolf, 1994, pp. 170-176).

ამ ექვსი ღორისძიებიდან სწრაფი ტემპებით მხოლოდ პირველი სამის გატარებაა შესაძლებელი (რაც, ერთის მხრივ, “შოკური თერაპიის” მეთოდის ძირითად მომენტს, ხოლო მეორეს კი – ე.წ. “ვაშინგტონის კონსენსუსის კონცეფციის” არსს წარმოადგენს (Стиглиц, 1998)), მაშინ როცა დანარჩენი სამის რეალიზება ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვს დროს (Фишер, Сахан, 1997, с. 20), და თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანს, რადგანაც ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი სტრუქტურების შექმნა, მათი განსაკუთრებული სირთულის გამო (Boeltke, 1998) ათწლეულებსაც კი საჭიროებს (БН, 1996, сс. 11-12). სწორედ ეს დებულება არის “შოკური თერაპიის” მომხრეთა და გრადუალისტთა შორის, ერთ დროს ძალზედ მწვავე დისკუსიის ერთობ შერბილების საფუძველი (Попов, 2000, с. 4).

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ მიუხედავად იმისა, რომ “შოკური თერაპიის” მიდგომით შეუძლებელია საბაზრო ინსტიტუტების ფორმირება (Stiglitz, 1999B; Стиглиц, 1999; Колодко, 1999), თუნდაც თეორიულ დონეზე იმის აღიარება, რომ პოსტკომუნისტური რეფორმები უნდა დაწყებულიყო ინსტიტუციონალური გარდაქმნებით და მხოლოდ მათი დამთავრების კვალობაზე უნდა განხორციელებულიყო ლიბერალიზაციისა და სტაბილიზაციის პროგრამები, დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო საბაზრო სიგნალების ფორმირებაზე უარის თქმას, ეკონომიკის წარმართვის კომუნისტური მექანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილის “გაყინვას” ნიშნავს. მაშასადამე, იმის გამართლება, რომ პოსტკომუნისტური რეფორმები მხოლოდ და მხოლოდ ინსტიტუციონალური გარდაქმნებით უნდა იქნას დაწყებული, ქვეყანას საბაზრო ეკონომიკის, საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის დემოკრატიული საწყისიდან დიდი ხნით დააშორებს.

იმის გამო, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი თავისი ბუნებით საკმაოდ ხანგრძლივია, ამიტომ ბუნებრივად ისმება კითხვა, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს რეფორმა “შოკური თერაპიის” შემდეგ, რა ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული, რათა ამ უკანასკნელის საშუალებით მიღებული შედეგები განმტკიცებულ და განვითარებულ იქნეს.

ამ კითხვაზე პასუხის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს ეკონომიკური რეფორმის “სოციალური სტიმულირების” (“Social Promotion”, “Социальное стимулирование”) მეთოდი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც უნდა შეიქმნეს ისეთი პირობები, რომლებიც მეწარმეთა მნიშვნელოვანი ფენის ჩამოყალიბების საფუძველზე საზოგადოების სტრატეგიციზირებას დააჩქარებენ, ხოლო შეჭირვებული მოსახლეობის მხრიდან რეფორმების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად მიზანმიმართული დახმარების სოციალური პოლიტიკა უნდა გატარდეს (პაპავა, 1995ბ; Papava, 1996A, pp. 260-267; 1996B; 1999, pp. 281-291). “სოციალური სტიმულირების” მეთოდის თეორიულ საფუძველს მიწოდებისა და მოთხოვნის სტიმულირების საყოველთაოდ ცნობილი მექანიზმების შერწყმა, ანუ “ლაფერ-ქეინზიანური სინთეზი” წარმოადგენს (Papava, 1996A, pp. 263-264, 266-267; 1999, pp. 287-291).

შეჯამების სახით აუცილებელია აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სპეციალური ეკონომიკური თეორია ჯერ-ჯერობით არ არსებობს, ის მხოლოდ შექმნის პროცესშია (პაპავა, 1999ა; Папавა, 2000). მიუხედავად ამისა, ცნობილი ეკონომიკური თეორიები, მათი ცალკეული ფრაგმენტების სინთეზი კომუნისტურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის კრახის სრულყოფილი ანალიზისა (მაგალითად, Rosser, Rosser, 1997) და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის

ეკონომიკური პოლიტიკის ქმედითი მექანიზმების (მაგალითად, Suñjan, Lah, 1997) გამოყენებისათვის მეტ-ნაკლები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის ხსენებული ორი უმთავრესი შემადგენელი ნაწილის – მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუტების ფორმირების არსის გარკვევის მიზნით თითოეული მათგანი ცალ-ცალკე განვიხილოთ.

# თავი III. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამები

დამეხმარე ეს მე თვითონ გაეაკეთო.

*მ. მონტესორი*

გამოცდილება – ის სახელწოდება, რომელსაც  
თითოეული თავის შეცდომას არქმევს.

*ოსკარ უაილდი*

მხოლოდ ბრყევი და მიცვალებული  
არ იცვლის აზრს.

*ჯეიმს რასელ ლოუელი*

## § III.1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დამყარებაში

იმ დროისათვის, როცა საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა, მსოფლიოში ლეგალური გზით საერთაშორისო საფინანსო მხარდაჭერის მიღების ინსტიტუტები და მექანიზმები კარგა ხნის ჩამოყალიბებული იყო (მაგალითად, Кругман, Обстфельд, 1997, сс. 539-542; Смыслов, 1993, сс. 4-5; Тодаро, 1997, сс. 442-447; Энг, Лис, Мауер, 1998, сс. 35-38; Круглов (ред.), 1998, сс. 22-25, 394-406).

მეორე მსოფლიო ომის დროს, კერძოდ 1944 წლის 1-22 ივლისს ბრეტონ-უუდსში (შტატი ნიუ-ჰემპშირი, აშშ) გაერო-ს ეგიდით საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც მსოფლიოს 44 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობდა. კონფერენციამ მიიღო

“დასკენითი აქტი”, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შესახებ ე.წ. “შეთანხმების მუხლებს” (“Articles of Agreement”) მოიცავდა. ეს “მუხლები” ასრულებენ ამ ორგანიზაციების წესდებათა როლს.

1945 წლის 27 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც მსოფლიოს 29 სახელმწიფოს მიერ მოხდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წესდებათა რატიფიკაცია ისინი ოფიციალურად ამოქმედდნენ.

1946 წლის მარტში, საყანაში (აშშ) საერთაშორისო სავალუტო ფონდის სადამფუძნებლო სესიაზე მისი საქმიანობის დამარეგულირებელი დამატებითი დადგენილებები იქნა მიღებული. 1946 წლის შემოდგომისათვის პრაქტიკულად დასრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფორმირება და მან სავალუტო ოპერაციები 1947 წლის 1 მარტიდან დაიწყო.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა თავისი საქმიანობა 1946 წლის 25 ივნისს დაიწყო. მას და მასთან შექმნილ საერთაშორისო განვითარების ასოციაციას მსოფლიო ბანკი დაერქვა. მასში ასევე შევიდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

ყოფილი საბჭოთა კავშირი ამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წევრი არ იყო.

✓ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოწოდებულია მსოფლიოში სავალუტო-საფინანსო სტაბილურობის დასამყარებლად. ის წევრი სახელმწიფოების მხრიდან მაკროეკონომიკურ სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით მკაცრ საფინანსო დისციპლინასა და სტაბილური სავალუტო კურსების უზრუნველყოფას მოითხოვს. ეს უკანასკნელი კი ამ ქვეყნების მხრიდან ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატა-

რებით მიიღწევა, რომელიც ფასების დონის სტაბილურობასა და საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას უზრუნველყოფს (თუ კი ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყანაში საკმაოდ მაღალია ინფლაციის დონე, მაშინ იგი ექსპორტის შემცირებას და იმპორტის ზრდას გამოიწვევს, რაც საერთაშორისო სავალუტო რეზერვის შემცირებასა და სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით ეროვნული ვალუტის გაუფასურებას განაპირობებს).

თუკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზანია ქვეყნებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და შენარჩუნებაში დახმარება აღმოუჩინოს, მსოფლიო ბანკი მოწოდებულია მის წევრ-ქვეყნებს ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაში, ცალკეული დარგების განვითარებაში შეუწყოს ხელი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრი-ქვეყნები შეიძლება სამ ჯგუფად დავეოთ: “დონორები”, “რეციპიენტები” და “ნეიტრალები”.

“დონორები” თავისი შენატანებით ამ ორგანიზაციების საფინანსო წყაროებს ქმნიან; “რეციპიენტები” ამ ორგანიზაციებიდან რეფორმების ნასატარებლად საფინანსო დახმარებას იღებენ; “ნეიტრალებს” კი არ სჭირდებათ (ან უკვე აღარ სჭირდებათ) დახმარება და შესაძლებლობათა სიმწირის, თუ სხვა მიზეზთა გამო არც თავად მონაწილეობენ ამ ორგანიზაციების საფინანსო წყაროების შექმნაში.

“რეციპიენტი” წევრი-ქვეყნისათვის საფინანსო მხარდაჭერის მისაღებად საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამით მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაა აუცილებელი. ამისათვის კი ამ ქვეყნის ცენტრალური ბანკი საერთაშორისო სავალუტო

ფონდიდან შეღავათიან, მრავალწლიან კრედიტს იღებს, რაც ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვის ზრდას უზრუნველყოფს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი მის “რეციპიენტ” წევრ-ქვეყანას “მწვანე შუქს” აუნთებს, მსოფლიო ბანკი მასთან შეთანხმებული ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმების პროგრამის რეალიზებისათვის ამ ქვეყნის მთავრობას ასევე შეღავათიან, მრავალწლიან კრედიტს აძლევს. მსოფლიოში დამკვიდრებული საფინანსო წესრიგის თანახმად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დადებითი პოზიცია აუცილებელია სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდანაც ქვეყნის მთავრობისათვის საფინანსო მხარდაჭერის (მაგალითად, ევროკავშირის შეღავათიანი კრედიტები, ან გრანტები) მისაღებად. ამ მიდგომას იზიარებენ “რეციპიენტი” ქვეყნის უშუალო “დონორი” სახელმწიფოებიც (მაგალითად, ნიდერლანდები საქართველოსათვის) (Lavigne, 1995, p. 240).

თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჩათვლის, რომ “რეციპიენტ” წევრ-ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობა დარღვეულია, იგი ამის გამო საფინანსო დახმარებას შეაჩერებს; ამ დროს მსოფლიო ბანკი მასთან შეთანხმებულ პროგრამას შესრულებულადაც რომ თვლიდეს, იგი მაინც შეაჩერებს ამ ქვეყნისათვის საფინანსო დახმარებას იმ დრომდე, სანამ საერთაშორისო სავალუტო ფონდი გადაწყვეტილებას არ მიიღებს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად უკვე აღდგენილია მაკროეკონომიკური სტაბილურობა. ამ პრინციპს იზიარებს როგორც ევროკავშირი, ასევე უშუალოდ “დონორი” სახელმწიფოებიც.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი მსოფლიოში სავალუტო-საფინანსო სტაბილურობის დამყარებასა



და შენარსუნებაში განუზომლად დიდია, ამ ინსტიტუტის საქმიანობის მიმართ კრიტიკული შენიშვნები სულ უფრო ხშირად გამოითქმება.

## § III.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკული ანალიზი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიტიკა სულაც არ არის ახალი მოვლენა და ამის დასტურად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ ეს კრიტიკა ეკონომიკური განვითარების ზოგიერთ თანამედროვე სახელმძღვანელოშიც კია ასახული (მაგალითად, Nafziger, 1997, pp. 566-574; Тодаро, 1997, сс. 431-435). როგორც რუსი ეკონომისტი, პროფესორი იური შიშკოვი აღნიშნავს, დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდს ეროვნულ მთავრობათათვის მცდარი რეკომენდაციების მიცემისა და გაწეული საფინანსო დახმარებისათვის მხოლოდ ზარმაცი არ ღიანძღავს (Шишков, 1999, с. 7).

ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორი ჯერალდ ჰელეინერი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო ეკონომიკის ძალზედ სერიოზულ პრობლემას საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტებისადმი – გატტ-ის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი ნდობის კრიზისი წარმოადგენს (Helleiner, 1990, p. 390). ათი წლის შემდეგ რუსი ეკონომისტი, პროფესორი ალექსანდრე ბიკოვი აღნიშნავს, რომ ხსენებული საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გატარებული გლობალიზაციის პოლიტიკის შედეგად უფრო მდიდარმა ქვეყნებმა განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების დანაკარგების ხარჯზე მნიშვნელოვანი

სასიკეთო შედეგი მიიღეს, რაზეც უკანასკნელ წლებში გახშირებული საფინანსო კრიზისები მეტყველებენ (Быков, 2000). აქვე გასათვალისწინებელია, რომ ბერკლიში კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის მანუელ კასტელის შეფასებით გლობალიზაციის პროცესის ინიცირების ერთ-ერთი მექანიზმი სწორედ აღნიშნული საერთაშორისო ინსტიტუტების ქმედება გახლავთ (Кастельс, 2000, сс. 56-57). თუმცა, შეუძლებელია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ი. ს. კოროლიოვს შეუძლებელია არ დაეთანხმო იმაში, რომ გლობალიზაციის ობიექტური პროცესის წინააღმდეგ ბრძოლა კონსტრუქციული პრინციპულად ვერ იქნება (Обиленский, Поспелов, 2001, с. 8).

ვაშინგტონში ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი პოკარდ ეოთსიელი თვლის, რომ მსოფლიოში ახალი სავაჭრო წესრიგის ფორმირების პირობებში “ვაშინგტონის კონსენსუსის”, ანუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონცეპტუალურ მიდგომათა როლი თანდათან მცირდება (Watchel, 2000). აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორის კლოდ პოტელის შენიშვნის თანახმად ამ დოქტრინის ფორმალური გადმოცემის ნიმუშიც კი არ არსებობს (Потель, 2001, с. 82).

თანამედროვეობის ერთ-ერთი წამყვანი ეკონომისტი, მსოფლიო ბანკის ყოფილი უფროსი ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი წერს, რომ ბრეტონ-ვუდის ინსტიტუტების (საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის) ორმოცდაათი წლის იუბილეზე სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოსაზრება, რომ “ორმოცდაათი წელი საკმარისია”, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეული ჯგუფების შეფასებით ამ ინსტიტუტების მიერ უფრო მეტი სახიანრ საქმე გაკეთდა, ვიდრე კარგი (Stiglitz, 1999A, p. F577).

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობისადმი გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებში, ეს უკანასკნელი პირობითად ოთხ ჯგუფად დავყოთ:

- პირველი ჯგუფი რადიკალური და არაკონსტრუქციული კრიტიკით ხასიათდება, როცა ობიექტური განხილვის ნაცვლად ფონდის მისამართით აშკარად შეურაცხმყოფელი შეფასებები გამოითქმება;
- მეორე ჯგუფი თავისუფალი მეცნიერების და დამოუკიდებელი ექსპერტების შეხედულებებს აერთიანებს, სადაც კრიტიკა ეკონომიკური თეორიის პრინციპებისა და პრაქტიკული გამოცდილების განსოგადებას ემყარება;
- მესამე ჯგუფში “დონორ” სახელმწიფოთა, მათი გაერთიანებების, ან ცალკეულ მთავრობათა და მათი წევრების კონსტრუქციული და პრაქტიკულად რეალიზებადი წინადადებები შედის, რომელთა მიზანია მსოფლიო საფინანსო სისტემის შემდგომი სრულყოფა;
- მეოთხე ჯგუფი კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ეფექტიანობის ამალღების შესახებ, თვით ფონდის, აგრეთვე მსოფლიო ბანკის წამყვანი ექსპერტების შეხედულებებს მოიცავს.

როგორც აღინიშნა, კრიტიკულ მიდგომათა პირველ ჯგუფში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის მიმართ არც თუ იშვიათად აგრესიულად უარყოფითი დამოკიდებულება გამოითქმება. მაგალითად, “მესამე სამყაროს” ქვეყნებთან მიმართებაში შექმნილია ე.წ. “დამოკიდებლობის თეორია”, რომლის თანახმადაც ამ თეორიის ერთ-ერთი აქტიური მიმდევრის ჩერილ პეიერის ტერმინოლოგიით საერთაშორისო

სავალუტო ფონდის პოლიტიკა განიხილება, როგორც ღარიბი ქვეყნების-სადმი “იმპერიალისტური საფინანსო დისციპლინის” თავსმოხვევის, როგორც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ინტერესების რეალისაციის ინსტრუმენტი, რომელიც “მესამე სამყაროს” ქვეყნებში სიღარიბისა და მონობის, “საერთაშორისო ფეოდალური დამოკიდებულების” შენარჩუნებისთვისაა გამიზნული (მაგალითად, Тодаро, 1997, с. 432). მოსკოველი აკადემიკოსი ნ. სიმონია თვლის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკამ მისი მიმდევარი ქვეყნების მარგინალიზაცია მოახდინა, ანუ ისინი მსოფლიოს ეკონომიკის გზისპირაზე დარჩნენ და რომ ეს ქვეყნები ფონდიდან მისაღები საფინანსო მხარდაჭერის სახით “წამალზე არიან დასმულნი” (Симония, 1999, с. 16). აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ მისი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საქმიანობის კრიტიკის მიზნით პრაქტიკულად იგივე ფრაზეოლოგია გამოიყენება აშკარად უარყოფითი განწყობის მქონე ექსპერტების მხრიდანაც. ასეთი “ნათლობის” ნიმუშებია: “საფინანსო კოლონიალიზმი”, “საფინანსო იმპერიალიზმი” (Жириновский, Юровицкий, 1998, с. 30), “კოლონიზაცია და გენოციდი” (ხარჩილავა (რედ.), 1998, გვ. 13), “ნეოკოლონიალიზმი” (Симония, 1999, с. 15), “სპეკულაციური საფინანსო ბუშტი” (Ларуш, 1995А, с. 3), “საფინანსო მაფია” (Ларуш, 1995Б, с. 3), “საინფორმაციო-ფსიქოლოგიური შეტევა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდასაჭერად” (Лисичкин, Шелепин, 2001, с. 206) და სხვ. ცალკე უნდა გამოიყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების თეორიული საფუძვლებისადმი და ფონდში მომუშავე სპეციალისტების მიმართ გამოთქმული დაცინებითი ხასიათის შეფასებებიც, მაგალითად, ისეთი როგორიცაა “კარიკატურული მონეტარიზმი” (Ольсевич, 1997Б, с.

37) და “ფლეიბოები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან” (Ольсевич, 2000, с. 79).

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკოსებს შორის არაერთი რუსი ექსპერტის მიერ გამოთქმული განსაკუთრებული შეურაცხმყოფელი ტონის ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს რუსეთის საგადასახადო სამსახურის მრჩეველის ალექსანდრე პოტიომკინის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც რუსეთში წარმოეშის დაცემა, სამეურნეო კავშირების დესორგანიზაცია და მონეტარული სისტემის მოშლა (რაღა დარსა? – ე.პ.) სწორედ ფონდს ბრალდება (Потемкин, 2000, сс. 39-50).

ისეთი შეხედულებებიც გამოითქმება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრიზისში (Сорос, 1999, с. 163), ნგრევის სისტემურ კრიზისში იმყოფება (Ларуш, 1996, с. 3), რომ მისი პროგრამები ვეღარ მუშაობს, ხოლო თავად ფონდს საშუალებები აღარაა აქვს (Сорос, 1999, с. 187), რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი განწირულია დასაღუპად და თანაც ახლო მომავალში (Ларуш, 1996, с. 4), და ეს მოხდება ან ორგანიზებული წესით, როცა მთავრობები მიიღებენ გადაწყვეტილებას შეცვალონ საერთაშორისო საბანკო და საფინანსო სისტემა, ან ჯაჭვური რეაქციის გზით გამოწვეული შიგნით მიმართული თერმობირთვული აფეთქების მსგავსად (Ларуш, 1995А, с. 3).

როგორც აშშ-ის სენატის ცნობილი მკვლევარი რობერტ ქათნერი სამართლიანად მიუთითებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების თეორიული საფუძვლების ყველაზე უფრო დიდი კრიტიკოსები მარქსისტები, ნაციონალისტები და სოციალ-დემოკრატები არიან (Kuttner, 1991, p. 255).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის მარქსისტული კრიტიკის თეალსაზირო მაგალითოს ამერიკელი მარქსისტი ეკონომისტის ეიქტორ პერლოს მიდგომა წარმოადგენს, რომელიც ეყრდნობა რა ლუნიჩის ნაშრომს “იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია” ასკუნის, რომ ფონდი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სუპერკარტელი, რომელიც სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის მოქმედების მექანიზმია (Перло, 1975, сс. 229-232).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის შესახებ მეცნიერ-ეკონომისტების და დამოუკიდებელი ექსპერტების მხრიდან ზომიერი კრიტიკული შეფასებები გამოითქმება, რომლებიც თავისი ბუნებით, როგორც წესი, კონსტრუქციულ ხასიათს ატარებენ. ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითოს წარმოადგენს ნილეს უნივერსიტეტის პროფესორის ხოსე დე გრიგორიოს, ბერკლიში კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ბარი ეიხენგრინის, ჰიტოციბაშის უნივერსიტეტის პროფესორის ტაკატოში იტოსა და უენეველი პროფესორის წარლეს ვიპლოშის ერთობლივი გამოკვლევა საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლისა და მოქმედების პრინციპების ცვლილების შესახებ უკანასკნელ წლებში მსოფლიოში განვითარებული საფინანსო-ეკონომიკური პროცესების, კერძოდ, კრიზისის თავიდან აცილებისა და თავად კრიზისის მართვის პრობლემის ფონზე (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999). არნაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკის დარგში 2001 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, პროფესორ ჯოზეფ სტიგლიცისა (Stiglitz, 2002) და მშვიდობისათვის 1973 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის მხრიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდის მწვავე და იმავდროულად ძალზედ კონსტრუქციული კრიტიკა (Kissinger, 2002, pp. 218-227).

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი მიქაელ პ. ტოდარო აღნიშნავს, რომ “მესამე სამყაროს” ქვეყნებთან მიმართებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საფინანსო პოლიტიკის მოძველებულ, ორთოდოქსულ ღონისძიებებს იყენებს (Тодаро, 1997, сс. 432-433). როგორც რობერტ ქათნერი მიუთითებს აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ ვრცელი კრიტიკული ხასიათის ლიტერატურა არსებობს, რის საპირისპიროდ საყურადღებოა თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ დაწერილი არაერთი გამოკვლევა, რომელშიც დადებითად არის შეფასებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამები “მესამე სამყაროს” ქვეყნებში (Kuttner, 1991, p. 254). კრიტიკის მთავარი არგუმენტი კი ის არის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ “მესამე სამყაროს” ქვეყნებში გატარებული პროგრამების არსებით ნაკლად მინიჭებულია საგადასახდელო ბალანსის გასაუმჯობესებლად, ექსპორტის სტიმულირებისათვის ეროვნული ვალუტის დეველვაციის გამოყენება: მართალია ამ ღონისძიებებს ექსპორტი უნდა გაეიფებიან, მაგრამ ამ ქვეყნების ეკონომიკის სუსტი განვითარების გამო ძირითადი საექსპორტო პროდუქცია (მაგალითად, ყავა) არაელასტიურია, რამაც ექსპორტიდან შემოსავალი პრაქტიკულად არ გაზარდა, იმპორტი (კონკრეტულად ტექნოლოგიების იმპორტი) კი გააძვირა, რამაც თავის მხრივ შეაფერხა ამ ქვეყნებში მრეწველობის განვითარება (Kuttner, 1991, pp. 254-255). ბერკლიში კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეფრი ფრანკელი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს დეველვაციაზე დაფუძნებული პროგრამის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე ორიენტირებული პროგრამით ჩანაცვლება მოუხდა (Frankel, 1996, p. 44).

რუსი პროფესორი ანდრეი ანიკინი სამართლიანად შენიშნავს, რომ ზოგიერთი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამსახურებად საფინან-

სო კრიზისების დაძლევას მიიხნევეს, მაშინ როცა არაერთი ცნობილი ეკონომისტი, თუ პოლიტიკოსი ფონდს სწორედ ამ კრიზისების გამწვანებაში ადანაშაულებს (Аникин, 2000, с. 240).

ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის 1999 წლის ლაურეატს, ევროს ერთ-ერთ “მამას”, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს რობერტ მანდელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის არაეფექტიანი რჩევის მაგალითად არგენტინის სავალუტო კრიზისის შემთხვევა მოჰყავს, როცა ფონდის ძალდატანებით დამატებული ღირებულების გადასახადის 18 პროცენტიანი განაკვეთი გაიზარდა და 21 პროცენტი გახდა, რამაც საბოლოო ჯამში “წრდილოვანი ეკონომიკის” მასშტაბების გაფართოებას შეუწყო ხელი (Zak (ed.), 1999, p. 109).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის ჯემს ბოუტონის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ფონდის რესურსების ძირითადი დანიშნულება საფინანსო კრიზისების თავიდან აცილებაა, სინამდვილეში ის (ფონდი) ქვეყნებს ამ კრიზისების დაწყების შემდეგ ემსახურება (Boughton, 2000).

“აღმოსავლეთ-დასავლეთის” ცენტრის (კონოლუელუ, აშშ) ეკონომიკურ გამოკვლევათა დირექტორი, პროფესორი მანუელ ფლორეს მონტესი და მისი რუსი კოლეგა ვლადიმერ პოპოვი აღნიშნავენ, რომ მე-XX საუკუნის ბოლოს აზიაში გაჩაღებული და მსოფლიოს მასშტაბით გაყვრცელებული საფინანსო კრიზისის დასაძლევად საერთაშორისო სავალუტო ფონდი შესაბამისი ქვეყნების მთავრობებს გადამრჩენი ოპერაციების მოძველებულ სქემებს სთავაზობდა (Монтеc, Попов, 1999, с. 126). მსოფლიოში ცნობილი ფინანსისტის ჯორჯ სოროსის შეფასებით, მსოფლიო საფინანსო კრიზისის აზიური ტალღის ნასაქრობად საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოუმზადებელი აღმოჩნდა, რადგანაც ამ შემ-



ოხვევაში ისეთ ფენომენტან მოუწია დაპირისპირება, რომლის განმაც-  
დილებაც მას არ გაანდა; კრიზისი ჩაისახა კერძო სექტორში, როცა  
სახელმწიფო სექტორი შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო, ამიტომ  
საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრადიციულმა მიდგომამ ვალუტის  
სტაბილურობის მისაღწევად საპროცენტო განაკვეთების აწვეითა და  
სახელმწიფო ხარჯების შემცირებით არ გაამართლა (Copoc, 1999, cc.  
160-163, 193-200); ეს მოსაზრება დღეს უკვე არავითარ კამათს არ იწვევს  
(Зевин, 2002, с. 43). აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ  
არაერთი მკვლევარის აზრით საერთაშორისო სავალუტო ფონდის არა-  
ადეკვატური რეკომენდაციების გამო მოცემული რეგიონის ქვეყნებში ჩა-  
მოყალიბებული საფინანსო კრიზისი სრულმასშტაბიან ეკონომიკურ  
კრიზისში გადაიზარდა (Трушин, 2001, с. 72). მასაჩუსეტის ტექნოლოგიუ-  
რი ინსტიტუტის პროფესორი პაულ კრუგმანი თვლის, რომ ამ ქვეყნების  
მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა საერთაშორისო სავალუტო  
ფონდის მხრიდან იყო ნაკარნახევი (რობერტ ქათნერი ხაზს უსვამს,  
რომ ასეთი ნაკარნახევი ეკონომიკური პროგრამები, როგორც წესი, მხო-  
ლოდ ღარიბ ქვეყნებს აქვთ (Kuttner, 1991, p.255)) და მიუხედავად იმისა,  
რომ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობაში ბევრი უმაღლესი დონის  
ეკონომისტი, ისინი ხსენებული ქვეყნებისთვის მიცემულ რჩევებს არა-  
სოდეს არ გამოიყენებდნენ საკუთარ ქვეყნებთან, სამშობლოსთან მიმარ-  
თებაში (Krugman, 1999, pp. 103-104). საბჭოთა კავშირიდან აშშ-ში ემიგრირებული,  
ცნობილი რუსი ეკონომისტი იგორ ბირმანი კი საკითხს,  
ჩვენი აზრით, აბსურდის დონემდე ამწვავებს, რამეთუ ხაზს უსვამს, რომ  
საზოგადოდ ეკონომისტები დასაყვანიდან იმიტომ წამოვიდნენ რჩევ-  
ების მისაცემად, რომ მათ საკუთარ სამშობლოში დიდად არც კი უგდებ-  
ენ ყურს (Бирман, 1996, с. 522).

ჯოსეფ სტიგლიცი აფიქსირებს, რომ კრიზისულ მდგომარეობაში მეოფე ქვეყნებს უფრო მეტი საფინანსო მხარდაჭერა ესაჭიროება, ვიდრე ამის შესაძლებლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდს გააჩნია (Stiglitz, 1999A, p. F594).

პაულ კრუგმანის შეფასებით 1995 წელს მექსიკაში განვითარებულ კრიზისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან საფინანსო მხარდაჭერამ დაიგვიანა (რადგანაც გაჭიანურდა საჭირო თანხის მობილიზება), ხოლო შესაბამისი ანტიკრიზისული პროგრამა ზედაპირული იყო და კრიზისის ბუნებას არ ითვალისწინებდა (Krugman, 1999, p. 59); აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყოველკვირეული “შპიგულის” რედაქტორები ჰანს-პეტერ მარტინი და ჰარალდ შუმანი იტყობინებიან ფონდის მიერ გამოყოფილი თანხები აშკარად არასაკმარისი იყო (Мартин, Шуман, 2001, сс. 68-74).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან დაგვიანებულ მოქმედებაზე, მის მოუქნელობაზე მიუთითებენ სხვა ავტორებიც. კერძოდ, მანუელ ფლორეს მონტესი და ვლადიმერ პოპოვი აღნიშნავენ, რომ 90-იანი წლების ბოლოს აზიაში დაწყებული საფინანსო კრიზისის დასაძლევად საერთაშორისო სავალუტო ფონდს სწრაფი რეაგირების პროცედურები არ აღმოაჩნდა, რომ მას მისადმი არსებული დავალიანების რესტრუქტურისაციის პროცედურები არ გააჩნია, რის გამოც ახალი კრედიტების გამოყოფა და კრიზისის შემსუბუქება შეუძლებელი გახდა (Монтеc, Попов, 1999, с. 111); ხსენებული ავტორები უფრო შორსაც მიდიან, როცა აღნიშნავენ, რომ მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების აშკარა კორუმპირებულობისა (Монтеc, Попов, 1999, с. 64), საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აშშ-ის ადმინისტრაციის ხელშეწყობით რუსეთს 1998 წლის შემოდგომაზე ვალუტის დეველუაციის შესაჩერებლად ოპე-

რატიულად გამოუყო კრედიტი, მაშინ როცა ოპერატიული მოქმედება სწორედ ინდონეზიასთან მიმართებაში იყო საჭირო, რაც ფონდს არ განუხორციელებია (Монтеc, Попов, 1999, с. 108).

განსხვავებულია შეხედულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლის შესახებაც. მაგალითად, პაულ კრუგმანი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა მწვავე კრიტიკას იმსახურებს კონსერვატორების მხრიდან, რომლებიც უარყოფითად აფასებენ ბაზრის ფუნქციონირებისადმი სახელმწიფოს ჩარევის იდეას და კონკრეტულად, ფონდს განიხილავენ, როგორც მსოფლიო მთავრობის საწყის ფორმას, რომელიც მსოფლიო ბაზარში ერევა (Krugman, 1999, p. 56).

რობერტ კატნერი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (ისევე, როგორც მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის) უკან აშშ (Kuttner, 1999, p.14-15, 259; Шишков, 1999, с. 7), ხოლო უფრო ზუსტად აშშ-ის ხაზინა დგას (Kuttner, 1991, p. 40; Krugman, 1999, p. 59,103; Серварн, 1999, с.50), და მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ეკონომიკა “თავისუფალი ბაზრის” – “Laissez-faire”-ს პრინციპებსა აგებული, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გატარებული პოლიტიკა გლობალურ მასშტაბში ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება (Kuttner, 1991, pp. 258-259).

ორეკონის უნივერსიტეტის პროფესორი რაიმონდ მიქესელი აღნიშნავს, რომ ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები მათი ფუძემდებელთა ნაწილობრივი მიხედვით არ ფუნქციონირებენ (Mikesell, 2000), რაც ანდრეი ანიკინის სამართლიანი შენიშვნის თანახმად უშუალოდ ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზეც კი დაფიქსირდა, როცა პროფესორ ჯონ მეინარდ ქინსს დიდი მოწიწებით მოუსმინეს, მაგრამ კონფერენციამ არა მის იდეებს, არამედ ამერიკულ პროექტს დაუჭირა მხარი (Аникин, 2000, с. 246).

რობერტ ქათნერი სინანულით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სა-  
ვალუტო ფონდის ტიპის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის შექ-  
მნის ერთ-ერთი ინიციატორის, ჯონ მეინარდ კეინზის იდეებისაგან გან-  
სხვავებით ფონდი სულ სხვა მიმართულებით განვითარდა (Kuttner, 1991,  
p. 60); კერძოდ, კეინზის შეხედულებით უნდა დაფუძნებულიყო ზეეროუ-  
ნული ინსტიტუტი – მსოფლიოს ცენტრალური ბანკის სახით, რომელსაც  
მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სავალუტო რეზერვს შექმ-  
ნიდა, რაც თავის მხრივ ცალკეული სახელმწიფოს ოფიციალური სავა-  
ლუტო რეზერვის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნებოდა, და რომლითაც ამ  
სახელმწიფოებს შეეძლებოდათ უსარგებლათ; რობერტ ქათნერი თვლის,  
რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ ტიპის ინსტიტუტის სუსტი  
განსახიერებაა და ის უფრო “სავალო ციხეა” და აუცილებელია მისი  
საწიის, კეინზის მიერ ჩაფიქრებული სახით აღდგენა (Kuttner, 1991, p.  
260).

მანუელ ფლორეს მონტესი და ვლადიმერ პოპოვი აღნიშნავენ, რომ  
საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკანასკნელი ინსტანციის საერთა-  
შორისო კრედიტორის ფუნქციას ვერ ასრულებს (Монтеc, Попов, 1999, с.  
111). მორის გოლდშტეინი საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტიდან  
(ვაშინგტონი, აშშ) სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლო საბანკო კრიზისის  
თავიდან აცილების მიზნით თვლის, რომ აუცილებელია გაიზარდოს სა-  
ერთაშორისო სავალუტო ფონდის, როგორც შესაბამისი ქვეყნის საბან-  
კო სისტემის ფუნქციონირებაზე მონიტორინგისა და აუცილებლობის  
შემთხვევაში აღმკვეთი ღონისძიებების გამტარებელი ინსტიტუტის რო-  
ლი (Goldstein, 1998, p.244). ეს მიდგომა სრულ შესაბამისობაშია დიდი  
შვიდეულის ჯგუფის (G-7) პოზიციასთან, რომლის თანახმადაც საერთა-  
შორისო სავალუტო ფონდმა, თანაც აუცილებლად მსოფლიო ბანკთან

ერთად, უნდა გააძლიეროს ტრადიციული მაკროეკონომიკური მრჩეველი-სა და საგადასახდელო ბალანსის საფინანსო მხარდამჭერის როლი, და ამასთანავე საქმიანობის კონცენტრაცია საბანკო სფეროზე, საბანკო რეგულირების საკითხებზე უნდა მოახდინოს (Lissakers, 1998, p. 28).

დიდი შვიდეულის ჯგუფის შემოხსენებული პოზიციის გარდა, დღეს განიხილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების სხვა, უფრო დეტალური წინადადებებიც, რაც უდაოდ პრობლემის აქტუალობაზე მეტყველებს.

პოსტდამის უნივერსიტეტის პროფესორი, პაულ ველფენსი თვლის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის არსებობის პერიოდში მის წვრ-სახელმწიფოთა რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა, რამაც სღვრული ბიუროკრატიული ხარჯები გაზარდა, ნოვატორობა შეესწავლა, მაშინ როცა ამ ქვეყნებში წარმოქმნილ ძალზედ სერიოზულ პრობლემათა არეალი, რომელთა გადაწყვეტაც ფონდის მხრიდან აქტიურ ჩარევას საჭიროებს, ძალზედ გაფართოვდა (Welfens, 1999, p. 120).

იაპონიის ფინანსთა მინისტრმა მიასავამ 1999 წლის მარტში ჩამოაყალიბა პოზიცია, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, ჯერ ერთი, აღმასრულებელ დირექტორთა სხდომაზე გადამრჩენი პროგრამის განხილვაში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების ოფიციალურ პირთა მოწვევის პრაქტიკა უნდა შემოიღოს, და მეორე, – დირექტორთა საბჭოს ფარგლებში შექმნას პროგრამული კომიტეტები, სადაც წინასწარ განიხილება სამომავლო პროგრამები და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ფონდის მისიათა მოლაპარაკება საფინანსო დახმარების მიმღები ქვეყნის წარმომადგენლებთან (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 95-96).

პოსკომუნისტური რეფორმების ცნობილი ექსპერტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეფრი საქსი თვლის, რომ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ჯერ ერთი, აუცილებელია აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს ღია სხდომების ჩატარება, მეორე, – სპეციალისტთა ცალკეულ ჯგუფებს იმის შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომ თავიანთი მტკიცებანი კონკრეტული პრობლემის შესახებ აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს წარუდგინოს, მესამე, – აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო წახალისებულ იქნეს, თუ კი იგი ინიციატივას გამოიჩინოს და პროფესიულ შეხედულებებს არა მარტო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოსამსახურეთაგან მოითხოვს (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 97-98).

საფრანგეთის მთავრობის მიერ მომზადებული წინადადებების თანახმად, გადაწყვეტილების მიღებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის შუალედური კომიტეტის (Interim Committee) ძალაუფლება უნდა გაიზარდოს; კერძოდ, შუალედური კომიტეტი, რომელიც ფონდის 24 მმართველს (როგორც წესი, ფინანსთა მინისტრებს იმ 24 ქვეყნიდან, რომლებიც ქმნიან ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს) აერთიანებს და ფონდისათვის რჩევების მისაცემად წელიწადში ორჯერ იკრიბება, საფრანგეთის მთავრობის წინადადებით, უფრო ხშირად უნდა იკრიბებოდეს და მისი გადაწყვეტილება ფონდისთვის სავალდებულო უნდა გახდეს (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 99-100). საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ბენუა კიოლე საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირებისათვის სამ, – მაკროეკონომიკურ, საშინაო და საგარეო მიდგომას აყალიბებს; პირველის თანახმად, მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში ფონდის მანდატი უნდა შეიზღუდოს; მეორეს მიხედვით არ შეიძლება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფუნქცია იმ

პრინციპებამდე იქნეს დაყვანილი, რითაც ქვეყნების ცენტრალური ბანკები ხელმძღვანელობენ; ხოლო მესამე კი ფონდის მიერ პოლიტიკური ხელმძღვანელობის როლის ზრდას გულისხმობს, რისთვისაც შუალედური კომიტეტი მრჩეველი ორგანოს სტრუქტურული ერთეულიდან პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმდებ რგოლად უნდა გარდაიქმნას (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 111-112).

დიდი ბრიტანეთის წინადადება, რომელიც 1999 წლის აპრილში ევროკავშირის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე დრეზდენში იქნა დაყენებული, ისეთი ზეკომიტეტის შექმნას გულისხმობს, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის შუალედურ კომიტეტს, მსოფლიო ბანკის განვითარების კომიტეტსა და ახლადშექმნილ საფინანსო სტაბილურობის ფორუმს (Financial Stability Forum) გაუწევს ზედამხედველობას; ეს ზეკომიტეტი ფინანსთა მინისტრების დონეზე უნდა მუშაობდეს და მასში როგორც დიდი შედეგულის ჯგუფის, ასევე განვითარებადი ბაზრების (emerging markets) ქვეყნები უნდა შედიოდნენ, და რომელმაც მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესში მყოფი ბაზრების პირობებში ურთიერთდაკავშირებული საფინანსო პრობლემების გადაჭრას უნდა შეუწყოს ხელი (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, pp. 100-101).

იტალიის ფინანსთა მინისტრმა კიამპი, როგორც ფონდის შუალედური კომიტეტის პრეზიდენტმა, წინადადება წამოაყენა იმის შესახებ, რომ კომიტეტის სხდომებს წინ უნდა უსწრებდეს მოსამზადებელი შეხვედრები ალტერნატიული მმართველების დონეზე; ეს დიდი შედეგულის ჯგუფის და ევროკავშირის ფინანსთა მინისტრების შეხვედრების პროცედურის დუბლირებაა, რამაც საბოლოო ჯამში ფართო დისკუსიას, უფრო შედეგიანი მოლაპარაკებების გამართვას უნდა შეუწყოს ხელი,

ვიდრე ეს ფინანსთა მინისტრების დონეზეა შესაძლებელი (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, p. 102).

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის მთავრობისა, თუ მათი წარმომადგენლების მიერ აქ მოყვანილი წინადადებები პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და უფრო ფონდის ხელმძღვანელობის ორგანიზაციული მოწყობის სრულყოფის დეტალებს ეხება. ასეთი მიდგომისაგან დიამეტრალურად განსხვავდება იაპონიის მთავრობის წინადადება, რომელიც აზიის კრიზისის აფეთქებისთანავე იქნა წამოყენებული და რომლის არსი რეგიონალური სავალუტო ფონდების, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონკურენტი ინსტიტუტების შექმნაში მიდგომარეობს (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, p. 102-104). ამ იდეამ გარკვეული მხარდაჭერა სამეცნიერო წრეებშიც აპოეა (მაგალითად, Ito, Ogawa, Sasaki, 1999, Ch.3). ჩვენი აზრით, იაპონიის მთავრობის ეს წინადადება რეალური გზაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის იმ მონოპოლიზმის რღვევისათვის, რაც მას იდეების, საფინანსო მხარდაჭერისა და შესაბამისი რეციპიენტი ქვეყნების მხრიდან ამ მხარდაჭერის მისაღებად შესასრულებელ პირობათა “ბაზარსე” აქვს, სადაც დღეს კონკურენციის, ალტერნატივის არარსებობის გამო, შეცდომების დაშვების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ამავე დროს, მსოფლიო მასშტაბში აუცილებლად მოსაფიქრებელია საფინანსო კოორდინაციისა და რეგიონალურ ფონდებში საფინანსო რესურსების მობილიზაციის პრობლემა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების საკმაოდ რადიკალური სქემა ეკუთვნის სებასტიან ედვარდს. მისი აზრით ფონდის ნაცვლად სამი სპეციალიზებული სააგენტო უნდა შეიქმნას:



- ა) გლობალური საინფორმაციო სააგენტო (Global Information Agency), რომლის საქმიანობა ქვეყნების საფინანსო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და გავრცელებაზე უნდა იყოს კონცენტრირებული; იგი უნდა აქვეყნებდეს შესაბამის საფინანსო რეიტინგებს და ცალკეული ქვეყნის მხრიდან ადექვატური ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში მას “წითელ შუქს უნდა უნთებდეს”, რაც იქნება საგანგაშო ინფორმაცია ამ ქვეყნით დაინტერესებული ყველა აგენტისათვის;
- ბ) გაუთვალისწინებულ გარემოებათა გლობალური საფინანსო საშუალებათა სააგენტო (Contingent Global Financial Facility), რომელმაც გაუთვალისწინებულ გარემოებათა გამო შექმნილი პრობლემების გადასაწყვეტად შეიძლება კრედიტები იმ ქვეყნებზე გასცეს, რომლებიც გლობალური საინფორმაციო სააგენტოს სტანდარტებს პასუხობენ;
- გ) გლობალური რესტრუქტურისაციის სააგენტო (Global Restructuring Agency), რომელსაც ძალა უნდა შესწევდეს დაავალდებულოს ნებისმიერი აგენტი, რომ მან ყოველგვარი თანხის გადახდა შეაჩეროს იმ ქვეყნისათვის, რომელიც არ ახორციელებს ეკონომიკის რესტრუქტურისაციას და ოფიციალური საფინანსო დახმარება იმ ქვეყანას აღმოუჩინოს, რომელიც ამას რეალურად აკეთებს და იმავედროულად კრედიტორებთან მოლაპარაკებას წარმატებით ართმევს თავს და მათგან ნდობას იმსახურებს (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, p. 98-99).

კორეის უნივერსიტეტის პროფესორი და კორეის გაცვლითი ბანკის ექსპერტი იანგ ჩულ პაკი თვლის, რომ საერთაშორისო სავალუტო

ფონდი უშუალოდ განვითარებადი ბაზრებითა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებით უნდა იყოს დაკავებული, რისთვისაც ამ უკანასკნელთ უნდა ეთხოვოს, რომ ფონდში შენატანები გასარდონ, რაც ფონდში გადაწვევტილების მიღებისთვის საჭირო მათი ხმების რაოდენობის ზრდას უზრუნველყოფს; ამავ დროს ფონდმა განვითარებად ქვეყნებზე განვითარებული ქვეყნების სტანდარტები არ უნდა გააერცვლოს, რისთვისაც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის ორმაგი სტანდარტების სისტემა უნდა შეიქმნას (de Gregorio, Eichengreen, Ito, Wyplosz, 1999, p. 112-113).

მართალია საერთაშორისო სავალუტო ფონდიცა და მსოფლიო ბანკიც გაეროს სტრუქტურებია, მაგრამ ამ უკანასკნელის ექსპერტთა შეფასებები ყოველთვის როდია დადებითი. კერძოდ გაეროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დამოუკიდებელი ექსპერტის ფანტუ ჩერუს ანალიტიკურ მოხსენებაში, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად მხარდაჭერილი “სტრუქტურული გარდაქმნის პოლიტიკის” (“Structural Adjustment Policies”) რეალიზაციის შედეგებია განზოგადებული, გაკეთებულია დასკვნა, რომ ამ პოლიტიკას ეკოლოგიურ დეგრადაციამდე მივყავართ და საბოლოო ჯამში ჰუმანური განვითარება თავისუფალ ბაზარსა და გლობალიზაციას ეწირება (Cheru, 1999, p. 13). ეს აზრი ნაწილობრივ გაზიარებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტის ბრაიან სტიუარტის მიერ (თუმცა ის ხაზს უსვამს, რომ ეს მისი პირადი აზრია და არა - ფონდის), როცა აღნიშნავს, რომ “სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამის” ზოგიერთი ღონისძიება ღარიბთა მდგომარეობას აუარესებს (Stuart, 1992, p. 121). ამ გამონათქვამს

სრულად ეხმიანება რაიმონდ მიქესრლის შეფასება, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ღარიბ ქვეყნებსე გაწეული დახმარების შედეგად ამ ქვეყნებში პროგრესის რაიმე ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნევა (Mikesell, 2000).

ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გაუარესება წარმოების დაცემით, მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის შეკეცვითაა განპირობებული, რაც ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული “სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამათა” შედეგად აღიქმება<sup>1</sup>, თუმცა ძნელია არ დაეთანხმო ფონდის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტს მარკ ალენს იმაში, რომ ეს პრობლემა სინამდვილეში იმ სტრუქტურული “სიმახინჯეებით” არის გამოწვეული, რომლებიც ეკონომიკის კომუნისტური ტიპის მოწყობით იყო დამკვიდრებული (Allen, 1992, pp. 29-37), რის გამოც ეკონომიკური ვარდნა თვით ძველმა სისტემამ განაპირობა და ამდენად პრაქტიკულად – გარდაუვალიც იყო (Easterly, Fischer, 1994). პაულ ქოლერი მსოფლიო ბანკიდან და ოქსფორდის უნივერსიტეტიდან, და იან ეილემ გიუნინგი ოქსფორდისა და ამსტერდამის დამოუკიდებელი უნივერსიტეტებიდან თავის გამოკვლევაში იმ დასკვნამდე მიდიან, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილ სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამებს მოსახლეობაზე ფულადი შემოსავლების განაწილების ანალიზი აკლია და რეფორმების თანამიმდევრობის საკითხის შეუსწავლელობა ახასიათებს, რის გამოც აქცენტი ნაადრევ საფინანსო ლიბერალიზაციაზეა გაკეთებული, შედეგად კი სახეზეა გარდაუვალი სირთულეები, როცა პროგრამათა დასასრულს საფინანსო დახმარების შემცირების კვა-

<sup>1</sup> მაგალითად, ეურნალისტები პანს-პეტერ მარტინი და პარაღდ შუმანი სოციალური დანიშნულებით განაწევი ხარჯების რადიკალური შემცირების მოთხოვნის გამო საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამებს დრაკონულს უწოდებენ (Martini, Шуман, 2001, с. 68).

დობაზე შეუძლებელია პოსტ-სტაბილიზაციური ზრდის შემცირების თავიდან აცილება (Collier, Gunning, 1999).

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, როგორც წესი, ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებენ, თავი იჩინა მათ შორის დაპირისპირებულობაც. კერძოდ, გარდა ზემოხსენებულისა, განსაკუთრებით ხაზგასასმელია მსოფლიო ბანკის ყოფილი უფროსი ვიცე-პრეზიდენტის და მთავარი ეკონომისტის ჯოზეფ სტიგლიცის გამოსვლა ე.წ. “ვაშინგტონის კონსენსუსის” კრიტიკით (Стиглиц 1998). კრიტიკის მთავარ ობიექტს ინსტიტუციონალური რეფორმის მიმართ ფონდის დანქარებული და ამდენად არასწორი, გაუბრალოებული მიდგომა წარმოადგენს, რამაც მისი ასრით საბასრო ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებით განხორციელებას შეუშალა ხელი (Stiglitz, 1999B; Стиглиц, 1999).

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციონალურ რეფორმებთან დაკავშირებით პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი ბერნარდ შავანსი და დოცენტი ერიკ მანიანი აღნიშნავენ, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ინსტიტუტები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სეგაველენით დასაველეთის ანალოგების შეგნებული იმიტაციით იქმნება (Шаванс, Маньян, 1999, с. 43). მიუხედავად იმისა, რომ “ინსტიტუტების იმპორტში” განსაკუთრებული არაფერია, რადგანაც ისტორიისათვის ცნობილია მაგალითები, როდესაც ამ გზას არა ერთი დინამიურად განვითარებადი საზოგადოება მიმართავდა (Капелюшников, 2001, сс. 143-144), კალიფორნია-დევისის უნივერსიტეტის პროფესორის, ჯ.გოულდსტოუნოს სამართლიანი შენიშვნის თანახმად, პოლიტიკური ინსტიტუტი, როგორც წესი, “მკედარ ხელნაწერად” გადაქცევაზეა განწირული, როცა ის სხვა ქვეყნების მოდელების მარტივი

კოპირების გზით იქმნება (Голдстоун, 2001, с. 123); კლოდ პოტელის სიტყვებს თუ გამოვიყენებთ “არ არსებობს “მოდელი”, რომელიც იმპორტირებული უნდა იქნეს” (Потель, 2001, с. 85). აქედან გამომდინარე სულაც არ არის გასაკვირი, რომ “უცხო ქვეყნებიდან ჩამოტანილი ნორმების ტრანსპლანტაცია” (იაკობიძე, 1999, გვ. 31) სასიკეთოს მომტანი ვერ იქნება<sup>2</sup>.

ჯოზეფ სტიგლიცი აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუშაობის სტილს აკრიტიკებს, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასული მისი ექსპერტები რაღაც ორიოდ კვირის განმავლობაში განიხილავენ და ახუსტებენ ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს და მათ საფუძველზე რეფორმების პოლიტიკისათვის მაკროეკონომიკურ რეკომენდაციებს იძლევიან; მისი აზრით ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება არა მარტო ტექნიკური ექსპერტების მიერ უნდა ხდებოდეს (Стиглиц 1998 с. 9). ექსპერტების საქმიანობასთან მიმართებაში რომის კლუბის ყოფილი გენერალური მდივნის, პროფესორ ბერტრან შნაიდურის მიერ გამოთქმული მოსაზრებაა საინტერესო, რომლის თანახმადაც დიდძალი ფული იფლანგება ექსპერტების ხელფასებსა და ჰონორარებზე მათ მიუღს მსოფლიოში შეხედრებსა და სემინარებზე დასასწრებად, და წრდილოეთის მოდელზე დაყრდნობით რჩევების მიცემის მიზნით სხვადასხვა ქვეყნის მთავრობასთან შესახვედრად; შედეგად სახეზეა უცნაური სიტუაცია, როცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკისა, თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის) თანამშრომლები მთლიანობაში დაფინანსების ნაკლებობის პირობებში და-

---

<sup>2</sup> მსოფლიოში სახელმისაწვდომი პირველი პროფესორი ურნანდო დე სოტო ამ ფენომენს “სამართლებრივი უსუსურობის გამოცანას” უწოდებს და მას კვლევის საეცადლო ობიექტად მიიჩნევს (de Soto, 2001, с. 155-208).

რიბთა დახმარებაში მაღალ ანაზღაურებას იღებენ (შნაიდერი, 1999, გვ. 6, 14).

სამმართველოში მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჯოხეფ სტიგლიცის აზრი, როგორც თვითონ აღნიშნავდა, მისი პირადი იყო და მსოფლიო ბანკის პოზიციას ყოველთვის არ ასახავდა. სავარაუდოა, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, სწორედ ამ წინააღმდეგობის გამო მოუწია თანამედროვეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ეკონომისტს ჯოხეფ სტიგლიცს მსოფლიო ბანკის დატოვება.

ობიექტურობისათვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდიც ცდილობს თვითკრიტიკულად შეაფასოს საკუთარი საქმიანობა და ამის საფუძველზე განვითარების ახალი ორიენტირები ჩამოაყალიბოს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი განმკარგულებელი დირექტორის მიშელ კამდესიუს პოზიცია, რომელიც მიიხედავს, რომ ევოლუციის თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია ფონდი სამკურნალო მედიცინიდან პროფილაქტიკურ, პრევენტულ მედიცინაზე გადავიდეს, რის საფუძველზეც ახალი საფინანსო არქიტექტურა უნდა შეიქმნას (Camdessus, 1999, p. 51). თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელი დირექტორის ყოფილი პირველი მოადგილე სტენლი ფიშერი საერთაშორისო საფინანსო სისტემის რეფორმას და ფონდის მაკოორდინირებელი ფუნქციის როლის ამაღლებას გლობალურ კონტექსტში განიხილავს (Fischer, 1999).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობისადმი კრიტიკულ პოზიციათა დიაპაზონი საკმაოდ ვრცელია და ზემოთმოტანილი არგუმენტები ცალკეულ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავადაც კი აღიქმება. მთავარი კი ისაა, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული მსოფ-

ლიო საფინანსო კრიზისის ფონზე ფონდის საქმიანობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების განზოგადების საფუძველზე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რეალური გახდება ამ საქმიანობის თვისებრივი გაუმჯობესება.

### § III.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია

ცალკე აღნიშვნის ღირსია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მეოფი ქვეყნების მიმართ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკა.

პროფესორ რობერტ ა. მანდელის შეფასებით საერთაშორისო სავალუტო ფონდი სტატისტიკური და საკონსულტაციო დიდი სააგენტოა, რომელიც ხან კარგ რჩევებს იძლევა, ხან – ცუდს, თანაც, ამ რჩევების ხარისხი ძალზედ დაბალია, რისი უმთავრესი მიზეზიც თავად საერთაშორისო ფულად-საკრედიტო სისტემაში ძევს (Hinshaw (ed.), 1996, p. 134). იური შიშკოვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მსოფლიო საფინანსო სისტემა პრაქტიკულად დამოუკიდებელია სახელმწიფო რეგულირებისაგან, რადგანაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხოლოდ იმ სახელმწიფოებს ეხმარება, რომელთაც საგადასახდელი ბალანსის პრობლემები აქვთ, მაშინ როცა აუცილებელია ფონდმა ისეთი სესახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულება იკისროს, რომელიც ამ პრობლემების და საბოლოო ჯამში მსოფლიო საფინანსო კრიზისის წარმოქმნას წინასწარ გამორიცხავს (Шихов, 1999, сс. 6-8).

ევროპის მონეტარული კავშირის ექსპერტი ქრისტოფერ ჯონსონი თვლის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხრიდან აღვილი აქვს საფინანსო სტაბილიზაციისა და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხორციელებას: თუ კი სწრაფად მიიღწევა საფინანსო სტაბილიზაცია, მაშინ რთულდება ეკონომიკის რესტრუქტურირაცია (Hinshaw (ed.), 1996, p. 132). კალიფორნიის წმინდა მარიამის კოლეჯის პროფესორი როი ალენი თვლის, რომ თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში არსებული საფინანსო ურთიერთდამოკიდებულებისა და ახალი საინვესტიციო კავშირების ბუნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წესდების დონეზე შერწყმა (Allen, 1999, p. 170).

როი ალენი ასევე აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ძირითადად აქცენტს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე აკეთებს, ხოლო ქვეყნის განვითარების სოციალური კრიტერიუმები კი ყურადღების მიღმა რჩება (Allen, 1999, p. 170). ჯეფრი საქსის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სიძნელეების შესამსუბუქებლად მოწოდებული, ფინანსური დახმარების მისაღებად ფონდის მიერ წაყენებული პირობები ხშირ შემთხვევაში იმდენად მკაცრია, რომ ისინი კიდევ უფრო ამძიმებენ შესაბამისი რეფორმის სიძნელეებს (Carr, 1995, c. 284). ის ასევე მიუთითებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში პირველ რიგში დამოუკიდებელი სოციალური დაცვის სისტემის დანქარებულ შექმნას უნდა უწყობდეს ხელს, რაც არ ეთდება (Hinshaw (ed.), 1996, p. 130). ჯეფრი საქსის შეფასებით საერთაშო-



რისო სავალუტო ფონდი თავისი ქმედებით მუდმივად შერცხვენილის მდგომარეობაშია (Серван, 1999 წ.50).

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის რინარდ კუპერის აზრით საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა ის იყო, რომ 90-იანი წლების დასაწყისში მისი ექსპერტები თავიანთ რჩევებს იმაზე აგებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილ თორმეტ ქვეყანაში (ბალტიის ქვეყნების გარდა) ერთიანი სავალუტო კავშირი – “რუბლის ზონა” შეენარსუნებინათ (Hinshaw (ed.), 1996, p. 133-134). საერთაშორისო მშვიდობისათვის კარნევის ფონდის წამყვანი მკვლევარი, პროფესორი ანდრეს ოსლუნდი იხსენებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი იმ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს, რომლებიც საკუთარი ვალუტის შემოღებას გადაწყვეტდნენ ფონდიდან არანაირი მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდა; უფრო მეტიც ფონდი ასეთ ქვეყნებს მხარდაჭერაზე უარითაც კი დაემუქრა (Ослунд, 1996წ. с. 141). პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი მარი ლავინი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების მიღება მხოლოდ საკუთარი ვალუტის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფონდს რეალურად მხოლოდ მოსკოვთან უნდა ემუშავა; ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყნის რეალური და არა ფსევდო დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებაში, რომელიც, სხვა თანაბარ პირობებში, ეროვნული ვალუტის შემოღებაში გამოიხატა, 1993 წლის ბოლოს საერთაშორისო სავალუტო ფონდი იძულებული გახდა თავისი პოზიცია რადიკალურად შეეცვალა და მან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საკუთარი ვალუტის შემოღების პროცესს აქტიურად დაუჭირა მხარი (Lavigne, 1995, pp. 207, 211).

თუ კი თავიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეროვნული ვალუტის შემოღებას ამუხრუჭებდა, შემდგომში პირიქით მათ გადაყვანას

კონვერტირებად რეჟიმში მაქსიმალურად ანქარებდა. რუსი პროფესორი ი. ა. კონსტანტინოვი საერთაშორისო სავალუტო ფონდს იმაში ადანაშაულებს, რომ ეროვნული ბაზრების უცხოური კაპიტალისათვის მაქსიმალური გხსნის მიზნით ის მისაღმი იმ ქვეყნების განაცხადებს “შტამპედა”, რომელთაც სურვილი ჰქონდა საკუთარი ვალუტა კონვერტირებადი გაეხადა; შედეგად ძნელად ასახსნელი სიტუაცია შეიქმნა, როცა მოლდავეური ლეი და ყირგიზული სომი კონვერტირებადი უფრო ადრე გახდა, ვიდრე ჩეხური კრონა, ხოლო უკრაინულმა გრივნამ კი წინურ იუანს დაასწრო, თუმცა ეკონომიკური განვითარების დონისა და სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის ლოგიკა სრულად საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას კარნახობდა (Константинов, 2000, с. 117). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უცხოური ინვესტიციებისათვის ეროვნული ბაზრების გახსნილობის გარეშე იმ გამწვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტა, რომლებიც ადგილობრივი საწარმოების მიერ კონკურენტუნარო პროდუქციის წარმოებით არის გამოწვეული, პრინციპულად შეუძლებელი იქნება.

მანუელ ფლორეს მონტესი და ვლადიმერ პოპოვი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ რუსეთის 1998 წლის აგვისტოს კრიზისის არსი რუბლის ხელოვნურად გაზრდილი კურსის შენარჩუნებაში მდგომარეობდა, რასაც რუსეთის მთავრობა და ცენტრალური ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით ახორციელებდა (Монтеc, Попов, 1999, с. 71).

პაულ კრუგმანი თვლის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი რუსეთს მნიშვნელოვან თანხებს აძლევს, რადგანაც მას ბირთვული იარაღის დიდი არსენალი აქვს და ამასთან რუსი “ოლიგარქების” სიხარბეს და გაჭიანურებულ რეფორმებს არ ითვალისწინებს (Krugman,

1999, pp. 130-131). რუსი ეკონომისტი, პროფესორი ა. სუეტინი აღნიშნავს, რომ სავარაუდოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რუსეთისთვის მიცემული ფული “შავი ფულის გარეცხვის” მექანიზმში მოექცა, რადგანაც ეს კრედიტები 1996 წელს ბორის ელცინის რუსეთის პრეზიდენტად არჩევის კამპანიას მოხმარდა (Суетин, 1999, с. 166).

ჯეფრი საქსიცი მიიჩნევს, რომ რუს რეფორმატორებს ფინანსური დახმარება საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან არა კარტ-ბლანშის სახით, არამედ მკაცრი პირობების შესრულების შემთხვევაში უნდა მიეცეს და ამავე დროს ეს დახმარება მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რათა რეფორმის სიძნელეები შეამსუბუქოს (Hinshaw (ed.), 1996, p. 129-130). კიდევ უფრო მწვავედ აყენებს საკითხს ნობელის პრემიის ლაურეატი, ნიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი გარი ბეკერი, რომლის თანახმადაც რეფორმების პროცესში მეოფი ქვეყნების მთავრობას რაიმე ფინანსური დახმარება საერთოდ არ უნდა მიეცეს, რადგანაც ეს დახმარება რეფორმების აუცილებლობის სიმწვავეს ამცირებს, “აზარმაცებს” მთავრობას და ის რეფორმების პროცესს აჭიანურებს; მისი აზრით, ფინანსური დახმარების მიცემის გარეშე მთავრობას ძლიერი შინაგანი სტიმული ექნებოდა მიზანმიმართულად და სწრაფი ტემპით განეხორციელებინა რეფორმები (Becker, Becker, 1997, pp. 261-262). ორიგინალურობით გამოირჩევა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის მაიკლ პორტერის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ განვითარებული ქვეყნების მხრიდან განვითარებადი ქვეყნების მიმართ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა პროტექციონისტული ბარიერების მოშლა (განსაკუთრებით ტექსტილისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მიმართ), ვიდრე ყველა საფინანსო დახმარება ერთად აღებული (Porter, 1993, с. 737).

პროფესორი პაულ ველფენსი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები რუსეთთან და უკრაინასთან მიმართებაში (ვალუტური, რადგანაც ყურადღება მაკროეკონომიკურ სტაბილურობისთვის უნდა აქცენტირებული, მაშინ როცა ინსტიტუციონალური გარდაქმნების მნიშვნელობა უკუღმავალყოფილია (Welfens, 1999, pp. 120, 122). საყურადღებოა, რომ, როგორც მოსკოველი პროფესორი ვიანესლავ კუხნეცოვი აღნიშნავს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რუსეთის ეკონომიკის რეფორმირებაში არაერთი ტაქტიკური ხასიათის შეცდომაც იქნა დაშვებული (Кузнецов, 2002, сс.47-48).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ეკონომისტი ი.სეგვარი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს ყველაზე უფრო ხშირად იმაში აკრიტიკებენ, რომ ის მთლიანობაში პატივს უნდა სცემდეს და უფრო მეტად ითვალისწინებდეს პოსტკომუნისტური ქვეყნების ისტორიას, კულტურასა და ეროვნულ თავისებურებებს, და რომ ფონდის მიერ შემოშავებული ყველასათვის ერთიანი პრინციპები წაუარდნისათვისაა განწირული; ამავ დროს ი. სეგვარი აღნიშნავს, რომ ამგვარი კრიტიკა უფრო თავის მართლებაა რეფორმების არ გატარებისათვის, ვიდრე რეალურად არსებული პრობლემა (Сегвара, 1999, сс. 48-51).

რუსეთის მთავრობასთან არსებული ეკონომიკური რეფორმის სამუშაო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ვლადიმერ მაუ სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქვეყნის განვითარების კულტურულ-ისტორიული სპეციფიკით პრაქტიკულად ყველაფრის ახსნა შეიძლება, მაგრამ ამისდა მიუხედავად მისი გათვალისწინება იმ პროცესის სწორი გაგებისათვისაა აუცილებელი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარეობს (May, 2001, сс. 130-131). ამგვარი მიდგომის თვალსაწინის მაგალითს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ რუსი პროფესორის ვლადიმერ ობოლენსკის მიერ წაყენებული ბრალდება წარმოადგენს, რომლის თანახმადაც რუსეთის ეკონომიკური სისტემის, მეურნეობრიობის არსებული ტრადიციების არგათვალისწინებამ, სტაბილიზაციის ფონდისეული პროგრამის არარეალურობა გამოიწვია, რომლის ჩავარდნამაც და 1998 წლის აგვისტოს კრიზისმა ფონდის პრესტიჟს დიდი ღარტყმა მიაყენა (Оболенский, Поспелов, 2001, с. 50). საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ იაკობ მესხიას სამართლიანი შენიშვნის თანახმად ის, თუ ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამებში რამდენად აისახება, იმ სამთავრობო გუნდის პრობლემაა, რომელიც ფონდის წარმომადგენლებთან აწარმოებს მოლაპარაკებას (მესხია, 1999ბ, გვ. 20).

სამწუხაროდ უარყოფითია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის კოლეგიის სოგიერთი წევრის დამოკიდებულება იმ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ, რომელიც საზღვარგარეთიდან, დასავლეთიდან, ანუ ფაქტიურად საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან არის რეკომენდებული. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კოლეგიაში ალექსანდრე სმირნოვი თვლის, რომ დასავლეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, როგორც მსხვილი რეგიონალური გაერთიანების დაშლას ესწრაფვის (Смирнов, 1996, с. 46); საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი კოლეგიაში ვალერიან ადვაძე საზღვარგარეთიდან თავსმოხვეულ ეკონომიკურ პოლიტიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების დეზინტეგრაცია

ციისა და წარმოების დაცემის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს, რომელიც თანამეგობრობის ქვეყნების მსოფლიო ბაზრის პერიფერიად გადაქცევაზეა მიმართული (Авваძე, 1996, с. 30). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ტიპის მოსასრებებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმრავლესი წევრი-ქვეყნების მომავალზე, გადამწვეპტი მნიშვნელობა არ ექნებათ, რამეთუ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ, ან უარეს შემთხვევაში მთლიანად დასაეღეთთან და, კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ცდილობენ თანამშრომლობის შესაძლებლობა გამონახონ.

თავი IV. ეკონომიკის პოსტკომუნისტური  
ტრანსფორმაციის ინსტიტუციონალური ანალიზი და  
“ჩრდილოვანი პოლიტეკონომიის” საფუძვლები\*

კარგი კანონები ცუდ სნე-წყვეულებათა პირშია.

*ტატიტი*

კანონებისა და ბრძანებულებების გამრავლებასთან  
ერთად ყანალობა და ძარცვა-გლეჯაც იზრდება.

*ლაო-ცზი*

კანონები არა ლოგიკის, არამედ ცდის პირშია.

*ოლივერ ვენდელ პოლმსი*

კანონი, რამდენად სამართლიანიც უნდა იყოს,  
ძალის გარეშე ყინულზე დაწერილი თამასუქია.

*არჩილ ჯორჯაძე*

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ერთიანი თეორიის არ არსებობის პირობებში ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობილი თეორიებიდან ისეთის შერჩევას, რომელიც გასაგებს გახდის ამ ურთულესი პროცესის არსს.

ეკონომიკის ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა უწინარეს ყოვლისა არსებული ინსტიტუტების ნაწილის რღვევას, ნაწილის კი ტრანსფორმაციას და იმავდროულად თვისებრივად ახალი ინსტიტუტების შექმნას ნიშნავს (Березин, 1999, с. 253). აქედან გამომდინარე ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის არსის გასარკვევად ერთ-ერთ ქმე-

---

\* ამ თავის თანავტორია ნოდარ ხაღური (პაპავა, ხაღური, 1998; Papava, Khaduri, 1997; Папава, Хадური, 2000).

დით მიდგომად ინსტიტუციონალური ანალიზი წარმოდგება, რასაც ადასტურებს ამ მიმართულებით ჩატარებული არა ერთი საინტერესო გამოკვლევა (მაგალითად, Intriligator, Braguinsky, Bowen II, Tullock, Root, 1999; Амосов. 2000; Волконский, 2000; Завельский, 1998; Зотов, Пресняков, 1998; Интрилигатор, 1997; Львов (ред.), 2001; Маевский, 2000; Нестеренко. 1996, 1997, 2000; Олейник 1996, 1997А, 1997Б, 2000; Полтерович, 2000; Сухарев. 2000; Сухотин, 2000; Тамбовцев, 1997, 1998; Шастико, 1997).

წინამდებარე თავში მოცემული გამოკვლევა ჩატარებულია “ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკის” თეორიის (North, 1990; Drobak, Nye (ed.), 1997; Норт, 1997) საფუძველზე (პაპავა, ხადური, 1998; Papava, Khaduri, 1997; Папава, Хадури, 2000).

აღნიშნული თეორიის თანახმად, ადამიანთა ქცევა, მათი ურთიერთობანი საზოგადოების ინსტიტუციონალური სტრუქტურითაა განპირობებული, რომელიც დროის ამა თუ იმ პერიოდის განმავლობაში ადამიანთა ქცევის გარკვეულ საზღვრებს აყალიბებს. თავად *ინსტიტუტები* ფორმალური (მაგალითად, კანონები და სხვა საკანონმდებლო აქტები) და არაფორმალური (ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები, ზეპირი შეთანხმებები და ა.შ.) შეზღუდვებისა და მათი შესრულების იძულების მექანიზმების (ამ შეზღუდვების სულისკვეთებით აღზრდა და მათი დარღვევისათვის დასჯა) ერთობლიობაა.

*ფორმალური ინსტიტუტები (FI – Formal Institutions)* ძირითადად წერილობით სამართალის ფორმითაა წარმოდგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ *FI* და *არაფორმალური ინსტიტუტები (II – Informal Institutions)* ურთიერთზეგავლენის დიდი ხარისხით ხასიათდებიან:



– *FI* არის არსებული ან სასურველი *II*, რომელიც წერილობით სამართალშია ასახული;


– ახლადწამოყალიბებული *FI*-ს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია *II*-ის განვითარების მიმართულებაზე და პირიქით.

*II*-ის *FI*-ზე ზეგავლენის საუცხოო მაგალითს საბაზრო სისტემის განვითარება წარმოადგენს, რომლის დროსაც ბევრი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ეკონომიკას არეგულირებს კონკურენტულ გარემოში ადამიანთა ქცევის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებიდან გამომდინარე იქნა მიღებული. *FI*-ის *II*-ზე უკუსემოქმედების არანაკლებ თვალსაჩინო მაგალითი კომუნისტური ტიპის ეკონომიკაა, სადაც *FI* ადამიანთა ხელოვნური “გაუმჯობესების” მიზნით იქმნებოდა (მაგალითად, O’Brien, 1989), რაც საბოლოო ჯამში ზოგიერთი *II*-ის ატროფირებასაც იწვევდა.

იმის გამო, რომ *FI*-ის ნაწილი ზოგიერთი *II*-ის წერილობით სამართალში ასახვის შედეგად ეალიბდება, *FI*-ის და *II*-ის სიმრავლეები იკვეთებიან (იხ. ნახ. IV.1). მათ თანაკვეთას *ბუნებრივი ფორმალური ინსტიტუტები (NatFI – Natural Formal Institutions)* – ვუწოდოთ:

$$FI \cap II = NatFI.$$

*NatFI*, როგორც აღინიშნა თავისი ბუნებით ის *II*-ია, რომელთა ასახვაც მოხერხდა *FI*-ში; რაც უფრო “დიდია” *NatFI* მით უფრო შეესაბამება *FI* ადამიანის ბუნებას. აღსანიშნავია, რომ *FI*-სა და *II*-ის სიმრავლე



ნახ. IV.1. ფორმალური, ბუნებრივი ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების თანაფარდობა

ები ერთმანეთს არასოდეს არ ემთხვევა: უპირველეს ყოვლისა, არ შეიძლება (და არც არის ამის აუცილებლობა), რომ ყველა II წერილობით სამართალში აისახოს; ამასთან FI-ის ერთობლიობა ყოველთვის მოიცავს ისეთ ინსტიტუტებს (სეენ მათ არაბუნებრივ ფორმალურ ინსტიტუტებს (*UFI* – Unnatural Formal Institutions) ეუწოდებთ), რომლებიც *NatFI*-ის გარდა საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ მიზნებიდან გამომდინარე სასურველ შეზღუდვებსა და მათ დასაცავად საჭირო იძულების მექანიზმებსაც ასახავენ; *NatFI*-ის და *UFI*-ის თანაკვეთა ცარიელი სიმრავლეა, ხოლო მათი გაერთიანება *FI*-ის ერთობლიობას იძლევა:

$$NatFI \cap UFI = \emptyset,$$

$$NatFI \cup UFI = FI.$$

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში *UFI*-ის რაოდენობა *NatFI*-ისას რამდენჯერმე აღემატებოდა, რაც, სხვა თანაბარ პი-

რობებში, ასეთი ეკონომიკური სისტემების დაბალსიცილიზაციის უნარობას განაპირობებდა. განვითარებული საბაზრო დემოკრატიის ქვეყნებში კი *NatFI*-ის წილი *FI*-ის ერთობლიობაში გაცილებით მაღალია.


ლეგალური ეკონომიკის საფუძველს ნებისმიერ სასოგადოებაში უპირველეს ყოვლისა *FI* წარმოადგენს. სრდილოვანი ეკონომიკის განმსახვრელი პრინციპი სწორედ *FI*-ის უგულებელყოფაა, როცა ადამიანთა ქმედება არანაირად არ პასუხობს ამ ინსტიტუტთა მოთხოვნებს და მთლიანად *II*-ით რეგულირდება. აქ ისმება ლოგიკური კითხვა – წარმოადგენს თუ არა ყველა *II* სრდილოვანი ეკონომიკის საფუძველს?

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ცხადია უარყოფითია. ეს კი იმით აიხსნება, რომ *II*-ის გარკვეული ნაწილი *FI*-ს ერთგვარად ავსებს. ეს *FI*-სთან ერთად ზოგადად ადამიანთა საქმიანობისათვის, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო გარემოს ქმნის. *FI*-ის პოზიციიდან ამგვარი *II* რაციონალურია. აქედან გამომდინარე, იმ *II*-ს, რომლებიც ავსებენ *FI*-ს და ამით ადამიანთა ლეგალური საქმიანობისათვის საფუძველს ქმნიან, *რაციონალური არაფორმალური ინსტიტუტები (RII – Rational Informal Institutions)* ვუწოდოთ.


*II*-ის მთელი ერთობლიობიდან სრდილოვანი ეკონომიკა უპირველეს ყოვლისა იმ ინსტიტუტებს ემყარება, რომლებიც იგნორირებას უკეთებენ *FI*-ს. ამ უკანასკნელთა პოზიციიდან, ასეთი სახის *II* ირაციონალურია. ამრიგად, იმ *II*-ს, რომლებიც *FI*-ის მოთხოვნებს არ ითვალისწინებენ და ამდენად ადამიანთა არალეგალური, სრდილოვანი საქმიანობისათვის საფუძველს ქმნიან, *ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუტები (III – Irrational Informal Institutions)* ვუწოდოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა *III*-სა და *RII*-ის გაერთიანება *II* ვერ იქნება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ *III*-ცა და *RII*-იც ერთდროულად

ერთი და იგივე ისეთ II-ს მოიცავს, რომლებიც “ერთნაირი წარმატებით” FI-ს არ ეწინააღმდეგება და ამასთან იმ II-ს ავსებს, რომლებიც თავისი არსით FI-ს ეწინააღმდეგება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, III-სა და RII-ის ერთობლიობები II-ის ერთიდაიმავე ქვესიმრავლეს – ნეიტრალურ არაფორმალურ ინსტიტუტებს (NeutII – Neutral Informal Institutions) მოიცავს (იხ. ნახ. IV2). ეს უკანასკნელი ქცევის ყველაზე გავრცელებულ, ელემენტარულ ნორმებს აერთიანებს, რომლებიც საზოგადოებაში საკმაოდ დიდი ხნის (ზოგჯერ საუკუნეების) განმავლობაში ყალიბდებო-



ნახ. IV2. რაციონალური არაფორმალური, ნეიტრალური არაფორმალური და ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუტების თანაფარდობა



ნახ. IV.3. ფორმალური, ბუნებრივი ფორმალური, ნეიტრალური ფორმალური, რაციონალური არაფორმალური, ნეიტრალური არაფორმალური და ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუტების თანაფარდობა

დნენ, მაგალითად ქცევის ნორმები, რომლებიც ძლიერის მხრიდან სუსტის შებრალების მომენტს შეიცავს.

სხედასხვა *II*-ს ცვლილების განსხვავებული მექანიზმი აქვს.

*NeutII* ყველაზე სტაბილურია; ისინი *FI*-ის მხრიდან ზემოქმედებას ყველაზე ნაკლებად განიცდიან. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ბუნებასთან ყველაზე უფრო ახლოს *NeutII* დგანან და სწორედ ამიტომაც ისინი ყველაზე უფრო კონსერვატიულნი არიან.

*NeutII*-ის ნაწილი *NatFI*-ში აისახება, რის გამოც ის *NatFI*-ის შემადგენლობაში, და მით უმეტეს მთელს *FI*-ში ყველაზე სტაბილურია. *NatFI*-ის ამ ნაწილს *ნეიტრალური ფორმალური ინსტიტუტები (NeutFI - Neutral Formal Institutions)* ვუწოდოთ (იხ. ნახ. IV.3).

როდესაც საზოგადოების ეკონომიკურ წყობაში ცვლილებები ხდება, ეს უპირველეს ყოვლისა *FI*-ს ეხება. როცა ასეთი ცვლილებები უმნიშვნელოა, ერთი სახეობის *FI* თანდათანობით სხვა სახეობით იცვლება,

ხოლო, როცა ცვლილებები მნიშვნელოვანია *FI*-ის დიდი ნაწილი ინგრევა, ისე რომ მის ნაცვლად ახალი ინსტიტუტები ყოველთვის როდი ასწრებენ წარმოშობას. უნდა აღინიშნოს, რომ იდეალურ შემთხვევაშიც, სასოგადოების ეკონომიკური წყობის ცვლილების გამსაკვეთილი მიზნებისა და შესატყვისი ახალი *FI*-ის მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონტურების არსებობის პირობებშიც კი (რაც თავისთავად ასევე რთული წარმოსადგენია), ამ ახალი ინსტიტუტების შექმნა საკმაოდ გაძნელებულია, რასაც გარკვეულწილად ეკონომიკური და სოციალური პროცესების ინერციულობაც უწყობს ხელს.

ის ვაკუუმი, რომელიც *FI*-ის შემადგენლობაში იქმნება უშუალოდ უარყოფითად ზემოქმედებს *RII*-ზე: მათი ნაწილი შესაბამისი *FI*-ის ნგრევის შედეგად ქრება. *FI*-ისა და *RII*-ის შემადგენლობაში წარმოქმნილი ვაკუუმი გაფართოებადი *III*-ის მეშვეობით ივსება. სწორედ ამის გამო ამგვარ, ტრანსფორმირებადი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მნიშვნელოვნად იზრდება (Kyzneva, 1994, c.8). ძველი *FI*-ის ნგრევისა და მასთან ერთად შესაბამისი *RII*-ის გაქრობისა და პარალელურად *III*-ს გაფართოების “საუკეთესო” მაგალითია 1993-1995 წლების საქართველო, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებმა 80%-მდე მიაღწია (Papava, 1996B, p. 306). შედარებისათვის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პოსტკომუნისტური უნგრეთი, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები 25%-ს აღწევდა (Ékes, 1994).

ცნობილი პერუელი სპეციალისტის ერნანდო დე სოტოს მსოფლიოში გახმაურებული გამოკვლევის თანახმად, განვითარებად და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში *FI*-ის შემადგენლობაში არსებული ვაკუუმი უწინარეს ყოვლისა საკუთრების სამართლებრივი გა-

ფორმების არარსებობაში (ან უკეთეს შემთხვევაში, სისუსტეში) გამოიხატება, რაც კაპიტალის შექმნის უმთავრესი შემაფერხებელია, და საბოლოო ჯამში ამ ქვეყნების ეკონომიკურ ჩამორჩენილობაში გამოიხატება (de Coto, 2001).

ამრიგად, ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის დროს *NeutII* უფრო სტაბილური და პრაქტიკულად უცვლელია, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ *NeutFI FI*-ს მიუღს ერთობლიობაში შედარებით სტაბილური იქნება. მაგრამ, თუ *NeutFI*-ის თუნდაც რაღაც ნაწილი მანაც “ინგრევა”, ეს არც ისე საშიშია, რამეთუ აღნიშნულ პროცესებს საზოგადოებისათვის რაიმე ზარალის გარეშე შესაბამისი *NeutII* არეგულირებს. *NatFI*, რომლებიც *NeutFI*-ის შემადგენლობაში არ შედიან, ცვლილებებს ბევრად უფრო ადვილად ექვემდებარება ვიდრე *NeutFI*.

*FI*-ისა და *RII*-ის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი “ინგრევა” და მათი *III*-ით ჩანაცვლება (რომლებიც არ შედიან და პრინციპში არც შეიძლება, რომ *NeutII*-ის შემადგენლობაში შედიოდნენ) ეკონომიკის კრიმინალიზაციის საკმაოდ სერიოზულ გამოვლინებებს იწვევს.

*NeutII*-ის იმ ნაწილის განსაკუთრებული როლი, რომელიც *NeutFI*-ის შემადგენლობაში არ შედის, როცა ისინი ერთდროულად *RII*-სა და *III*-ის ერთობლიობის ნაწილებს შეადგენენ, იმითაა განპირობებული, რომ ჩრდილოვანი საქმიანობის ზოგიერთ სახეობას ანტისაზოგადოებრივი და ანტიადამიანური ხასიათი არ აქვს; ქვეყნის ეკონომიკის ამ ნაწილს ერნანდო დე სოტო ექსტრალეგალურ სექტორს უწოდებს<sup>1</sup>. ჩრდილოვანი საქმიანობის ასეთი სახეობების, ანუ ექსტრალეგალური სექტორის ლეგალიზაციას არასრულყოფილი *FI* უშლის ხელს; მათი ნე-

<sup>1</sup> ინგლისურენოვან პუბლიკაციაში გამოყენებული ტერმინი “Extralegal” (de Soto, 2000), რუსულენოვან გამოცემაში თარგმნილია როგორც “внезаконный” (de Coto, 2001).

ბისმიერი სრულყოფა აღნიშნული საკმიანობის შემდგომ ლეგალიზაციას უწყობს ხელს. იმის გამო, რომ აბსოლუტურად სრულყოფილი *FI*-ის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია, ნებისმიერ საზოგადოებაში ექსტრალეგალური სექტორი შედარებით მცირე მასშტაბში, მაგრამ მაინც იქნება.

მხოლოდ *NeutFI*-ის შენარჩუნებითა და *NeutII*-ზე დაყრდნობით არის შესაძლებელი ნაკლები დანაკარგებითა და საზოგადოებისათვის მენტ-ნაკლებად უმტკიენეულოდ ჩამოყალიბდეს საბაზრო დემოკრატიისათვის დამახასიათებელი *FI*. მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი მიდგომა უსრუენველყოფს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებას.

დასკენის სახით აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის მოცემული ინსტიტუციონალური ანალიზი იძლევა ამ პროცესში “ჩრდილოვანი პოლიტიკური ეკონომიის”, ანუ ჩრდილოვანი ეკონომიკის პოლიტეკონომიური გააზრების საშუალებას (Papava, Khaduri, 1997).



თავი V. ადამიანი ეკონომიკის პოსტკომუნისტური  
ტრანსფორმაციის პროცესში  
(Homo transformativus-ის ბუნება)

ადამიანი საჩუქაროს მოდელია.

*ლუონარდო და ვინჩი*

ადამიანში ისეა შერწყმული თვით ადამიანი და ეკონომიკური გარემო, რომ შეუძლებელია ეკონომიკური ცხოვრება გამოაცალკეო მორალური ცხოვრებისაგან. არ შეიძლება ისტორიული კაცობრიობა გახლინო ორ ნაწილად, გამოაცალკეო მასში იდეალური ცხოვრება ეკონომიკური ცხოვრებისაგან.

*უან უორესი*

**§ V.1. Homo economicus-ის პრობლემის შესახებ**

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლა. ამ პროცესში ადამიანის ადგილისა და როლის გარკვევით უნდა დაიწყოთ, რადგანაც სწორედ ადამიანია საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი მამოძრავებელი ძალა. ამასთან, ადამიანის მოდელი ეკონომიკურ მეცნიერებათა საფუძვლების ამოსავალი პუნქტია (Генкин, 2002, с. 24).

ამავე დროს საზოგადოებრივი პროცესების და მათ შორის ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის უმთავრესი მიზანი ასევე

ადამიანი და მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაა. თავისთავად თვით ტრანსფორმაციის განმახორციელებელიც ადამიანია და ის, თუ პროცესი რამდენად შედეგიანი იქნება, ეს, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ფაქტორითაა განპირობებული. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის უმთავრეს ინდიკატორად ადამიანი გვევლინება.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში მიღებულია მიდგომა, როცა თითოეული მათგანი დამოუკიდებლად სწავლობს ადამიანის მოდელს, რის შედეგადაც განარსევენ “სოციოლოგიურ”, “ფსიქოლოგიურ”, “პოლიტოლოგიურ” და სხვ. ადამიანს (Автономов, 1998, с. 9); ასე რომ ყოველ საზოგადოებრივ მეცნიერებას “ჰყავს” თავისი Homo logicus-ი (Blum, 1001, S. 111).

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ადამიანის მოდელის ერთიანი “კლასიკური” განმარტება არ არსებობს (Автономов, 1998, с. 9). მიუხედავად ამისა ყველაზე უფრო გავრცელებულად უნდა ჩაითვალოს ადამ სმიტისეული Homo economicus-ის (“ეკონომიკური ადამიანი”, “Homo oeconomicus”, “Economic man”, “Экономический человек”) მოდელი, რომლის შინაარსმაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ისტორიული სახეცვლილება განიცადა (Автономов, 1989, 1990, 1998, с. 57-201; Бункина, Семенов, 2000) და რომელიც ეკონომიკური საზოგადოების საფუძველს ქმნის (Heilbroner, Milberg, 1998). ხანგრძლივი დისკუსია (მაგალითად, Leibenstein, 1976; Meeks, 1991) Homo economicus-ის შესახებ არა მარტო მისი ბუნების დაზუსტებას, არამედ, საერთოდ თანამედროვე პირობებში მისი, როგორც ასეთის არსებობა (Buchanan, 1979, pp. 205-209), არარსებობას (Brockway, 1995) შეეხებოდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ Homo economicus-ი ეს ადამიანის თეორიული, აბსტრაქტული მოდელია (Nelson, 1998, p. 81; Автономов, 1997, с. 7), თუმცა ზოგიერთ თანამედროვე, ასევე თეორიული ხასიათის მქონე გამოკვლევაში Homo economicus-ის სქესობრივი ასპექტიცაა წინ წამოწეული (Ferber, Nelson (ed.), 1993; Nelson, 1998).

ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ბიუკენენის აზრით ეკონომიკის მეთოდის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას “ბუნებრივი” და “ხელოვნური” ადამიანის ურთიერთმიმართება წარმოადგენს (Buchanan, 1979, pp. 93-112).

ბუნებრივია, რომ Homo economicus-ის მოდელი ისტორიულად სწორედ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბდა, რაც, თავის მხრივ, ამ მოდელის შინაარსობრივ დატვირთვას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ Homo economicus-ის მოდელი ეკონომიკის ფარგლებს შემდგომში გასცდა კიდევ და მეტ-ნაკლებად ადგილს პოლიტიკურ სფეროშიც იმკვიდრებს (Макаренко, 2002).

საზოგადო Homo economicus-ი ფაქტორთა შემდეგი სამი ჯგუფის ერთობლიობაა (Knight, 1947, p. 84):

- ადამიანის მიზნები;
- მიზნების მიღწევის საშუალებები;
- ინფორმაცია (ცოდნა) იმ პროცესების შესახებ, რომელთა საფუძველზეც ადამიანი მის ხელთ არსებული საშუალებებით ცდილობს მიზნების მიღწევას.

თავის ქცევაში ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, მის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევის ოპტიმიზაციის (რომელსაც რაციონალური არჩევანის თეორიაში ცენტრალური ადგილი უკავია (Becker, 1976, p. 153)) პოზიციიდან გამოდის. ასეთი მიზნებია სარგებლიანობის, სიმდიდრის და

(ან) შემოსაველების (უფრო კონკრეტულად საოჯახო მეურნეობისათვის – სარგებლიანობის, ხოლო ფირმებისათვის – მოგების (Автономов, 1997, с. 8; Пириайнен, Турунцев, 1998)) მაქსიმიზაცია. ეს მიზნები ფორმალური რაციონალურობის ევბერისეული გაგებიდან გამომდინარეობენ (Калинин, Чиркова, 1998, с. 72).

Homo economicus-ის თანამედროვე გაგების თანახმად, ის ბევრად უფრო რთული მიზნების მატარებელია, რამეთუ წმინდა ეკონომიკური მისწრაფებების გარდა მას სოციალური მიზნების გათვალისწინებაც უხდება, რაც რაციონალურობის ფარგლებს აფართოებს (Калинин, Чиркова, 1998, с. 73).

მიზნის მიღწევის საშუალებებში, უწინარეს ყოვლისა, შემოსაველის ოდენობასა და სხვადასხვა მატერიალურ დოვლათსა, თუ მომსახურებაზე ფასების დონეს შორის თანაფარდობა იგულისხმება (Автономов, 1998, с. 10).

საინტერესოა, რომ ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კვალობაზე Homo economicus-ის ისეთი თვისებები, რომლებიც თავიდანვე აღიარებული იყო, როგორც ამ ცნების განუყოფელი, ფუძემდებლური ნაწილი, დღეს უკვე “წამოშორებულად” ითვლება; კერძოდ, ესენია: ეგოიზმი, ინფორმაციის სისრულე და მყისიერი რეაქცია (Автономов, 1998, с. 11).

ერთის მხრივ მიზნის მიღწევის სურვილი, ხოლო მეორეს – კი მოცემული საფინანსო შეზღუდვებისა და იმ პროცესების ცოდნის დონე, რომელთა საფუძველზეც ამ მიზნების მიღწევა შეიძლება ადამიანის ქცევას (უფრო ზუსტად ეკონომიკურ ქცევას) აყალიბებს, რაც “ეკონომიკურ ცნობიერებასთან”, ანუ “ეკონომიკურ მენტალიტეტთანაა” უშუალო კავშირში (Автономов, 1997, с. 7). კითხვაზე, – თუ რამდენადაა რა-

ციონალური ადამიანის ქცევა (Шастико, 1998), – პასუხი მნიშვნელოვან-  
წილად საზოგადოებრივი სისტემის რაციონალურობაზეა დამოკიდებუ-  
ლი (Мамардашвили, 1984, сс. 55-58).

კაპიტალიზმზე პროტესტანტული ეთიკის ზეგავლენის მაქს ვებუ-  
რის კონცეფციიდან (Вебер, 1994, сс. 237-242) გამომდინარე ადამიანის  
ეკონომიკური ქცევა და ეკონომიკური ცნობიერება ენდოგენურად ეკო-  
ნომიკური სისტემიდან, ხოლო ეკოგენურად ეროვნული, ეთიკური, რე-  
ლიგიური და იდეოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე განისაზღვ-  
რება (Автономов, 1997, с. 6).

რადგანაც ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პრო-  
ცესში ერთი ეკონომიკური სისტემა მეორეთი იცვლება, ამდენად სა-  
კითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართებაშია ამ პროცესთან Homo eco-  
nomicus-ი ლოგიკურად წამოიჭრება.

## § V2. Homo transformativus-ი და პოსტსაკმოსანი

პრაქტიკულად ნებისმიერ ეკონომიკურ პროცესში, როგორც ზემოთ  
აღინიშნა, გადამწყვეტ როლს ადამიანის ფაქტორი ასრულებს. საზოგა-  
დოებაში გავრცელებული ეკონომიკური (და არა მარტო) აზროვნების  
ზეგავლენა ეკონომიკურ რეფორმებზე ძალზედ დიდია (ხადური, 2002).

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის საბჭოური გამოცდილების თა-  
ნახმად მბრძანებლურ ეკონომიკაში Homo soveticus-ის ტიპი იქნა ჩამო-  
ყალიბებული და, ბუნებრივია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის  
პროცესის დაწყება სწორედ მას მოუხდა (Бузгалин, 1994, сс. 250-253).

Homo soveticus-ი Homo economicus-ისაგან აღამიანის პრინციპულად განსხვავებული ტიპია<sup>1</sup>. ამასთან, თუ Homo economicus-ის პრობლემას არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა აქვს მიქცენა, Homo soveticus-ი კუბლიცისტიკის სფეროს დიდად არც გასცდენია.

სამართლიანობა მითხოვს აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი საყურადღებო მოსასრების თანახმად რუსული ეკონომიკური სკოლისათვის დამახასიათებელია სასოგადოებრივი მიდგომის პრიმატის აღიარება ინდივიდის ქცევასა და შესაბამის მოტივაციაზე, რის შედეგადაც რუსული მსოფლმხედველობა პრინციპში უარყოფს Homo economicus-ის კონცეფციას; იმავე მოსასრების თანახმად ვლადიმერ ლენინმა თავის მოძღვრებაში ასახა რუსული ეკონომიკური აზრის ტრადიციები (Абалкин, 2000, с.15). ამგვარი მიდგომის გაზიარების შემთხვევაში “იძულებული” ვიქნებით ვაღიაროთ, რომ Homo soveticus-ი, უწინარეს ყოვლისა, რუსული მსოფლმხედველობითი სისტემის პროდუქტია.

Homo soveticus-ის დასახასიათებლად, როგორც წესი, მისი სახელმწიფოსთან მიმართება გამოიყენება. კერძოდ, ერთის მხრივ ის არის აღამიანის ტიპი, რომლის უფლებები სახელმწიფოს მხრიდან ყოველნაირად ითრგუნება, ხოლო მეორეს – კი მისი კეთილდღეობა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოზეა დამოკიდებული, ანუ იმაზე, თუ მისი ელემენტარული ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო აპარატში მომუშავე მოხელე რამდენად მოწკალე აღმონდება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოსტკომუნისტური გზა შეიძლება გაანალიზებულ იქნეს, როგორც Homo soveticus-იდან Homo econo-

---

<sup>1</sup> აღინიშნაეია, რომ Homo economicus-ის ამერიკული სახე(ველილება შესაბამის ლიტერატურაში Homo Americanus-ის სახელწოდებითაა ცნობილი (Luttwak, 1999, p. 207).

micus-სე ტრანსფორმაციის პროცესი (პაპავა, 1995ბ; Papava, 1996A, pp. 260-262; 1996B, pp. 307-309; 1999, pp. 281-283; Papava, Chikovani (ed.), 1997, pp. 9-11; Папавა, 1999, сс. 61-62; Рывкина, 1998, сс. 260-280).

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, ნაწილობრივ პრივატიზაციის, ხოლო უმთავრესად კი ახლადშექმნილი კერძო სტრუქტურების ბაზაზე თანდათანობით Homo economicus-ის ტიპიც გამოიკვეთა, მაგრამ ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ პოსტკომუნისტური საზოგადოების უმრავლესობას არ შეადგენენ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ “ამინდს” ვერ ქმნიან. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის საზოგადოებაში უმრავლესობას ადამიანის ისეთი ტიპი წარმოადგენს, რომელსაც სახელმწიფოსი ჯერ კიდევ, თუნდაც ქვეცნობიერად, ეშინია, მისგან დახმარებას ელის, თემცა იმავდროულად ქმედების თავისუფლებას, საზოგადოების დემოკრატიულ მოწყობას მოითხოვს. ასეთი ადამიანი, ანუ Homo transformativus-ი (პაპავა, 1995ბ; Papava, 1996A, pp. 260-262; 1996B, pp. 307-309; 1999, pp. 281-283; Papava, Chikovani (ed.), 1997, pp. 9-11; Папавა, 1999, сс. 61-62) პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის უმთავრესი მიმდრავებელი ძალაა (Суландеридзе, 2002)<sup>2</sup>.

Homo transformativus-ი მეწარმეობაში იქნეს განსაკუთრებულ ყურმას, რომლის ფესვები მბრძანებლურ ეკონომიკაში ძვეს.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის პირობებშიც კი საბაზრო ეკონომიკა (უფრო სწორედ კი მისი ცალკეული ელემენტები) სრულად გამორიცხული არ იყო. ის სახემწიფოს მიერ იმდენად ძლიერად იყო დათრგუნული, რომ მხოლოდ “ნრდილოვან” სექტორში არსებობდა (Шохин, 1989, сс. 57-83). კომუნისტური ტიპის ეკონომიკის საწარმოთა არცერთ

<sup>2</sup> საზოგადოების ტრანსფორმაციულ პროცესში მეოფი ადამიანის ადაპტაციურ ფუნქციაზე აქცენტირებისას ტერმინი – Homo adaptivus-ი შეიძლება იქნეს გამოყენებულ: (ჭიუშიელი, 2001, გვ. 53).

დირექტორს (იშვიათი გამონაკლისის გარდა) პრინციპში არ შეუძლო ისე გაძლოლოდა საწარმოს, რომ არსებული კომუნისტური რეჟიმის მიერ დამკვიდრებული კანონები არ დაერღვია, რაც ცალკეულ შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკის ელემენტების გამოყენებაში მდგომარეობდა და რის გამოც ეს საქმიანობა ე.წ. ჩრდილოვან სექტორს განეკუთვნებოდა. მიუხედავად ამისა, კომუნისტური ტიპის ეკონომიკაში საწარმოთა დირექტორები ვერ ჩამოყალიბდნენ და პრინციპულად ვერც ჩამოყალიბდებოდნენ საბაზრო ეკონომიკის ტიპის მეწარმეებად, რადგანაც მათი ქცევა სწორედ კომუნისტური სისტემის მარწუხებში იყო მოქცეული.

ამით იმის ახსნა შეიძლება, რომ კომუნისტური ტიპის ეკონომიკის პირობებში საწარმოთა დირექტორების საბაზრო ტიპის ქცევა “საქმოსნობად” (და არა “მეწარმეობად”) იყო მონათლული და ისინი “საქმოსნეობად” (და არა “მეწარმეობად”) (რუსულად “дельцы”, და არა “предприниматели”) იყვნენ ცნობილნი.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკის მსხვერვეის შემდეგ საქმოსნებმა ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო სექტორში არსებულ საწარმოთა დირექტორებად მოახერხეს დარჩენა, ხოლო მათი პრევატიზაციის პირობებში გამოიყენეს რა შრომითი კოლექტივების უფლებები, ამ საწარმოთა მესაკუთრენი გახდნენ (Ослунд, 1996А); ამასთან, მიუხედავად იმისა ჰყავთ თუ არა დაქირავებული მენეჯერები, ისინი მაინც თავისი “საქმოსნური ჭკუით” ცდილობენ (განსაკუთრებით პოსტპრევაზიციის პერიოდის საწყის ეტაპზე) საწარმოს გაძლოლას (Сулаберидзе, 1998).

ისევე როგორც Homo transformativus-ი ჯერ-ჯერობით Homo economicus-ი არ არის, ასევე ყოფილი საქმოსნები მეწარმეები ვერ გახდებოდნენ. აქედან გამომდინარე პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკაში Homo transformativus-ი სამეწარმეო სფეროში პოსტსაქმოსნის



(რუსულად – “постдельцы”, ინგლისურად – “Post-Deltsi”, რადგანაც ეს მოვლენა უშუალოდ საბჭოური წარმოშობისაა) ტიტულს იძენს (Papava, Khaduri, 1997, pp. 28-29; Папавა, Хадური, 2000, сс. 143-147).

Homo transformativus-ის Homo economicus-ით, და შესაბამისად, პოსტ-საქმოსნის მეწარმით ჩანაცვლება საკმაოდ რთული პრობლემაა და ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს. ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტი განხილული ქვემოთ იქნება.

## ✓ ტაპი VI. საბაზრო თანასწორობის დოქტრინა

... არსად მსოფლიოში არ არსებობს იხეთი ღრმა უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის, არსად მდიდრები ისე არ მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები არ ღარიბდებიან, როგორც იმ სოციალურ სისტემაში, სადაც აკრძალულია თავისუფალი ბაზარი.  
*მილტონ და როუზ ფრიდმენები*

ადამიანები თავისუფლები და არათანასწორნი იბადებიან.  
*გრანტ ალენი*

დემოკრატია – ეს უთანასწორობის განმტკიცების საუკეთესო ხერხია.  
*გენადი მალკინი*

### § VI.1. თანასწორობის გაგება თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თანასწორობის რაიმე ერთიანი, განზოგადებული და ამასთან ყველასათვის ერთნაირად მისაღები განმარტება არ არსებობს. ადამიანებს შორის თანასწორობის რამოდენიმე ასპექტს განარჩევენ: თანასწორობა ღმერთის წინაშე, შესაღებლობათა თანასწორობა და შედეგების თანასწორობა (Фридман, Фридман, 1990, сс. 69-92).

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ტერმინი “თანასწორი” გაგებულნი არ უნდა იქნეს, როგორც “ერთნაირი” (Фридман, Фридман, 1990, сс. 74, 78-79); “ერთნაირი” ყოველთვის “თანასწორია”, მაგრამ “თანასწორი” მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება იყოს “ერთნაირი”.

ცნობილია, რომ ადამიანების აბსოლუტური თანასწორობა პრინციპულად შეუძლებელია (მაგალითად, Сорокин, 1992, сс. 252-253), რადგანაც ისინი ერთმანეთისგან ფიზიკური მონაცემებით, შესაძლებლობებითა და ნიჭიერებით განსხვავდებიან, ანუ ბუნებიდან გამომდინარე არიან განსხვავებულები (фон Минес, 1994, с. 56); იმავედროულად ადამიანები როგორც პიროვნებები არიან თანასწორნი, ანუ ისინი ღმერთის წინაშე არიან თანასწორნი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი საკუთარი თავის პატრონია იმის გათვალისწინებით, რომ ის სხვა ადამიანების ამავ უფლებას არ დაარღვევს (Фридман, Фридман, 1990, сс. 71-72).

შესაძლებლობათა თანასწორობის განმარტება საკითხის ამგვარი დასმიდან უშუალოდ გამომდინარეობს (Фридман, Фридман, 1990, с. 75), რომლის თანახმადაც არცერთ ადამიანს არა აქვს უფლება სხვას სასურველი მიზნების მისაღწევად საკუთარ შესაძლებლობათა გამოყენებაში შეუშალოს ხელი (Фридман, Фридман, 1990, с. 70); ეს შესაძლებლობები კი მხოლოდ და მხოლოდ თითოეული ადამიანის ნიჭიერებიდან გამომდინარე, წარმოშობის, ეროვნების, კანის ფერის, სარწმუნოების, სქესისა და სხვა მსგავსი ფაქტორისგან დამოუკიდებლად უნდა განისაზღვროს (Фридман, Фридман, 1990, с. 75).

ღმერთის წინაშე თანასწორობა და შესაძლებლობათა თანასწორობა პრაქტიკულად კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის რეა-

ლიზებითაა მიღწეული (Фридман, Фридман, 1990, с. 75), როცა საზოგადოების თითოეულ წევრს შესაძლებლობა ექნება დემოკრატიულ ინსტიტუტებში მიიღოს მონაწილეობა და რის შედეგადაც საზოგადოებრივი თანხმობა უნდა დაჰქარავს (Фон Мизес, 1994, с. 56).

შედევების (უფრო ზუსტად კი საბოლოო შედეგების) თანასწორობის იდეა განსაკუთრებით პოპულარული მეოცეუ საუკუნეში ხდება (Фридман, Фридман, 1990, сс. 70-78). დღეს, როგორც წესი, თანასწორობის ცნებაში შექმნილი დოვლათის საზოგადოების წევრებსე სამართლიანი განაწილება იგულისხმება (Мэнкис, 1999, с. 31). აქ სახი იმ გარემოებას უნდა გაესვას, რომ “სამართლიანი განაწილება”, თავის მხრივ, საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა, რომლის განმარტებაც არა თუ ძალედ რთულია, შეუძლებელიც კია, და მისი შინაარსი მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკულად იმ არარეალური ვარიანტის შემთხვევაშია ნათელი, როცა საზოგადოების ყველა წევრი “ერთნაირ წილს” მიიღებს, რაც მათ მიერ აღქმული იქნება როგორც “სამართლიანი წილი” (Фридман, Фридман, 1990, с. 79).

შედევების თანასწორობის განმარტებებისადმი სხვადასხვა მიდგომის განზოგადების საფუძველზე შეიძლება დაგასკვნათ, ამ ცნების ქვეშ არა იგივერი ტოლობა, არამედ ამა თუ იმ ინდივიდის დამსახურების მიმართ დოვლათის პროპორციულობა იგულისხმება (Сорокин, 1992, с. 253). წვენი აზრით, შედეგების თანასწორობის ამგვარი განმარტება თავის თავში შენიღბული სახით განუზღვრელობას ევლავ მოიცავს. “პროპორციული განაწილების” ცნების განმარტება არანაკლებ რთული ამოცანაა, ვიდრე სემით მოყვანილი “სამართლიანი განაწილების” ცნების განმარტებაა.

თანასწორობის იდეა თანამედროვე ეკონომისტების მიერ საკითხის თეორიული შესწავლის დროს, როგორც წესი, შესაძლებლობათა თანასწორობამდე დაიყვანება (Roemer, 1996, p. 179). მიუხედავად ამისა, რეალურად აღამიანებისათვის თანასწორობა უწინარეს ყოვლისა შემოსავლები და საკუთრების თანასწორობაა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ თითოეული თბივატელისათვის სახოგადოების რეფორმირება დოვლათის ისეთი გადანაწილების განხორციელებაა, რომლის მიზანი შემოსავლებისა და საკუთრების განაწილებაში თანასწორობის აღდგენაა (Фон Минц, 1994, с. 177)<sup>1</sup>. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ არანაირი გზა (მათ შორის ტერორიც კი) არ არსებობს, რომელიც საბოლოო ჯამში სახოგადოებაში შედეგების თანასწორობას დაამყარებდა (Фридман, Фридман, 1990, с. 80). ამან კი იმის განწყობა შექმნა, რომ ცხოვრება არასამართლიანია, რომ სასულმწიფოს არ ძალუძს უთანასწორობა აღმოუხერას (Фридман, Фридман, 1990, с. 82), რომ ეს უთანასწორობა იქნება :ოფლოვის (Хайнек, 1990, с. 106). შედეგების თანასწორობა ეთიკური პოსტულატია, რომელიც მსოფლიო სუბიექტურად შეიძლება იქნეს შეფასებული (Фон Минц, 1994, с. 280).

პრაქტიკულად აღიარებულია, რომ აღამიანებს შორის უთანასწორობა ბასრიდან, როგორც კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკური საფუძვლიდან გამომდინარეობს (Фридман, Фридман, 1990, с. 82), ამ დებულების უტყუარობაში არა მარტო კარლ მარქსი და მისი (შეგნებული. თუ შეუგნებული) მიმდევრები – კომუნისტები იყვნენ დარწმუნებულნი,

---

<sup>1</sup> ამკვარი რეფორმების უსუსურობა მათი პერმანენტული გატარების აუცილებლობაში ელინდება. რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკას ანადგურებს: თანასწორობის აღდგენის შემდეგ ერთი თავის წილის გაყოფანგავენ. მეორე კი გამდიდრდებიან. რაც დღის წესრიგში თანასწორობის აღდგენის ამოცანას კვლავ დააიყენებს და ა.შ.: ბუნებრივად, რომ მუდმივი გამოთანასწორების პირობებში მას ვინც ვაშფლანგველია ქვეყის შეცვლის, ხოლო მას ვინც მომჭირნეა და შრომისმოყვარე ამ თვისებების შენარსუნების არანაირი ხტამული არ ექნება (Фон Минц, 1994, с. 177).

არამედ ეს დებულება, შეიძლება ითქვას, თანამედროვე დასავლური ეკონომიკური მსოფლმსკდველობის მიერაც არის ჭკმმართვების რანგში აყვანილი. ამის საეკეთესო დასტურს ეკონომიქის თანამედროვე სახელმძღვანელოები წარმოადგენენ. კერძოდ, კერძოდ რ. მაკკონელისა და სტენლი ლ. ბრიუს ა'სრით, ბა'ხარი უგრძნობელი, გულგრილი მექანიზმია, მას არ გაანნია სინდისი, არ ცნობს მორალურ ნორმებს, რაც შემოსავლების უთანასწორობის<sup>2</sup> მაღალ დონეს განაპირობებს (Макконелл, Брис, 1992, Т. 2, с. 279); პოლ ა. სამუელსონისა და უილიამ დ. ნორდჰაუსის შეფასებით შესაძლებლობათა თანასწორობა – ეს მსოფლ თანამედროვე დემოკრატის დამაზი სიტყვებია, ხოლო რეალობაში საბა'ხრო ეკონომიკა ხელ სხვა რამის დემონსტრირებას ასდენს, რაც აღამიანთა ერთი ჯგუფის სიმდიდრესა და მეორე ჯგუფის ხიდარბეში გამოიხატება (Самуэлсон, Нордхаус, 1999, с. 399); ნ. გრეგორი მენქიუ აღნიშნავს, რომ ბა'ხარი სიმდიდრეს არათანაბრად ანაწილებს, რომ უთანასწორობა კაპიტალიზმის შედეგია, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ აღამიანები თანასწორნი არც კომუნისტურ ქვეყნებში არიან<sup>3</sup>, რამეთუ უთანასწორობის საფუძველი ამ ქვეყნების პოლიტიკური სისტემითაა განპირობებული (Мэнкисо, 1999, сс. 246-247)<sup>4</sup>.

თანასწორობის პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა მისადმი ყურადღებას კიდევ უფრო ამძაფრებს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია

<sup>2</sup> განვითარებული საბა'ხრო ეკონომიქის მქონე ქვეყნებში შესობალების განაწილების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ იხ., მაგალითად (Atkinson, 1998). აქვე იხილეთ უნდა აღინიშნოს, რომ შესობალების უთანასწორობის სეგაყენა ეკონომიკაზე მის სეგადასეგა კარამქრზე ხაქმოდ რთული და მრავალასეგაქიანი პრობლემა (მაგალითად, Furman, Stiglitz, 1998, Limbeck, 1998).

<sup>3</sup> იხ., მაგალითად, (Milanovic, 1998, pp 12-22).

<sup>4</sup> ყოველივე თქვლიდგან გახაკერი არ უნდა იყოს, რომ ეკონომიქის თანამედროვე სახელმძღვანელოები (Макконелл, Брис, 1992, Т. 2, რ., 37; Фитчер, Дорнбуш, Миланович, 1993, რ., 20; Самуэлсон, Нордхаус, 1999, რ., 20; Мэнкисо, 1999, რ., 20), რომ არაყერი ვეკვათ ეკონომიკური განვითარების (Naltziger, 1997, ch. 6; Топаро, 1997, რ., 5), ან შრომის ეკონომიქის (Дженсен, Смут, 1996, რ., 15) სახელმძღვანელოებზე უდოდეს ყურადღებას სწორედ შესობალების უთანასწორობის პრობლემის გაშეგებას უთმობენ.

ციის პროცესში მყოფ ქვეყნებში, რადგანაც სწორედ ობიექტულისაივის (რომელიც, სამწუხაროდ, ნებისმიერი სასოგადოების უმრავლესობას შეადგენს) ძნელად აღსაქმელია, თუ საბაზრო სისტემაში თანასწორობის პრინციპი რამდენად იქნება დაცული<sup>5</sup>.

მაშასადამე, იმის გაანალიზება აუცილებელი, ბაზრის მექანიზმი თანასწორობის იდეას მართლაც გამორიცხავს თუ არა, თუ ის მხოლოდ შედეგების თანასწორობის პრინციპს უარყოფს. ამ პრობლემის ხიდრმისეული გააზრება შესაძლებელს გახდის ისეთი თეორიული და პოლიტიკური კონსტრუქციის – საბაზრო თანასწორობის დოქტრინის (პაპავა, 1999ბ; Panaba, 1999, 2001E) ჩამოყალიბებას, რომელსაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

როგორც ცნობილია, ეკონომიკურ თეორიაში ბაზრის ორ სახესხვაობას განასხვავებენ: თავისუფალსა და რეალურს (ანუ ოპერაციულს). მართალია, პირველი მათგანი მხოლოდ აბსტრაქტიაა, ბაზრის, როგორც ასეთის კანონსომიერებააა მეცნიერული კვლევის მიზნებისათვის გამოკრისტალიზებული თეორიული კონსტრუქციაა (თუმცა, ამ თეორიული კონსტრუქციის პრაქტიკაში ყველაზე უფრო მეტად დაახლოებული მოდელი ტურბო-კაპიტალიზმის სახელითაა ცნობილი (Luttwak, 2002)), მაგრამ სწორედ ამიტომ საბაზრო თანასწორობის საწყისი ცნება უწინარეს ყოვლისა ამ იდეალური მოდელის საფუძველზე უნდა იქნეს გამოკეთილი.

ამასთან, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ეკონომიკურ თეორიაში დამკვიდრებული ზემოხსენებული ბაზრის ორი სახესხვაობა (ანუ

---

<sup>5</sup> პრობლემის სიმწვავეს ისიც ზრდის, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, განსაკუთრებით კი მის საწყის ეტაპზე, შემოსავლების განაწილების უთანასწორობა მნიშვნელოვნად თვალში ხაჭუში სდება (Milanovic, 1998, pp. 40-59).

თავისუფალი და რეალური) ბაზრის ტიპების მრავალფეროვნებას სრულად ვერ ასახავს: რეალური ბაზრის კატეგორიიდან კ.წ. “ფსევდორეალური ბაზრის” კატეგორია უნდა გამომიჯნოს, რამეთუ ამ უკანასკნელში უნდა ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფოს “ხილული ხელი” იდეალურად მოქმედებს, მაშინ როცა რეალურ ბაზარში ფიასკოს როგორც ბაზარი, ისე სახელმწიფოც განიცდის; ეს საკითხი უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

## § VI.2. საბაზრო თანასწორობა თავისუფალი ბაზრის პირობებში

ყველაზე უფრო რელიეფურად, თავისუფალი ბაზრის არსებითი ნიშნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს (იხ. მაგალითად, Лившиц, 1991, сс. 5-6):

1. ბაზარზე მიედევლებისა და გამყიდველების აბსოლუტურად დაუბრკოლებელი შესვლა და გამოსვლა, რაც კონკურენციაში მონაწილეთა შეუსილუდავ რაოდენობას უზრუნველყოფს;
2. რესურსების (შრომითი, მატერიალური, საფინანსო) აბსოლუტური მობილურობა;
3. თითოეული კონკურენტის მიერ საბაზრო ინფორმაციის (ანუ ინფორმაცია მოთხოვნა-მიწოდების, ფასების შესახებ და სხვ.) სრული მოცულობით ფლობა;
4. ერთსახელა პროდუქტების აბსოლუტური ერთგვაროვნება და განურჩევლობა (რაც სავაჭრო ნიშნებისა და საკონ-



ლის ხარისხის ნებისმიერი ინდივიდუალური მახასიათებლების გამოყენებას გამორიცხავს);

5. ნებისმიერი კონკურენტის მხრიდან ბაზრის სხვა მონაწილეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სუბაქლენის შეუძლებლობა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, ამგვარი სისტემა ეფუძნება პრინციპს “Laissez-Faire” (“Let it be”), რის შედეგადაც ურთიერთობა მეწარმეებს შორის, მეწარმეებსა და მომხმარებლებს შორის, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შეთანაწყობა ხდება ადამ სმითისეული “უხილავი ხელის” საშუალებით, და რაც შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც “უხილავი ხელის” ეფექტიანობის თეორემა (Bapp, 1997, cc. 72-73).

თავისუფალი ბაზრის შემომოყვანილი ნიშნების საფუძველზე უნდა გავაანალიზოთ, თუ ბაზრის თითოეული აგენტი რამდენადაა თანასწორი, რამდენად თანასწორ პირობებში არიან ისინი ერთმანეთთან მიმართებაში.

თავისუფალი ბაზრის პირველი ნიშნის მიხედვით ბაზარზე შესულისა და გამოსვლის თვალსაზრისით ყველა მყიდველი და გამყიდველი თანასწორ მდგომარეობაშია, რადგანაც ამის გაკეთება აბსოლუტურად დაუბრკოლებლად თითოეულ მათგანს შეუძლია. მაშასადამე, თავისუფალი ბაზრის პირობებში ბაზარზე ყოფნის თვალსაზრისით ყველა მყიდველი და გამყიდველი აბსოლუტურად თანასწორია.

რესურსების აბსოლუტური მობილურობაც ბიზნესის სახეობის ბაზრით ნაკარნახევი ცვლილების გატარების შესაძლებლობის თვალსაზრისით თავისუფალი ბაზრის აგენტებს თანასწორ მდგომარეობაში აყენებს.

ოითოუკული კონკურენტის მიერ საბაზრო ინფორმაციის სრული მოცულობით ფლობაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ბაზრის აგენტების *თანასწორობის* თვალსაზრისით, რაც არასრული ინფორმაციის გამო მათ მიერ მცდარი ქმედებების შესაძლებლობას გამოორიცხავს.

ერთსახელა პროდუქტების აბსოლუტური ერთგვაროვნება და განურსევლეობა ყველა მწარმოებელს (ბაზარზე საკუთარი ერთი და იმავე სახეობის პროდუქციის რეალიზებისას) და ყველა მომხმარებელს (ამ პროდუქციის შექენის მიზნით სწორი არჩევანის გაკეთებისას) ასევე *თანასწორ* მდგომარეობაში აყენებს.

რაც შეეხება თავისუფალი ბაზრის ბოლო, მეხუთე ნიშანს რადგანაც არც ერთ კონკურენტს იმის შესაძლებლობა არა აქვს, რომ ბაზრის სხვა მონაწილეების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა იქონიოს, ამიტომ ბაზრის ყველა აგენტი გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით *თანასწორია*.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, თავისუფალი ბაზარი მასში მონაწილე აგენტების შესაძლებლობათა სრული თანასწორობის მოდელია, ანუ საბაზრო თანასწორობა თავისუფალი ბაზრის პირობებში მისი ყოველი აგენტის ბაზარზე ყოფნის, ბიზნესის სახეობის შეცვლის, სრული საბაზრო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ერთი და იგივე სახეობის პროდუქციის წარმოებისა და შექენის, და გადაწყვეტილებათა მიღების თანასწორ შესაძლებლობებს ნიშნავს. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი ბაზარი შესაძლებლობათა თანასწორობის სისტემაა (Фридман, Фридман, 1990, с. 95).

ბუნებრივია, რომ საბაზრო თანასწორობის პრაქტიკული რეალიზება საბაზრო წონასწორობის პირობებში მიიღწევა, ანუ მაშინ, როცა

ამ თანასწორობის ყველა შესაძლებლობა სრულად იქნება გამოყენებული.

რადგანაც თავისუფალი ბაზარი მხოლოდ და მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა, ამიტომ საბაზრო თანასწორობა იდეალური ბაზრის პირობებში ის იდეალური მდგომარეობაა, რომლისკენაც ბაზრის სახელმწიფო რეგულირება უნდა ისწრაფოდეს.

### § VI.3. საბაზრო თანასწორობა ფსევდორეალური ბაზრის პირობებში

თავისუფალი ბაზრის მოდელის მიმზიდველობის მიუხედავად, მას რამოდენიმე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა არ ძალუძს, რაც ბაზრის ფიასკოს სახელწოდებითაა ცნობილი (მაგალითად, Дюган, Линдсей, 1992, сс. 92-96). ამ პრობლემათაგან, უწინარეს ყოვლისა, ძირითად სამს გამოყოფენ (Жившиц, 1991, сс. 5-6):

1. გარე ეფექტების (ექსტერნალიების) თავიდან აცილება;
2. საზოგადოებრივი (და კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილის) წარმოება;
3. ეკონომიკის საჭირო ფულის მასით უზრუნველყოფა.

გარე ეფექტი, ანუ ექსტერნალია, თავის ბუნებით ერთი ადამიანის საქმიანობის სხვათა კეთილდღეობაზე სუბიექტურად ნიშნავს. ეს ეფექტი შეიძლება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი იყოს. კერძოდ, როცა ადამიანი თავისი სახლის ფასადის გაღამაზებაზე იღებს გადაწყვეტილებას, ბუნებრივია ამას შედეგად სხვებზე დადებითი გარე ეფექტი მოჰყვება, ვინაიდან ისინი ღამაზი შენობის ხილვით ესთეტიკურ სი-

მოყვებას მიიღებენ; ამ მაგალითის საწინააღმდეგოდ, – ქიმიური წარმოების შემთხვევაში ბუნებაზე მოყვებული ზარალის შედეგად ადამიანის კეთილდღეობაზე მოქმედი უარყოფითი გარე ეფექტი იქმნება.

ორივე შემთხვევაში ბაზარზე მყოფი აგენტების თანასწორობის პრინციპი ირღვევა:

- პირველ შემთხვევაში ის ზარალდება, ვისი საქმიანობის შედეგადც დადებითი გარე ეფექტი იქმნება, რადგანაც სხვებზე (გადანაწილებული) პოზიტიური ზეგავლენა მათ მიერ ეფექტური მცდელობის გარეშე მიიღება;
- მეორე შემთხვევაში კი ეველა ის ზარალდება, ვინც უარყოფით გარე ზეგავლენას განიცდის, რამეთუ ის ვინც უარყოფით გარე ეფექტს ქმნის (მაგალითად, ქიმიური წარმოების სახით) სათანადო ეკონომიკურ სარგებლობას მაშინ იღებს, როცა ამით სხვა დანარჩენის მდგომარეობა ზიანდება.

იმისათვის, რომ გარე ეფექტებით გამოწვეული უთანასწორობა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, ბაზრის საქმიანობაში სახელმწიფო ერევა, რადგანაც თავად ამ პრობლემის საკუთარი ძალებით გადაწყვეტის შესაძლებლობა ბაზარს არ გააჩნია. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია ორი მეთოდით იმოქმედოს: ადმინისტრაციული რეგულირებითა და გარე ეფექტის ინტერნალიზებით.

პირველი მეთოდის თანახმად მართვის სპეციალურ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია ან რომელიმე კონკრეტული უარყოფითი გარე ეფექტი საერთოდ აკრძალოს (მაგალითად, ქიმიური ნარჩენების მოხვედრა სასმელი წყლის მიწოდების სისტემაში და ასეთი ქმედების დანაშაულის რანგში აყვანა), ან მისი ზეგავლენა დააქსოს (მაგალითად,

თითოეული სახეობის ქიმიური საწარმოსათვის ქიმიური ნარჩენისათვის მაქსიმალური ზღვარის დაწესება).

მეორე მეთოდის მიზანი კი ისეთი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებაში მდგომარეობს, რაც გარე ეფექტების შემქმნელი ინდივიდების მხრიდან მათ შიდა ეფექტებში გადაყვანას გამოიწვევს, როცა ისინი თავიანთ საქმიანობაში იძულებულნი იქნებიან გარე ეფექტები გაითვალისწინონ. უარყოფითი გარე ეფექტების ინტერნალიზებისათვის ამ ეფექტების ეოველ ერთეულზე (მაგალითად, ეოველ ერთ ტონა ქიმიურ ნარჩენზე) სპეციალური გადასახადები გამოიყენება და რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში პიგუს გადასახადების სახელწოდებითაა ცნობილი; დაბეგვრის ამ სისტემის პირობებში უაყოფითი გარე ეფექტის წარმომქმნელს ამ ეფექტის შემცირების შიგა სტიმული ექნება. რაც შეეხება დადებითი გარე ეფექტების ინტერნალიზებას, ამ მიზნით სახელმწიფოს შეუძლია სუბსიდირების მექანიზმი ამოქმედოს, რაც ამ ეფექტის წარმომქმნელს შიგა სტიმულს მისცემს – ის არ შეამციროს.

გარე ეფექტით გამოწვეული უთანასწორობის შემცირების ხსენებული მეთოდების გამოყენებით უთანასწორობის სიმწვავეს სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ამცირებს, მაგრამ სრულ თანასწორობას მაინც ვერ აღწევს.

თავისუფალ ბაზარს, როგორც ზემოთ აღინიშნა სასოგადოებრივი დოვლათის წარმოება არ ძალუძს, რადგანაც ის არაკონკურენტულია (ანუ წარმოების მოცემული დონის პირობებში დამატებითი მოხმარების ზღვრული დანახარჯი ნულის ტოლია) და არაგამორიცხვადი (ანუ შეუძლებელია ადამიანების გამორიცხვა მოხმარებიდან). სასოგადოებრივი დოვლათის ბუნებიდან გამომდინარე ადამიანებს დოვლათით შეუძლიათ ისე ისარგებლონ, რომ მის წარმოებაზე რაიმე ხარჯი არ

გახწონრ. მასხადამე, ხაზოგადოებრივი დოკლათი დადებითი გარე ეფექტის მატარებელია, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, თავის მხრივ, ადამიანთა უთანასწორობას განაპირობებს.

ხაზოგადოებრივი დოკლათის მოცემული ბუნება იმას განაპირობებს, რომ კერძო სექტორს მისი წარმოების უმეტესი ინტერესი არა აქვს და ამიტომ ამის განხორციელება სახელმწიფო სექტორს უხდება.

არაგამორიცხვადი, ან არაკონკურენტული დოკლათი (მაგალითად, ქუჩები და ავტომაგისტრალები, პილაცია და სახანძრო დაცვა, ბიბლიოთეკები და მუზეუმები, და ა.შ.) კვაზისაზოგადოებრივი დოკლათის სახელწოდებითაა ცნობილი (მაგალითად, Makrouleou, სპო, 1992, T. 1, c. 100); ის პრინციპში შეიძლება კერძო სექტორის მიერ იქნეს წარმოებულ, მაგრამ ეს სათანადო დონით დადებითი ეფექტის გარეშე გადაადინების გამო არ მოხდება, რაც სახელმწიფო სექტორს კვაზისაზოგადოებრივი დოკლათის წარმოებაში ჩართვას აიძულებს<sup>6</sup>.

საზოგადოებრივი (და კვაზისაზოგადოებრივი) დოკლათის წარმოებისას სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპი თანასწორობაა: ეს დოკლათი საზოგადოების ყველა წევრისათვის თანასწორად სელმისაწვდომი უნდა იყოს.

განსაკუთრებულნი აღნიშვნის ღირსი საზოგადოებრივი დოკლათის ისეთი ნაირსახეობაა, როგორიც, ეგალიტარული დოკლათია, ანუ სოციალური ხიმშივლე, რომელიც მოსახლეობის ნაკლებად უსრუნველ-

<sup>6</sup> ეს მოვლენა "ფრიალდერის" (free-rider – უყავს ხარჯებლობა) პრობლემის სახელწოდებითაა ცნობილი (მაგალითად, Makrouleou, სპო, 1992, T. 1, c. 100; Φωστερ, Διονისი, Ψαλათი, 1993, c. 64).

<sup>7</sup> კვაზისაზოგადოებრივი დოკლათის ნაირსახეობას საკლები დოკლათი წარმოადგენს, ხადაც კლები მოთახრება, როგორც წილობრივი მონაწილეობის გსით სავროთ ხარჯებლობის მოხდებზე ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. საკლები დოკლათი თავისი ბუნებით საზოგადოებრივია (რამეთუ მისით კლების ყველა წევრი ერთნაირად ხარჯებლობს), მაგრამ კლების წევრობისათვის დაწესებულ მოსაკრებელი, ან სხვა შენატანი და სხვა შესადლო შეხედულები შესადლებელს ხდაან, რომ ეს დოკლათი კლების კოლექტივში იქნეს დოკალონებელი, რაც პრინციპში ამ დოკლათის წარმოებაში სახელმწიფო სექტორის ჩართვის აუცილებლობას გამოიციხავს (Cornes, Sandler, 1996, pp 33-34).

ყოფილი ფენებისათვის გაწეული დახმარებით მიიღწევა<sup>3</sup> (Papava, 1993, pp. 58-60; 1994, pp. 39-40; Папавა, 1993Б, сс. 36-37). ამ დახმარების ხაფიქველს სოციალური დაცვის სახსრები (შემწეობები) წარმოადგენს, რომლებიც შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილების გზით იქმნება. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო ღირებულებაში ამ მიზნით გაწეული ტრანსფერტული გადასახდელები არამწარმოებლურ გარიგებებზეა კვალიფიცირებული (Макконнелл, Брис, 1992, Т. 1, с. 118).

როგორც ცნობილია საბაზრო მექანიზმს, ისევე როგორც არასაბაზროს (Фридман, Фридман, 1990, с. 96) დიდი ქონებრივი უთანაბრობა შეუძლია წარმოშვას, რაც შემოსავლის განაწილების მექანიზმის მოქმედების შედეგია: მსხვილი კაპიტალისა და მიწის ფართობების მფლობელებს, მაღალ ხელფასიან დაქირავებულ მუშაკებს (მათი შრომის იშვიათობის გამო), დიდი ოდენობით მემკვიდრეობამიღებულ ხალხს შემოსავლის მაღალი დონე აქვს; მაგრამ საზოგადოება ისეთ ადამიანებსაც მოიცავს (ხანდაზმულებს, უმუშევრებს და ა. შ.), რომლებსაც საბაზრო სისტემის ფარგლებში ან ძალიან მცირე შემოსავლები აქვთ, ან იგი საერთოდ არა აქვთ. სახელმწიფო გადასახადებისა და გადასახდელების მობილიზაციის ხარჯზე, ტრანსფერტული გადასახდელის გზით ეველას. ვინც სოციალურ დაცვას საჭიროებს შემწეობას აძლევს.

სახელმწიფოს ეს ქმედება საბაზრო ეკონომიკის პირობებში არათანაბარი შემოსავლების უზრუნველყოფის (რაც ევალტარისმის კონცეფციის არსია), ან სოციალისმის სხვა მიზნების მიღწევის აუცილებლობით, არამედ შემოსავლების უთანაბრობის შემცირების გზით საზოგა-

<sup>3</sup> ევალტარული დოქტრინა ევალტარისმის კონცეფციაში, რომელიც შედეგების თანასწორობის როგორც საბოლოო მიზნის კონცეფციაა (Фридман, Фридман, 1990, с. 87), არ უნდა აგვირიოს.

დღეების სოციალური სიმშვიდის უზრუნველყოფისაკენ სწრაფვითაა მოტივირებული.

მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების მხარდაჭერის გზით მიღწეულ სოციალურ სიმშვიდეს ჩვენ *ეგალიტარულ* დოვლათს ვუწოდებთ (Papava, 1993, pp. 58-60; 1994, pp. 39-40; Папавა, 1993Б, сс. 36-37). იგი სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფის განვითარებაზე, უმუშევრებისა და ომის მონაწილეთათვის შემწეობის აღმონენაზე, უფასო სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამებზე, სახელმწიფო საბინაო მშენებლობაზე და ა.შ. არის დაფუძნებული. სხვა სიტყვებით რომ ითქვას ეგალიტარული დოვლათის წარმოების საფუძველი სოციალური ტრანსფერის გზით ე.წ. “ვერტიკალური” თანასწორობის (Bapp, 1997, с. 59) დამყარებაა.

რადგანაც ეგალიტარული დოვლათი ტრანსფერტული გადასახდელის მეშვეობით იქმნება, ამიტომ ბუნებრივია მათი მწარმოებლური ხასიათი ვადიაროთ.

როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი ჯეიმს ტობინი აღნიშნაყდა, “უხილავი ხელის” შესახებ თეორემის მოდიფიკაციის საჭიროებას სწორედ გარე ეფექტების თავიდან აცილება და სასოგადოებრივი დოვლათის წარმოების აუცილებლობა განაპირობებს (Тобин, 2002).

მესამე ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრაც თავისუფალ ბაზარს არ ძალუძს, ეკონომიკის საჭირო რაოდენობის ფულით უზრუნველყოფაა, თუმცა თეორიულ დონეზე შესაძლებლად და ეფექტიანადაც არის მინეული ამ ფუნქციის სახელმწიფოდან უშუალოდ ბაზრისათვის გადაცემა (Хайек, 1996).

ამ სამი ძირითადი პრობლემის გარდა სახელმწიფოს ვალია თავისუფალ კონკურენციას მისი დამაბრკოლებელი ბარიერების მოშლის



გზით შეუწყოს ხელი, რათა საბაზრო ინფორმაციის თავისუფალი გაერცელება და კაპიტალის დაუბრკოლებელი გადადინება მაქსიმალურად იყოს შესაძლებელი (მაგალითად, Ширяева, Мамедова, 1992, сс. 104-108). აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოს ისეთ ფუნქციებს ენიჭება, როგორც საბაზრო სისტემის ფუნქციონირების მხარდაჭერისა და გაიოლებისათვის სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნა და ეკონომიკის სტაბილიზაცია (რაც, უწინარეს ყოვლისა ინფლაციის დაბალი და დასაქმების მაღალი დონეების მიღწევაში უნდა გამოიხატოს) (მაგალითად, Макконнелл, Брю, 1992, Т. 1, сс. 95-96, 101).

აღნიშნულ პრობლემებთან ერთად გათვალისწინებული ისიც უნდა იქნეს, რომ სახელმწიფოს ასევე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირების, ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის შესაძლო წინააღმდეგობათა პროფილაქტიკის, განსაკუთრებულ ვითარებაში. მაგალითად, ომის დროს ეკონომიკის უშუალო მართვის (Йохансен, 1982, сс. 36-37), ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი პროგრამების (Леонтьев, 1990, сс. 394-405) ფუნქციები აქვს ასე, რომ რეალური (უფრო ზუსტად კი ფსევდორეალური) ბაზრის პირობებში ადამ სმითისეული “უხილავი ხელი” სახელმწიფოს “ხიდული ხელით” იცვლება (Sirkin, 1968).

უწინარეს ყოვლისა ექსტერნალების, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების აუცილებლობის, მონოპოლური წარმონაქმნების მსრიდან საბაზრო ინფორმაციის გაერცელების, კაპიტალის გადადინებისა და საბოლოო ჯამში თავისუფალი კონკურენციის შესლუღვის გამო ბაზარი მასში მონაწილე აგენტების შესაძლებლობათა თანასწორობას პრაქტიკულად ვერ უსრენველყოფს, ანუ საბაზრო თანასწორობა ირ-

ღვეა<sup>9</sup>. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს “ხილული ხელის” აგრეგირებულ ფუნქცია (როგორც ეს ზემოთ იქნა განხილული) თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გადახვევის მაქსიმალური შემცირებაა, რითაც საბაზრო თანასწორობა მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. აუცილებელია ხაზი იმასაც გაეხეხას, რომ ეს უკანასკნელი პრობლემა, თავის მხრივ, არ გამორიცხავს, რომ სინამდვილეში სახელმწიფოს “ხილული ხელი” თავად არ იყო მანკიერი, თავად არ აფერხებდეს საბაზრო თანასწორობის დამკვიდრებას (Долан, Липсцев, 1992, с. 98). მაშასადამე, სახელმწიფოს ზემომოქმედებითი ქმედება საბაზრო თანასწორობისათვის, თავის მხრივ, ისეთივე თეორიული კონსტრუქციაა და ამდენად ისევე საჭიროა, როგორც თავისუფალი ბაზრის მოდელი. ბაზრის აღწერილი მოდელის რეალურისაგან გამიჯენისათვის პირველს ფსევდორეალური ბაზრის მოდელი ვუწოდოთ, სადაც მიღებულია დაშვება, რომ სახელმწიფოს “ხილული ხელი” არა მარტო მოწოდებულია, არამედ სინამდვილეში ატარებს ქმედით ზომებს საბაზრო უთანასწორობის მინიმიზაციისათვის.

#### § VI.4. საბაზრო თანასწორობა რეალური ბაზრის პირობებში

სახელმწიფოს “ხილული ხელის” საქმიანობის შესახებ არაერთი სახელმძღვანელოს ტიპის გამოცემა არსებობს, სადაც ამ პრობლემის

---

<sup>9</sup> აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბაზრო თანასწორობის სხეულებული დამრღვევი “ძაღვების” გარდა მისი შენარჩუნების “ძაღვებიც” მოქმედებენ: კერძოდ, ხაზი უნდა გაეხეხას მახობრივ სამოქმედო პროდუქციასა და მახობრივ მსყიდველობითუნარიანობას, რაც მომხმარებელია მეტ-ნაკლებად თანასწორ მდგომარეობაში წაყენების ტენდენციას ქმნის (Козмоуен, 1996, сс. 54-55).

კვლევის შესახებ დაგროვილი მდიდარი გამოცდილებაა თავმოყრილი (მაგალითად, Аткинсон, Стиглиц, 1995; Стиглиц, 1997; Якобсон, 1996).

სახელმწიფოს “ხილული ხელის” ქმედითუნარიანობისა და ეფექტიანობის ანალიზის საუკეთესო საშუალებას “საზოგადოებრივი არჩევანის” თეორია იძლევა (Бьюкенен, Таллок, 1997), რომლის საფუძველზეც ის ძირითადი მიზეზი ხდება გასაგები, თუ ფსევდორეალური ბაზარი რეალურისაგან რატომ განსხვავდება.

ამ თეორიის ამოსავალ პრინციპს ის წარმოადგენს, რომ ადამიანი, იმის მიუხედავად კერძო პირის, თუ საზოგადო მოღვაწის როლში გამოდის, ერთნაირად მოქმედებს (მაგალითად, Долан, Линдсей, 1992, с. 359). რადგანაც სახელმწიფოს “ხილული ხელი” სწორედ იმ ადამიანების მიერ და მათი ქმედების გამო არის “ხილული”, ვისაც მაღალი საზოგადოებრივი თანამდებობები უკავია, ამიტომ, თუ სახელმწიფოს “ხილული ხელი” თავისი ქმედებით საბაზრო უთანასწორობის მინიმუმსაცაბას არ უზრუნველყოფს, სხვა თანაბარ პირობებში, ეს იმ ადამიანების მანკიერებითაა გამოწვეული, ვინც სახელმწიფოს “ხილული ხელის” ფუნქცია “იტვირთა” და საკუთარი მანკიერების გამო ისიც მანკიერი გახადა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედი ადამიანის დასახასიათებლად, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, ეკონომიკურ ლიტერატურაში Homo economicus-ის ცნებაა შემოღებული. “საზოგადოებრივი არჩევანის” თეორიის თანახმად იმ ადამიანებს, რომელთაც საზოგადოებრივი თანამდებობები უჭირავთ საკუთარი ინტერესები პირადი სარგებლობის გაზრდის თვალსაზრისით ისევე ამოძრავებთ, როგორც Homo economicus (მაგალითად, Долан, Линдсей, 1992, с. 359). სხვა სიტყვებით რომთქვას, საზოგადოებრივი თანამდებობაზე წარმოდგენილი ადამიანებო

Homo economicus-ის კატეგორიას განეკუთვნებიან, და ეს გასაკვირი არც არის, რადგანაც მთელი საზოგადოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორც წესი, მხოლოდ ასეთი ადამიანებისაგან შედგება.

როცა ლაპარაკია საზოგადოებრივ თანამდებობაზე მყოფი ადამიანების პირად სარგებელზე, უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური რენტის ძიება იგულისხმება, რაც პოლიტიკური პროცესის გზით ეკონომიკური რენტის მოძიებასა და დაცვას ნიშნავს, სადაც ეკონომიკური რენტა გაიგება, როგორც წარმოების ამა თუ იმ ფაქტორის ისეთი საფასური, რომელიც ამ ფაქტორის ალტერნატიულ ღირებულებას აღემატება (მაგალითად, Долан, Линдсей, 1992, с. 99).

პოლიტიკური რენტის საუკეთესო მაგალითია სუბსიდია. სუბსიდიების გზით საზოგადოებრივ თანამდებობაზე მყოფი Homo economicus-ი ცდილობს არსენებებში იმ ამომრჩეველთა მხარდაჭერა მიიღოს, რომლებიც ამ სუბსიდიების და მათი საშუალებებით პოლიტიკური რენტის მიმღებნი არიან (Долан, Линдсей, 1992, с. 99), თუმცა თეორიულად სუბსიდიის დანიშნულება, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, დადებითი გარე ეფექტის ინტერნალიზებაა, რამაც ამ ეფექტის წარმომქმნელს სტიმული უნდა მისცეს ის არ შეამციროს, ანუ მან, როგორც დადებითი გარე ეფექტის შემქმნელმა თავი საბაზრო თანასწორობის პირობებში უნდა იგრძნოს.

პოლიტიკური რენტის ძიების კიდევ ერთ თვალსაწიანო მაგალითს საზოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფი პირების მიერ კონკურენციის იმპორტზე გადასახადების, ასევე აკრძალუების, ქვოტირებისა და ლიცენზირების სისტემის შემოღებით შეესწავლა წარმოადგენს, რაც საბოლოო ჯამში საბაზრო ფასების დამახინჯებასა და პოლიტიკური რენ-

ტის შექმნას (Долан, Линдсей, 1992, сс. 99-100), ანუ საბაზრო თანასწორობის დარღვევას განაპირობებს.

საბაზრო თანასწორობის დარღვევის ყველაზე უფრო არაპუმანური მაგალითი ეკონომიკური დისკრიმინაციაა<sup>10</sup>, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ინდივიდებს, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ რასის, ეროვნების, სქესის, ან (და) ასაკის მიხედვით განსხვავდებიან, განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ (Мэнкью, 1999, с. 415), რაც საბოლოო ჯამში სამსახურში მოწეობის, თანამდებობრივი დაწინაურების, სათანადო ხელფასის მიღებისა და მომატების, განათლების მიღების და ა.შ. განსხვავებულ შესაძლებლობებში ჰპოვებს ასახვას (Макконнелл, Брю, 1992, Т. 2, с. 308).

საბაზრო დისკრიმინაციის სხვადასხვა თეორიას საფუძვლად დისკრიმინაციის სხვადასხვა წყარო უდევს; პირველის თანახმად დისკრიმინაციის საფუძველი პირადი ცრურწმენაა, მეორეს თანახმად – სტატისტიკური ცრურწმენა. ხოლო მესამეს კი – მონოპოლიური ძალა (Эренберг, Смит, 1996, с. 463-479). იმავდროულად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურ თეორიაში აღიარებულ დებულებად ითვლება ის, რომ ეკონომიკური დისკრიმინაციის ინიცირება, უწინარეს ყოვლისა, მომხმარებლებისა და სახელმწიფოს მხრიდან ხდება (მაგალითად, Мэнкью, 1999, с. 419).

მომხმარებლის მხრიდან დისკრიმინაცია მხოლოდ და მხოლოდ ცრურწმენას ემყარება და მას მეწარმეების მხრიდან რაიმე ეკონომიკური საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც დისკრიმინაცია, როგორც ასეთი, უწინარეს ყოვლისა, მეწარმეთათვის ეკონომიკურადაა წამგუ-

---

<sup>10</sup> ეკონომიკური დისკრიმინაციის პრობლემის კვლევაში განსაკუთრებული წვლილი ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატებს ვარი ბექერსა (Becker, 1971) და მილტონ ფრიდმანს (Friedman 1982, ch. VII) მიუძღვის.

ბიანი<sup>11</sup>; მაგალითად, რასისტო მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინების გამო თეთრკანიანი მოსამსახურისათვის უფრო მეტი უნდა იქნეს გადახდილი, ვიდრე შავკანიანისათვის, რის შედეგადაც საბაზრო ფასები მახინჯდება და მეწარმეები მოგების ნაწილს კარგავენ. ამით კი საბოლოო ჯამში სარაღდება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკა<sup>12</sup>.

პოლიტიკური რენტის მდების მიზნით ის ადამიანები, რომლებსაც საზოგადოებრივი თანამდებობები უკავიათ მომხმარებელთა სხვენებელ ცრურწმენაზე დაყრდნობით შესაბამის სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავენ და ცხოვრებაში გაატარებენ, რის შედეგადაც დისკრიმინაცია სახელმწიფოს მხრიდანაც დაკანონდება. პოლიტიკური რენტის მიმღები კი, მაგალითად, რასისტული ტიპის სახელმწიფოში თეთრკანიანი მოსახლეობაა.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ მართალია ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში დისკრიმინაცია ოფიციალურად გამორიცხულად ითვლებოდა, მაგრამ, დღეს უკვე მტკიცდება, რომ ეს სქესობრივი და ეთნიკური ნიშნით უთანასწორობის გამო ასე სულაც არ იყო, რაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში სხვა პრობლემებთან ერთად მის გადაწყვეტასაც მოითხოვს (Meurs, 1998).

პოლიტიკური რენტის ძიების გზებში განსაკუთრებით ღობიზმი და ლოგროლინგი უნდა გამოიყოს; პირველის თანახმად ხელისუფლების წარმომადგენლები გარკვეული პოლიტიკის პროპაგანდის საფუძ-

<sup>11</sup> აუცილებელია აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის საფუძველი შეიძლება არა მარტო მომხმარებელის, არამედ დამკვირვებლებისა და დაქირავებულების შორის ცრურწმენაც იყოს (Dreiner, 2000, p. 464-471).

<sup>12</sup> აშშ-ის მაგალითზე სატარებელი გაანგარიშების თანახმად შავკანიანებს შორის უმუშევრობის თეთრკანიანებს შორის უმუშევრობასთან უფრო მაღალი დონისა და შავკანიანების პროცენტული განაოდეობის თეთრკანიანებთან შედარებით მიუწვდომლობის გამო აშშ-ის ეკონომიკა შრომის მწარმოებლურობის მოცემული დონის პირობებში წარმოების მოცულობის დასალოებით 4 პროცენტს კარგავს (Mankiw et al., 1992, T. 2, cc. 310-311).

ველსუ ცდილობენ მათ უკან მდგარი ადამიანების (ამომრჩეველების) ინტერესების გამომხატველი ღონისძიებები გაატიარონ ცხოვრებაში. ხილო მეორეს – კი საკანონმდებლო ორგანოების წევრები ერთმანეთში ხმებით ვაჭრობენ, რათა საბოლოო ჯამში მათთვის ესა თუ ის სახურველი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული (Долян, Линдсеი, 1992, сс. 366-369). მაშასადამე, იმ პოლიტიკური მიზნების რეალიზება, რაც სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად არის გაცხადებული, საბოლოო ჯამში არა მარტო ამ მიზნებიდან უშუალოდ გამომდინარე პროგნოზირებად, არამედ გაუთვალისწინებელ შედეგებსაც იწვევს, რაც “გაუთვალისწინებელი შედეგების კანონის სახელწოდებითაა” ცნობილი (Долян, Линдсеი, 1992, с. 27).

“სასოგადოებრივი არსეუანის” თეორია იმას ნათელსყოფს, თუ სახელმწიფოს “ხილული ხელი” ხშირ შემთხვევაში რატომ ვერ ახერხებს მისი უშუალო დანიშნულების – საბაზრო უთანასწორობის აღმოფხვრის განხორციელებას. შედეგად, რელობაში სახელმწიფოს “ხილულ ხელს” უპრიანია “მახინჯი ხელი” ეწოდოს.

როცა საბაზრო უთანასწორობის განსაკუთრებით მიუღებელი ფორმები აღვილობრივი ხელისუფლების მიერაა ინიცირებული, მაშინ ე.წ. “უხილავი ფეხის” ეფექტი იწვევს მოქმედებას, როცა ადამიანები იცუდიან საცხოვრებელ ადგილს ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით (Финшер, Дорнбуш, Шмалензи, 1993, сс. 392-393). საქმე უფრო რთულადაა, როცა საბაზრო უთანასწორობის მიუღებულ ფორმები ცენტრალური ხელისუფლების მიერაა ინიცირებული, მაგრამ თანამედროვე პირობებში ეს პრობლემაც პრინციპში დაძლევადა, რადგანაც “უხილავი ფეხის” ეფექტი საერთაშორისო დონეზეც მოქმე-

დებს, როცა ადამიანები ერთი ქვეყნიდან საცხოვრებლად მეორეში გადადიან.

რეალური ბაზრის პირობებში საბაზრო თანასწორობის დაძლევის ერთადერთი გზა თავად საბაზრო მექანიზმში ძვეს<sup>13</sup>; საბაზრო თანასწორობის დამყარება მხოლოდ საბაზრო დემოკრატიის გზითაა შესაძლებელი; აქედან გამომდინარე სახელმწიფოს “ხილული ხელის” განმსაზღვრელი ფუნქცია სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრების გზით თავისუფალი ბაზრის შემაფერხებელი ყველა ძალის მაქსიმალური შესუსტება უნდა იყოს, რაც თავის მხრივ, ძალზედ რთული ამოცანაა, რადგანაც იგი არა მარტო ეკონომიკურ პრობლემებთან, არამედ იმ უროვნულ, ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ ფასეულობებთანაც არის დაკავშირებული, რითაც ესა თუ ის ქვეყანა ცხოვრობს.

## § VI.5. საბაზრო თანასწორობა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში

საბაზრო თანასწორობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მეოფე ქვეყნებში დგას, რადგანაც ამ ქვეყნებში ბაზარი, როგორც ასეთი, თავად ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფება. ხოლო, როცა ბაზარი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, საბაზრო თანასწორობის არსებობაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ამავდროულად, რადგანაც ბაზარი ჩამოყალიბების პროცესშია ძა-

<sup>13</sup> აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბაზრო მექანიზმის საფუძველი – მოთხოვნა და მიწოდებაზე დაფუძნებული ფასწარმოქმნა, ყველა წოდებრივ და პირად პრივილეგიებს სსობს, და ასეთ სოციალური თვალსაზრისით თანასწორობას უზრუნველყოფს (Kozminski, 1996. c. 55).



ლსუედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ თავიდანვე კურსი საბაზრო თანასწორობის იდეალისაკენ რამდენად სწორად იქნება აღებული.

როცა საუბარია პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში საბაზრო თანასწორობის მიღწევაზე, აუცილებელია გავიხსენოთ, რომ პრეპოსტკომუნისტური (ანუ კომუნისტური) პერიოდის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ საზოგადოებრივი მოწყობის ამოსავალ პრინციპს შედეგების თანასწორობა წარმოადგენდა. ამ პრინციპის რეალიზაცია იმდროინდელი ეკონომიკური სისტემის უდიდეს მიღწევად ითვლებოდა, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი შედეგების თანასწორობის პროპაგანდისათვის და ამ კუთხით “ახალი ადამიანის” ფორმირებისათვის მუშაობდა (მაგალითად, O'Brien, 1989), თუმცა სინამდვილეში შედეგების არანაირი თანასწორობა არ არსებობდა და, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, პრინციპულად ვერც იარსებებდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის ის ტიპი, რომელიც არსებული ეკონომიკური სისტემის რღვევის გამო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა Homo soveticus-ი იყო და კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასვლის პოსტკომუნისტური გზა შეიძლება გაანალიზებული იქნეს, როგორც Homo soveticus-ის Homo transformativus-ის მოშუალებით Homo economicus-ად ტრანსფორმაციის პროცესი.

თუკი ჩამოყალიბებული და მეტ-ნაკლებად განვითარებული კაპიტალისტური ურთიერთობების პირობებში საზოგადოებრივი თანამდებობები, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, Homo soveticus-ის ტიპის ადამიანებს უკავიათ, პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში – ესენი Homo transformativus-ის ტიპის ადამიანები არიან. თუ ამასთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, პოსტკომუნისტური ტრან-

სფორმაციის პროცესში ახალი საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ფორმალური ინსტიტუტების შექმნისას ვაკუუმის წარმოქმნის შესაძლებლობა ხშირია, გასაგებია, რომ გარკვეულ სახეცეცილებას პოლიტიკური რენტის ძიების შემოადნიშნული მექანიზმიც განიცდის.

პოლიტიკური რენტის ძიება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პირობებში უწინარეს ყოველისა ოთხი ძირითადი მიმართულებით შედარდება; ესენია – სპეკულაცია, სუბსიდიები იმპორტზე, შეღავათიანი კრედიტები და ნომინკლატურული პრივატიზაცია, რაც ერთობლიობაში Homo transformativus-ის რენტაზე ორიენტირებულ ქცევას ქმნის (Осипов, 1996А). ეს მიმართულებები შემდეგი ბუნებისაა (Осипов, 1996А, сс. 101-102):

1. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისში, როცა ფასები სრულად ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული სასოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფი პირები, ან (და) მათი წარმომადგენლები იაფფასიან დეფიციტურ საქონელს იძენდნენ და საბაზრო ფასად ყიდდნენ;
2. რადგანაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისში ვალუტის მრავალი გაცვლითი კურსი ჯერ კიდევ შენარუნებული იყო, სასოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფ პირებს, ან (და) მათ წარმომადგენლებს ხელი მიუწვდებოდათ მეარი ვალუტა იაფად შეეძინათ, ხოლო შემდეგ იმპორტირებული საქონელი საბაზრო ფასად გაეყიდათ;
3. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის საწყის ეტაპზე შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტების სისტე-

მა შენარჩუნებული იყო. მათი მიმღები კი მხოლოდ სასოგადოებრივ თანამდებობებზე მეოფი პირები, ან (და) მათი წარმომადგენლები იყვნენ;

4. სასოგადოებრივ თანამდებობებზე მეოფი პირები საპრივატიზაციო ობიექტის ფასს ხელოვნურად ამცირებდნენ და იმავედროულად თავად პრივატიზაციის პროცესი რაიმე განსაკუთრებული საჯაროობის გარეშე მიმდინარეობდა, რის შედეგადაც ახალ მესაკუთრეთა როლში მოგვევლინენ ან თვით ეს პირები, ან მათი წარმომადგენლები, ან ვინც ამისათვის შესაბამისი ქრთამი გადაიხადა.

ამ “რენტაზე ორიენტირებული ქცევის” ეკონომიკური ფესვები კომუნისტური სისტემის კლუპტოკრატიულ ფორმაში ძვეს (Осчум, 1996A, с. 104).

ამგვარი ტიპის სახელმწიფოს დასახასიათებლად ყველაზე სწორი იქნება ცნობილი პერუელი ეკონომისტის, ერნანდო დე სოტოს მიდგომა გამოვიყენოთ, რომლის თანახმადაც სახელმწიფო, რომელიც ძალზე ბიუროკრატიულია, არად აგდებს კანონებს, პრაქტიკულად მხოლოდ ეროვნული სიმდიდრის გადანაწილებით და არა მისი წარმოებისათვის საჭირო პირობების შექმნით არის დაკავებული, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც მერკანტილური (de Coto, 1995, сс. 248-283). პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყება სწორედ მერკანტილური სახელმწიფოს “ხილულ ხელს” დაეკისრა და რა გასაკვირია, რომ თავიდანვე არანაირ საბაზრო თანასწორობაზე საუბარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის განვითარების, საბაზრო ტიპის ინსტიტუციონალურ მოწყობაში ვაკუუმის შექმნის კვალობაზე პოლიტიკური რენტის ძიების ხსენებული მიმართულებები ადგილს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ გზებს უთმობს და ეს საკვებით ბუნებრივია, რადგანაც ფასების სრული ლიბერალიზაციის, მრავალი გაცვლითი კურსიდან მხოლოდ ერთზე გადასვლის, შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტების სისტემის გაუქმების და მასობრივი პრივატიზაციის პროცესის დამთავრების შემდეგ შესაბამისი პოლიტიკური რენტის მიღების წყაროები პრაქტიკულად იხპობა.

იმისდა მიხედვით, თუ თავისუფალი ბაზრისათვის დამახასიათებელი ელემენტების ფორმირების პროცესი რამდენად მიზანმიმართულად და დემოკრატიულობის პრინციპის სრული დაცვით მიმდინარეობს, საბაზრო თანასწორობის იდეალთან მიახლოება იმდენად უფრო რეალური ხდება.

## § VI.6. საბაზრო თანასწორობის ეკონომიკური

### პოლიტიკა

საბაზრო თანასწორობის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ სახელმწიფოს “ხილული ხელის” მიერ როგორი ეკონომიკური პოლიტიკა იქნება არჩეული და ცხოვრებაში გატარებული. თავის მხრივ ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება პოლიტიკური ფილოსოფიის ამა თუ იმ მიმართულებას, რომელთა შორის უტილიტარიზმს, ლიბერალიზმსა და ლიბერტარიანიზმს განარჩევენ (მაგალითად, Мухомов, 1999, сс. 434-438).

პოლიტიკური ფილოსოფიის ხსენებული სამივე მიმართულება შექმოსაველების გათანაბრების პრინციპს გამოირიცხავს, თუმცა პირველი ორის თანახმად სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა შემოსავლების რაღაც ოპტიმალურ დონეზე დაახლოებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

უტილიტარიზმი, როგორც პოლიტიკური ფილოსოფია, იმ პრინციპიდან გამოდის, რომ სახელმწიფო სასოფადოების თითოეული წევრისათვის ერთობლივი სარგებლიანობის მაქსიმიზაციას უნდა ესწრაფოდეს, სადაც სარგებლიანობაში კონკრეტული ადამიანის ბედნიერება, ან მისი სურვილების დაკმაყოფილების დონე იგულისხმება, რაც კეთილდღეობის მანუენებელში გამოისატება. კლებადი ზღვრული სარგებლიანობის წანამძღვრებზე დაყრდნობით მდიდრისთვის ერთი დოლარის წართმევა მის სარგებლიანობას უფრო ნაკლებად ამცირებს, ვიდრე ამ დოლარის ღარიბისათვის მიცემა ზრდის ამ უკანასკნელის სარგებლიანობას; აქედან გამომდინარე, შემოსავლების ამგვარი გადანაწილების შემთხვევაში სასოფადოების ერთობლივი სარგებლიანობა იზრდება. მოცემულ სქემაში ყველაზე დიდ სირთულეს გადანაწილების იმ ოპტიმალური ზღვარის მოძებნა წარმოადგენს, რომლის დარღვევის შემთხვევაში ადამიანი სიმდიდრის შექმნის სტიმულს დაკარგავს, რის შედეგადაც მთელი სასოფადოება დანარაღდება. პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მიერ ამ ოპტიმალური ზღვარის დარღვევის რეციდივები, სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკენათ, რომ უტილიტარიზმის ეკონომიკური პოლიტიკის გატარება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, როცა, ერთი მხრივ, ამის გამოცდილება პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო მეორე მხრივ კი – Homo transformativus-ის მენტალიტეტში შემოსავლების ფსევდოთანასწორობის წარსულზე ნოსტალგია ჯერ კიდევ შემორჩენილია, უად-

რესად სა'ში'შია, რადგანაც შემოსაყლების გადანაწილებაში ოპტიმალური ზღვარის დარღვევის ალბათობა საკმაოდ მაღალია.

ლიბერალიზმის, როგორც პოლიტიკური ფილოსოფიის, ამოსაყალი პრინციპის თანახმად, სახელმწიფომ სამართლიანობის შენარჩუნების პოლიტიკა უნდა გაატაროს. თუ გაყთვალისწინებთ, რომ სამართლიანობის ხარისხი შეფასებელი უნდა იქნეს მიუკერძოებელი დამკვირვებლის მიერ და, რომ, როგორც ეს ჯერ კიდევ ზემოთ აღინიშნა, თავად "სამართლიანი განაწილების" განმარტება პრაქტიკულად შეუძლებელია, გასაგები გახდება, თუ რა თეორიულ სირთულეებთანაა დაკავშირებული პოლიტიკური ფილოსოფიის მოცემული მიმართულება.

ამავე დროს ხა'ხი იმას უნდა გაესვას, რომ ლიბერალიზმის ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელებისას იმ მიზნიდან გამომდინ, რომ საზოგადოების უღარიბესი წევრის კეთილდღეობა იქნეს მაქსიმიზებული (მაქსიმიზის კრიტერიუმი). შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ უტილიტარიზმის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია საზოგადოების წევრთა საშუალო სარგებლიანობის მაქსიმიზაცია.

ლიბერტარიანიზმი, როგორც პოლიტიკური ფილოსოფია ეყუყინება პრინციპს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს უმთავრესი მოვალეობა არა შემოსაყლების გადანაწილებაა, არამედ დამნაშაყეთა დასჯა და ნებაყოფლობითი შეთანხმებების განხორციელების ხელშეწყობაა. ლიბერტარიანიზმის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა, შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველყოფა. მაშასადამე, *საბაზრო თანასწორობის ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ ლიბერტარიანიზმს ეფუყინება.*

ლიბერტარიანიზმის ეკონომიკური პოლიტიკის სხვასთან შედარებით აშკარა უპირატესობის ნათელსაყოფად დისკრიმინაციის მაგალითი განვიხილოთ.

დისკრიმინაციის დაძლევის ლიბერტარიანიზმის პოლიტიკის ალტერნატივად ე.წ. შედარებითი ფასეულობის დოქტრინა შეიძლება განვიხილოთ, რომლის თანახმადაც სამუშაოთა კლასიფიკაცია ობიექტური კრიტერიუმების (განათლების დონის, გამოცდილების, პასუხისმგებლობის, შრომის პირობების და ა.შ.) მიხედვით უნდა მოხდეს, რის საფუძველზეც სახელმწიფომ შესაბამისი ხელფასები უნდა დააკანონოს<sup>14</sup>; ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ ამა თუ იმ პროფესიის მიხედვით სახელმწიფომ ხელფასი წონასწორულ დონეზე უფრო მაღლა გაზარდოს, რის შედეგადაც ამ პროფესიის მუშაკების მიწოდება და შესაბამისად მათ შორის უმუშევრობის დონეც გაიზარდება (მაგალითად, Мэнкис, 1999, сс. 420-422).

ლიბერტარიანიზმი: ეკონომიკური პოლიტიკის თანახმად დისკრიმინაციის დაძლევის საუკეთესო საშუალება კონკურენტული ბაზარია, რამეთუ ამ შემთხვევაში მეწარმე მეტი მოგების მიღების მიზნით უპირატესობას უფრო იაფ მუშაკს მიანიჭებს, რაც მასზე მოთხოვნას გაზარდის და საბოლოო ჯამში მისი ხელფასის მომატებას გამოიწვევს, ანუ დისკრიმინაცია დაძლეული იქნება (Мэнкис, 1999, сс. 417-418).

ისმება კითხვა – ლიბერტარიანიზმის ეკონომიკური პოლიტიკა გამორიცხავს თუ არა მოსახლეობის სოციალურ დაცვას?

---

<sup>14</sup> დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამებს შემოქმედებს, რომლებიც, ერთის მხრივ, დაქირავებულის მხრიდან დისკრიმინაციას კრძალავს, ხოლო, მეორეს მხრივ, – დაქირავებულს ავალდებულებს დისკრიმინირებული ჯგუფის წევრები აიყვანოს სამსახურში (Дженсен, Смур, 1996, сс. 479-495).

მართალია, რომ კონკურენტული ბაზრის პირობებში ღარიბებს მდიდრებთან შედარებით უფრო შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ, მაგრამ ასეთ საზოგადოებაში ღარიბი ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე შეძლებული ადამიანი სხვა ტიპის საზოგადოებაში (Хаїтєк, 1990, сс. 102). ამავ დროს ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ თავისუფალი კონკურენციის სისტემა საზოგადოების სოციალური და კულტურული მიზნების რეალიზაციის საფუძველს, როგორც კერძო ქველმოქმედებითი საქმიანობის, ისე სპეციალური სახელმწიფო მხარდაჭერის მხრივ, სულაც არ გამორიცხავს (Фридман, Фридман, 1990, с. 86). აქ ისაა მთავარი, რომ სახელმწიფომ მიზნად არა შემოსაგებების გადანაწილება, არამედ შესაძლებლობათა თანასწორობა დაისახოს და, სხვა თანაბარ პირობებში, აუცილებლად გაითვალისწინოს, ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი შემოხსენებელი საზოგადოებრივი დოკლათის – ევალიტარული დოკლათის (როგორც სოციალური სიმშვიდის) შექმნა.

შემდეგი კითხვაა, რომელიც მოცემული პრობლემის განხილვისას იხმება ისაა, თუ ლიბერტარიანიზმის ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში რამდენადაა მისაღები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის მთავარი მოქმედი პირი Homo transformativus-ია, მაშინ გასაკლები იქნება, რომ ლიბერტარიანიზმის ეკონომიკური პოლიტიკის წმინდა სახით გამოყენება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში ფიასკოსათვისაა განწირული, რადგანაც ის (Homo transformativus-ი) თავისი მენტალიტეტით მხოლოდ კონკურენტულ გარემოში არსებობისათვის ბოლომდე მზად არ არის. ამ მომენტის გათვალისწინებით პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ლიბერტარია-



ნიზმისა და ლიბერალიზმის გარკვეული სინთეზი უნდა იყოს პირველის პრიმატის პირობებში.

ამ შემთხვევაში ლიბერტარიანიზმის ეკონომიკური პოლიტიკა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის საბაზრო თანასწორობის იდეალისაკენ წარმართვას უზრუნველყოფს, ხოლო მასთან “შეზავებული” ლიბერალიზმის ეკონომიკური პოლიტიკა სასოგადოებას სოციალურ დაძაბულობას, შესაძლო სოციალურ აფეთქებებს ააცილებს თავიდან.

ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო შედეგი “პორიზონტალური” თანასწორობის (Barr, 1997, c. 59) დაშვება უნდა იყოს, რაც მოცემულ კონტექსტში იმას ნიშნავს, რომ:

– არც ერთი მეწარმე სახელმწიფოს “ხილული ხელის” მხრიდან სხვასთან შედარებით უფრო მეტ ფორმალურ, თუ არაფორმალურ მხარდაჭერას არ უნდა გრძნობდეს, რაც თითოეული მათგანის ბიზნესში სახელმწიფოს ინტერვიუდ ჩაურევლობაში უნდა გამოიხატოს, როცა კანონის ყველა დამრღვევი უცილობელად იქნება დასჯილი;

– სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარება სასოგადოების, უწინარეს ყოვლისა, უღარიბესი ფენების მხარდასაჭერად უნდა იყოს მიზანმიმართული.

მხოლოდ ასეთ ვითარებაში იქნება შესაძლებელი, რომ მოსახლეობის საშუალო ფენამ თავისი ინტელექტუალური და ფიზიკური უნარის მაქსიმალური გამომჟღავნების საშუალებით ცხოვრების ღირსეული პირობები თანდათანობით შეიქმნას.

ყოველივე ამისათვის სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია წრდილოეთი მეწარმეობის ლეგალიზაცია<sup>15</sup>, დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნის დანქარება, რაც საბოლოო ჯამში საბაზრო თანასწორობას – შესაძლებლობათა თანასწორობის იდეალისაკენ თანაბმდევრულ მოძრაობას უზრუნველყოფს.

---

<sup>15</sup> ამ პროცესის განხორციელების აუცილებლობაზე აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უფროსმა ჯერ კიდევ 1989 წელს მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საეკონომიკური ფონდის წლიურ შეხვედრაზე მიუთითა, როცა აღნიშნა, რომ: "... ღარიბებმა... რომლებსაც ჯეჟერსონი და ადამ სმიტი არასოდეს არ წაუკითხავთ, დემოკრატიული წესრიგი ლეგალური ეკონომიკის მიღმა დაამცირეს და თავისი პარალელური მეურნეობა თავისუფალი არარეგულირებადი ხაქმისათვის პრინციპებს შექმნეს. – მოაერთებმა "არალეგალური" მუშაკები ნორმალურ სამეურნეო ცხოვრებაში უნდა შეუძინონ, ხოლო თავად კი გვერდსე უნდა გადავინ, რითაც ინდივიდუალური მეწარმეობის აყვავებას უნდა მისცენ შესაძლებლობა" (ციტირებულია წიგნიდან *de Coto*, 1995, c. 5).

# თავი VII. ნეკროეკონომიკა – პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ფემონენი

ნემს სიკვდილში გთხოვთ ჩემი  
სიცოცხლე დაადანაშაულოთ.  
*გენალი მალკინი*

მხოლოდ სხვის სიკვდილს  
შეიძლება შეეჩუო.  
*სტანისლავ ევი ლეცო*

კაპიტალიზმი გაკოტრების გარეშე იგივეა,  
რაც ქრისტიანობა ჯოჯოხეთის გარეშე.  
*ფრენკ პორმანი*

## § VII.1. ეკონომიკური თეორიის კვლევის არეალი

ეკონომიკა, როგორც ასეთი, შეიძლება ითქვას, საკმაოდ სიღრმისეულად და შესწავლილი. ეკონომიკური თეორია სათანადო დონეზეა დამუშავებული. მიუხედავად ამისა, თანამედროვე რეალიზმმა, განსაკუთრებით კი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესმა არაერთი გადაუწყვეტელი პრობლემა გამოაფინა. წინამდებარე თავის მიზანია პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის ერთი ისეთი სეგმენტის ცალკე გამოყოფა და მასზე ყურადღების გამახვილება, რომელიც ეკონომიკური თეორიის კვლევის საგანი არა თუ არ გამხდარა, არამედ შეიძლება ითქვას ეკონომისტების მიერ მისი გამოცდაკევებული არსებობაც კი არ არის შემჩნეული. პრობლემის არსში გასარკვევად მიზანშეწონილად

მიგვანია ეკონომიკური თეორიისა და მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილების მოკლე მიმოხილვა.

აღამიანის არსებობა დოვლათის მოხმარების გარეშე წარმოუდგენელია. ყოველივე ის, რაც მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო უშუალო სახით ბუნებაში იშვიათად მოიპოვება. სწორედ ამიტომ აღამიანის მოხმარებისათვის საჭირო პროდუქტების შესაქმნელად აუცილებელია რესურსების (რომლებიც, თავის მხრივ, რაოდენობითა და ხელმისაწვდომობით შეზღუდულია) წარმოებაში გამოყენება. თავის მხრივ, თუ კი რესურსებისა და წარმოებული პროდუქტების განაწილება არ მოხდება ეს პროცესი ვერ წარიმართება. ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა *ეკონომიკა*. *ეკონომიკის*, ანუ *ეკონომიკური თეორია*, კი სწორედ ეკონომიკის შემსწავლელი მეცნიერებაა.

იმის მიხედვით, თუ წარმოებისა და მოხმარების შესახებ ვინ – ცალკეული პირები და კერძო ფირმები, თუ სახელმწიფო – იღებს გადაწყვეტილებას, ეკონომიკურ თეორიაში, შესაბამისად, *საბაზრო* და *მბრძანებლურ ეკონომიკას* (ეს უკანასკნელი კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს) განასხვავებენ. თანამედროვე მსოფლიოში წმინდა სახით მათგან არცერთი არ არსებობს, რადგანაც რეალურად ხსენებულ გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ერთდროულად, როგორც ცალკეული პირები და კერძო ფირმები, ისე სახელმწიფო იღებს, რის შედეგადაც რეალურად მხოლოდ *შერეული ეკონომიკა* არსებობს (იხ., მაგალითად, გოგოხია, 2001ა, 2001ბ; ჭითანავა, 1997, 1999ა, 1999ბ).

ეკონომიკის, როგორც ასეთის შესწავლის მიზნით ე.წ. იერარქიული მიდგომა გამოიყენება, რომელიც ზოგადად სამეცნიერო გამოკვლევებში საკმაოდ გავრცელებულია. ტრადიციულად მიღებულია ქვეყნის

ეკონომიკის ორსაფეხურიანი – ქვედა და ზედა დონის მიხედვით წარმოდგენა.

ქვედა დონეზე შეისწავლება ეკონომიკის ცალკეული სუბიექტების – შინამეურნეობებისა და ფირმების ქცევა მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი ურთიერთსემოქმედება ბაზარზე. ეკონომიკის ეს დონე *მიკროეკონომიკის*, ხოლო მისი შემსწავლელი თეორია – *მიკროეკონომიკის*, ანუ *მიკროეკონომიკური თეორიის* სახელწოდებითაა ცნობილი.

ზედა დონეზე აქცენტი გაკეთებულია ქვეყნის ეკონომიკის, როგორც ერთიანი ორგანიზმის ქცევის (რაც ეკონომიკურ ზრდაში, ინფლაციაში, დასაქმებაში, საგარეო ვაჭრობასა და სხვ. გამოიხატება) შესწავლაზე. ეს დონე კი *მაკროეკონომიკის*, ხოლო მისი შემსწავლელი თეორია *მაკროეკონომიკის*, ანუ *მაკროეკონომიკური თეორიის* სახელწოდებითაა ცნობილი.

როცა ეკონომიკას ელობალურად – მსოფლიო მასშტაბში განიხილავენ, მაშინ დღის წესრიგში კიდევ ერთი დონის გამოყოფა დგება, რომელიც *მეგაეკონომიკის* სახელწოდებითაა ცნობილი; *მეგაეკონომიკის*, ანუ *მეგაეკონომიკური თეორია* კი ეკონომიკის საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებს, მსოფლიო ეკონომიკის დინამიკას შეისწავლის.

ეკონომიკური თეორიის ამ ყველასათვის კარგად ცნობილი კლასიკური სამი დონის გარდა ეკონომისტებს მათგან ერთი ისეთი სფეროს გამოყოფა უხდებათ, რომელიც ცალკე შესწავლას ექვემდებარება. კერძოდ, ეს *“წრდილოვანი” ეკონომიკაა*, რომელიც ერთდროულად სემოხსენებულ სამივე დონეზეა წარმოდგენილი.

“წრდილოვანი” ეკონომიკა თავისი ბუნებით შინამეურნეობებისა და ფირმების სახელმწიფოს მიერ აღურიცხავი საქმიანობაა. ამიტომ ის

უწინარეს ყოვლისა მიკროეკონომიკის სფეროშია მოქცეული. რადგანაც ხსენებული აღურიცხავი საქმიანობა მთელი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ “ჩრდილოვანი” ეკონომიკის შედეგებს უშუალო ზეგავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკურ მანევრებლებზე აქვს, კერძოდ, კი ისეთებზე, როგორც საგადასახადო შემოსავლების შემცირება, აღურიცხავი ფულის მასის ბრუნვა, ექსპორტ-იმპორის სიდიდეთა შემცირებაა და სხვა. “ჩრდილოვანი” ეკონომიკის მასშტაბების გაფართოებით მან მიიღო საერთაშორისო ხასიათი, როცა მაგალითად, ერთ ქვეყანაში შექმნილი “შავი” ფულის “გარეცხვა” მეორე ქვეყანაში ხდება, რაც საბოლოო ჯამში აუცილებლად საჭიროებს მეგაეკონომიკურ გამოკვლევებში გათვალისწინებას.

ეკონომიკური თეორიის ჩამოთვლილ სფეროთაგან ყველაზე უკეთ მიკროეკონომიკსი და მაკროეკონომიკსია განვითარებული. მეგაეკონომიკური კვლევა შედარებით ახალი სფეროა. რაც შეეება “ჩრდილოვანი” ეკონომიკისა და მისი სამივე დონეზე გამოვლენის კვლევას, ის თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და ჯერ-ჯერობით ნაკლებად შესწავლილი პრობლემაა.

## § VII.2. “თეთრი ლაქა” ეკონომიკურ თეორიაში

პოსტკომუნისტური ეკონომიკა კი ისეთ სფეროსაც მოიცავს, რომელიც აქამდე ეკონომიკური თეორიის კვლევის სპეციალური ობიექტი არ გამხდარა, რადგანაც ის როგორც ეკონომიკის ცალკე არსებული ნაწილი არასოდეს არ ყოფილა გამოკვეთილი. მისი იდენტიფიცირე-

ბისთვის იმის გახსენებაა აუცილებელი, თუ როგორი იყო კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკა კონკურენციას მისი გამოვლენის ნებისმიერ ფორმაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, პრინციპში გამორიცხავდა. კერძოდ, კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის მქონე ქვეყნები ერთიან ეკონომიკურ სივრცეში იყვნენ გაერთიანებულნი (ამის საუკეთესო მაგალითი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოთა (СЭВ), რომელიც თავისი არსებობის ორმოცწლიანი პერიოდის განმავლობაში საბჭოთა კავშირთან ერთად კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის ისეთ ქვეყნებსაც აერთიანებდა, როგორებიც ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, აღმოსავლეთ გერმანია, კუბა, ჩრდილოეთ ვიეტნამი, მონღოლეთი იყვნენ), სადაც ნებისმიერი საქონელგაცვლითი ოპერაცია მხოლოდ ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანოს მიერ რეგულირდებოდა. რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის მქონე კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, ერთი პერიოდი ეს საერთოდ გამორიცხულიც კი იყო (კერძოდ, მეორე მსოფლიო ომამდე საბჭოთა კავშირი “რკინის ფარდის” პოლიტიკას მიმართავდა), ხოლო შემდგომ ის ერთობ შეზღუდული ფორმით იყო ნებადართული.

კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკაში და ისიც მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის იყო ნებადართული კონკურენციის მხოლოდ ერთი ფორმა, კერძოდ, კონკურენცია დასავლეთის სახელმწიფოებთან სამხედრო-სამრეწველო წარმოების კუთხით, რამაც საბჭოთა კავშირს საშუალება მისცა ატომური წარმოება და ჩვეულებრივი სამხედრო შეიარაღება განეფითარებინა, შეედწია კოსმოსში.

კონკურენციის უარყოფამ კომუნისტური ორიენტაციის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების ერთადერთი ქმედითი სტიმული გამოიჩინა, რის შედეგადაც, როგორც წესი, დაბალხარისხიანი პროდუქცია იწარმოებოდა, რომლის ფასიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გაწეული დოტაციების საფუძველზე ხელოვნურად იყო შემცირებული. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო ალკოჰოლური სასმელების გაყიდვით მიღებული ამონაგები, ხოლო ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლის ერთადერთი გზა კი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე ნედლეულის (უმთავრესად კი ნავთობის) გაყიდვა იყო.

კომუნისტური რეჟიმის დროს პოლონეთში ჩამოყალიბებული ეკონომიკის არსებითი ნიშნების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ადამ ლიპოვსკი მიდის დასკვნამდე, რომ როცა მთელი მსოფლიო დაყოფილია “განვითარებულ” და “განვითარებად” ქვეყნებად, კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის მქონე ქვეყნები არცერთ მათგანს არ შეიძლება მიეკუთვნოს; მათ დასახასიათებლად მას შემოაქვს ტერმინი “მცდარი გზით განვითარებული” (“Misdeveloped”), რომლის თანახმადაც ასეთი ტიპის ქვეყნებში (Lipowski, 1998, p. 9):

- ა) ერთობლივ შიგა პროდუქტში, საშინაო და საგარეო ვაჭრობის, და მომსახურების ხვედრითი წილის სიმცირის ხარჯზე, მრეწველობას ძალზედ მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს;
- ბ) სამრეწველო წარმოების უდიდესი ნაწილი, მოხმარების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წილის სიმცირის ხარჯზე, წარმოების საშუალებათა წარმოებაზე მოდის;



- ე) საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება არადაამაკმაყოფილებლად დაბალ დონეზე;
- დ) მომხმარებლისათვის ფუჭი პროდუქცია ფართო მასშტაბებში იწარმოება;
- ე) მოძველებული პროდუქციის წარმოებას სამრეწველო პროდუქციაში ძალზედ მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს.

კომუნისტური რეჟიმის დამხობამ და შესაბამისი ეკონომიკური სისტემის რღვევამ პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის ფონზე “გააშიშვლა”, როცა სოფიერთი გამონაკლისის (კერძოდ, ნაწილობრივ ჰიდროენერგეტიკის, სამთო-მომპოვებელი მრეწველობისა და ცალკეულ შემთხვევაში მოპოვებული ნედლეულის მხოლოდ პირველადი გადამუშავების) გარდა ამ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით არაკონკურენტუნარიანი – დაბალხარისხიანი, ან (და) ძვირადღირებული იყო. ასეთი პროდუქციის ბაზარი არ არსებობს და პრინციპში შეუძლებელია არსებობდეს. ამგვარი ტიპის ეკონომიკას ჩვენი აზრით სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს თუ არა “შეკვდარი” ეკონომიკა, ანუ ნეკროეკონომიკა (ბერძნულად “ნეკროს” მკვდარს ნიშნავს), ხოლო მის შემსწავლელ თეორიას – ნეკროეკონომიქსი, ანუ ნეკროეკონომიკური თეორია (პაპავა ვ., 2000ე; კაკულია ნ., 2002ა, 2002ბ; Papava, 2001A, 2001C, 2002E; Папавა, 2001A, 2001Б).

კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის ხემოხსენებელი “გაშიშვლების” პროცესს ადამ ლიპოვსკი ტერმინ “ინვესტიციის” ანტონიმს – “დაივესტიციას” უწოდებს (Drucker, 1996; Taylor, 1988), რომელიც პოსტკომუნისტური ეკონომიკისათვის “მცდარი გზით განვითარებული” ეკონომიკის

ნომიკის 'ხემონამოთველილ პათოლოგიათა "მოცილებას" გულისხმობს (Lipowski, 1998, pp. 31-32), რის შედეგადაც, ხვენი აზრით, ყალიბდება ნეკროეკონომიკა.

ბუნებრივია, რომ როცა ეკონომიკის ერთი ნაწილი "მკვდარია", დარჩენილი ნაწილი "სიცოცხლისუნარიანია" და მას პირობითად ვიტა-ლური ეკონომიკა, ან ვიტაეკონომიკა (ლათინურად "ვიტა" სიცოცხლეს ნიშნავს), ხოლო მის შემსწავლელ თეორიას – ვიტაეკონომიკსი, ანუ ვიტაეკონომიკური თეორია ეწოდოთ.

პირველი შეკითხვა, რომელიც იბადება ისაა, თუ ნეკროეკონომიკასა და ვიტაეკონომიკას შორის რა პრინციპული მსგავსება და განსხვავება არსებობს.

ნეკროეკონომიკაში ვიტაეკონომიკის მსგავსად საქონლის წარმოება შესაძლებელია, ანუ პრინციპში მიწოდებას შესაძლებელია კონდეს ადგილი, მაგრამ ვიტაეკონომიკაში წარმოებული საქონლისაგან განსხვავებით ნეკროეკონომიკაში წარმოებულ საქონლზე მისი უხარისხობის, ან (და) სიძვირის გამო არანაირი მოთხოვნა არ არსებობს. მაშასადამე, ნეკროეკონომიკაში ყიდვა-გაყიდვის ნებისმიერი ნებაყოფლობითი აქტი გამორიცხულია, რის გამოც წონასწორული ფასის არსებობა პრინციპშია შეუძლებელი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი კითხვა, რომლის თანახმადაც, თუ ეკონომიკის გარკვეული სეგმენტი მკვდარია, ანუ მისი გაცოცხლება შეუძლებელია, მაშინ თითქოს პრობლემაც არ უნდა იყოს: "მკვდარ" ეკონომიკას მის მეტ-ნაკლებად ჯანსაღ ნაწილზე ვერავითარი სეგაველენა ვერ უნდა კონდეს და ამდენად ანგარიშგასაწევიც არ უნდა იყოს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ასეც არის: კონკურენტუნარიო წარმოება ისე “ქრება”, რომ პრინციპში ეკონომიკის დანარჩენ ნაწილს ვერანაირ პრობლემას ვერ უქმნის. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ეკონომიკური თეორიის კვლევის არეალი, რომელიც ბოლო დრომდე არსებითად საბაზრო ეკონომიკით შემოიფარგლებოდა, ნეკროეკონომიკის მხრიდან ვერანაირ პრობლემას ვერ აფიქსირებდა და ამდენად დღის წესრიგში არც ამ უკანასკნელის შესწავლა დამდგარა.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში მეოფ ქვეყნებში პრინციპულად განსხვავებული სიტუაციაა შექმნილი.

ყოფილი კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ნეკროეკონომიკის საფუძველი გახდა. ეს ყველაზე უფრო რელიეფურად მრეწველობაში გამოიკვეთა.

### § VII.3. ნეკროეკონომიკის აღწარმოების საფუძველი: “რუტინა”

ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის ურთიერთხეგავლენის მექანიზმის ასახსნელად პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკა მიზანშეწონილია შემდეგი კლასიფიკაციით იქნეს წარმოდგენილი:

1. სახელმწიფო სექტორში არსებული ნეკროეკონომიკა;
2. სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკა;
3. პრივატიზებული ნეკროეკონომიკა;
4. პრივატიზებული ვიტაეკონომიკა;

5. ახალი ინვესტიციების ბაზაზე შექმნილი კერძო სექტორი – ვიტაეკონომიკა.

პირველ ჯგუფში, როგორც წესი, მრეწველობის უმთავრესად მსხვილი და საშუალო ზომის ობიექტები შედიან, რომლებიც სოციალიზაციის დანიშნულებით სტრატეგიულად არიან შეფასებულნი, თუმცა წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გამო ეს ობიექტები საბაზრო ეკონომიკის პირობებში “მკედარია”.

სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკის საფუძველი ენერგეტიკა (უმთავრესად ელექტროენერჯის წარმოება, ნავთობისა და გაზის მოპოვება და მიწოდება), ტრანსპორტი და კაეშირგაბმულობაა. თუ კი ამ დარგების ცალკეულ საწარმოთა პრივატიზებას აქვს ადგილი, მაშინ ისინი სემოხსენებულ მეოთხე ჯგუფში – პრივატიზებულ ვიტაეკონომიკაში გადადიან. ეს ჯგუფი ასევე მრეწველობის სოციალური საშუალო ზომისა და უმთავრესად მცირე ზომის საწარმოსაც მოიცავს.

პირველ ჯგუფში მეოფი საწარმოები მათი პრივატიზაციის შემდეგ მესამე ჯგუფში შედიან. საკუთრების ფორმის ცვლილება თავისთავად განერებული წარმოების ამოქმედებას სულაც არ ნიშნავს, რადგანაც ის რაც “მკედარია” მისი ეს მდგომარეობა უცვლელია მიუხედავად იმისა ვისი “მკედარია” და ვინ არის “ჭირისუფალი” – სახელმწიფო, თუ კერძო ფირმა. სწორედ ამის გამო ხდება პრივატიზაციის პროცესის დისკრედიტაცია, როცა მას (ამ პროცესს), განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, “განერებული” წარმოების ამოქმედების ფუნქცია (მიუხედავად იმისა ეს წარმოება სინამდვილეში “მკედარი” იყო, თუ “ცოცხალი”) ინვესტიციებისაგან იზოლირებულად მიენიჭა.

ბოლო, მეხუთე ჯგუფში პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის ყველაზე უფრო ჯანსაღი ნაწილი – ახალი ინვესტიციებით,

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე შექმნილი კერძო სექტორია გაერთიანებული. ამასთან იმის გათვალისწინებაცაა აუცილებელი, რომ გარკვეული პრობლემები, რომლებიც სათანადო გააზრებას მოითხოვენ, ეკონომიკის ამ ჯგუფშიც არის. კერძოდ, საქმე სოციურ უცხოურ ინვესტიციას ეხება, რომელთა საფუძველზეც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არა უახლესი, არამედ უკვე ხმარებაში მყოფი, შედარებით მოძველებული (უფრო სუსტად მსოფლიო სტანდარტებით მორალურად გაცვეთილი) ტექნოლოგიები შემოდის, რომელთაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად “სექონდჰენდ ინვესტიციის” (ჩვენებური ანალოგიით “Secondhand Shop”, ანუ საკომისიო მაღაზია) კვალიფიკაცია შეშვენივს; მათ ბაზაზე წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი მხოლოდ “ფორმირებადი ბაზრების” (“Emerging Markets”) ფარგლებში და ისიც დროის შესაძლებელ ინტერვალში – ამ “ბაზრებზე” მსოფლიო სტანდარტებით კონკურენტუნარიანი საქონლის შედგენად.

მორიგი კითხვა, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი ისაა, თუ რა განაპირობებს ნეკრეკონომიკის სტაბილურ არსებობას პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში.

ფიქრობთ, პრობლემის არსში გარკვევის შესაძლებლობას ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორია (Nelson, Winter, 1982; Нельсон, Уинтер, 2000) იძლევა.

ამ თეორიის ძირითად “ინსტრუმენტს” ე.წ. “რუტინის” ცნება (“routines”) წარმოადგენს, რომლის ქვეშ ფირმის ქცევის ჩამოყალიბებული წესები და ხერხები იგულისხმება, რომლებიც ამ ფირმის მოქმედების აღწარმოებას არეგულირებენ (Muttell, 1992; Miорpell, 1994, с. 69). როგორც შემოთ აღინიშნა, რუსულენოვან თარგმანში ტერმინ “რუტინის” ნაცვლად ხშირად ტერმინი “стереотипы” გამოიყენება (Miорpell, 1994, с.

69; Садыгов, 1999, сс. 12-15), თუმცა, ჩვენი აზრით, ორიგინალში მოცემული ტერმინ “რუტინას” შენარჩუნებაა უმჯობესი.

სწორედ კომუნისტური ტიპის ეკონომიკურ სისტემაში ათეულობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული “რუტინა” ის მთავარი ფაქტორი, რაც “მკედარ” საწარმოებს აიძულებს იმუშაონ უკვე აღარარსებული კომუნისტური ტიპის ეკონომიკის რეჟიმში, რის შედეგადაც ამ საწარმოთა საწყობები მათ მიერ გამოშვებული კონკურენტუნარო პროდუქციითაა გაკსეპული, ხოლო ამ პროდუქციის რეალიზაციის პრინციპული შეუძლებლობის გამო სახელმწიფო ბიუჯეტის, სპეციალური ფონდების, ენერგეტიკული სექტორის, სხვა საწარმოთა მიმართ ვალები გროვდება. შედეგად საწარმოთა ურთიერთდავალიანების ჩახლართული ქსელი იქმნება (მაგალითად, Ослуха, 1996Б, сс. 256-264).

კომუნისტური ორიენტაციის მქონე ეკონომიკაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, როცა საწარმო ვალებს აგროვებდა (მათ შორის შეგნებულადაც), მისი ხელმძღვანელობა სახელმწიფო ორგანოებში (კომუნისტური პარტიის მმართველ ორგანოებში, სახელმწიფო საგემო კომიტეტში, ფინანსთა სამინისტროში) საკითხს მათი ჩამოწერის შესახებ აყენებდა, სადაც, როგორც წესი, არაერთარი წინააღმდეგობა არ ხელახლოდა. ამიტომ ვალების დაგროვება როგორც ასეთი, მათი გარანტირებული ჩამოწერის პირობებში საშიში სულაც არ იყო. ვალების ჩამოწერის ეს მექანიზმი საკმაოდ მყარად გამჯდარი “რუტინა” და ის პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესშიც, სამწუხაროდ, თავს ახალ – “საგადასახადო ამინსტიის” საბურველში პერიოდულად “ამულავნებს”, რომელსაც, სამწუხაროდ, რეფორმატორობასე პრეტენზიის მქონე ცალკეული პოლიტიკოსები აყენებენ და მხარსაც უჭერენ.

პრაქტიკულად ნებისმიერ ეკონომიკურ პროცესში გადაამწიკვრ როლს, როგორც წესი, ადამიანის ფაქტორი ასრულებს. ნეკროეკონომიკის აღწარმოებადი “რუტინა” იმ ადამიანის, კერძოდ, Homo transformativus-ის ქცევითაა განპირობებული, რომელიც კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკაში ჩამოყალიბებულ Homo soveticus-ის ტიპიდან კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ტიპზე – Homo economicus-ზე ტრანსფორმაციას განიცდის; Homo transformativus-ი სამეწარმეო სფეროში, როგორც შემოთ აღინიშნა, პოსტსაქმოსნის ტიტულს იძენს.

სახელმწიფო, თუ კერძო სექტორში არსებული ნეკროეკონომიკის უკან სწორედ პოსტსაქმოსნები დგანან, კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის შესატყვისი “რუტინის” შესაბამისი ქცევის “ინიციატორები” სწორედ ისინი არიან.

პოსტსაქმოსნები სახელისუფლებო სტრუქტურებში (როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში) “პოსტკომუნისტებთან” ძველი კავშირების გამოყენებით აღწევენ, საიდანაც ცდილობენ ნეკროეკონომიკის არსებობას პოლიტიკური გამართლება მოუძებნონ და გაახანგრძლივონ იგი.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნეკროეკონომიკა პოსტსაქმოსნობის ინტერესებს ემსახურება და მანამ, სანამ ქვეყანაში განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმების შედეგად პოსტსაქმოსნანთა მეწარმეებით ჩანაცვლება არ მოხდება, არც ნეკროეკონომიკა “აღიგვება პირისაგან მიწისა”.

## § VII.4. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასრულების ინდიკატორი

ნეკროეკონომიკის აშკარად უარყოფითი ზეგავლენა პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების განვითარებაზე სახეზეა. აქედან გამომდინარე იმ მექანიზმის გამოვლენა და ამოქმედებაა აუცილებელი, რომელიც “შეკდარ” საწარმოთა პრობლემის გადაწყვეტას საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ “ავტომატურ რეჟიმში” უსრუნველყოფს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ხსენებული მექანიზმის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკის საყოველთაო დამკვიდრება უნდა გახდეს შესაძლებელი.

პრობლემის გადაწყვეტის გასაღები ზემოხსენებულ ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციურ თეორიაში ძევეს.

საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი “რუტინის” ფორმირება უმთავრესად პოსტკომუნისტური ეკონომიკის ზემოხსენებულ მეხუთე ჯგუფში – ახლადშექმნილ კერძო სექტორში ხდება. სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება უწინარეს ყოვლისა ამ ჯგუფს უნდა მიექცეს, ხელი ახლადშექმნილი კერძო სექტორის ფეხზე დადგომას, გაფართოებასა და შემდგომ განვითარებას უნდა შეეწეოს; სახელმწიფომ იმ სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნასავე უნდა იზრუნოს, როცა კერძო ინვესტიციების ბაზაზე ახალი ფირმები შეიქმნება. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი მეხუთე ჯგუფის საყოველთაო გაფართოების ხარჯზე პირველი და მესამე ჯგუფის არეალის შეზღუდვა უნდა გახდეს.

მეხუთე ჯგუფში “სექონდჰენდ ინვესტიციებით” შექმნილი ფირმები მათი ნაკლებ მიმზიდველობის მიუხედავად, სათანადო საკანონმდებლო



ბაზის პირობებში ნეკროეკონომიკის საფუძველს პრაქტიკულად ვერ შექმნიან, რადგანაც მათი (ფირმების) ფორმირება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ხდება, რის გამოც შესაბამისი “რუტინა”, ამა თუ იმ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაკარგვისას, მისი მწარმოებელი ფირმის “გასვლას” არენიდან საბაზრო მექანიზმებით უზრუნველყოფს.

რაც შეეხება მეორე და მეოთხე ჯგუფებს, იმისდა მიუხედავად ესა თუ ის საწარმო ჯერ კიდევ სახელმწიფოსია, თუ უკვე – პრივატიზებული, მას ახალი ინვესტიციების მოზიდვა საკუთრების შესაბამისი წილის გაყიდვის, ან გრძელვადიანი მართვის უფლებით სტრატეგიულ ინვესტორზე გადაცემის გზით აუცილებლად ესაჭიროება; წინააღმდეგ შემთხვევაში იმის ალბათობა, რომ მეორე და მეოთხე ჯგუფებში არსებული ვიტაეკონომიკა, შესაბამისად, პირველი და მესამე ჯგუფის ნეკროეკონომიკაში “გადაიზარდოს” ძალიან დიდია.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მხოლოდ პრივატიზაცია როგორც ასეთი, ნეკროეკონომიკის მოსაბობის საფუძველი სულაც არ არის. აქედან გამომდინარე პირველ ჯგუფში არსებული “მკედარი”, მაგრამ დანიშნულების მიხედვით სტრატეგიული წარმოების არსებობის მიზნით სახელმწიფოსათვის ერთადერთი გამოსავალი არსებობს: სტრატეგიული ინვესტორის გამოსაველენად უსწრაფესად ნაატაროს ღია საერთაშორისო ტენდერი, რომელსაც ეს ობიექტი (უფრო სწორედ კი მოცემული ქვეყნისათვის სტრატეგიული დანიშნულების მქონე “მკედარი” ობიექტის კედლებში წარმოების დაწყების უფლება) გრძელვადიანი მართვის უფლებით გადაეცემა. გამორიცხული არ არის, რომ ეს ნაბიჯი სტრატეგიული ინვესტორისათვის დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდეს, მაშინ აუცილებელია მისთვის თუნდაც სიმბოლურ ფასად პრივატიზაცია სუც წასვლა, რადგანაც “მკედარი” საწარმო შეუძლებელია ძვირი ღირდეს.

მესამე ჯგუფი – პრივატიზებული ნეკროეკონომიკა, აბსოლუტურად უპერსპექტივოა.

ერთადერთი სწორი შეფასება, რომელიც ნეკროეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვან ნაწილს შეიძლება მიეცეს, არის – ჯართი. ამიტომ ნეკროეკონომიკის მოსპობა (პირდაპირი გაგებით) უწინარეს ყოვლისა ჯართის გაყიდვითაა შესაძლებელი; არც ექსპორტი უნდა გამოირიცხოს, რამეთუ ეს უკანასკნელი ამ ჯართის მეპატრონეს სავალუტო შემოსავალს აძლევს, რომელიც, პრინციპში ვიტაეკონომიკის შესაქმნელად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

კომუნისტური ორიენტაციის ეკონომიკის შესატყვისი “რუტინა” “მკედარ” მანქანა-მოწყობილობათა ჯართად აღიარებას აფერხებს: მისი გაყიდვის, განსაკუთრებით კი ექსპორტის ამკრძალავ, ან შემზღუდავ ბარიერებს ქმნის და ამით ნეკროეკონომიკას “სიცოცხლეს” უხანგრძლივებს.

თეორიულად, ნეკროეკონომიკის მოსპობის ქმედითი მექანიზმი გაკოტრების შესახებ კანონთან უნდა იყოს დაკავშირებული. მართალია, საქართველოს უკვე რამდენიმე წელია რაც უცხოელი (კერძოდ, გერმანელი) ექსპერტების მიერ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შექმნილი და პარლამენტის მიერ დამტკიცებული გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონი გააჩნია, მაგრამ ის სამწუხაროდ “მკედრადშობილია”, ანუ *ნეკროკანონია*: ამ კანონით საქართველოში ჯერ არცერთი ფაქტიურად გაკოტრებული საწარმო იურიდიულად არ გაკოტრებულა. ეს კი იმით აიხსნება, რომ მოცემული კანონი ქვეყანაში არსებულ ინსტიტუციურ გარემოს და პოლიტიკაში მყოფი პოსტსაქმონების ინტერესებს ვერ “შეერწყა”.

ხსენებული კანონი საერთაშორისო სტანდარტებს სრულად პასუხობს, ის უცხოელ ექსპერტთა მოწონებას ერთხმად იმსახურებს, თუმცა რეალურად ის არასიცოცხლისუნარიანია. ასეთ კანონს ყველაზე მეტად *“მძინარე მზეთუნახავის”* ზღაპრული ტიტული შეეფენის.

საქართველოს კანონი გაკოტრების შესახებ იმის ნათელი მაგალითია, რომ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში ახალი ინსტიტუტები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ზეწოლით დასაფლეთის ანალოგების, ორიგინალის შეგნებული პირდაპირი იმიტაციის გზით იქმნება (Шаванс, Маньян, 1999, с. 43). შედეგად, განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული ინსტიტუტები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში ან სიცოცხლისუნარონი, ან უარეს შემთხვევაში უარყოფითი ეფექტების მომტანიც კი არიან. აქვე იმის გათვალისწინებაცაა საყურადღებო, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინსტიტუციონალური რეფორმის მიმართ დანქარებული, გაუბრალოებული მიდგომის გამო საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პროცესი ფერხდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს საკმაოდ ხშირად და სამართლიანადაც აკრიტიკებენ (Stiglitz, 1999B; Стиглиц, 1999).

საბაზრო სისტემის შესატყვისი “რუტინის” ჩამოყალიბება, პოსტსაქმოსნების მეწარმეებით ჩანაცვლება და შედეგად ნეკროეკონომიკის მოსპობა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ხელშემწყობი ინსტიტუტების შექმნით იქნება შესაძლებელი. ნეკროეკონომიკის მოსპობა კი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის კაპიტალისტურ ეკონომიკად გარდაქმნის პროცესის დასრულების ერთადერთი და თანაც უტყუარი ინდიკატორია.

## თავი VIII. სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის პოლიტიკონომიური ასპექტები

ჩემი ჩვენს ჯობია.  
*ბენჯამინ ფრანკლინი*

თუ კი თითოეულს კუთვნილი  
მიეცემა, მაშინ ყველას არ ეყოფა.  
*ბორის კრუტიერი*

თითოეულს კუთვნილი,  
ხოლო სხვას – სხვისი.  
*ემილ კროტიკი*

### § VIII.1. სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის გზები

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ფაქტორული ბაზრების ფორმირებაა (გოგოხია, 2000), რაც წარმოების ფაქტორების პრივატიზაციის (პაპავა, სოსელია, ულუმბერაშვილი, 1992; Panava, 1992B) გარეშე წარმოდგენილია. წარმოების ფაქტორების პრივატიზაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციას უჭირავს, რადგანაც ითვლება, რომ ეს რეალურ სექტორში კერძო კაპიტალის ჩამოყალიბების ქმედითი გზაა.

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ პრივატიზაციის ბუმმა გასული საუკუნის 80-იან წლებში სამრეწველო განვითარების უმაღლეს დონეზე მყოფი სახელმწიფოების უმრავლესობა მოიცვა, თუმცა ის არც ისეთი წარმატებული და თანამიმდევრული აღმოჩნდა, როგორც ამას ეკონომი-

კის ტოტალური განსახელმწიფოებრიობის მომხრეები ელოდნენ (Супян, 2001, с. 128).

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის თეორიული გააზრებისა და პრაქტიკული ხასიათის სირთულეების შესახებ დღეისათვის არაერთი საყურადღებო გამოკვლევა დაგროვდა (მაგალითად, აქუბარდია, 2002; ბაბუნაშვილი, 2000; ბასარია, 1996; ბასილია, ბაქრაძე, ბეგიაშვილი, და სხვ., 1998; ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაიძე, 2001; გარუნავა, სოსელია, 1998; გველესიანი მ., 1997; გოცირიძე, 1999; გტოს, 1992; დათუქიშვილი, 2000; ეონსანი, 2001; თეთრაული, 1992; თოქმაზიშვილი, 1997; მაქსოვეი, 1997; მესხია, 1996ა; მესხია, მურჯიენელი, 1996; მექვაბიშვილი, 1999; მოურავიძე, 1999; პაპავა გ., 1991, 2000; სამადაშვილი, 1998; სანთელაძე, 2000; სილაგაძე, 1997; სილაგაძე, დიდბარიძე, ჯუღელი, გაბუნია, ჩხაიძე, აფხაზავა, 1996; ღურჯია, 2001; ყუფუნია, 1999; ჩაგელიშვილი, 2000; ძნელაძე, 1991, 1993; წერეთელი, 1992; ჭითანავა, 1993, 1997, 1999ა, 2000ბ; Anderson, Lee, Murrell, 2000; Ashund, Dmitriev, 1999; Beridze, 1996B; Boone, Gomulka, Layard (ed.), 1998; Brezinski, Frirsh, 1996; Campbell, 1991; Crawford, 1995; Ericson, 2000; Fischer, Gelb, 1991; Gogishvili, Gogodze, Tsakadze, 1996; Hashi, 1995; Ibadoglu, 2002; Konings, Walsh, 1998; Kornai, 1993; Lavigne, 1995; Paulson, 1994; Sachs, 1992, 1995; WB, 1995; Wolfson, 1992; Абалкин, 1998, 1999, 2001; Богомолов, 1998; ВБ, 1995; Джугели, Гварамадзе, 1998; Ибадоглу, 2002; Колодко, 1999; Корнаи, 1990А; Меквабишвили, 1998; Никипелов, 1996; Олсон, 1995; Ослунд, 1996А; Панькув, Гончаж, Григолашвили, 1996; Панькув, Гончаж, Моргошина, Ахаладзе, Поломски, 1998; Панькув, Гончаж (ред.), 1998; Пол, Андерсон, Классенс, Дьянков, 1997; Родинелли, Йაკონო, 1997; Сантеладзе, 1998; Силагაძე, 1998; Чикаვა, 1998А; Шерли, Неллис, 1992).

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ფორმირების საწყის ეტაპზე სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის რამდენიმე გზას (რომლებიც ხანდახან სხვადასხვა კომბინაციაში განიხილებოდა) განარჩევდნენ:

1. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ დარიგება;
2. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა;
3. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა (კერძოდ, არენდა გამოსყიდვის უფლებით);
4. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვა.

## § VIII.2. მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი დარიგება

მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი დარიგება, როგორც წესი, ამ ქონების წინასწარ შეფასებას და ამ შეფასების შესაბამისად თითოეული მოქალაქისათვის სათანადო სერთიფიკატის (ვაუჩერის) დარიგებას ეფუძნება, რომელიც მთელს ამ ქონებაში თითოეული მათგანის წილს განსაზღვრავს. მოჩვენებითი სამართლიანობის მიუხედავად, თეორიული ანალიზითაც ადვილი დასანახი იყო, რომ სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის ასეთი გზა სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანდა (პაპავა, 1995ა, გვ. 70-83; Papava, 1995B; Παπავα, 1992A): ადამიანთა უმეტესობა ვერც მოწოდებით, ვერც შესაძლებლო-

ბითა და ვერც სურვილით ვერ შეიძლება და არც მოისურვებდა, რომ კაპიტალის მესაკუთრე ყოფილიყო; ისინი შეეცდებოდნენ ვაუწყებები თავიდან რაც შეიძლება მაღლე მოეშორებინათ და მიღებული ფულით სხვადასხვა სახეობის დეფიციტური საქონელი შეეძინათ; თავის მხრივ ამ ვაუწყებებს მსხვილი ფულადი სახსრების ის მფლობელები შეიძენდნენ, რომლებიც დროს ელოდებოდნენ, როცა ამ ფულით ქონების შექმნა გახდებოდა შესაძლებელი; შედეგად ვაუწყებების გზით მოსახლეობისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი დარიგების მცდელობა მოსახლეობას რეალურ მესაკუთრედ სულაც არ აქცევდა, ხოლო სამომხმარებლო ბაზარზე ფულის მიწოდების ზრდას კი ფასების მატება შეიძლება გამოეწვია. მაშასადამე, პრივატიზაციის აღნიშნული გზის სოციალური მომხიბვლევლობა მაქსიმუმ ორ-სამ თვეში აუცილებლად გაფერმკრთალდებოდა.

ყურადსაღებია, რომ ეს თეორიული მსჯელობა საქართველოში ვაუწყებელი პრივატიზაციის სრულად იქნა დადასტურებული. კერძოდ, ერთი ვაუწყების ნომინალი 30 აშშ დოლარის ოდენობით განისაზღვრა, მაშინ როცა მოსახლეობას ბაზარზე მისი გაყიდვა მხოლოდ 5-6 აშშ დოლარად შეეძლო; მყიდველები, როგორც წესი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების დირექტორები იყვნენ, რამაც მათ საშუალება მისცა ეს საწარმოები სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფასთან შედარებით პრივატიზაციის პროცესში 5-6 ჯერ უფრო იაფად შეეძინათ, ხოლო მოსახლეობა მესაკუთრედ რა თქმა უნდა არ გამხდარა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკუთრების უსასყიდლო დარიგებას შეუძლია როგორც ცალკეული ადამიანისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის ძალზე დიდი ზიანის მოტანა. საქმე ისაა, რომ ის რაც ადამიანს არ შეუძენია და სახელმწიფოსაგან ჩამორთმევის (ანუ,

ექსპროპრიაციის) გზით ერგო, თავისი ბუნებით მუქთი დოკლათია, ხალხს რაც მუქთია, მის მოვლას და გამრავლებას განსაკუთრებული სრუნვა არასოდეს ყოფილა და არც არასოდეს იქნება. ასე, რომ საქართველოში მოსახლეობას ვაუწყებები ქონების შესაძენად რომ გამოეყენებინა, ხსენებული მიზეზი მისი (ქონების) ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას წინ აღუდგებოდა.

აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვინც მთელი ცხოვრება დაუხარული შრომით გამოირჩეოდა, ძალსუფთა არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა: რაკი დაინახავდა, რომ საკუთრება განურჩევლად ყველას ერთნაირად შეხედებოდა, ჩათვლიდა, რომ მის საქმიანობას სათანადო საზოგადოებრივი აღიარება არ ჰქონია და ამდენად, თავისი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის სტიმულს დაკარგავდა. ეს კი, როგორც ცნობილია, კომუნისტური ტიპის ეკონომიკის მრავალწლიანი გამოცდილებითაა დადასტურებული.

ექსპროპრიაცია პრინციპულადაა დაუშვებელი იმისდა მიუხედავად, თუ მას ვინ – კერძო პირი (როგორც ეს XX საუკუნის 20-30-იან წლებში იყო), თუ სახელმწიფო ექვემდებარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის პირველი გზა იმიტომ იყო მიუღებელი, რომ სახელმწიფო ქონების დარიგების რაიმე რეალისტული პრინციპის შერჩევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო: გათანაბრებითი პრინციპის გამოყენება, მიუხედავად იმისა, ის შექმნილ დოვლათს, თუ მით უფრო საკუთრებას ეხება, მიუღებელია, რადგანაც ყოველგვარ ეკონომიკურ სტიმულს სპობს. არანაკლებ სირთულეს წარმოადგენდა იმ პირთა საკუთრების პრობლემის გადაჭრა, რომლებიც სრულწლოვანი ახლო მომავალში უნდა გამხდარიყვნენ და სხვასთან გათანაბრებული ქონების მათთვის საკუთრებაში



გადაცემაც გახდებოდა საჭირო, რისთვისაც სათანადო რესურსი უნდა გამოინახულიყო. აქედან გამომდინარეობს, რომ საკუთრების გათანაბრებითი უსასყიდლო (და ამდენად არაეკონომიკური) განაწილება არა ერთჯერადი, არამედ განმეორებადი აქტი უნდა ყოფილიყო, რაც საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებაში ხელისშემშლელი ფაქტორის როლს შეასრულებდა.

საქართველოში ვაუწერული პრივატიზაციის დაწყებამდე სახელმწიფო კაპიტალის უსასყიდლოდ დარიგების პრაქტიკა ჩეხეთ-სლოვაკეთში უკვე არსებობდა. შედეგები კი, ამ ქვეყნის ექსპერტების შეფასებით, არადაამაკმაყოფილებელი იყო.

უფასო საპრივატიზაციო კუპონების გამოყენებამ ჩეხეთ-სლოვაკეთის მაგალითზე აჩვენა, რომ პრივატიზაციის ამგვარმა გზამ წარმოუბაში ახალი ტექნოლოგიების, ნოუ-ჰაუს რეალიზაცია ვერ უზრუნველყო, რამეთუ კუპონები რეალურ საფინანსო სახსრებს არ წარმოადგენდნენ. სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფო კაპიტალის უსასყიდლო პრივატიზაციის ჩეხეთ-სლოვაკური გამოცდილება არა თუ არ გაზიარებულა, არამედ მისი სერიოზული შესწავლა-გაანალიზების მცდელობაც კი არ ყოფილა.

**§ VIII.3. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისათვის უსასყიდლო გადაცემა**

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დაწყებამდე ძალზედ პოპულარული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მშრომელებს წლების განმავლობაში თავისი შრომით სახელმწიფო საკუთრების გარკვეული წი-

ლი უკვე ჰქონდათ გამოსყიდული და ამდენად, მათ ის უსასყიდლოდ უნდა გადაცემოდათ.

გამორიცხული არ იყო, რომ სასოგადოების ამა თუ იმ წევრს, თავისი ინტენსიური და დაბალანაზღაურებადი შრომით, სახელმწიფო საკუთრების რაღაც წილი მართლაც ჰქონდა გამოსყიდული. მთელი სირთულე სწორედ ამ წილის დადგენა იყო.

საკითხის გადასაწყვეტად იმის გათვალისწინება, თუ ვინ რამდენი წელი იმუშავა, მშრომელთა უნარსა და საქმისადმი მიდგომაში არსებული განსხვავებიდან გამომდინარე, ვერ გამოდგებოდა.

მაშასადამე, სახელმწიფო ქონების ნაწილის შრომითი კოლექტივების წევრებისათვის იმის გამო მიცემა, რომ მათ შრომით ჰქონდათ ის გამოსყიდული სულ ცოტა ტექნიკურად იყო განუხორციელებელი. ასეთი პირების და მათი წილის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ამიტომ სახელმწიფო იძულებული იქნებოდა სახელმწიფო ქონება უსასყიდლოდ დაერიგებინა მათსეც, რომელთა შორის არა ერთი და ორი იქნებოდა ისეთი, ვისაც მრავალწლიანი შრომითი სტაჟის მიუხედავად, ქონების მიღებული წილი თავისი შრომით გამოსყიდული სულაც არ ექნებოდა.

აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ შრომით ვითომდა ადრე “გამოსყიდული” სახელმწიფო ქონების დარიგების პრინციპი ექსპროპრიაციის იდეის შენიღბული ფორმაა და ამდენად მიუღებელიცაა.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის პირველი გზისათვის დამახასიათებელი ნაკლი მეორე გზასაც განინა. ისიც ყურადსაღებია, რომ ეს უკანასკნელი ბოლშევიკების ბელადის, ვლადიმერ ლენინის ცნობილი ღოზუნგის ნაწილს – “ფაბრიკები – მუშებს” შეესაბამება.

ის გარემოებაცაა აღსანიშნავი, რომ თავიდანვე პოპულარული იყო აზრი, რომლის თანახმადაც თითქოსდა სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის დაწყებამდე შრომით კოლექტივებს ფაბრიკებისა და ქარხნების გარკვეული ნაწილი უკვე გამოსყიდული ჰქონდა. კერძოდ, ითვლებოდა, რომ ეს ნაწილი წარმოების განვითარების ფონდის ხარჯზე იყო შექმნილი, რის გამოც ის შრომითი კოლექტივების წევრებს წლებების განმავლობაში გამომუშაებული ხელფასის პროპორციულად აქციების სახით უნდა განაწილებოდა. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო საკუთრების განაწილებაში ხეიმოთ აღნიშნულ გათანაბრებით უსამართლობას ადგილი ექნებოდა, რადგანაც ხელფასის ოდენობა მუშაკის რეალურ შრომით წვლილს (განაწილების საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი – “დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით” სამწესობრივად, ოფიციალური აღიარების მიუხედავად, ცხოვრებაში რეალურად არასოდეს გატარებულა) პრაქტიკულად არასოდეს შეესაბამებოდა. ამდენად, გათანაბრების უკვე ხსენებული უარყოფითი ეფექტის გამო, კაპიტალის პრივატიზაციის ეს გზაც მიუღებელი იყო.

არსებობდა ერთი სირთულეც: წარმოების განვითარების ფონდის შექმნაში მონაწილეობას შრომითი კოლექტივის ის წევრებიც იღებდნენ, რომლებიც სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, პრივატიზაციის დაწყების პროცესში მოცემულ კოლექტივში უკვე აღარ მუშაობენ. ამდენად, მათთვის, ან მათი მემკვიდრეებისათვის (გარდაცვალების შემთხვევაში) კუთვნილი აქციების მეტ-ნაკლებად სწორად განსაზღვრული ოდენობის გადაცემა პრაქტიკულად განუხორციელებელი იქნებოდა.

ზემოხსენებულ სირთულეთა მიუხედავად საქართველოში პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო კაპიტალის ნაწილი შრომით კოლექტივებს უსასყიდლოდ გადაეცა. ქვეყანაში არსებული მიძიმე სოციალურმა ფონმა, სხვა თანაბარ პირობებში, იმის საფუძველი შექმნა, რომ ამ კოლექტივების წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უსასყიდლოდ მიღებული ქონება თავის ყოფილ დირექტორებს, რომლებიც იმუშავედ უკვე მათი თანამესაკუთრები იყვნენ, მინიმალურ ფასებში მიჰყიდეს, რის შედეგადაც შრომითი კოლექტივები კაპიტალის რეალური მესაკუთრენი არ გამხდარან.

#### § VIII.4. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის დასაწყისიდანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა მესამე გზას, რომლის თანახმადაც, შრომით კოლექტივებს საწარმოები არენდით უნდა გამოეყიდათ. საყურადღებოა, რომ ქართულ ენაში ძირითადად იურისტების მიერ ტერმინი “არენდის” ნაცვლად შეცდომით ტერმინი “იჯარა” არის დამკვიდრებული (პაპაეა, პაპაეა, 1993; პაპაეა, 1995ა, გვ. 83-87), პოლონური ენიდან გავრცელებული “არენდა” ქართულად არ ითარგმნება, ხოლო “იჯარა” კი სინამდვილეში სულ სხვა შინაარსის მატარებელია (გუგუშვილი, ნანტლაძე, ჩიქავა, კოშკელაშვილი, 2001, გვ. 26, 192, 334, 432).

ერთი შეხედვით, სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მესამე გზა სავსებით გამართლებული იყო, რადგანაც უსასყიდლოდ არავის

არაფერი უნდა მისცემოდა. ამის მიუხედავად, მის ნაკლოვან მხარეებსაც ესაჭიროებოდა გათვალისწინება.

თუკი სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაცია მხოლოდ მესამე გზით შემოიფარგლებოდა, მაშინ მოსახლეობის გარკვეული (და თანაც არც ისე მცირერიცხოვანი) ნაწილი “თამაშვარე მდგომარეობაში” მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო აღმოჩნდებოდა, რომ პრივატიზებას დაქვემდებარებულ ობიექტში არ მუშაობდა. მოსახლეობის ამ ნაწილის სპექტრი კი საკმაოდ ფართო იყო. კერძოდ, მასში ინტელიგენციის დიდი ნაწილი (მაგალითად, მასწავლებლები, ექიმები და სხვა), ასევე ჩრდილოვანი ეკონომიკის “მაგნატები” ხვდებოდა. მოსახლეობის ხსენებული ორი ჯგუფი დიამეტრალურად განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მხოლოდ მესამე გზით განხორციელების შემთხვევაში, ინტელიგენციის ფენა კაპიტალის ყოველგვარი საკუთრების გარეშე შეიძლება აღმოჩენილიყო, რაც საზოგადოების სხვა ფენებთან შედარებით მათ უფლებებს შელახავდა.

რაც შეეხება ჩრდილოვანი ეკონომიკის იმ წარმომადგენლებს (ესენი კი უმთავრესად ყოფილი პარტიული მუშაკები იყვნენ), რომლებიც პრივატიზაციას დაქვემდებარებულ ობიექტებში არ მუშაობდნენ, თავისი სოციალური უფლებების შელახვას ეკონომიკურად სრულიად “აინაზღაურებდნენ”: ამ მიზნით ისინი “სათანადო” საფასურად ამ ობიექტებში დასაქმებულ ცალკეულ წევრებს ფარულად შეუთანხმდებოდნენ და თავისი ინტერესების შესაბამის ქმედებას განახორციელებდნენ.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მხოლოდ მესამე გზით განხორციელების ნაკლებ ისიცაა, რომ, საქმის ინტერესებიდან გამომ-

დინარე, შეიძლება ყველაზე სასურველი პირი მოცემული ობიექტის მესაკუთრე ვერ გამხდარიყო, რადგანაც ამ შრომითი კოლექტივის წევრი არ იყო.

საქართველოში პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო კაპიტალის ნაწილი შრომით კოლექტივების მიერ არენდა-გამოსყიდვის მეთოდით იქნა პრივატიზებული. ქვეყანაში არსებული მიმე სოციალურმა ფონმა, სხვა თანაბარ პირობებში, იმის საფუძველი შექმნა, რომ ამ კოლექტივების წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამ გზით მიღებული ქონება თავის ყოფილ დირექტორებს, რომლებიც იმუამად უკვე მათი თანამესაკუთრეები იყვნენ, მინიმალურ ფასებში მიჰყიდა, რის შედეგადაც შრომითი კოლექტივები სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის არც ამ გზით კაპიტალის რეალური მესაკუთრენი არ გამხდარან.

საქართველოში სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის სემიონტის სენებული სამივე გზის გამოყენებისას მოსახლეობისა, თუ შრომითი კოლექტივების ინტერესების დაცვას ყოფილი დირექტორები და პარტიული მუშაკები იყვნენ ამოფარებულნი. მათ ამ სამივე გზის ამოქმედებას მიაღწიეს და შედეგად სახელმწიფო ქონება საწყის ფასთან შედარებით ძალზედ იაფად შეიძინეს. ეს არის ქართველ პოსტსაკმოსანთა კასტის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია, ხოლო არც მოსახლეობა და არც შრომითი კოლექტივები კაპიტალის მესაკუთრეები არ გამხდარან და ვერც გახდებოდნენ.

## § VIII.5. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვა

პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვას ყველა შემოსესწებელი უარყოფითი მხარე ნაკლებად ახასიათებს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში ყველაზე დიდ შიშს კაპიტალის პრივატიზაციის სწორედ ეს ვარიანტი იწვევდა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონება მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილოეთი ეკონომიკის საქმოსნების ხელში (რადგანაც ძირითადად ქონების შესასყიდად საჭირო რაოდენობის ფული მხოლოდ მათ გააჩნდათ) აღმოჩნდებოდა, რაც ხელს საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას შეუწყობდა. ობიექტურობა მოითხოვს იმის აღიარებას, რომ საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია ჯერ კიდევ კომუნისტური ტიპის საზოგადოებაში განხორციელდა, როცა საქმოსნებმა დიდძალი ქონების არაღლეგალური გზებით დაგროვება მიახერხეს, ასე, რომ საზოგადოების პოლარიზაცია არა მარტო მოძავალი, არამედ ჩვენი საზოგადოების წარსული, და, რაც მთავარია, აწმყო იყო. მართალია, ხმამაღლა გაცხადებული მხოლოდ კუთვლმობილური ხასიათის მიზნები იყო (რასაც ხელს საქმოსნები უწყობდნენ). მაგრამ სამწუხაროდ პრივატიზაციის პროცესს ქვეცნობიერად სინამდვილეში ხსენებული არაღლეგალური ქონების ლეგალიზაციის ფუნქცია ეკისრებოდა, რამეთუ სახელისუფლებო სტრუქტურებში უმრავლესობას სწორედ საქმოსნები და მათი ინტერესების დამცველები შეადგენდნენ.

ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება “სუფთა ხელებით” ჯერ არსად არ განხორციე-

ლებულა და, ამდენად, არც კომუნისტური ტიპის საზოგადოებიდან პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი იქნებოდა გამონაკლისი.

ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსანთა ქონების ქონფისკაციისაკენ გზის აღება ის ერთადერთი გზა იქნებოდა, რომელიც სხვადასხვა სოციალურ ფენებს ნაწილობრივ და თანაც დროებით გაათანაბრებდა. ეს კი თავისი ბუნებით ბოლშევიკური ექსპროპრიაციისაგან განსხვავებული არაფრით იქნებოდა.

კომუნისტური ტიპის საზოგადოების საქმოსნები და მათი ტრანსფორმაციის გზით ჩამოყალიბებული პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის საზოგადოების პოსტსაქმოსნები, სახელისუფლებო სტრუქტურებში შეღწევითა და აღმასრულებელ, თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოპოვებით, ერთის მხრივ, საპრივატიზაციო ობიექტების ფასს ყველანაირი ხერხით ამცირებდნენ, ხოლო მეორეს – კი პრივატიზაციის პროცესში საჯაროობას ზღუდავდნენ (პრივატიზაციას დაქვემდებარებული ობიექტის შესახებ ინფორმაციის გაერცვლების ხელშეწყობის შეზღუდვით), რაც იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მათ და მათ უკან მდგომებს იაფად, ყოველგვარი კონკურენციის გარეშე შეეძინათ ესა თუ ის საპრივატიზაციო ობიექტი.

რეზიუმეს სახით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის ყველა გზა საბოლოო ჯამში პოსტსაქმოსნების კასტის ჩამოყალიბებას იწვევდა.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მეტ-ნაკლებად წარმატებით განსახორციელებლად ზემოხსენებული ოთხი გზიდან პირველი (რომელიც, როგორც აღინიშნა ბუნებით ბოლშევიკური, უფრო სწორედ კი ნეობოლშევიკური გზაა) აუცილებლად უნდა გამორიცხულიყო, ხო-



ლო დანარჩენი სამი შემდეგი შესაძლო კომბინაციით უნდა განხორციელდეს.

უმჯობესი იქნებოდა პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების ღირებულების შესაბამისი მსხვილი, საშუალო და წვრილი აქციების გამოშვება; წერილი აქციების უდიდესი ნაწილი და, გარკვეულად, საშუალო აქციებიც (რაც ჯამში საშუალოდ კაპიტალის მთელი ღირებულების დაახლოებით 20 პროცენტზე მეტი არ უნდა ყოფილიყო) უშუალოდ პრივატიზაციას დაქვემდებარებული ობიექტების შრომით კოლექტივში უნდა გაყიდულიყო. რაც შეეხება საშუალო აქციების უდიდეს ნაწილს და წვრილი აქციების მცირე ნაწილს (რაც ასევე ჯამში საპრივატიზაციო კაპიტალის ღირებულების 20-25 პროცენტზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო), საფონდო ბირჟაზე, ხოლო მსხვილი აქციები კი - აუქციონზე უნდა გაყიდულიყო. საკითხისადმი ასეთი მიდგომის პირობებში მიღწეული ის იქნებოდა, რომ შრომითი კოლექტივის იმ წევრებს, რომელთაც სურვილი და შესაძლებლობა ჰქონდათ დამატებითი საშუალო აქციები, ან მსხვილი აქციები შეეძინათ, ამას საფონდო ბირჟაზე ან აუქციონზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოახერხებდნენ. სამწუხაროდ სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის ხსენებული გზა თავის დროზე სერიოზული განხილვის საგანი არც კი გამხდარა.

სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის საწყის ეტაპზე ყურადღება იმაზეც მახვილდებოდა, თუ პრივატიზაციას რომელი, კერძოდ, მომგებიანი, თუ წამგებიანი ობიექტები უნდა დაქვემდებარებოდა.

თუ კი იმ ობიექტებს გამოვიციხავთ, რომლებიც მათი განსაკუთრებული სტატეგიული დანიშნულების გამო (მომგებიანობა-წამგებიანობის მიუხედავად) სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო,

თავიდანვე სასოგადოებაში ის აზრი მკვიდრდება, რომლის თანახმადაც პრევატიზაცია არა მარტო წამგებიანი ობიექტებიდან უნდა დაწყებულიყო, არამედ უფრო მეტიც – ეს პროცესი მხოლოდ ასეთი ობიექტებით უნდა შემოსახლდებოდა. ერთის შეხედვით, ეს აზრი თითქოსდა გამართლებულიც კი იყო: წამგებიანი ობიექტების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების იმედი კერძო სექტორის ქმედითუნარიანობაზე იყო დამყარებული. მაგრამ აქ გაუთვალისწინებელი რწებოდა შემდეგი გარემოება: კერძო სექტორი ფეხზე თავად უნდა დამდგარიყო, ხოლო მანამდე კი გაუმართლებელი იყო მხოლოდ მასზე იმედის დამყარება, თითქოს რომ მას შეეძლო წამგებიანი ობიექტების “გაჯანსაღება”, მით უფრო ნეკროეკონომიკის გაცოცხლება. თავიდანვე სავარაუდო იყო, რომ საწინააღმდეგო ეფექტს ექნებოდა ადგილი, როცა კერძო საკუთრებაში აღმოჩენილი წამგებიანი ობიექტები ამ სექტორის განვითარებას ყოველმხრივ შეაფერხებდნენ. აქვე ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ, როგორც ამას ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, კერძო სექტორიდან სახელმწიფო სექტორში სწორედ ის ობიექტები გადადიან, რომლებიც ნაკლებმომგებიანია, რადგან ხშირ შემთხვევაში ასეთი საწარმოების, “შენახვის” უნარი სწორედ სახელმწიფოს აქვს. თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ფორმირების საწყის ეტაპზე, მძიმე საბჭოური მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკის, წარუმატებელი საომარი მოქმედებებისა და ქვეყნის მართვაში დაშვებული სერიოზული შეცდომების პირობებში ამ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის პრაქტიკული რეალიზაცია რა თქმა უნდა გაუჭირდებოდა.

და ბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის ქვეშ ამ კაპიტალის მესაკუთრის, ანუ სახელმწიფოს კერძო მესაკუთრეთი შეცვლა იგულისხმებოდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონფერენციაზე, რომელიც 1992 წლის თებერვალში პარიზში ჩატარდა, მიღებულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მოცემულ გაგებას ვიწრო დაერქვა, ხოლო ფართო გაგების ქვეშ სახელმწიფო კაპიტალის განსახელმწიფოებრიობა იგულისხმება, როცა საწარმო საკუთრების ფორმის მიუხედავად სახელმწიფოს პირდაპირი და ადმინისტრაციული ჩარევისგან სრულად არის განთავისუფლებული (გტოს, 1992, გვ. 50-52). საქართველოში სახელმწიფო კაპიტალის პრივატიზაციის მხოლოდ ვიწრო გაგებით გამოყენებამ საწყის ეტაპზე სამწუხაროდ სახელმწიფო ქონების მართვის უფლებით გადაცემის პრაქტიკა სრულად გამორიცხა (აქუბარდია, 2002).

# თავი IX. წარმოების მიხედვით ფაქტორი და სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში

ბუნებას, რომ იმდენი კანონი აქონდეს,  
რამდენიც სახელმწიფოს აქვს, მაშინ  
ღმერთი მის მართვას ვერ შეხილვება.  
*ლუდვიგ ბერნე*

ყველაზე კარგი მთავრობა ისაა, რომელიც  
რაც შეიძლება ნაკლებს მართავს.  
*ჯონ ო'სალივანი*

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი მთავრობა  
იმაზე პატარაა, ვიდრე იმ ფულით  
შეიძლებოდა გვეილოდა, რასაც ვუხდით.  
*ვილ როჯერსი*

## § IX.1. წარმოების ფაქტორები და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი

ეკონომიკური მეცნიერების კვლევის მნიშვნელოვან სფეროს სა-  
ხელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს. ამ პრობლემის შე-  
სწავლის აუცილებლობა თვისებრივად ახალ დონეზე პოსტკომუნის-  
ტური კაპიტალიზმის პირობებში დგება (მაგალითად, აქეზარდია, 1996;  
ბასარია, მესხია, 1995; ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაიძე, 2001; კაკულია რ.,  
1999, 2000გ; მალაშხია, 1999; მექვაბიშვილი, 1995; სანაძე, 1999; ქვამახია,  
1997; ყუფუნია, 2000; ჭითანაეა, 1999ბ, 2000ა; Akubardia, 2002; Beridze,

1996A; Nunberg, 1999; Wolf, 1994; Беридзе, 1995; Ведута, 1998; Закаридзе, 2000; Пошка, 2000).

დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად ტერმინ “სახელმწიფოს” (“State”) ნაცვლად როგორც წესი ტერმინი “მთავრობა” (“Government”) იხმარება. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული ტერმინი “სახელმწიფო” “მთავრობას” (აღმასრულებელ ხელისუფლებას), როგორც მის შემადგენელ ნაწილს მოიცავს.

საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოს საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის შინაგანი შემადგენელი ნაწილი კი არაა, არამედ მას ავსებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს "დანიშნულება" იმ ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაა, რომელთა გადაჭრა ბაზარს არ ძალუძს, რის გამოც სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა მისი (ბაზრის) იძულებითი დამატების როლში გამოდის. ამგვარი მიდგომა ორივე თანამედროვე მაგისტრალურ ეკონომიკურ მიზდინარეობას – ნეოკლასიკურ და ნეოქეინზიანურ სკოლებს ახასიათებს (მაგალითად, Гэнрейт, 1979, сс. 45-50), რომელთა შეხედულებები ერთმანეთისაგან ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დონის ფორმებისა და მეთოდებისადმი დამოკიდებულებით განსხვავდება.

საუკრადლებოა, რომ აშშ-ისა და სხვა განვითარებული ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდის დასაბუთების თანამედროვე თეორიები ოთხ ფგუფად შეიძლება დაიყოს (Суняи, 2001, сс. 129-130):

1. თეორიები, რომლებიც სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდას სოციალური გარემოს (ტექნიკური პროგრესი, დემოგრაფიული ძვრები და სხვ.) გართულებით ასაბუთებენ;

2. თეორიები, რომლებიც სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდას სოციალური გარემოსთან ერთად შიდა-პოლიტიკური პროცესებით ხსნიან;
3. თეორიები, რომლებიც სახელმწიფოს ქვეყნის ეკონომიკური კანონითარების ფუნქციას აკისრებენ;
4. თეორიები (უწინარეს ყოვლისა კი “საზოგადოებრივი არ-ნეუანის თეორია”), რომლებიც სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ზრდას სახელმწიფოს, როგორც ორგანიზაციის თვითგაფართოებით ხსნიან.

წინამდებარე თავის მიზანი იმის დასაბუთებაა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა ბაზრის შინაგანი, იმანენტური ნაწილის სახითაც შეიძლება იქნეს განხილული. საკითხის ასეთი დასმიდან გამომდინარე შეუძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების პრობლემის პრინციპულად განსხვავებული გზით გადაწყვეტა, როცა ისინი ეკონომიკის სხვა აგენტების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდებისაგან პრაქტიკულად არაფრით იქნება განსხვავებული. ეს, თავის მხრივ, ბაზარზე და საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს როლზე საყოველთაოდ მიღებული შეხედულების ნაწილობრივ გადასინჯვას მაინც საჭიროებს.

წინამდებარე ნაშრომში საკმაოდ დეტალურად იქნა ისეთი ცნებები განხილული, როგორიცაა თავისუფალი, ფსევდორეალური და რეალური ბაზრები (იხ. § VI.1, § VI.2 და § VI.3). რადგანაც თავისუფალი ბაზარი გარე ეფექტების (ექსტერნალიების) აცილებასა და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებას ვერ ახერხებს (ანუ ბაზრის ფიასკოს აქვს ადგილი), სახელმწიფო ერევა ბაზარში და ცდილობს ექსტერნალიების ინტერნალიზაციასა და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებას, რაც,

როგორც ამას “საზოგადოებრივი არჩევანის” თეორია ხსნის, პოლიტიკური რენტის ძიების გამო რეალურ ბაზარში სახელმწიფოს ფიასკოთი მთავრდება.

იმისდა მიხედვით, თუ სახელმწიფოს ფუნქციების გაფართოება ბაზრის ფიასკოს დაძლევას, თუ სახელმწიფოს ფიასკოს გაძლიერებას ემსახურება, ეს ფუნქციები საზოგადოებისათვის, შესაბამისად, სასიკეთოდ და საზიანოდ ფასდება (Сунях, 2001, сс. 131-132).

საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს როლის გადასინჯვის მიზნით წარმოების ფაქტორების ტრადიციული სქემის ახლებური გააზრება საჭირო.

ამჟამად არც ერთი ეკონომიკური სკოლის (მარქსისტების გამოკლებით) წარმომადგენელი სადაოდ არ ხდის იმ თეზისს, რომ საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ამ შემოსავლის შემქმნელი ოთხი ფაქტორის მიხედვით ნაწილდება. საყოველთაო აღიარებით, ესენია (მათ ეკონომიკურ რესურსებსაც უწოდებენ) მიწა, კაპიტალი, შრომა და სამეწარმეო უნარი, რომელთაგან პირველი ორი მატერიალურ, შემდეგი ორი კი – ადამიანურ რესურსებად ერთიანდება; საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ისე ნაწილდება, რომ წარმოების ყოველ ფაქტორს მისი მფლობელისათვის შესაბამისი შემოსავალი (რენტა, პროცენტი, ხელფასი და სამეწარმეო მოგება) მოაქვს (მაგალითად, Макконнелл, Брю, Т. 1, сс. 37-38).

ნამოთველილი ფაქტორული შემოსავლების გარდა, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული ამონაგები ამორტიზაციასა და ბისნესზე ირიბ გადასახადებსა და გადასახდელებს (გადასახადები გაყიდვებიდან, აქციები, ქონების გადასახადი, სალიცენზიო გადასახდელუბი და საბაჟო გადასახადები) შეიცავს. ეს უკანასკნელნი ლიტერატურა

რაში სახელმწიფოს დაუმსახურებელ (გამოუმუშავებელ) შემოსავლად იწოდებიან (Макконнелл, Брио, Т. 1, с. 149). ეს კი, თავის მხრივ, ნაწილობრივ წარმოების ფაქტორების თეორიის მთლიანობას საეკვოდ ხდის, რომლის თანახმადაც საქონლისა და მომსახურების ფასი ფაქტორულ შემოსავლებად იყოფა: შემოსავლის ისეთი სახე (ირიბი გადასახადები ბიზნესზე) ჩნდება, რომელსაც ეკონომიკური დასაბუთება არ გააჩნია. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროა პასუხი შემდეგ კითხვას გაეცეს: წარმოების ყველა ფაქტორი და შესაბამისი შემოსავლები არის კი გათვალისწინებული?

ამ კითხვასე პასუხი ალბათ დადებითი იქნებოდა, ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ყველა ურთიერთობა “Laissez-faire” პრინციპის საფუძველზე რომ განისაზღვრებოდეს, რაც თავისუფალი ბაზრისა და წმინდა კონკურენციისათვისაა დამახასიათებელი, და იმაუდროულად გულისხმობს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობაში საჭიროება არ არსებობს. რეალურად კი საქმე შემდეგნაირადაა:

1. თუ მეწარმე საქონლის ან მომსახურების წარმოების ერთიან პროცესში მიწის, კაპიტალისა და შრომითი რესურსების ჩართვას ახორციელებს, მაშინ სახელმწიფო თავის თავზე ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში მეწარმეთა ამ საქმიანობის რეგულირების ინიციატივას იღებს;
2. თუ მეწარმე გარკვეული საქონლის, ან მომსახურების წარმოებას უძღვება, სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში უკეთებს ორგანიზაციას საქონლისა და მომსახურების მთელი მასის წარმოებას;
3. თუ მეწარმე ამა თუ იმ გადაწყვეტილებას (მაგალითად, სიახლეების გამოყენების, თუ რისკის თავის თავზე აღე-



ბის შესახებ) საკუთარი ბიზნესის წარმართვის პროცესში იღებს, სახელმწიფო გადაწვევტილებებს (ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებით) მთელი ეროვნული ეკონომიკის განვითარების მაგისტრალური გზების შესახებ იღებს.

თანამედროვე ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაში ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ ხელისუფლების სათავეში როგორი პოლიტიკური ძალებია მოქცეული. მაგალითად, 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში კონსერვატორების მოსვლამ ამ ქვეყნებში ეკონომიკური აქტიურობის ზრდას შეუწყო ხელი, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტების 70 წლიანმა ბატონობამ საბასარო ურთიერთობები იატაკქვეშეთში არსებობისათვის გასწირა და ქვეყანა უღრმეს კრიზისამდე მიიყვანა.

ამგვარად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების მესხუთე ფაქტორია<sup>1</sup> (Papava, 1993, 1994A; Panava, 1992B, 1993A, 1993B. 1994, 1995, cc.187-201, 2002A).

გავლებული პარალებების მიუხედავად, სამეწარმეო უნარისა და სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარს შორის მსგავსება უმთავრესად გარუნული ხასიათისაა; შინაგანად კი მათ შორის პრინციპული განსხვავებაა:

1. მეწარმეს საკმე როგორც მატერიალურ (მიწა, კაპიტალი), ისე შრომით რესურსებთან აქვს, რომელთაც იგი თავს წარმოების ერთიან პროცესში უყრის. სახელმწიფო

---

<sup>1</sup> სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების მესხუთე ფაქტორის ავტორისეული კონკრეცია ბრიტანული "გამოყენებითი ეკონომიკის" სახელმძღვანელოს მეექვსე და მეშვიდე გამოცემაში იქნა ახასული (Griffiths, Wall (ed.), 1995, p. 338; 1997, p. 358).

ფო კი ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში მეწარმეებს აერთიანებს;

2. ბიზნესის წარმართვის პროცესში ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებით მეწარმე მოცემული კონკრეტული ფირმის საქმიანობის კურსს განსაზღვრავს. სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი ეროვნული ეკონომიკის შემადგენელი ყველა ფირმის განვითარების სტრატეგიაზე ახდენს გავლენას;
3. მეწარმე, როგორც ნოვატორი ახალი პროდუქტების წარმოების დაწყებაზე სრუნავს, ახალი ტექნოლოგიები, ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმები და მეთოდები შემოაქვს. სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკაში ნოვატორს, ახალი საფინანსო-საკრედიტო და საგადასახადო სისტემები (ან ამ სისტემების ახალი ელემენტები) შემოაქვს, ახალ ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს აყალიბებს და ა.შ.;
4. ბიზნესის წარმართვის პროცესში მეწარმე საკუთარ თავზე რისკს და მისი გამართლების შესაბამისად “ჯილდოსაც” იღებს; მოვლენათა განვითარების ყველაზე “სავალალო” ვარიანტი შეიძლება მისი გაკოტრება იყოს. ეროვნული ეკონომიკის ხელმძღვანელობისას რისკს თავის თავზე სახელმწიფოც იღებს, მაგრამ იგი რამდენადმე განსხვავებული ხასიათისაა: სახელმწიფოს ამგვარი “გაკოტრების” უფლება არა აქვს, რადგანაც მაშინ მას თვითდაშლა (თუმცა ისტორიაში ასეთი შემთხვევებიცაა ცნობილი) ემუქრება. თანაც, თუ აღებული

დაუხლევველი რისკისათვის მეწარმის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებაა, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი პირებისათვის ჯილდო არსენებში გამარჯვება, ხელისუფლებაში ყოფნის ვადის გაგრძელებაა.

*ამგვარად, თუ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების ფაქტორია, მან სახელმწიფოს გარკვეული შემოსავალიც უნდა მოუტანოს. სწორედ ესაა ის შემოსავალი, რასაც ამჟამად ბიზნესზე ირიბ გადასახადს უწოდებენ. სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის წარმოების ფაქტორად აღიარება, თავის მხრივ ბიზნესზე ირიბ გადასახადებს, სამეწარმეო მოგების ანალოგიით, სახელმწიფოს მოგების სტატუსის მიღების უფლებას აძლევს.*

ფაქტორულ შემოსავლად ბიზნესზე ირიბი გადასახადების მიზნების შემთხვევაში შეიძლება საკითხი იმის შესახებ წამოიჭრას, რომ სახელმწიფო ეკონომიკური უნარის სანაცვლოდ პირდაპირ გადასახადებსაც იღებს. სინამდვილეში ეს უკანასკნელი სხვა ფაქტორული შემოსავლების შემადგენლობაში შედის და მათგან, როცა სახელმწიფოს ხელში გადადის მხოლოდ მას შემდგომ გამოიქვეითება. პირდაპირისაგან განსხვავებით ირიბი გადასახადები ზემოთ განხილული მომსახურების სანაცვლოდ სახელმწიფოს განკარგულებაში უშუალოდ ექცევა; ბიზნესზე ირიბი გადასახადები სხვა ფაქტორულ შემოსავლებთან ერთად პირველადი შემოსავლებია, პირდაპირი გადასახადები კი - წარმოებული.

შევნიშნავთ, რომ სახელმწიფოს მოგების, ანუ ბიზნესის ირიბი დაბეგერისაგან მიღებული შემოსავლის ოდენობა შესაბამისი საგადასახადო განაკვეთების დონით განისაზღვრება: ისინი სახელმწიფოს მო-

გების ზრდაზე გავლენას იმის და მიხედვით ასდენენ, თუ ლეგალურ ბიზნესს რამდენად ასტიმულირებენ, ან ხელს უშლიან.

კომუნისტური ტიპის ეკონომიკაში წარმოების ფაქტორებს შორის სამეწარმეო უნარი მხოლოდ “იატაკეჟეშეთში” არსებობდა, ის ლეგალურად სახელმწიფოს ეკონომიკური უნართ იყო ჩანაცვლებული. რის გამოც, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. § V.2) მეწარმეთა ნაცვლად საქმოსანთა კასტა ჩამოყალიბდა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმისათვის კი სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის მიზანმიმართული შეხედვის პირობებში სამეწარმეო უნარის ყოველმხრივ განვითარების ხელშეწყობაა დამახასიათებელი.

## § IX.2. წარმოების “დომინირებადი” ფაქტორების კონცეფცია

წარმოების ფაქტორების თეორიას დიდი ხნის ისტორია აქვს და მან ადამ სმიტისა და ჟან ბატისტ სეის დროიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. წარმოების “დომინირებადი” ფაქტორების კონცეფცია მისი ერთ-ერთი თანამედროვე ვერსიია (Эмсон, Голд, Сезан, 1980, сс. 64-66).

ამ კონცეფციის თანახმად, დოვლათის ყოველი კონკრეტული სახეობის წარმოებაში წარმოების ყველა ფაქტორი კი არის გამოყენებული, მაგრამ წარმოების შედეგიანობის ზრდის განმსაზღვრელი “გაბატონებული” და ამდენად “დომინირებადი რესურსი” მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია. კონცეფციის ავტორები, ფაქტორების “დომინირებიდან” გამომდინარე სამი სახეობის წარმოებას განასხევენ: “კაპიტალდომინირებადს”, “მასალადომინირებადსა” და “შრომადომინირებადს”.

ასეთი მიდგომის თანახმად, წარმოების ისეთი პროცესებია “კაპიტალდომინირებადი” (მას სხვანაირად “მანქანადომინირებადსაც” უწოდებენ), რომლებსაც მუშები მხოლოდ აკონტროლებენ და ამით მანქანებისა და სხვა ძირითადი მოწყობილობის ფუნქციონირებას, ტექნოლოგიურ პროცესის დადგენილ რიტმს უზრუნველყოფენ.

“მასალადომინირებადს” წარმოების ისეთი პროცესები მიეკუთვნება, რომლებშიც წარმოებრივი შესაძლებლობები ნედლეულსა და მასალებზე, მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზეა დამოკიდებული, ხოლო შრომა, ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობა არსებული წარმოებრივი პოტენციალის რეალიზაციას მხოლოდ და მხოლოდ ხელს უწყობს.

“შრომადომინირებადი” წარმოების ის პროცესებია, რომლებშიც ხელით შრომასა და მუშების კვალიფიკაციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, რის გამოც წარმოების მოწყობილობა და ძირითადი კაპიტალის ნებისმიერი სხვა ელემენტი მუშებისათვის დამხმარე ფუნქციას ასრულებს.

განხილული კონცეფციის ავტორები “კაპიტალდომინირებადი” სახეობის წარმოებას, მაგალითად, ელექტროსადგურებს, ცემენტის ქარხნებსა და ბრძანებებს, “მასალადომინირებადს” სოფლის მეურნეობასა და თევზჭერას, ხოლო “შრომადომინირებადს” კი აგურის წყობას, შეკვეთით კერვას და ხუროს სამუშაოს მიაკუთვნებენ.

ისეთი წარმოების მაგალითების მოყვანის დროს, რომლებშიც ესა თუ ის ფაქტორი “დომინირებს”, ავტორები ანგარიშს იმას უწევენ, რომ არსებული სინამდვილის დიდი მრავალფეროვნების გამო წარმოების ამა თუ იმ ფაქტორის აშკარად გამოხატული “დომინირების” მქონე უკიდურესი ვარიანტები თანამედროვე წარმოებრივი პროცესების შეზღუდულ

წრეს შეადგენს. მაგრამ უკანასკნელთა ამდაგვარ კლასიფიკაციას გამოყენებითი ანალიზის მიზნებისათვის დიდი მნიშვნელობა მაინც აქვს.

ცხადია, სანიმუშოდ ისეთი შემთხვევის განხილვაც შეიძლება, რომელშიც ფაქტორების “დომინირებადობა” წარმოებრივი პროცესის მსუფულობაში იცვლება; კერძოდ, ასეთი შემთხვევის მაგალითი ავიასატრანსპორტო გადაზიდვებია, როცა აფრენისა და დაფრენის დროს წარმოების პროცესი “მრომადომინირებადია”, სიმაღლის ალების შემდეგ (ავტოპილოტის გამოყენების დროს) კი იგი უკვე “კაპიტალდომინირებადი” ხდება.

წარმოების “დომინირებადი” ფაქტორების კონცეფციის ამ მოკლე დახასიათების შემდეგ შესაძლებელია წარმოების სხვა ფაქტორების – სამეწარმეო უნარისა და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით ხოგიერთი განსოგადების გაკეთება.

წარმოების “მეწარმედომინირებად” პროცესებს ისეთები უნდა მივაკუთვნოთ, რომლებშიც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა იმ ინოვაციებს აქვთ, რომელთა განხორციელებაც, როგორც ცნობილია, მეწარმის ინიციატივასთანაა დაკავშირებული და წარმოების სხვა ფაქტორები მეწარმის ინოვაციური საქმიანობის მიმართ დამხმარე ფუნქციას ასრულებენ. კონკურენტული გარემო ხელს უწყობს მოცემული კონკრეტული სახეობის ინოვაციების გავრცელებას, რის შედეგადაც მათი სიახლე ნიველირდება და სხვა მნიშვნელოვანი ინოვაციების უქონლობის შემთხვევაში შესაბამისი პროცესი “მეწარმედომინირებადობას” კარგავს და სამეწარმეო უნარის “დომინირებული” მდგომარეობა წარმოების რომელიმე სხვა ფაქტორის “დომინირებული” მდგომარეობით იცვლება.

წარმოების სხვა ფაქტორების ანალოგიით შესაძლებელია წარმოების ისეთი პროცესების გამოყოფა, რომლებშიც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი იქნება “დომინირებული”. “სახელმწიფოდომინირებადი” წარმოების ის პროცესია, რომელშიც განმსაზღვრელი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარს აქვს, ხოლო წარმოების ყველა დანარჩენი ფაქტორი მასზე დაქვემდებარებულ ფუნქციას ასრულებს. წარმოების “სახელმწიფოდომინირებადი” პროცესების რიცხვს, ბუნებრივია, საზოგადოებრივი და კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის წარმოება მიეკუთვნება.

წარმოების რომელიმე პროცესში ამა თუ იმ ფაქტორის “დომინირებადობა” ამ ფაქტორის მიერ მოტანილი შემოსავლის წარმოების სხვა ფაქტორების მეშვეობით მიღებულ შემოსავალთან შედარებით “დომინირებადობას” განსაზღვრავს. კერძოდ, “კაპიტალდომინირებად” წარმოებაში “დომინირებული” შემოსავალი პროცენტი, “მასალადომინირებადში” რენტა, “შრომადომინირებადში” ხელფასი, “მეწარმედომინირებადში” სამეწარმეო მოგება, ხოლო “სახელმწიფოდომინირებადში” სახელმწიფოს მოგება უნდა იყოს.

### § IX.3. საზოგადოებრივი დოვლათის გაყიდვის სისტემა

კერძო და საზოგადოებრივი დოვლათის გაყიდვათა შორის არსებითი განსხვავებაა. პირველი მათგანის შექმნა, როგორც წესი, ინდივიდუალურად, ხოლო მეორის კი კოლექტიურად ხდება. ამის მიუხედავად, საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის გადახდა ისევე ინდივიდუალურად ხდება, როგორც კერძო დოვლათისა; კერძოდ, საზო-

გადოებრივი დოვლათის შექმნის საზღაური პირდაპირი გადასახადებია, რომლებსაც ინდივიდუალურად იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.

იმისათვის, რომ საზოგადოებრივი დოვლათი იქნას წარმოებულს, აუცილებელია გარკვეული დანახარჯების განხორციელება. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი სამ ძირითად წყაროს – საგადასახადო შემოსავლებს, სახელმწიფო სესხებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახით, რომლებსაც პროცენტი მოაქვთ, და ქაღალდის ფულისა და მონეტების ემისიას – მოიცავს. მეტად თუ ნაკლებად ჩორმალურად ფუნქციონირებადი ყველა სახელმწიფოს პრაქტიკაში ამ სამ წყაროს შორის გადამწვევტი მნიშვნელობა საგადასახადო შემოსავლებს აქვთ.

ამგვარად, ერთის მხრივ, გადასახადები საზოგადოებრივი (და გადამწვევტი წილად კვაზისაზოგადოებრივი) დოვლათის საწარმოებლადაა გამოყენებული, მეორეს – კი, ისინი მომხმარებლების მიერ მათი “შექმნის” საზღაურად გვევლინება.

აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ თუ არა გადასახადების ამოღება, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება შეუძლებელი იქნებოდა, რომელიც, როგორც ასეთი, თითოეულ ინდივიდსაც და მთელ საზოგადოებასაც ესაჭიროება. ამიტომაც თეორიაში გადასახადები სრულიად გამართლებულად ამ დოვლათის საზღაურადაა მინიჭებული, რამეთუ ნებისმიერი დოვლათის მოხმარება ანაზღაურების გარეშე შეუძლებელია, და რაც უფრო მეტია მისი მოხმარების რაოდენობა, მით მეტის გადახდაა საჭირო ხოლმე.

თავისთავად კერძო დოვლათის წარმოება სულაც არ ნიშნავს, რომ მომხმარებელი ავტომატურად მიიღებს იმ სასარგებლო ეფექტს,



რაც ამ დოვლათს, პრინციპში, შეუძლია მოიტანოს; ეს ეფექტი მხოლოდ მოცემული დოვლათის შექმნის შემდეგ მიიღწევა; ამის საპირისპიროდ, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება მისი სასარგებლო ეფექტის მისაღებად სავსებით საკმარისია, რაც იმით აიხსნება, რომ ასეთი დოვლათის მოხმარების სახლაურსა და თვით მოხმარებას შორის ურთიერთკავშირი არ არსებობს. გადასახადის გადამხდელთათვის “უცნობია”, თუ მათგან ამოღებული გადასახადები კონკრეტულად რა მიზნებს ხმარდება. ამასთან, საზოგადოებრივი დოვლათის არაგამორიცხვადობა და არაკონკურენტულობა ცალკეული ეკონომიკური აგენტების მიერ შესაბამისი გადასახადების გადაუხდელად მისი მოხმარების რეალურ შესაძლებლობას ქმნის, რასაც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ შექმნილი საგანგებო საინსპექციო ორგანოები უმკაცრესად უნდა ებრძოდნენ. როგორც შედეგი, გადასახადების გადახდა (უფრო სწორედ მათი ამოღება-გადახდევინება) იძულებითი აქტის ხასიათს იძენს, რის წინააღმდეგაც გარკვეულწილად მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტების არაერთი თაობა გამოდიოდა და დღესაც გამოდის.

რადგანაც ადამიანები საზოგადოებრივი დოვლათის (აგრეთვე კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილის) სახლაურს იძულებით იხდიან, ამდენად სახელმწიფო დაბეგვრის *სახელმწიფო რეკტად* კვლიფიცირება უსაფუძვლოდ არ გამოიყურება.

ამიტომ იდეალურად უნდა ვაღიაროდ ის სისტემა, რომლის დროსაც როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები გადასახადების გადახდით არანაკლებ იქნებიან დაინტერესებულნი, ვიდრე მათგან თავის არიდებით. ამისათვის კი აუცილებელია, რომ გადასახადის გადამხდლები მათი გადახდით საკუთარი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციას ახდენენ. *ისეთ ბაზარს, რომელშიც არ იქნება (ან ყოველ შემთხ-*

ვევაში, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი) სახელმწიფოს მხრიდან იძულებით დაბეგერა, სრული ბაზარი ეუწოდოთ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ გადასახადები, ერთის მხრივ, საზოგადოებრივი (და მნიშვნელოვანწილად კვაზისაზოგადოებრივი) დოვლათის საწარმოებლად გამოიყენება, ხოლო, მეორეს – კი ისინი მომხმარებლის მიერ მისი “შექენის” საზღაურია. აქედან გამომდინარე, გადასახადები ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებენ: საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაზე გაწეული ხარჯების დაფინანსებასა და მოხმარების საზღაურის დაფარვას. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რამდენად მართებულია დაბეგერის არსებულ სისტემაში ამ ორი ფუნქციის გაერთიანება, განვიხილოთ, თუ ისინი როგორ ვლინდებიან კერძო დოვლათის წარმოებასთან და მოხმარებასთან მიმართებაში.

ვთქვათ A პირი მიმართავს B პირს და მისგან სესხად ფულს იღებს, რომლითაც მისთვის სასურველი კერძო დოვლათის წარმოებას აწყობს. ამ ფულის გამოყენებისათვის A პირი B-ს სესხის პროცენტს უხდის. სესხის გაცემის ვადის გასვლის შემდეგ A პირი B-ს მისგან ნასესხებ ფულს უკან უბრუნებს. თუ B პირს A პირის მიერ წარმოებულ კერძო დოვლათზე მოთხოვნა გაუწნდება, მაშინ იგი ბაზარზე მის შესაძენად მივა და A პირს ამ დოვლათის საფასურს გადაუხდის. აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ორ პირს (კერძო დოვლათის მწარმოებელსა და მის მოხმარებელს) შორის არსებული ეს ურთიერთკავშირი საბაზრო სისტემის მრავალჯერადად განმეორებადი ელემენტარული აქტია.

იმისათვის, რომ სახელმწიფო ბაზარში ორგანულად ჩაეწეროს (და ბაზრის დამანამატი არ იყოს) საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებისა და მოხმარების სფეროში კერძო დოვლათის მწარმოებლებსა და მომხ-

მარებლებს შორის ზემოთ განხილული ურთიერთკავშირის “გადმოტანა” საჭირო.

ამგვარად, საბაზრო პრინციპებს თუ დავეყრდნობით, სახელმწიფო სექტორმა გადასახადების აკრეფის ნაცვლად კერძო პირებისა და კორპორაციებისაგან ფული უნდა ისესხოს. რადგანაც ეს უკანასკნელნი იმავდროულად სახელმწიფო სექტორის მიერ წარმოებული საზოგადოებრივი დოვლათის მომხმარებლებიც არიან, ისინი ვალდებული არიან ამ დოვლათის მოხმარების საფასური გადაიხადონ, ანუ ისევე მოიქცნენ, როგორც ამას ზემოთ მოყვანილ მაგალითში B პირი აკეთებს. საზოგადოებრივი დოვლათის ეკონომიკური “ფასი” მათი მოხმარების საფასურად ტრანსფორმირებული გადასახადებია (Студенский, 1968, с. 246), რაც გადასახადებში ორი ფუნქციის (საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების დაფინანსებისა და მათი მოხმარების საზღაურის გადახდის ფუნქციების) ზემოაღნიშნული შერწყმის შედეგია. აი, მაშინ სახელმწიფოს მიერ გადასახადების ნაცვლად აღებული სესხი უკან არ უნდა ბრუნდებოდეს, თუმცა ამ სესხისათვის პროცენტის გადახდა კი აუცილებლად უნდა მოხდეს.

აქედან გამომდინარე, საბაზრო სისტემაში, როცა სახელმწიფო სექტორი მისი იმანენტური შემადგენელი ნაწილია, იძულებით აკრეფილი გადასახადები სრულიად უადგილოა (ე.ი. სრულ ბაზარს აქვს ადგილი); გადასახადების ნაცვლად *დაუბრუნებელი, მაგრამ პროცენტის მომტანი სახელმწიფო სესხები* გამოიყენება, რომლებიც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა და ქაღალდის ფულისა და მონეტების ემისიის ფორმით მოცემულ დაუბრუნებულ სესხებთან ერთობლივად საზოგადოებრივი დოვლათის (და კერძო სექტორის მიერ გადაუხდელი კვაზისაზოგადოებ-

რევი დოვლათის ნაწილის) წარმოებაზე გაწეული დანახარჯების დასაფინანსებლად გამოიყენება (Papava, 1997; Παπαβα, 1993A, 1994, 1996).

განსხვავებული შეხედულება სახელმწიფოსე, როცა იგი ბაზარს კი არ ავსებს, არამედ მისი იმანენტური ნაწილია, “ეკონომიქსის” მრავალი საკითხის ხელახალ გააზრებას მოითხოვს. ჩვენი წარმოდგენით, სახელმწიფოს მოგების როგორც სახელმწიფოს ეკონომიკურ უნართან დაკავშირებული ფაქტორული შემოსავლის წამოყალიბების მექანიზმის ელემენტური კვლევა, დაბეგერის არსებული სისტემის რეკონსტრუირებისა და ბაზრის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას მოგვცემს (Papava, 1997; Παπαβα, 1993A, 1994, 1996).

თავი X. კორუფციის პოლიტიკონომიური მემანდობი  
პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის საზოგადოებაში  
(საქართველოს მაგალითზე)

ვინაიდან რეული წარმოქმნის რისხვას,  
რადგან სადაც რეული არ არის,  
იქ არც დანაშაულია.

*მოციქული პავლე – წერილი რომაელთა მიმართ, 4, 15*

ის რაც სვენთან კარგადაა ორგანიზებული, ეს დამნაშაეობაა.  
*კონსტანტინე მელიხანი*

მაფია უკვდავია, რადგანაც  
სვენ ყველანი მოკვდავნი ვართ.

მაფიასთან ბრძოლაში  
მაფია სვენს მხარესაა.  
*არკადი დავიდოვიჩი*

**§ X.1. ტერმინოლოგიური საკითხი: “ბრძოლა”, თუ “შეზღუდვა”?**

კორუფცია თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მწვევე პრობლემაა, რამაც, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე, ისე პოლიტიკოსთა და მეცნიერთა ფართო წრეებში მისი განხილვის აქტუალობა ერთმნიშვნელოვნად განაპირობა. კორუფციის, ნრდილოვანი ეკონომიკისა, თუ მაფიის შესახებ სამეცნიერო და პუბლიცისტური პუბლიკაციები (მაგალითად, ასლამაზიშვილი, 2000; ახვლედიანი, 2001; გოგიაშვილი, უგულავა, თოთაძე, 2001; გოცირიძე, კანდელაკი, 2001; თურ-

ნავა, 1997, 2001; თურნავა, ჭვიშვილი, 2002; კიკორია, 2002; მესხია, 1999ა; ოთინაშვილი, 2001; პაპავა გ., 2000; 2002; სმეცს, 2000; ტაბლიაშვილი, ჯ.ა. ნჯღავა, 2001; ტერაშვილი, 2000; ჩიქავა, ჩომახიძე, კვარაცხელია, 2002; წაქაძე, სულავა, ოდიკაძე, ფხაკაძე, 2001; Adams, Fitchett (ed.), 1992; Bhattacharya, 1999; Chander, Wilde, 1992; Elliott (ed.), 1997; Ékes, 1994; Feinstein, 1999; Giles, 1999; Mauro, 1997A, 1997B; Negru, Ungurean, 2001; Rose-Ackerman, 1997; Tanzi, 1995, 1999; Thomas, 1999; Waller, Verdier, Gardner, 2002; WB, 2000; Бунин, 1991; Бродский, 2000; Гоциридзе, Канделаки, 2001А; Клямкин, Тимофеев, 2000; Коттке, 1998; Кузнецова, Хавина, 2000; Левин, Цирик, 1998А, 1998Б; Макаров, 1998; Полтерович, 1998; Савватеев, 2000; Свенссон, 1987; Тимофеев, 2000) დღეს ძალზედ პოპულარულია.

კორუფციის გლობალიზაციის ფონზე (Elliott (ed.), 1997) მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ჯემს ვულფენსონის შეფასებით საქმე “კორუფციის კიბოსთან” გვაქვს (Mauro, 1997B, pp. 1,3).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში პრობლემის მეცნიერული ანალიზი მეორე პლანზეა გადაწეული და კორუფციის დაძლევის გზების შემუშავებისას პოლიტიკური მიდგომა, რომ აღარაფერი ეთქვათ პოპულისტურ ეფექტებზე გათვლილ წინადადებებზე, აშკარად პრევალირებს.

წინამდებარე თავი მიზნად პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის საზოგადოებაში კორუფციის პოლიტეკონომიური მექანიზმის არსის გახსნას ისახავს (პაპავა, 2000გ, 2001ა, Papava, 2000С, Папавა, 2001Д, 2001Ж, 2002Д).

საჭიროა, თავიდანვე გავერკვეთ, თუ კორუფციის სახით პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში საზოგადოდ და კონკრეტულად

საქართველოში, ეკონომიკურად როგორი ბუნების მოვლენასთან გვაქვს საქმე, რამაც მისი შესლუდვის ქმედითი მექანიზმი უნდა შექმნას.

Collins-ის ცნობილი სოციოლოგიური ლექსიკონის თანახმად *კორუფცია* არაკანონიერი პირადი გამორჩენის მიღების მიზნით ხელი-სუფლების წარმომადგენელთა მიერ ქცევის მოსალოდნელი სტანდარტების უარყოფაა (Джерн, Джерн, 1999, с. 322).

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ *კორუფცია*, როგორც ასეთი, მეთრეული მოვლენაა და მისი გამომწვევი ეკონომიკური მიზეზების გამოვლენის გარეშე, კორუფციის შესლუდვის მიზნით ქმედითუნიერიანი მექანიზმის შემუშავება, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

აქვე ყურადღების გამახვილება ერთ ტერმინოლოგიურ ასპექტზეა აუცილებელი. კერძოდ, კორუფციასთან მიმართებაში, როგორც წესი, სიტყვათაწყობა – *“კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა”* გამოიყენება, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია, რადგანაც კორუფციას მისი გამომწვევი ეკონომიკური წინამძღვრები აქვს, რომელთა წინააღმდეგ, ანუ *ეკონომიკასთან ბრძოლა*. უბრალოდ უაზრობაა. დაზუსტების მიზნით აუცილებელია აღინიშნოს, რომ *ბრძოლა* (რაც მოცემულ შემთხვევაში, კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ იურიდიულ ქმედებათა ერთობლიობაა) *მხოლოდ კორუფციის გამოვლენის ფორმათა წინააღმდეგაა შესაძლებელი* და ეს მოკლევადიან პერიოდში მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო ეფექტს (უფრო სწორედ კი ფსევდოეფექტს) კიდევაც იძლევა, მაგრამ სინამდვილეში შინაარსობრივად არაფერი იცვლება: მართალია კორუფციის “მოქმედი გმირები” შეიცვლებიან, მაგრამ კორუფციის გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები კი ხელუხლებელი დარჩება. ამასთან ერთად, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კორუფციის სრული გაქრობის პრეცედენტი მსოფლიო პრაქტიკაში სამწუხაროდ არ არსებობს,

მაშინ ზემოთქმულიდან გაძომდინარე მოცემული პრობლემისადმი სწორი მიდგომა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, სიტყვათაწყობა “კორუფციის შეზღუდვა” იქნება.

## § X.2. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და კორუფცია

კორუფციის ბუნება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში პრინციპულად განსხვავებულია, ვიდრე განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში. თავად პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესია უნიკალური, რადგანაც მისი შესატყვისი ეკონომიკა უკვე კომუნისტური ტიპის აღარ არის, თუმცა ის ჯერ კიდევ სრულად არც საბაზროა; ეს კი, თავის მხრივ, უშუალოდ კორუფციის გამომწვევე მიზეზებსა თუ გამოვლენის ფორმებზე აისახება.

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკაში არსებული კორუფციის ბუნების შესწავლისათვის, მიზანშეწონილია გავიხსენოთ, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი *ორი* ურთიერთაშემავესებელი ქვეპროცესისაგან შედგება, რომელთაგან, როგორც ცნობილია, პირველი *მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა*, ხოლო მეორე კი – *საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუტების ფორმირება*. აღნიშნული ორივე ქვეპროცესი, თუ ისინი ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანილი არ არის, შეიძლება (და, როგორც წესი, ეს ასეც ხდება) ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესატყვისი კორუფციის გამომწვევე მიზეზი გახდეს.



მაკროეკონომიკური სტაბილურობის არ არსებობა ეროვნული ვალუტის დევალვაციაში, ინფლაციის მაღალ ტემპებსა, ან (და) ეკონომიკაში რეალურად არსებული საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ოდენობით აუკრეფობაში შეიძლება გამოვლინდეს; ეს კი ე.წ. “სწრაფი” ფულის შოვნის შესაძლებლობას ქმნის.

ამ შემთხვევაში, სახელმწიფო საბანკო სისტემის ხელმძღვანელებსა და მათთან დაახლოებულ პირებს, რომელთაც ხელი სახელმწიფო კრედიტებზე მიუწვდებათ, “კანონით შეუზღუდავი” საშუალება ექმნებათ სწრაფ სავალუტო თუ სასაქონლო ოპერაციებზე და ეროვნული ვალუტის გაუფასურების, ფასების ზრდის მაღალი ტემპის გამოყენებითა და კვალობაზე მდიდრდებიან (Очухид, 1996A). საქართველოს, სამწუხაროდ, ამის მწარე გამოცდილება აქვს, როცა 1992-1994 წლებში კორუფციის უმთავრესი ფორმა სწორედ “სწრაფი შავი ფულის” შოვნა იყო (პაპავა, 2000გ, გვ. 14-18; Папавა, 2001Г, сс. 9-10).

გადასახადების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოუღებლობა სხვა არაფერია, თუ არა მისი გადასახადის ამკრეფთა და მათ მფარველთა ჯიბეებში წარმართვა, ხოლო შეუსრულებელი ბიუჯეტი კი ნოყიერ ნიადაგს ქმნის, რათა სახელმწიფო ხაზინის ხელმძღვანელებამ ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ხარჯების დაფინანსებასა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში ჩათვლების მექანიზმის ამოქმედებაში უპირატესობა მეტი ქრთამის მიმცემს მიანიჭოს. დაბალი საგადასახადო შემოსავლები კი, თავის მხრივ, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების სათანადო დონეს ვერ უზრუნველყოფს, რაც მაღალი თანამდებობის პირებთან მიმართებაში კორუფციულ ქმედებათა ინციდენტების ობიექტური მიზეზია.

მაშასადამე, პოსტკომუნისტური მაკროეკონომიკური არასტაბილურობა კორუფციის ყველაზე მარტივი, საზოგადოებისათვის ადვილად შესამჩნევი და საკმაოდ ძლიერი მასაზრდოებელი წყაროა.

რადგანაც ინფლაციის მოთოკვა, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთშია შესაძლებელი, ეს ამ სფეროში კორუფციის არა მარტო შესლუდვის, არამედ პრაქტიკული აღმოფხვრის შესაძლებლობასაც კი ქმნის. ამის უდიდესი გამოცდილება საერთაშორისო სავალუტო ფონდს გააჩნია და ყველა იმ პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ, რომელმაც მასთან ინტენსიურ რეჟიმში ითანამშრომლა, დადებით შედეგს დროის სწორედ უმოკლეს ვადაში მიაღწია.

საქართველო ამის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მაგალითია, როცა 1994 წელს საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ხელმძღვანელობით შექმნილი და განხორციელებული ანტიკორიზისული პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა თვისებრივად ახალ დონეზე იქნა აყვანილი, რაც, უწინარეს ყოვლისა, 1995 წლის წარმატებულად განხორციელებულ ფულის რეფორმაში გამოიხატა (ბასილია, ბაქრაძე, ბეგიაშვილი და სხვ., 2001; Папава, 1998; Папава, Беридзе, 1998).

ფისკალურ სფეროში სრულფასოვანი წესრიგის დამყარება შეუდარებლად რთულია. როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, მსოფლიოში პრაქტიკულად არ არსებობს ქვეყანა, სადაც გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით შემოსავლების დამალვას არ ჰქონდეს ადგილი (Свешцов, 1987). ეს მოვლენა კი ჩრდილოვანი ეკონომიკის სახელითაა ცნობილი, რამეთუ ისეთ დანაშაულებრივ ქმედებათა გარდა როგორც, მაგალითად, ნარკობიზნესია, გადასა-

ხადების გადაუხდელობა განვითარებული კაპიტალიზმის ნებისმიერ ქვეყანაში არალეგალური საქმიანობის ყველაზე მთავარი შემადგენელი ნაწილია.

ამ სფეროში კორუფციის შეზღუდვის მიზნით მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური რეფორმების გატარება აუცილებელი, რაზეც ყურადღებას ქვემოთ შევანიშნებთ.

### **§ X.3. საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუტების სისუსტე და კორუფცია**

ფისკალური სფეროს რეფორმირებას, როგორც ამას საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, არაერთი წელი სჭირდება, რაც შესაბამისი ინსტიტუციონალური რეფორმების გატარების ხანგრძლივობით აიხსნება. ამ რეფორმების არსი საგადასახადო და საბაჟო სისტემებში ადმინისტრირების დონის მუდმივი სრულყოფის სისტემის შექმნაზე, ამ პროცესის შესატყვისი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის არსებობაზე, საგადასახადო და საბაჟო საკითხებში მოსახლეობის პრაქტიკულად უწყვეტი განათლების სისტემის დამკვიდრებაზე დაიყვანება.

ყველაზე სერიოზული პრობლემა საქართველოს სწორედ ამ სფეროში შეექმნა, რადგანაც რეფორმა საგადასახადო და საბაჟო სისტემებში ადმინისტრირების დონის სრულყოფის მიზნით ძალზედ დიდი დაგვიანებით იქნა დაწყებული. ეს საქართველოს მთავრობის გარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის “დამსახურებაცაა”, რომელთაც, მათ ხელთ არსებული უმდიდრესი საერთაშორისო

გამოცდილებების მიუხედავად, ფისკალური სისტემის შედარებით ადრეული რეფორმირების პრიორიტეტულობის ამოცანა ვერ წამოაყალიბეს. უფრო მეტიც, მათი რეკომენდაციის შედეგად, საბაუოზე ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით მსოფლიო ბანკის დახმარებითა და მეთვალყურეობით გამართული საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, წინასაიმპორტო კონტროლის განსახორციელებლად, სპეციალიზებული უცხოური კომპანია იქნა მოწვეული, რასაც სამწუხაროდ დაგეგმილი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, რადგანაც ამისათვის, სხვა თანაბარ პირობებში, საბაუო დეპარტამენტში შემოსხენებული რეფორმის გატარება იყო აუცილებელი, რამაც, როგორც უკვე აღინიშნა, საკმოდ დაიგვიანა. საბოლოო ჯამში საბაუო დეპარტამენტის ამ სფეროში საქმიანობას ამკარად პასიური როლი დაეკისრა, ხოლო კონტრაბანდა და შესაბამისად, კორუფცია არა თუ შემცირდა, არამედ ცალკეული სასაქონლო ნაკადების მიხედვით გაიზარდა კიდევ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საგადასახადო კოდექსთან მიმართებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომლის პროექტიც თეორიულად თითქმის უნაკლოც კი იყო. სამწუხაროდ, საგადასახადო კოდექსი საგადასახადო და საბაუო სისტემებში ადმინისტრირების არსებულ დონეს თავიდანვე არ ასახავდა და შედეგად, არც შეესაბამებოდა.

ასეთი შეფასების ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითს სიგარეტისა და თამბაკოს ნაწარმის დაბეგერის ფონდის მიერ საქართველოსათვის რეკომენდებული უმძიმესი რეჟიმი წარმოადგენს, რომელიც მუშობელ სახელმწიფოებში დაბეგერის მოქმედ სისტემებს საერთოდ არ ითვალისწინებდა; შედეგად შესაბამისი ბიზნესის უდიდესი ნაწილი, სამ-

წუხაროდ, ჩრდილოვან ეკონომიკაში გადავიდა და ამ სფეროში კორუფციის არსებული ისედაც დიდი მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა.

არანაკლებ შთაბეჭდავ მაგალითს დამატებული ღირებულების გადასახადით (რომელიც ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით დაკანონდა) იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაბეგვრა წარმოადგენდა, რომელთა წლიური ბრუნვა თავიდან 3000, შემდეგ 20000, მოგვიანებით კი 35000 ლარს აღემატებოდა და რომელიც სოფლად მსხვილი საწარმოების ჩამოყალიბებას აფერხებდა. ფონდის მხრიდან დაშვებული ამ ტიპის შეცდომები საქართველოს მთავრობის მიერ საგადასახადო კოდექსში პრაქტიკულად განუწყვეტელ რეჟიმში განხორციელებულმა უსისტემო ცვლილებების შეტანამ დაამძიმა, რამაც ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა საბოლოოდ არაეფექტიანი გახადა.

ყოველივე ამის ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს ის, თუ რატომ ჭირს საქართველოში ოთხ წელსე მეტი ხნის განმავლობაში საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა. აქედან გამომდინარე ახალი, მოწესრიგებული საგადასახადო კოდექსის მიღების აუცილებლობა ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, რის გარეშეც კორუფციის შესლუდვა საგადასახადო სფეროში ძალზედ ძნელი იქნება.

ფისკალურ სფეროში წესრიგის დასამყარებლად საგადასახადო და საბაჟო ინსტიტუტების სრულყოფის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ფინანსთა სამინისტროს, როგორც ერთიანი საფინანსო ინსტიტუტის აღდგენა (საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს გაუქმებითა და საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შეყვანით, რასაც საქართველოში თითქმის ოთხი წელი (?!) დასჭირდა), რეალისტური სახელმწიფო ბიუჯეტის მი-

ლება, სახაზინო სამსახურის სრულყოფა და სახელმწიფო შესყიდვების ინსტიტუტის წამოყალიბება, რაშიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ შესრულებული პოზიტიური როლის მიუხედავად, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, თვით საქართველოს მხარე სცოდავს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის ზემოხსენებული მეორე შემადგენელი ქვეპროცესი – საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუტების ფორმირება, დროში საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს საკრიოებს. ამასთანავე, ასეთი ინსტიტუტების ნაწილის არარსებობა, ნაწილის არასრულყოფილება და სისუსტე კორუფციის ობიექტურ შესაძლებლობას ქმნის (მაგალითად, Тимофеев, 2000). აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ზოგიერთი ინსტიტუტის დაქარბულ რეჟიმში შექმნა, რისთვისაც, როგორც წესი, დასავლური ანალოგების უშუალო კოპირება გამოიყენება ხშირად ვერ ამართლებს (ცალკეულ შემთხვევაში კი ადგილი აშკარად გამოხატულ უკუეფექტებს აქვს). საქართველოს სინამდვილეში ამის შედარებით “უწყინარ” მაგალითს გერმანელი ექსპერტების დახმარებით მომზადებული, ფაქტიურად გერმანული საკანონმდებლო მოდელის ასლი – გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონი წარმოადგენს, რომელიც უცხოელ ექსპერტთა საყოველთაო მოწონების მიუხედავად თავიდანვე მკვერადშობილი იყო, რადგანაც ამ კანონით არცერთი რეალურად გაკოტრებული საწარმო იურიდიულად არ გაკოტრებულა. თავის მხრივ, ამ კანონის სრულყოფის შემდეგ მის შესაძლო ამოქმედებას საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაციის კანონი აჩერებს, რომლის პროექტიც მსოფლიო ბანკის ექსპერტების დახმარებით იქნა მომზადებული და რომელიც აშკარად გამოკვეთილი ანტი-

რეფორმატორული ძალების ინტერესებს გამოხატავს; ისინი ყველანაირი ხერხით ცდილობენ გაკოტრებისაგან (რაც განვითარებული კაპიტალის-მის ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენაა) “მტრის ხატის” შექმნას. ამავ დროს ხაზი იმასაც უნდა გაესვას, რომ, გარდა იმისა, რომ ფაქტიურად გაკოტრებული საწარმოსათვის ფუნქციონირების გახანგრძლივება უვარგისი მენეჯმენტის უცვლელი სახით შენარჩუნების ტოლფასია (რაც ამ საწარმოს განვითარების პერსპექტივას უსპობს), საწარმოთათვის საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაციის პროცედურათავესი ბუნებით კორუფციული ხასიათისაა, რადგანაც რესტრუქტურისაციის შესახებ თანხმობის პროექტის მომზადება, ამ პროექტში ვადუბისა და სხვა პირობების გათვალისწინება სახელმწიფო მოხელესეა დამოკიდებული. ამასთან ერთად, ხსენებული ძალები არაერთი წელია ცდილობენ საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის მექანიზმი შემოიღონ, და თუ ისინი ამას მაინც შეძლებენ – ეს ამ სფეროში კორუფციის გაღრმავების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

1999-2001 წლებში ისედაც რთულ ვითარებას საწარმოებში სახელმწიფო ქონების წილის მართვის უფლების დარგობრივ სამინისტროებსე გადაცემა კიდევ უფრო ამძიმებდა (პაპავა, 2001ბ), რაც არა უბრალოდ ეკონომიკის მართვის კომუნისტურ სისტემასე დაბრუნება იყო, არამედ საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაციის არსებული მექანიზმის პირობებში ამ სფეროში კორუფციის არსებობას აძლიერებდა.

ამ ვითარებიდან გამოსავალი ერთია: დარგობრივ სამინისტროებს საწარმოებში სახელმწიფო ქონების წილის მართვის უფლების ჩამორთმევასა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსათვის გადაცემას მისი აუცილებელი და მეტ-ნაკლებად შემჭიდროვებულ ვადებში

პრივატიზაცია უნდა მოჰყვეს; თავად ამ სამინისტრომ უნდა განიცადოს თვისებრივი რეფორმირება; გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონით გათვალისწინებული პროცედურების გამარტივებას თან საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაციის შესახებ კანონის გაქმნება (უკიდურეს შემთხვევაში ეს კანონი შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მხოლოდ უცხოური ინვესტიციის მოზიდვის მიზნით შესაბამისი საწარმოს პრივატიზაციისა და ხანგრძლივი ვადით მართვის უფლებით გადაცემისას) უნდა დაერთოს.

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ინსტიტუციონალური ვაკუუმით გამოწვეულ კორუფციულ მოვლენათა შესწავლის მიზნით აუცილებელია ინსტიტუტთაგან ის უმთავრესი გამოიყოფოს, რომლის გარეშეც საბაზრო ეკონომიკის, როგორც ასეთის, ფორმირება პრინციპულად შეუძლებელი იქნება. ეს კი, როგორც ცნობილია, *კერძო საკუთრების ინსტიტუტია.*

#### **§ X.4. კერძო საკუთრების ინსტიტუტი და კორუფცია**

კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირების ურთულესი პროცესი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის დროს, კორუფციის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორია, რაც მას განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში არსებული კორუფციის გამომწვევი მიზეზებისაგან პრინციპულად განასხვავებს.

კერძო საკუთრების ინსტიტუტის განმტკიცების საფუძველს მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო ლიბერალური საკანონმდებლო გარემოს შექმნა წარმოადგენს. ამასთან ერთად აუცილებელია ყველა



მეწარმის, ადგილობრივისა, თუ უცხოელის თანაბარ პირობებში წაყენება, რათა მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენის ერთადერთი გზა მხოლოდ სამართლიანი კონკურენცია იყოს.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში ადგილი კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებას აქვს, პროცესს, რომლის გარეშეც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა პრინციპულად შეუძლებელია და რომელსაც განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში ადგილი საკმაოდ დიდი ხნის წინ აქონდა.

ისტორიაში, სამწუხაროდ, იმის არცერთი მაგალითი არ არსებობს, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება მსოფლიოს თუნდაც რომელიმე ერთ ქვეყანაში “სუფთა ხელებითა” და მხოლოდ ლეგალური გზებით განხორციელებულიყო; ეს პროცესი, როგორც წესი, იმას ემყარებოდა, რაც თანამედროვე ტერმინოლოგიით კორუფციის სახელითაა ცნობილი.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კორუფციის ობიექტური ეკონომიკური საფუძველი არ არსებობს (ან თითქმის აღარ არსებობს), რადგანაც, ჯერ ერთი, მაღალი თანამდებობის პირები საკმაოდ მაღალი ხელფასებით არიან უზრუნველყოფილნი, და რაც მთავარია მათ, როგორც წესი, წინაპრების მიერ დაგროვილი კაპიტალი უკვე აქვთ, რომელიც, სხვა თანაბარ პირობებში, მათი ღირსეული არსებობის გარანტიაა, ხოლო მეორე – ამ ქვეყნებში პრაქტიკულად სრულყოფილი ინსტიტუტები უკვე წამოყალიბებულია, რომლებიც რიგით მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესაძლებლობას უზრუნველყოფენ. ამის მიუხედავად, XX საუკუნის მიწურულს არაერთი სამწუხარო ფაქტი იქნა დაფიქსირებული, როცა კორუფციაში მხილებული და ამის გამო თანამდებობიდან გადაყენებულ იქნენ მაგალითად, ევროკავშირის მთავრობა, იაპონიის

პრემიერ-მინისტრი და ა.შ. ამ ქვეყნებში კორუფციის შესწავლის მიზნით, როგორც წესი, ადმინისტრაციულ მეთოდებს იყენებენ, რაც ხსენებული ვითარების გათვალისწინებით საკვებით გამართლებული და აღდენად, გასაგებიცაა.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესში კორუფციის შეზღუდვის მიზნით მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება, აუცილებლად უარყოფით შედეგს მოგვცემს: მხოლოდ დამსჯელი ზომების გატარების შემთხვევაში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი კვლავ დაუბრუნდება თავის ამოსავალ წერტილს, ის ხელახლა დაიწყება და ამით კორუფციასაც გაუხანგრძლივდება “სიცოცხლე”. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ დამსჯელ ღონისძიებათა გატარებით კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების განახლებული პროცესი უფრო მეტად შენიღბული ფორმებით განხორციელდება, რის გამოც უფრო მახინჯ მოვლენად ჩამოყალიბდება. კერძოდ, თუ კი დღეს საქართველოში ახლად დაგროვებული კაპიტალის განივთების უმთავრესი ფორმა სახლების მშენებლობა თუ სხვა უძრავი ქონების შექმნაა, რის შედეგადაც დასაქმებულია და შრომის შესაბამის ანაზღაურებას იღებს არაერთი ადამიანი, შეისყიდება სამშენებლო მასალები, რითაც საქმდება მათ მწარმოებელ საწარმოთა მშრომელები და ა.შ. (ანუ ქეინზის ცნობილ მულტიპლიკატორს აქვს ადგილი), მხოლოდ დამსჯელი ხასიათის ოპერაციების გატარების შედეგად, ჯერ ერთი, მხილების გაზრდილი საშიშროების (ანუ რისკ-ფაქტორის გაზრდის) გამო გაიზრდება ქრთამის განაკვეთი, ხოლო მეორე – არაკანონიერი გზით ნაშონი ფული საქართველოში აღარ განივთდება და სასღვარგარეთ გაიწოვება. სხვა სიტყვებით კორუფცია არა იმდენად შეიზღუდება, რამდენადაც “მოქმედი გმირები” შეიცვლებიან, ხოლო სა-

ზოგადოება კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ირიბ ეფექტს დაკარგავს.

კორუფციის ეკონომიკური შედეგებისადმი არაკვალიფიციური მიდგომის ერთ-ერთი თვალსაზრისით მაგალითის თანახმად, კორუფციის გზით მოპოვებული ფულის ეკონომიკაში “რეინვესტირების” მოლოდინი არ გამართლდა, რადგანაც ეს ფული მანქანებში, სახლებსა და ფუფუნების საგნებში წაიდო (საკააშვილი, 2001, გვ. 139). ჯერ ერთი, მოცემულ კონტექსტში ტერმინი “რეინვესტირება” უადგილოა (კორუფციასთან მიმართებაში “რეინვესტირება” კორუფციიდან მიღებული ფულის კვლავ კორუფციაში “წაღებას” (?) უნდა ნიშნავდეს), მეორე – ამ მოსაზრების ავტორისათვის სემოსსენებული ქეინსის ცნობილი მეულტიპლიკატორის ეფექტი, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ეკონომიკურ კატეგორიაზე, როგორც ეროვნული სიმდიდრეა, აშკარად უცნობია.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კორუფციის გზით კამდიდრებული ადამიანების ქცევაში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება კორუმპირებულის სახელის გამოსწორების მცდელობა. ამ მიზნით ეს ადამიანები ხსენებული გზით ნაშონი ფულის მცირე ნაწილს ეკლუსიუბის მშენებლობაზე, კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის მხარდაჭერაზე ხარჯავენ. ამ პროცესს “ფულის გარეცხვისა” თუ “ფულის გათეთრების” ცნობილი ტერმინების ანალოგიით “სახელის გარეცხვა”, “სახელის გათეთრება” შეიძლება ეწოდოს.

კერძო საკუთრების ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესით განპირობებული კორუფციის შესლუდვის ყველაზე მარტივი გზა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების არსებული შედეგების დაკანონებაა,

რაც ამ კაპიტალს “ხელ-ფეხს გაუხსნის”, რათა ხალხის საკეთილდღეოდ “იმოქმედოს”.

ეს გზა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუტების დამკვიდრების შემოხსენებულ ღონისძიებებთან ერთად *კორუფციის შეზღუდვის წმინდა ეკონომიკურ მიდგომას* წარმოადგენს. სამწუხაროდ, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავებული ჯგუფის მიერ პროგრამის ძირითადი მიმართულებები (სეაპშჯ, 2000) კორუფციის შესღუდვის ეკონომიკური მიდგომის თუნდაც ელემენტებს მაინც პრაქტიკულად არ შეიცავს და უმთავრესად იურიდიული შინაარსის მქონე რეკომენდაციებს ასახავს.

კორუფციის შეზღუდვის მოყვანილი მხოლოდ წმინდა ეკონომიკური მიდგომის საფუძველზე განხორციელებული უმარტივესი გზის ყველაზე თვალსაჩინო ნაკლი დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრებაა.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალურად შეჭირვებულ მდგომარეობაშია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს გზა აშკარად მიუღებელი იქნება მოსახლეობის ამ ნაწილისათვის, რომლის ყველაზე უფრო “ხმაურიანი” ფრთა სოციალური შურისძიების შესაძლებლობას (ზოგ შემთხვევაში საცესებით სამართლიანადაც კი) მოუთმენლად ელის.

ამის გათვალისწინებით, აუცილებელია კორუფციის შესღუდვის წმინდა ეკონომიკური მიდგომა იმ ტიპის დამსჯელი ხასიათის ზომებთან (რომელთა სწორი შერჩევა უკვე იურისტების გადასაწყვეტია) ისე იქნეს შერწყმული, რომ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო გარემო არ გაუარესდეს, და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია,

უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურად აღიარებული უმნიშვნელოვანესი პრინციპი ხელშეუხებელი დარჩეს.

**§ X.5. ანტიკორუფციული საქმიანობის  
“მთავარი მოქმედი გმირები”**

კორუფციის შეზღუდვის ამოცანა მოითხოვს მკაფიოდ გამოკვეთოს ის სუბიექტები, ანუ “მთავარი მოქმედი გმირები”, რომელთა უშუალო ფუნქცია ამ ამოცანის გადაწყვეტა იქნება.

ამ სუბიექტებს შორის განსაკუთრებული როლი სამართალდამცავ ორგანოებს (რომლებიც, სამწუხაროდ ისევე როგორც მთელი საზოგადოება, თავად არიან კორუფციის სენით შეპყრობილნი) აკისრიათ.

სამართალდამცავ ორგანოებში არსებული კორუფციის შეზღუდვის მიზნით გასატარებელი ინსტიტუციური რეფორმები თანამშრომელთა მატერიალურ სტიმულირებასთან აუცილებლად უნდა იყოს შერწყმული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლწესრიგის დაცვაზე გამიზნული სტრუქტურები თავად შეიძლება კორუფციის გაღრმავების ინიციატორები, ხოლო უარეს შემთხვევაში პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტიტუტებიც კი გახდნენ (მით უფრო, რომ ამის მწარე გამოცდილებაც გაგვანია სტალინის ეპოქის სახით, როცა გასული საუკუნის “37 წლის” ცნობილ მოვლენათა გამო არაერთი განსხვავებულად მოაზროვნე, აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანი იქნა რეპრესირებული).

ამ კუთხით ნებისმიერი ანტიკორუფციული, თუ კორუფციასთან ბრძოლის განსაკუთრებული (კერძოდ, სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისა და გამოძიების) უფლებებით აღჭურვილი ინსტიტუ-

ტის შექმნასთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილვა საჭირო. სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობის სისუსტის პირობებში ასეთი ინსტიტუტი კორუფციის ბუდედ თავად გადაიქცევა, რისი არაერთი სამწუხარო მაგალითიც მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს. მისაღები მხოლოდ მაკოორდინირებელი ფუნქციის მქონე ინსტიტუტის არსებობაა, რომელიც იმავდროულად კორუფციის შეზღუდვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე მონიტორინგსაც განახორცილებს.

კორუფციის შეზღუდვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა საჯაროობის პრინციპის დაცვას ენიჭება, რამაც მიმდინარე პროცესებზე საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება უნდა უზრუნველყოს, რათა გასატარებელ ღონისძიებათა ეფექტიანობა გაიზარდოს. ამ მიმართულე-ბით აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ ინფორმაციის ყოველთვიური გამოქვეყნება დამკვიდრდეს, რაც ამ ხარჯებზე საზოგადოებრივი მონიტორინგის ქმედითი საშუალება გახდება.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ კორუფცია ის გადამდები სენია, რითაც მეტ-ნაკლებად მთელი საზოგადოება – გადასახადის მიმთვისებუ-ლი, ხაზინის ქურდი, თუ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის არგადამხდელი რიგითი მოქალაქეა დაავადებული. სამწუხაროდ, ამ სენს სრულად ვერც ინფორმაციის მასობრივი საშუალებები გადაურჩა, როცა ფინანსურად ძლიერი (მათ შორის პოლიტიკური შეფერილობის მქონე) კლანები მოსყიდვის გზით ახერხებენ მათთვის კარნახს, თუ საზოგადოებაში რა სახის ინფორმაცია უნდა იქნეს გავრცელებული. ეს, ისევე და ისევე სახელმწიფო ინსტიტუტების მოუწყობლობითა და ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობებითაა განპირობებული, როცა პრესასა და ტელევიზიას დამოუკიდებელი არსებობა უჭირს. ამისდა

მიუხედავად, ის ქმედითი ინსტრუმენტი, რომელთა შორის კონკურენციის სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის პირობებში კორუფციის შეზღუდვა იქნება შესაძლებელი, მხოლოდ პრესა და ტელევიზიაა.

და ბოლოს, რადგანაც კორუფცია მეორეული მოვლენაა, ქვეყნის უმთავრესი მიზანი ეკონომიკური განვითარების გზით სიღარიბის დაძლევა უნდა იყოს, რადგანაც ის კორუფციის ეკონომიკური საფუძვლების შესღუდვის წინაპირობას წარმოადგენს.

# თავი XI. საგადასახადო კორუფციის ინდექსები\*

თუ თქვენ წესს არღვევთ, მაშინ  
გაჯარიმებენ; თუ წესს იცავთ,  
მაშინ გადასახადით გბეგრავენ.  
*ლორენს პიტერი*

შენ შეიძლება ვერ შენიშნო, რომ  
საქმე კარგად მიგდის, მაგრამ  
საგადასახადო სამსახური შეგახსენებს.  
*პიერ დანინოსი*

## § XI.1. მეთოდური წინამძღვრები

კორუფციის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა საგადასახადო დანაშაულია, როცა გადასახადის სრული, ან თუნდაც ნაწილობრივი გადახდისაგან თავის არიდების მიზნით საგადასახადო სამსახურის მუშაკები ქრთამის საფასურად დასაბეგრ ოპერაციაზე “თვალს ხუჭავენ” (Свенсон, 1987; Коттке 1998, сс. 535-621).

კორუფციის მასშტაბის შესაფასებლად სხვადასხვა ტიპის ინდექსი გამოიყენება. წინამდებარე თავში ჩრდილოვანი ეკონომიკის იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილის შეფასების მაჩვენებლებია ჩამოყალიბებული, რომლებიც საგადასახადო სისტემაში არსებულ კორუფციასთანაა დაკავშირებული.

---

\* ამ თავის თანაეცორები კახაბერ შევარდნაძე, რობისონ ჩენელაშვილი, ვეფხია ჩოჩელი და ნოდარ ხადური არიან (შევარდნაძე, ჩენელაშვილი, ჩოჩელი, ხადური, 2000; Shevardnadze, Chechelashvili, Chocheli, Khaduri, 2000; Шварднадзе, Чечелашвили, Чочели, Хадური, 2000).



ინდექსი, როგორც ცნობილია, ისეთი შეფარდებითი მაჩვენებელია, რომელიც მოვლენის დროში ცვლილებას (ანუ დინამიკას) ან მოვლენათა სივრცეში შედარების შედეგს ახასიათებს (მაგალითად, ბაკლანოვი, 1977, გვ. 5).

ინდექსების თეორიის ზოგად პრინციპებზე (მაგალითად, ბაკლანოვი, 1977; Аллен, 1980; Кёвеш, 1990; Ковалевский, 1989) დაყრდნობით საგადასახადო კორუფციის ისეთი ინდექსების შემუშავებაა შესაძლებელი, რომელიც საგადასახადო კორუფციის საკმაოდ ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა (პაპავა ვ., 2000ბ).

საგადასახადო კორუფციის ინდექსების აგებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ის პოტენციალური საგადასახადო შემოსავლები უნდა განისაზღვროს, რასაც მხოლოდ თავად ეკონომიკის განვითარება უზრუნველყოფს; შემდეგ კი ამ პოტენციალური სიდიდის გადასახადების ამოღების ფაქტიურ დონესთან შედარებაა საჭირო; ამასთან, წინასწარ, გათვლების დაწყებამდე საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ყოველგვარი ცვლილების ზეგავლენა უნდა გამოირიცხოს.

ამოსავალი პარამეტრი, რომლის საფუძველზეც ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული ინდექსების გათვლა უნდა მოხდეს, ერთობლივი შიგა პროდუქტია<sup>1</sup>, ხოლო ეკონომიკის ცალკეული დარგისა თუ ქვეყნის ცალკეული რეგიონის მიხედვით კი – შესაბამის დარგსა, თუ რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება. აღსანიშნავია, რომ ინდექსების აგების მიზნიდან გამომდინარე, ერთობლივი შიგა პროდუქტის მაჩვენებელი თავის მხრივ გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს, რაც ამ პარამეტრის

---

<sup>1</sup> ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში სამწუხაროდ მცდარი ტერმინი – “მილიანი შიდა პროდუქტია” დამკვიდრებული (ბასარია, კერესელიძე, 1999, გვ. 53-55; უგუშვილი, ჩანტლაძე, ჩიქავა, კოსტაშვილი, 2001, გვ. 38).

სხვადასხვა ელემენტის მიმართ დაბეგერის განსხვავებული რეჟიმის გამოყენებითაა განპირობებული.

უწინარეს ყოვლისა, ერთობლივი შიგა პროდუქტიდან საგარეო ვაჭრობა უნდა გამოირიცხოს.

იმპორტი, როგორც ცნობილია, ქვეყანაში მოქმედ სხვა გადასახადებთან ერთად საიმპორტო გადასახადითაც იბეგრება. ამავე დროს, იმპორტიდან შესაბამისი საგადასახადო შემოსავალი არსებით ზეგაველუნას ვალუტის გაცვლითი კურსის მხრიდან განიცდის. აქედან გამომდინარე, იმპორტის მიმართ საგადასახადო კორუფციის დონის შეფასება ცალკე უნდა მოხდეს.

ერთობლივი შიგა პროდუქტიდან ექსპორტის ოდენობაც უნდა გამოირიცხოს, რამეთუ საერთაშორისო პრაქტიკაში მოქმედი წესის თანახმად, ექსპორტიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ პირდაპირი გადასახადები შედის, რადგანაც ექსპორტი დამატებული ღირებულების გადასახადით, აქციზითა და სპეციალური ექსპორტზე გადასახადით არ იბეგრება, რაც რეალურ საგადასახადო ბაზას ამცირებს. ექსპორტის მიმართაც საგადასახადო კორუფციის დონის შეფასების გათვლები ცალკე უნდა ჩატარდეს.

მიზანშეწონილია, ერთობლივი შიგა პროდუქტიდან ცალკე ის დარგებიცა და რეგიონებიც გამოიყოს, სადაც დაბეგერის განსხვავებული რეჟიმი (მაგალითად რეგიონი, სადაც თავისუფალი ეკონომიკური ზონაა შექმნილი) გამოიყენება. დარგებს შორის ასეთი, როგორც წესი, სოფლის მეურნეობაა. კერძოდ, საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ დაბეგერის მხოლოდ ერთი სახეობა – მიწის გადასახადი მოქმედებს. ასეთი დარგისა და რეგიონებისათვის საგადასახადო კორუფციის დონე ცალ-ცალკე უნდა იქნეს შეფასებული, რაც გათვლის მეთოდის

თვალსაზრისით, პრინციპში, ექსპორტთან დაკავშირებული გათვლების იდენტურია. გათვლების გამარტივების მიზნით დაეუშვათ, რომ ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონა არ არსებობს (რაც საქართველოს სინამდვილეს შეესაბამება).

ინდექსების ფორმალიზაციის მიზნით შემდეგი აღნიშვნები შემოვიღოთ:

$Q_0$  - საბაზო წლის ნომინალური ერთობლივი შიგა პროდუქტი;

$\tilde{Q}_0$  - საბაზო წლის კორექტირებული ნომინალური ერთობლივი შიგა პროდუქტი (ზემოთმოყვანილი დაშვებების გათვალისწინებით<sup>2</sup>);

$Q_1$  - შესადარი წლის ნომინალური ერთობლივი შიგა პროდუქტი;

$\tilde{Q}_1$  - შესადარი წლის კორექტირებული ნომინალური ერთობლივი შიგა პროდუქტი (ზემოთმოყვანილი დაშვებების გათვალისწინებით);

$M_0$  - საბაზო წელს იმპორტის მოცულობა (აშშ დოლარებში);

$M_1$  - შესადარ წელს იმპორტის მოცულობა (აშშ დოლარებში);

$\alpha$  - საბაზო წელს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი;

$\alpha_1$  - შესადარ წელს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი;

$X_0$  - საბაზო წელს ექსპორტის მოცულობა;

$X_1$  - შესადარ წელს ექსპორტის მოცულობა;

$A_0$  - საბაზო წელს აგრარულ სექტორში შექმნილი და ქვეყნის შიგნით მოხმარებული დამატებული ღირებულება;

<sup>2</sup> კერძოდ, კორექტირება საგარეო ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობაში შექმნილი და ქვეყნის შიგნით მოხმარებული დამატებული ღირებულების გამოირიცხეთ ხდება.

- $A_1$  - შესადარ წელს აგრარულ სექტორში შექმნილი და ქვეყნის შიგნით მოხმარებული დამატებული ღირებულება;
- $T_0^r$  - საგადასახადო სამსახურის მიხედვით საბაზო წელს ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავალი;
- $T_1^r$  - საგადასახადო სამსახურის მიხედვით შესადარ წელს ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავალი;
- $\tilde{T}_0^r$  - საგადასახადო სამსახურის მიხედვით საბაზო წელს აკრეფილი კორექტირებული (ზემოთმოყვანილი დაშვებების გათვალისწინებით<sup>3</sup>) საგადასახადო შემოსავალი;
- $\tilde{T}_1^r$  - საგადასახადო სამსახურის მიხედვით შესადარ წელს აკრეფილი კორექტირებული (ზემოთმოყვანილი დაშვებების გათვალისწინებით) საგადასახადო შემოსავალი;
- $T_0^M$  - საბაზო წელს იმპორტიდან ამოღებული საგადასახადო შემოსავალი;
- $T_1^M$  - შესადარ წელს იმპორტიდან ამოღებული საგადასახადო შემოსავალი;
- $T_0^X$  - საბაზო წელს ექსპორტიდან ამოღებული საგადასახადო შემოსავალი;
- $T_1^X$  - შესადარ წელს ექსპორტიდან ამოღებული საგადასახადო შემოსავალი;
- $T_0^A$  - საბაზო წელს აგრარული სექტორიდან ამოღებული საგადასახადო შემოსავალი;

<sup>3</sup> კერძოდ, კორექტირება საგარეო ვაჭრობიდან და სოფლის მეურნეობიდან ამოღებულ გადასახადო გაბორცვებით ხდება.

$T_1^A$  - შესადარ წელს აგრარული სექტორიდან ამოღებული საგადასახადო შემოსავალი.

ამ აღნიშვნების თანახმად:

$$\tilde{Q}_0 = Q_0 + \alpha_0 \cdot M_0 - X_0 - A_0,$$

$$\tilde{Q}_1 = Q_1 + \alpha_1 \cdot M_1 - X_1 - A_1,$$

$$\tilde{T}_0^r = T_0^r - T_0^m - T_0^x - T_0^a,$$

$$\tilde{T}_1^r = T_1^r - T_1^m - T_1^x - T_1^a.$$

## § XI.2. საგადასახადო სამსახურში საგადასახადო კორუფციის ინდექსები

მოცემული აღნიშვნების გათვალისწინებით საგადასახადო შემოსავლების ბიუჯეტში მთლიანობის პარამეტრები იქნება:

$t_0 = \frac{\tilde{T}_0^r}{\tilde{Q}_0}$  - საბაზო წელს კორექტირებულ ერთობლივ შიგა პროდუქტში

საგადასახადო სამსახურის მიერ მობილიზებული კორექტირებული საგადასახადო შემოსავლების წილი;

$t_1 = \frac{\tilde{T}_1^r}{\tilde{Q}_1}$  - შესადარ წელს კორექტირებულ ერთობლივ შიგა პრო-

დუქტში საგადასახადო სამსახურის მიერ მობილიზებული კორექტირებული საგადასახადო შემოსავლების წილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგადასახადო კორუფციის ინდექსი ფაქტიურად მიღებული საგადასახადო შემოსავლების პოტენციალურ

მოცულობასთან შეფარდებით გაიანგარიშება. ეს უკანასკნელი კი გაითვალისწინება, როგორც საბაზო წელს არსებული საგადასახადო შემოსავლების დონისა და საანალიზო წელს შექმნილი კორექტირებული ერთობლივი შიგა პროდუქტის ნამრავლი ( $T_1^{TP} = t_0 \cdot \tilde{Q}_1$ ), რაც იმ პოტენციალურ საგადასახადო შემოსავლებს გეინვენებს, რომელიც ქვეყანას საგადასახადო ადმინისტრირებისა და საგადასახადო კანონმდებლობის უცვლელად პირობებში, მხოლოდ ეკონომიკური აქტივობის ცვლილების ხარჯზე შეუძლო მიეღო.

პოტენციალური საგადასახადო შემოსავლებიდან ფაქტობრივის გამოკლებით საგადასახადო შემოსავლების ზრდას ან კლებას ( $T_1^{TP} - \tilde{T}_1^T$ ) მივიღებთ, რაც საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფისა და საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას უნდა გამოეწვიოს; საგადასახადო შემოსავლების ამ ნაზრდის, თუ დაკლების სიდიდის სემოსხნებულ პოტენციალურ საგადასახადო შემოსავლებთან დაპროცენტებით, პოტენციალური საგადასახადო შემოსავლის ყოველ ერთეულზე საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებით დამატებით მიღებულ ან დაკლებულ საგადასახადო შემოსავალს მივიღებთ. თუ გათვლებში საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს (კერძოდ, საბაზო წლის ფაქტობრივი საგადასახადო შემოსავლების კორექტირება შესაძარი წლის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხდეს) წინასწარ ავსახავთ, მაშინ ეს თანაფარდობა იქნება “საგადასახადო სამსახურში საგადასახადო კორუფციის ინდექსი სოფლის მეურნეობისა და ექსპორტის გათვალისწინების გარეშე”<sup>4</sup>:

<sup>4</sup> მოცემული და შეესაბამისი მოყვანილი ყორმულებს უშუალოდ ჩემს მიერაა შემუშავებული (პაპაია, 2000ბ).

$$I_{\pi}^T = \frac{T_1^{Tr} - \tilde{T}_1^T}{T_1^{Tr}} = \frac{t_0 \tilde{Q}_1 - t_1 \tilde{Q}_1}{t_0 \tilde{Q}_1} = \frac{t_0 - t_1}{t_0}.$$

თუ  $I_{\pi}^T > 0$  ( $I_{\pi}^T < 0$ ), მაშინ ადგილი აქვს საგადასახადო კორუფციის ღონის სრდას (შემცირებას)<sup>5</sup>.

როგორც უკვე აღინიშნა, სოფლის მეურნეობა ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი, რადგანაც იქ დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს. კერძოდ, სოფლის მეურნეობისათვის ჯერ შემდეგი პარამეტრები განისაზღვრება:

$$t_0^A = \frac{T_0^A}{A_0} \quad \text{და} \quad t_1^A = \frac{T_1^A}{A_1},$$

სადაც  $t_0^A$  და  $t_1^A$ , შესაბამისად, საბაზო და შესადარ წლებში აგრარულ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ერთეულზე მიღებული საგადასახადო შემოსავლების ოდენობაა.

ამ პარამეტრების მეშვეობით აგრარულ სექტორში საგადასახადო შემოსავლების პოტენციალური მოცულობა  $T_1^{AP} = t_0^A A_1$  და, შესაბამისად, “სოფლის მეურნეობაში საგადასახადო კორუფციის ინდექსი” დაითვლება:

$$I_{\pi}^A = \frac{T_1^{AP} - T_1^A}{T_1^{AP}} = \frac{t_0^A A_1 - t_1^A A_1}{t_0^A A_1} = \frac{t_0^A - t_1^A}{t_0^A}.$$

<sup>5</sup> თეორიულად არ არის გამორაცხული, რომ, როცა  $I_{\pi}^T > 0$  - ეს შესადარ წელს საბაზოსთან შედარებით საგადასახადო სამსახურში უფრო დაბალკვალიფიკაციური კადრების მოზიდვით, ან საერთო მიშვედლობა ორგანიზებულობის დაქვეითებით იყოს გამოწვეული, რაც, საბოლოო ჯამში, თუ მოკლე სამსახურის არა, მის ცალკეული მუშაკების მიერ კორუფციის მიზნით აუცილებლად იქნება გამოყენებული. ეს შენიშვნა კვლავ მოყვანილ სხვა ინდექსებზეც ვრცელდება.

აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ თუ სოფლის მეურნეობის გარდა ამა თუ იმ ქვეყანაში, რომელიმე სხვა სექტორი (ან რეგიონი) ამ ქვეყანაში მიღებული ერთიანი საგადასახადო რეჟიმისაგან განსხვავებული წესით იბეგრება, მაშინ თითოეული ამ სექტორისათვის შესაბამისი ინდექსის გათვლა ცალკე უნდა მოხდეს.

ზემოთ ხაზი უკვე გავსვა, რომ ექსპორტიც ცალკე შესწავლის საგანია. მიღებული აღნიშვნების თანახმად:

$$t_0^x = \frac{T_0^x}{X_0} \quad \text{და} \quad t_1^x = \frac{T_1^x}{X_1},$$

სადაც  $t_0^x$  და  $t_1^x$  შესაბამისად, საბაზო და შესადარ წლებში ექსპორტიდან მის ერთეულზე მიღებული საგადასახადო შემოსავლების ოდენობაა.

ამ პარამეტრების საფუძველზე ექსპორტიდან საგადასახადო შემოსავლების პოტენციალური მოცულობა  $T_1^{xp} = t_0^x X_1$ , გაიანგარიშება და, შესაბამისად, “ექსპორტში საგადასახადო კორუფციის ინდექსი” იქნება

$$I_{\pi}^x = \frac{T_1^{xp} - T_1^x}{T_1^{xp}} = \frac{t_0^x X_1 - t_1^x X_1}{t_0^x X_1} = \frac{t_0^x - t_1^x}{t_0^x}.$$

ზემოთმოყვანილი ინდექსების საფუძველზე ძნელი გაიანგარიშებელი არ არის, თუ სახელმწიფოს ბიუჯეტმა საგადასახადო სამსახურში კორუფციის, ზრდის ან შემცირების საფუძველზე შესაბამისად რა დააკლო, ან დამატებით რა მიიღო; თუ კი ამ სიდიდეს ( $I_{\pi}^I T_1^{Ip} + I_{\pi}^A T_1^{Ap} + I_{\pi}^x T_1^{xp}$ ) ეკონომიკის განვითარებით განპირობებულ პო-



ტენციალურ საგადასახადო შემოსავლის ოდენობას ( $T_1^{TP} + T_1^{AP} + T_1^{XP}$ ) შეეუფარდებთ და შესაბამისი ინდექსებიდან გავითვალისწინებთ, რომ  $I_{\pi}^T T_1^T = T_1^T - \tilde{T}_1^T$ ,  $I_{\pi}^A T_1^A = T_1^A - T_1^A$  და  $I_{\pi}^X T_1^X = T_1^X - T_1^X$ , მაშინ “საგადასახადო სამსახურში საგადასახადო კორუფციის ინტეგრირებულ ინდექსს” მივიღებთ:

$$I_{\pi}^I = \frac{T_1^T - \tilde{T}_1^T + T_1^A - T_1^A + T_1^X - T_1^X}{T_1^T + T_1^A + T_1^X} = 1 - \frac{T_1^I}{T_1^I},$$

სადაც  $T_1^I$  საგადასახადო სამსახურის მიერ შესადარ წელს ფაქტობრივად მობილიზებული საგადასახადო შემოსავლებია ( $T_1^I = \tilde{T}_1^T + T_1^A + T_1^X$ );

$T_1^I$  კი – შესადარ წელს ეკონომიკის განვითარებით განპირობებულ ქვეყნის შიგნით შექმნილი პოტენციალური საგადასახადო შემოსავლები ( $T_1^I = T_1^{TP} + T_1^{AP} + T_1^{XP}$ ).

თუ  $I_{\pi}^I > 0$  ( $I_{\pi}^I < 0$ ), მაშინ საგადასახადო სამსახურში საგადასახადო კორუფციის დონის ზრდას (შემცირებას) აქვს ადგილი.

### § XI.3. საბაჟო სამსახურის ხაზით საგადასახადო კორუფციის ინდექსი

საბაჟო სამსახურის ხაზით გათვლების ჩატარებისას, დამატებული ღირებულების მაჩვენებლის ნაცვლად იმპორტის მოცულობა ეროვნული

ვალუტის შესაბამის გაცვლით კურსზე გადაანგარიშებით აიღება და შემდეგი პარამეტრები გაითვლება:

$$C_0 = \frac{T_0^M}{\alpha_0 M_0} \text{ იმპორტში საბაზო წელს საბაჟო სამსახურის მიერ}$$

მობილიზებული გადასახადების წილია;

$$C_1 = \frac{T_1^M}{\alpha_1 M_1} \text{ კი - იმპორტში შესადარ წელს საბაჟო სამსახურის}$$

მიერ მობილიზებული გადასახადების წილი.

საბაჟო სამსახურის მიერ საგადასახადო შემოსავლების პოტენცი-  
ალური დონე იანგარიშება, როგორც საბაზო წლის შესაბამისი საგა-  
დასახადო შემოსავლების დონის, საბაზო წლის გაცვლითი კურსისა  
და საანგარიშო წლის იმპორტის ნამრავლი:  $T_{ic}^{MP} = C_0 \alpha_0 M_1$ .

ზემოთმოყვანილი ინდექსების ანალოგიურად “საბაჟო სამსახურის  
ხაზით საგადასახადო კორუფციის ინდექსი” იქნება:

$$I_{ic}^M = \frac{T_{ic}^{MP} - T_{ic}^f}{T_{ic}^{MP}} = \frac{C_0 \alpha_0 M_1 - C_1 \alpha_1 M_1}{C_0 \alpha_0 M_1} = \frac{C_0 \alpha_0 - C_1 \alpha_1}{C_0 \alpha_0} = \frac{C_0 - C_1 \beta}{C_1}$$

სადაც  $\beta = \frac{\alpha_1}{\alpha_0}$  ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ზრდის (კლე-  
ბის) ტემპია.

თუ  $I_{ic}^M > 0$  ( $I_{ic}^M < 0$ ), მაშინ საბაჟო სამსახურში საგადასახადო  
კორუფციის მასშტაბების ზრდას (შემცირებას) აქვს ადგილი.

#### § XI.4. ქვეყანაში საგადასახადო კორუფციის ინტეგრირებული ინდექსი

თუკი საგადასახადო და საბაჟო სამსახურებში საგადასახადო კორუფციის მასშტაბის ცვლილებას ერთობლიობაში განვიხილავთ, მაშინ მთლიანად ქვეყნის მასშტაბში ამ მოვლენის შემაფასებელ პარამეტრს – “ქვეყანაში საგადასახადო კორუფციის ინტეგრირებულ ინდექსს” მივიღებთ:

$$I_{\pi}^2 = \frac{T_1^p - \tilde{T}_1 + T_1^{AP} - T_1^A + T_1^{XP} - T_1^X + T_1^{MP} - T_1^M}{T_1^r + T_1^{AP} + T_1^{XP} + T_1^{MP}} = 1 - \frac{T_1^f + T_1^M}{T_1^p + T_1^{MP}}$$

თუ  $I_{\pi}^2 > 0$  ( $I_{\pi}^2 < 0$ ), მაშინ მთლიანად ქვეყანაში საგადასახადო კორუფციის მასშტაბის ზრდას (კლებას) აქვს ადგილი.

#### § XI.5. საგადასახდელო კორუფციის ინდექსი

აქ მოყვანილი ინდექსების გარდა შესაძლებელია არასაბიუჯეტო (ჯანდაცვის და დასაქმების) ფონდებში მობილიზებული თანხების მიხედვით “საგადასახდელო კორუფციის ინდექსიც” იყოს გამოთვლილი.

თუ დაუშვებთ, რომ არასაბიუჯეტო ფონდებში ამოღებული სახსრები შესაბამისად საბაჟო და შესადარ წლებში  $P_0$  და  $P_1$ , ხოლო ხელფასის ფონდი  $W_0$  და  $W_1$  არის, მაშინ შესაძლებელია გავიანგა-

რიშთ აღნიშნულ ფონდებში შემოსაველების მობილიზების შესაბამისი

$$t'_0 = \frac{P_0}{W_0} \text{ და } t'_1 = \frac{P_1}{W_1} \text{ დონეები.}$$

შესადარ ვუელს არასაბიუჯეტო ფონდებში თანხების მობილიზების პოტენციური მოცულობა იქნება  $P'_1 = t'_0 W_1$ , ხოლო “საგადასახდელ კორუფციის ინდექსი” კი –

$$I_{rc} = \frac{P'_1 - P_1}{P'_1} = \frac{t'_0 W_1 - t_1 W_1}{t'_0 W_1} = \frac{t'_0 - t_1}{t'_0}.$$

თუ  $I_{rc} > 0$  ( $I_{rc} < 0$ ), მაშინ არასაბიუჯეტო ფონდებში საგადასახდელ კორუფციის დონის ზრდას (კლებას) აქვს ადგილი.

### § XI.6. ქვეყანაში საგადასახადო და საგადასახდელ კორუფციის ინტეგრირებული ინდექსი

ზემოთმოყვანილი ინდექსების საფუძველზე “ქვეყანაში საგადასახადო და საგადასახდელ კორუფციის ინტეგრირებული ინდექსი” შეიძლება იქნეს გათვლილი:

$$I'_{rc} = \frac{T_1 - \tilde{T}_1 + T_1^{AP} - T_1^A + T_1^{XP} - T_1^X + T_1^{MP} - T_1^M + P_1^P - P_1}{T_1^{MP} + T_1^{AP} + T_1^{XP} + T_1^{MP} + P_1^P} = 1 - \frac{T_1^f + T_1^M + P_1}{T_1^f + T_1^{MP} + P_1^P}$$

## § XI.7. გათვლების შედეგები

ზემოთ მოყვანილი ინდექსები 1999 წლისათვის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ იქნა გაანგარიშებული.

შედეგები საგადასახადო სფეროში რეზერვების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, 1999 წელს საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტში “საგადასახადო კორუფციის ინდექსი” –4,3 პროცენტის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო სამსახურში ადმინისტრირების გაუმჯობესების და ამ გზით კორუფციის მასშტაბების შემცირების ხარჯზე ყოველ ერთ ლარ პოტენციალურ საგადასახადო შემოსავალზე ბიუჯეტმა დამატებით 4,3 თეთრი მიიღო. სამწუხაროდ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში რადიკალურად განსხვავებული სიტუაცია აღმოჩნდა, აქ “საგადასახადო კორუფციის ინდექსი” 25,2 პროცენტის ტოლი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ საბაჟო დეპარტამენტში ადმინისტრირების გაუარესების და ამის საფუძველზე კორუფციის ზრდის გამო ყოველ ერთ ლარ პოტენციალურ საგადასახადო შემოსავალზე სახელმწიფო ბიუჯეტმა დამატებით 25,2 თეთრი დაკარგა.

“საგადასახადო კორუფციის ინდექსები” საქართველოს დარგებისა და რეგიონების მიხედვითაც იქნა გაანგარიშებული. ამ შემთხვევაში ერთობლივი შიგა პროდუქტის ნაცვლად დარგში ან რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება იქნა აღებული. აღმოჩნდა, რომ რეგიონების მიხედვით “საგადასახადო კორუფციის ინდექსი” +11-დან –15 პროცენტამდე, ხოლო დარგებში +24-დან (ენერგეტიკასა და ვაჭრობაში) –30 პროცენტამდე (ჯანდაცვაში) მერყეობს. სოფლის მეურნეობაში “საგადასახადო კორუფციის ინდექსი” 3 პროცენტს შეადგენს, ანუ აგრარულ სფეროში ადმინისტრირების გაუარესების, და, ამის საფუძველ-

ზე, კორუფციის ზრდის გამო ყოველ ერთ ლარ პოტენციალურ საგადასახადო შემოსავალზე სახელმწიფო ბიუჯეტმა დამატებით 3 თეთრი დაკარგა.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით “ქვეყანაში საგადასახადო კორუფციის ინტეგრირებული ინდექსი” იქნა გაანგარიშებული, რომელმაც 6,6 პროცენტი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ზრდით განპირობებულ ყოველ 1 ლარ პოტენციალურ საგადასახადო შემოსავალზე ქვეყნის ბიუჯეტმა 1999 წელს 1998 წელთან შედარებით 6,6 თეთრი დაკარგა.

“საგადასახდელი კორუფციის ინდექსმა” 1999 წელს 12,9 პროცენტი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ არასაბიუჯეტო ფონდებმა ყოველ ერთ ლარ პოტენციალურ საგადასახდელი შემოსავალზე დამატებით 12,9 თეთრი დაკარგა.

“საგადასახადო და საგადასახდელი კორუფციის ინტეგრირებული ინდექსი” 1999 წელს 7,9 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ბიუჯეტმა და არასაბიუჯეტო ფონდებმა ყოველ ერთ ლარ პოტენციალურ შემოსავალზე დამატებით 7,9 თეთრი დაკარგა.

სამწუხაროა, რომ შემდეგ წლებში საქართველოს მთავრობას ანალოგიური გათვლები არ ჩაუტარებია.

2002 წლიდან გათვლების წარმოების საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს მიერ იქნა განახლებული. კერძოდ, 2001 წელს წელს საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტში “საგადასახადო კორუფციის ინდექსი” -2,1 პროცენტის ტოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო სამსახურში ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და ამ გზით კორუფციის მასშტაბების შემცირების ხარჯზე ყოველ ერთ ლარ პო-

ტენციალურ საგადასახადო შემოსავალზე ბიუჯეტმა დამატებით 2,1 თეთრი მიიღო. სამწუხაროდ, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში კელაე დიამეტრალურად განსხვავებული სიტუაცია რჩება, სადაც “საგადასახადო კორუფციის ინდექსი” 1,5 პროცენტის ტოლი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ საბაჟო დეპარტამენტში ადმინისტრირების გაუარესებისა და ამის საფუძველზე კორუფციის ზრდის გამო ყოველ ერთ ლარ პოტენციალურ საგადასახადო შემოსავალზე სახელმწიფო ბიუჯეტმა დამატებით 1,5 თეთრი დაკარგა.

რეგიონების მიხედვით 2001 წელს “საგადასახადო კორუფციის ინდექსი” +16-დან (მცხეთა მთიანეთი და შიდა ქართლი) –20 პროცენტამდე (სამცხე-ჯავახეთი), ხოლო დარგებში +50-დან (ჯანდაცვა და სოციალური მომსახურეობა) –30 პროცენტამდე (ვაჭრობა) მერყეობს. სოფლის მეურნეობაში “საგადასახადო კორუფციის ინდექსი” 5 პროცენტს შეადგენს.

“ქვეყანაში საგადასახადო კორუფციის ინტეგრირებულმა ინდექსმა” 2001 წელს –1,3 პროცენტი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში ადმინისტრირების გაუარესების და ამის საფუძველზე კორუფციის ზრდის მიუხედავად, საგადასახადო სამსახურში ადმინისტრირების გაუმჯობესების (და ამ გზით კორუფციის მასშტაბების შემცირების) ხარჯზე ყოველ ერთ ლარ პოტენციალურ საგადასახადო შემოსავალზე ბიუჯეტმა 2001 წელს 2000 წელთან შედარებით დამატებით 1,3 თეთრი მიიღო.

## თავი XII. საგადასახადო პოლიტიკა და ლაფერის ეფექტი

პოლიტიკა ახალი გადასახადების მუდმივი ძიების ხელოვნებაა.

*პაროლდ ნარი*

გადასახადების საქმეში არა ის მოსაზრება უნდა იქნეს  
გათვალისწინებული, თუ ხალხს დღეს რისი, არამედ  
ყოველთვის რისი მოცემა შეუძლია.

*შარლ მონტესკიე*

მე ვამაყობ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადებს ეიხიღი.  
თუმცა, მის ნახევარი სიდიდითაც არნაკლებ ვიამაყებდი.

*არტურ გოლდფრი*

საზღვარგარეთ გადასახადებისაგან არანაკლებ  
გარბიან, ვიდრე – დიქტატორებისაგან.

*ჯეიმს ნიუმენი*

### § XII.1. ლაფერის მრუდის შექმნისა და გამოყენების მოკლე ისტორია

ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მწვავე თემას მოსახლეობის ეკონომიკურ აქტიურობაზე, სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მოზილინებაზე საგადასახადო ტვირთის<sup>1</sup> ზეგავლენის პრობლემა წარმოადგენს. დღეს ამ პრობლემის მიმართ მეცნიერ-ეკონომისტთა დაინტერესე-

---

<sup>1</sup> ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინ “საგადასახადო ტვირთი” ერთად გამოიყენება ტერმინი “საგადასახადო წნეხი” (მაგალითად, ბასარია ე., 2000), თუმცა პირველი უფრო კორექტულია (გუგუშვილი, ნანტლაძე, ნიქავა, კოსიკელაშვილი, 2001, გვ. 35, 203, 568, 621).



ბა აშკარად გაზრდილია (მაგალითად, ბასარია ვ., 2000; ბურდული, 2000ა, 2000ბ; გამსახურდია, 1995, 1997; დვალი, გოგოლაძე, 2001; ზურაბი-შვილი, 2000ა; აივსაძე, 2001; კაკულია რ., 2000ა; ლვიაშვილი, 2001; ლო-ლაძე, 2002; მადლაკელიძე, 1999; მესხია, 1995, 1999ბ, 2002; მესხია, ბასა-რია, 2001; მესხია, ნიკოლეიშვილი, 2002; ორეელაშვილი და სხვ., 2002; ჭითანავა, 1999ბ, 2000ა; ჯიბუტი, ხარაიშვილი, 2000; Dambrowski, Tomczyns-ka, 2001; Ebrill, Havrylyshyn, and others, 1999; Fakin, Crombrughe, 1995; Guesne-rie, 1998; Leibfritz, Thornton, Bibbee, 1997; Orvelashvili and others, 2002; Padova- no, Galli, 2001; Shome (ed.), 1995; Slemrod, 1996; Slemrod, Bakija 1996; Thirsk (ed.), 1997; Valdivieso, 1998; Аркин, Слостников, Шевцова, 1999; Балацкий, 1997А, 1997Б, 1997В, 1999, 2000А, 2000Б; Бланделл, 2002; Боадუэй, Уайлдасин, 2002; Вишнеvский, Липницкий, 2000; Дагаев, 2001; Домбровски, 1998; Кин, 2002; Месхия, 1998; Минц, 2002; Никитин, Никитин, Степанова, 2000; Пейкова, 2000; Русакова, Кашин (ред.), 1998; Синицина, 1997; Синицина, Ярочинмки, 1998; Смит, 2002; Сутырин. Погорлецкий, 1998; Хейди, 2002).

მეოთხედ საუკუნესე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ეკონომისტმა არტურ ლაფერმა პირველად დახაზა მრუდი (ის თავიდან-ვე მისი სახელითაა ცნობილი), რომელიც ბიუჯეტში საგადასახადო შე-ძოსაველებზე გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ზეგავლენას ასახავს. დღეისათვის თითქმის ყველა ეკონომისტისა თუ პოლოტიკოსისათვის ამ კარგად ცნობილი მრუდის თანახმად გასაშუა-ლოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ზრდის კვალობაზე ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლებიც იზრდება, მა-გრამ რაღაც წერტილის შემდეგ (რომელიც ცნობილია *ლაფერის წერ-ტილის* სახელწოდებით), რომელზეც ეს შემოსავლები თავის მაქსიმა-ლურ მნიშვნელობას აღწევენ, ამ განაკვეთის შემდგომი ზრდა უკვე სა-

გადასახადო შემოსავლების კლებას იწვევს. გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთსა და ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებს შორის არსებული ეს კავშირი ლაფერის ეფექტის სახელწოდებითაა ცნობილი; შედარებით იშვიათად გამოიყენება სხვა სახელწოდებაც, კერძოდ – “ლაფერის კანონი” (Guesnerie, 1998).

ლაფერის მრუდი მიწოდების ეკონომიკური თეორიის ძირითადი დებულებების ილუსტრაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებაა ალიარებული (Canto, Joiness, Laffer, 1983; Hemming, Kay, 1980; Malcomson, 1986; Макашева, 1988, гл. 3).

სავარაუდოა, რომ ლაფერის მრუდში გათვალისწინებული იდეის “მომხიბვლელობაში” და მისი გრაფიკული ასახვის სიმარტივემ იმდენად დიდი ზეგავლენა იქონია აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ რონალდ რეიგანზე (რამეთუ, როგორც ამბობენ მას თავად მოუწია ახალგაზრდობაში ამ მრუდზე “ყოფნა” (Самуэльсон, Нордхаус, 1999, с. 357; Мэнкью, 1999, с. 188)), რომ მისი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას (რომელიც “რეიგანომიკის” სახელწოდებითაა ცნობილი) საფუძვლად სწორედ ეს მრუდი დაედო. მართალია, ბევრი ცნობილი ეკონომისტი, როგორც თავად ლაფერის მრუდის იდეას (Никитин, Никитин, Степанова, 2000, сс. 49-50), ასევე აშშ-ის ეკონომიკის მასზე ადგილმდებარეობის შეფასებას თავიდანვე სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ იმავდროულად მრუდის მარტივი გრაფიკული გამოსახულების პოპულარობა დღითი დღე იზრდებოდა.

მიწოდების ეკონომიკური თეორია ერთი პერიოდი საერთაშორისო საეკონომიკურ ფონდის ექსპერტების არა მარტო კვლევის საგანს წარმოადგენდა (Gandhi, Ebrill, Mackenzie, and others, 1977), არამედ მისი პროგრამების შემადგენელ ნაწილადაც კი იქცა (Moustapha, 1992).


დღეისათვის, როგორც ლაფერის მრუდი, ასევე “რეიგანომიკის” პოლიტიკის შედეგები, ეკონომიქისა თუ მაკროეკონომიკის თითქმის ყველა თანამედროვე სახელმძღვანელოში ერთმნიშვნელოვნად უარყოფითადაა შეფასებული (Самуэльсон, Нордхаус, 1999, сс. 353-357, 657-658; Мэнкью, 1999, сс. 188-190; Макконнелл, Брю, 1992, сс. 356-361; Дорнбуш, Фишер, 1997, сс. 589-593, 678-680). ამის მიუხედავად, პრაქტიკულად დღესაც გრძელდება ლაფერის მრუდის მათემატიკური (მაგალითად, Guesnerie, 1998) და ემპირიული (მაგალითად, Slemrod, 1996) ასპექტების შესწავლა; არანაკლებ საყურადღებოა ლაფერის მრუდით აღწერილი ურთიერთკავშირების რეტროსპექტიული ანალიზიც (McGuire, Van Cott, 2002).

ლაფერის მრუდის ცნობილი მკვლევარის ეგენი ბალაცკის მიერ დამუშავებული კლასიფიკაციის თანახმად ამ მრუდის შესწავლაში ორი – თეორიული და გამოყენებითი მიმართულება გამოიკვეთა (Балацкий, 2000Б, с. 33); პირველი მათგანი ფისკალური და წარმოებრივი პროცესების მოდელირების საფუძველზე გრაფიკის პარაბოლური სახისა და ლაფერის წერტილების არსებობის დამტკიცებას მოიცავს (მაგალითად, Соколовский, 1989; Мовшович, Соколовский, 1994; Капитоненко, 1994; Аркин, Слагников, Шевцова, 1999), ხოლო მეორე კი – ამ წერტილების კონკრეტული ჩვენების მიმართ გათვლებს ეძღვნება (მაგალითად, Гусаков, Жак, 1995; Балацкий, 1997Б; 1997В; 1999; 2000Б; Вишневский, Липницкий, 2000).

წინამდებარე თავის მიზანი ლაფერის მრუდის თვისებათა შესწავლაში არსებული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე ლაფერის ეფექტის გამოვლენის გრაფიკული გამოსახვის დაზუსტებაა, რის შედეგადაც უნდა გაირკვეს, თუ ამ მრუდთან მიმართებაში რა განეკუთვნება მითს და რა შეესაბამება სინამდვილეს.

§ XII.2. ლაფერის მრუდის ძირითადი თეორიული ასპექტები  
(მოკლე მიმოხილვა)

იდეა, რომელსაც ლაფერის მრუდი ემყარება საკმაოდ მარტივია: იგულისხმება, რომ, როცა გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი ნულის ( $f=0$ ) და ასი პროცენტის ტოლია ( $f=1$ ), მაშინ საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში ასევე ნულს უტოლდება ( $T=0$ ), ხოლო ამ განაკვეთის ნულიდან ას პროცენტამდე ინტერვალში არსებობს ისეთი წერტილი  $t_{max}$  (რომელსაც ლაფერის წერტილი ეწოდება), რომელზეც საგადასახადო შემოსავლები მაქსიმალურ მნიშვნელობას  $T_{max}$  აღწევს. გრაფიკულად ლაფერის მრუდს შემდეგი სახე აქვს (იხ. ნახ. XII.1):




ნახ. XII.1. ლაფერის მრუდი

ლაფერის მრუდის იდეისა და გრაფიკული გამოსახულების გაანალიზების საფუძველზე ევგენი ბალაცკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მრუდი შემდეგ აშკარად ხელოვნურ პოსტულატებს ემყარება:

1. ის, რომ ნულსა და ას პროცენტს შორის გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ისეთი სიდიდე არსებობს, რომელსაც საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს, მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური მსჯელობითაა დაშვებული, რის გამოც ამ დებულების დასაბუთება დოგმატურ ხასიათს ატარებს (Макконнелл, Брю, 1992, сс. 359; Балацкий, 1997А, с. 39); თუმცა მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, შემდგომმა გამოკვლევებმა ამ დებულებას მეტი სიცხადე შესძინეს;
2. ლაფერის მრუდის კიდურა წერტილები თავისი შინაარსით მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეზაა, რომელსაც არაერთი ობიექტური ახსნა არ გააჩნია, რადგანაც ყველა სახეობის გადასახადის ნულთან ტოლობა (რის გარეშეც გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი ნულის ტოლი ვერ იქნება) სახელმწიფოს (რომელსაც ამ აბსტრაქტულ შემთხვევაში არსებობის არაერთი ფინანსური საშუალება არ ექნება) არარსებობას ნიშნავს; ხოლო იმის დაშვება, რომ სახელმწიფოს მიერ საწარმოს წმინდა შემოსავლების სრულად ამოღების შემთხვევაში წარმოება დაიხურება და რომ ამის შემდეგ სახელმწიფო ველარაფერს მიიღებს, ეწინააღმდეგება კომუნისტური ტიპის ეკონომიკის ფუნქციონირების მრავალწლიან გამოცდილებას. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ ლაფერის მრუდის მიერ არა მთელი ინტერვალი [0, 1], არამედ მისი შედარებით ვიწრო მონაკვეთი (0,  $t_0$ ) “იფარება”, სადაც  $0 < t_0 < 1$  (Балацкий, 1997В, с. 93); ამის გათვალისწინებ

ბით ლაფერის მრუდს სინამდვილეში შემდეგი სახე (იხ. ნახ. XII.2) უნდა ჰქონდეს:



ნახ. XII.2. ლაფერის მრუდი კიდურა პირობების განუსწავლადობის გათვალისწინებით

3. ლაფერის მრუდის მაკროეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, ავტომატურად ნაგულისხმევია გადასახადის ყველა სახეობათა პროპორციულობა, რის გამოც უფრო რთული ფისკალური სისტემები (პროგრესიული ან რეგრესიული), რომლებიც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება, ამ მრუდის აგრეგირებულ კონსტრუქციაში უბრალოდ “არ ეწერება” (Балацкий, 1997А, сс. 39-40);
4. რადგანაც ლაფერის მრუდი საგადასახადო შემოსავლებს ნომინალურ განზომილებაში ასახავს, მასში გათვალისწინებულია დაშვება, რომელიც ინფლაციას გამორიცხავს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ოლივერ-ტანცის ეფექტის გამო (რომლის თანახმადაც საგადასახადო ბაზის შეკეცვის პირობებშიც კი ინფლაციის შედარებით მაღალი დონე მაინც უზრუნ-

ველეოფს საგადასახადო შემოსავლების ზრდას) საგადასახადო შემოსავლები აუცილებელია, რეალურ განზომილებაში იქნეს განხილული; ამ შემთხვევაში კი კითხვის ნიშნის ქვეშ თავად ლაფერის მრუდის, როგორც ასეთის, არსებობა დგება (Балацкий, 1997А, сс. 40-42).

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მოცემულ პოსტულატთა, აგრეთვე ზოგიერთი სხვა გამოკვლევის საფუძველზე ევგენი ბალაცკი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ლაფერის მრუდის თეორია საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი ჰიპოთეზაა, რომელიც მოლიანობაში დადასტურებული არ არის (Балацкий, 2000А, с. 9).

ამის მიუხედავად, არაერთ გამოკვლევაში ლაფერის მრუდის არსებობა აპრიორულადაა აღიარებული (მაგალითად, თევზაძე, 2001; Parava, 1996А, 1999; Алексахенко, Киселев, Теплухин, Ясин, 1989; Балацкий, 2000Б; Соколовский, 1992; Бьюкенен. Лн, 2000; Дагаев, 2001).

ზოგიერთ ნაშრომში დასმულია ამოცანა იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება გადასახადის ესა თუ ის სახეობა ლაფერის მრუდის ბუნებას. მართალია, გადასახადის ცალკეულ სახეობათა მიხედვით საკითხის ამგვარი დაყენება ამ მრუდის მაკროეკონომიკური ხასიათის გამო საკმაოდ პრობლემატურია (Балацкий, 1997Б; 1997В), მაგრამ ნაწინებია, რომ ლაფერის მრუდით ყველაზე კარგად ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებზე დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთის ზეგავლენა აღიწერება (Мовшович, Соколовский, 1994; Гусаков, Жак, 1995).

საინტერესოა, რომ სამეცნიერო წრეებში ლაფერის მრუდის მსარდამჭერებს შორის დისკუსია თავიდანვე ამ მრუდის საფუძველზე მოგების გადასახადის (რომელიც მოგვიანებით “მოგებიდან ყველა საგადასახადო ანარიცხის ოდენობით” შეიცვალა) ოპტიმალური განაკვეთის


განსაზღვრის შესახებ საკითხის დასმით დაიწყო (Никитин, Никитин, Степанова, 2000, с. 49); ბოლო წლების თეორიული გამოკვლევებით დასტურდება, რომ მოგების გადასახადის განაკვეთის ცვლილების ზეგავლენა საგადასახადო შემოსავლებზე ბიუჯეტში ლაფერის მრუდით სულაც არ აღიწერება, და რომ ამ განაკვეთის ზრდა ამ შემოსავლების არა შემცირებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ზრდას იწვევს (Мовшович, Соколовский, 1994, сс. 139-140).

აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ლაფერის მრუდი თავიდანვე მაკროეკონომიკურ ტრილში იქნა ჩამოყალიბებული, რის გამოც ის გადასახადების არა ცალკეულ სახეობათა, არამედ გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული (Балацкий, 1997А, с. 39). ამ უკანასკნელის ნაცვლად ძალზედ ხშირად იყენებენ ე.წ. საგადასახადო ტვირთის მანევრებელს, რომელიც განისაზღვრება როგორც ბიუჯეტში ფაქტობრივად აკრეფილი საგადასახადო შემოსავლების ერთობლივ შიგა პროდუქტთან შეფარდება (Балацкий, 2000, сс. 33-34). საგადასახადო ტვირთის ეს მანევრებელი, ჩვენი აზრით, ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას სრულად ვერ ასახავს, რადგანაც ფაქტობრივად აკრეფილი საგადასახადო შემოსავლები პოტენციალურად არსებულ საგადასახადო შემოსავლებს არ მოიცავს, ხოლო აღრიცხული ერთობლივი შიგა პროდუქტის მანევრებლის “შიდმა” ჩრდილოვანი ეკონომიკა რჩება, რაც სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ შორის, უწინარეს ყოველისა, საგადასახადო ტვირთის სიმძიმით არის გამოწვეული.

ლაფერის მრუდის მაკროეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, ასევე პრინციპულად მიუღებელია მისი დარგის (მაგალითად, თევზაძე, 2001) თუ საწარმოს დონეზე გამოყენებაც.



განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ ლაფერის მრუდი დროის რომელ – გრძელ თუ მოკლევადიან ინტერვალში განიხილება. კერძოდ, “გრძელვადიანი” პერიოდის ქვეშ დროის ისეთი მონაკვეთი იგულისხმება, რომელიც გადასახადის გადამხდელს გადასახადის განაკვეთის ნებისმიერი ცვლილების შესაგუებლად ესაჭიროება. ლაფერის მრუდები გრძელი (LRLC) და მოკლევადიანი (SRLC) პერიოდებისათვის ერთმანეთს კვეთენ (იხ. ნახ. XII.3) (Бьюкенен, Ли, 2000, сс. 171-173).



ნახ. XII.3. ლაფერის მრუდები გრძელ და მოკლევადიან პერიოდებში.

ნახ. XII.3-დან ჩანს, რომ ლაფერის წერტილი გრძელვადიანი პერიოდისათვის ნაკლებია, ვიდრე მოკლევადიანისათვის ( $t'_{max} < t''_{max}$ ). საღი აზრი გეკარნახობს, რომ გადასახადის  $t'_{max}$  განაკვეთი  $t''_{max}$ -ს სჯობია, რადგანაც ის საგადასახადო შემოსავლების უფრო მაღალ დონეს უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, მთავრობა ამ გადაწყვეტილებას მხარს მაინც არ დაუჭერს, რადგანაც ეს გაზრდილი საგადასახადო შემოსავლები მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში მიიღება, მაშინ როცა მოკლევადიან პერიოდში  $t'_{max}$  განაკვეთი, როგორც ნახ. 3-დან ჩანს,

აშკარად ნაკლებ საგადასახადო შემოსაველებს უზრუნველყოფს. მაშასადამე, თავად იმის დადგენაც, მოცემული კონკრეტული ეკონომიკა ლაფერის მრუდის რომელ (აღმავალ, თუ დაღმავალ) “შტოზე” იმყოფება, დამოკიდებულია იმაზე, დროის რომელ მონაკვეთში (გრძელ, თუ მოკლევადიან პერიოდში) განიხილება ეს პრობლემა; შესაბამისად მთავრობა  $r'_{max}$  წერტილზე დარსნენის პოლიტიკის გატარებას შეეცდება, ხოლო მეწარმეების მოთხოვნა კი  $r'_{max}$  წერტილისაკენ სწრაფვაში იქნება გამოხატული.

გარდა ამისა, დროის ფაქტორს ლაფერის მრუდზე “ზეგაველენის” სხვა გამოველინებაც აქვს, რაც სპეციალურად ქვემოთ იქნება განხილული.

როგორც ზემოთ იყო ნახევენები, ლაფერის მრუდი გრაფიკულად “საგადასახადო განაკვეთი – საგადასახადო შემოსაველები” კოორდინატებშია მოცემული. რაც შეეხება თავად იმ იდეას, რომელსაც ეს მრუდი ეფუძნება, აღსანიშნავია, რომ ის გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ცვლილების გამოველენის არა მარტო ფისკალურ, არამედ, ხშირ შემთხევევაში, წარმოებასთან დაკავშირებულ ასპექტსაც მოიცავს. კერძოდ, მიწოდების ეკონომიკური თეორიის თანახმად გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის შედარებით მაღალი დონის შემცირების შედეგად შრომის მიწოდება და ინვესტიციები იზრდება, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასა და საბოლოო ჯამში საგადასახადო ბაზის გაფართოებას განაპირობებს. როგორც ეგენი ბალაცკი აღნიშნავს, ლაფერის მრუდის კონცეფცია საგადასახადო ბაზის (სხვა სიტყვებით, ერთობლივი შიგა პროდუქტის) გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთზე იმავე დამოკიდებულების არსებობას ეფუძნება, რითაც ამ უკანასკნელსა და საგადა-

სახადო შემოსავლებს შორის კავშირი თავად ამ მრუდის საშუალებით აღიწერება. მაშასადამე, ლაფერის მრუდით გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ცვლილების ორი – ფისკალური და წარმოებასთან დაკავშირებული ასპექტი აღიწერება (Балацкий, 1997А, с.39). ამ დებულებიდან გამომდინარე, ევგენი ბალაცკის მიერ ორი სახეობის ლაფერის წერტილის ცნებაა შემოღებული; კერძოდ, პირველი სახეობის წერტილის შემთხვევაში მაქსიმალურ მნიშვნელობას ერთობლივი შიგა პროდუქტი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი საგადასახადო შემოსავლები აღწევს (Балацкий, 1997Б). ყურადსაღებია, რომ, თუკი ლაფერის მრუდს ზემოაღნიშნული საგადასახადო ტვირთის მანევრების ბაზაზე ავაგებთ, მაშინ პირველი სახეობის ლაფერის წერტილი მეორე სახეობის წერტილზე ნაკლები (აბსცისათა დერძზე მარცხნივ) იქნება, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის მაქსიმალური ოდენობა შედარებით ნაკლები საგადასახადო ტვირთის პირობებში დაფიქსირდება, ვიდრე საგადასახადო შემოსავლები მაქსიმალურ სიდიდეს მიღწევენ; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორი სახეობის ლაფერის წერტილს შორის საგადასახადო შემოსავლების ზრდა წარმოების ნაწილობრივი შეკვეცის პირობებშიც კი შეიძლება იქნეს მიღწეული (Балацкий, 2000Б). ამ დებულებას ა. დაგაევის გამოკვლევის შედეგიც “ეხმიანება”, რომლის თანახმადაც, როცა გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ზეგავლენა ინვესტიციების დონეზე ლაფერის მრუდით აღიწერება, მაშინაც ინვესტიციების მაქსიმალური დონე ამ განაკვეთის შედარებით ნაკლებ ოდენობაზე მიიღწევა, ვიდრე საგადასახადო შემოსავლები იქნება მაქსიმალურად აკრეფილი; მაშასადამე, გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ამ ორ სიდიდეს შორისაც ინვესტიციუ-

ბის შექმნა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ხელშეწყობილი ვერ გახდება (Дараев, 1995; 2001, с. 67).

როგორც ჩანს, ლაფერის მრუდის იდეურ საფუძვლებსა და გრაფიკულ გამოხატულებაში არაერთი საკამათო მომენტია. მართალია, თანამედროვეობის არა ერთი ცნობილი ეკონომისტი მის მიმართ საკმაოდ სკეპტიკურად არის განწყობილი (მაგალითად, Krugman, 1994, pp. 157-158; 1998, pp. 47-51), მაგრამ მიუხედავად ამისა სადღეისოდ გამოყენებითი ხასიათის არაერთი გამოკვლევა არსებობს, რომელიც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების მაგალითზე ლაფერის ეფექტის არსებობას ადასტურებს (მაგალითად, Балацкий, 2000Б; Вишневецкий, Липницкий, 2000). ეს, თავის მხრივ, სულაც არ არის მთლიანობაში ლაფერის მრუდის არსებობის დამამტკიცებელი, თუმცა იმ მოსაზრების სამართლიანობას, რომლის თანახმადაც გარკვეულ პირობებში გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის შემცირება ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებისა და ერთობლივი შიგა პროდუქტის სრდას უზრუნველყოფს, პრინციპში ადასტურებს.

### § XII.3. ლაფერის მრუდი ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში

ლაფერის მრუდის კონცეფციის “სამშობლო”, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, აშშ-ია, სადაც მისი “რეიგანომიკის” პოლიტიკის ჩარჩოში გამოყენების პირველ მცდელობას ჰქონდა ადგილი. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება იყო, რომელიც არა მარტო არ იქნა მიღწეული, არამედ დეფიციტის სრდის

სახის უკუფექტიც კი განვითარდა (მაგალითად, Krugman, 1994, pp. 157-158; 1998, p. 48; Slemrod, Bakija, 1996, p. 28; Steinmo, 1993, pp. 163-164; Haymov, 1998, cc. 106-107; 1999, c. 23). ამგვარმა შედეგმა ლაფერის მრუდის მიმართ ნდობა ძალზედ შეარყია, რამაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სათანადო ასახვა ეკონომიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებშიც ჰპოვა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი-ქვეყნების მიმართ ჩატარებულმა ემპირიულმა ანალიზმა ლაფერის მრუდისადმი არსებული სკეპტიციზმი მათ მიმართაც განაგრცო (Leibfritz, Thornton, Bibbee, 1997). თუმცა უახლესი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ამ ქვეყნებში გადასახადების ზღვრული განაკვეთები და მათი პროგრესიულობა გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდასთან უარყოფით კორელაციაშია (Padovano, Galli, 2001).

ბუნებრივია, აქ იბადება ლოგიკური კითხვა: იმ ფაქტს, რომ ლაფერის მრუდის არსებობა 80-იანი წლების აშშ-ის პრაქტიკით დადასტურებული არ იქნა, და რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების მიმართ ჩატარებულმა ემპირიულმა გამოკვლევამ ამ ქვეყნებში ხსენებული მრუდის არსებობა ასევე ეჭვქვეშ დააყენა, ნებისმიერი სხვა ქვეყნისათვისაც, რომელიც აღნიშნული ქვეყნებისაგან განსხვავებული ეკონომიკური პირობებით ხასიათდება, ამ მრუდის არარსებობის დამტკიცების საკმარისი პირობის ძალა აქვს თუ არა?

ამ კითხვაზე დადებითი პასუხის არარსებობა არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიმართ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ლაფერის ეფექტის არსებობის პრინციპული შესაძლებლობა ცხადყო (Балацкий, 2000Б; Вишнеvский, Липницкий, 2000). არა-

ნაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსოფლიო აღიარების მქონე არაერთი ეკონომისტი სწორედ ასეთი ქვეყნების მიმართ (მაგალითად, ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი გარი ბეკერი საქართველოსთან (Becker, 1998), ხოლო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეფრი საქსი უკრაინასთან მიმართებაში (Мэнкью, 1999, с. 191)) აყენებენ საკითხს საგადასახადო ტვირთის შემცირების შესახებ, რამაც, მათი აზრით, ეკონომიკური აქტიუობისა და ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდას უნდა შეუწყოს ხელი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ 1996 წელს საქართველოში ზოგიერთი სახეობის გადასახადის განაკვეთის შემცირებას (რაც, ბუნებრივია, გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის შემცირებაში აისახა) ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდა მოჰყვა (პაპავა, 2000გ, გვ. 119-120).

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკა, სხვა ქვეყნების ეკონომიკისაგან განსხვავებით, ერთი საყურადღებო თავისებურებით ხასიათდება, რაც დაუტვირთავი წარმოებრივი სიმძლავრეების დიდი “მარაგის” არსებობაში გამოიხატება; ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ინვესტიციების გარეშე წარმოების არსებითი გაფართოების პოტენციალურ შესაძლებლობას იძლევა, რაც ლაფერის ეფექტის გამოვლენის ხელშემწყობი წინაპირობაა (Вишневыский, Липницкий, 2000, сс. 110-111). აქვე გასათვალისწინებელია, რომ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში მთელი რიგი საწარმოები, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შეუძლებლობის გამო, პრაქტიკულად “შეკვდარია”, რის შედეგადაც ისინი, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. თავი VII), ე.წ. “ნეკროეკონომიკას” ქმნიან. ასეთ საწარმოებს, ბუნებრივია, წარმოებრი-

ვი სიმძლავრეები საერთოდ არ გაანინათ და მათ ლაფერის ეფექტის არსებობაზე უშუალო ზეგავლენა არც შეიძლება ჰქონდეთ.

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ გარემოებას ენიჭება, რომ საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზნით გადასახადების განაკვეთების შემცირება მარტო მიწოდების სტიმულირებით არ შემოიფარგლება, რადგანაც ამით იმავდროულად მოთხოვნის სტიმულირებასაც შეეწყობა ხელი. ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ამ მიდგომას “ლაფერ-ქეინზიანური სინთეზი” ვუწოდებთ და იგი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ე.წ. “საგადასახადო თერაპიის” მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს (პაპავა, 1995ბ; Papava, 1996A, pp. 263-267; 1999, pp. 285-291).

ქეინზიანური მიდგომის თანახმად, გადასახადების განაკვეთების შემცირება მოხმარების ზრდას განაპირობებს; მოკლევადიან პერიოდში სამომხმარებლო ხარჯების მატება საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის, ანუ წარმოების მოცულობისა და დასაქმების ზრდას იწვევს; ამასთან, მოხმარების ზრდით გამოწვეული დანაზოგების შემცირება ინვესტირებს შორის კონკურენციას ამწვავებს, რაც, საბოლოო ჯამში, საპროცენტო განაკვეთების მომატებამდე მიგვიყვანს, ეს კი თავის მხრივ, სამამულო ინვესტიციებს შეუშლის ხელს და უცხოური კაპიტალის იმპორტს მისცემს სტიმულს (მაგალითად, Мэнкью, 1994, с. 618). განვითარებული ქვეყნის ეკონომიკისათვის ეს ეფექტი, რა თქმა უნდა, უარყოფითი ბუნებისაა, მაშინ, როცა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ეკონომიკისათვის იგი აშკარად სასურველი დადებითი მომენტების მატარებელია: ჯერერთი, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება წარმოებრივი სიმძლავრეების (რომელთა, როგორც ზემოთ

აღინიშნა მნიშვნელოვანი დაუტვირთავი “მარაგი” არსებობს) დასატვირთად საჭირო თანხების გამოთავისუფლებას უწყობს ხელს, ხოლო მეორე – მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად სწორედ უცხოური ინვესტიციებია საჭირო (Papava, 1996A, p. 264; 1999, p. 287).

ლაფერ-ქეინზიანური სინთეზის ილუსტრაციის მიზნით განვიხილოთ უმარტივესი (და უმთავრესად საილუსტრაციო ხასიათის მქონე) მოდელი, რომელიც ლაფერის მრუდსა და ქეინზის დანახარჯების მეულტიპლიკატორს აერთიანებს (Papava, 1996A, pp. 266-267; 1999, pp. 287-289).

დავუშვათ, რომ ლაფერის მრუდი შემდეგი ფუნქციით აღიწერება<sup>2</sup>:

$$T = -Y_{opt} t \ln t . \quad (1)$$

სადაც:  $Y_{opt}$  – ერთობლივი შიგა პროდუქტის ( $Y$ ) ის დონეა, რომელიც ბიუჯეტში მაქსიმალურ საგადასახადო შემოსავლებს ( $T_{max}$ ) შეესაბამება.

(1)-დან გამომდინარე,  $T = 0$ , როცა  $t = 0$  და  $t = 1$  (იხ., მაგალითად, Яглом, Яглом, 1973, с. 72).

იმის გათვალისწინებით, რომ  $T = tY$ , (1)-დან მივიღებთ

$$Y = -Y_{opt} \ln t , \quad (2)$$

<sup>2</sup> ამ მოდელის მოდიფიკაციისა და სრულყოფის მცდელობა მოცემულია ნაშრომში (დოლაძე, 2002).



რაც პრინციპში ქეინზიანურ წარმოდგენას შეესაბამება იმის შესახებ, რომ გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ( $t$ ) შემცირება წარმოების ზრდას უზრუნველყოფს (იხ., მაგალითად, Столерю, 1974, сс. 88-89). აღსანიშნავია, რომ (2)-ის თანახმად პირველი სახეობის ლაფერის წერტილი არ არსებობს, ხოლო (1)-დან გამომდინარე ლაფერის ეფექტი მხოლოდ მეორე სახეობის ლაფერის წერტილის სახით ვლინდება.

თუ კი (1) ფუნქციის პირველ წარმოებულს ნულს გავუტოლებთ, და მიღებულ განტოლებას  $t$ -ს მიმართ ამოვხსნით, მივიღებთ, რომ

$$t_{max} = 1/e, \quad (3)$$

სადაც:  $e$  ნატურალური ლოგარითმის ფუძეა.

ერთობლივი მოთხოვნის სტანდარტულ ქეინზიანურ ფორმულას, როგორც ცნობილია, შემდეგი სახე აქვს:

$$Y = c(Y - T) + G + I + X - M, \quad (4)$$

სადაც:  $c$  მოხმარების ზღვრული მიდრეკილებაა ( $0 < c < 1$ );

$G$  - სახელმწიფოს დანახარჯები;

$I$  - კერძო ინვესტიციები;

$X$  - ექსპორტი;

$M$  - იმპორტი.

საბაზრო წონასწორობის პირობებში ერთობლივი მოთხოვნა (4) ერთობლივი მიწოდების (2) ტოლია, და (1)-ის გათვალისწინებით მივიღებთ, რომ

$$-Y_{\text{ურ}} \text{Int} + c(Y_{\text{ურ}} \text{Int} - Y_{\text{ურ}} t \text{Int}) = G + I + X - M. \quad (5)$$

ამოვხსნათ (5)  $Y_{\text{ურ}}$ -ის მიმართ და გაეთვალისწინოთ (3); შედეგად ერთობლივი შიგა პროდუქტის ისეთ წონასწორულ მნიშვნელობას მივიღებთ, როცა საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწევს:

$$Y_{\text{ურ}} = \frac{G + I + X - M}{1 - (1 - 1/e)c}.$$

როგორც ზემოთ აღინიშნა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკაში დაუტვირთავი წარმოებრივი სიმძლავრეები ლაფერის ეფექტების არსებობის შესაძლებლობას ზრდის. მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ეს თავად ლაფერის მრუდის არსებობისათვის სულაც არ არის საკმარისი. რადგანაც ლაფერის მრუდის იდეა მეორე სახეობის ლაფერის წერტილს ეფუძნება, ამიტომ ლაფერის ეფექტის გამოვლინების შემდგომი განხილვა სწორედ ამ მიმართულებით იქნება კონცენტრირებული.

#### § XII.4. ლაფერის მრუდის ალტერნატივა

როდესაც ზემოთ ის პოსტულატები განვიხილეთ, რომელთაც ლაფერის მრუდი ეფუძნება, აღენიშნეთ, რომ ასეთი მრუდი თუკი არსებობს, ის  $[0, 1]$  მონაკვეთს არა მოლიანად, არამედ მხოლოდ მის  $(0, t_0)$  ნაწილს “ფარავს” (იხ. პოსტულატი 2 და ნახ. XII.2).

ლაფერის მრუდის ტიპის უფრო რეალისტური ფისკალური მრუდის ასაგებად დროის იმ მონაკვეთის გათვალისწინებაა აუცილებელი, რომელიც ლაფერის ეფექტის გამოვლენას უსაჭიროება.

ამ მიმართულებით ჩატარებული უახლესი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ დროის ფაქტორის გათვალისწინებისას დიდი მნიშვნელობა იმას აქვს, თუ გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი რა მიმართულებით იცვლება – იზრდება (Балацкий, 2000А) თუ მცირდება (Вишневыский, Липницкий, 2000). თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ეგგენი ბალაცკის “შემდგომქმედების” (“последствие”) ეფექტის ცნება შემოაქვს, რომლის თანახმადაც გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის გარკვეული სიდიდის შემდგომ მატებას, ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების კლება მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ მოჰყვება (Балацкий, 2000А, с. 8). ა. დაგაევი ამ ეფექტის აღსანიშნავად ტერმინ – საგადასახადო “ჰისტერეზისის” (“hysteresis” ბერძნულად დაყოვნებას ნიშნავს) იყენებს (Дараев, 2001, с. 65). რადგანაც ლაფერის ეფექტი მხოლოდ რამოდენიმე წლის გავლის შემდეგ იჩენს თავს, ამიტომ სიტყვათა წყობა – ლაფერის ეფექტი საგადასახადო “ჰისტერეზისით”, ან ლაფერის ეფექტი “შემდგომქმედებით” არის სწორი.

დროის ფაქტორის გათვალისწინების მიზნით ფისკალური მრუდი, რომელზეც აღნიშნული ეფექტი აისახება, ეგენი ბალაცის აზრით აგებული უნდა იყოს არა კოორდინატებში “საგადასახადო შემოსავლები – გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი”, არამედ კოორდინატებში “საგადასახადო შემოსავლები – დრო” (Балацкий, 2000А, с. 9). ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი იქნება, თუკი ფისკალური მრუდი აიგება კოორდინატებში “გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი ( $t$ ) - საგადასახადო შემოსავლები ( $T$ ) - დრო ( $\tau$ )”.


ფისკალურ მრუდზე საგადასახადო “პისტრეზისის” აღნიშნული ეფექტის გრაფიკული გამოსახვის მიზნით (პაპავა, 2001დ; Папава, 2001В), ჯერ განვიხილოთ შემთხვევა, როცა გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი იზრდება. ამ მიზნით მოვახდინოთ ხსენებული სამგანზომილებიანი სივრცის პროექცირება ისე, როგორც ეს მოცემულია ნაშრომში (Брагинский, 1989, сс. 164, 166, 169) (იხ. ნახ. 4).

განვიხილოთ დროის  $[0, \tau_1]$  ინტერვალი, რომლის ფარგლებშიც გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი  $t$  0-დან 1-მდე იზრდება. როგორც ეს ნახ. XII.4-დან ჩანს დროის  $[0, \tau_1]$  ინტერვალში გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ( $t$ ) ზრდისას საგადასახადო შემოსავლებიც იზრდება, რომლებიც  $T_{max}$  მაქსიმალურ მნიშვნელობას  $t_{max}$  წერტილში აღწევენ; შესაბამისი წერტილები ფისკალურ მრუდზე  $A$ , ხოლო საგადასახადოზე კი –  $C$  არის. ლაფერის ეფექტი საგადასახადო “პისტრეზისით” ფისკალურ მრუდზე  $A$ -დან  $B$  წერტილში გადასვლისას მქლავნდება. ამ შემთხვევაში გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის  $t_{max}$  განაკვეთის რაგინდ მცირედ ზრდას საგადასახადო შემოსავლების კლება მხოლოდ  $\theta$  წლის შემდეგ, ანუ  $\tau_1 + \theta$  წელს მოჰყვება. გრაფიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ  $A$  წერტილს ფისკალურ

მრუდზე საგადასახადო მრუდის C და D წერტილები, ხოლო უკანასკნელს (ანუ D წერტილს) ფისკალურ მრუდზე B წერტილი შეესაბამება. მაშასადამე,  $\tau_1$  წელს გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის  $t_{max}$  განაკვეთი საგადასახადო შემოსავლების მაქსიმალურ  $T_{max}$  მნიშვნელობას უზრუნველყოფს, ხოლო  $\tau_1 + \theta$  წელს ის  $T_1$ -მდე შემცირდება. ლაფერის ეფექტს საგადასახადო “ჰისტერეზისით” ფისკალური მრუდის A და B წერტილებს შორის არსებული წყვეტა ასახავს. აღსანიშნავია, რომ დროის ( $t_{max}$ ,  $t_0$ ) ინტერვალში გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის შემდგომი ზრდა (რაც საგადასახადო მრუდზე D-დან E წერტილისაკენ მოძრაობას ნიშნავს), როცა ლაფერის ეფექტი საგადასახადო “ჰისტერეზისით” “გადაღახულია”, ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების კლებას გამოიწვევს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნახ. XII.4-ზე მოცემულ ფისკალურ მრუდზე ლაფერის წერტილი საერთოდ არ არსებობს, ხოლო ლაფერის ეფექტი კი საგადასახადო “ჰისტერეზისის” გამო ძალზედ სახეშეცვლილია. რადგანაც ამ მრუდის აგებისას ჩვენ ევგენი ბალაცკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით ვხელმძღვანელობდით, ამდენად უპრიანია მას (მრუდს) *ფისკალური მრუდი ბალაცკის ვერსიით*, ან უბრალოდ *ბალაცკის მრუდი*, ხოლო მასზე  $t_{max}$  წერტილს კი *ბალაცკის წერტილი* ეწოდოს.

ვ. ვიშნევსკისა და დ. ლიპნიცკის მიერ ნაჩვენებია, რომ საგადასახადო “ჰისტერეზისის” ტიპის ეფექტს ადგილი მაშინაც აქვს, როცა გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი შემცირების მიმართულებით იცვლება (ВишнеВСкий, Липницкий, 2000, сс. 113-114).




ნახ. XII.4. ფისკალური მრუდი ბალაჯის ვერსიით (ბალაჯის მრუდი)

ნახ. XII.4-ის მსგავსად ავადობით ფისკალური მრუდი (პაპავა, 2001დ; Папавა, 2001В), რომელიც დროის  $[0, \tau_1]$  მონაკვეთში გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის  $t$  განაკვეთის 1-დან 0-მდე შემცირებას გაითვალისწინებს (იხ. ნახ. XII.5).

ნახ. XII.5-ის თანახმად დროის  $[0, \tau_1]$  მონაკვეთში გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის  $t$  განაკვეთის შემცირებისას საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში გაიზრდება,  $T_1$  დონეს (მას ფისკალურ მრუდზე  $A$  წერტილი შეესაბამება) მიუახლოვდება და იმწამსვე  $T_2$  დონემდე (რასაც ფისკალურ მრუდზე  $B$  წერტილი შეესაბამება) “ნამოვარდება”, სადაც  $0$  წლის განმავლობაში “ღარწება”. მაშასადამე,  $A$  და  $B$  წერტილებს ფისკალურ მრუდზე საგადასახადო მრუდის  $D$  წერტილი შეესაბამება.  $\tau_1 + \theta$  წელს გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის იმავე  $t_{max}$  განაკვეთის პირობებში საგადასახადო “პისტერეზისის” ეფექტის გამო საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში “ნახტომისებურად” გაიზრდება და მაქსიმალურ  $T_{max}$  მნიშვნელობას (რომელსაც ფისკალურ მრუდზე  $C$ , ხოლო საგადასახადო მრუდზე კი  $E$  წერტილი შეესაბამება) მიაღწევს. ფისკალურ მრუდზე, როცა გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი მცირდება საგადასახადო “პისტერეზისის” ეფექტი  $A$  წერტილიდან,  $B$  წერტილის “გაელით”,  $C$  წერტილზე გადასვლაში ვლინდება.  $\tau_1 + \theta$  წლის შემდეგ ამ განაკვეთის შემდგომ შემცირებას ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების შემცირება მოჰყვება.

ბალაცის მრუდის ანალოგიურად ნახ. XII.5-ზე მოცემულ ფისკალურ მრუდზეც ლაფერის ეფექტი საგადასახადო “პისტერეზისის” გამო ძალზედ სახეშეცვლილია; ამასთან ლაფერის წერტილი ამ მრუდზეც



ნახ. XII.5. ფისკალური მრუდი ვიზნეესკი-ლიბნიცკის ევრსითო  
(ვიზნეესკი-ლიბნიცკის მრუდი)



არ არსებობს, რის გამოც მისთვის ლაფერის სახელის შენარჩუნება გაუმართლებელია. რადგანაც ნახ. XII.5-ზე მოცემული გრაფიკი წყენს მიერ ე. ვიშნევსკისა და დ. ლიპნიცკის მიერ ნატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით იქნა აგებული, მას უპირიანია ფისკალური მრუდი ვიშნევსკი-ლიპნიცკის ვერსიით, ან მოკლედ ვიშნევსკი-ლიპნიცკის მრუდი, ხოლო შესაბამის  $t_{max}$ -ს, სადაც საგადასახადო “ჰისტერეზისი” ვლინდება, ვიშნევსკი-ლიპნიცკის წერტილი ეწოდოს.

ის ფაქტი, რომ არა მარტო ლაფერის წერტილი, არამედ, მთა უფრო, ლაფერის მრუდიც არ არსებობს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის შემცირებისას საგადასახადო “ჰისტერეზისის” ეფექტს აუცილებლად და თანაც ყოველთვის ექნება ადგილი; კერძოდ, თუ გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთი ( $t_{max}$ ,  $t_0$ ) ინტერვალთან “ნახტომისებურად” ( $t_0$ ,  $t_{max}$ ) ინტერვალში გადადის, მაშინ საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში პრაქტიკულად მყისიერად გაიზრდება, რადგანაც  $T_1$ -ზე ნაკლები არ იქნება. 1996 წელს საქართველოში სწორედ ამ მოვლენას ჰქონდა ადგილი, როცა ცალკეული სახეობის გადასახადთა განაკვეთის შემცირებას (რამაც გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის შემცირება გამოიწვია) ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდა მოჰყვა (რასეც ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება).

ლაფერის ეფექტის პრაქტიკული გამოყენების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ შეცდომა არ იქნეს დაშვებული ვიშნევსკი-ლიპნიცკის მრუდზე ქვეყნის ეკონომიკის სწორი “ადგილსამყოფელის” განსაზღვრაში; გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის შემცირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ეს “ადგილსამყოფელი” ( $t_{max}$ ,  $t_0$ ) ინტერვალშია და ამ შემცირებით კი, ქვეყნის ეკონომი-

მია აუცილებლად ( $t_1$ ,  $t_{max}$ ) ინტერვალში (ხოლო ვიშნევსკი-ლიპნიცკის მრუდზე კი  $C$  და  $F$  წერტილებს შორის) აღმოჩნდება.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის შემუშავების ეველაზე დიდი სირთულე მისი ეკონომიკის ბალანსისა და ვიშნევსკი-ლიპნიცკის მრუდებზე სწორი “ადგილსამყოფელის” განსაზღვრაში მდგომარეობს.

# თავი XIII. საბაღასასხარო შედარაღიზმის მოდელები (საქართველოს მაგალითზე)

ეროვნული შემოსავალი გაყოფით  
არ მრავლდება.  
*იატკე ვეიროხი*

ეკონომიკური პრობლემაა,  
თუ ყველას როგორ წავართვათ  
იმისათვის, რომ თითოეულს დაეუმატოთ.  
*ჰენრიკ იაგოშინსკი*

## § XIII.1. “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის ურთიერთობის პოლიტეკონომიური ასპექტი

სახელმწიფოს წინაშე მდგარ ამოცანათა შორის უცვლელთა კატეგორიას ყველა იმ რეზერვის მაქსიმალურად გამოვლენა და გამოყენება წარმოადგენს, რომელიც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ფისკალური სისტემის რეგიონული მოწყობის ისეთი მოდელის შერჩევას ენიჭება, რომელიც მაქსიმალურ საბიუჯეტო შემოსავლებს უზრუნველყოფს (McLure, 2002).

საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაში არსებული სირთულეები (მაგალითად, კეშელავა, ღორთქიფანიძე (რედ.), 2000; Коппитерс, Дарчиашвили, Акаба, 1999) შესაბამისი საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების შესწავლას განსაკუთრებით აქტუალურს ხდის (მაგალითად, აბაშიძე, 2001; ბარათაშვილი, ვეშაპიძე, 2002; ბოღაშვილი, 2000; გამსახურდია,

გამსახურდია, 2001; ვაშაქიძე, 1999; ზურაბიშვილი, 1999, 2000ბ; კაკულია რ., 1997, 2001ა, 2001ბ, 2001დ; მალლაკელიძე, 2002; მესხია, 1996ბ; მექმარი-აშვილი, შვეარდნაძე, 2001; მოურავიძე, 1999, 2002; ჭითანავა, 2000გ; Bolashvili, 2002).

თავიდანვე ხაზი იმას უნდა გაესვას, რომ წინამდებარე თავის მიზანი ქვეყნის რეგიონებსა და ცენტრს შორის საგადასახადო შემოსავლების განაწილების სისტემის განხილვაა.

საგადასახადო სისტემა საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ქვესისტემაა. თავის მხრივ საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ტერიტორიული ასპექტი მნიშვნელოვნად სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობით არის განპირობებული. ეკონომისტები, როგორც წესი, ტერმინს – “საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი” იმისდა მიუხედავად იყენებენ, თუ სახელმწიფო როგორი – ფედერაციულია, თუ უნიტარული (Хьюитт, Михальск, 1993, с. 392). აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ არც იურიდიულ მეცნიერებაშია სრულად გადაწყვეტილი ფედერაციული სახელმწიფოს ცნების ჩამოყალიბების საკითხი, ხოლო ზოგიერთი ცნობილი იურისტი მისი განმარტების შესაძლებლობას საერთოდ უარყოფს კიდევ (მაგალითად, გოგიაშვილი, 2000, გვ. 23-28; ხუბუა, 2000, გვ. 212-216).

“საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი” ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის ორივე მხარეს მოიცავს: ქვეყნის ცენტრალურ (“ცენტრსა”) და ტერიტორიულ (“რეგიონებს”) სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის საგადასახადო შემოსავლებისა და სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი ხარჯების განაწილებას არეგულირებს. ფედერაციული სახელმწიფოს პირობებში “რეგიონებიდან” ფედერაციის სუბიექტები ცალ-

კე გამოიყოფა, რომელთაც პირობითად “ფედერაციული რეგიონები” ეუწოდოთ.

“საგადასახადო ფედერალიზმი”, ანუ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის უნიტარულ, და “ცენტრს”, “ფედერაციულ რეგიონებსა” და “რეგიონებს” შორის ფედერაციულ სახელმწიფოში, ეკონომიკური მეცნიერების ურთულესი პრობლემაა და შეიძლება ითქვას, რომ მისი რაიმე ერთიანი, ამავე დროს ეკელასთვის ერთნაირად მისაღები და ამდენად უნაკლო მოდელი არ არსებობს (Хьюитт, Михальек, 1993, с. 395). მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას საგადასახადო უფლებამოსილებათა ოპტიმალური გამიჯვნის შესახებ მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტები არ გააჩნია, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დასაველეთის უნიტარულ სახელმწიფოებში საგადასახადო ფუნქციათა “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის განაწილების შესაძლო მიდგომების ნაკლები ნაირსახეობაა, ვიდრე “ცენტრს”, “ფედერაციულ რეგიონებსა” და “რეგიონებს” შორის ფედერაციულ სახელმწიფოებში<sup>1</sup> (Хьюитт, Михальек, 1993, с. 410). აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ “საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი” და კერძოდ “საგადასახადო ფედერალიზმი”, რატომ არის უფრო საინტერესო ფედერაციულ, ვიდრე უნიტარულ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

“საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის” ამა თუ იმ მოდელის არჩევა იმაზეა დამოკიდებული, თაყად ცენტრალური ხელისუფლება თუ რა ფუნქციების შესრულებას აპირებს, და ფედერაციის სუბიექტებსე რა ფუნქციების დელეგირება ხდება. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ცუ-

---

<sup>1</sup> ამას ცალკეულ უნიტარულ და ფედერაციულ სახელმწიფოთა მაგალითზე ჩატარებული ანალიზი ადასტურებს (Русакова, Кашин (ред.), сс. 235-456).

ნტრალური ხელისუფლების ამოსავალი ე.წ. იმ “მინიმალურ ფუნქციათა” განსაზღვრაა, რომლის გარეშეც ერთიანი სახელმწიფო, როგორც ასეთი, ვერ იარსებებს. ამ “მინიმალურ ფუნქციათა” რიცხეს ქვეყნის თავდაცვა, ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნა, საგარეო ურთიერთობების წარმართვა, საგარეო ვაჭრობის ერთიანი რეჟიმის დამყარება, ერთიანი ვალუტის ემისია და მის ბრუნვაზე კონტროლის განხორციელება, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, რეგიონთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება განეკუთვნება. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ნებისმიერი “სხვა ფუნქცია” სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება (და ცალკეულ შემთხვევაში უმჯობესია კიდევ) ფედერაციის სუბიექტებმა განახორციელონ.

ნებისმიერ დემოკრატიულ (ასევე “დემოკრატიულობაზე” პრეტენზიის მქონე) სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლების მიერ, როგორც წესი, დეკლარირებულია მისი მზადყოფნა ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანოებს რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მისცეს, ანუ “მეტი ფუნქციათა” დელეგირება მათზე მოახდინოს, და ზუსტად ასევე ეს უკანასკნელნი ხშირ შემთხვევაში საჯაროდ აფიქსირებენ თავის ერთგულებას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და მისწრაფებას ერთიანი სახელმწიფოს გასაძლიერებლად. მიუხედავად ამისა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს საჯაროდ დეკლარირებული ხსენებული განცხადებები თითქმის არცერთ ფედერაციულ სახელმწიფოში იდეალურად რეალიზებული არ არის: ყოველთვის რჩება პრობლემათა ის წრე, რომელიც “ცენტრსა” და “რეგიონებს” (მათ შორის განსაკუთრებით “ფედერაციულ რეგიონებს”) შორის სახელმწიფო უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ გამართულ დისკუსიებში მეტ-ნაკლები სიმწვავეით

განიხილება. იმ ფედერაციულ სახელმწიფოებში, რომელთაც დემოკრატიული განვითარების შედარებით ხანგრძლივი ისტორია აქვთ, როგორც წესი, სადისკუსიო საკითხთა წრე შედარებით ვიწროა, ხოლო თავად დისკუსია ნაკლებად მწვავე.

“ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის ხსენებულ დაპირისპირებაში, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, შემდეგი სახეობის პრინციპული მიდგომები გამოიყენება.

“ცენტრი”, როგორც წესი, პრაქტიკულად არ სჯერდება მხოლოდ “მინიმალურ ფუნქციათა” განხორციელებას (თუმცა იგი ამას ხმამაღლა, რა თქმა უნდა, არ აცხადებს) და ცდილობს სახელმწიფო მართვის დამატებითი ბერკეტები შეინარჩუნოს. ამ მიზნით “ცენტრის” ხელში ისეთი მექანიზმია, როგორიც მთლიანად ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში არსებული პრობლემების დასარეგულირებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან განხორციელებული ტრანსფერტებია. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ “ცენტრი” ხშირ შემთხვევაში “სატრანსფერტო” სისტემის გააფართოებას ცდილობს.

“რეგიონები” (განსაკუთრებით “ფედერაციული რეგიონები”) პრინციპულად განსხვავებული მექანიზმით მოქმედებენ. ისინი ითხოვენ საგადასახადო შემოსავლების რეგიონში დასატოვებელი ნაწილის გაზრდას, როგორც გადასახადების სახეობათა მოცვის, ისე საგადასახადო შემოსავლების განაწილების პროპორციის მათ სასარგებლოდ გადიდების ხარჯზე. ეს, თავის მხრივ, სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ფუნქციათა რეგიონულ დონეზე “გადაქანვას” იწვევს. ამ ლეგალური მეთოდების გარდა “რეგიონები” (როგორც წესი “ფედერაციული რეგიონები”) ცალკეულ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო მექანიზმებსაც იყენებენ. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებულ

ერთ-ერთ განმაზოგადებულ გამოკვლევაში<sup>2</sup> აღნიშნულია, რომ ზოგიერთ ფედერაციულ სახელმწიფოში, სადაც ფედერაციის სუბიექტები შესაბამისი კანონების დაცვით ცენტრალურ ბიუჯეტში თავიანთ წილს სრულად და დროულად რიცხავენ, ხშირ შემთხვევაში ფედერაციის ისეთი ერთი სუბიექტი მაინც გამოინდება, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილ საშემოსავლო თანხებს კანონის დარღვევით ადგილზე იტოვებს; ამ შემთხვევაში “ცენტრი” ამ ურს “ფედერაციულ რეგიონს” ტრანსფერტებს შესაბამისი ოდენობით უმცირებს, მაგრამ ამ დაპირისპირებაში მოგებული მაინც “ფედერაციული რეგიონი” რჩება, რადგანაც ამგვარი ქმედებით მას “ცენტრის” მიერ გატარებულ პოლიტიკაზე უემოქმედებისათვის ძლიერი საფინანსო ბერკეტი აქვს; ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ერთიანი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე “ცენტრს” შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გადასახადები ფედერაციის სუბიექტებიდან თანხმობის მიღების გარეშე, უშუალოდ ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთაგან აკრიფოს (Хьюитт, Михайльек, 1993, с. 400).

სავარაუდოა, რომ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, როდესაც დაუშვებლად ჩათვალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივების მიხედვით დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციზისა და საბაჟო გადასახადის ნაწილის ადგილზე დატოვება (სპსო, 2000, გვ. 4). როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხსენებული გამოკვლევა გვიჩვენებს, ერთი შეხედვით ძნელია საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოყვანილ მოსაზრებას

---

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ მოცემულ გამოკვლევაში აღწერილი სიტუაცია საქართველოს სინამდვილესაც ასახავს.



არ დაეთანხმო. უფრო დეტალურად ამ საკითხის განხილვას ქვემოთ მიუბრუნდებით.

## § XIII.2. გადასახადების “იერარქიული” ბუნების შესახებ

ეკონომიკურ მეცნიერებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მკაცრი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც მკაფიოდ იქნებოდა ჩამოყალიბებული, თუ რომელი სახეობის გადასახადი არის თავისი ბუნებით ფედერალური და რომელი ადგილობრივი, არ გააჩნია. ერთადერთი, რაც ამ მიმართულებით შეიძლება ითქვას ის არის, რომ გადასახადის მხოლოდ ორ სახეობაზე მოიძებნება მეტ-ნაკლები სიმკაცრის თეორიული მტკიცება მათი “იერარქიული” ბუნების შესახებ; კერძოდ, ესენია – გადასახადი საკუთრებაზე (მიწასთან ერთად) და საბაჟო გადასახადი. პირველი მათგანი ითვლება ადგილობრივ (რადგანაც საკუთრების დაგროვება გარკვეულ ტერიტორიაზე ხდება), ხოლო მეორე კი – ფედერალურ გადასახადად (რადგანაც საბაჟო გააჩნია მთლიანად სახელმწიფოს და არა მის ცალკეულ რეგიონებს) (Хьюитт, Михальек, 1993, с. 410).

ხშირია იმის ლოგიკური დასაბუთების მცდელობა, რომ ფედერალურ გადასახადად დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზიც უნდა ჩაითვალოს (Хьюитт, Михальек, 1993, с. 400-401), თუმცა ამის თეორიული არგუმენტაცია იმდენად ხელოვნურია, რომ ის ნამდვილად არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში, რომელთაც სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა აქვთ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნის სხვადასხვა სქემა გამოი-

ყენება და რაიმე კრიტერიუმში, რომლის მიხედვითაც შეიძლება მათ შორის საუკეთესო (ეფექტიანობის თვალსაზრისით) შეირჩეს, უბრალოდ არ არსებობს; ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასევე არ არსებობს რაიმე ეკონომიკური არგუმენტაცია იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ შეიძლება ნებისმიერი გადასახადის “ერთდროული ამოღება” “ცენტრისა” და “რეგიონების” მიერ (Хьюитт, Михальек, 1993, с. 410).

### § XIII.3. “საგადასახადო სეპარატიზმი”

საერთაშორისო გამოცდილებისა და ეკონომიკური მეცნიერების რეკომენდაციებზე დაყრდნობით განვიხილოთ საქართველოში შექმნილი კონკრეტული სიტუაცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ამ ეტაპზე ყველაზე უფრო მისაღები გადაწყვეტილების მოძებნა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პოზიციის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივების მიხედვით დამატებული ღირებულების გადასახადის, აქციზისა და საბაჟო გადასახადის ნაწილის ადგილზე დატოვება დაუშვებელია. სავარაუდოა, რომ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მით უფრო დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილის თბილისში, ან საბაჟო გადასახადის ნაწილის ფოთში (საიდანაც ამ საკითხს ძალზედ მწვავედ აყენებენ), რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს სხვა რეგიონებზე (მაგალითად, იმერეთზე, რომლის ხელმძღვანელობა ანალოგიური ხასიათის წინადადებებს კომპლექსურად აყენებს), დატოვების წინააღმდეგი იყოს.

აქვე მიზანშეწონილია ისიც აღინიშნოს, რომ საქართველოს პოლიტიკურ წრეებსა და სამთავრობო სტრუქტურებში თანდათან სულ უფრო მეტი პოპულარობა შეიძინა მიდგომამ, რომლის თანახმადაც გადასახადები სახელმწიფო იერარქიის მიხედვით მკაცრად უნდა გაიმიჯნოს, როცა, დაეუშვათ, დამატებული ღირებულების გადასახადი ფედერალურ გადასახადად ჩაითვლება და ასევე პროცენტით ცენტრალურ ბიუჯეტში იქნება ამოღებული, ხოლო, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი ადგილობრივ გადასახადად ჩაითვლება და, შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ასი პროცენტით იქნება ამოღებული. ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს არაერთ ფედერაციულ და უნიტარულ სახელმწიფოში საშემოსავლო გადასახადი ასევე პროცენტით ფედერაციულია (და არა ადგილობრივი), ხოლო ზოგიერთ მათგანში ის “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორისაა განაწილებული (იხ. ცხრილი 1)<sup>3</sup>.

ხსენებული მიდგომა, რომლის თანახმადაც გადასახადის თითოეული სახეობა “იერარქიულად” ერთმნიშვნელოვნად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან, ჩვენი აზრით, “საგადასახადო ფედერალიზმის” უმარტივესი მოდელის საფუძველს წარმოადგენს. ის, ერთი შეხედვით ერთობ მიმზიდველია, რამეთუ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნის სქემა საკმაოდ გამარტივებულია, რაც მეტ-ნაკლებად იმის საფუძველს ქმნის, რომ ფედერაციის სუბიექტის მიერ ცენტრალურ ბიუჯეტში გადასარიცხი საგადასახადო შემოსავლის ადგილზე უკანონოდ დატოვების, “დამალვის” ობიექტური შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოირიცხოს: თუკი ბოლო პერიოდის გამოცდილება ცხადყოფს, რომ საქართველოს

---

<sup>3</sup> ცხრილი 1 შედგენილია (Norregaard, 1995, p. 250) ბაზაზე.

საშემოსავლო გადასახადის განაწილება  
ხელისუფლების დონეებს შორის

ქვეყნები	ზედა დონე (ცენტრალური ხელისუფლება)	საშუალო დონე (შტატები, მუნიციპალიტეტები და ა.შ.)	ქვედა დონე (ადგილობრივი ხელისუფლება)
1 ნიტარული სახელმწიფოები			
განვითარებული			
ბელგია	90,9	–	9,1
დიდი ბრიტანეთი	100,0	–	0,0
ნიდერლანდები	100,0	–	0,0
ნორვეგია	47,6	–	52,4
საფრანგეთი	100,0	–	0,0
შვედეთი	24,7	–	75,3
განვითარებადი და პოსტკომუნისტური			
ზიმბაბვე	100,0	–	0,0
ისრაელი	100,0	–	0,0
კენია	100,0	–	0,0
პოლონეთი	75,9	–	24,1
სამხრეთ აფრიკა	100,0	–	0,0
ტაილანდი	100,0	–	0,0
უნგრეთი	71,9	–	28,1
ჩილე	100,0	–	0,0
2 ყველაერთი სახელმწიფოები			
განვითარებული			
ავსტრალია	100,0	0,0	0,0
აშშ	81,1	17,2	1,7
გერმანია	39,1	40,8	20,1
ესპანეთი	92,9	1,2	5,9
კანადა	63,5	36,5	0,0

განვითარებადი

არგენტინა	34,2	65,8	0,0
ბრაზილია	100,0	0,0	0,0
ინდოეთი	100,0	0,0	0,0
მექსიკა	98,1	1,3	0,6

ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის ერთ-ერთი სადაეო საკითხი გადასახადის ყოველი სახეობის მიხედვით ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხული თანხების კანონით დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობა იყო, შე-  
მთმომყვანილი მიდგომის პირობებში კამათის ობიექტი “ქრება”, რადგა-  
ნაც კანონით დადგენილი ამა თუ იმ გადასახადით მიღებული შემოსაე-  
ლები ან ასიეე პროცენტით უნდა გადაირიცხოს, ან საერთოდ არ გადა-  
ირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში. ის, რომ ამ შემთხვევაში კამათის  
ობიექტი “ქრება” და “ფედერაციული რეგიონის” ქმედება ძალზედ გამჭ-  
ვირვალე ხდება, ეს იმის გარანტიას სულაც არ იძლევა, რომ როგორც  
ზემთ აღინიშნა, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ფე-  
დერაციის სუბიექტს “ცენტრზე” ზემოხსენებული პოლიტიკური ზეგაე-  
ლენის მიზნით კანონის დარღვევის შესაძლებლობა არ დარჩება.

ამაეე დროს აღნიშნული მიდგომა, როცა საგადასახადო უფლება-  
მოსილებათა გამიჯვნა პინციპით – “ან სულ, ან არაფერი” თავად გადა-  
სახადების სახეობათა მიხედვით ხდება, საბოლოო ჯამში “საგადასახა-  
დო სეპარატიზმადეე” მიგვიყვანს, როცა ფედერაციის სუბიექტების “სა-  
გადასახადო ინტერესები” საერთო-სახელმწიფო “საგადასახადო ინტე-  
რესებისაგან” სრულად იქნება იზოლირებული, რაც ფედერაციული სა-  
ხელმწიფოს მთლიანობაზე უარყოფითად აისახება. აქედან გამომდინარე  
ხსენებული მიდგომის გამოყენებას საგადასახადო უფლებამოსილებათა

გამიჯენაში ჩვენ “საგადასახადო სეპარატიზმის დოქტრინა” ვუწოდეთ (პაპავა, 2000დ, 2001გ; Papava, 2001B).

საკითხის სრულად დახასიათებისათვის აუცილებელია ჩაიხიზო იმასაც გავსვას, რომ “საგადასახადო სეპარატიზმის დოქტრინა” ხსენებული ნაკლის გარდა მისი ბუნებიდან გამომდინარე პრაქტიკულად არარეალიზებადიცაა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილეში ნებისმიერი ქვეყნის რეგიონები სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არათანაბრად არიან განვითარებულნი, რის შედეგადაც თითოეული სახეობის გადასახადის ამოღების მიხედვით სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული მდგომარეობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადასახადის რამოდენიმე სახეობისადმი “რეგიონული” “ტიტულის” მინიჭებისას საკვებით შესაძლებელია რომელიმე რეგიონში იმდენად მცირე თანხა იქნეს ამოღებული და დატოვებული, რომ იგი შევსებას ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტის სახით მოითხოვდეს, ხოლო რომელიმე სხვა რეგიონში კი გადასახადის იმავე სახეობის მიხედვით იმდენად დიდი თანხა იქნეს ამოღებული, რომ ამ რეგიონის მოთხოვნას მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯებზე გადააჭარბებს და ამ ნამეტო ოდენობით მისი გამოყენება ცენტრალური ბიუჯეტიდან ზემოხსენებული ტრანსფერტის განსახორციელებლად იყოს მიზანშეწონილი. ასე, რომ პრინციპი – “ან სულ, ან არაფერი” ქვეყნის სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნება-განვითარებასთან პრაქტიკულადაც შეიძლება აშკარა წინააღმდეგობაში მოვიდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ “საგადასახადო სეპარატიზმის დოქტრინა” ნებისმიერი ფედერაციული სახელმწიფოსათვის და კონკრეტულად საქართველოსათვისაც მიუღებელია.

#### § XIII.4. “საგადასახადო თანხმობა”

საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობის საკითხი ქვეყნის ტერიტორიული მოლიანობის აღდგენამდე ვერ წყდება, ძალიან დიდი მნიშვნელობა იმ ეკონომიკურ ბერკეტებს ენიჭება, რომლებიც “რეგიონებს” სტიმულს ე.წ. “რეგიონული თანხმობისაკენ” შეუქმნიან, როცა ისინი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს განმტკიცებაში, მის სიძლიერეში უწინარეს ყოვლისა ეკონომიკურად იქნებიან დაინტერესებულნი.

ამგვარი ბერკეტების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადასახადების ერთდროული მობილიზაცია, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტებში.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა გაესეას ხაზი, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში რაიმე თუნდაც მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტაცია იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ შეიძლება ამოღებულ იქნეს გადასახადის ესა თუ ის სახეობა სახელმწიფოებრივი იერარქიის ამა თუ იმ დონეზე, უბრალოდ არ არსებობს (Хьюитт, Михайлек, 1993, с. 410).

ზემოთ აღინიშნა, რომ ყველაზე უფრო “შთამბეჭდავი” დასაბუთება საკუთრებაზე გადასახადს, როგორც – ადგილობრივს, და საბაჟო გადასახადს, როგორც – ფედერალურს, გააჩნია. მაგრამ საკმარისია გავითვალისწინოთ, რომ ფიზიკური, ან იურიდიული პირი უძრავ ქონებას შეიძლება ქვეყნის (და არა მარტო მის შიგნით) სხვადასხვა რეგიონში ფლობდეს, უკვე ძნელია ამ გადასახადის ადგილობრივ, თუ ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზაციის საკითხი ერთმნიშვნელოვნად გადაწყდეს: საკუთრების ადგილმდებარეობის მიხედვით გადასახადი ლოგიკუ-

რია ადგილობრივ ბიუჯეტში იქნეს გადახდილი, მაგრამ რადგანაც ეს საკუთრება ან ფიზიკური პირისაა, რომელიც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოველგვარი შესღუდვის გარეშე გადაადგილდება, ან – იურიდიული პირისა, რომელიც შეიძლება ერთდროულად რამოდენიმე რეგიონში ფუნქციონირებდეს, არანაკლებ არგუმენტირებულად უნდა ნათივალოს ის, რომ ეს გადასახადი ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა იყოს მობილიზებული. როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს საკუთრებაზე გადასახადი ასივე პროცენტით ფედერალური მხოლოდ სოგიერთ უნიტარულ სახელმწიფოშია, სხვა (კენიის გარდა, სადაც ასივე პროცენტით ადგილობრივია) ის განაწილებულია ხელისუფლების იერარქიულ დონეებს შორის (იხ. ცხრილი 2)<sup>4</sup>.

ანალოგიური მსჯელობა საბაჟო გადასახადის მიმართაცაა შესაძლებელი. კერძოდ, რადგანაც საბაჟო მთლიანად ქვეყნის და არა მისი რომელიმე რეგიონისაა, ამიტომ საბაჟო გადასახადის მობილიზება მხოლოდ ცენტრალურ ბიუჯეტში თეორიულად საკმაოდ არგუმენტირებულად ჩანს, მაგრამ საბაჟო-გამშვები პუნქტები ცალკეულ რეგიონებში (უშუალოდ ქვეყნის ტერიტორიულ სასღვართან, სასღვაო პორტებში, თუ აეროპორტებში) არიან განლაგებულნი, რაც ამ რეგიონებს დამატებით “დატვირთვას” უქმნის, ამიტომ არანაკლები წარმატებით იმის მტკიცებაცაა შესაძლებელი, თუ საბაჟო გადასახადიდან მიღებული შემოსავლის თუნდაც მცირედი ნაწილი შესაბამისი რეგიონის ადგილობრივ ბიუჯეტში რატომ უნდა დარჩეს.

მაშასადამე, ფედერაციულ სახელმწიფოში “რეგიონული თანხმობის” მიღწევის ქმედით ეკონომიკურ მექანიზმს ცენტრალურ და ადგი-

<sup>4</sup> ცხრილი 2 შედგენილია (Norregaard, 1995, p. 250) ბაზაზე.



საკუთრებაზე გადასახადის განაწილება  
ხელისუფლების დონეებს შორის

ქვეყნები	'ხელა დონე (ცენტრალური ხელისუფლება)	საშუალო დონე (შტატები, შიწები და ა.შ.)	ქვედა დონე (ადგილობრივი ხელისუფლება)
1	უნიტარული სახელმწიფოები		
	განვითარებული		
	ბელგია	100,0	—
	დიდი ბრიტანეთი	99,2	—
	ნიდერლანდები	65,1	—
	ნორვეგია	37,9	—
	საფრანგეთი	100,0	—
	შვედეთი	100,0	—
	განვითარებადი და პოსტკომუნისტური		
	სიმბაბვე	11,5	—
	ისრაელი	12,3	—
	კენია	0,0	—
	პოლონეთი	48,3	—
	სამხრეთ აფრიკა	25,5	—
	ტაილანდი	81,9	—
	უნგრეთი	100,0	—
	ჩილე	19,7	—
2	ფედერაციული სახელმწიფოები		
	განვითარებული		
	ავსტრალია	2,4	57,8
	აშშ	6,0	6,7
	გერმანია	2,0	61,2
	ესპანეთი	5,8	50,5

კანადა	0,0	16,2	83,8
განვითარებადი			
არგენტინა	49,2	50,8	0,0
ბრაზილია	2,2	40,5	57,3
ინდოეთი	33,7	66,7	0,0
მექსიკა	1,2	0,0	98,8

ლობრივ ბიუჯეტებში ყველა სახეობის გადასახადის ერთდროული მობილიზება წარმოადგენს; მათ შორის განაწილების პროპორციის დასადგენად, უწინარეს ყოვლისა, ფედერაციის სუბიექტის სტატუსისა და ამავე დროს თითოეულ რეგიონში გადასახადის ამა თუ იმ სახეობის ამოღების ობიექტურად შესაძლებელი ოდენობის “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის საბიუჯეტო ხარჯების განაწილებასთან თანაფარდობის გათვალისწინებაა საჭირო.

რადგანაც აჭარას კონსტიტუციურად განსაზღვრული ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი გააჩნია, მისი პრეტენზია, რომ ამა თუ იმ გადასახადიდან მიღებული შემოსავლის შედარებით დიდი ნაწილი მას დარჩეს, ხსენებული მიდგომიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია; არ უნდა იყოს გასაკვირი თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის სტატუსის მქონე ქალაქის, პრეტენზია, რომ მას შექმნილი და ამოღებული დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილი დარჩეს; საქართველოში “საგადასახადო ფედერალიზმის” ინსტიტუტის ფორმირებაში იმერეთის მხარის, ქვემო ქართლის მხარის, ქალაქ ფოთის და საქართველოს სხვა რეგიონების წინადადებებიც საგადასახადო შემოსავლების გარკვეული პროპორციით გაყოფის შესახებ ასევე ყურადსაღებია.

საგადასახადო შემოსავლების დამატებითი რეზერვების მობილიზების მიზნით ქვეყნის თითოეულ რეგიონს შესაბამის ბიუჯეტში ანარიცხების ბიუჯეტით განსაზღვრულ ნორმატივებთან ერთად გასრდილი ნორმატივებიც უნდა დაუმტკიცდეთ, რომლებიც საბიუჯეტო შემოსავლების გეგმის გადაჭარბების შემთხვევაში იქნება გამოყენებული.

განხილულ მიდგომას, როცა პრაქტიკულად ყველა სახეობის გადასახადის მიხედვით ამოღებული საგადასახადო შემოსავლების “ცენტრსა” და “რეგიონებს” შორის განაწილება დასაშვებია “საგადასახადო თანხმობის დოქტრინა” ვუწოდოთ (პაპავა, 2000დ, 2001გ; Papava, 2001B). მას შეუძლია საქართველოს ფედერაციული მოწყობის პროცესში ერთიანი სახელმწიფოებრივი საწისის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. აქვე აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის პრობლემათა მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში “საგადასახადო თანხმობის” პრინციპების გამოყენების მნიშვნელობაცაა მსედველობაში მისაღები.

ზემოთ ხაზგასმით აღინიშნა, რომ “საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის” არცერთი მოდელი ქვეყნის ამა თუ იმ ურში “რეგიონის” (უწინარეს ყოვლისა “ფედერაციული რეგიონის”) მხრიდან საბიუჯეტო კანონმდებლობის დარღვევას, როცა ის უკანონოდ დაიტოვებს ადგილზე ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილ თანხებს, არ გამოირიცხავს; მაგრამ “საგადასახადო თანხმობის დოქტრინა” დაძაბულობას “ცენტრსა” და “რეგიონს” შორის პრინციპულად ამცირებს, რამაც, სხვა თანაბარ პირობებში, ხსენებული “ურსობის” ფაქტები შეიძლება მინიმუმამდე დაიყვანოს.

დასასრულს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფო “საგადასახადო თანხმობის დოქტრი-

ნის” სრულფასოვანი მოდელის რეალიზებისათვის ინსტიტუციურად მზად არ არის. ამას უწინარეს ყოველისა ხელს უშლის ის, რომ ჯერჯერობით საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის პროცესის დასრულება ობიექტურად შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, “საგადასახადო თანხმობის დოქტრინის” ელემენტები აუცილებელია საქართველოს ყველა რეგიონის მიხედვით ნაბიჯ-ნაბიჯ იქნეს რეალიზებული, რაც, თავის მხრივ, ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მომავალს მეტ სინათლეს მოჰყენს.

თავი XIV. ინფლაციის ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე  
პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პირობებში  
(საქართველოს მაგალითზე)

ინფლაცია – კანონიერი საფუძვლის  
გარეშე დასჯის ერთადერთი ფორმაა.

*მილტონ ფრიდმენი*

მოცემულ ქვეყანაში ვალუტა რაც უფრო რბილია,  
ტუალეტის ქაღალდი მით უფრო მტკიცეა.

*ჯონ ფაუნთინი*

დევალვაცია სხვა არაფერია, თუ არა  
ვალუტის მითვისება.

*გიქტორ ქანინგი*

§ XIV.1. პოლიტიკური “დაკვეთა” და ფაქტები

ეკონომიკურ ზრდაზე ინფლაციის ზეგავლენის საკითხი, როგორც ზოგადად, ისე პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პირობებში არაერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოკვლევების საგან წარმოადგენს (მაგალითად, ასათიანი, 2000ა, 2000ბ; ბასარია, მესხია, 1995; ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაძე, 2001, გვ. 309-354; ბურდული, 2000ა; გამსახურდია, 1997; დარბუაშვილი, 2002; თოთლაძე, 2000; კაკულია მ., 2001ა, 2001ბ; კაკულია, ასლამაზიშვილი, 2000; ლაზარაშვილი, 2002; მანაგაძე, 2000, 2002ა, 2002ბ; მაღლაკელიძე, 2001; მესხია, 2000; ნათელაური, 2000; სანაძე, 1999; ქისტაური, 2000; შათირიშვილი, 1996; Allen, 1999; Anušić, Rohatinski, Šonje,

and others (ed.), 1995; Cottarelli, Doele, 1999; Cukrowski, 2000; Ghosh, Gulde, Ost-  
ry, Wolf, 1996; Jochem, 1999; Klaus, 1997; Sušjan, Lah, 1997; Wellisz, 1997; Ани-  
кин, 2000; Брагинский, 1989; Бурдули, Церстели, 1998; Велиш, 1996; Гайдар,  
1997; Гварამაძე, Кლѐц, Синицина, 1999; Жирный, Яровичский, 1997; Какулия  
М., 2001; Какулия Р., 1998; Красавина (ред.), 2000; Маглаკелиძე, 2002; Месхия,  
Яшвили, 1998; Патрыцки, 2000; Фишер, Сахан, 1997).

არც თუ იშვიათად, ქართველ ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა  
ერთ-ერთი აქტუალურ სადისკუსიო თემას საქართველოს ეროვნული ბან-  
კის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა წარმოა-  
დგენს, რომელიც ეროვნული ვალუტის – ლარის გაცვლითი კურსის  
სტაბილურობასა და ინფლაციის დაბალ ტემპებს უსრუნველყოფს. იხი-  
ნი თვლიან, რომ სწორედ ამგვარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა ქვე-  
ყანაში ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევის უმთავ-  
რესი შემაფერხებელი მიზეზი; აქედან გამომდინარე ლარის დევალვაცი-  
ასა და ინფლაციის შედარებით მაღალ ტემპებს მოითხოვენ, რისთვისაც  
ყულის ემისიის განხორციელებას უჭერენ მხარს. ყოველივე ეს გამოიწ-  
ვეულია, ერთის მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკით დაინტერესებულთა  
მნიშვნელოვანი ნაწილის დილექტანტიზმით ეკონომიკაში, ხოლო მეორეს  
მხრივ, ამ პირთა შორის ზოგიერთთა უკვე ეკონომიკური დაინტერესე-  
ბით ყულის ემისიის ხარჯზე ინფლაციის ზრდითა და ლარის დევალ-  
ვაციით ისედაც საეჭვო გზით შექმნილი ეკონომიკური კეთილდღეობა  
კიდევ უფრო გაიუმჯობესონ.

კიდრე უშუალოდ განვიხილავდეთ პრობლემის თეორიულ ასპექტს  
(პაპავა, 1997, 2000ა) მისიანშეწონილია საქართველოს ეკონომიკის ძირი-  
თადი პარამეტრების ბოლო წლებში ცვლილებისა და მისი გამომწვევი  
ზოგიერთი მიზეზის გახსენება.

1994 წლის შემოდგომიდან დაწყებული ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამის რეალიზაციის შედეგად საქართველომ ჰიპერინფლაციურ სპირალს (როცა ინფლაცია თვეში 50-70 პროცენტს აღწევდა) დააღწია თავი. 1995 წელს შეძლო ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელება და საკმაოდ სტაბილური კურსის მქონე ვალუტა – ლარი შემოიღო, 1989-1994 წლებში ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაცემის შემდეგ 1996-1997 წლებში ერთობლივი შიგა პროდუქტის ზრდის მაღალი ტემპებსაც მიაღწია. თუ კი ამ შედეგებს ციფრებში გამოვხატავთ ისინი აშკარად შთამბეჭდავია. კერძოდ, როცა 1989-1994 წლებში ეკონომიკური ვარდნა სამჯერაღსე მეტი იყო, 1995 წლის ერთობლივი შიგა პროდუქტის ზრდამ 3,3 პროცენტს, ხოლო 1996 და 1997 წლებში, შესაბამისად, 11 და 10,8 პროცენტს მიაღწია; ამავე პერიოდში ინფლაციის ტემპები აშკარად მცირდება – 1995 წელს 53 პროცენტი, 1996 წელს 13,5 პროცენტი, 1997 წელს კი მხოლოდ 7,3 პროცენტი იყო.

1998 წელს ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში ერთობ დამძიმდა, რაც გაღის რაიონში საომარი მოქმედებების განახლებამ და ლტოლვილთა ახალმა ნაკადმა, საფინანსო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომებით განპირობებულმა ფისკალურმა კრიზისმა და რუსეთის საფინანსო კრიზისის შეგავლენით ჩვენში ინიცირებულმა სავალუტო კრიზისმა განაპირობა; ყოველივე ამას თან დაერთო გეალვა, რამაც საქართველოს სოფლის მეურნეობა და ჰიდროენერგეტიკა უმძიმეს მდგომარეობაში წააყენა. ასეთ ვითარებაშიც კი, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა (თუმც ძალზედ მოკრძალებული 2,9 პროცენტის ტემპით) იქნა შენარჩუნებული. მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო კრიზისის პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაადგა ერთადერთი სწორი ნაბიჯი, რომლის თანახმადაც მყარი ვალუტის რესურსების ხარჯზე კომერციუ-

ლი ბანკების სისტემა იქნა შენარჩუნებული და ლარის რეგულირებადი გაცვლითი კურსის რეჟიმი თავისუფლად მცურავი რეჟიმით შეიცვალა, 1998 წელს ინფლაციის ტემპი არ ყოფილა კატასტროფული და ის 10,7 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა.

1999 წელს ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ტენდენციების ინერციულობამ განაპირობა ერთობლივი შიგა პროდუქტის ზრდა 3,0 პროცენტის დონეზე, ხოლო ინფლაციის წლიურმა ტემპმა 10,9 პროცენტი შეადგინა. აქვე იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ არა ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის 1998 წლის დეკემბერსა და 1999 წლის იანვარში ხმამაღლა გაცხადებული უპასუხისმგებლო პროგნოზი ლარის კურსის ვარდნისა და ინფლაციის მაღალი ტემპების შესახებ, რამაც საზოგადოებაში ინფლაციური მოლოდინის ატმოსფერო შექმნა, ინფლაციის წლიური დონე სავსებით შესაძლებელია უფრო დაბალიც ყოფილიყო.

2000 წელს ეკონომიკური ზრდა 2,0 პროცენტის დონეზეა, ხოლო ინფლაციამ 4,6 პროცენტი შეადგინა; 2001 წელს ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 4,5 პროცენტისა და 3,4 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსი მნიშვნელოვნად მხოლოდ 1998 წლის სავალუტო კრიზისის დროს შეიცვალა, და მანამდეც და მის მერეც ის მეტ-ნაკლები სტაბილურობით გამოირჩევა.

მაშასადამე, 1998 წლის ბოლოს ლარის კურსის 70 პროცენტთან გაუფასურების შედეგად 1998-1999 წლებში ინფლაციის დონე წელიწადში 10 პროცენტთან ზღვარს გასცდა, ერთობლივი შიგა პროდუქტის წლიური ზრდის ტემპმა კი 3,0 პროცენტს ვერ გადააჭარბა, რაც პოსტკომუნისტურ საქართველოში ეკონომიკურ ზრდაზე ეროვნული



ვალუტის მნიშვნელოვანი გაუფასურებისა და ინფლაციის შედარებით მაღალი დონის დადებით ზეგავლენას ვერანაირად ადასტურებს.

## § XIV.2. შეცდომის არსი

როგორც ზემოთ აღინიშნა, კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ გამოითქმება, უმთავრესად მის მიერ გატარებულ მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ეხება, რომლის მიზანი ინფლაციის მინიმალური დონის შენარჩუნებაა.

ოპონენტები თვლიან, რომ ინფლაციის დაბალი დონე ხელს უშლის წარმოების მნიშვნელოვან განვითარებას, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაფართოებასა და საბოლოო ჯამში ექსპორტის ზრდას ზღუდავს. აქედან გამომდინარე, მათი აზრით, საქართველოში უკვე კარგა ხანია მომწიფდა სიტუაცია, როცა უარი უნდა ითქვას მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე და ის ლიბერალური (უკეთეს შემთხვევაში “სომიერად მკაცრი”) მიდგომებით შეიცვალოს, რომელიც საკრედიტო ემისიის ე.წ. “კონტროლირებად ზრდას” დაემყარება.

ეკონომიკურ თეორიაში მართლაც არის ცნობილი, რომ ინფლაციის შედარებით მაღალი ტემპები ხელს წარმოების განვითარებას უწყობს; ასევე ცნობილია ისტორიული მაგალითები ცალკეული ქვეყნების მიხედვით, რომლებმაც ხსენებული მიდგომა წარმოების განვითარებისათვის ამა თუ იმ ეტაპზე მეტ-ნაკლები წარმატებით გამოიყენეს.

პირველი კითხვა, რასაც პასუხი უნდა გაეცეს არის ის, თუ ინფლაციის დონის ზრდის პირობებში საქართველოს საწარმოები მართლა შეძლებენ თუა არა წარმოების განვითარებას, ხოლო მეორე – კი ის,

თუ მაღალი ინფლაცია სხვადასხვა სფეროში რამდენად კარგ შედეგებს მოგვითმის. ამ კითხვებზე მხოლოდ დადებითი პასუხების შემთხვევაში შეიძლება ინფლაციის მაღალი ტემპების დაშვების მიზანშეწონილობაზე დათანხმება.

დავიწყოთ იმით, თუ რამდენადაა ჩვენი საწარმოები მსაღ მაღალი ინფლაციის პირობებში განავითარონ წარმოება. სამწუხაროდ, პასუხი შემდეგ გარემოებათა გამო უარყოფითია.

საქართველოს (ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების) კომუნისტური ეპოქის დროინდელ საწარმოთა უმრავლესობაში მოქმედებული ტექნიკა-ტექნოლოგიაა, რის საფუძველზეც შეუძლებელია კონკურენტუნარიანი (მაღალხარისხიანი და დაბალდანახარჯიანი) პროდუქციის წარმოება; სხვა სიტყვებით, საქართველოს ეკონომიკაში ნეკროეკონომიკის სექტორი (იხ. თავი VII) ჯეჯეროებით საკმაოდ დიდია. აქედან გამომდინარე, სერიოზული ინვესტიციების განხორციელებისა და ახალი (ან განახლებული) ბაზრების მოძიების გარეშე (რასაც ასევე დრო სჭირდება) ამ საწარმოთა პერსპექტიულობაზე ფიქრიც კი პრაქტიკულად გამორიცხებულია. თავის მხრივ ინვესტიციების განხორციელებისათვის შემდეგი სამი წყაროს გამოყენებაა შესაძლებელი:

- ა) საწარმოთა საკუთარი საფინანსო რესურსები;
- ბ) საბანკო კრედიტი;
- გ) უცხოეთის ფირმების საფინანსო რესურსები.

პირველი წყარო პრაქტიკულად მხოლოდ რამოდენიმე საწარმოთათვის (რომელთაც შეძლებული უცხოელი პარტნიორები უკვე ჰყავთ მოძიებული) არის ხელმისაწვდომი; დანარჩენები (რომლებიც სამწუხაროდ უმრავლესობას შეადგენენ) უდიდეს ფინანსურ გაჭირვებაში (დავალიანებები ბიუჯეტის და სხვა საწარმოების მიმართ) გააჩნიათ.

რაც შეეხება საბანკო კრედიტს, ის არასავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად კრედიტის მოკლევადიანობისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო ჩვენი საწარმოებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. ამ განაკვეთის დონე კი გაზრდილი ინფლაციის პირობებში კიდევ უფრო მაღლა აიწევს და ამდენად საბანკო კრედიტი კიდევ უფრო ხელმიუწვდომელი გახდება არასავაჭრო (და შესაძლოა, უკვე სავაჭრო) ოპერაციების განხორციელებისათვის. მაშასადამე, ჯერ-ჯერობით არც მეორე წყაროს გამოყენებაა (და მით უფრო მაღალი ინფლაციის პირობებში იქნება) წარმოების განვითარების ხელშემწყობი წყარო.

საქართველოს სამრეწველო პოტენციალის ამაღლების მნიშვნელოვან გზას უცხოური ინვესტიციები წარმოადგენენ, რომელთა მასობრივი შემოსვლაც საქართველოში ექსპერტთა შეფასებით დროში ერთობ გაჭიანურებულადაც კი აღიქმება. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სტაბილიზაციის (პოლიტიკური და აუცილებლად საფინანსო) მიღწევიდან უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადების ქვეყნის შიგნით შემოსვლამდე დროითი ღვაწი საშუალოდ სამი წლის ტოლია. თუ კი გავითვალისწინებთ, რომ 1998 წელს საქართველოში დაიწყო საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც სამწუხაროდ დღესაც არ დამთავრებულა და, რომ კრიმინოგენური მდგომარეობა ბოლო წლებში ძალზედ გაუარესებულია, გასაგები გახდება, რომ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შესაძლო ბუმი უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ამ პრობლემების მოგვარებიდან სამი წლის შემდეგაა მოსალოდნელი.

ინფლაციის ტემპების ზრდა უცხოელი პარტნიორების თვალში ძალზედ დიდი ალბათობით აღქმული იქნება, როგორც სტაბილიზაციის კურსიდან გადახვევა, რაც თავის მხრივ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში კვლავ გადაავადებს. აქედან გამომდინარე გაზ-

რდილი ინფლაციის პირობებში, წარმოების განვითარების ხელშემწყობი ინვესტიციების განხორციელების არც მესამე წყაროა ხელმისაწვდომი.

მაშასადამე, ინფლაციის ზრდა წევხს პირობებში წარმოების განვითარებას არა თუ ხელს შეუწყობს, არამედ, იმ მწირი რესურსების (რომლებიც შეიძლება წარმოებაში ინვესტიციების განსახორციელებლად არსებობდეს) ზრდის რეალურ შესაძლებლობებსაც კი არასაკაჭრო ოპერაციებისათვის საქართველოს საწარმოთათვის ხელმიუწვდომელს გახდის.

ეს დასკვნა სავსებით საკმარისია იმ აზრის უკუსაგდებად, რომლის თანახმად თითქოსდა მაღალი ინფლაცია საქართველოს თანამედროვე პირობებში წარმოების განვითარებას უწყობდეს ხელს. მიუხედავად ამისა, საკითხის ანალიზის კომპლექსურობა მოითხოვს, რომ ცალკე უურადღება დაეთმოს საკითხს, თუ მაღალ ინფლაციას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში რა შესაძლო შედეგები მოჰყვება.

უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ ფულის მიმოქცევა.

თითქმის ათი წლის წინ საქართველოს საკუთარი ვალუტა საერთოდ არც კი გააჩნდა. მოსახლეობის და რაც უფრო გულსატკენია იმდროინდელი ხელისუფლების დიდ ნაწილს ვერც კი წარმოედგინა ის, რომ საქართველოს საკუთარი ვალუტის შემოღება და მისი ბრუნვის სწორად რეგულირება შეეძლო. ამ აზრის დამტკიცების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 1993 წლის დასაწყისი, როცა საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები არ ელოდნენ იმას, რომ საქართველოს (რომელსაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ოფიციალურად უკვე გამოცხადებული ჰქონდა) რუსეთი ფულის ნიშნების მიწოდებას შეუწყუტდა; ამას ემატება 1993 წლის აპრილში ხელისუფლე-

ბის ამ წარმომადგენელთა საჯარო მობოდიშება მოსახლეობის წინაშე, რომ ისინი იძულებულნი გახდნენ შემოეღოთ დროებითი ვალუტა – კუპონი და ასევე საჯარო აღიარება საკუთარი უსუსურობისა, კუპონისათვის ფულის ფუნქციების მინიჭების საქმეში. ამას თან დაერთო უსომო საკრედიტო ემისია (სხვადასხვა “კეთილშობილური” მიზნებისათვის), რამაც საბოლოოდ საქართველო ჰიპერინფლაციურ სპირალში ჩააგდო. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ყოველივე ამის შემდეგ საქართველოში ძნელად თუ მოიძებნებოდა ეინმე, რომელსაც მაინც ჰქონდა შენარჩუნებული იმის რწმენა, რომ ჩვენ შეგვწვედა უნარი საკუთარი ნორმალური ფულად-საკრედიტო სისტემა გექონოდა; სწორედ ამ დროს ყველაზე ხმამაღლა ისმოდა იმ ხალხის ხმა (განსაკუთრებით ხელისუფლების შედა ეშელონებში), რომლებიც მოითხოვდნენ, რომ თხოვნით მიგვემართა რუსეთისათვის, რათა მას გამოეჩინა დიდსელოვნება და ე.წ. “რუბლის ზონაში” მიველეთ.

მართალია, 1994 წლის შემოდგომიდან დაწყებულმა მკაცრმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ საშუალება მოგვცა ინფლაცია მოგვეოთკა, ფულის რეფორმა წარმატებით გაგვეტარებინა, ლარის კურსის სტაბილურობა შეგვენარჩუნებინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი უახლოესი წარსულის ხსენებული სავალალო მოვლენები მოსახლეობის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია, რაც ლარის საბოლოო საყოველთაო დამკვიდრებას უშლის ხელს. კერძოდ, მოსახლეობის ნდობა ლარის მიმართ როგორც დაგროვების საშუალებისადმი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სუსტია; განსაკუთრებით ძვირადღირებული საქონელი (სახლი, ბინა, მანქანა, მიწის ნაკვეთი), რომლის ყიდვაც დაგროვების გარეშე შეუძლებელია, როგორც წესი მხოლოდ ამერიკულ დოლარებში იყიდება.

ასეთ პირობებში, ინფლაციის ტემპების გა'სრდა მოსახლეობა'ში ლარის, როგორც დაგროვების საშუალებისადმი ისედაც სუსტ სტიმიულებს კიდევ უფრო შეასუსტებს.

ინფლაციის მაღალი ტემპების შემთხვევაში ლარის საცალო ვაჭრობის ქსელში საყოველთაო გამოყენების დღეს მიღწეული წარმატებული შედეგიც შესუსტდება. შედარებით დაბალი ფასების შემთხვევაში საქონელბრუნვის უზრუნველსაყოფად არა მარტო ლარის წერილი კუპონების დიდი რაოდენობაა საჭირო, არამედ თეთრის მონეტების ფართო გამოყენებაც. საქართველოში მიმოქცევის სფეროში ამერიკული დოლარების წერილი კუპონების, ისევე როგორც სხვა კონვერტირებული ვალუტის სიმცირის, ამერიკული ცენტის მონეტების არ არსებობის, რუსული რუბლის გაუფასურების შედეგად მისდამი ნღობის დაქვეითების პირობებში, ლარის და თეთრის გამოყენებას შედარებით იაფ და საშუალოფასიანი საქონლის თუ მომსახურების შესაძენად რეალური "კონკურენტი" არ ჰყავს. ინფლაციის მაღალი დონის შემთხვევაში ლარის (და განსაკუთრებით თეთრის) ეს უპირატესობა დაიკარგება (ამის საუკეთესო მაგალითია ერთ და ორ თეთრიანი მონეტების გამოყენებლობა), ხოლო ლარს რუბლის სახით რეალური კონკურენტი გამოუჩნდება. ეს კი იმით აიხსნება, რომ რუსეთის უარყოფითი ზეგავლენა საქართველოზე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დიდია: რუსეთის საჯარისო ნაწილებში ხელფასები რუბლებში (საველე ბანკის მეშვეობით) გაიცემა, ამ ნაწილებში არსებული საწარმოები დაფინანსებას იმავე გზით ასევე რუბლებში იღებენ, რისი აკრძალვაც საქართველოს ხელისუფლების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად რუსეთის მხრიდან ყურად არ იქნა მიღებული; სამწუხაროდ ძნელი პროგნოზირებადია იმის გათვლა, თუ

როდიდან მოხდება ამ მონეტარული დივერსიის აღკვეთა და რუსეთთან ცივილიზებული საბანკო კავშირის ჩამოყალიბება.

მაშასადამე, ამ ეტაპზე ინფლაციის ტემპის ზრდა საქართველოში ლარის გამოყენების არეალის შეზღუდვამდე, დაგროვებისათვის ამერიკული დოლარის, ხოლო საცალო ვაჭრობაში რუსული რუბლის გამოყენების მასშტაბების გაზრდამდე მიგვიყვანს.

ინფლაციის მაღალი დონის პირობებში რეფორმების გატარება რეალურ სექტორში, რაც მის რესტრუქტურისაციასა და პრივატიზაციაში უნდა გამოიხატოს, ძალზედ გართულდება; გაზრდილი ინფლაცია ამ პროცესებს მხოლოდ ამუხრუჭებს.

ინფლაციის დონის ამაღლების შემთხვევაში სოციალურ სფეროში კიდევ უფრო მიიმე სურათი შეიქმნება.

ინფლაციის პირობებში მოსახლეობის ცხოვრების დონე, სხვა თანაბარ პირობებში, აუცილებლად ქვეითდება. ეს პროცესი ნაკლებად მტკივნეულია იმ ქვეყნებისათვის, სადაც მინიმალური ანაზღაურება საარსებო მინიმუმს სულ ცოტა ერთნახევარჯერ-ორჯერ მაინც აღემატება. მაგრამ, ჩვენს პირობებში, როცა მინიმალური ანაზღაურება საარსებო მინიმუმის მხოლოდ მცირედ ნაწილს შეადგენს (არაფერს გამბობთ თვეობით დაგროვილ სახელფასო, თუ საპენსიო დავალიანებაზე), ინფლაციის ტემპის ზრდა მოსახლეობის ყველაზე უფრო შეჭირვებულ კატეგორიას, რაც საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ მეოთხედს მაინც შეადგენს, უდიდეს დარტყმას მიაყენებს. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზების შემთხვევაშიც კი, მინიმალური ანაზღაურება, რომ არაფერი ვთქვათ პენსიაზე, უახლოეს პერიოდში საარსებო მინიმუმს ვერ გადააჭარბებს, რაც ინფლაციის ტემპების თუნდაც პერსპექტივაში ზრდის მიზანშეწონილობის დასაბუთების საშუალებას არ იძლევა.

მაშასადამე, თანამედროვე საქართველოსათვის ერთი არგუმენტიც ვერ მოიძებნება, რომლის საფუძველზეც მკაცრთან შედარებით ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უპირატესობა შეიძლება მიეცეს.

და ბოლოს, აუცილებელია ასევე განხილულ იქნეს საკითხი იმის შესახებ, თუ ლარის კურსის სტაბილურობის შესარჩენება რამდენადაა გამართლებული.

მართალია, ლარის გაუფასურება საბაჟო შემოსავლებს გაზრდის, მაგრამ ამავე დროს საგარეო ვალის მომსახურებას გააძვირებს. აჩასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლისთვისაც იმპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ლარის გაუფასურება იმპორტის გაძვირებას და, შესაბამისად, ინფლაციის სტიმულირებას გამოიწვევს, რომლის ზარყოფით შედეგებზეც საუბარი უკვე გექონდა.

ლარის გაუფასურების პოზიტიური და ნეგატიური შედეგები ურთიერთდაბალანსებას მოითხოვს. დღეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება (უწინარეს ყოვლისა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაუსრულებული ფისკალური კრიზისი) კი ცალსახად ცხადყოფს, რომ შესაძლო ნეგატიური შედეგები პოზიტიურს აშკარად პრევალირებს.



**თავი XV. საგარეო ვაჭრობის რეჟიმი და სამრეწველო-  
ტექნოლოგიური პოლიტიკის თავისებურებანი  
პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პირობებში  
(საქართველოს მაგალითზე)\***

ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი  
უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის  
ისა სჯობია, საშუალება აქონდეს, საჭირო საქონელი  
იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი  
საქონელი აქვს და უფრო იფიცი ჩემ-შენაობის გაურჩევლად.

*ილია ჭავჭავაძე*

ვაჭრობას ჯერ-ჯერობით არკერათი  
ერთი არ გაუღალატაკებია.

*ბენჯამინ ფრანკლინი*

**§ XV.1. სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის თავისებურებანი  
პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში**

ნებისმიერი ქვეყნისათვის საგარეო ვაჭრობის რეჟიმის სეგაველუნას  
ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე ძალზედ ღიდი მნიშვნელობა  
აქვს. თითქმის ყველა დროისათვის ეკონომიკური მეცნიერების, თუ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სადისკუსიო თემას საგარეო ვაჭრობის ორ რეჟიმს – პროტექციონიზმსა და ფრიტრედერიზმს (თავისუფალ ვაჭრობას) შორის არჩევანის გაკეთების მიზნით, მათი

---

\* ამ თავის თანავტორები არიან თეიმურაზ ბერიძე (Papava, Beridze, 1996/97) და ეაფა კაკაბაძე (Kakabadze, 2002).

უპირატესობა-ნაკლოვანებათა განხილვა წარმოადგენს. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეს თემა დღესაც ძალზედ აქტუალურია, როგორც საზოგადოდ, ისე მათ შორის პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებისათვისაც (არევაძე, მიწინა, 2002; ბალცეროვიჩი, 2000; ბასილია, ჩიკვაიძე, სილაგაძე, 2001, გვ. 397-416; კაკაბაძე 2002; ნათელაური, გურაშვილი, 2002; პატაშური, 2002; საბაძე, 1997ბ; ყორღანაშვილი, აბდუშეილიშვილი, 1999; ჭითანაევა, 2001, გვ. 114-163; ხადური, 1997; ხარტონაშვილი, 2002; ჯიბუტი, 2001; Akhvlediani, 2001; Bhagwati, 1988; Connolly, de Melo (ed.), 1994; Dombush (ed.), 1993; Holden, Casale, 2002; Lewis-Bynoe, Griffith, Moore, 2002; Michalopoulos, Tarr, 1996; Nash, Takacs, 1998; OECD, 1994; Thomas, Nash and others, 1991; Wong, Kirmani (ed.), 1997; Yarbrough, Yarbrough. 1997; Новиков, 1890; Портер, 1993, 2000; Самнер, 1893; Томас, Нэш и др., 1996; Шерер, Росс, 1997). განსაკუთრებული სიმწვავეთ საქართველოსათვის (ისევე როგორც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ნებისმიერი ქვეყნისათვის) ეს პრობლემა მრეწველობასთან მიმართებაში განიხილება (მაგალითად, ბაბუნაშვილი, 2000; გარუჩაევა, სოსელია, 1998; მოურავაძე, 1999; საბაძე, 1997ა; სანთელაძე, 1997; სმს, 1999; ყუფუნია, 1999; ჩაგელიშვილი, 2000; ცანაევა, 2001; Алиев, 2000; Панькув, Гончаж, Григолашвили, 1996; Панькув, Гончаж, Моргошиа, Ахаладзе, Полемски, 1998; Сантеладзе, 1998).

არც თუ იშვიათად, ეკონომიკური პოლიტიკით დაინტერესებულთა შორის იმართება პრაქტიკულად ფუჭი კამათი მომავლის შესახებ, თუ როგორი ქვეყანა უნდა იყოს საქართველო – აგრარული თუ ინდუსტრიული. ინდუსტრიული საზოგადოება – დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული ტერმინია, რომლის თანახმადაც, მანქანური წარმოება ხელით შრომას პრაქტიკულად ყველა სფეროში გამოდევნის. ამდენად, მთავარია არა უბრალოდ ის, თუ საქართველოს ეკონომიკაში რომელს უფრო

დიდი ხვედრითი წილი ექნება – სოფლის მეურნეობას თუ მრეწველობას – არამედ იმას, რომ ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში (მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც) უმთავრესად მანქანურ წარმოება უნდა გამოიყენებოდეს. როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებამდე მისვლა მხოლოდ ინდუსტრიული საზოგადოების აშენების საფეხურის გავლით იქნება შესაძლებელი.

მაშასადამე, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ქვეყნის სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის სწორი განსაზღვრა და მისი პრაქტიკული ხორცშესხმა იძენს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკა საზოგადოდ ქვეყნის პოლიტიკისაგან დამოუკიდებლად ვერ ჩამოყალიბდება. ეს უკანასკნელი სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს, და ამდენად, განსაზღვრავს მას; სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკა კი, თავის მხრივ, ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის შეიძლება შემაფერხებელიც კი აღმოჩნდეს, თუკი ეს პოსტსაქმოსანთა (იხ. § V.2) ინტერესებს შეეწინააღმდეგება.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, როგორც ერთიან სახელმწიფოში, გატარებული სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკისაგან თვისებრივად განსხვავდებოდა. იდეოლოგიური დაპირისპირების გამო, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ფორმირება და განვითარება პრაქტიკულად იზოლირებულად ხორციელდებოდა; თუ კი, იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თავად სახელმწიფო სიტემა არადემოკრატიული იყო, რაც კონკურენციას გამორიცხავდა, ადვილი გასაგებია, საბჭოთა კავშირი სამრეწ-

ველო-ტექნოლოგიური განვითარებით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს თუ რატომ ჩამორჩა (და თანაც მნიშვნელოვნად).

საქართველოს მრეწველობა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის მრეწველობის ერთი “მოკრძალებული” ნაწილი, ზუსტად იმავე უარყოფითი ნიშნებით ხასიათდებოდა, რომელთაგან უმთავრესია – ძირითადად ჩამორჩენილი ტექნოლოგიები და წარმოებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე (იხ. § VII.2).

საბჭოურმა გიგანტმა ნიამ მეკევიდრეობად ისეთი საწარმოები დაგვიტოვა, რომელთაც თამამად შეიძლება “საბჭოური პირამიდები” ეწოდოს: განცვიფრებული რჩები მათი სიდიდით და, სამწუხაროდ, იძულებული ხდები აღიარო, რომ ამის მეტი ამ საწარმოთა უმრავლესობას კომუნისტური სისტემის რღვევის შემდეგ სხვა ფუნქციონალური დატვირთვა აღარ გააჩნიათ; თუ კი რომელიმე მათგანი თუნდაც 10–20 პროცენტის დატვირთვით მუშაობას ახერხებს, ეს უკვე კარგ მიღწევად ითვლება, რადგან ასეთ პირობებშიც კი ძნელია ძვირადღირებული და დაბალხარისხიანი პროდუქციის გასაღება, ხოლო დატვირთვის ზრდის შემთხვევაში გასაღების პრობლემა კიდევ უფრო რთული გადასაწყვეტი იქნებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ უმძიმეს მდგომარეობაში, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობა ჩააყენა, რამაც, თავის მხრივ, ეკონომიკური კრიზისი გააღრმავა. კომუნისტურ ეპოქაში აშენებული საქართველოს სამრეწველო საწარმოთა დიდი უმრავლესობა სერიოზული ტექნიკური გადაიარაღების, ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების რეალიზაციის გარეშე არაკონკურენტუნარიანი, რიგ შემთხვევაში კი აშკარად უხარისხო პროდუქციის წარმოებაზეა განწირული, რის გამოც, უმწვევეს პრობლემად ამ პროდუქციის გასაღება გადაიქცა.

კომუნისტურ ეპოქაში აშენებული საქართველოს მრეწველობის თანამედროვე ტექნოლოგიური მდგომარეობა, ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, იმის საშუალებას არ იძლევა, რომ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებმა სერიოზული ინვესტიციების გარეშე საერთაშორისო ბაზრებზე იფიქრონ. მაშასადამე, კომუნისტურ ეპოქაში შექმნილი მრეწველობის ხსენებული ტექნოლოგიური მდგომარეობა ყველაზე უფრო მეტად სწორედ პოსტსაკმოსანთა აბსოლუტურ უმრავლესობას უქმნის მნიშვნელოვან ინტერესს, რომ დსთ-ის ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესები რაც შეიძლება უფრო მეტად გაღრმავდეს<sup>1</sup>, იმ ილუზიით, რომ ე.წ. ძველი კავშირები “აღსდგეს”, თითქოს ეს ქვეყნები თავად არ ცდილობდნენ ახალ თანამედროვე ტექნოლოგიებზე გადასვლას. აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის სხვა ქვეყნებს გადარჩენის სხვა გზა არ გააჩნიათ, თუ არა ორიენტაცია დასავლური თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

დამოუკიდებელი საქართველოს სიცოცხლისუნარიანობა არსებითად იმითაა განპირობებული, თუ ქვეყანა ცივილიზებულ სამყაროში ადგილის დაიმკვიდრებას რა ზომით და რამდენად სწრაფად შეძლებს ეს კი, არც ისე ადვილია. იმისათვის, რომ დასავლეთმა თავის სრულფასოვან პარტნიორად გადიაროს, აუცილებელია გარკვეული დასავლური სტანდარტების დაკმაყოფილება, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპებისა და ეკონომიკაში საბაზრო სისტემის დამკვიდრებას ემყარება. 1995-1996 წლებში საქართველოში მიმდინარე არსე-

---

<sup>1</sup> დსთ-ში მიმდინარე პროცესების (მაგალითად, ИМЭПИ, 2001; Козник, Кохино, 2001; Шульга (рук. ав. кол.), 2001) აღქმა, თითქოსდა ამ სფეროში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია საბჭოთა კავშირის დროინდელი დონით (მაგალითად, მიშინა, არევაძე, ცუცქერიძე, 2000) იყოს შესაძლებელი აშკარად მცდარია. ამასთან, მხედველობაში ის რეალური საფრთხეებიცაა მისაღები, რომელთა “წყაროც” თავად დსთ-ა (რონდელი, 1997).

ბიოი ხასიათის ცვლილებები (რაც დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ პროცესს უზრუნველყოფდა) იმის საწინდარი გახდა, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ოფიციალური ხელშეკრულება 1996 წლის აპრილში გაფორმდა, რამაც საქართველოს დასავლეთ ევროპულ ინტეგრაციაში მონაწილეობის პოტენციური შესაძლებლობა შექმნა.

ამ შემთხვევაში, დრის წესრიგში დგება მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ, თუ საქართველოს მრეწველობა მთლიანობაში ევროპული ინტეგრაციის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად რამდენად არის მზად. პასუხი, შემოხსენებულ მიზეზთა გამო, სამწუხაროდ უარყოფითია: ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჩვენში წარმოებული პროდუქცია, როგორც უკვე აღინიშნა, დასავლური სტანდარტების მიხედვით არაკონკურენტუნარიანია, ამდენად მისი პოტენციური მომხმარებლის მოძებნა დასავლეთში პრაქტიკულად შეუძლებელია.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მრეწველობის ჩასართავად როგორც *ობიექტური*, ისე *სუბიექტური* ხასიათის სიძნელებებია გადასალახი. ამ უკანასკნელთა პირველ ჯგუფს ადგილობრივი ინვესტიციების აშკარა უკმარისობა განეკუთვნება, რის გარეშეც თანამედროვე ტექნოლოგიების წარმოებაში რეალიზაცია შეუძლებელია. რაც შეეხება სუბიექტური ხასიათის სიძნელებებს, ეს პოსტსაქმოსანთა ცალკეულ წარმომადგენელთა აბსოლუტურ უუნარობაში გამოიხატება, რომ თავისი მუშაობის სტილი თანამედროვე საბაზრო პირობების შესაბამისად გარდაქმნას და ახალი პარტნიორების ძებნით შეიწუხოს თაყი, რის გამოც, ისინი ტრადიციულად უხარისხო პროდუქციის საწარმოებად ე.წ. “ტრადიციული კავშირების” აღდგენას მოითხოვენ. აქვე

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელმძღვანელებს, ხშირ შემთხვევაში, არც კი შესწევთ უნარი ეს “ტრადიციული კავშირები” თავად აღადგინონ: ისინი სახელმწიფოს “პირდაღებულნი” შესცქერიან და მისგან გასაღების პრობლემის გადაწყვეტას ელოდებიან (ზოგჯერ კი მკაცრად ითხოვენ კიდევ).

ასეთ ვითარებაში, მწვავედ დგება საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკა, სახელმწიფომ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს, რათა საქართველოს ეკონომიკა და კერძოდ, მრეწველობა ფეხზე დადგეს, რაც საბოლოო ჯამში საერთაშორისო ბაზრებზე ჩვენში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის, ანუ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის სრულად გამოიხატება.

სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრისათვის აუცილებელია სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტის გზების ისეთი შეხამება, რაც საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესში საქართველოს მრეწველობის მზარდ მონაწილეობას უზრუნველყოფს.

საქართველოს (ისევე როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ზოგიერთი სხვა ქვეყნის) მრეწველობის განვითარების სტრატეგიულ ამოცანას დასაველეთუეროპულ ბაზარში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამ მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო დრო, როგორც წესი, იმდენად ხანგრძლივია, რომ ჩვენი ისედაც “სუსტ ფეხებზე” მდგომი მრეწველობა შეიძლება საბოლოოდ დაინგრეს კიდევ. ამიტომ მრეწველობის განვითარების ტაქტიკურ ამოცანას მისთვის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება წარმოადგენს, რისთვისაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სიერცის შესაბამისი ნაწილი (სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება) ინტენსიურად უნ-

და იქნეს გამოყენებული. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სიერცის სხვა ქვეყნებიც ცდილობენ წარმოების საერთაშორისო სტანდარტებზე გაყვანას, ჩვენი მრეწველობის განვითარების ტაქტიკური ამოცანა სტრატეგიულ ამოცანას არ ეწინააღმდეგება.

## **XV2. პროტექციონიზმი თუ ფრიტრედერიზმი პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში მრეწველობის განვითარებისათვის**

ქვეყნის ეკონომიკის, მისი მრეწველობის განვითარებისათვის და ხსენებული ამოცანების გადასაწყვეტად საგარეო ვაჭრობის რეჟიმის ორი ალტერნატიული ვარიანტი – პროტექციონიზმი და ფრიტრედერიზმი – არსებობს.

პირველია სამამულო ბაზრის დაცვა დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების დაწესებით, როცა სამამულო პროდუქცია იმპორტულთან შედარებით აქციზის შემცირებული სიდიდით დაიბეგრება, ხოლო იმპორტული ნედლეული და ნახევარფაბრიკატები საბაჟო გადასახადისაგან (და დამატებული ღირებულების გადასახადისაგანაც) საერთოდ განთავისუფლდება, ხოლო მზა პროდუქციის იმპორტი გაზრდილი საბაჟო ტარიფით (და დამატებული ღირებულების გადასახადით) დაიბეგრება; ამავე დროს, მზა პროდუქციის ექსპორტი საერთოდ არ უნდა დაიბეგროს, ხოლო ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტს კი მაღალი საექსპორტო გადასახადი უნდა დაედოს.

მეორე ვარიანტის თანახმად, აქციზები სამამულო და იმპორტულ პროდუქტზე ერთნაირი უნდა იყოს, საბაჟო ტარიფები ყველა სახეობის იმპორტულ საქონელზე – ასევე ერთნაირი და შედარებით დაბალი, ხო-



ლო ექსპორტი კი საერთოდ უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადისაგან. ერთადერთი შეღავათი იმპორტზე შეიძლება მხოლოდ მანქანა-მოწყობილობათა და ტექნოლოგიების მიმართ განხორციელდეს, და ისიც დროებით.

პირველი ვარიანტი ასევე ექსპორტსა და იმპორტზე სხვადასხვა აკრძალვების, კოტირებისა და ლიცენზიების რთული სისტემის არსებობას გულისხმობს, ხოლო მეორე ვარიანტი – კოტირების სისტემის საერთოდ გაუქმებას, ხოლო აკრძალვებისა და ლიცენზიების იმ მინიმუმამდე დაყვანას, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოების ელემენტარულ მოთხოვნათა გათვალისწინებითაა (მაგალითად, იარაღის, ნარკოტიკულ ნივთიერებათა, სამუსეუმო ექსპონატთა და ზოგიერთ სხვათა მიხედვით) განპირობებული.

პირველი ვარიანტის მხარდამჭერთ პოსტსაქმოსანთა უმრავლესობაა და მას ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონში საკმაოდ ძლიერი ლობი ჰყავს; ამ ვარიანტს, სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილიც იზიარებს. ამავე დროს, საქართველოს სახელმწიფო უმთავრესად მეორე ვარიანტს იყენებს, რაც უწინარეს ყოველისა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის) შეწოლითაა განპირობებული.

საქართველოს შიდა ბაზრის “დამცველთა” შორის პერიოდულად ისეთი უკიდურესი მოსაზრებებიც კი გაისმის, რომ რამდენიმე წლით საერთოდ ჩაეკეტოს საზღვრები, იმპორტი ამ პერიოდში საერთოდ თუ არა, პროდუქციის ცალკეულ სახეობათა (მაგალითად, ალკოჰოლური სასმელების) მიხედვით აეკრძალოთ. ჩაკეტილი საზღვრების პირობებში ქვეყნის შიგნით საბაზრო სისტემის ჩამოყალიბების შეხედულებებს

გარკვეული პირობითობთ შეიძლება “საბაზრო სტალინიზმის” კვალიფიკაცია მიეცეთ.

კონკურენცია ის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, რაც წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და მასზე გაწეული დანახარჯების შემცირებას უწყობს ხელს; ყოველივე ეს კი ახალი ტექნოლოგიების რეალიზაციით მიიღწევა. ეს დებულება არა მარტო შიდა ბაზრისათვის, არამედ საზოგადოდ ბაზრისათვის და მაშასადამე, საერთაშორისო ბაზრისთვისაც სამართლიანია. ნებისმიერი ბარიერი, რომელსაც სახელმწიფო შიდა ბაზრის დაცვისთვის აღმართავს, ქვეყნის შიგნით სასურველ ეკონომიკურ სტიმულებზე, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა და დანახარჯების შემცირებაზე, ახალი ტექნოლოგიების რეალიზაციაზე საერთაშორისო კონკურენციის სასიკეთო ზეგავლენას ზღუდავს.

სწორედ ამიტომ, ეკონომიკურ თეორიაში მინეულია, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საუკეთესო სავაჭრო პოლიტიკას იმპორტზე ნულოვანი საბაჟო ტარიფები წარმოადგენს, ექსპორტის ყოველგვარი გადასახადებისაგან განთავისუფლების, ეკოტირების გაუქმებისა და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვებისა და ლიცენზირების მინიმუმამდე დაყვანის პირობებში. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღწევა ქვეყნის შიგა ბაზრის სრული ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზარში და საერთაშორისო კონკურენციის ზემოხსენებული პოზიტიური ზეგავლენა სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ამგვარი სავაჭრო პოლიტიკის აშკარა უპირატესობის მიუხედავად, ის სრულად მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანაშია (ამ მხრივ კლასიკურ ქვეყანას შეეცარია წარმოადგენს, ხოლო პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის თავიდანვე მხოლოდ ესტონეთი გამოირჩეოდა) რეალიზებული;

მართალია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში პრაქტიკულად სწორედ ამგვარი სავაჭრო პოლიტიკაა განხორციელებული, მაგრამ არაწევრ ქვეყნებთან ურთიერთობაში სხვადასხვა სახეობის სავაჭრო ბარიერები გამოიყენება, რაც ტრადიციულად თითქმის ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

აქ ბუნებრივად იბადება კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ ხდება საგარეო ვაჭრობის ამ იდეალური რეჟიმიდან გადახვევა თითქმის ყველა ქვეყანაში, და რატომ არ იყენებენ საერთაშორისო კონკურენციის ზემოხსენებულ სასიკეთო ზეგავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე?

ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა დარგის განვითარების განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური შესაძლებლობები და აქედან გამომდინარე, შესაბამისი ისტორიული ტრადიციები აქვს, რისი გათვალისწინებაც იძულებულს ხდის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებს ამ დარგებისადმი საგარეო ვაჭრობის პროტექციონისტური რეჟიმი შეარჩიოს (რასაც, საბოლოო ჯამში, ამ დარგების პერსპექტიული განვითარებისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს). გარდა ამისა, საერთაშორისო კონკურენციაში ქვეყნის სრული ინტეგრაციის მოწინააღმდეგეები, აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში, ხელისუფლებაში მოსული მრეწველობისა და ეკონომიკის რეალური სექტორის სხვა დარგების<sup>2</sup> წარმომადგენლები არიან, რომლებიც შესაბამის დარგს ღობირებას ქვეყნის შიგნით შეღავათიანი, “ოაზისური” პირობების შექმნით უწევენ. ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს ღობისტების გაუცნობიერებლობას, რომ, საბოლოო

---

<sup>2</sup> საყურადღებოა, რომ როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, პროტექციონიზმით დაინტერესებულნი განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის წარმომადგენლები არიან (ბალცეროვიჩი, 2000; Трещин, 1995, сс. 223-244), თუმცა საქართველოს სინამდვილეში პროტექციონიზმის ადგილები უწინარეს ყოვლისა მრეწველები არიან, რაზეთუ მათი ინტელექტუალური პოტენციალი სოფლის მეურნეობის წარმომადგენლთა პოტენციალს ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაშიც კი აშკარად სჯარბობდა.

ჯამში, ამგვარი პოლიტიკით ისინი ღუპავენ იმ დარგს, რომლის ინტერესების დაცვასაც ფიქრობენ და ცდილობენ.

საქართველოში გაზრდილი და დიფერენცირებული საბაჟო ტარიფების დაწესების მოთხოვნისას, ღობისტები, როგორც წესი, შემდეგორ არგუმენტს იშველიებენ:

1. მრეწველობას სჭირდება მსარდალკერა, ფეხსე დაყენება, რადგანაც დანახარჯები ქვეყნის შიგნით წარმოებულ პროდუქციასზე სასღვარგარეთიდან შემოტანილ ანალოგიურ პროდუქციის დირებულებას აღემატება, რის გამოც, წყენი პროდუქცია აღარ იყიდება და ამდენად, მისი წარმოება კარჯავს აზრს; სოციურთ საქონელსე, გაზრდილი საბაჟო ტარიფების დაწესებისას, ამ იმპორტული საქონელის ფასი გაიზრდება, რაც ადგილობრივ მუწარმებს შესაძლებლობას უქმნის თავიანთი (შედარებით დაბალხარისხიანი) პროდუქციის წარმოება გააფართონ და დამატებითი შემოსავლები მიიღონ;
2. არაკონკურენტუნარიანი წარმოების შეკვეცას, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში დახურვას – შედეგად მოსახლეობის დასაქმების შემცირება მოჰყეება, შესაბამისად ამ გზით შექმნილ დაუსაქმებელთა შემოსავალი და მთლიანად მოსახლეობის მსეიდველობითი უნარი შემცირდება.

ამ, ერთი შეხედვით, ყოვლად დასაბუთებული არგუმენტების მონეენებითი მიზანშეწონილობის მიუხედავად, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების მრეწველობისათვის პროტექციონისტულ პოლიტიკას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, რომლის გამოსწორებაც ძალსედ ძნელი იქნება.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, მრეწველობის რომელიმე ერთი ქვედარგის ამორჩევა, რომელსაც საბაჟო პრივილეგიები უნდა მიენიჭოს, რადგანაც კომუნისტურ ეპოქაში შექმნილი მრეწველობის თითქმის ყველა დარგი პრაქტიკულად ერთნაირად ცუდ ტექნოლოგიურ მდგომარეობაშია. საკმარისია, მაგალითად, ჩაის მრეწველობის დროს ამ ქვედარგისათვის საბაჟო პრივილეგიების მოპოვება მოახერხოს, რომ იმთავითვე ღვინის მრეწველობის დროს მიუცემა საფუძველი იგივე გააკეთოს, და ამას კი პრაქტიკულად მთელი კვების მრეწველობა მიჰყვება. მაგრამ აქ შესწერება შეუძლებელი გახდება: კვების მრეწველობისათვის გაკეალულ გზაზე მსუბუქი მრეწველობის დროს მიაღწევს იგივეს, შემდეგ ქიმიური მრეწველობაც იგივეს გაიმეორებს და ა.შ. ერთ “მშენებელ” დღეს კი აღმოვაჩინოთ, რომ მრეწველობის საერთოდ მიაღწევს სრულ პროტექციონისტულ დაცვას. მრეწველობის გამოცდილებას სხვა დარგებიც (უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობა) “გაიზიარებს” და ამით მთელს წვენს ეკონომიკას გარეშე სამყაროსაგან მეტ-ნაკლებ იზოლიაციაში მოვაქცევთ.

დაეუშვათ, მოვახერხებთ საბაჟო პრივილეგიების გავრცელების ხსენებული “ჯაჭური რეაქციის” შესწერება და ისინი მრეწველობის ერთ ან რამოდენიმე ქვედარგს მიენიჭა. მაშინ, ამ დარგებში ეკონომიკური ინტერესი მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებასა და დანახარჯების შემცირების ღონისძიებათა გასატარებლად მოისპობა. ეს პროცესი კი “ჯაჭური რეაქციით” გავრცელდება იმ დარგებზეც, რომლებიც მრეწველობის ამ პრივილეგირებულ ქვედარგს ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს აწვდიან. მართალია, ამ შემთხვევაში, ყველა ამ დარგში დასაქმება გაიზრდება, მაგრამ დაბალხარისხოვანი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები საწარმოებს საშუალებას არ მისცემს, იქ

დასაქმებულებს მაღალი ხელფასები გადაუხადოს, რაც დასაქმების ზრდის პირობებში მოსახლეობის შემოსავლების შესაბამის ზრდას ვერ უზრუნველყოფს. დასაქმების ამგვარი ზრდა კი ქვეყნის ნამორჩენილობის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა და მას არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხელი შეეწყოს.

სამამულო, მაგრამ დაბალხარისხიანი და თანაც გაძვირებული პროდუქციის მოხმარებით მოსახლეობის მიერ მიღებული დანაკარგები მისი კეთილდღეობის შემცირების თვალსაზრისით არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, ეროვნული კეთილდღეობის შემცირება საბაჟო პროტექციონიზმის პირობებში ერთობლივი შიგა პროდუქტის 1-დან 10 პროცენტამდე მერყეობს (დინდერტი, 2001, გვ. 93-94).

ამგვარი საბაჟო პროტექციონიზმის ხსენებული უარყოფითი შედეგები არა მარტო თეორიულადაა დასაბუთებული, არამედ საერთაშორისო გამოცდილებითაც დასტურდება. ყოველივე ეს კი სათანადოდაა მსოფლიოში გაერცყელებულ შესაბამის თანამედროვე სასწავლო ლიტერატურაში ასახული.

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილ და დიფერენცირებულ საბაჟო ტარიფების სისტემაზე დამყარებული პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისათვის დამღუპველი იქნებოდა.

პროტექციონისტული საგან განსხვავებით როგორია ფრიტრეიდერული მიდგომა საბაჟო ტარიფებისადმი?

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია იმპორტზე ნულოვანი საბაჟო ტარიფის დაწესება, მაგრამ ეს იმავდროულად ბიუჯეტის ფისკალური პრობლემებითაა გაუმართლებელი: ნულოვანი ტარიფების შემთხვევაში

ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლის შესაბამის ნაწილს დაკარგავს, რომლის ოდენობაც საბაჟო სამსახურის ფეხზე დადგომის კვალობაზე მსარდი ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს. აღსანიშნავია, რომ პოსტ-კომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებისათვის საბიუჯეტო პრობლემები საგარეო-სავაჭროსთან შედარებით ხშირ შემთხვევაში არანაკლებ მნიშვნელოვანია.

თეორიულად დამტკიცებულია, რომ საბაჟო ტარიფის ოპტიმალური სიდიდე, როგორც ფასის ნაწილი, რომელსაც იხდის უცხოელი მიმწოდებელი, იმპორტის მიწოდების ელასტიურობის შებრუნებული სიდიდეა (Escolano, 1995, pp. 206-209). ელასტიურობის კოეფიციენტების ცვალებადობის გამო საბაჟო ტარიფების შესაბამისი ცვლილება დაბეგრის სისტემას სტაბილურობას დაუკარგავს, რაც, თავის მხრივ, ძალზე არასასურველია; ამასთან, ელასტიურობის კოეფიციენტის ცვალებადობის ხშირი გაზომვა იმპორტული პროდუქციის ყველა სახეობათა მიხედვით და ტარიფების შესაბამისი ცვლილებები იმდენად შრომატევადი აღმოჩნდება, რომ მასზე გაწეული დანახარჯები ამ ღონისძიების გატარებით მიღებულ შემოსავლებს მნიშვნელოვნად გადაფარავს.

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, საუკეთესო საბაჟო ტარიფების სისტემად არადიფერენცირებული ტარიფებია მიჩნეული, როცა ყველა სახეობის იმპორტული საქონელი ერთი და იგივე საბაჟო ტარიფით იბეგრება, რომელიც იმავდროულად ძალზედ მაღალი არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგი საერთაშორისო კონკურენციაში ერთნაირ პირობებში ებმება, რაც ამ უკანასკნელის ზემოთ აღწერილ სასიკეთო ზეგავლენას სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე არ ზღუდავს და ამდენად არ “ამახინჯებს”. ამავე დროს არანულოვანი, შედარებით დაბალი საბაჟო ტარიფი

გარე სამყაროსაგან ადგილობრივი მეწარმეების ერთგვარი დაცვა და ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროცაა.

ყოველივე 'ხემოთქმული ნიშნავს თუ არა იმას, რომ ფრიტრედერი-ში სახელმწიფოს მხრიდან მრეწველობის (და სხვა დარგების) რაიმე მხარდაჭერას საერთოდ გამოირიცხავს? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ის იმდენად პრიმიტიული და შესაბამისად მავნე არ უნდა იყოს, როგორც ეს პროტექციონიზმის კლასიკური სქემებისათვისაა ზემოთ აღწერილი. ამგვარი მხარდაჭერა შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

1. ექსპორტი, ისევე როგორც საექპორტო საქონლის საწარმოებ- ლად იმპორტირებული ნედლეული ყოველგვარი გადასახადისა- გან უნდა იყოს განთავისუფლებული, რაც საექსპორტო პოტენ- ციალის გაფართოების საკმაოდ დიდი სტიმულია<sup>3</sup>;
2. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ მრეწ- ველობისა და ეროვნული ეკონომიკის რეალური სექტორის სხვა დარგების პროდუქციას შეეძლოს ყოველგვარი ხელოვნური ბა- რიერის გარეშე ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე თავისუფლად შე- ღწევა (Поптер, 1993, сс. 728-729); აღსანიშნავია, რომ ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება მსოფლიო საეაგრო ორგანი- ზაციის წევრობაა, რომლის უმთავრესი ფუნქცია სწორედ ამგ- ვარი ბარიერების მოშლაა<sup>4</sup>;

<sup>3</sup> ეს დღეს საქართველოში ასეცაა, თუმცა რამდენიმე წლის წინ დღო-ს ქვეყნებთან მიმართებაში გა- ნსხვავებული სიტუაცია იყო, როცა დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი წარმოების და არა მო- ხმარების ადგილიდან ამოიღებოდა; აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბიუჯეტის ინ- ტერესებიდან გამომდინარე, ქართველი ეკონომისტები საბჭოური ისტორიის განმავლობაში მათ რუხ კოლეგებს დიდხანს და პრაქტიკულად უშედეგოდ ეკამათებოდნენ იმის შესახებ, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის წინამორბედი - ბრუნვიდან გადასახადი წარმოების და არა მოხმარების ადგილიდან ყოფილიყო ამოღებული, რასაც საქართველოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, უწინა- რეს ყოვლისა, ალკოჰოლური სასმელებისა და შაის მიხედვით, უნდა გაეზარდა.

<sup>4</sup> როცორც ცნობილია, საქართველო მსოფლიო საეაგრო ორგანიზაციის წევრი 1999 წელს გახდა; ეს საკითხი გაანალიზებულია ნაშრომში (ჯგერენია, 2002, გვ. 638-657).



3. სახელმწიფო ბიუჯეტში სათანადო რესურსის არსებობის პირობებში შესაძლებელია სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის შექმნა, რომელმაც სახელმწიფო ინვესტიციების (და არა სუბსიდიისა, თუ დოტაციის) განხორციელებასთან ერთად სადაზღვევო ფუნქციების შესრულებაც უნდა შეძლოს;
4. იმის გათვალისწინებით, რომ კომუნისტურ ეპოქაში საზღვრების ჩაკეტილობის გამო პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების ეკონომიკის თავისებურებანი პოტენციალური ინვესტიციებისათვის ძირითადად უცნობი იყო, სახელმწიფომ ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტულობის განცხადებით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას უნდა შეუწყოს ხელი.

ფრიტრედერული პოლიტიკის პირობებში სახელმწიფო მხარდაჭერის ჩამოთვლილი ღონისძიებების ერთობლიობა, ისეთი სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას ქმნის, როცა საქართველოს ეკონომიკა დასავლეთის ინტეგრაციულ პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობათა შესაქმნელად ხდება ორიენტირებული.

ამავე დროს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს შიგა ბაზარი მარტო საიმპორტო გადასახადისა და ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით საშუალოდ 23-პროცენტიანი დაცვითაა უზრუნველყოფილი. თუკი გაეთვალისწინებთ, რომ იმპორტული აქციზური საქონლის დაბეგვრისას, აქციზი საბაჟო ტარიფსაც ერიცხება, მაშინ ნათელია, რომ საქონელთა ამ ჯგუფის მიხედვით, შიგა ბაზრის დაცვის ზომა აღნიშნულთან შედარებით მეტიცაა.

რაც შეეხება იმპორტულ და სამამულო პროდუქტებზე აქციზის დიფერენციაციის მოთხოვნას, რასაც პოსტსაქმონები საკმაოდ ხშირად

ითხოვენ, იმ გაუგებრობას ემყარება, რომ აქციით დასაბეგრი ფუფუნების საგნების და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტების ეს ბუნება იმისდა მიხედვით არ იცვლება, სამამულო თუ უცხოური წარმოების არიან ისინი.

სწორი სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა საინვესტიციო კანონმდებლობას ენიჭება, რომელიც როგორც სამამულო, ისე უცხოელ ინვესტორს ერთნაირ პირობებში უნდა აყენებდეს, და თანაც ბიუროკრატიული პროცედურები ინვესტიციების განსახორციელებლად მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ყოველგვარი დროებითი საგადასახადო შეღავათი უცხოელი ინვესტორისათვის საექვო წარმომავლობისა და სუსტი ფირმების მოძალების საშიშროებას ქმნის, რადგანაც სერიოზული, მსოფლიოში აღიარებული ფირმები, როგორც წესი, რაიმე საგადასახადო შეღავათს არ მიაღწევენ<sup>5</sup>; ისინი უწინარესად მოგების რეპატრიაციის შესაძლებლობათა შეუზღუდაობისა და მიწის იმ ნაკვეთის საკუთრების საკითხს აყენებენ, რომელზეც განლაგებულია საინვესტიციო ობიექტი (რათა სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო არკასასურველო ქმედება აიცილონ თავიდან). როგორც ამას საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, დროებითი საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის ისეთ პირობებს ქმნის, როცა შეღავათების ვადის გასვლის შემდეგ ინვესტორების უმრავლესობა ქვეყანას ტოვებს და ადგილობრივი მეწარმე პუშკინის "ოქროს თევზის" დედაბერივით კვლავ გატეხილი ვარცლის ამარა

---

<sup>5</sup> იმის გამო, რომ საქართველოში ე.წ. "კრიშების" პრაქტიკა ვაერცვლებული, როცა როგორც ადგილობრივ მეწარმეს, ისე იმპორტიორს ხელისუფლებაში მჯარველი ჰყავს, რომელიც გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში ეხმარება, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არაერთი სერიოზული უცხოური ფირმა საქართველოში საქმიანობის დასაწყებად კანონით დადგენილ საგადასახადო შეღავათებს ითხოვს, ანუ არასამართლიან კონკურენტიაში დამარცხების თავიდან აცილების მიზნით ითხოვს რომ "კრიშის" ფუნქცია კანონით დადგენილმა საგადასახადო შეღავათმა შეუსრულოს.

რჩება. სამწუხაროდ, საქართველოს ამ მწარე გამოცდილების საკუთარ თავზე გამოცდა მოუწია.

ქვეყნის დაცვა კონტრაბანდისაგან, უწინარეს ყოვლისა, საბაჟო სამსახურის გამართულ მუშაობას უნდა დაემყაროს. პროტექციონიზმის მომხრეთა მოთხოვნა, რომ საბაჟო სამსახურმა გასრდილი საბაჟო სატარიფო განაკვეთებით იმუშაოს, ზემოხსენებული არგუმენტების გარდა იმის გათვალისწინებითაც მიუღებელია, რომ საგადასახადო განაკვეთის ზრდა, უწინარეს ყოვლისა, “ქრთამის ეფექტის” გამოყენების გზით დაბეგერისაგან თავის აცილებას უწყობს ხელს.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს ფალსიფიცირებული საქონლისაგან (მიუხედავად იმისა, ის ადგილობრივი წარმოებისაა, თუ იმპორტული) მოსახლეობის დაცვას, რაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობით უნდა განხორციელდეს, და რასაც საგარეო ვაჭრობის პროტექციონისტული თუ ფრიტრედერული რეჟიმის არჩევასთან უშუალო კავშირი არ აქვს.

და ბოლოს, აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ გავრცელებული მოსაზრების თანახმად პროტექციონიზმი ეკრონული ინტერესების გამომხატველ პოლიტიკადაა აღიარებული. წინამდებარე თავისადმი წამძვარებული ილია ჭავჭავაძისეული სიტყვები (ჭავჭავაძე, 1887, გვ. 322) კი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს მხოლოდ ფრიტრედერიზმი გამოხატავს<sup>6</sup>.

<sup>6</sup> უფრო დეტალურად იხ. (კეშაძიძე, 1999, გვ. 222-247).

თავი XVI. საბარემო ვაჭრობის რეჟიმი და  
თავისუფალი ეკონომიკური ზონა  
(საქართველოს მაგალითზე)

თავისუფლება – ეს იმის უფლებაა, რომ  
აკეთო ის რაც კანონითაა აკრძალული.  
*შარლ მონტესკიე*

თავისუფლების ფლობა რომ  
შეგეძლოს, ისიც უნდა შეისწავლოს.  
*ედმუნდ ბერკი*

**§ XVI.1. რა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა  
და რა გამოცდილება აქვს საქართველოს?**

ბოლო წლებში საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) იდუა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ საკმაოდ პოპულარულია და მას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა (მაგალითად, ავდოკუშინი, 1997; გამსახურდია, 1998; სიგუა, 2001; ფეიქრიშვილი, 1998; ჩხარტიშვილი, 2001; წერეთელი, ნათელაური, 1999; Даныко, Окрут, 1998; Игнатов, Бутов, 1997; Сыгя, 2001А, 2001Б, 2001В). სამწუხაროდ ეს პრობლემა პოლიტიკური დაპირისპირების პრიზმაშია გადაყვანილი, რის გამოც ზონის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მისი შექმნის მიზანშეწონილობის ანალიზს (Папава, 2002В) ნაკლები ყურადღება ექცევა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ეროვნული ეკონომიკური სივრცის განცალკევებულ ნაწილს (ტერიტორიასა თუ სეგმენტს) წარმოადგენს, სადაც შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსაკუთრებული სისტემაა შემოღებული, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე (ან ეკონომიკის სხვა სეგმენტებში) არ გამოიყენება.

მსოფლიო პრაქტიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის სხვადასხვა ორგანიზაციული და ფუნქციონალური სტრუქტურაა აპრობირებული. კონცეპტუალური თვალსაზრისით ზონის ორ სახეობას განასხვავებენ. ერთი მათგანი ტერიტორიულ მიდგომას ეყრდნობა და მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიას წარმოადგენს, სადაც ზონის ყველა რეზიდენტზე ზონაში დადგენილი ეკონომიკური საქმიანობის რეჟიმი ვრცელდება. მეორე კონცეპტუალური მიდგომა ფუნქციონალურ ხასიათს ატარებს და წარმოადგენს შეღავათიან რეჟიმს, რომელიც გარკვეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობის მიმართ გამოიყენება იმის მიუხედავად, თუ ეკონომიკური აგენტი, რომელიც ამ სახეობის საქმიანობას ეწევა, ქვეყნის რომელ ნაწილში მდებარეობს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების კლასიფიკაცია მათი სპეციალიზაციის ნიშნით ზონების შემდეგ ძირითად სახეობებს განსაზღვრავს: საბაჟო, საეაჭრო, სამრეწველო-საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური და სერვისული.

თავისუფალი საბაჟო ზონა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთერთ უმარტივეს ფორმას წარმოადგენს. მას ტრანზიტული, კონსიგნაციური და სხვ. თავისუფალი საწყობები მიეკუთნება, რომლებშიც საქონელი ქვეყანაში ძირითადად მოქმედი კანონმდებლობიდან განსხვავებულ რეჟიმში განთავსდება. უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი საბაჟო ზონების ფუნქციონირება საქართველოს კანონმდებლობითაც არის

გათვალისწინებული. კერძოდ, საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილ საბაჟო რეჟიმებს<sup>1</sup> შორის არის “საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა” (თავი 6) და “თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის განთავსება და/ან გამოყენება” (თავი 11), თუმცა ეს უკანასკნელი ძალზე ზოგადია და დამატებითი სამართლებრივი აქტების მიღებას მოითხოვს.

ყველაზე ფართოდ მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ზონების სხვადასხვა მოდიფიკაციებია გავრცელებული. ისინი, როგორც წესი, შეზღუდულ ტერიტორიულ უბნებს (რომელთა ფართი რამოდენიმე ათეულ კვადრატულ მეტრს შეიძლება არც კი აღემატებოდეს) წარმოადგენენ, სადაც სავაჭრო ოპერაციები და საქონლის შეფუთვა, დახარისხება, დადამღვა (მათზე შეღავათიანი ეკონომიკური და ფისკალური რეჟიმის გავრცელების პირობებში) ხორციელდება. ასეთი ზონების ორგანიზაციული სტრუქტურების სპექტრი ძალზე მრავალფეროვანია, მათ მიეკუთვნება როგორც ე.წ. “Duty Free“-ის ტიპის მაღაზიები, ასევე სახელმწიფო-თაშორისო შეთანხმებები, რომლებიც სავაჭრო შეღავათებს აღგენენ.

ისევე როგორც თავისუფალი საბაჟო ზონები, თავისუფალი სავაჭრო ზონები საქართველოში ფაქტიურად უკვე მოქმედებს. მაგალითად, საბაჟო კოდექსის მე-7 თავი უბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმს საზღვრავს და ძირითადად ეხება საცალო ვაჭრობის შესაბამის ობიექტებს, რომლებიც აეროპორტებში, ნავსადგურებსა და სხვ. ხელსაყრელ ადგილებშია განლაგებული. გარდა ამისა, საქართველო დსთ-ს წევრ-სახელმწიფოთა შეთანხმებაში “თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ” მონაწილეობს, რომელიც ჯერ კიდევ 1994 წელს დაიდო და შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობაში საბაჟო გადასახადე-

<sup>1</sup> საქართველოს საბაჟო კანონმდებლობისა და ზოგადად საბაჟო საქმის შესახებ დეტალური ინფორმაცია გაანალიზებულია ნაშრომებში (ლორთქიფანიძე, 2002; ურდია, 2001; ჯგერენაია, 2002).

ბისაგან განთავისუფლებასა და ადმინისტრაციული ბერკეტების (ქეოტირება, ლიცენზირება, კონტრაქტების რეგისტრაცია და სხვ.) მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს. ამასთანავე, საქართველოს ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დსთ-ს რვა სახელმწიფოსთან აქვს დადებული. აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმებები (დსთ-ს მრავალმხრივი შეთანხმების ჩათვლით) შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას როგორც ფუნქციონალური კონცეპტუალური მიდგომით ჩამოყალიბებული თავისუფალი ვაჭრობის ზონები.

სამრეწველო-საწარმოო ზონები საექსპორტო და იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით იქმნება. ასეთ ზონებში რეგისტრირებული ეკონომიკური აგენტები მნიშვნელოვანი საგადასახადო და სხვ. შეღავათებით სარგებლობენ. გარდა ამისა, ასეთ ზონებში საწარმოების რეგისტრაციის, ინვესტირების, მოგების რეპატრიაციის, უცხოელ ფიზიკურ პირთა ზონის ტერიტორიაზე გადაადგილების გამარტივებული ადმინისტრაციული წესები მოქმედებენ. ამ ტიპის ზონებთან შეიძლება გაიგივებულ იქნას საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი “საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების” (თავი 8) და “საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავების” (თავი 9) საბაჟო რეჟიმები, რომლებიც გულისხმობენ იმპორტირებული ნედლეულის, ან მაკომპლექტებელი ნაწილების გამოყენებით პროდუქციის წარმოებას საბაჟო გადასახადის, დღგ-სა და აქციზის გადაუხდელოდ, მზა პროდუქციის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გატანის, ან სხვა საბაჟო რეჟიმში მოქცევის პირობით.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების კიდევ ერთი სახეობა სამეცნიერო-ტექნიკური ზონებია, რომელთა ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას ტექნოპარკები წარმოადგენენ. ამ ზონების ჩამოყალიბების ყვე

ლაზე აქტიური პერიოდი გასული საუკუნის 70-80-ან წლებზე მოდის. ისინი განსაკუთრებულ სახელმწიფო მხარდაჭერას საჭიროებენ და მსხვილი სამეცნიერო ცენტრების ირგვლივ კვლევითი, საპროექტო და სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირების მიზნით იქმნებიან. სამეცნიერო-ტექნიკური ზონების უმრავლესობა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს, ვინაიდან მათი შექმნა და შემდგომი ქმედითუნარიანობა სერიოზულ სუბსიდირებასა და სხვა სახეობის სახელმწიფო დაფინანსებასთანაა დაკავშირებული.

სერვისული ზონები, როგორც თვით მათი დასახელება მეტყველებს, წარმოადგენენ ზონებს, რომელთა სპეციალიზაცია სხვადასხვა სახეობის მომსახურებისათვის (მაგალითად, საბანკო, სადაზღვევო, ტურისტული, სატრანსპორტო და სხვ. საქმიანობისათვის) შეღავათიანი რეჟიმის დაწესებას გულისხმობს. სერვისული ზონების მეტად პოპულარულ სახეობას ოფშორული ზონები წარმოადგენს, რომლებიც ძირითადად კუნძულებზე, ან ზღვისპირა ტერიტორიებზე იქმნება. აცილებულია იმის აღნიშვნა, ოფშორული ზონები ხშირად “ჭუჭყიანი ფულის” (“გაათორების” მიზნით) დაბანდების და სხვადასხვა სახეობის საფინანსო თაღლითობის ცენტრებად (საყურადღებოა, რომ ასეთი აზრი არც თუ ისე იშვიათად სხვა სახეობის თავისუფალი ეკონომიკური ზონების მიმართაც გამოითქმება) იქცევიან.

საქართველოში გარკვეულ პერიოდში მოქმედი საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა შეიძლება განხილულ იქნას როგორც საფინანსო მომსახურების ზონის თავისებური გამოვლინება. მხედველობაში გვაქვს “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” (1995 წლის ივნისი) და “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” (1996 წლის თებერვალი) საქართველოს კანონების



მიღებამდე საბანკო დაწესებულებების შექმნისა და ფუნქციონირებისადმი ქვეყანაში არსებული ლოიალური (და არა ლიბერალური) მიდგომა. 1995 წლის დასაწყისისათვის საბანკო საქმიანობის წარმართვის უფლების ლიცენზია 230 ბანკს გააჩნდა. ასეთი ლიცენზიების მიღება იმ პერიოდში საკმაოდ ადვილი იყო. კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის ფორმირების წყაროები, რომლებიც ხშირად არარეალურად შეფასებულ მატერიალურ აქტივებს შეიცავდნენ, არავითარ შემოწმებას არ ექვემდებარებოდა, ბანკების საწესდებო დოკუმენტების მომზადება და ექსპერტიზა ფორმალური მიდგომით ხასიათდებოდა, მათი ხელმძღვანელების პროფესიულ მომზადებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. გარდა ამისა, 1995 წლამდე საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების საქმიანობაზე საზედამხედველო ფუნქციას ფაქტიურად არ ახორციელებდა. ყოველივე ამან საქართველოს საბანკო სფეროში უცხოური კაპიტალი არა თუ არ მოიზიდა, არამედ მთელი რიგი ნეგატიური მოვლენები გამოიწვია. კერძოდ, 1994 წელს საქართველოში არაერთი კომერციული ბანკი არსებობდა, რომლის საწესდებო კაპიტალი 500 აშშ-ის დოლარის ეკვივალენტურ თანხას არ აღემატებოდა, რაც იმ პერიოდში არსებული ჰიპერინფლაციით და ზემოთ აღნიშნული ლოიალური სისტემით იყო განპირობებული. ხშირ შემთხვევაში ეს ბანკები მხოლოდ ორ-სამ კლიენტს ემსახურებოდნენ, საქართველოს ეროვნული ბანკიდან რეფინანსირების კრედიტებს იღებდნენ, რის შემდეგაც აქტიურ საქმიანობას წყვეტდნენ, ან მხოლოდ საეალუტო სპეკულაციებს ეწეოდნენ, რასაც ასევე ჰიპერინფლაციური გარემო უწყობდა ხელს.

გარდა ყველა ზემოთ აღწერილი ზონის ნაირსახეობისა, მსოფლიო პრაქტიკაში აგრეთვე კომპლექსური თავისუფალი ზონების შექმნაა მი-

დებული, რომლებიც ორი, ან რამოდენიმე სახეობის ზონის შერწყმულ მოდელებს წარმოადგენენ.

## § XVI.2. რისთვის იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა?

ორგანიზაციული და ფუნქციონალური ნიშნით კლასიფიკაციის გარდა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები მათი შექმნის მიზეზისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელობის დონის თვალსაზრისითაც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგალითად, განვითარებული და ამასთან დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნები თავისუფალ ზონებს რეგიონალური პოლიტიკის რეალიზების მიზნით ქმნიან. ამის ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს თუნდაც დიდი ბრიტანეთის მიერ შექმნილი ზონები, რომლებიც ამ ქვეყნის ძირითადი ტერიტორიიდან მოშორებითაა (მაგალითად, ვირჯინიის კუნძულები) განლაგებული და რუსეთის ფედერაციის პერიფერიებზე შექმნილი ზონები. სადაც ცენტრალურ მთავრობას ზოგადად მარეგულირებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციების განხორციელება უჭირს.

რაც შეეხება განვითარებად და პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, მათთვის თავისუფალი ეკონომიკური ზონები ღია ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პოლიგონებს წარმოადგენენ. ასეთ ქვეყნებს უცხოური კაპიტალის ნაკადებისათვის თავისი ეკონომიკის სრული გახსნა, განსაკუთრებული სავაჭრო, თუ საინვესტიციო პოლიტიკის გატარება მთელი ტერიტორიისა და ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით ხშირად არ სურთ, ან არ შეუძლიათ; ამიტომ, ისინი

ეკონომიკის ლოკალურ “გახსნას” ზონების ჩამოყალიბების მეშვეობით ახორციელებენ.

ამ ქვეყნებში ზონების შექმნა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციასა და უცხოური და შიდა ინვესტიციებისათვის გარანტიების უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული. ამას თუნდაც ჩინეთის მაგალითი ადასტურებს, სადაც ზონების შექმნის პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და პრაქტიკულად საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ექსპერიმენტს წარმოადგენს. ასეთი დასკვნის სისწორეზე აგრეთვე ყოფილ საბჭოთა კავშირში, ე.წ. “პერესტროიკის” პერიოდში, ზონების (შორეული აღმოსავლეთში, ყაზახეთში, ბალტიისპირეთში) შექმნის იდეის პოპულარობა მეტყველებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების მნიშვნელობის განხილვის დროს არ შეიძლება ყურადღება ისეთ საკითხზე არ გამახვილდეს, როგორცაა ზონების გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ამასთან საყურადღებოა, რომ განვითარებად ქვეყნებში ზონების ზეგავლენის დონე ეროვნულ ეკონომიკაზე საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ასეთი გავლენის საკითხი პრაქტიკულად არც კი განიხილება.

თავისუფალი ზონების შექმნის ყველაზე აქტიური პროცესი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდზე მოდის (თუმცა მათი მარტივი ანალოგები XVII–XVIII საუკუნეებშიც კი იყო ცნობილი), რაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკური სისუსტით, მათი მთავრობების პოლიტიკური უუნარობითა და ფინანსური შესაძლებლობების სიმცირით იყო განპირობებული. ყოველივე ეს ეკონომიკაში რადიკალური ძვრების განხორციელებას ართულებდა. სწორედ ამ პერიოდზე მოდის ევროპაში ისეთი საერთაშორისო ტიპის ზონების დაარსება, რომელთა საუკეთესო

მაგალითს წარმოადგენს ბენილუქსი, აგრეთვე ევროგაერთიანების შექმნის მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯები (ფოლადისა და ნახშირის ევროპული გაერთიანება).

XX საუკუნის 60-70-იან წლებში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მსხვილი კოლონიალური იმპერიების ნგრევის პროცესით იყო განპირობებული. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში შექმნილი ზონები გაცილებით ნაკლები წარმატებულობით ხასიათდებოდა, ვიდრე თავის დროზე ევროპაში დაარსებული. ამის უმთავრესი მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ამ ქვეყნებში საწყისი წარმოებრივი და ტექნოლოგიური ბაზა, შესაბამისი გამოცდილება და სათანადო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა. იმ პერიოდისათვის, როდესაც ომის შემდგომი კრიზისი უკვე დაძლეული იყო და მსოფლიოს ინტეგრაციულმა პროცესებმა საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწიეს, ზემოაღნიშნული ფაქტორები განვითარებად სამყაროში თავისუფალი ეკონომიკური ზონების წარმატებული ფუნქციონირების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენდნენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ დადებითი მაგალითებიც არსებობს; კერძოდ, ბრაზილიის ზონა „მანაუსი“, არგენტინის „ცეცხლოვანი მიწა“, ფილიპინებისა და სამხრეთ კორეის რამდენიმე ზონა და სხვ.

XX საუკუნის 80-იან წლებში ზონების დაარსების იდეა სოციალისტურმა ქვეყნებმა აიტაცეს. იმ პერიოდში ადმინისტრაციულ-მხრძანე-ბლური, უაღრესად ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემის კრიზისის საწყისი გამოვლინებები უკვე სახეზე იყო, ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში (ჩინეთი, საბჭოთა კავშირი) თავისუფალი ზონები ერთიან კომუნისტური ტიპის ეკონომიკურ სიერცეში როგორც ერთგვარი თავისუფლების „კუნძულებად“ აღიქმებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩინეთში ეს პროცესი

საკმაოდ კარგად წარიმართა: ძირითადი აქცენტი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკურ ზონებზე გაკეთდა და 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის იქ მრავალი ზონა (მათ შორის 20-ზე მეტი სამეცნიერო-ტექნიკური) ფუნქციონირებდა.

### § XVI.3. რას გვასწავლის რუსეთის გამოცდილება?

გაცილებით ნაკლები წარმატებულობით ხასიათდებოდა (და დღესაც ხასიათდება) ზონების რუსეთის ფედერაციაში დაარსება-მოქმედება, სადაც ზოგიერთი სპეციალისტის აზრით ეს პროცესი ჩიხში მოექცა. რუსეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მეტწილად მცდარ შეხედულებებსა და მიდგომებზე იყო დაფუძნებული. ჯერ ერთი, ისინი როგორც მრავალი რთული მიზნის მიღწევის უნივერსალურ საშუალებად იქნა აღქმული და, გარდა ამისა, ფართოდ იყო გავრცელებული წარმოდგენა (რასაც, სხვათაშორის, საქართველოც ვერ აცდა), თითქოს კლასიკური მნიშვნელობით თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისათვის საკმარისია ამა თუ იმ რეგიონის ასეთ ზონად გამოცხადება და იქ რიგი შეღავათების დაწესება, რის შემდეგაც უცხოური კაპიტალი უწყვეტ ნაკადად წამოვა და ამ რეგიონის სოციალური, ეკონომიკური და სხვა პრობლემების გადაწყვეტა დაიწყება. რუსეთში თავისუფალი ზონების შექმნის პროცესის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურებები გამოიკვეთა:

- თავისუფალი ეკონომიკური ზონების პრინციპებისა და ამოცანების უცოდინარობა;

- ფორმალურად შექმნილ თავისუფალ ზონებზე რუსეთის ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტის ჩართვა;
- ზონებზე შეღავათებისა და პრივილეგიების “დარიგება” ერთგვარ შეჯიბრებად გადაიქცა, რაც რუსეთის ფედერაციის მთავრობაში ზონების უკან მყოფ პირთა ინტერესების ლობირების შედეგი იყო;
- ზონის შექმნის გზით ადგილობრივი ხელისუფლების სუვერენიტეტისაკენ მისწრაფება;
- თავისუფალი ეკონომიკური ზონები რუსეთის ეკონომიკის “მავ ხერხელებად” გადაიქცა, სადაც ქვეყნის რესურსების გადინება, კრიმინალური ელემენტებისა და ნეგატიური მოვლენების კონცენტრაცია ხდება.

შედეგად, ბოლო წლებში რუსეთში შესამჩნევი გახდა წინათ შექმნილი ზონების დახურვის, მათთვის პრივილეგიების ჩამორთმევის ან შემცირების ტენდენცია, თანდათანობით ყალიბდება ახრი რუსეთში თავისუფალი ზონების არაპერსპექტიულობის შესახებ.

ჩვენი მოსაზრებით, რუსეთის შეცდომები რამდენიმე ძირითადი მემენტის თვალსაზრისით საქართველოსათვისაც გასათვალისწინებელია. კერძოდ, ესენია:

- ზონების ფარგლებში კრიმინალური ელემენტებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის ნოყიერი ნიადაგის ჩამოყალიბება;
- სეპარატისტული მოძრაობების აქტივიზაცია;
- თავისუფალი ზონების შექმნისადმი ფორმალური მიდგომა.

ეს უკანასკნელი ასპექტი თავისუფალი ზონების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე და ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობებზე უშუალოდაა დაკავშირებული. ამას ადასტურებს მსოფლიოს 26 ქვეყანაში ჩატარებუ-

ლი კვლევა, რომლის თანახმადაც თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო ხელისუფლების მიერ გასაწევი დანახარჯები უცხოური ინვესტიციის ყოველ 1 დოლარზე საშუალოდ 4 დოლარს შეადგენს. მაგალითად, ჩინეთის ოთხ ზონაში ნადებული უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 4 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა საკუთრივ ჩინეთის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა და ხარჯებმა 22 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

დღეისათვის სერიოზული უცხოელი ინვესტორებისათვის საგადასახადო და ადმინისტრაციული შეღავათები სულაც არ წარმოადგენს ინვესტიციების ჩაღების მიმზიდველობის ერთადერთ ფაქტორს. მათთვის თავისუფალ ზონაში განვითარებული ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, წარმოებრივი და სასაწყობო შენობა-ნაგებობები, წაყლმომარაგება, ენერგომომარაგება და სხვ.), ხოლო მის გარშემო დიდი მასშტაბის მქონე გასადების ბაზრის არსებობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა ყოველთვის დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამდენად, შეღავათებისა და მუშახელის სიიაფის მიუხედავად, ზონების ფორმირების საწყის ეტაპზე იქ წარმოებული პროდუქცია საკმაოდ მაღალი დანახარჯებით გამოირჩევა და უცხოელი ინვესტორების დაინტერესებისათვის აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორის ერთდროული და ურთიერთდაკავშირებული არსებობა. ამის მიღწევა, ერთი შეხედვით, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს გაცილებით უფრო ადვილია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეკონომიკური პოლიტიკის სწორი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის, და მათი თანმიმდევრული რეალიზაციის მეშვეობით, ვიდრე ლოკალურად.

## § XVI.4. რა პრეფერენციებს ითვალისწინებს

### თავისუფალი ეკონომიკური ზონა?

აუცილებელია შევხებით პრეფერენციათა კომპლექსს (იხ. მაგალითად, მესხია, ნიკოლეიშვილი, 2002, გვ. 247-255), რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების ამოსავალ პოსტულატს წარმოადგენს. თითქმის ყველა ტიპის ზონისათვის შემდეგი შედეგაობებისა და გამარტივებული მექანიზმების მოქმედებაა დამახასიათებელი:

- საგარეო სავაჭრო შედეგაობები, რომლებიც საბაჟო-სატარიფო ლიბერალიზაციას (საბაჟო გადასახადების შემცირება ან მოხსნა, ექსპორტ-იმპორტზე დღგ-სა და აქციზის შედეგათიანი სისტემის დაწესება და სხვ.) და საგარეო ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების გამარტივებული წესის შემოღებას ითვალისწინებს;
- ფისკალური შედეგაობები, რომლებიც პირდაპირი გადასახადების ლიბერალური სისტემის არსებობასთანაა დაკავშირებული; კერძოდ, ეს შედეგაობები მოგების, ქონების, საშემოსავლო გადასახადებს, საამორტიზაციო ანარიცხებს და სხვ. ეხება;
- საფინანსო შედეგაობები, რომლებიც სხვადასხვა ფორმის სუბსიდირებას, შედეგათიან საკრედიტო სისტემას, მიწითა და შენობებით სარგებლობის საიჯარო გადასახადის შემცირებულ განაკვეთებსა და სხვ. შეიცავს;
- ადმინისტრაციული შედეგაობები, რომელთა მიზანია ეკონომიკური აგენტების რეგისტრაციის, ანგარიშგების სისტემის, სავიზო რეჟიმის გამარტივება და სხვ.



**§ XVI.5. თავისუფალი ეკონომიკა -- მთლიანად საქართველოს,  
თუ მის ცალკეულ ზონებს?**

გაეანალიზეთ რა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები, ჩვენ ზონების ეკონომიკური პრინციპებისა და საქართველოში არსებულ ეკონომიკური ვითარებისა და მოქმედი საკანონმდებლო ბაზის შედარება მოვახდინეთ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გარკვეული ტიპის თავისუფალი ზონები უკვე მოქმედებს და მათ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ნორმატიული ბაზა (საბაჟო კოდექსით განსაზღვრული საბაჟო რეჟიმების ფართო სპექტრი, ორმხრივი სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა შეთანხმება “თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ”) გააჩნია.

შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობა საგადასახადო კუთხით არაერთ პრეფერენციას ითვალისწინებს, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონებისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, “საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ” საქართველოს კანონით მთელი რიგი საქონლის, მათ შორის საწარმოო დანადგარების, მოწყობილობების, ტექნოლოგიური ხაზების, სანედლეულო მასალების იმპორტი საბაჟო გადასახადის შეღავათიანი განაკვეთით (5 პროცენტი ნაცვლად ძირითადი 12 პროცენტიანი განაკვეთისა) იბეგრება, საექსპორტო პროდუქციის დამზადებისათვის განკუთვნილი ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, ტარაშესაფუთი მასალების იმპორტი საიმპორტო გადასახადისაგან მთლიანად განთავისუფლებულია; ამასთან ყველა სახეობის საქონლის ექსპორტი საექსპორტო გადასახადისაგანაა განთავისუფლებული.

გარდა ამისა, მთელი რიგი შედეგათები საგადასახადო კოდექსითაცაა დაწესებული. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი დღგ-ს ნულოვანი განაკვეთი და ექსპორტზე აქციზის მოხსნაა. ამასთანავე, დღგ-საგან განთავისუფლებულია: საბანკო-საფინანსო ოპერაციები (რომლებიც როგორც კომერციული ბანკების მიერ, ასევე სადაზღვევო და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ საფინანსო ოპერაციებს მოიცავს), წარმოებრივი დანიშნულების დანადგარებისა და მოწყობილობების, საექსპორტო საქონლის წარმოებისათვის განკუთვნილი ნედლეულის იმპორტი.

საგადასახადო შედეგათების გარდა ქვეყანაში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების ძალზე ლიბერალური სისტემა მოქმედებს, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონის პრინციპებს სავსებით შეეფერება. კერძოდ, ექსპორტის ან იმპორტის ქვოტირების წესი რამოდენიმე წლის წინ გაუქმდა; საექსპორტოდ აკრძალული და ლიცენზირებადი პროდუქციის ნუსხა საერთაშორისო ნორმებით დასაშვებ მინიმუმამდეა შემცირებული; საგარეო ეკონომიკური კონტრაქტების რეგისტრაციის სავალდებულო წესი ასევე გაუქმებულია.

რაც შეეხება საინვესტიციო რეჟიმს, უნდა აღინიშნოს, რომ “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, როგორც უცხოელ, ასევე სამამულო ინვესტიციებზე აბსოლუტურად იდენტური გარანტიები ვრცელდება, რომლებიც ინვესტორებს მათი კაპიტალის ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციისაგან იცავს; უცხოელ ინვესტორებს მოგებისა და სხვა ფულადი სახსრების, თუ მატერიალური საშუალებების რეპატრიაციის შეუზღუდავი უფლება აქვთ მინიჭებული; მათ ინვესტიციებთან დაკავშირებუ-

ლი დაეების საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვით განხილვის შესაძლებლობა ეძლევათ.

გარდა ამისა, საქართველოს ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმებები მსოფლიოს 23 ქვეყანასთან, მათ შორის აშშ-თან, თურქეთთან, ისრაელთან, ბენილუქსის კავშირთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთთან, იტალიასთან, საბერძნეთთან, დსთ-ს წევრ რიგ სახელმწიფოსთან და სხვ. აქვს დადებული. ეს შეთანხმებები შემოადინიშნულ კანონთან ერთად საინვესტიციო საქმიანობის გარანტირების მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენენ.

აუცილებელ აღნიშვნას საჭიროებს აგრეთვე ის გარემოება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების მე-8 მუსულთან მიერთების შემდეგ საქართველოში ყოველგვარი შეზღუდვა ეროვნული ვალუტის კონვერტაციაზე და უცხოური ვალუტის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანაზე მოხსნილია.

როგორც ვხედავთ, საქართველოში არსებული ეკონომიკური ფონი, რომელიც ღია ეკონომიკის პრინციპების რეალიზაციის პროცესში ჩამოყალიბდა, თავისუფალი ეკონომიკური ზონების მთელ რიგ მახასიათებლებს შეიცავს, ხოლო, ამავ დროს, ქვეყანაში გამწვავებული საბიუჯეტო პრობლემები მოითხოვს ზრუნვას საგადასახადო ბაზის გაფართოებაზე და არა მის შემცირებაზე, რასაც საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა აუცილებლად გამოიწვევს.

ყოველივე შემოადინიშნულიდან გამომდინარე საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაარსების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საქართველოში ტერი-

ტორიული პრინციპით კლასიკური ტიპის თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მიზანშეუწონელია.

უფრო კონკრეტულად მიზანშეუწონლობა ძირითადად პოლიტიკურ ასპექტებთან და ზონებში მართლწესრიგის, საზოგადოებრივი წესრიგის, ეკოლოგიური უსაფრთხოების დამყარების შესაძლებლობებთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება ეკონომიკურ თვალსაზრისს, ზონების შექმნა საქართველოში შემდეგი მიზეზების გამოა აზრს მოკლებული:

- როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად საქართველოში საკმაოდ ლიბერალური და გახსნილი ეკონომიკური გარემოა შექმნილი, რომლის პირობებში ზონების დაარსების საკითხი აქტუალობას კარგავს;
- ზონის შექმნის შედეგად სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებს ისედაც მცირე შემოსავლები კიდევ უფრო შეუმცირდებათ;
- ზონის შექმნა და რეალური ამოქმედება მნიშვნელოვან საწყის ინვესტიციებთანაა დაკავშირებული (წინააღმდეგ შემთხვევაში ზონის დაარსება ფორმალურ ხასიათს შეიძენს), რისი საშუალებაც საქართველოს სახელმწიფოს არ გააჩნია;
- კავკასიისა და მის მიმდებარე რეგიონებში უკვე არსებობს, ან შექმნის სტადიაზეა თურქეთისა და რუსეთის ფედერაციის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, რომელთაც სათანადო კონკურენციას საქართველოს ზონები ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქვეყნის შიდა ბაზრის მოცულობის თვალსაზრისით ვერ გაუწევენ. ამდენად, საქართველოს ზონები სერიოზული ინვესტორებისათვის ნაკლებად მიმზიდველი იქნება და მეტ ყუ-

რადღებას სპეკულაციური მოკლევადიანი ინვესტიციებითა და “შავი ფულის” “გათეთრებით” დაინტერესებული სუბიექტების მხრიდან მიიქცევა;

- როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვჩვენებს, მცირე ქვეყნებში, განსაკუთრებით, როდესაც მათი ტერიტორია ეთნიკური პრინციპითაა დაყოფილი, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, როგორც წესი, არ იქმნება; ასეთი ქვეყნებისათვის უფრო საერთაშორისო ეკონომიკურ ზონებში გაერთიანებაა დამახასიათებელი, ვიდრე ისედაც მცირე ტერიტორიის დანაწევრებაა; ამის თვალსაჩინო მაგალითს ისევ და ისევ ბენილუქსის ქვეყნები წარმოადგენენ;
- ასევე ტერიტორიულ ასპექტს უკავშირდება თუნდაც პატარა ტერიტორიის ფარგლებში ზონების, მაგალითად, საზღვაო პორტებში, დაარსება. ჩვენი აზრით ეს საკითხი განსაკუთრებულ დაფიქრებას საჭიროებს: ერთია, როდესაც რუსეთის რამოდენიმე პორტში იქმნება თავისუფალი ზონა და სულ სხვაა თავისუფალი ზონების საქართველოს ბათუმის და ფოთის პორტების ბაზაზე ჩამოყალიბება, რაც ფაქტიურად ნიშნავს, რომ სახელმწიფო საზღვაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ნაწილის განხორციელებას იქნება მოკლებული;
- თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე ვერ მოახდენს, ვინაიდან ტერიტორიული პრინციპით აგებული ზონის ერთერთ ქუთხედს ქვეყნის დანარჩენი სივრცისაგან იზოლაცია წარმოადგენს: კავშირები ქვეყანასა და ზონას შორის საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს იძენენ.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების პერსპექტივა საქართველოში, ჩვენი აზრით, მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკურ ზონებსა და ფუნქციონალურ პრინციპებზე აგებულ თავისუფალ ეკონომიკურ რეჟიმთან მიმართებაში შეიძლება იქნას განხილული.

თავისუფალი სამეცნიერო-ტექნიკური ზონები იმ თვალსაზრისითაა მიმზიდველი, რომ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ისინი გასაღების ბაზრის მოცულობასა და განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობასთან ნაკლებად არიან დაკავშირებულნი, კორუმპირებულობითა და “წრდილოვანი” ელემენტების აქტიურობით ნაკლებად ხასიათდებიან. ამჟამად დროს, მათ ქვეყნის ინტელექტუალური და სამეცნიერო პოტენციალის უკეთ გამოყენების, მეცნიერების სფეროში რეფორმის განხორციელების, კელევიითი სამუშაოების შედეგების კომერციალიზაციის საქმეში დადებითი როლის შესრულება შეუძლიათ. თუმცა საქართველოს საფინანსო პრობლემებიდან გამომდინარე, ასეთი ტიპის ზონების შექმნა უფრო შორეულ პერსპექტივას განეკუთვნება.

რაც შეეხება ფუნქციონალური ხასიათის შეღავათებს, ეს თემა გაცილებით უფრო ფრთხილ მიდგომას საჭიროებს. ქვეყანაში არსებული საგადასახადო რეჟიმისა და თავისუფალი ზონებისათვის დამახასიათებელი საგადასახადო სისტემის შედარებამ გვიჩვენა, რომ უნმიშენელოვნეს განსხვავებად პირდაპირი გადასახადები გვევლინება. აქ განსაკუთრებით იმ გამოცდილების გათვალისწინებაა აუცილებელი, რომელიც 1995 წლის საფხულიდან 1996 წლის ნოემბრამდე საქართველოში “უცხოური ინვესტიციების შესახებ” კანონის (რომელიც უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს განსაკუთრებულ შეღავათებს ანიჭებდა) მოქმედებასთანაა დაკავშირებული. 1996 წლის ნოემბერში ეს კანონი კანონმა “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და

გარანტიების შესახებ” შეცვალა, რომელმაც აღნიშნული შედეგათუბი გააუქმა და სამამულო და უცხოელი ინვესტორების უფლებები გაათანაბრა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1996 წლის განმავლობაში, ანუ შედეგათიანი რეჟიმის არსებობის პერიოდში, საქართველოს ეკონომიკაში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ 57 მლნ. ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 1997 წელს (რომელიც მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ისევე სტაბილური იყო, როგორც წინა წელი) ამ თანხამ 144 მლნ. ლარს მიაღწია, რაც ზემოთ მოყვანილ დასკვნებს კიდევ ერთხელ ადასტურებს.

გარდა ამისა, 1997 წლამდე საქართველოში მოგებაზე დიფერენცირებული გადასახადი არსებობდა. კერძოდ, ახლადშექმნილი საწარმოები პირველ წელს მოგების გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში 10 პროცენტისანი განაკვეთით იბეგრებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, საგადასახადო შედეგათებს თან მრავალი ნეგატიური მოვლენა სდევდა და მათ საქართველოს ეკონომიკის ნახტომისებური ზრდა არ გამოუწვევია.

და ბოლოს, გვინდა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონებით გატაცება შეიძლება იმითაცაა გამოწვეული, რომ ისინი როგორც მეტ-ნაკლებად სტაბილური “თამაშის წესების” არეალები განიხილება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, საგადასახადო რეჟიმისა და ადმინისტრაციული მოთხოვნების ხშირი ცვალებადობა უარყოფით ეფექტს ახდენს სამეწარმეო საქმიანობის აქტივობაზე. ეს ხარვეზები დაძლევადია და ეს ეკონომიკური რეფორმების განუყოფელ ნაწილად და პირველი რანგის ამოცანად უნდა იქცეს.

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა მიზანშეწონილი არ არის და, რომ მოქმედი კანონმდებლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით იმ ეკონომიკური შედეგის მიღწევის შესაძლებლობას სრულად იძლევა, რაც შეიძლება მხოლოდ ზონის ფარგლებში არადემოკრატიული ეკონომიკური მოწყობის პირობებში მიგვეღო. დღეს საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ეკონომიკური წინაპირობა, თუ აუცილებლობა უბრალოდ არ არსებობს, ხოლო ამ თემის ირგვლივ გაუთავებელი დისკუსია მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია.



## თავი XVII. ეკონომიკური რეფორმის ძარტული მოღელი პოლონური “დიქტატი” ქვეუ

გამეორება ცოდნის დედააო, მაგრამ შეიძლება  
უცოდინარობის დედადაც იქცეს, თუ უშეცდომოდ  
არ გვეცოდინება ყოველთვის, რას ვიმეორებთ და რისთვის.

*ოთარ ჭილაძე*

ცუდი ეკონომიკური პოლიტიკა ორი ძლიერი ტექნიკის ამის  
“სურგ”სე დგას. მათგან ერთია ცალკეული  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების “სეწოლა,  
ხილო მეორე – უცოდინრობა, უფრო სწორედ  
ეკონომიკური მეცნიერების ცუდი ცოდნა.

*ლექსე ბალცეროვიჩი*

მეფეებმა თავიანთი მინისტრების საქმეების შესახებ იმაზე მეტი  
არ იციან, ვიდრე რქიანმა ქმრებმა თავიანთი ცოლების შესახებ.

*ვოლტერი*

### § XVII.1. უხლილაფი “დიქტატი”,

ანუ მიმბაძველობის წარუმატებელი მცდელობა

რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებულ (თუ არგანხორციელებულ) ეკონომიკურ რეფორმებზე განუზომლად დიდია პოლონური გამოცდილებისა და პოლონელ ეკონომისტთა ზეგავლენა (პაპავა, 2001გ; Papava, 2002A).

1989 წელს, კომუნისტური რეჟიმის რღვევისთანავე პოლონეთი ის პირველი ქვეყანა გახდა, სადაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა “შოკური თერაპიის” მეთოდით (იხ. § II.3) დაიწყო. ამ რეფორმას სათავეში ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი, პროფესორი ლეშეკ ბალცეროვიჩი ედგა. ეკონომიკური რეფორმის მისი ხელმძღვანელობით შედგენილ გეგმას “ბალცეროვიჩის გეგმა” ეწოდა.

1992 წლის იანვრიდან რუსეთშიც იწყება “შოკური თერაპიის” მეთოდის რეალიზაცია და მას სათავეში რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი ეგორ გაიდარი ჩაუდგა (თუმცა, პოლონეთისაგან განსხვავებით, შესაბამის ღონისძიებათა კომპლექსს ფორმალურად “გაიდარის გეგმა” არ დარქმევია). ერთი თვის დაყოვნებით “შოკური თერაპიის” “ბალცეროვიჩისეული გეგმის” გატარება პრაქტიკულად სახეშეუცვლელი რუსული ვერსიით საქართველოშიც დაიწყო და მასაც სათავეში ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე ჩაუდგა (აღსანიშნავია, რომ რუსეთის მსგავსად არც საქართველოში შესაბამის ღონისძიებათა კომპლექსს ფორმალურად “გოცირიძის გეგმა” არ დარქმევია).

აქ იბადება ლოგიკური კითხვა: იყო კი მზად საქართველო იმ დროს რეფორმის ამ ცნობილი მეთოდის გამოყენებისათვის?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ხაზი იმ პრინციპულ განსხვავებას გაესვას, რაც რეფორმების დასაწყისში მყოფი სახელმწიფოებრიობის მქონე და სახელმწიფოებრიობის არ მქონე ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი; პირველ მათგანს განეკუთვნებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორცაა მაგალითად პოლონეთი, უნგრეთი ან ბულგარეთი, ხოლო მეორეს – კი საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები; ამ უკანასკნელში გა-

მონაკლისს დაშლილი ქვეყნების სამართალმემკვიდრეები წარმოადგენენ, რომლებმაც შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობის თითქმის ყველა ატრიბუტი (მაგალითად, საელჩოები, საბაჟო, დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემა და სხვ.). საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი რუსეთმა შეინარჩუნა, რითაც ის პირობითად შეიძლება სახელმწიფოებრიობის მქონე სემოაღნიშნულ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს “გაეუტოლოთ”. სხვა დანარჩენ ქვეყნებს კი საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა ესაჭიროებოდათ (გარკვეული აზრით ნაწილობრივ გამონაკლისს უკრაინა და ბელორუსი წარმოადგენდნენ, რომლებიც გაერო-ს წევრები თუნდაც ფორმალურად, მაგრამ მაინც იყვნენ). ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოც, რომლის წინაშეც დადგა ორი მეტ-ნაკლებად ერთნაირი სირთულის ამოცანის – სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის – ერთდროული გადაჭრის აუცილებლობა, რაც ბევრად უფრო რთულია ვიდრე მარტო მეორე ამოცანის გადაწყვეტა (Schmitter, 1994; Balcerowicz, 1995, p. 146; Papava, 1996A, p. 252; Milanovic, 1998, p. 3).

“შოკური თერაპიის” მეთოდის რეალიზაცია სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს. ამგვარი ინსტიტუტების არარსებობის პირობებში “შოკური თერაპიის” მეთოდის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია და ყოველგვარი მცდელობა პრინციპში წარუმატებლობისათვისაა განწირული. ამ დებულების ჭეშმარიტებას, სამწუხაროდ საქართველოს იმდროინდელი გამოცდილებაც ამტკიცებს. ამაში დარწმუნება სულაც არ არის ძნელი; ამისათვის საკმარისია განვიხილოთ ე.წ. “ბალცეროვიჩის გეგმა” (რომელიც “შოკური თერაპიის” თანამედროვე და თანაც უკვე

კლასიკურ სქემად ითვლება) და გავაანალიზოთ როგორი დამახინჯებით გატარდა იგი ჩვენში, რუსულ “სარკეში” ამ “გეგმის” ანარეკლის საქართველოში ბრმა კოპირების შედეგად, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში სათანადო ინსტიტუტები, სამწუხაროდ, არ არსებობდა (პაპავა, 1995ბ; Papava, 1996A, pp. 252-255; 1999, pp. 268-272).

“ბალცეროვიჩის გეგმის” თანახმად საწყის ეტაპზე პოლონეთში პრაქტიკულად ერთდროულად შემდეგი ღონისძიებები იქნა გატარებული (Алексашенко, 1990, сс. 21):

1. ყველა სახეობის ფასების მრავალჯერადი მომატება, ინფლაციური პროცესების შეგნებული ხელშეწყობა ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიზნით;
2. მოსახლეობის შემოსავლების “შკადრი” შეზღუდვა;
3. საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი გაზრდა და ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა; მოსახლეობის მიერ ფულის დაზოგვის სტიმულირების მიზნით ანაბრებსა და სხვა დეპოზიტებზე პროცენტების გაზრდა;
4. ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებისა და წამგებიან საწარმოთა დოტირებაზე უარის თქმით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცა;
5. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მიზნით სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გამოშვება;
6. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება და მისი უნიფიცირება;
7. აშშ დოლარის მიმართ ზღოტის ერთიანი გაცვლითი კურსის შემოდება და შიდა ბაზარზე ზღოტის კონვერტირების უზრუნველყოფა;

8. ახალი საბაჟო ტარიფების შემოღება იმპორტის შესწავლისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით;
9. მთავრობის რეალურ შესაძლებლობათა ფარგლებში მოსახლეობის იმ ნაწილისათვის სოციალური დახმარების აღმოსენა, ვინც ამას მართლაც საჭიროებს;
10. მონოპოლიური სტრუქტურების ლიკვიდაცია და საწარმოთა საქმიანობაში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ჩარევასე უარის თქმა.

რუსეთში “შოკური თერაპიის” მეთოდის გამოყენება 1992 წლის 2 იანვრიდან დაიწყო, ხოლო ერთი თვის დაგვიანებით, როგორც აღინიშნა, მას საქართველოც აჰყვა. განვიხილოთ ის, თუ რამდენად იქნა (და საერთოდ იქნა თუ არა) საქართველოში “ბალცეროვიჩის გეგმის” თითოეული პუნქტი შესრულებული:

1. რეფორმა ფასწარმოქმნაში საქართველოში ჯერ კიდევ 1991 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როცა ‘სოგიერთი სახეობის საქონელზე თავისუფალი ფასწარმოქმნა პირველად იქნა შემოღებული. თუ კი ეს მოვლენა 1991 წელს უფრო გამონაკლისის ელფერს ატარებდა, 1992 წლის 1 თებერვლიდან (ანუ რუსეთთან შედარებით ერთი თვის დაყოვნებით) ფასწარმოქმნის სისტემაში უკვე რადიკალური ცვლილებები იქნა გატარებული: საქონლისა და მომსახურების ერთ ჯგუფზე რეგულირებადი ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყოველივე ეს საბაზრო წონასწორობის მიღწევისათვის იყო მიმართული. თუ 1991 წელს სამომხმარებლო

ფასების ინდექსი 180 პროცენტს<sup>1</sup> შეადგენდა, 1992 წელს ეს მაჩვენებელი 25-მდე გაიზარდა; ამავე დროს აღსანიშნავია, რომ რეგულირებადი სამომხმარებლო ფასები 1992 წელს 1991 წელთან შედარებით 68-ჯერ გაიზარდა (აქედან პურზე, როგორც კვების ერთ-ერთ ძირითად პროდუქტზე – 100-ჯერ). შეიძლება ითქვას, რომ “ბალცეროვისის გეგმის” პირველი პუნქტი საქართველოში მთლიანობაში განხორციელებულ იქნა;

2. 1992 წელს საქართველოში მინიმალური ხელფასებისა და სოციალური გასაცემლების მნიშვნელოვანი ინდექსირება განხორციელდა. თუ 1991 წელს ინდექსირება მხოლოდ ერთხელ მოხდა, 1992 წელს დაწყებული ფასწარმოქმნის ფართომასშტაბიანი ლიბერალიზაციის პროცესში შემოსაქმნის ინდექსირება უკვე 6-ჯერ მოხდა. 1991 წელს მუშამოსამსახურეთა მინიმალური და საშუალო ხელფასი წინა წლებთან შედარებით, შესაბამისად 1,85-ჯერ და 1,26-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1992 წელს 1991 წელთან შედარებით, შესაბამისად – 13,14-ჯერ და 17,94-ჯერ. მართალია, საქართველოში რაიმე მკაცრი მარეგლამენტირებელი ღონისძიება გატარებული არ ყოფილა, რომლის მიხედვითაც ხელფასის ფონდის ზრდა შეიზღუდებოდა (როგორც ეს პოლონეთში განხორციელდა, როცა ხელფასის ფონდის 2 პროცენტის ფარგლებში ზრდის შემთხვევაში საწარმო ამ ნაზრდის 200 პროცენტით, ხოლო, 2 პროცენტზე მეტი გადაჭარბებისათვის შესაბამისი თანხის 300-500 პროცენტით

<sup>1</sup> ამ თავში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროდანაა აღებული.

ჯარიმდებოდა), მაგრამ ხელფასების და სოციალური გასაცემლების ზრდა ფასების ზრდას მაინც აშკარად წამორჩა. მაშასადამე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ *“ბალცეროვისის გემის”* მეორე პუნქტიც საქართველოში მეტ-ნაკლებად განხორციელდა;

3. 1992 წელს 1991 წელთან შედარებით საპროცენტო განაკვეთი მოთხოვნამდე ანაბრებზე წლიური 2 პროცენტიდან 5 პროცენტამდე, ხოლო 10 წლამდე ანაბრებზე კი წლიური 9 პროცენტიდან 80 პროცენტამდე გაიზარდა. საპროცენტო განაკვეთების ამგვარი ზრდა ვერ ასახავდა ინფლაციის ტემპს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საპროცენტო განაკვეთის ზრდით პრინციპულად შეუძლებელი იყო იმდროინდელ საქართველოში ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა, რადგანაც საქართველოს საკუთარი მონეტარული სისტემა არ გააჩნდა: საქართველოში უკვე დაშლილი საბჭოთა კავშირის მანეთი და ახლად შემოღებული რუსული რუბლი იყო ბრუნვაში. 1992 წლის ზაფხულში გადაწყდა ანაბრების გაორმაგება წინმსწრები ვადით. კერძოდ, 25 ივლისს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ანაბრების გაუფასურების გამო მათზე რიცხული თანხები პირველი აგვისტოს მდგომარეობით გაორმაგდებოდა; მოსახლეობამ 25 ივლისიდან აქტიურად დაიწყო ფულის შეტანა ანაბარზე; ახალი გადაწყვეტილება ანაბრებზე გაორმაგების მიზნით თანხების შეტანის ვადის 10 აგვისტომდე გადაწევის შესახებ 1 აგვისტოს იქნა მიღებული; გაორმაგების გზით დამატებული თანხების

გამოტანა მხოლოდ 1 წლის შემდეგ, ხოლო გამონაკლისის სახით ამ თანხების გამოყენება პრივატიზაციის (რომელიც იმ პერიოდში საქართველოში ფაქტობრივად შეჩერებული იყო) პროცესში იყო ნებადართული. რადგანაც 1992 წლის მეორე ნახევრიდან რუსეთიდან (რომელიც რჩებოდა ფულის ემიტენტად) ნაღდი ფულის კუპიურების საჭირო რაოდენობის დროული წამოტანა ძალზე გართულდა, შემოხსენებული გზით ანაბრებზე აკუმულირებული ფული ხელფასებისა და პენსიების სახით იქნა გაცემული, რამაც რეფორმის გამტარებელი მთავრობის მხრიდან ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა პრაქტიკულად გამორიცხა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ *“ბალცეროვიჩის გეგმის” მესამე პუნქტი საქართველოში კერძოსრულდება;*

4. 1992 წელს ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა ხეყდართი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ხარჯებში არ შემცირებულა, 1992 წლამდე ის 20-25 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა; დოტაციების ფაქტობრივი მოცულობა 1992 წელს 1991 წელთან შედარებით თითქმის 5,1-ჯერ გაიზარდა. მართალია, 1991 წელს დოტაციების ხეყდარი წილი საბიუჯეტო ხარჯებში 47 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1992 წელს ის 30,1 პროცენტამდე შემცირდა, მაგრამ *ეს ფაქტი დოტაციების მოცულობის მრავალჯერადი ზრდის გამო იმის მტკიცებისათვის სულაც არ არის საკმარისი, რომ “ბალცეროვიჩის გეგმის” მეოთხე პუნქტი საქართველოში შესრულებულ იქნა;*



5. სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები 1992 წელს იქნა გამოშვებული, ხოლო მათი რეალიზაცია კი მხოლოდ 1993 წლის შემოდგომაზე მოხდა და ისიც ძირითადად ეოფილი საბჭოთა კავშირის ობლიგაციების ახალ ქართულ ობლიგაციებზე გადაცემის მიზნით; რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გამოყენებას ეს საბიუჯეტო ინსტრუმენტი იმ პერიოდში საერთოდ არ ეოფილა გამოყენებული. ნათელია, რომ *საქართველოში “ბალცეროვიჩის გეგმის” არც მეხუთე პუნქტი შესრულდა;*
6. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ 1991 წლის ზაფხულში დაიწყო. მაშასადამე, *“ბალცეროვიჩის გეგმის” მეექვსე პუნქტი იმდროინდელ საქართველოში ძირითადად შესრულდებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად საგადასახადო სისტემის მოწესრიგება საქართველოშიც პრაქტიკულად უწყვეტ პროცესს წარმოადგენს.*
7. 1992 წელს საქართველოს საკუთარი ეროვნული ვალუტა არ ჰქონდა და ამდენად *“ბალცეროვიჩის გეგმის” მეშვიდე პუნქტის შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო,*
8. 1992 წელს შემოდებული იქნა ერთიანი საბაჟო ტარიფები. იმპორტი იბეგრებოდა 2, ხოლო ექსპორტი 8 პროცენტით, აშკარაა, რომ ეს იმპორტის შეზღუდვასა და ექსპორტის სტიმულირებას ხელს სულაც არ უწყობდა. ფაქტია, რომ

საქართველოში “ბალცეროვიჩის გეგმის” არც მერვე პუნქტი შესრულებულა;

9. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 1992 წელს 1991 წლის მსგავსად შემოსავლების ინდექსირებას აქონდა ადგილი. ამ დროს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისადმი რაიმე სპეციალური დახმარების სისტემა არ არსებობდა, ანუ სოციალური დაცვის სისტემა შემოსავლების დონის მიხედვით დახმარების დიფერენცირების მექანიზმს არ “იცნობდა”. ასეთ ვითარებაში შემოსავლების, მაგალითად, გაორმაგების შემთხვევაში აბსოლუტური სხვაობაც შემოსავლებს შორის მაღალ და დაბალშემოსავლიანთა მიხედვით ორჯერვე იზრდებოდა, რამეთუ გაორმაგებას ექვემდებარება თავად ეს სხვაობაც. მაშასადამე, შემოსავლების საყოველთაო ინდექსირების პირობებში მცირე შემოსავლიანი ოჯახების მდგომარეობა შეფარდებითად კიდევ უფრო უარესდება. ინდექსირების ხსენებული პრაქტიკის შედეგად 1992 წელს რეალურმა მინიმალურმა ხელფასმა 1991 წლის დონის მხოლოდ 86 პროცენტი შეადგინა. რადგანაც შემოსავლების ინდექსირების მიუხედავად 1992 წელს ვერ მოხერხდა ყველაზე უფრო მეტად გაჭირვებულ პირთა მისანმიმართული დახმარება, ამიტომ, სამწუხაროდ, საქართველოში “ბალცეროვიჩის გეგმის” კერც მეცხრე პუნქტი შესრულდა;
10. 1992 წელს საკანონმდებლო და სამთავრობო გადაწყვეტილებები საქართველოში მონოპოლიური საქმიანობის შესუღდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ პირვე-

ლად იქნა მიღებული; ბუნებრივია, რომ მათი ფართომასშტაბიანი ამოქმედება იმავე წელს ვერ მოხერხდებოდა. მართალია, ჯერ კიდევ 1991 წელს საწარმოთა რესურსებით უსრუნველყოფის ცენტრალიზებული საბჭოური წესი მთლიანად მოიშალა, მაგრამ საწარმოთა საქმიანობაში სახელმწიფოს ადმინისტრაციული ჩარევის სისტემა მაინც შენარჩუნებულ იქნა (კერძოდ, ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმი). ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ *იმდროინდელ საქართველოში სრული მასშტაბით “ბალცეროვისის გეგმის” ვერც მეთე პუნქტი შესრულდა.*

მაშასადამე, “შოკური თერაპიის” პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის კლასიკურ სქემად ქცეული “ბალცეროვისის გეგმის” ათი პუნქტიდან ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზის გამო 1992 წელს საქართველოში შვიდი (პირველი, მეორე და მეექვსე პუნქტების გარდა) ვერ განხორციელდა. მათ შორის განსაკუთრებით “შოკური თერაპიის” მეთოდის არსის განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გამოიყოს, როგორცაა საბიუჯეტო დოტაციებისა და სუბსიდების გაუქმება და ბრუნვაში არსებული ფულის მასის მკაცრი შეზღუდვა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ განუხორციელებელი პუნქტების ნაწილი ვერც განხორციელდებოდა, რადგან იმ დროს საქართველოს უწინარეს ყოვლისა საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა არ გააჩნდა. ასეთ ვითარებაში “შოკური თერაპიის” მეთოდის ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული არასრულფასოვანი მოდიფიკაცია კრაზისათვის იყო განწირული.

1993 წელი და 1994 წლის პირველი ნახევარი საქართველოს მთავრობის ანტირეფორმატორული ქმედებათა ვრცელი სპექტრით ხასიათდება (მაგალითად, გოცირიძე, 1999, გვ. 259-260; Gurgenidze, Lobzhanidze, Onoprishvili, 1994; Papava, 1995A; Папавა, Беридзе, 1994), რაც 1994 წლის მეორე ნახევრიდან იქნა შეწყობილი, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა თვისებრივად ახალ დონეზე განახლდა (მაგალითად, ბასილია, ბაქრაძე, ბეგიაშვილი და სხვ., 1998; Papava, 1996B; Wang, 1998; Папавა, 1998; Папавა, Беридзе, 1998). თავისი არსით ამ დროს განახლებული ეკონომიკური რეფორმა არასრულფასოვნად გატარებული “ბაღცკაროვისის გეგმის” “შეესებას” ისახავდა მიზნად, რაც სავსებით რეალური აღმოჩნდა სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობისა და ხელისუფლებაში პროფესიონალ ეკონომისტთა მოსვლის კვალობაზე.

1990-1994 წლებში საქართველოს ეკონომიკა სამჯერ და მეტად შემცირდა. აქვე აუცილებელია აღინიშნოს (იხ. § II.3), რომ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკა, როგორც წესი ერთობლივი შიგა პროდუქტის, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, შრომის მწარმოებლურობის, ინვესტიციების, რეალური შემოსავლების დონის მნიშვნელოვან დაცემასთან ასოცირდება; დაზუსტების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის გამოშვების შემცირება უწინარეს ყოვლისა იმ საწარმოებში ხდება, რომლებიც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებამდე იყვნენ შექმნილნი (ასევე იხ. § VII.2 და § VII.3).

სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარების დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნები, რომელთა არსებობაც “შოკური” რეფორმები იყო, ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში პირველები შევიდნენ (იხ. § II.3). ამ დებულების სისწორეს საქართველოს გამოცდილებაც

ადასტურებს. კერძოდ, 1995 წელს დროში გაწეული “შოკური თერაპიის” სქემის რეალიზაციის შედეგად ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა ზრდით შეიცვალა: 1995 წელს ერთობლივი შიგა პროდუქტის 3 პროცენტამდე, 1996-1997 წლებში კი წელიწადში საშუალოდ 10-11 პროცენტისანი – ზრდით.

## § XVII.2. არაეკონომისტების “არაეკონომიკური პოლიტიკა” და პოლონელი ეკონომისტები “შინაური მღვდლის” როლში

პროფესორი ლეშეკ ბალცეროვიჩი საქართველოში პირველად 1995 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა. ეს იყო დრო, როცა ქვეყანა ფულის რეფორმისა და სასოგადოდ “გადავადებული” “შოკური თერაპიის” პრაქტიკულად დასრულების სტადიაში იყო შესული. მისი ვიზიტი ხანმოკლე იყო და მას საქართველოს ეკონომიკის, გატარებული რეფორმირების გაცნობითი ხასიათი ჰქონდა.

2000 წელს საქართველოში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ეთხოვა აშშ-სადმი საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველად პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის მოწვევის დასაფინანსებლად, რაც აშშ-ის მიერ დადებითად იქნა გადაჭრილი.

საქართველოს ხელმძღვანელობის ამ გადაწყვეტილების გახმოვანებისთანავე მისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენს მიერ საჯაროდ იქნა დაფიქსირებული, რამაც ქვეყნის პრეზიდენტი და პარლამენტის თავჯდომარე გაანაწყენა. ამ დროს ჩვენი პოზიცია თავის მხრივ ხე-

ლისუფლებების მიერ ქართველი ეკონომისტების წყენას ასახავდა, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ არაერთ, მსოფლიოში არცერთმა ეკონომისტმა არ იცოდა, თუ კომუნისტური ხასიათის მქონე ეკონომიკის ტიპიდან საბაზრო, ანუ კაპიტალისტური ტიპის ეკონომიკაზე გადასვლა როგორ უნდა განხორციელებულიყო. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში პოსტკომუნისტური ქვეყნების ლიდერები არა მარტო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, არამედ მსოფლიოში ცნობილ ცალკეულ ეკონომისტებს რჩევა-დახმარებისათვის მიმართავენ. მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეფრი საქსი აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს მთავრობათა მრჩეველი იყო.

მას შემდეგ, რაც იმ ეპოქიდან სულ ცოტა ათმა წელმა ჩაიარა, რეფორმების გზაზე მდგარ თითქმის ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ეროვნულ პროფესიონალთა კადრები გამოიკვეთა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მუშაობის მეტ-ნაკლებად მდიდარი გამოცდილება დაგროვდა.

ასეთ ვითარებაში ათწლიანი რეფორმების შემდეგ საქართველოში უცხოელი, თუნდაც ძალზედ გამოცდილი და მაღალპროფესიონალი მრჩეველის მოწვევა ორი რამის აღიარებაა: ჯერ ერთი იმის, რომ ქვეყანაში იმის მცოდნე (რომ არაფერი ვთქვათ გამოცდილებაზე) ეკონომისტები თუ როგორ უნდა გატარდეს რეფორმები არ არსებობს, ხოლო მეორე – რომ, თურმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების წარმართვის მცოდნენიც ასევე არ არსებობენ. არც ერთი და არც მეორე, საბედნიეროდ, სინამდვილეს არ შეესაბამება.

იმავედროულად მსოფლიოში აღიარებული პროფესიონალის, პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის საქართველოში პრეზიდენტის პირადი მრჩეველის რანგში მოწვევას მაინც შეიძლება მოეძებნოს გამართლება, რამეთუ საქართველოს მთავრობაში (რომელიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტის სათათბირო ორგანო უნდა იყოს) ეკონომიკური პოსტები არაეკონომისტებმა დაიკავეს, თუმც არც ეკონომისტის დიპლომის მქონეთ გააჩნდათ ეკონომიკური მეცნიერების ის ცოდნა, რის აუცილებლობასაც პროფესორი ბალცეროვიჩი, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის მიუთითებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ უკანასკნელის საქართველოში მოწვევის ინიციატორთა ჩანაფიქრით მისი უმთავრესი ფუნქცია საგანმანათლებლო უნდა ყოფილიყო. სამწუხაროა, რომ ამ ჩანაფიქრსაც არ ეწერა განხორციელება, რამეთუ “კარგ მოქმელს კარგი გამგონე უნდა”.

ვიდრე ბოლო დებულების ამსახველ მაგალითებს მოვიყვანო, აუცილებელია აღინიშნოს, რომ პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის საქართველოს პრეზიდენტისადმი მიცემული რჩევები სა'სოგადოებისათვის ძალზედ გასაიდუმლოებული აღმოჩნდა და ხანდახან იმის შთაბეჭდილებაც კი რჩებოდა, რომ ეს მინისტრებისათვისაც (?) კი ასე იყო. თავდაპირველად პოლონელი პროფესორი თბილისს კვარტალში ერთხელ მაინც ეწვეოდა და ეს არც იყო გასაკვირი, რამეთუ საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველად დამტკიცებიდან რამოდენიმე თვეში ის თავის სამშობლოში ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დაინიშნა. ამასთან, სამარხლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ხშირი ჩამოსვლა სულაც არ იყო აუცილებელი, რადგანაც მისი მაღალპროფესიული გუნდი თბილისში პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა, და რაც მთავარია საქართველოს ეკონომიკას სულაც არ სჭირს რაიმე ექსტრაორდინალური, რაც,

შორეული პოლონეთიდან “ცუდი ხილვადობის” გამო, სათანადოდ არ გამოჩნდება. აქედან გამომდინარე, მისი და მისი გუნდის რწმუნებულები (ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც, რომლებიც მათი “კონსპირაციულობის” მიუხედავად საზოგადოებისათვის ცნობილი შეიქმნა) არ სცდება იმ ჩარჩოებს, რაც მისი ქართველი კოლეგებისთვისაც (აკადემიური წრეებიდან) ისედაც კარგად იყო ცნობილი.

განვიხილოთ პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩისა და მისი თბილისური ჯგუფის საზოგადოებისათვის ცნობილი რამოდენიმე რეკომენდაცია:

1. ერთ-ერთი პირველი ჩამოსვლისთანავე პროფესორ ბალცეროვიჩის რეკომენდაცია იყო, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა რაც შეიძლება მალე გარკვეულიყო იმაში თუ ქვეყანაში როგორი ეკონომიკური სისტემა უნდა აშენებულიყო და შესაბამისი არჩევანიც გაეკეთებინა. სამწუხაროა, რომ ქართველ დამხედურთა შორის არ მოიძებნა არცერთი (არ არის გამორიცხული ელემენტარული არცოდნის გამო), რომელიც ეტყოდა, რომ კარგად თუ ცუდად, მაგრამ ასეთი არჩევანი საქართველოში 1995 წელს კონსტიტუციის (რომელიც ქვეყნის ეკონომიკური სისტემის საფუძვლებსაც განსაზღვრავს) მიღებით უკვე ხუთი წელიწადია რაც გაკეთებულია, რომ 1995 და 2000 წლებში საპრეზიდენტო არჩევნებში ხალხმა (მართალია ხშირ შემთხვევაში შეუგნებლად) მხარი არა უბრალოდ ედუარდ შევარდნაძეს, არამედ მის პროგრამებსაც დაუჭირა, რომლებშიც სათანადოდაა ასახული საქართველოს ეკონომიკური მოწყობის პრობლემები. ერთი კია, თუ საქართველოს მთავრო-



ბის წევრები არ იცნობენ საპრეზიდენტო პროგრამებს, რატომ უნდა გაგვიკვირდეს ამ საკითხებში უცხოელ ექსპერტთა გაუცნობიერებულობა?

2. ბალცეროვიჩის თბილისური ჯგუფის მხრიდან საქართველოს მთავრობაში 2000-2001 წლებში კოორდინაციის არ არსებობამ დაუფარავი უკმაყოფილება გამოიწვია. საქართველოს კონსტიტუციისა და “აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის” შესახებ კანონიდან (რომელთა თანახმადაც ამ ფუნქციის განხორციელება სახელმწიფო მინისტრის პრეროგატივაა) გამომდინარე ხსენებული პრობლემა არც ქართველ პროფესიონალთათვის არ უნდა გაპარვოდა და არც გაპარვია; გაუგებარია, თუ რატომ იყო საჭირო უცხოელ, ძვირადღირებულ ექსპერტთა მოცდენა, ჩვენთვის ისედაც ხილული პრობლემის “გამოსააშკარავებლად”?
3. პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩისა და მისი თბილისური ჯგუფის ერთ-ერთი გახმაურებული რეკომენდაციის თანახმად საშემოსავლო გადასახადის პროგრესიული სისტემა (როცა საქართველოში ფიზიკური პირის შემოსავლის ოდენობის ზრდის კვალობაზე ზრდადი – 12, 15, 17 და 20 პროცენტის საგადასახადო განაკვეთები გამოიყენება), პროპორციული სისტემით (ერთიანი 15 პროცენტის განაკვეთით) უნდა შეიცვალოს, რაც ამ სახეობის გადასახადის ამოღების ადმინისტრირებას თვისობრივად ამარტივებს, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია პრაქტიკულად ამ შემოსავლების დამალვის სტიმულებს აუქმებს. ეს წი-

ნადადება საქართველოს ხელისუფლებას ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 1992 წელს წარედგინა და შემდეგაც საერთაშორისო საეკონომიკური ფონდის წინაშეც არაერთხელ დასმულა (პაპაია ვ., 2000გ, გვ. 103-107), რაც, სამწუხაროდ, გათვალისწინებულ არ იქნა. ბუნებრივია, რომ პოლიონელ ეკონომისტთა ეს რჩევა აშკარად მისასაღებელია. სამწუხაროა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელიც 2000-2001 წლებში უტილიტარული ეკონომიკური პოლიტიკის (რომლის მთავარი პრინციპია – “მდიდარს არომეცვს, ღარიბს აძლევს”; იხ. § VI.6) მიმდევარი იყო, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველის ამ რეკომენდაციის საწინააღმდეგოდ საშემოსავლო გადასახადის ზედა განაკვეთის გაზრდა და ახალი მეხუთე განაკვეთის შემოღება დააპირა; იმის ნაცვლად, რომ აშკარად საღ აზრზე დაფუძნებული წინადადება ყოფილიყო გაზიარებული, პოლიონელ ექსპერტთა მთელი ძალისხმევა იმაში დაიხარჯა, რომ საშემოსავლო გადასახადის ისედაც უვარგისი სისტემა კიდევ უფრო არ გაუარესებულიყო.

4. 2000 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით იმ საწარმოთა წილები, რომელთა არანაკლებ 51 პროცენტი სახელმწიფოს საკუთრებაშია, სამართავად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროდან შესაბამის დარგობრივ სამინისტროებს დაუბრუნდათ. ბუნებრივია, რომ ბალცეროვიჩის ჯგუფმა მართვის ამ სოციალისტური “ელფერის” და ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ბრძანებულების გაუქმება მოითხოვა; აღსანიშნავია,

რომ მოცემული ბრძანებულების ჯერ კიდევ მისი განხილვის სტადიაზე წინააღმდეგი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დამოუკიდებელი სტატუსი ამ ბრძანებულების მიღებიდან სამ თვეში საერთოდ გაუქმდა კიდევ.

5. ბალცეროვიჩის თბილისური ჯგუფის ერთ-ერთი რეფორმატორული წინადადება საპენსიო სისტემას ეხება. მათი აბსოლუტურად სწორი შეფასებით საქართველოში დღეს ასეთი სისტემა არ არსებობს, ხოლო 14 ლარიანი პენსია თავისი ბუნებით არ ასრულებს (და ვერც შეასრულებს) პენსიის, როგორც ასეთის ფუნქციას. ქართული სახელმწიფოს მწიბრი საფინანსო შესაძლებლობებიდან გამომდინარე ხსენებული ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ აქცენტი კერძო საპენსიო ინსტიტუტის შექმნაზე იქნეს გადატანილი, ხოლო სახელმწიფომ უმთავრესი ყურადღება მოსახლეობის მიმართ დაგროვილ ძველ დავალიანებათა (რომელიც ჯამში, სამწუხაროდ, ასეულობით მლნ. ლარს აღემატება) გასტუმრებასა და მიმდინარე ვალდებულებათა დროულ დაფარვაზე უნდა გაამახვილოს. საქართველოს მთავრობის პოზიცია (რასაც ზურგს, სამწუხაროდ, მსოფლიო ბანკიც უმაგრებს) კი მიზნად კერძო საპენსიო ინსტიტუტის შექმნასთან ერთად სახელმწიფო საპენსიო სისტემის რეფორმირებასაც ისახავს (და მას გარკვეული აზრით უპირატესობასაც ანიჭებს). ჩვენი ღრმა რწმენით სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისადმი მნიშვნელოვანი დავალიანებისა და ქრონიკული საბიუჯეტო კრიზისის პირობებში სახელმწიფო საპენსიო სისტემის რეფორმირება-

ზე პრიორიტეტული სრუნვა ფუჭი გარჯა იქნება, ხოლო ამის გამო კერძო საპენსიო ინსტიტუტის შექმნის შეფერხება კი – აშკარა შეცდომა.

პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩისა და მისი თბილისური ჯგუფის გაუთვალისწინებელ რეკომენდაციათა ჩამონათვალი, ისინი საზოგადოებისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო, საგარაუდოდ ბევრად უფრო ვრცელი იქნებოდა (ეგებ მათი გასაიდუმლოების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ 2000-2001 წლების საქართველოს სამთავრობო გუნდის სუსტი მხარეები დამალულიყო).

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ, საჩუქხაროდ, საქართველოს 2000-2001 წლების ცუდი ეკონომიკური პოლიტიკა, უფრო სწორედ კი “არაეკონომიკური პოლიტიკა” ბალცეროვიჩისეულ “ტექვ მმებზე” – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების სეწოლასა და უცოლინრობაზეა დამყარებული; თანაც ეს ტექვისცალები უერთმანეთოდ როდი მოქმედებენ: ისინი ერთმანეთს აძლიერებენ (ბალცეროვიჩი, 2002, გვ. 12-14).

პროფესორ ბალცეროვიჩის საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველის რანგში მოღვაწეობამ დაადასტურა, რომ საქართველოში “უცხოელ მღედელსაც არ აქვს შენდობა”. ყოველივე ეს კი იმას ადასტურებს, რომ საქართველოს ყველაზე მეტად ესაჭიროება “...ის, ვისაც გაანჩია ჭკუის გამოძეენებელი ჭკუა...” (პაპაია გ., 2000, გვ. 39).

# თავი XVIII. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში

წარმატება თავში ურტყამს, ხოლო წარუმატებლობა გულში.  
*ღლორენს პიტერი*

სქენს შეცდომებს აღვიღაღ ვივიწკებო,  
როცა ისინი მარტო წყენთუისაა ცნობილი.  
*ფრანსუა ღაროშფუკო*

გაუცნობიერებელი შეცდომები მეორღება.  
*ბორის პარამონოვი*

აღამიანი, რომელიც შეცდომებს არ უშეებს,  
ბრძანებას იღებს მათოგან, ვინც მათ უშეებს.  
*პერბერტ პროკნოუ*

## § XVIII.1. რეფორმისათვის საჭირო ფული – “შავი”, თუ “თეთრი” ?

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი თავიდანვე უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ეს, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის საფუძვლების ცვლილების აუცილებლობით იყო განპირობებული.

ბუნებრივია, რომ პასუხი კითხვაზე, თუ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში საზოგადოების ეკონომიკურ მოწყობაში რა ცვლილება და თან როგორ უნდა გატარდეს, ეკონომიკურ მეცნიერებას უნდა გაეცა. სამწუხაროდ ეკონომისტები ამ ტრანსფორმაციული პრო-

ცესის სამეცნიერო უზრუნველყოფისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდნენ (იხ. თავი II). აქედან გამომდინარე პრინციპულად შეუძლებელი იყო დასაქმებულთა მოძებნილიყო თუნდაც ერთი იმ დონის ეკონომისტი, რომელიც ეკონომიკურ თეორიაზე დაყრდნობით პოსტკომუნისტური სახელმწიფოს მთავრობისათვის ყოველისმომცველი და იმავდროულად მართებული რეკომენდაციების მიცემას შეძლებდა; ბუნებრივია, რომ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შესლუდულობის გამო ხსენებული ტიპის ეკონომისტი მით უფრო ვერც კომუნისტურ სივრცეში მოიძებნებოდა. ასეთ ვითარებაში, საუკეთესო შემთხვევაში, რჩევებს მიმცემი ეკონომისტის პროფესიული ინტუიციის გათვალისწინებით, ოპტიმალურთან დაახლოებულად ისეთი რჩევა შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ეკონომიკური თეორიის ზოგადი პრინციპებისა და სხვადასხვა ქვეყანაში საბაზრო ტიპის რეფორმების გამოცდილების ცოდნას ეფუძნება.

კომუნისტური რეჟიმის დამხობისთანავე არაერთი პოსტკომუნისტური სახელმწიფოს მთავრობა ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადაყვანის ურთულესი პრობლემის საკუთარი ძალებით გადაწყვეტის ცდუნების წინაშე აღმოჩნდა; ცალკეულ შემთხვევაში ამ მთავრობათა წევრები ემიგრაციიდან დროებით დაბრუნებული თანამემამულე, თუ ქვეყანაში “გაელით” მყოფი შარლატანების “უფასო” რჩევებით სარგებლობდნენ. ეს უკანასკნელნი კი ხშირ შემთხვევაში ვითომდა ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერისა და მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით ცდილობდნენ ქვეყანაში მილიარდობით აშშ-ის დოლარი მოეზიდათ, რომლის წყაროც ნარკობიზნესი, იარაღის არალეგალური წარმოება, ან (და) ვაჭრობა და სხვ., ანუ “შავი” ფულია. ასეთი ფულის მოპოვების მექანიზმი კი სხვადასხვა ჯურის შუამავლისათვის სახელმწიფოს მიერ ფანტასტიკურად დიდ თანხა-

ზე (ათეულობით, ასეულობით მილიონ და მილიარდობით დოლარზე) კრედიტების აღებისათვის საფინანსო საგარანტიო წერილების მიცემას ეფუძნება.

იმის გათვალისწინებით, თუ რა გზით იქმნება “შავი” ფული და ამდენად რა ტიპის ადამიანებია ამ ბიზნესში ჩართული, იბადება კითხვა: თუ “შავი” ფული ადამიანების მოტყუების, მათი გაუბედურების ხარჯზე იქმნება, მაშინ ამ “შავი” ფულის მაგნატები მისი “გათეთრების” დროს კეთილშობილნი რატომ იქნებიან? რა თქმა უნდა, ალბათობა იმისა, რომ თაღლითი ნებისმიერ გარიგებაში თაღლითად დარჩება ძალზედ დიდია.

უნდა აღინიშნოს, რომ უწინარეს ყოვლისა უკიდურესი გაჭირვების გამო საქართველომაც სცადა “შავი” ფულის მოსაზიდად საფინანსო გარანტიების გამოყენება და 90-იანი წლების დასაწყისში ეროვნული ბანკისა, თუ ფინანსთა სამინისტროს საგარანტიო წერილები მილიარდობით დოლარზე გაიცა. მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, რომ ამ გზით პრაქტიკულად ვერანაირი თანხის მოზიდვა ვერ მოხერხდა, ხოლო ეს გარანტიები საერთაშორისო სპეკულაციის საგანი გახდა და რომ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩარევა, საქართველო გაცილებით უფრო მძიმე საფინანსო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ქვეყნის საჭიროებისათვის “შავი” ფულის მოზიდვის არაპერსპექტიულობის გამო, სწორედ ლეგალური გზაა ის ერთადერთი გამოსავალი, რომლითაც ეკონომიკური რეფორმისათვის საჭირო საფინანსო მხარდაჭერის მოპოვება და ადამიანთა მძიმე სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება შეიძლება.

იმ დროისათვის, როცა საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა, ლეგალური გზით საერთაშორისო საფინანსო მხარდაჭერის მიღების ინსტიტუტები (მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) და მექანიზმები მსოფლიოში უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებული იყო (იხ. § III.1).

საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში 1992 წელს გაწევრიანდა, მაშინ როცა მათი წევრ-სახელმწიფოთა რიცხვი 170 იყო. საქართველოს წილი, კერძა (ანუ გადაწვევტილების მისაღები ხმა) ამ ორგანიზაციებში 0,08 პროცენტია (მაგალითად, Смыслов, 1993, сс. 178, 191; Круглов (ред.), 1998, с. 404).

როგორც აღინიშნა საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში გაწევრიანებისას უკვე ჩამოყალიბებული იყო მსოფლიო საფინანსო წესრიგი, რაც “თეთრი” ფულის მისაღებად პრაქტიკულად ერთადერთი ლეგალური გზაა. ასეთი წესრიგისადმი “დამორჩილება” კი საქართველოს ეკონომიკის ცივილიზებული განვითარების ერთადერთი რეალური გზაა.

## **§ XVIII.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიღწევები საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში პირველად 1991 წლის ნოემბერში ჩამოვიდა. ამ პირველ შეხვედრას ურთიერთგაცნობის დატვირთვა ჰქონდა. ყოველ მომდევნო ჩამოსვლაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ხელისუფლებას მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის მიზნით თავის რეკომენ-



დაციებს უტოვებდა. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება (ცალკეული გამონაკლისის გარდა), სამწუხაროდ ამ რეკომენდაციებს და მათ ავტორებს სერიოზულად არ ეკიდებოდა (გოცირიძე, 1999, გვ. 259), რის შედეგადაც ქვეყანაში საერთოდ მოიშალა საფინანსო სისტემა: 1993-1994 წლებში საქართველოს არ ჰქონია პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი, კონსტიტუციური და საერთოდ საკანონმდებლო ვაკუუმის, უკვე მიღებული კანონების არასრულყოფილების და რაც მთავარია სხვადასხვა ორგანიზაციისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათების გამო შეუძლებელი იყო საგადასახადო შემოსავლების თუნდაც მინიმალურ დონეზე მობილიზება, დროებითი ვალუტის – ქართული კუპონისადმი ჩამოყალიბდა სახელისუფლებო ნიჟილიზმი, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულის საკრედიტო, თუ საბიუჯეტო ემისიამ (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების მიზნით (გოცირიძე, 1999, გვ. 259-260)) 1993-1994 წლებში ჰიპერინფლაცია გამოიწვია და ინფლაციამ საშუალოდ თვეში 50-70 პროცენტი შეადგინა. საქართველოს ხელისუფლების მიერ იმ დროს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ხსენებულ შედეგებს ამძიმებდა ომისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელი ქვეყნის საომარ მოქმედებებში მონაწილეობა ჯერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში.

1994 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ე.წ. “ანტიკრიზისული პროგრამა” საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის ურთიერთობის პრინციპულად ახალ დონეზე წარმართვას ედება საფუძვლად; კერძოდ, უკანასკნელის რეკომენდაციები სასურველობის კატეგორიიდან აუცილებლად განსახორციელებელ

ღონისძიებათა რანგში გადადის, რასაც თავისი დადებითი ეკონომიკური შედეგები მოაქვს (ბასილია, ბაქრაძე, ბეგიაშვილი (და სხვ.), 1998).

აქედან გამომდინარე საერთაშორისო საგალუტო ფონდის მოღვაწეობა საქართველოში შეიძლება ორ ეტაპად განვიხილოთ:

- *პირველ ეტაპზე*, 1991-1994 წლებში საერთაშორისო საგალუტო ფონდი საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევს, თუმცა ეს უკანასკნელი “ურჩი ბავშვივით” მათ არად აგდებას;
- *მეორე ეტაპზე*, 1994 წლიდან დღემდე, როცა საერთაშორისო საგალუტო ფონდის რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებასათვის აუცილებლად შესასრულებელი ხდება იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ხშირად ცხოვრებაში ხელისუფლების სოციალური წარმომადგენლისათვის არც ადვილი გასატარებელია და არც ყოველთვისაა მოსაწონი.

საერთაშორისო საგალუტო ფონდის საქმიანობის ეფელაზე მთავარი დადებითი შედეგი ის არის, რომ საქართველოში საფინანსო სისტემა შეიქმნა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა დამყარდა. უფრო კონკრეტულად კი აუცილებელია აღინიშნოს (პაპავა, 1995გ; Papava, 1995A, 1996A, 1999; Папавა, 1998; Папавა, Беридзе, 1994, 1998):

1. ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პროცესებს არეგულირებს;
2. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გზით ჰიპერინფლაციის მოთოკვა, რამაც ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა შექმნა (მიმოქცევიდან გამოიდევნა რუსული რუბლი და

სტაბილურ ლარს მიენიჭა ერთადერთი კანონიერი საგადაამხდლო საშუალების ფუნქცია);

3. პურზე ფასების განთავისუფლებით ფასების ლიბერალიზაციის პროცესის პრაქტიკულად დასრულება;
4. 1995 წლიდან მოყოლებული პრინციპში, წლის დასაწყისიდან პარლამენტის მიერ დამტკიცებული ქვეყნის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობა;
5. ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება, რომლითაც ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ფუნქციები გამოიჯნულია; ამასთან კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკის მხრიდან მარეგულირებელი ნორმატიული პარამეტრები აქვს დამტკიცებული, რომელთა საშუალებითაც საბანკო სისტემაზე სახელმწიფოს კონტროლი ხორციელდება;
6. ყოფილი სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია;
7. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
8. უცხოური ვალების რესტრუქტურისაციის მიღწევა და ამ გზით საქართველოსათვის საგარეო ვალების მომსახურებისა და სოციალურად გადახდისუნარიანი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შენარჩუნება.

აუცილებელია ხაზი გაესვას საბიუჯეტო ხარჯებში ჯანდაცვისა და განათლების პრიორიტეტულობის უზრუნველყოფისათვის მსოფლიო ბანკის მიდგომის მიმართ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ აქტიური პოზიციის დაკავებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის მიერ ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პროცესში მსოფლიო ბანკის პროგრამების მხარდაჭერა სისტემატურად ხორციელდება.

ამ სამონათველის გაგრძელება რა თქმა უნდა შეიძლება, მაგრამ ყველაზე მთავარი დადებითი შედეგი, რაც საქართველოსთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლობას აქვს ისაა, რომ ხელისუფლების მხრიდან “ხაღხური თვითშემოქმედების” ელემენტების (მაგალითად, “გაბერილი” საგარეო ვალების წარმოქმნა ხელოვნურად გაზრდილი ე.წ. საკლირიზო ფასების გამოყენებით, ან სორბალზე და ფქვილზე ადგილობრივი და იმპორტიორი მეწარმეების განსხვავებული რეჟიმით დაბეგერა და ამ საკითხის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმების მცდელობა, ან საგადასახადო ამინსტიის ნების გამოცხადება და შესაბამისი პროგრამის შეთანხმების მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარდგენა, ან ცალკეულ პიროვნებებზე “მოსარგებად” ქვეყნის საფინანსო სისტემის ინსტიტუციონალური მოწყობის “დამახინჯება”, ან სახელმწიფო ბიუჯეტის საგეგმო დავალებათა შესასრულებლად კომერციული ბანკების სესხების უშუალო გამოყენება, რაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს აფერხებს, ან გაუცემელი პენსიების ნაცვლად სხვადასხვა სახეობის პროდუქტების დარიგება და მომსახურების გაწყვეა და ა.შ.) გამოყენების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი; რომ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტიური ზეწოლა, მაშინ, მაგალითად, პენსიების ნაცვლად ფქვილის დარიგება (ან სხვა მსგავსი ქმედება) იქნებოდა არა ერთჯერადი აქტი საქართველოს მხოლოდ ზოგიერთ რეგიონში, არამედ იგი საერთო ყოველისმომცველ კანონზომიერებად იქცეოდა, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკას და ფინანსებს სრულად დაანგრევდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტები უშუალო მიმდებარე საქართველოს ეროვნული ბანკია და ისინი მისი რეზერვების გასაზრდელად გამოიყენება. პირველი ასეთი კრედიტი საქართველომ 1994

წლის ბოლოს მიიღო და იმ დღიდან მოყოლებული 2003 წლის დეკემბერში დასამთავრებელი პროგრამის ჩათვლით ღარის სტაბილურობაზე 520 მლნ. აშშ დოლარამდე მოდის (სპაუისსს, 2002, გვ. 14-18).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობის შედეგად 1996-1997 წლებში ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები და ინფლაციის ზომიერი დონე ჩამოყალიბდა. მაკროეკონომიკური სტაბილურობა კი ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც ქვეყანაში მსხვილი საინვესტიციო პროექტები ვერ განხორციელდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ქმედითი ზომები საქართველოში საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად, სხვა თანაბარ პირობებში, განახლებული “დიდი აბრეშუმის გზის” (შეგარდნაძე, 1999; Shevardnadze, 1999) რეალიზაციისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

შეიძლება უყოყმანოდ დავასკვნათ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობა მისი ეკონომიკის განვითარებისაკენ, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მყარი ფინანსური საფუძვლების შექმნისაკენ, სახელმწიფო მოხელეთა საბაზრო ცნობიერების განმტკიცებისაკენ, ფსევდორეფორმატორული “ხალხური თვითშემოქმედების” აღკვეთისაკენ არის მიმართული.

ბუნებრივად უნდა იქნეს აღქმული ისიც, რომ არც საერთაშორისო სავალუტო ფონდია დაზღვეული შეცდომებისაგან საზოგადოდ (იხ. § III.1 და § III.2), და კერძოდ საქართველოსთან (პაპავა, 2000გ; Papava, 2002C; Папавა, 2001Г, 2002Б), ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან (Gomulka, 1995, pp. 14-19) მიმართებაშიც.

### § XVIII.3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომები საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშეუბული სხვადასხვა შეცდომა განსხვავებული ბენებისა და მნიშვნელობისაა. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ შეცდომების ნაწილი საქმოდ ზოგადი ხასიათისაა და ისინი ფონდის მიერ არა მარტო საქართველოში მუშაობისას, არამედ უფრო სხვა სახელმწიფოებშიც იქნა დაშეუბებული.

აუცილებელია აღენიშნოთ, რომ საქართველოს სამთავრობო გუნდს, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებების წარმართვა საწყის ეტაპზე უხდებოდა, პრაქტიკულად ამის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა, სიღრმისეულად ვერც ფონდის პროცედურებში ერკვეოდა, რითაც ნებისთ (სავარაუდოდ თავისი საქმის გასამარტივებლად), თუ უნებლიეთ (რაც კიდევ უფრო მეტადაა სავარაუდო) საკმაოდ ოსტატურად სარგებლობდნენ (ყოველ შემთხვევაში დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს) ფონდიდან გამოგზავნილი მისიის წევრები: სამთავრობო მხარე ყოველი მორიგი საფინანსო ტრანშის მიღების პირობად ცალკეულ შემთხვევაში თავის თავზე ისეთ ვალდებულებებს იღებდა, რომელთა შესრულება დადგენილ ვადაში (როგორც წესი, დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში) ძალზედ რთული იყო; ამგვარ ვალდებულებათა აღების დროს ყოველთვის როდი იყო ბოლომდე გაცნობიერებული, თუ რა სირთულის ამოცანის წინაშე აღმოჩნდებოდა მთავრობა მათი შესრულებისას. რეფორმატორები ამა თუ იმ რთულად გადასაწყვეტ ამოცანებთან მიმართებაში არაპოპულარული მეთოდების გამოყენებისას, როგორც წესი, მითითებას საერთაშორისო სავალუტო

ფონდსა, თუ სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე აკეთებდნენ (და დღესაც აკეთებენ), რითაც ამ ორგანიზაციების მიმართ სასოგადოებრიობისა და განსაკუთრებით მეწარმეთა უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობდნენ ხელს (მესხია, 1999ბ, გვ. 12).

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყველა მოთხოვნა დაფიქსირებულია, როგორც მთავრობის განცხადება (და არა როგორც ფონდის მოთხოვნა), რის გამოც ნებისმიერ სადისკუსიო სიტუაციაში ფონდის ექსპერტები, როგორც წესი, მთავრობას ახსენებენ, რომ ეს მის მიერ აღებული ვალდებულებაა, ანუ მისი პოზიციაა და არა ფონდის. გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეულ შეთანხმებათა ცხოვრებაში გატარების პასუხისმგებლობა თავის თავზე მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკების წარმართველ სამთავრობო გუნდს (და ისიც არა ყოველთვის ყველა მის, როგორც წესი, ფისკალურ-საბიუჯეტო ბლოკის, წევრს) ჰქონდა აღებული, მაშინ, როცა მთავრობის (და პარლამენტის) სოფიერთ სხვა წევრს უკეთეს შემთხვევაში არც კი ესმოდა (და ალბათ არც უნდოდა, რომ გაეგო), თუ რას ნიშნავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით აღებულ ვალდებულებათა შესრულება. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდში საექვეო რეპუტაციის მქონე ზოგიერთი ქართველი თანამდებობის პირის მისივე მოთხოვნით მოლაპარაკების პროცესში ჩართვა, მათ მიერ დაყენებული თუნდაც მართლა რეფორმატორული და გამართლებული საკითხის (რაც საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, რადგანაც უმთავრესად ასეთი შეხვედრების დროს, როგორც წესი, აშკარად მცდარი და ყოველად მიუღებელი წინადადებები წამოიჭრებოდა, რაც საქართველოს სახელით მოლაპარაკებაში მონაწილე პირის და ირიბად იმ სტრუქტურის, სადაც

ეს პირი უშეალოდ მუშაობდა რეპუტაციასაც დაბლა სწევდა) გატანის შესაძლებლობას (ამ პირის შერყეული რეპუტაციის გამო) საბოლოოდ ბლოკავდა, რასაც ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამების მიმართ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე არასასურველი ზეგავლენა ქონდა; ცალკეულ პოლიტიკოსს, თანამდებობის პირს, თუ საზოგადოების რიგით წევრს მცდარი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს საქართველოს მხრიდან ფონდთან ოფიციალურ მოლაპარაკებაში მონაწილე სამთავრობო გუნდის წევრებს კომპეტენტურობა და პრინციპულობა არ ყოფნის, დისკუსიაში არგუმენტების მოძიების უნარი აკლიათ, და რომ თუ კი მოლაპარაკების მაგიდას თვითონ მიუჯდებიან, მაშინ წარმატებასაც მიადწევენ. ასეთ პირობებში, რომ არა ქვეყნის პრეზიდენტის და პარლამენტის ხელმძღვანელობის მტკიცე რეფორმატორული პოზიცია საქართველო იმ ზემოთმოყვანილ წარმატებებს ვერ მიადწევდა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მუშაობის ამ გამოცდილები გათვალისწინებით შედარებით ადვილი გასაგები შეიძლება გახდეს, თუ რომელი შეცდომის თავიდან აცილება იყო შესაძლებელი და რომლის – პრინციპულად შეუძლებელი.

სანამ უშუალოდ შეცდომების განხილვას შეეუდგებოდეთ მიზანშეწონილია შემდეგი განმარტების გაკეთება, რამაც მათი უმრავლესობის არსის გაგება უნდა გააადვილოს. კერძოდ, რადგანაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებულ შეცდომათა უმრავლესობა საგადასახადო პრობლემატიკას ეხება, აუცილებელია იმ კრიტერიუმების ჩამოყალიბება, უფრო კონკრეტულად კი იმ იდეალური საგადასახადო სისტემის მახასიათებლების განსაზღვრა, რომლის სა-



ფუძველზე თითოეული შეცდომის ბუნება და მნიშვნელობა იქნება შეფასებული.

დიდ ბრიტანეთში საგადასახადო რეფორმის თვალსაზრისით მკვლევარის ფილიპ ჩაპელის აზრით (რასაც სრულად ეთთანხმები) იდეალური საგადასახადო სისტემა შემდეგ ექვს ძირითად პრინციპს უნდა ემყარებოდეს (Chappell, 1990, pp. 41-44):

1. *სიმარტივე* (Simplicity): სისტემის მიზანი ის უნდა იყოს, რომ ყველა ინდივიდს თვითონ, ე.წ. ექსპერტების დახმარების გარეშე შეეძლოს გადასახადებთან დაკავშირებული საკითხების გაგება;
2. *სიცხადე* (Plainness): გადასახადი ერთიანი განაკვეთით (Single Flat Rate) უნდა იყოს;
3. *განაკვეთი* (Rate): გადასახადის განაკვეთი მისაღები შემოსავლის სატირო ოდენობიდან განისაზღვრება, ამასთან განაკვეთის სუდიდე ისეთი უნდა იყოს, რომ გადასახადის არგადახდა მეწარმესათვის წამგებიანი აღმოჩნდეს;
4. *უნივერსალურობა* (Universality): გადასახადი ყველგან ერთიანი განაკვეთით უნდა გამოიყენებოდეს და არავითარი შეღავათები და პრივილეგიები არ უნდა არსებობდეს, ხოლო სახელმწიფო მხარდაჭერა, მაგალითად, ინვალიდებისათვის სპეციალური პროგრამებითა და გრანტებით და არა საგადასახადო შეღავათებით უნდა განხორციელდეს;
5. *სრულყოფილება* (Comprehensiveness): გადასახადებით შემოსავლებიც უნდა დაიბეგროს, რადგანაც მარტო ხარჯების დაბეგურა ეკონომიკურად არასასურველია;

6. მიუკერძოებულობა (Even-handedness): გადასახადებმა დაზოგვის სხვადასხვა ფორმებსა და, იდეალურ შემთხვევაში, ხარჯვასა და დაზოგვას შორის დამახინჯება არ უნდა გამოიწვიონ.

ბუნებრივია, რომ იდეალური საგადასახადო სისტემა პრინციპში არ არსებობს, მაგრამ მისი მნიშვნელობა რეალური საგადასახადო სისტემის აკარგიანობის შესაფასებლად აშკარაა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებული შეცდომები ძირითადად მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით განვიხილოთ.

### § XVIII.3.1. პოლიტიკური შეცდომები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკის საერთაშორისო გამოცდილებების განხილვისას აღინიშნა (იხ. თავი III), რომ ფონდი ხშირ შემთხვევაში ქვეყნების ისტორიას, კულტურულ და ეროვნულ თავისებურებებს არ ითვალისწინებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობის დასაწყისშივე სწორედ ამ ბუნების შეცდომამ იჩინა თავი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი რჩევა “რუბლის ‘ხონაში’ დარჩენისა და ეროვნული ვალუტის არ შემოღების შესახებ, რომელიც მან საქართველოს მთავრობას 1992 წლის თებერვალში მისცა. ძნელია იმის გარკვევა, თუ რა მოტივით ხელმძღვანელობდა ფონდი (უკეთეს შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ის რუსეთის ჯერ კიდევ ძლიერ იმპერიალისტური განწყობის მქონე ძალებს სიფრთხილით მოეკიდა, რის გამოც ნგრევადი იმპერიის სავალუტო სივრცის რევოლუციურ რღვევას არ ჩქარობდა), როცა ასეთ რეკომენდაციას იმ-

ლეოდა, მაგრამ თუკი გავისხეხებთ, რომ ფონდის ეს რჩევა ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე ვრცელდებოდა, ბალტიის ქვეყნების (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) გარდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფონდისათვის უფრო ადვილი იყო ვალუტის ერთ ემიგრენტთან ემუშავა და არა თორმეტთან, რისთვისაც საკმარისი იქნებოდა ერთი მისიის და არა თორმეტის შექმნა და შესაბამისად ხარჯების ეკონომიაც; აქ ძალზედ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხოლოდ იმ ქვეყნებთან მუშაობს, რომლებსაც საკუთარი ვალუტა გააჩნია (მაგალითად, Lavigne, 1995, p. 207).

არ არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი “რუბლის ზონის” შენარჩუნებას იმიტომ უჭერდა მხარს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით აღმოცენებულ სახელმწიფოთა მიერ საკუთარი ვალუტის გამოსაშვებად არსებულ ტექნიკურ შესაძლებლობებს სკეპტიკურად უყურებდა; ამასთან ფონდის შესხედვლებით ჯერ რეალური მაკროეკონომიკური სტაბილურობა იყო მისაღწევი, და ფულის რეფორმა ეროვნული ვალუტის შემოღების მიზნით მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განხორციელებულიყო (რაც ჩვენი ღრმა რწმენით, აშკარა შეცდომაა, რადგანაც საკუთარი ვალუტის არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფოსათვის ფულის მასის რეგულირება შეუძლებელია, რის გამოც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩეს); როგორც შედეგი, საერთაშორისო სავალუტო ფონდს არ უნდოდა ახალი ვალუტის კრახში ყოფილიყო დადანაშაულებული (Ослухд, 1996Б, с. 142).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ რადიკალური განწყობის მქონე ოპონენტები თვლიან, რომ ეს შეცდომა იქიდან გამომდინარეობდა, რომ ის ან, მისი “დონორი” წევრი-ქვეყნების ხელმძღვანელობა იმ

პოლიტიკურ სიტუაციაში ვერ გაერკვა (ან არც კი უცდია გარკვეულყოფი), რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისას ჩამოყალიბდა; მან (ისევე როგორც “დონორი” წევრი-ქვეყნების ხელმძღვანელობამ) ამ იმპერიული სახელმწიფოს შექმნის ისტორია ვერ (ან არ) გააანალიზა, იმ ეროვნულ და კულტურულ თავისებურებებს არ ჩაწედა, რომლებიც საქართველოს და ზოგიერთ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას რეალური ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე ამოძრავებდა.

რომ არა თავად რუსეთის მიერ განხორციელებული მკაცრი ზომები, რომელთა თანახმადაც მოსკოვმა რუსული ფულის ბანკნოტების მიწოდება საქართველოსათვის და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის შეწყვიტა, სავარაუდოა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავისი დამოკიდებულების შეცვლას “რუბლის ზონის” მიმართ არ იჩქარებდა. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკითხი ეროვნული ვალუტის შემოღების აუცილებლობის შესახებ ფონდთან პირველივე შეხვედრისავე (1991 წლის ნოემბერს) დასვა: მას საჭირო გათვლები და ბანკნოტებისა და მონეტების ესკიზები წარუდგინა, და ფულის რეფორმის მომზადებასა და გატარებაში დახმარება სთხოვა. სამწუხაროდ, ეს თხოვნა გათვალისწინებული არ იქნა, რასაც აღბათ 1991–1992 წლების სამთარში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმაც შეუწყო ხელი.

1993 წელს საქართველო საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღების აუცილებლობას პრაქტიკულად მოუშადებელი შეხვდა. ეს გარკვეულწილად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებამაც განაპირობა, თუმცა ფონდზე პასუხისმგებლობის ბოლომდე გადაკისრება გამართლებული არ იქნება, რადგან საქართველოს იმდროინდელი მთავრობა, ჯერ-ერთი ფონდის რჩევებს პრაქტიკულად არავითარ ყურადღებას არ

აქცევდა, მეორეც, - ის თავად იმყოფებოდა “რუბლის ზონაში” გარკვეული ვადით დარჩენის ილუზიის ტყვეობაში, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, დროებითი ეროვნული ვალუტის – კუპონის მიმართ ხელისუფლების ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში აშკარად გამოიყვანდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავისი ეს შეცდომა საქართველოში 1995 წლის შემოდგომაზე “გამოასწორა” (თუ კი შეიძლება ასე ითქვას), როცა მასთან შეთანხმებული გეგმითა და საფინანსო მხარდაჭერით წარმატებით განხორციელდა ფულის რეფორმა – ლარი იქნა შემოღებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანი შეცდომა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოსთან მიმართებაში მაშინ დაუშვა, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის საკითხი წყდებოდა.

1993 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა “შეთანხმებას” (რომელიც “ნულოვანი ვარიანტის” პირობითი სახელწოდებითაა ცნობილი<sup>1</sup>), რომლის თანახმადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალისა და აქტივების საქართველოს ნაწილის სამართალმემკვიდრე რუსეთი გახდა. დღემდე გაურკვეველი მიზეზებით “შეთანხმების” ტექსტიდან მის პარაფირებულ ვარიანტში დაფიქსირებული მუხლები ყოფილი საბჭოთა კავშირის აღმასის ფონდისა და “ენეშეკონომბანკში” განთავსებულ საქართველოს კერძო და იურიდიულ პირთა დეპოზიტების შესახებ ამოვარდნილია.

სამწუხაროდ, შვიდი წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ სადაო საკითხის გადაწყვეტაში საერთოდ არ ერეოდა, თუმცა საქართველო “შეთანხმების” ხელმოწერილ და პარაფირე-

<sup>1</sup> დეტალურად პრობლემა შემდეგ ნაშრომებშია გაშუქებული: (ნოლაიდელი, მესხია, 2001; მესხია, 2001).

ბულ ტექსტებს შორის ხსენებული განსხვავების გამო, მის რატიფიკაციაზე უარს ამბობდა; ეს კი, საერთაშორისო საეკონომიკური ფონდის წესების თანამად, რუსეთის საგარეო ვალის საკითხის დაურეგულირებლობის გამო ფონდიდან კრედიტების მიღებისათვის არსებითი ხელშეშლელი უნდა გამხდარიყო.

შვიდწლიანი ვალის გავლის შემდეგ, როცა დღის წესრიგში საქართველოს რუსეთისადმი ვალის რესტრუქტურირების (იხ. მაგალითად, მელქაძე, 2001) საკითხი დადგა, უკანასკნელის ზეწოლითა და საერთაშორისო საეკონომიკური ფონდის მხარდაჭერით საქართველო იძულებული შეიქმნა ხსენებული “შეთანხმების” რატიფიკაცია მოეხდინა, რითაც საკითხი “შეთანხმების” პარაფირებული ტექსტიდან ამოუარდნილ მუხლებთან მიმართებაში სამართლიანობის აღდგენის შესახებ სერიოზული კითხვის ქვეშ დააყენა.

### § XVIII.32. მეთოდური ხასიათის შეცდომები

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე არაერთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბება მოუხდა. ერთ-ერთი ასეთი საგადასახადო სისტემა იყო: საჭირო იყო საგადასახადო კანონმდებლობისა და საგადასახადო სამსახურის შექმნა, მისი დაკომპლექტება სათანადო მომზადების მქონე, პრაქტიკულად ძალზედ დეფიციტური კადრებით. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საქართველოს მოსახლეობას და საწარმოებს საბაზრო სისტემის პირობებში გადასახადების გადახდის და მასზე პასუხისმგებლობის არაავითარი კულტურა არ გააჩნდათ. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას არც გადამხდელმა იცოდა რა და

როგორ გადაეხადა და არც გადასახადის ამკრეფს ესმოდა, თუ რა და როგორ აეკრიფა. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში საგადასახადო სისტემა შეცდომებისაგან, ხარვეზებისაგან და როგორც შედეგი – კორუფციისაგან თავიდანვე არ იყო დასდევული (აღსანიშნავია, რომ ხსენებულ მომენტთაგან სწორედ მხოლოდ კორუფციას გააჩნდა საბჭოთა პერიოდიდან მომდინარე ტრადიციები და გამოცდილება).

ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე საგადასახადო სისტემა მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს. საზოგადოდ ეს აზრი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდანაც არის გაზიარებული; კერძოდ, მისი ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი ლეიფ მუტენი აღნიშნავს, რომ გარდამავალი პერიოდის პროცესში გადასახადი მარტივი უნდა იყოს (Мутен, 1993, с. 215).

საგადასახადო სისტემის სრულყოფა ეტაპობრივად საგადასახადო განათლების გაერცვლების, საგადასახადო კულტურის ამადლების კვალობაზე უნდა მოხდეს.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო სისტემის შექმნისთანავე ყოველად გაუმართლებელი იყო ბრუნვიდან გადასახადის დამატებული ღირებულების გადასახადით ჩანაცვლება. საქმე იმაშია, რომ კომუნისტური ტიპის ეკონომიკაში ბრუნვიდან გადასახადი თავისი ბუნებით სულაც არ იყო გადასახადი, ის საქონლის საცალო ფასსა და მწარმოებლის (ანუ საბითუმო) ფასს შორის მთავრობის მიერ წინასწარ დადგენილ სხვაობას წარმოადგენდა (მაგალითად, Ганди, Михальек, 1993, с. 170; Ганди, Мутен, 1994, с. 137). რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, მისი ეკონომიკური შინაარსი, გათვლის პრაქტიკა და ამოღების მექანიზმი მასობრივი გამოყენებისათვის საკმაოდ რთულია. ბევრად უფრო გამართლებული სხვა

სახეობის ირიბი გადასახადის გამოყენება იყო, რომლის ადმინისტრირებაც აშკარად მარტივია. კერძოდ, ასეთია ვაჭრობაზე გადასახადი (ანუ ბრუნვიდან გადასახადი ადვალური განაკვეთით), რომელიც საბოლოო შესყიდვის ეტაპზე გადაიხდება, რის გამოც გადასახადის გადაიხდელისათვის და ამკრეფისთვისაც დაბეგერის ეს მექანიზმი საკმაოდ გამჭვირვალე და ადვილად ადმინისტრირებადია. სწორედ ეს პრაქტიკა იქნა გამოყენებული, მაგალითად, რუმინეთში (Ганди, Мутен, 1994, с. 137-139).

აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი თავისი ეკონომიკური ბუნებით ბევრად უფრო გამართლებულია ვიდრე ვაჭრობაზე გადასახადი, რადგანაც დაბეგერას ბიზნესის ყველა სტადია ექვემდებარება და ამდენად საგადასახადო ტვირთი შესაბამისად ყველა ამ სტადიაზე ნაწილდება. მიუხედავად ამისა აშშ-ში, უდიდესი საგადასახადო კულტურის მქონე ქვეყანაში, ვაჭრობაზე გადასახადი დღესაც გამოიყენება და პრაქტიკულად დაუსრულებლად გრძელდება დისკუსია იმის თაობაზე, თუ რამდენადაა გამართლებული დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღება (მაგალითად, Slemrod, Bakija, 1996, pp. 209-215).

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დამატებული ღირებულების გადასახადი საბაზრო ტრადიციების დამკვიდრების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის გაელის შემდეგ იქნა შემოღებული. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყანაში ის მხოლოდ 1973 წელს შემოიღეს (Батлер, Айзек (ред.), 1997, с. 442), ანუ მაშინ, როცა ქვეყანას საბაზრო სისტემის განვითარების არაერთი საუკუნის (!) ისტორია ჰქონდა. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდმა დრომ განვლო დამატებული ღირებულების გადასახადის შემუშავებიდან იმ დრომდე, რაც ამ გადასახადმა ფართო აღიარება ჰპოვა. კერძოდ, გადასახადის ეს



სახეობა 1954 წელს ფრანგი ეკონომისტის მ. ლორეს მიერ იქნა შექმნილი და, როგორც აღინიშნა, თითქმის ოცი წელი დასჭირდა ევროკავშირის ქვეყნებში მის დამკვიდრებას, ხოლო დღეს ამ გადასახადის არსებობა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მასში (ევროკავშირში) გაწევრიანებისათვის (მაგალითად, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ფინეთი იძულებული იყო დამატებული ღირებულების გადასახადი 1994 წლის (!) ივლისში შემოეღო) (Сутырин, Погорлецкий, 1998, с. 32). სწორედ ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ სწრაფვა, ის ძირითადი მოტივია, რის გამოც პოსტკომუნისტური ქვეყნები თავის საგადასახადო პრაქტიკაში დამატებული ღირებულების გადასახადს ამკვიდრებენ (Teif, 1993, с. 222).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღების 18 თვიანი გრაფიკი (Teif, 1993, с. 226-232). ცალკეულ ქვეყანაში ეს გრაფიკი დროში შეიძლება კიდევ გაიწელოს; მაგალითად, რუმინეთში ამ გადასახადის შემოღებისათვის ორწელიწადნახევრიანი პერიოდი გახდა საჭირო (Ганди, Мутен, 1994, с. 141). საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალურ საკითხებში წამყვანი სპეციალისტის ვიტო ტანზის შეფასებით, თუ ქვეყანაში ვაჭრობაზე ერთიანი გადასახადი არ გამოიყენება, მაშინ დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის შემოღებას სულ ცოტა ორი წელი მაინც დასჭირდება; ეს პერიოდი შეიძლება ერთი წლით შემოიფარგლოს იმ შემთხვევაში, თუ დამატებული ღირებულების გადასახადზე გადასვლა ვაჭრობაზე გადასახადის უკვე მოქმედი სისტემიდან ხდება (Tanzi; 1992, p. 49). აქვე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის აღმინისტრირების კომპიუტერულ და სატელეკომუნიკაციო უზრუნველყოფას თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით ხუთიდან ათ წლამდე სჭირდება

(IMF, 1991, Ch. V.4), გასაგები გახდება, რომ გადასახადის მოცემული სახეობის შემოღება და დამკვიდრება საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია.

ყოველივე თქმულის კონზე საქართველოს ხელისუფლების უდიდეს შეცდომად უნდა ჩაითვალოს ბრუნვიდან გადასახადის კომპენსტური მექანიზმიდან დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრის სიტემაზე ნახტომისებური გადასულა, რითაც შემოთმრევეანილი იდეალური საგადასახადო სისტემის პირეული პრინციპი – სიმარტივე დაირღვა. ამის გამო მნიშვნელოვანი საგადასახადო შემოსავლები დაიკარგა, სასოგადოებაში დამატებული ღირებულების გადასახადის მიმართ უარყოფითი განწყობა ჩამოყალიბდა და გარკვეული ნიადაგი კორეფციისათვისაც შეიქმნა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა ის გახლდათ, რომ საქართველოს ხელისუფლებისაგან განსხევეებით მან შესანიშნავად იცოდა, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოყენება და აქედან გამომდინარე მისი რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო ვაჭრობაზე გადასახადის დროებით შემოღება და პარალელურად მსამზადებელი სამუშაოების ჩატარება დამატებული ღირებულების გადასახადის მექანიზმზე გადასახეულად, რაც არ განხორციელდა. ჩვენი მხრიდან ამ მინიშნების საფუქელიანობას ისიც აძლიერებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტების მიერ მომზადებულ “საგადასახადო პოლიტიკის სახელმძღვანელოში”, რომელიც უწინარეს ყოველისა ფონდის მისიათა შემადგენლობაში მომუშავე ეკონომისტებისათვის არის განკუთვნილი, მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნადაა დაფიქსირებული, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღებას გადასახადის გადამხელთა განათლებისა

და გადასახადის ამკრეფთა სწავლების თვალსაზრისით დიდი ძალისხმევა ესაჭიროება, რის გამოც ფონდი, ცალკეულ შემთხვევაში, გადასახადის მოცემული სახეობის შემოდებამდე ბრუნვიდან და ვაჭრობიდან გადასახადის სტრუქტურის სრულყოფის რეკომენდაციას იძლევა (Shome (ed.), 1995, p. 280). სამწუხაროდ საერთაშორისო სავალუტო ფონდს ასეთი რეკომენდაცია საქართველოს ხელისუფლებისადმი არ მიუცია.

დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებაში კიდევ უფრო დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ამ გადასახადით სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბეგერა, რადგანაც სოფლად ამ გადასახადის აკრეფის ადმინისტრირების არაერთარი ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში ჩამოყალიბებული აზრის თანახმად პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში უმრავლესი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილია მსხვილი სახელმწიფო საწარმოებითა და (ან) კოოპერატივებით, სადაც პრინციპში შესაძლებელია დამატებული ღირებულების აღრიცხვა და შესაბამისი დაბეგერაც; წერილი ფერმერები დამატებული ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან და ამ გადასახადით დაბეგერას იმ მომენტიდან ექვემდებარებიან, როცა მათი წლიური ბრუნვა კანონით დადგენილ ზღვარს გადააჭარბებს (Teñt, 1993, c.234). ამ, ერთი შეხედვით სწორ მიდგომაზე დაყრდნობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმკაცრესი რეკომენდაციით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგერა იქნა შემოღებული. თავდაპირველად წლიური ბრუნვის ის მინიმალური ზღვარი, რომლის ზევითაც ამ გადასახადით სასოფლო-სამეურნეო საწარმო იბეგერება 3 000 ლარის დონეზე განისაზღვრა, თანდათანობით ჯერ 20 000

ლარამდე, შემდეგ 35 000 ლარამდე გაიზარდა და საბოლოოდ 100 000 ლარის დონეზე გავიდა. აქვე ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაეხსენას, რომ, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მომზადებულ ზემოხსენებულ “საგადასახადო პოლიტიკის სახელმძღვანელოში” მითითებული, ფონდი იმ სფეროებს განსაზღვრავს, სადაც მისივე რეკომენდაციით დამატებული ღირებულების გადასახადი მისი რთული ადმინისტრირების გამო არ უნდა იქნეს გამოყენებული; კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ სფეროდ სასოფლო-სამეურნეო სექტორია აღიარებული. იქვე აღნიშნულია, რომ ფონდმა ამ ტიპურ პრაქტიკაზე უარი მხოლოდ პოსტ-კომუნისტური ქვეყნების მიმართ თქვა, სადაც მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია შენარჩუნებული (Shome (ed.), 1995, p. 280).

ამ სქემის საქართველოში გამოყენებისას გათვალისწინებული არ იქნა, რომ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (სახელმწიფო, თუ კოლექტიური) პრაქტიკულად ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მიღებისთანავე დაიშალა და აგრარული სექტორი ძირითადად მხოლოდ წვრილი მეურნეობებით არის წარმოდგენილი. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში, ჯერ-ერთი, პრაქტიკულად მთელი დარგი დარჩა ირიბი გადასახადით დაუბეგრავი, ხოლო, მეორე, – შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამსხვილების და შესაბამისად ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ძლიერი საგადასახადო ანტისტიმული. იდეალური საგადასახადო სისტემის პოზიციებიდან გამომდინარე ამ შემთხვევაში პირველი პრინციპი – სიმარტივე და მეოთხე პრინციპი – უნივერსალურობაა დარღვეული.

საქართველოს მთავრობის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის მეურნეობაში დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღების სანაცვლოდ მიწის გადასახადი გაზრდილიყო (რაც ადმინისტრი-

რების თვალსაზრისით მარტივია და, ამდენად გამჭვირვალე და კორუფციისაგანაც უფრო დაზღვეული) საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ პრინციპულად არ იქნა გაზიარებული იმ მოტივით, რომ, ჯერ-ერთი, ეკონომიკის ყველა დარგი დამატებული ღირებულების გადასახადით უნდა დაიბეგროს, რადგანაც გადასახადის ეს სახეობა, როგორც ითქვა, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ირიბ გადასახადთა შორის ყველაზე უფრო გამართულია (მაგალითად, IBRD, 1991, p. 31), ხოლო მეორე, – მიწის გადასახადის დამატებული ღირებულების გადასახადის ექვივალენტური სიდიდით გაზრდის პირობებში ფონდის სპეციალისტებს ჯერ-ჯერობით დამუშავებული არა აქვთ ის მექანიზმი, თუ ამ შემთხვევაში წარმოების წინა სტადიაზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის გამორიცხვა შემდეგ სტადიაზე როგორ მოხდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდური ხასიათის კიდევ ერთ შეცდომას წარმოადგენს მისი რჩევა და საბოლოოდ მოთხოვნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას გაუქმებინა მოგების იმ ნაწილის მოგების გადასახადისაგან განთავისუფლება, რომელიც რეინვესტირებაზე მიდიოდა. ამით ქვეყანაში, რომელსაც ინვესტიციების უდიდესი დეფიციტი აქვს, წარმოების განვითარების საფინანსო რესურსის მოძიების პირდაპირი სტიმული იხლუდება. მართალია . 1995 წელს, როცა ფონდმა ხსენებული საგადასახადო შედავათის გაუქმება მიითხოვა, ამ შედავათით ფაქტობრივი სარგებლობის დონე წარმოების წინა პერიოდში მნიშვნელოვანი დაცემის გამო აშკარად დაბალი იყო, მაგრამ თავად ამ გაუქმებამ მეწარმეების თვალსაწიერიდან თუნდაც პრესპექტივაში წარმოების განვითარებაზე ორიენტირის აღების საფინანსო სტიმულით განპირობებული შესაძლებლობა მოხსნა. აქვე მიზანშეწონილია ხაზი

იმ გარემოებასაც გაესვას, რომ მოგების საინვესტიციო ნაწილის შესაბამისი გადასახადისაგან განთავისუფლება გარკვეული ზომით ხელს უწყობს მოგების, და საბოლოო ჯამში დამატებული ღირებულების აღრიცხვიანობის საკითხის მოწესრიგებას, რაც საგადასახადო შემოსავლების ზრდაში აისახება; სამწუხაროდ მოგების საინვესტიციო ნაწილის დაბეგვრიდან განთავისუფლების გაუქმებამ ზოგადად დასაბეგრი ბაზის აღრიცხვიანობის სრულყოფაზეც უარყოფითად იმოქმედა.

არანაკლებ საყურადღებოა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეცდომა საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში; კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი პროგრესიული ხასიათი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა, ერთის მხრივ მოსახლეობა არა მარტო (და არა იმდენად) სახელმწიფო, არამედ (და უფრო მეტადაც) კერძო სექტორშია დასაქმებული, ხოლო მეორეს მხრივ, ხელფასის გარდა გაიზარდა ისეთი შემოსავლები როგორცაა პროცენტი, რენტა, დივიდენდი და სხვ., დღის წესრიგში თითოეული ინდივიდის შემოსავლის ცალკე დაბეგვრის პრობლემა დადგა.

პროგრესიული საშემოსავლო გადასახადის გამოყენება საკმაოდ რთული ადმინისტრაციული მექანიზმის ამოქმედებას მოითხოვს, რომელიც შემოსავლების პერსონალური დეკლარაციების სისტემის შემოღებას ეყრდნობა, როცა კალენდარული წლის ბოლოს თითოეულმა ინდივიდმა წლის განმავლობაში ყველა წყაროთი მიღებული შემოსავალი და შესაბამისად დაბეგრილი თანხა უნდა დათვალოს, შემდეგ დამატებით დასაბეგრი თანხა პროგრესიული შკალის გამოყენებით გაიანგარიშოს და გადაიხადოს ის. ბუნებრივია, რომ საგადასახადო კულტურის არ არსებობის, ან თუნდაც მისი დაბალი დონის პირობებში მოსახლეობა ამ რთულ პროცედურას არ ასრულებს და მისი რეალიზაციისათვის

არც საგადასახადო სამსახურია მზად. მაშასადამე, პროგრესიული სა-  
შემოსავლო გადასახადი ასეთ პირობებში თითოეულ გადამხდელში გა-  
დასახადის არგადახდის, ანუ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვე-  
ვის მენტალიტეტს აძლიერებს. იდეალური საგადასახადო სისტემის  
პრინციპებიდან ამ შემთხვევაში დარღვეულია პირველი – სიმარტივე,  
და მეორე – სიცხადე.

ადმინისტრირებისათვის ბევრად უფრო მარტივი და ამდენად გამ-  
ჭვირვალე პროპორციული საშემოსავლო გადასახადის სისტემაა, როცა  
ყველა ინდივიდუალური შემოსავალი ერთიანი განაკვეთით იბეგრება და  
თითოეული ინდივიდის მიერ საკუთარი დამატებითი გადაანგარიშების  
ნატარების აუცილებლობა არ არსებობს.

ყოველივე თქმულიდან გასაგები უნდა იყოს, თუ რაში მდგომარე-  
ობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვე-  
ბული ამ შეცდომის არსი, როცა მან პროგრესიული საშემოსავლო გა-  
დასახადის სისტემის არსებობა მოითხოვა. ამ შეცდომის მიზეზი მით  
უფრო გაუგებარია, როცა ფონდის წამყვანი ექსპერტები ვედ პ. განდი  
და დუბრაეკო მიხალეკი თვლიან, რომ საწყის ეტაპზე ერთიანი პრო-  
პორციული საშემოსავლო გადასახადის სისტემის გამოყენება გამართ-  
ლებული (Ганди, Михальек, 1993, с. 188), ხოლო ლეიფ მუტენი კი აღნიშ-  
ნავს, რომ პროგრესიული საშემოსავლო გადასახადის სისტემამ შეიძ-  
ლება შრომასა და რისკზე ანტისტიმულები შექმნას, და საგადასახადო  
კანონმდებლობის შესრულებაზე ნეგატიურად იმოქმედოს (Мутен, 1993,  
с. 199).

განხილული სამი პრობლემიდან პირველს, ანუ დამატებული ღი-  
რებულების გადასახადის ვაჭრობიდან გადასახადით ჩანაცვლებას უკვე  
არაფერი ეშველება. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს მთავრობამ

ამ მიმართულებით საქრთაშორისო საგაღმწეო ფონდიდან უკვე საკმაოდ უნდობის ტექნიკური დახმარება მიიღო და გარკვეულწილად შედარებით გაუმჯობესდა კიდევ ამ გადასახადის ამოღების პრაქტიკა. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ საქართველოს ევროპული ორიენტაციის, ევროკავშირში გაწევრიანების ამოცანის პირობებში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ყოველად გაუმართლებელი იქნება ამ ეტაპზე დამატებული ღირებულების გადასახადზე უარის თქმა.

ძალზედ საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს საქრთაშორისო საგაღმწეო ფონდის პოზიციის შეცვლა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგერასთან დაკავშირებითაც. თუმცა, მცირედი შანსი მაინც არის იმის გათვალისწინებით, რომ ფონდის პოზიციას ამ საკითხში არ იზიარებენ, როგორც კერძო ექსპერტები გერმანიიდან (ჰორნი, ცურეკი, 1998, გვ. 10), ასევე რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ევროკავშირის ექსპერტებიც (ეკ, 1999, გვ. 67), რომლებიც, ისევე როგორც საქართველოს მთავრობა, უფრო გამართლებულად მიწის გადასახადის გაზრდას მიიჩნევენ.

რაც შეეხება მოგების რეინვესტიციის ნაწილის გადასახადისაგან განთავისუფლებას ეს აუცილებლად უნდა გახდეს საქრთაშორისო საგაღმწეო ფონდთან მოლაპარაკების თემა, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტის, კრისტერ ანდერსონის აზრით საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ამადლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება საინვესტიციო საგადასახადო კრედიტია (Андерсон, 1993, с. 125). მიუხედავად ამისა, მაინც საეჭვოა, რომ საბიუჯეტო კრიზისის პირობებში ფონდი ამ ნაბიჯზე ადვილად დაეყოფილით, მაგრამ მოლაპარაკება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, ვინაიდან, თუ კი შეთანხმებას ვერ მივაღწევთ წარმოების განვითარება და



საბოლოო ჯამში საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა კვლავ რთულად გადასაწყვეტ ამოცანად დარჩება.

პროგრესიული საშემოსავლო გადასახადის სისტემიდან პროპორციულზე გადასვლის აშკარა მიზანშეწონილობის (რასაც, როგორც ზემოთ ითქვა, თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებიც აღნიშნავენ) მიუხედავად, ძალზედ მცირეა იმის ალბათობა, რომ ამ საკითხზე ფონდთან შეთანხმება იქნეს მიღწეული. საქმე ის გახლავთ, რომ დაბეგერის პროპორციული სისტემიდან პროგრესიულზე გადასვლა საზოგადოდ ურთულეს პოლიტიკურ ნაბიჯად არის მინეული და ამიტომ, სავარაუდოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი პროპორციული საშემოსავლო გადასახადის, პროგრესიულზე სამომავლო დაბრუნების ბუნდოვანი გარანტიის პირობებში შემოღებას სავარაუდოდ არ დაეთანხმება. წარმატების გარკვეულ შანსს პროპორციული საშემოსავლო გადასახადისადმი საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ის მიერ დანიშნული მრჩეველის პროფ. ლეშეკ ბალცეროვიჩისა და მისი ჯგუფის აქტიურად პოზიტიური მხარდაჭერა იძლევა.

### § XVIII.3.3. მეთოდოლოგიური შეცდომა

1995 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში ჩვენს მიერ ეკონომიკური რეფორმების “სოციალური სტიმულირების” მეთოდი იქნა შემუშავებული (პაპავა, 1995ბ, გვ. 18-26; Papava, 1996A, 1996B, 1999), რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს “საგადასახადო თერაპიის” მიდგომა წარმოადგენდა (პაპავა, 1995ბ, გვ. 22-25; Papava, 1996A, pp. 263-267; 1999, pp. 285-291). ამ უკანასკნე-

ლის თანახმად მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი სტიმული საგადასახადო განაკვეთების შემცირების გსით საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება უნდა გამხდარიყო.

“საგადასახადო თერაპიის” მეთოდოლოგიურ საფუძველს ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ლაფერ-ქენიზიანური სინთეზის თეორიული კონსტრუქცია წარმოადგენს. კერძოდ, საგადასახადო განაკვეთების შემცირებით მიწოდებისა და მოთხოვნის ერთდროული ზრდის კვალობაზე წარმოების განვითარების შესაძლებლობა იქნა დასაბუთებულ (იხ. § XII.3).

საგადასახადო განაკვეთების სიდიდეზე ან სიმცირეზე მსჯელობა უაზრობაა, თუ კი ის საგადასახადო ადმინისტრაციის სრულყოფილების დონესთან შესაბამისობაში არ არის განხილული. ეს პოზიცია სრულად არის გაზიარებული საერთაშორისო საეკონომიკურ ფონდის მიერაც (Shome (ed.), 1995, pp. 267-272). 1995 წელს საქართველოში ძალზედ მძიმე კრიმინოგენური სიტუაციის გამო, სხვა თანაბარ პირობებში, სერიოზულ საგადასახადო ადმინისტრაციაზე საუბარი პრაქტიკულად აზრს იყო მოკლებული. “სოციალური სტიმულირების” მეთოდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად სწორედ კრიმინოგენური სიტუაციის გაჯანსაღება იქნა მიჩნეული. “საგადასახადო თერაპიის” მიდგომის ფარგლებში იმ დროს შემუშავებული წინადადებები მაქსიმალურად შეესატყვისებოდა საგადასახადო ადმინისტრაციის განვითარების არსებულ დონეს.

გარდა ზემოხსენებული დადებითი ეფექტებისა, საგადასახადო თერაპიის” ძირითადი მიზანი ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის მასშტაბების შემცირებაა. ამ იდეის ჭეშმარიტება განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე საკმაოდ საინტერესოდაა გაანალიზებული ბარენც ჯგუფის მიერ (Thirsk, 1997, pp. 12, 15). აქვე აღსანიშნავია, რომ პრინციპ-

ში ეს აზრი გაზიარებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერაც, როცა მისი ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი ალან თეითი წერს, რომ 5 პროცენტის განსახადის შემთხვევაში განსახადის გადახდისაგან თავის არიდება უფრო მიმზიდველი არ არის, ვიდრე 10 პროცენტის და მით უფრო 15-20 პროცენტის შემთხვევაში, მით უფრო თუ კი შესაბამის საჯარიმო სანქციებსაც გავითვალისწინებთ (Tail, 1988, p.18). ის, რომ საგადასახადო სისტემის მაღალეფექტიანობა შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთების პირობებში მიიღწევა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სხვა წამყვანი ექსპერტის, კრისტერ ანდერსონის მიერაც არის გაზიარებული (Андерсон, 1993, с. 129). თავის მხრივ კიდევ ერთხელ არის აღსანიშნავი, რომ დაბალი საგადასახადო განაკვეთის მიზანშეწონილობა, როგორც ზემოთ იყო მითითებული, იდეალური საგადასახადო სისტემის მესამე პრინციპს წარმოადგენს. აქვე აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ როგორც ფილიპ ჩაპელი თვლის მაღალი განაკვეთების გადასახადები კარლ მარქსის გამოგონებაა ბურჟუაზიის ძალაუფლების დასათრუნად (Chappell, 1990, p. 43).

„საგადასახადო თერაპიის“ მიდგომის ფარგლებში საქართველოს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის შესახებ კონკრეტული წინადადებები იქნა ჩამოყალიბებული, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებს 1995 წელს გადაეცა, რაზედაც მათ მიერ უარყოფითი დასკვნა იქნა გაკეთებული: რადგანაც მსოფლიოში არ არსებობს იმის ერთმნიშვნელოვანი დადასტურება, რომ გადასახადების განაკვეთების შემცირებას საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა აუცილებლად მოჰყვება, ამიტომ ამის გაკეთება საქართველოშიც არ იქნება მიზანშეწონილი. ამ დასკვნის საფუძველად აშშ-ის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ 1981 წლის „ეკონომიკის გაჯანსაღების საგადასა-

ხადო აქტით” (“The Economic Recovery Tax Act”) შემცირებული საგადასახადო განაკვეთების შემოღების შემდეგ ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის არა შემცირების (როგორც ამას მოელოდნენ), არამედ ზრდის ფაქტი იყო აღებული (მაგალითად, Krugman, 1998, p. 48; Stenrod, Bakija, 1996, p. 28; Steinmo, 1993, pp. 163-164; Haymov, 1999, c. 23). ამგვარ მიდგომასთან დაკავშირებით უკრაინული ეკონომისტების ვ. ვიშნევსკისა და დ. ლიპნიცკის გამოკვლევა ალსანიშნავი, რომლის თანახმადაც ის, რომ შემოღებული გადასახადების განაკვეთების შემცირებას ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა მოჰყვა, “მიწოდების თეორიის” უვარგისობის დამტკიცებისათვის სულაც არ არის საკმარისი; მათი აზრით საკითხი თითოეული კონკრეტული სახელმწიფოსათვის და იმ მინიმალურად აუცილებელი დროითი მონაკვეთის განსაზღვრის ტრილში უნდა იყოს დაყენებული, როცა გადასახადების განაკვეთების შემცირება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას გამოიწვევს (Вишнеvesкий, Липницкий, 2000, сс. 107-108). ამ გამოკვლევის ღირსებად უნდა ნათქვამი იქნას, რომ მასში ის პირობებია განსაზღვრული. რომელთა შესრულების შემთხვევაში გადასახადების განაკვეთების შემცირებას წარმოების გაფართოება და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა მოჰყვება, ამასთან ამ პირობების შესრულების აღბათობა სწორედ პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებშია შედარებით მაღალი (Вишнеvesкий, Липницкий, 2000, сс. 110-111) (იხ. § XII.3).

დასაინანი, რომ საქართველოს მხარის წარმომადგენელთა უმრავლესობა “საგადასახადო თერაპიის” იდეოლოგიას არ იზიარებდა ბუნებრივია, რომ, როცა ურთულესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტასა საუბარი, მთავრობის პოზიციის ერთიანობის დემონსტრირება უადრესად მნიშვნელოვანია, რაც, მართა-

ლია, საკმარისი არ არის, მაგრამ ფონდის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისას წარმატების მისაღწევად აშკარად აუცილებელი პირობაა.

✓ ამ უარყოფითი განწყობის მიუხედავად 1996 წელს საერთაშორისო საეკონომიკო ფონდთან შეთანხმებით მაინც მოხერხდა გადასახადების და გადასახდელების მხოლოდ რამოდენიმე სახეობის მიხედვით განაკვეთის შემცირება.

✓ საგადასახადო განაკვეთის შემცირებით გამოწვეული შესაბამისი შემოსავლების ზრდის სიდიდის დასადგენად, მოცემული გადასახადის მიხედვით შემოსავლის ზრდის ტემპი ეკონომიკის ზრდის (ინფლაციის გათვალისწინებით) ტემპით და იმ საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპით უნდა შემცირდეს, რომელთა მიხედვითაც საგადასახადო განაკვეთები არ შეცვლილა. პირველი კორექტივი ეკონომიკური ზრდის ფაქტორის, ხოლო მეორე კი – საგადასახადო და შესაბამისად საბაუო აღმინისტრირების გაუმჯობესების გამოსარიცხადაა საჭირო. შედეგად ასეთი სურათი მივიღეთ, 1997 წელს გადასახდელები იურიდიული პირებისგან სოცუზრუნეულოფის და სამედიცინო დასდევკის ფონდში განაკვეთის 37-დან 27 პროცენტამდე შემცირების ხარჯზე 41 პროცენტით, გადასახდელები დასაქმების ფონდში განაკვეთის 3-დან 1 პროცენტამდე შემცირების ხარჯზე 1 პროცენტით, ლულზე აქციზური განაკვეთის 100-დან 15 პროცენტამდე შემცირების ხარჯზე 26,4 პროცენტით, ხოლო ზოგიერთ საქონელზე 12 პროცენტისანი საიმპორტო გადასახადის განაკვეთის 5 პროცენტამდე შემცირების ხარჯზე 34,6 პროცენტით გაიზარდა. როგორც ეხედავთ ✓“საგადასახადო თერაპიის” თუნდაც ძალზედ შეკვეცილმა ვარიანტმა აშკარად გაამართლა/ საიდანაც გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო საეკონომიკო ფონდის თანხმობის შემთხვევაში ჯერ კიდევ 1997 წელს შესაძლებელი იქნებოდა საგა-

დასახადო შემოსავლების მობილიზაციის საქმეში უფრო მთავარეკლავი შედეგებისათვის მიგვეღწია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ფართომასშტაბიანი “საგადასახადო თერაპიის” საკითხის ხელახალი წამოყენება პრაქტიკულად არაერთარი შედეგის მომცემი არ იქნება. ამის მთავარი მიზეზი კი სვენს ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისია. რომელიც 1998 წელს წამოყალიბდა და სამწუხაროდ დღესაც გრძელდება. როგორც ვ. ვინჩესკისა და დ. ლიპნაცკის შემოსხენებულ გამოკვლევაშია ნახვენები, საგადასახადო განაკვეთების შემცირებას საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებაც მიესიერად მოჰყვება და ამ უკანასკნელის ზრდა მხოლოდ დროის გარკვეული პერიოდის გაელის შემდეგაა შესაძლებელი. ორის გამოც მწვავე საბიუჯეტო სიტუაციის დროს წრაც პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი) “საწოდების თეორიის” მიდგომის გამოყენება ძალზედ რთულია; ამავე დროს “წრდილოვანი ეკონომიკის” მასშტაბების შემცირება საგადასახადო განაკვეთების დონის დაწვეით ამ უკანასკნელის საკმაოდ ფართო დიაპაზონში განხორციელებას მოითხოვს, რაც საწყის ეტაპზე ასევე მნიშვნელოვნად შეამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს (Винчешкии, Липншцкии, 2000, сс. 114-116) (იხ. § XII.4).

მიუხედავად ამისა, გადასახადის და გადასახდელის სოგიერთი სახეობის მიხედვით განაკვეთის შემცირებაზე ღისკუსიის განახლება შეიძლება საკმაოდ რეალური აღმოსნდეს. ამ მხრივ, მაგალითად, მეტნაკლებად რეალურია სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ფონდში გადასახდელის განაკვეთის შემცირება, რადგანაც დღეს მოქმედი მისი დონე თეადმისაცემად მაღალია, მით უფრო, რომ ამ პარამეტრის შემცირებაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრინ-

ციპული თანხიობა უკვე არსებობდა, თუმცა როგორც ეს არაერთხელ მომხდარა მან (ყონდმა) პოლიცია ასოთსმოცი გრადუსით შეიცვალა (IMF, 2000, pp. 29-32).

საქართველოში დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი მეწარმეთათვის (მათ შორის ქვეყანაში მეოფი უცხოელებისთვისაც, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის გარკვეულ პირობებში შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქონდეს) იმდენად მიუღებელია, რომ ქართველ სპეციალისტთა ერთი ჯგუფი უცხოელ ექსპერტთა დახმარებით ახალი საგადასახადო კანონმდებლობის შექმნაზე მუშაობს (ორველაშვილი, და სხვ., 2002).

#### § XVIII.3.4. დაბნეულობით გამოწვეული შეცდომები

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების კვალიფიკაციაში უკვე პრაქტიკულად არავის ეპარება, საქართველოში მათი გარკვეული დაბნეულობა სულ ცოტა ორჯერ მაინც იქნა დაფიქსირებული.

1995-1996 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მხრიდან რამოდენიმეჯერ გაიჟღერა საბაჟოზე მინიმალური საანგარიშო ფასების სისტემის შემოღების მიზანშეწონილობამ, რითაც იმპორტიორების მხრიდან, საგადასახადო ბაზის შეკვეცის მიზნით, სახელშეკრულებო ფასის ხელოვნურად შემცირების პრაქტიკა უნდა გამორიცხულიყო. მართალია ეს რეკომენდაცია აუცილებელ ხასიათს არ ატარებდა და ამავე დროს საქმაოდ ზოგადი, და ამდენად ბუნდოვანი ფორმულირებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მან, სხვა თანაბარ პირობებში, სა-

ქართველს პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მიღებას გაუკეთა ინიცირება, რითაც ასეთი ფასების დაწესებისა და გადასინჯვის მექანიზმი განისაზღვრა, და საქონელთა შესღებულ ჩამონათვალზე ეს სისტემა ამოქმედდა კიდევც. ამან მსოფლიო ბანკთან ქვეყნის თანამშრომლობა საკმაოდ გაართულა (რამეთუ ბანკი ხსენებული სისტემის სასტიკი წინააღმდეგი იყო), და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებითაც პრობლემები შეიქმნა. ასეთ ვითარებაში თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ სისტემის მიმართ უკვე თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც დააფიქსირა და მისი გაუქმება მოითხოვა. ამის მიღწევას კი წელიწადზე მეტი დრო და საკმაოდ დიდი პოლიტიკური ძალისხმევა დასჭირდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაბნეულობით გამოწვეული შეცდომა ბევრად შთამბეჭდავია აქციზურ მარკებთან დაკავშირებით. კერძოდ, ფონდის ექსპერტები თავიდან აქციზური მარკების შემოღების სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ, ხოლო მოგვიანებით უმკაცრესად მოითხოვნენ ამის გაკეთებას.

1995-1996 წლებში საქართველოს მთავრობა პრაქტიკულად აქციზური მარკების შემოღების საკითხს გაუდგამებით აყენებდა, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იყო, რადგანაც ფონდის ექსპერტები თვლიდნენ, რომ ხელისუფლება ამ მარკების გაყალბების პრობლემას თავიდან ვერ აიცილებდა. 1998 წელს კი სიგარეტსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზური მარკების შემოსაღებად უმკაცრესი მოთხოვნით უკვე თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდი გამოვიდა. 1999 წელს აქციზური მარკის შემოღების შემდეგ საშუალო შემოსავალი თვეში იმპორტულ სიგარეტზე უშუალოდ ამ მარკების შემოღების ხარჯზე 3,2-ჯერ, ხოლო ადგილობ-



რიუსე 192-ჯერ გაიზარდა. შეიძლება დავასკენათ, რომ ქვეყნის ბიუჯეტს წლების განმავლობაში ძალზედ მნიშვნელოვანი თანხები დააკლდა.✓

### § XVIII.35. ფასწარმოქმნის ფაქტორების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შეცდომა

✓ საბაუოზე მინიმალური საანგარიშო ფასების გაუქმებისა და აღკოპოლური სასმელებიდან საგადასახადო შემოსავლების ამოღების გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით გადაწყდა ამ სასმელებზე ფიქსირებულს გადასახადის შემოღება.✓ე.წ. “ადვალური” (ad valorem) (ანუ პროცენტული განაკვეთის საფუძველზე განსაზღვრული) გადასახადის ნაცვლად.

საქონლის ფიქსირებული გადასახადის განაკვეთის გათვლისას მის საერთაშორისო ფასს ადვალური გადასახადები დაერიცხება და აბსოლუტურ გამოხატულებაში მოცემული სიდიდისაგან საწყისი ფასის გამოკლებით გასათვლელი გადასახადის ოდენობა მიიღება. მსოფლიო ვაჭრობაში მიღებული წესების თანახმად როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული საქონელი ერთნაირ რეჟიმში უნდა იბეგრებოდეს, რის გამოც ფიქსირებული გადასახადით “ადვალური” გადასახადის ჩანაცვლება ორივე – ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტულ ალკოპოლურ სასმელებზე მოხდა. რადგანაც იმპორტი ადგილობრივი წარმოებისაგან განსხვავებით დამატებით საბაუო გადასახადით იბეგრება, ბუნებრივია, რომ ეს დაბეგრის ახალი რეჟიმის პირობებშიც კპოვებს ასახვას.

საქართველოს მხარის წინადადება იყო, რომ ფიქსირებული გადასახადის ოდენობის გამოსათვლელად ალკოჰოლური სასმელების საწყისი ფასი იმპორტის შემოსეველაში 10 პროცენტით გაზრდილიყო, რაც იმითაა განპირობებული, რომ იმპორტი თავისთავად შეუძლებელია ქვეყნის სახლერამდე ტრანსპორტირების გარეშე, რისი ხარჯებიც შესაბამისი დახდევის ნათვლით საქონელს არა ნაკლებ 10-15 პროცენტით აძვირებს. ხასგასასმელია ის გარემოება, რომ “ადვალური” გადასახადით დაბეგრისას იმპორტის დროს ხსენებული ტრანსპორტირების და შესაბამისი დახდევის ფაქტორებით გამოწვეული ფასთასხვაობა გადასახადის აბსოლუტურ ოდენობაზე აისახება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ფიქსირებული გადასახადის ოდენობის განსახდერის დროს ფასთასხვაობის ხსენებული ფაქტორების გათვალისწინების ობიექტური მისანშეწონილება ვითომდა დამატებითი პროტექციონისტული ღონისძიებების საბაბით (თითქოსდა შესაძლებელი იყოს იმპორტის განხორციელება ქვეყნის სახლერამდე ტრანსპორტირების გარეშე) იქნა უარყოფილი. დღეს ამ საკითხის შემოტრიალება საწყის პოზიციაზე უკვე პრინციპულადაა შეუძლებელი, რადგანაც საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწვერიანების შემდეგ იმპორტთან დაკავშირებული დაბეგრის რეჟიმის ნებისმიერი ცვლილება იმ ვალდებულებებში უნდა ჯდებოდეს, რაც ქვეყანამ გაწვერიანებისას აიღო.

### § XVIII.3.6. ტრაფარეტული მიდგომით გამოწვეული შეცდომები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის კრიტიკის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზისას, უკვე აღინიშნა, რომ წინაშე შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ტრაფარეტულად ერთსა და იმავე სქემას იყენებენ (თავი III).

საქართველოსთან მიმართებაში ამის ყველაზე უფრო კუროსული მაგალითი ფონდის ექსპერტების მიერ მომზადებული ერთ-ერთი მემორანდუმის პროექტში დაფიქსირებული აზრია იმის შესახებ, რომ საქართველოს მიერ მიღწეულ წარმატებათა შორის ქვეყანაში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული დაძლევაა აღსანიშნავი (?). აშკარაა, რომ ეს ფრაზა, ალბათ, რომელიმე აფრიკული ქვეყნისათვის ფონდის მიერ მომზადებული ტრაფარეტული ჩანაწერიდან უცვლელად იქნა გადმოტანილი. ბუნებრივია, რომ ეს ჩანაწერი მემორანდუმის საბოლოო ტექსტიდან ამოღებულ იქნა.

ტრაფარეტული მიდგომით გამოწვეულ ძალზედ მნიშვნელოვან შეცდომას საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების უშუალო აქტიური მონაწილეობით მომზადებული და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ძალისხმევით 1997 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საგადასახადო კოდექსი წარმოადგენს. ზოგადად საგადასახადო კოდექსის არსებობის ფაქტი მხოლოდ და მხოლოდ მისასაღმებელია, მაგრამ ის ისეთი “მიმე” ენით არის შედგენილი, რომ გადასახადის არა მარტო რიგითი გადამხდელისათვის, არამედ, ხშირ შემთხვევაში, სპეციალისტებისათვისაც გაუგებარია; იმავედროულად ცალკეული პროცედურები იმდენად გართულებულია, რომ მათი სრულყოფა

სოეანი განხორციელების თავიდან აცილების მიზნით კოდექსი გარკვეულ პირობებში მეწარმეს ქრთამის მიცემისკენაც კი უბიძგებს. აქვე იმასაც უნდა გაეხეიას ხაზი, რომ თავად საერთაშორისო საგალუტო ფონდის აღიარებით საგადასახადო შემოსავლების დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გადასახადების აკრეფასთან დაკავშირებული ზედმეტად რთული პროცედურები იყოს (MIB, 1997, c. 10).

თუ კი საქართველოს საგადასახადო კოდექსს შემოთმრევეანილი იდეალური საგადასახადო სისტემის პრინციპებიდან შეეფაფასებთ, სულაც არ არის ძნელი შესამჩნევი ის, რომ საქსივე პრინციპი დარღვეულია, მაგრამ ყველაზე მწვავე, წვენი აზრით, უმთავრესი პრინციპის – სიმარტივის უგულებელყოფაა.

საქართველოში 1998 წელს დაწეებული საბიუჯეტო კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად ხელისუფლების, მეწარმეების და ჟურნალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნდოვნებით სავსე საგადასახადო კოდექსს მიიწნეეს. კრიტიკოსები იმ ფაქტს იმველიებენ, რომ საგადასახადო კოდექსი, როგორც აღინიშნა, ამოქმედდა 1997 წლის სექტემბერში, ხოლო კრიზისი პრაქტიკულად 1998 პირველ ნახევარში დაიწყო.

საგადასახადო კოდექსის მიღიანობაში გადასინჯვასთან დაკავშირებით საქართველოს სახელისუფლებლო გუნდის ზოგიერთი წევრის მცდელობის მიუხედავად, საერთაშორისო საგალუტო ფონდის წარმომადგენელთა ინსტიტუციონალური პატრიოტიზმი ურყევია: რადგანაც კოდექსი ფონდის ექსპერტების მიერაა დაწერილი ის იმდენად კარგია, რომ პრინციპულ რევიზიას არ ექვემდებარება. მიუხედავად ამისა მაინც არის გარკვეული შანსი, რომ საგადასახადო კოდექსი მისი გამარტივების მიმართელებით გადაისინჯოს. კერძოდ, საქმე იმასია, რომ კოდექსით უკმაყოფილება საქართველოში მოღვაწე უცხოელმა მეწარმეებმაც

გამოთქმეს, რამაც ასახვა “ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში”-ს მიერ მომზადებულ სავადასახადო კოდექსში შესატანი აშკარად პროგრესული ცვლილებების კანონის პროექტში პიკვა: რადგანაც სავადასახადო კოდექსით უკმაყოფილება ე.წ. “ეროვნულ წარჩოს” გასცდა და მისი ცვლილების ლობირებაში მონაწილეთა რიცხვი, უწინარეს ყოველისა გეოგრაფიული თვალსაზრისით ფართოვდება, იმის აღბათობა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ხსენებულ ცვლილებათა გათვალისწინების მიზანშეწონილობა გაიზიაროს, იზრდება.

ამისდა მიუხედავად, ჩვენი ღრმა რწმენით, მოქმედი სავადასახადო კოდექსის სრულყოფაზე დროის კარგვას მაინც ისეთი ახალი სავადასახადო კანონმდებლობის შექმნა (იხ. § XVIII.3.3) აჯობებს, რომელიც “გენეტიკურად” იქნება მოქმედი კოდექსის სიმახინჯეებიდან თავისუფალი.

### **§ XVIII.3.7. ლობირებით გამოწვეული შეცდომა**

შესაძლო ლობირების შესახებ სემოთმოყვანილი მსჯელობის გასაძლიერებლად ელექტროენერგეტიკის ობიექტების საქმიანობის დაბეგერის ცვლილების მაგალითი გამოდგება.

საქართველოს სავადასახადო კანონმდებლობით საკმაო პერიოდის განმავლობაში ელექტროენერგეტიკაში დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგერა მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების ოდენობასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. 1999 წლის საფხულში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის რეზერვების ამოქმედების მიზნით, სავა-

დასახადო კოდექსში ცვლილებები მომზადდა. ერთ-ერთ ასეთ რეზერ-  
ვად ელექტროენერგეტიკაში დამატებული ღირებულების გადასახადით  
დაბეგურის მექანიზმის შეცვლა იქნა მიზნულო: კერძოდ, დაბეგურის  
ელექტროენერჯის მიწოდება დაექვემდებარა. ეს, ბუნებრივია, მოხმარე-  
ბული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების საკმაოდ ძლიერი სტი-  
მული უნდა გამხდარიყო, ხოლო თუ კი იმ გარემოებას გაითვალისწი-  
ნებთ, რომ “თელასი“-ს მესაკუთრე უკვე უცხოური კომპანია “AES“-ი  
ყო, რომელსაც პრივატიზაციის ხელშეკრულებით: თბილისში ამ საფა-  
სურის ამოღების გაუმჯობესების ვალდებულება აქონდა აღებული, ბუნ-  
ებრივია საგადასახადო კოდექსში ამგვარ ცვლილებას საერთაშორისო  
საფალეტო ფონდის უკმაყოფილება არ უნდა გამოეწვია და თავიდან  
არც გამოეწვევია; პირიქით ეს (და სხვა მსგავსი) ნაბიჯი აღქმული  
იქნა, როგორც საქართველოს მთავრობის ნება დამატებითი საგადასახა-  
დო შემოსავლების მოზილიებაში.

მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ ნათელყო, რომ მოხმარებუ-  
ლი ელექტროენერჯის საფასურის ამოღების პრინციპული გაუმჯობე-  
სება არათუ ქართულმა რეგიონალურმა კომპანიებმა, არამედ “AES-თე-  
ლას“-მაც ვერ მიახერხა. ასეთ ვითარებაში ეს კომპანიები (და რაც  
მთავარია “AES-თელასი“) დამატებული ღირებულების დაბეგურის ახალ  
მექანიზმს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების ზრდის გამო  
გაკოტრებადვე შეეძლო მიეყვანა. სწორედ აქ დაიწყო აშშ-ის საელჩოს  
მხრიდან ხსენებული ამერიკელი კომპანიისათვის საგადასახადო კოდექ-  
სში ელექტროენერგეტიკაში დამატებული ღირებულების გადასახადით  
დაბეგურის ძველი რეჟიმის აღდგენის აშკარა და დაუფარავი დობილება.  
გასაკვირი ამ შემთხვევაში საერთაშორისო საფალეტო ფონდის პოზი-  
ციია: ფონდი, რომელიც პრაქტიკულად ყოველთვის საფინანსო დისციპ-

ლნის მიზლის სელმქსწეობი სეგადახსადო რეჟიმის უეჟელაცო მონაადმდეგეა, მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში (რადგანაც საქმე ამერიკულ კომპანიას შეესუბოდა) დაბეგერის ძველი რეჟიმის მონთხოფნი თეგად აღმონნდა.

### § XVIII.3.8. წაყრუებით დაშეგებული შეცდომა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საბანკო სისტემის ფუხსე დაყენებაში, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. § XVIII.2), მისი საქართველოში საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დამსახურებად ის უნდა ჩაითვლოს, რომ მისი რეკომენდაციებით ეროვნული და კომერციული ბანკების ფუნქციების გამიჯნა მოხერხდა. ამის ფონზე აშკარად გაუგებარია, ჯერ-ერთი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უშუალოდ სასურსათო (სოკოსა და ფქვილზე) კრედიტებზე საგარანტიო წერილების გაცემა, ხოლო, მეორე, – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ამ ფაქტის წაყრუება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობის გამოცდილება ადასტურებს, რომ საქმარისია საქართველოს მხარეს ეკონომიკურ პოლიტიკაში რაიმე შეცდომა მოუვიდეს, განსაკუთრებით სახელმწიფო საფინანსო გარანტიების გაცემაში, რომ მთლაპარაკებათა დროს შეცდომის უმკაცრესი ტონით კრიტიკა უდერს, რაც შესაბამისად ფონდის მიერ დატოვებულ მემორანდუმში აისახება. ეროვნული ბანკის მიერ დაშეგებულ ხსენებულ შეცდომაზე, რის გამოც ქვეყანამ მილიონობით დოლარის დამატებითი საფინანსო ვალდებულება აიღო, საერ-

თაშორისო სავალუტო ფონდი ძალზედ ზომიერი გაფრთხილებით შე-  
მოიფარგლა, რომ ეროვნულმა ბანკმა აღარ უნდა გააგრძელოს ასეთი  
გარანტიების გაცემის პრაქტიკა. ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ  
ფონდი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე მისთვის სა-  
სურველი პიროვნების შენარჩუნებით იყო დაინტერესებული.

### § XVIII.39. ტაქტიკური შეცდომა

რუსეთის 1998 წლის აგვისტოს საფინანსო კრიზისის (რისი პროგ-  
ნოზიც საერთაშორისო სავალუტო ფონდს საერთოდ არ გააჩნდა (Зе-  
внин, 2001, сс. 17-18; Кузнецов, 2002, с. 47)) შეგავლენა საქართველომ უკვე  
სექტემბრის დასაწყისში იგრძნო. რუსეთის ბაზარზე აშშ-ის დოლარის  
მწვავე დეფიციტის შედეგად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამე-  
გობრობის ქვეყნებში მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყვე-  
ლაზე მწვავედ ეს იმ ქვეყნებში გამომჟღავნდა, რომელთათვისაც რუსე-  
თი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი იყო.

საქართველოსათვის სიტუაცია, სხვა თანაბარ პირობებში, იმანაც  
დამძიმდა, რომ მის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ბაზები აშშ-  
ის დოლარის ბანკნოტების რუბლის გაუფასურებული ბანკნოტებით შე-  
სასყიდად ამ უკანასკნელთა უკონტროლო შემოტანისათვის და შესყი-  
დული აშშ-ის დოლარის ბანკნოტების რუსეთში გასატანად იყო გამო-  
ყენებული; ამასთან იმავე (აშშ-ის დოლარების რუსეთში გატანის) მიუ-  
ხინთ ყოფილი სამხრეთ ოსეთის საქართველოს სახელმწიფო კონტროლს  
დაუქვემდებარებული ტერიტორიის გავლით რუსეთის იაფფასიანი კონტ-  
რაბანდული ტვირთების იმპორტი გაიზარდა. ყოველივე ამან ლარის



კურსზე საკმაოდ უარყოფითად იმოქმედა, რომელსაც იმჟამად საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკთაშორის ბირჟაზე საფალუტო ინტერვენციების განხორციელებით არეგულირებდა. აშკარა შეიქმნა, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს ლარის კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად რესერვში არსებული დოლარების ხარჯვა მოუწევდა, რაც, ბუნებრივია რესერვის შესაძლო ამოწურვის გამო, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

შექმნილ ვითარებაში საერთაშორისო საფალუტო ფონდის რეკომენდაცია იყო, რომ ეროვნულ ბანკს საფალუტო ინტერვენციები აღარ გაეგრძელებინა, ლარის კურსის რეგულირება შეეწყვიტა, რაც ეროვნული ბანკის ხელთ არსებული დოლარის რესერვის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. ამ რეკომენდაციის გაზიარება აშკარად საფალალო შედეგებამდე მიგვიყვანდა: ლარის კურსის რეგულირების შეწყვეტა მის ვარდნას მყისიერად გამოიწვევდა, რასაც საფალუტო ბაზარზე პანიკა მოჰყვებოდა, რაც თავის მხრივ ლარის კურსს დამატებით დასცემდა. ასეთ ვითარებაში კომერციული ბანკებიდან ანაბრების გატანა და ანგარიშების დახურვა დაიწებოდა, რაც ამ ბანკების უმრავლესობის გაკოტრებას და შესაბამისად იმ ფირმების და მოსახლეობის იმ ნაწილის გაკოტრებასაც გამოიწვევდა, ვისი თანხებიც ამ ბანკებში იქნებოდა განთავსებული.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩათვალოს, რომ მათ საერთაშორისო საფალუტო ფონდის ეს ტაქტიკური თვალსაზრისით აშკარად მცდარი რეკომენდაცია არ გაიზიარეს, და ლარის თანდათანობითი დევალვაციით ბანკებს, მთლიანად მოსახლეობას მისცეს სიგნალი მათ ხელთ არსებული თანხები ლარებიდან დოლარებში გადაეყვანათ. ეს ოპერაცია საქა-

რთველს ეროვნულ ბანკს ათუქლობით მილიონი დოლარი დაუჯდა. მაგრამ იმ მომენტი სათვის, როცა მან ბანკთაშორის ბირჟაზე სავალუტო ინტერვენციები შეწყვიტა, ლარის კურსი უკვე იმდენად დეველვირებული იყო, რომ მისი ნახტომისებური დაცემა ძალზედ დიდი აღარ იყო და, რაც მთავარია, კომერციული ბანკებისათვის საშიში არ იყო (რადგანაც მათ ხელთ ლარის მინიმალური ოდენობა ჰქონდათ შემორჩენილი). ამგვარმა ტაქტიკურმა ნაბიჯებმა იმის ობიექტური შესაძლებლობა შექმნა, რომ რუსეთის კრიზისის ტალღის დამანგრეველი ზემოქმედების მიუხედავად, ამ მიზეზით საქართველოს არც ერთი კომერციული ბანკი არ გაკოტრებულა.

სამწუხაროა, რომ ამ პრინციპში წარმატებული ოპერაციის მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები ეყრადღებას უმთავრესად იმაზე ამხვიდებენ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სტაბილური ვალუტის რესერვის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა.

### § XVIII.3.10. კომპეტენციის გადამეტებით გამოწვეული შეცდომა

ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების შექმნის ისტორიის განხილვისას (იხ. § III.1), ნაჩვენებია იქნა თუ ერთმანეთისგან როგორაა გამოიჯანუღლი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის კომპეტენცია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი კიდევ ადასტურებს, რომ არის ისეთი სფეროები, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა, სახელმწიფო სამსახურის რეფორმა, საკუთრების უფლებანი, ხელშეკრულებათა შესრულების უსრუნველყოფა და სახელმწიფო შესყიდვები, სადაც ის უფრო კომპეტენტურ დაწესებულებას უმთავრესად

მსოფლიო ბანკს (MBΦ, 1997, c. 4), უნდა დაეყრდნოს. აქედან გამომდინარე ერთობ გასაკვირია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან 1999 წლის სექტემბერში თითქმის უაპელაციოდ დაფიქსირებული პოზიცია იმის შესახებ, რომ საქართველოში უმოკლეს ვადებში შექმნილიყო ახალი სახელმწიფო ინსტიტუტი – დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ორგანო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 1997 წლის 25 ივლისს დამტკიცებული სარეკომენდაციო წერილის თანახმად, ფონდი მართვის საკითხებს და მათ შორის კორუფციის შემთხვევებს ეკონომიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, მისთვის მიცემული მანდატის ფარგლებში უნდა განიხილაუდეს (MBΦ, 1997, c. 5).

მართალია საქართველოსათვის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემათაგანია, მაგრამ აშკარად სახეზეა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია ამ საკითხებში მის კომპეტენციას პრაქტიკულად გასცდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოცემულ საკითხში მსოფლიო ბანკი ჩაერია, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავისი მოთხოვნა ამ ორგანოს შექმნასთან დაკავშირებით მოხსნა და აქცენტი საფინანსო სისტემაში კორუფციის მოვლენების დასაძლევად უმთავრესად ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებაზე გადაიტანა, რაც მის კომპეტენციასთან სრულ შესაბამისობაში მოვიდა.

#### § XVIII.4. საერთაშორისო სახელეუბრო ფონდი – საქართველოს ხტრატეგიული პარტნიორი

საქართველოს თავისი განვითარების ამ უმძიმეს ეტაპზე ერთადერთი სწორი არსევანი – არსევანი ევროპისაკენ, დასავლეთისაკენ გაქმთებული უკვე აქვს (მაგალითად, Gachechiladze, 1995; Gegeshidze, 2002; Rondeli, 2001). ეს მეტად რთული და ხანგრძლივი გზაა და ამ გზაზე წარმატების მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ევროპულ ფასეულობათა სისტემის ეტაპობრივი დამკვიდრებით არის შესაძლებელი. ასეთი მიდგომა ნუნეი ყოფის ეველა სვეროს და რა თქმა უნდა ქვეუის საფინანსო-ეკონომიკურ მოწყობასაც ესება.

ამ ფონზე რბილად რომ ითქვას, დიდ გაოცებას იწვევს საქართველოს დასავლური განვითარების “ეექტორის” ერთობ გაუბრადლოებული წარმოდგენა, რომლის თანახმადაც, თურმე ის მხოლოდ დასავლეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებამდე დაიყვანება: აქედან გამომდინარე ელუ-მენტარული ჭეშმარიტების მატარებელი დასკვნა კეთდება, რომ საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები ეველა გეოგრაფიული მხარის მიმართულებით უნდა აქონდეს (ბასარია, 2000, გვ. 282). სამწუხაროა, მაგრამ როგორც ჩანს მაინც აუცილებელი ყოფილა იმ მარტივი დებულების დაფიქსირება, რომ ევროპული, დასავლური ორიენტაცია ევროპულ, დასავლურ ფასეულობათა სისტემის დამკვიდრებას და არა მხოლოდ ევროპასთან და საერთოდ დასავლეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს ნიშნავს: უფრო მეტიც, ამ ფასეულობათა პირობებში რომელიმე გეოგრაფიული მხარის მიმართულებით ეკონომიკურ ურთიერთობათა უანხორციელებას აპრიორულად არაუითარი შესულება არ ედება.

კიდევ უფრო სამწესირო მაგალითის წარმოადგენს საქართველო-ვერობული, დასავლური არჩევანის ილია ჭავჭავაძისეულ “ეცსოთამო-ვეარუბასოან” და “მემკვიდრეობის უარმყოფელებთან” შედარება (სა-ღარეიშვილი, 2001, გვ. 141). დიდი ილიასეული პოზიციის ფაღსოვიკაცი-ის აღსაკეყოად, მკითხველს ‘მევახსენება მის “მიმართეას” ახალგაზრ-ღობისადმი: “ემაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბუჯითის და ზედმიწეუ-ნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეიხწავლოს ვეროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ვეროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეედგეს ნეენის ქვეენის საქმეს. უამისოდ ... კაცი ვრო ნაბუჯსაც რატიანად და სამკვიდროდ ვერ წახდგაჰს ... ნეენის მხრით, ამასუდ უკეთესს საგანს, ამასუდ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოეენებულს, სხვას ვერას ვუენენებთ ნეენს საიმელო ემაწვილ-კაცობას” (ჭავჭავაძე, 1881, გვ. 97-98).

საერთაშორისო სავალუტო ფონდს დღეს აღტკერნატიეა არ გაან-ნია და საერთაშორისო საფინანსო წესრიგში საქართველომ ამ წესრი-გით განსაზღვრული “რეციპიენტი” ქვეენის როლი უნდა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო იმ ეოველმხრიე დახმარებას ვერ მიიღებს, რაც რეალური სახელმწიფოებრიე დამოუკიდებლობის მისად-წეედ აგრერიეად გვესაჭიროება. დასავლეთის პოლიტიკური და საფი-ნანსო მხარდაჭერის გარეშე დროებით დაკარგული ტერიტორიებისა და ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე საქართველოსათვის სახელმწი-ფოებრიე დამოუკიდებლობის შენარნუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

ზემოთმოევანილი ცალკეული შეცდომის მიუხედაეად, საერთაშო-რისო სავალუტო ფონდი საქართველოში ჯანსაღი საფინანსო-ეკონომი-კური სისტემის შექმნის რეალური ხელშეწყობი და საიმელო საფინან-

სო გარანტია. თუ, იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღეისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდმა პროგრამების მიზნები და მოქმედების ტაქტიკა გარკვეულად უკვე შეცვალა, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში (მაგალითად, Румянцева, 2001) სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას უნდა ემსახურებოდნენ (BE, 2001) (რასეც მუშაობა, როგორც ცალკეული გამოკვლევლებების (ასათიანი, 2001; თუთბერიძე, 2002; Papava, 2000D; Tarkhan-Moravi, 1998), ისე ხელისუფლების დონეზეც (სმ, 2001ა, 2001ბ) უკვე საქართველოშიც დაიწყო), ფონდთან თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობა საკამათო არ უნდა იყოს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმისდა მიუხედავად, რომ მსოფლიოს თანამედროვე წამყვანი ეკონომისტები სიღარიბის დაძლევის პრობლემაზე და მისი გადაწყვეტის გზებზე საკმაოდ დიდი ხნის წინ მიუთითებდნენ (მაგალითად, Friedman, 1964), საერთაშორისო სავალუტო ფონდს (და სხვა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტებს) არაერთი ათეული წელი დასჭირდა სანამ თავისი საქმიანობის ძირითად ორიენტირად ხსენებულ პრობლემის გადაწყვეტას დაისახავდა.

✓ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და იგი მაშინაც კი ასეთად უნდა დარჩეს, როცა საქართველო “რეციპიენტი” სახელმწიფოს როლს თავს დააღწევს, რადგანაც ჩვენს ქვეყანას სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყოს, არ აჩნია. ✓

# თავი XIX. საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური უნძევია და რეგანსისტული საფრთხეები

საქმე არა მომავლის განკერძოება,  
არამედ მისი შექმნაა.  
*დენი დე რუჟონი*

## § XIX.1. რომანტიზმიდან რეგანსიზმამდე

ნებისმიერ ქვეყანას თავისი არსებობის ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპზე ეკონომიკის განვითარების ამოცანათა მთელი კომპლექსის გადაწყვეტა უხდება, რომელთაგანაც უმთავრესი განვითარების სწორი სტრატეგიის შერჩევაა, რის საფუძველზეც ტაქტიკური ხასიათის ღონისძიებები განისაზღვრება. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რომლის ხელისუფლებაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მორიგი აღდგენიდან დღემდე, ცალკეული გამონაკლისის გარდა, უმთავრესად ტაქტიკური ხასიათის ამოცანების დასმით და გადაწყვეტის გზების ძიებით უფრო არის დაკავებული, ვიდრე სტრატეგიის შემუშავებით. ეს უკანასკნელი, კი უცდილობლად მითხხოვს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქციის სათანადო დონეზე გააზრებას.

1989 წლის 9 აპრილის შემდგომი პერიოდი საქართველოს მოსახლეობის აზროვნებაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის საყოველთაო აღიარების თვალსაზრისით რევოლუციურ გარდატეხად შეიძლება წაითვალოს. ეს ბუნებრივია ეკონომიკურ აზროვნებაზეც აისახა. ამ დროს შეიქმნა არაერთი საყურადღებო კონცეფცია საქართვე-

ლოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ (იხ. მაგალითად, Pava, 1991; Παπαβα, 1990; Παπαβα, ΑΧΜΙΣΤΕΛΗ, 1990). ყველა მათგანი საკმაოდ ლიდი “დოზით” სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რომანტიკული აღქმით იყო გაუაღწიელი. კონცეფციებში მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტის გზა საკმაოდ ბუნდოვანი ფრაზებით გადმოცემოდა და თავად დამოუკიდებლობის იდეაც ხშირ შემთხვევაში ბოლომდე გაასრულებული არ იყო (გასაკვირიც არ არის, რადგანაც ამ დროს სასოგადოებაში საკმაოდ გაერცვლებული იყო მოასახრება: “ბალახსაც კი შეეჭამო, ოღონდ საქართველო დამოუკიდებელი იყოს”).

ამ ობიექტური ნაკლის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული კონტურები სწორედ ხსენებული კონცეფციების საფუძველზე გამოიკვეთა: დამოუკიდებელი (რაც გაიგივებული იყო უშუალოდ რუსეთის იმპერიისაგან დამოუკიდებლობასთან) ეკონომიკა, რომელიც საბაზრო სისტემას უნდა დაფუძნდებოდა (თუმცა, თავად ამ სისტემის კონტურები ძალზედ ბუნდოვან წარმოდგენებს ემყარებოდა). ეს კი იმ დროს ხავესებით საქმარისი ჩანდა იმისათვის, რომ პოლიტიკურად დამოუკიდებელ საქართველოში რეფორმების გატარება დაწყებულიყო; ამ რეფორმების საჯაროდ გამოცხადებული მიზნები ნებისმიერი, ხშირად ბოლომდე გაუცნობიერებელი გსებითა და საჩუალებებით კომუნისტური ორიენტაციის მქონე ეკონომიკის უარყოფასა და კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებაში გამოიხატებოდა.

საქართველოში კომუნისტური რეჟიმის მშვიდობიანი (არსენების გზით) შეცვლის შემდეგ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რომანტიკულმა იდეამ უკიდურესად ექსტრემისტული ფორმა მიიღო: რუსეთისაგან დამოუკიდებლობის უსწრაფესად მიღწევის სურვილი მაქსიმალურ-



რად გამძაფრდა, ხოლო საბაზრო ეკონომიკის იდეების სორცმესხმა კი სამომავლოდ განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

ნებისმიერი ექსტრემიზმი დამლუპველია და ბუნებრივია დამოუკიდებლობისათვის აბსურდამდე მიყვანილი ბრძოლა (ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ვითომდა რუსეთისადმი ეკონომიკური ბლოკადის გატარების მიზნით სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვა იყო) ვერაფერს სასიკეთოს ვერ მოუტანდა საქართველოს და მის ეკონომიკას: ერთის მხრივ, მართვის ადმინისტრაციული სისტემა საბაზროთი არ შეცვლილა, ხოლო მეორეს კი – ყოფილი საბჭოთა სივრცის საწარმოებთან კოოპერაციული კავშირები ნაადრევად და მექანიკურად გაწყდა.

არაერთი ქართველი პოლიტიკოსი, თუ ეკონომისტი დარწმუნებულია, რომ 90-იანი წლების ქართული ეროვნული ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) ექსტრემიზმის იდეა, შესაბამისი მოქმედების გეგმით, ნგრევადი იმპერიის ცენტრში მუშავდებოდა, რასაც საქართველოში შეგნებულ, თუ შეუგნებულ განმხორციელებელთა მთელი “არმია” მოექებნა. ამ შეხედულების თანახმად, აღნიშნული გეგმის უმთავრესი მიზანი ექსტრემისტული მოძრაობის იმ აბსურდამდე მიყვანა უნდა ყოფილიყო (რის თვალსაჩინო და იმავდროულად სამწუხარო მაგალითს 1991 წელს აშშ-ის პრეზიდენტისადმი საქართველოს პრეზიდენტის დაპირისპირება წარმოადგენდა), რის შემდეგაც, როგორც ზოგადად სახელმწიფოებრივი, ისე ეკონომიკური დამოუკიდებლობის იდეა გაუფასურებული აღმოჩნდებოდა.

საქართველო და მისი ეკონომიკა ექსტრემისტულ მდგომარეობაში არც ისე დიდხანს იმყოფებოდა. კერძოდ, ხელისუფლების ძაღისმიერი გზით შეცვლით გამოწვეულ სირთულეებს თან ყოფილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე საომარი მოქმედებები, სახელმწი-

ფო მმართველობითი აპარატის კრიმინალიზაცია, ეკონომიკურ პოლიტიკაში შეცდომების კასკადი (საკრედიტო და საბიუჯეტო ემისია, რამაც პიპერინფლაცია გამოიწვია (Gurgenidze, Lobzhanidze, Onoprishvili, 1994)) დაერთო, რასაც წარმოების ოთქმის ოთხჯერადი ვარდნა მოჰყვა (Papava, 1995A; Папавა, Беридзе, 1994). ყოველივე ამით გამოწვეულმა ურთულესმა სოციალურმა პრობლემებმა (Papava, Chikovani (ed.), 1997) ექსტრემისტული ტენდენციები მნიშვნელოვნად გააფერმკრთალა.

ამ დროს ხელისუფლებაში პირველად იხინა თავი რევანშისტულმა პოზიციამ.

სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის ზოგიერთმა პირმა ეტყვევებოდა დააყენა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის საკითხი, ქართველების მიერ სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართვის უნარი და შესაძლებლობა, და ქვეყნის “რუბლის ზონაში” შესვლა მოითხოვა, რაც ფაქტობრივად საქართველოს მხრიდან ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე უარის თქმას ნიშნავდა. თუ კი საქართველოს ხელისუფლება ამ პოზიციას გაიზიარებდა, მაშინ ამგვარი სტრატეგიული ხასიათის გადაწყვეტილება საბოლოო ჯამში კვლავ რუსეთის იმპერიული ძალების სეგაგლენის ქვეშ მოგვაქცევდა. ქართველ პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა შემოხსენებული ნაწილი ასევე თვლის, რომ პოლიტიკური რევანშიზმის პოზიცია იმ საერთო გეგმის (თუ კი ასეთი არსებობდა) ერთი ელემენტი იყო, რომელიც ექსტრემიზმით დაიწყო და როგორც უკვე ითქვა, ყოფილი იმპერიის ცენტრში უნდა ყოფილიყო შემუშავებული.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 1993 წელს, როცა რევანშიზმის ლიდერებმა “რუბლის ზონაში” დაბრუნების იდეა წამოაყენეს, ხელისუფლებას ამ იდეის განხორციელება მართლაც რომ მოეწონებოდა.

დომებინა, სავარაუდოდ რუსეთი საქართველოს ხსენებულ “ზონაში” მაინც ვერ მიიღებდა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ, იმ ეტაპზე თვით რუსეთი ამისათვის სულ ცოტა ეკონომიკურად არ იყო მზად, ხოლო მეორე კი – არასტაბილური, კრიმინალური, ჰიპერინფლაციური საქართველო ვერ ჩაითვლებოდა შემოერთებისათვის მზადყოფნის მდგომარეობაში.

რევანზისტების პოზიცია ეკონომიკაში ერთობ გაფერმკრთალდა 1994 წლიდან მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ანტიკრიზისული პროგრამის გატარების ფონზე, რომელიც 1995 წელს წარმატებით განხორციელებული ფულის რეფორმით<sup>1</sup> დაგვირგვინდა (Papava, 1996A, 1999; Wang, 1998; Wellisz, 1996; Велиш, 1996 Папавა, 1998; Папавა, Беридзе, 1998). კიდევ უფრო დიდი დარტყმა მათ კონსტიტუციის მიღებამ და საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამ მიაყენა.

მართალია “რუბლის ზონის” იდეა დღეს შეიძლება მკედრდაც კი (სულ ცოტა “მიძინებულად” მაინც) ჩაითვალოს, მაგრამ რევანზისტების გეგმები და მოქმედების არეალი არა თუ არ შეკეცილა, არამედ კიდევ უფრო გაფართოვდა.

1998 წელს დაწეებულმა საბიუჯეტო კრიზისმა, კორუფციის მასშტაბების ზრდამ (იხ. თავი X) მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უკიდურესად გაამწვავა, რაც რევანზისტებმა საბაზრო ეკონომიკას “გადააბრალებს”. ეს კი ხელს სოციალური რევანზის შესაძლებლობას უწყობს; მაგალითად, კერძო საკუთრების ნაციონალიზაციისა და დეპრივატიზაციის შეგნებულ, თუ გაუცნობიერებულ მომხრეთა ხმა სულ უფრო

---

<sup>1</sup> ლარის შემოდების შესახებ უფრო დეტალურად იხ. (ჯიბუტი, 2000; ჯგერენიაი, 2000). მეთხველინათვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს, რომ ნენ ჯერ კიდევ 1989 წელს თანამედროვე ეროვნული ვალუტისათვის ისტორიული ხახელის – “თეთრის” დარქმევის ინიციატივით გამოვედით და საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას მისი შემოდების სათანადო შექანისმიც შეუთავაზეთ (პაპავა, 1995ა, გვ. 58); მოგუასანებით ნენი წინადადება ნაწილობრივ იქნა გასიარებული, როცა თანამედროვე ქართულ მონეტას “თეთრი” ეწოდა.

ხმადაღლა და თანაც საკმაოდ ხშირად გაისმის, რაც პოლიტიკანების მხრიდან იაფფასიანი პოპულარობის მოპოვების მიზნით კიდევ უფრო მეტადაა აუიტირებელი. არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სოციალურ რევეანში გადაიხარდოს.

დღევანდელი საქართველო იმ მდგომარეობაშია, როცა სახელმწიფოს მხრიდან დაშვებული შეცდომები რევეანის სტრუქტურა და მათ დამკვეშებს ხელისუფლებაზე ზეწოდის გაძლიერების ამოცანას “უაღვიღებს”, რაც საბოლოოდ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ხედვაში რუსული ორიენტაციის უპირობო დამკვიდრებაში გამოიხატება. თავის მხრივ დღევანდელი რუსეთიც ბევრად უფრო მზადაა რეინტეგრაციული პროცესებისათვის: ამის საუკეთესო მაგალითია ბელორუსთან გაერთიანების პროცესი, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამით ამ უკანასკნელის მიერ მიღებული თითქოსდა მნიშვნელოვანი დადებითი ეკონომიკური ეფექტი, რბილად რომ ითქვას არც ისე აშკარაა.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ანტირევეანისტული პოზიცია არ უნდა იქნეს დაყვანილი ანტირუსულ ნაციონალურ და აუცილებელია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობისათვის საჭირო ყველა რესურსი გამოინახოს და ამოქმედებულ იქნეს; ამასთან ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ პირველი ნაბიჯი მაინც რუსეთის გადასადგმელია, რაც უწინარეს ყოვლისა ორმაგ სტანდარტებზე უარის თქმაში უნდა გამოიხატოს.

რევეანისტების რიგები თანდათანობით სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება: აშკარა კომუნისტებთან ერთად, რევეანისმის იღვას შეცნობით, თუ შეუგნებლად ცალკეული ნაციონალურიობისა და პატრიოტიზმის, თუ დასავლური პარტიების მსგავსი სახელწოდებების საბურველით შენიღბული, თავისი ბუნებით მაინც კომუნისტური მენტალიტეტის

მქონე ძალები ემსახურება. ისინი უკვე მარტო რუსეთთან მიერთების იდეით აღარ კმაყოფილდებიან; მათ, როგორც აღინიშნა პრევატიზაციის პროცესის უკან შემობრუნება, სოციალური ფსევდოგარანტიების აღდგენა, საბოლოო ჯამში კი ისტორიის "ბორბალის" უკან დაბრუნება უნდათ.

მაშასადამე, თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) განვითარების სტრატეგიულ ხედვაში რევანშისტული მიდგომა აშკარად გამოიკვეთა და სულ უფრო მეტ ძაღას იკრებს, რაც სხვადასხვა შემთხვევაში რუსეთთან რეინტეგრაციული პროცესის ხელშეწყობისა და ევროპის სავაჭრო ურთიერთობის სრული მოწყვეტის, თუ მიწასა და კაპიტალზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის მოშლის (უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მცირე მეწარმეობის დაშვების), მუდრუნობის გეგმიანი გაძღოლის ღირეკტიული პრინციპების აღდგენისა და სხე. ფორმაში გამოიხატება.

ბუნებრივია იბადება კითხვა – არსებობს თუ არა რევანშისტული სტრატეგიის ალტერნატივა, და თუ არსებობს რაში გამოიხატება ის?

## § XIX.2. ეკონომიკური მიმზიდველობა და ქვეყნის ფუნქცია

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სავაჭრო ურთიერთობის ისტორიულად გაანინა მისწრაფება იყოს ევროპის არა მარტო გეოგრაფიული ნაწილი; სამწუხაროდ, გახულ საუკუნეებში ასეთი სურვილის ცალმხრეობის გამო, ევრც სულხან-საბა ორბელიანის ეპოქაში, ევრც 1918-1921 წლებში ამ სანუკვარი ოცნების აღსრულება ევრ მოხერხდა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში (1991-1993 წლები) ევროპისაკენ სწრაფვის სურვილი საბუნდუნოდ კვლავ გამოჩნდა, მაგრამ ამ ორიენტაციის მომხრეთა ხმა ძლიერად ჯერ ექსტრემისტების, შემდეგ კი რევანშისტების მიერ ატეხილი “აურსაურის” ფონზე ყოველთვის როდი ისმოდა.

1999 წლიდან საქართველო ევროსაბჭოს წევრია, რითაც საქართველოს დასავლური ორიენტაცია საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული. ეს აშკარად დიდი მიღწევაა, თუმცა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო უკვე არის ერთიანი ევროპის განუყოფელი ნაწილი, რადგანაც ამისათვის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაა აუცილებელი (ჯიბუტი, 2001).

იმისათვის რომ ევროპის ორგანულ ნაწილად იქცე, მხოლოდ სურვილი საკმარისი სულაც არ არის; სურვილი მხოლოდ აუცილებელი პირობაა და მასთან ერთად საჭიროა ევროპამაც მოინდომოს საქართველოს მის ორგანულ ნაწილად გახდომა. ეს კი თავის მხრივ სულ ცოტა *ორი პირობის* შესრულებას მოითხოვს: *ჯერ ერთი*, საქართველო დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ეკონომიკის განვითარებულობის აღიარებულ დასავლურ სტანდარტებს უნდა პასუხობდეს, და *მეორეც*, – საქართველოს შემოერთება ევროპისათვის ეკონომიკურადაც ხელსაყრელი უნდა იყოს.

მაინც რითი შეიძლება საქართველო ეკონომიკურად ხელსაყრელი იყოს ევროპისა და აქედან გამომდინარე სხვა დანარჩენი მსოფლიოსათვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპებიდან უნდა გამოვიდეთ, რადგანაც სწორედ ბაზარია ევროპის და დანარჩენი მსოფლიოს განვითარებული ნაწილის ეკონომიკური სისტემის საფუძველი.

უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ბაზარი მიმზიდველობის თეა-  
ლსასწრისით უნდა შეფასდეს. სამწუხაროდ საზოგადოდ ეს შეფასება  
დადებითი ვერ იქნება, რადგანაც არა მარტო საქართველოს, არამედ  
სამხრეთ კავკასიის<sup>2</sup> თუნდაც თეორიული (საქართველოს მიერ დროუ-  
ბით დაკარგული ტერიტორიების და ახერბაიჯანსა და სომხეთს შორის  
არსებული საომარი დაპირისპირებულობის გამო) ბაზრის მასშტაბები  
იმდენად მცირეა, რომ ამ ბაზარზე არსებული სამომსმარებლო, თუ წა-  
რმობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საქართველოსა, თუ  
მოლიანად სამხრეთ კავკასიაში შესაბამისი წარმოების სრულყოფა-გან-  
ვითარების მიზნით ინვესტიციების დაბანდება სულაც არ არის აუცი-  
ლებელი: საყსებით საკმარისია ამ მოთხოვნის იმპორტის ხარჯზე დაკ-  
მაყოფილება. ამ მოსასრების სისწორეს ჩვენი ბოლო წლების გამოცდი-  
ლებაც ასაბუთებს, როცა სტრატეგიული ინვესტიციები (მიღსადენების  
პროექტების გარდა) საქართველოში უმთავრესად გაცნობის (და არა  
რეალური ქმედების) მიზნით ჩამოდიოდნენ, ხოლო ინვესტიციებს ფაქ-  
ტობრივად შედარებით წერილი, ზოგიერთ შემთხვევაში საექვეო წარმო-  
შობის და მიზნების მქონე კომპანიები ახორციელებდნენ; თუ კი ამას-  
თან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს უშუალოდ  
ისეთი ორი საკმაოდ დიდი მასშტაბის ბაზრის მქონე ქვეყანა ემეზობ-  
ლება, როგორც რუსეთი და თურქეთია, სადაც ბაზრების სიდიდის გა-  
მო სტრატეგიული ინვესტიორების შესვლა, სხვა თანაბარ პირობებში,  
თავისთავად ძალზე ხელსაყრელია, გასაგები გახდება, რომ საქართვე-  
ლოსა და მოლიანად სამხრეთ კავკასიაში არსებული მოთხოვნა, უწინა-  
რეს ყოვლისა, სწორედ ამ – ხსენებული ქვეყნებიდან იმპორტით შეიძ-

<sup>2</sup> ქართველ ეკონომიკურ ლიტერატურაში კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების კომპლექსური ანალიზის შესახებ უნდა აღინიშნოს ნაშრომი: (მაქსოვი, 1998; Макоев, 1998); ის. ავ-  
რეაუე (Asatiani, 1998).

ლება დაკმაყოფილდეს (Papava, 2002D; Папავა, 2002A, 2002E). მაშასადამე, საქართველო მასში არსებული სამომხმარებლო, თუ წარმოებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების კუთხით არც ევროპისათვის და მით უმეტეს არც სხვა დანარჩენი მსოფლიოსათვის, სამწუხაროდ, ეკონომიკურად საინტერესო პრინციპულად ვერ იქნება (Papava, Gogatadze, 1998; Папავა, Какабадзе, 2000).

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო თავისი რესურსული თუ სამომხმარებლო ბაზრების მასშტაბების მიხედვით იმდენად მცირეა, რომ ამით, სხვა თანაბარ პირობებში, ცივილიზებულ სამყაროს სერიოზული ინტეგრაციული ხასიათის მქონე პროექტების განხორციელებაში ეკონომიკურად ვერ დააინტერესებს.

ამ თითქოსდა უიმედო სიტუაციიდან გამოსავალი საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციაში უნდა ვეძებოთ (Papava, 2002B; Папავა, 2002Г).

აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში თითოეულ სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული ფუნქცია და იმისდა მიხედვით, თუ უკანასკნელი სხვა სახელმწიფოთა საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციებთან რამდენადაა თავსებადი, ეს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესში მოცემული კონკრეტული სახელმწიფოს როლსა და მისი ეკონომიკის განვითარების დონეს განსაზღვრავს.



### § XIX.3. გეოგრაფიაზე ბევრად მეტი...

საერთაშორისო ურთიერთობებში (და მათ შორის ეკონომიკურშიც) ჩამოყალიბებულია ორი, დღეს უკვე კლასიკურად ქცეული სქემა – “აღმოსავლეთი-დასავლეთი” და “ჩრდილოეთი-სამხრეთი”.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ “დასავლეთი” “აღმოსავლეთთან” შედარებით ეკონომიკურად და სრულყოფილი დემოკრატიული ინსტიტუტების მხრივ უფრო განვითარებულია და აქედან გამომდინარე ეკონომიკისა და დემოკრატიის მიღწევები “დასავლეთიდან” “აღმოსავლეთისაკენ” ვრცელდება. ბუნებრივია, რომ ეს სქემა პირობითი ხასიათისაა, რაც ყველაზე რელიეფურად იაპონიის მაგალითზე ჩანს, რომელიც ეკონომიკური განვითარებულობის თვალსაზრისით არა ერთ “დასავლურ” ქვეყანას უსწრებს.

სქემა “ჩრდილოეთი – სამხრეთი” კიდევ უფრო მეტი პირობითობით ხასიათდება, რადგანაც აშშ, კანადა და ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოები უფრო განვითარებულია (როგორც ეკონომიკურად, ისე დემოკრატიული ინსტიტუტების თვალსაზრისით) ვიდრე შესაბამისად მათი სამხრეთით განლაგებული ქვეყნები, მაგრამ ეს დებულება ეკონომიკურად და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების კუთხით ჩამორჩენილ რუსეთზე ვერანაირად ვერ გავრცელდება.

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქციის გამოსაკვეთად აუცილებელია მოცემულ “აღმოსავლეთი – დასავლეთი” და “ჩრდილოეთი – სამხრეთი” სქემებში მისი ადგილის განსაზღვრა.

როგორც ითქვა “დასავლეთი” სასოგადოდ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ეკონომიკურად ბევრად უფრო განვითარებული ვიდრე “აღმოსავლეთი”, მაშინ როცა უკანასკნელი მდიდარია ბუნებრივი რე-

სურსებით, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიებში და მაღალხარისხიან მზა პროდუქტებში მწვავე დეფიციტს განიცდის. ბუნებრივია საბაზრო ეკონომიკის პრინციპების თანახმად, მოთხოვნა-მიწოდების წონასწორული მდგომარეობის მიღწევის აუცილებლობიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება “აღმოსავლეთ – დასავლეთის” ორმხრივი მიმართულებით სატრანსპორტო ნაკადების გააქტიურების საჭიროება, რომელთა საშუალებითაც აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით სხვადასხვა ბუნებრივი რესურსი, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ სამომხმარებლო, თუ წარმოებრივ დანიშნულების მზა პროდუქცია გაიზიანება. სხვა სიტყვებით რომ ითქვას დღის წესრიგში ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი ისეთი სატრანსპორტო დერეფნის შექმნის აუცილებლობა დგება, რომელიც, ერთის მხრივ, მათ შორის სატრანსპორტო კავშირისათვის უმოკლესი მანძილი (უფრო ზუსტად კი უიაფესი), ხოლო მეორეს მხრივ კი, – სხვა თანაბარ პირობებში, მაქსიმალურად უსაფრთხო იქნება. სწორედ ასეთი დერეფნის მნიშვნელოვანი მონაკვეთი სამხრეთ კავკასიაზე და, კერძოდ, ორ ქვეყანაზე – საქართველოსა და აზერბაიჯანზე გადის (რინდელი, 1999; შევარდნაძე, 1999 Gegeshidze, 1999; Rondeli, 1999; Shevardnadze, 1999; Гомадзе, Шападзе, 1998). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი სატრანსპორტო დერეფნის ფორმირებისას არსებული ისტორიული გამოცდილებაა გასათვალისწინებელი (გუგუშილი, 1936), რამეთუ ჩვენი წინაპრებიც სწორედ იმავე პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ (მანძილის სიმოკლე და ტრანსპორტირების უსაფრთხოება), რითაც – თანამედროვენი. ამის თვალსაწიწო მაგალითს ისტორიული “აბრეშუმის გზა” წარმოადგენს (მაგალითად, Elisseeff, 2000; Foltz, 1999; Liu, 1998), რომლის საფუძველზეც “ახალი აბ-

რეჟიმის გზა” უნდა აშენდეს (მაგალითად, Асадов, 2000; Гегешидзе, 1999; Мартыросян, 2000).

მართალია რუსეთი ამ ეტაპზე, როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკურადაც და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მიხედვით ერთობ წამორჩენილი ქვეყანაა, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით შეუძლებელია სქემა “წრდილოეთი – სამხრეთი” პერსპექტიულად არ წაითვალოს. კერძოდ, საქართველოს შემთხვევაში როგორც “წრდილოეთი” (რუსეთი), ისე “სამხრეთი” (ისლამური სამყარო) სხვადასხვა ურთიერთშემავსებელი რესურსითაა მდიდარი. მაშასადამე, ორმხრივ სასაქონლო ნაკადს “წრდილოეთი – სამხრეთის” მიმართულებით გარკვეული პერსპექტივა აქვს, მაგრამ მისი რეალური ამოქმედება ისეთი მწვავე პრობლემის გადაწყვეტას უკავშირდება როგორც აფხაზეთია. რუსული იმპერიული აზროვნების, რუსი და ქართველი რევანშისტების ძირითადი მიზნები და მათი მიღწევის გზები სწორედ ამ პრობლემაშია კონცენტრირებული. აქედან გამომდინარე “წრდილოეთი – სამხრეთის” საქართველოზე გამავალი შესაძლო სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედება უახლოეს პერიოდში ნაკლებ სავარაუდოა (ის უფრო შორეული პერსპექტივის კუთხით შეიძლება იქნეს განხილული) და უწინარეს ყოვლისა რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული.

რეზუმეს სახით შეიძლება ითქვას, რომ ორი ხსენებული სქემიდან “აღმოსავლეთი – დასავლეთი” და “წრდილოეთი – სამხრეთი” დღეისათვის ეკონომიკურად (და არა მარტო ეკონომიკურად) საქართველოსთან მიმართებაში მხოლოდ პირველია რეალური. ეს, სხვა თანაბარ პირობებში, სქემების “აღმოსავლეთი – სამხრეთი” და “დასავლეთი – სამხრეთი” პერსპექტიულობას უწყობს ხელს, სადაც თავისი ადგილის დამკვიდრებას სამხრეთ კავკასიის მესამე სახელმწიფო – სომხეთი ცდილობს.

“ევროპა – კავკასია – აზიის” სატრანსპორტო დერეფნის პროექტის შუქზე საქართველო ძალზედ მნიშვნელოვან საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას იძენს, რადგანაც იგი ამ დერეფნის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ხდება. სწორედ ამის გამო, სტრატეგიული ინვესტიციებისათვის საქართველო უკვე განიხილება. როგორც ყურადსაღები ქვეყანა, რადგანაც საქართველოში განხორციელებული ინვესტიციის ეფექტიანობა საქართველოს ან თუნდაც მთელი სამხრეთ კავკასიის ბაზრის მასშტაბებით აღარ განისაზღვრება, ეინაიდან სატრანსპორტო არტერიის გაოფალისწინებით ეს უკანასკნელი ერთდროულად ორი – ევროპისა და აზიის მიმართულებით მნიშვნელოვნად შეიძლება გაიზარდოს.

#### § XIX.4. საქართველოს ეკონომიკის “ხერხემალი”

“ევროპა – კავკასია – აზიის” ფორმირებადი სატრანსპორტო დერეფნის შუქზე აღვილად ასახსნელია, თუ რატომ იქნა მადებული გადაწყვეტილება კასპიის ადრეული ნავთობის დასაველეთის მიმართულებით ტრანსპორტირების მიზნით ნავთობსადენის ერთ-ერთი ხაზის სწორედ საქართველოზე გავლით გაყვანა; ასევე გასაგებია, თუ რატომ განიხილება ნავთობსადენი “ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის” ვარიანტი როგორც ერთ-ერთი საინტერესო, კასპიის დიდი ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის შესაძლო ვარიანტების შესწავლის დროსაც. სწორედ ნავთობსადენია ის “საჯილდო ქვა”, რამაც საქართველოში სტრატეგიული ინვესტირების დაინტერესება უნდა განაპირობოს.

ნავთობსადენის პროექტი სემოხსენებული სქემის “აღმოსავლეთი – სამხრეთის” რეალურობას სტიმულს აძლევს, რაც უწინარეს ყოველისა

“ახერბაიჯანი – თურქეთი!” შემაერთიებული გაზსადაენის პროექტის პერსპექტიულობაზეც აისახება.

“ევროპა – კავკასია – აზიის” სატრანსპორტო დერეფანი დღეს რკინიგზისა და საქართველოს პორტების საშუალებით უკვე არა ერთ მნიშვნელოვან ტვირთს ატარებს, რაც უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. დღის წესრიგში ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის საკითხი დგება, რისი დადებითი გადაწყვეტის გარეშე საქართველოს ტერიტორიის გავლით სოლიდური ავტოგადაზიდვების და მგზავრთა გადაყვანის რეალიზება წარმოდგენილი იქნება.

სატრანსპორტო დერეფნის ქმედითუნარიანობა, უწინარეს ყოვლისა, ტრანსპორტის, როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის განვითარებას უკავშირდება, მაგრამ დერეფნის იდენის მხოლოდ ამ დარგის ბედზე “დაყვანა” უდიდესი შეცდომა იქნება.

ამოცანა ბევრად უფრო რთულია.

სატრანსპორტო დერეფანი ვერ იფუნქციონირებს, თუ ქვეყანაში ტელესაკომუნიკაციო სისტემა, გამართულ რეჟიმზე მომუშავე ენერგეტიკა, სასტუმროების, კვების ობიექტებისა და მომსახურების სხვა სფეროების ქსელი სათანადო მაღალ დონეზე არ იქნება განვითარებული. ამისათვის კი ეკონომიკის ყველა სხვა დარგის განვითარებაა საჭირო, რაც ჩამოთვლილი დარგების მაღალეფექტიანი ფუნქციონირებისათვისაა აუცილებელი. ეს დარგები კი, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობა (სატრანსპორტო დერეფნის ინდუსტრიული ხასიათის გამო) და სოფლის მეურნეობაა (სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მშენებლობა, რომლის სამოქმედო ფრონტიც სატრანსპორტო დერეფნის სრულყოფის პროცესთან ერთად ყოველდღიურად გაიზრდება.

სატრანსპორტო დერეფანი გარემოსდაცვითი და ურბანული პროცესების მართვას თვისობრივად ახალ კრილში მითითიხოს, რათა, ერთის მხრივ, დერეფანმა გარემოზე დამინგრეველად არ იმოქმედოს, ხოლო, მეორეს – კი საქართველოს მთელი მოსახლეობა მხოლოდ მის (დერეფნის) გასწვრივ არ იქნეს განსახლებული. ამასთან იმის გათვალისწინებაცაა აუცილებელი, რომ დერეფანის დაპროექტებისას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი.

სატრანსპორტო დერეფნის ზეგაველენა ეროვნულ ეკონომიკაზე მხოლოდ ხსენებული დარგებით არ შემოიფარგლება. ეს ზეგაველენა აშკარა იქნება განათლებაზე (დერეფნის მომსახურებისათვის კადრების მომზადება), ჯანდაცვაზე (დერეფნის გასწვრივ და შესაბამის მსხვილ აგლომერაციულ ცენტრებში ჯანდაცვის ობიექტების განვითარება), ტურიზმზე (განვითარებული სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო ქსელი მდიდარი ბუნებრივი შესაძლებლობების ტურიზმისათვის გამოყენებას მისცემს სტიმულს), მეცნიერებაზე (სტიმული მიეცემა გამოყენებით სამეცნიერო სამუშაოებს დერეფნის სათანადო ტექნიკური დონის უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო “განახლებული აბრეშუმის გზა” ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, კულტუროლოგიურ, ეკონომიკურ გამოკვლევებს შეუწყობს ხელს), კულტურაზე (ახალი “აბრეშუმის გზა” ამ “გზაზე” განლაგებული ქვეყნების კულტურათა გაცნობის კუთხით იქნება მიმზიდველი).

სატრანსპორტო დერეფნის ხსენებული უშუალო ზეგაველენა ეროვნული ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა დარგზე აშკარაა. მაგრამ გარდა პირდაპირისა ყურადსაღები ირიბი ზეგაველენაცაა, რადგანაც სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებისათვის ამა თუ იმ დარგის განვი-

თარება, თავის მხრივ, ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებასაც მოითხოვს.

მაშასადამე, “ეროპა – კავკასია – აზიის” სატრანსპორტო დერეფანი საქართველოს ეკონომიკის “ხერხემლის” შემქმნელია და ამდენად იგი უშუალო სატრანსპორტო პრობლემატიკას სცილდება, რადგანაც მთელ ეროვნულ ეკონომიკას მოიცავს, მისი თითოეული დარგის განვითარების სტრატეგიას განსაზღვრავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ “ეროპა – კავკასია – აზიის” სატრანსპორტო დერეფნის პრობლემა საქართველოსათვის ზოგადეკონომიკური ხასიათისაა.

სამწუხაროა, მაგრამ დღეს საქართველოს მთავრობის მიერ ეს ასე სულაც არ აღიქმება, რადგანაც დერეფანზე ზრუნვა მხოლოდ და მხოლოდ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს აქვს დავალებული, ხოლო სხვა სამინისტროების (ნაწილობრივ საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა) მონაწილეობა ამ პრობლემის გადაწყვეტაში უმთავრესად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

თავდაპირველად, როცა დღის წესრიგში ხსენებულ სატრანსპორტო დერეფანთან დაკავშირებული საკითხი დაისვა, ის ასეთი ფართო მასშტაბით ვერ იქნებოდა აღქმული, რადგანაც შესაძლო ეკონომიკური ინტერესების მქონე რეგიონების სახელმწიფოთა დერეფნით რეალური დაინტერესება იყო საჭირო. ეს კი, თავის მხრივ, არსებული სატრანსპორტო არტერიების მაქსიმალური გამოყენების ეფექტიანობის ნათელსაყოფად საჭირო პირველი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა. ბუნებრივია, რომ ხსენებულ პრობლემაზე მუშაობაც უწინარესად საქართველოს და სატრანსპორტო დერეფნის პროექტში სხვა მონაწილე სახელმწიფოთა ტრანსპორტის სამინისტროთა დონეზე შემოიფარგლებოდა. ამ მიმართულებით დღეს უკვე გარკვეული პოზიტიური გამოცდილება დაგრო-

და, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ სატრანსპორტო დერეფნის პრობლემა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არა მარტო როგორც სატრანსპორტო, არამედ როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის, ზოგადეკონომიკური ხასიათის მქონე პრობლემად იქნეს განხილული. აქედან გამომდინარე, ღღეს უკვე აუცილებელია “ევროპა – კავკასია – აზიის” სატრანსპორტო დერეფნის პრობლემა საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემათა რანგში იქნეს აყვანილი, რათა ის საქართველოს მთელი მთავრობის საქმიანობის უმთავრესი ორიენტირი გახდეს. პრობლემის არსიდან გამომდინარე ლოგიკურად უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოს მთავრობაში “ევროპა – კავკასია – აზიის” სატრანსპორტო დერეფნის პროექტზე მუშაობის კოორდინაციის ფუნქცია იმ სტრუქტურას დაეკისროს, რომლის უმთავრესი ამოცანა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და მის განხორციელებაზე ზედამხედველობა უნდა გახდეს.

## **§ XIX.5. ეკონომიკური ფუნქცია და საერთაშორისო ტერორიზმი**

2001 წლის 11 სექტემბერს მსოფლიოს პროგრესული ძალები ნიუ იორკსა და ვაშინგტონზე განხორციელებულმა შემზარავმა ტერორისტულმა აქტებმა შეძრა. ამ უძძიმესი მოვლენის ფონზე ბუნებრივად იზადება კითხვა იმის შესახებ, თუ საერთაშორისო ტერორიზმის აღზევებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის დროს საქართველოს ეკონომიკური ფუნქციის სახეცვლილება რამდენადაა მოსალოდნელი და ქვეყანა რა ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმონდება.



მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველოსათვის არსებული შემოსხენებული რევანშისტული საფრთხე გარკვეულ კორექტივს განიცდის, რაც უმთავრესად საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მონაწილეობით, უფრო ზოგადად კი ამ ბრძოლისადმი რუსეთის დამოკიდებულებით იქნება განპირობებული.

თეორიულად იმთავითვე შემდეგი ოთხი ვარიანტი გამოიკვეთა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი წინსწერი პრობლემებიდან გამომდინარე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლით თავად არის დაინტერესებული, თეორიულად მისი აშშ-თან დაპირისპირება, ან საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ წამოწყებულ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მიღებისაგან თავის შეკავება და პასიური, ანუ ნეიტრალური პოზიციის დატერა თავიდანვე არ იყო გამორიცხული.

პირველი ვარიანტის თანახმად რუსეთი მისი საზღვრების სიახლოვეს აშშ-ის და ზოგადად დასავლეთის ზეგავლენის გაძლიერების შესაძლებლობას აშკარად უნდა დაპირისპირებოდა; თუმცა ეს ნაკლებად საეარაუდო იყო ამ რეგიონში არსებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკურ ინიციატივათა მხარდაჭერისას, რადგანაც ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება ამ ინიციატივათა შედეგიანობა, რუსეთი საზღვრისპირა რეგიონში მისი როლის დაქვეითების საშიშროების წინაშე დადგებოდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ყველაზე უფრო რეაქციულმა ძალებმა მისი პრეზიდენტისა და მთავრობისაგან აშშ-ის საწინააღმდეგოდ მუსულმანური სამყაროს მხარდაჭერა მოითხოვეს; ეს კი საქართველოში პოლიტიკური რევანშისტის საფრთხეს აშკარად შეასუსტებდა, რამეთუ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ქართველობის

შენარჩუნება უწინარეს ყოვლისა მუსულმანებთან დაპირისპირებაში ქრისტიანობის შენარჩუნებასთან იყო გაიგივებული.

პირველი ვარიანტის თანახმად საქართველოს წინაშე მხოლოდ სოციალური რევანშის საფრთხე დადგებოდა და პოლიტიკური რევანშის თემა ფორმალურად მაინც უკანა პლანზე გადავიდოდა.

მეორე ვარიანტად რუსეთის მიერ ნეიტრალური პოზიციის დაკავება განიხილებოდა. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც შემოთავანხილულ პირველ ვარიანტშიც, რუსეთის მოსაზღვრე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკურ ინიციატივათა მხარდაჭერის გამო რუსეთი ამ რეგიონში მისი როლის დაქვეითების საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდა.

როგორც პირველ, ასევე მეორე ვარიანტში სახეზე გვექნებოდა აშშ-ის და მოვლიანად დასაველეთის როლის გაზრდის შესაძლებლობა, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, პოლიტიკური რევანშის საშიშროებას საქართველოშიც შეამცირებდა.

მესამე ვარიანტი რუსეთის აშშ-თან აქტიური პარტნიორობას შეეხებოდა. ამ შემთხვევაში რუსეთს შემოხსენებულ მოსაზღვრე ქვეყნებზე შეგავლენის შეინარჩუნება პრინციპში არ გაუჭირდებოდა, თუმც ამ რეგიონში აშშ-ის როლის ზრდის გამო ის მცირედით მაინც შესუსტდება. ასეთ ვითარებაში რუსეთსა და აშშ-ს შორის ჩამოყალიბებული დაპირისპირების გაფერმკთალების ფონზე საქართველოში პოლიტიკური რევანშის მომხრეებს თავისი მიზნების საჯაროდ დაფიქსირება ძალზედ გაუჭირდებათ. ამიტომ აქცენტი ძირითადად სოციალურ რევანშზე უნდა იყოს გადატანილი.

მესამე ვარიანტის ნაირსახეობას წარმოადგენს მეოთხე, რომლის აღბათობა ყველა წინა ვარიანტთან შედარებით თავიდანვე უფრო დი-

დად ჩანდა და რომლის კონტურებიც თანდათანობით სულ უფრო რელიეფურად წარმოჩინდა.

ამ ვარიანტის თანახმად რუსეთის პარტნიორობა აშშ-თან არა უბრალოდ აქტიური მხარდამჭერია, არამედ რუსეთი ყველა ღონით ცდილობს თავისი “შტრიხებიც” კი შემატოს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემას. კერძოდ, ეს გახლავთ რუსეთში არსებული ტერორისტული საფრთხის ფსევდოინტერნაციონალიზაცია. მართლაც, ამ ეტაპზე უკვე აშკარად გამოიკვეთა რუსეთის მცდელობა ჩვენურ ტერორიზმს საერთაშორისო სტატუსი “მიანიჭოს”. ამის მიღწევის ყველაზე ადვილი გზა ჩვენ ტერორისტთა მფარველობაში საქართველოს ხელოსნუფლების დადანაშაულებაა. ამ მიმართულებით რუსეთის რეაქციული ძალების სასარგებლოდ მოქმედებდა ერთ დროს პრესაში გაერცვლებული ცრუ ინფორმაცია მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბენ ლადენის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ყოფნის შესახებ.

საქართველოს ტერორისტთა მფარველობაში დადანაშაულების ყველაზე უფრო ცუდი სცენარით გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთს საქართველოში ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელებისათვის საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა უნდა მიეღო, რაც, საბოლოო ჯამში რუსეთის მხრიდან საქართველოზე განხორციელებული აგრესიას საერთაშორისო მხარდაჭერის საფუძველს შეუქმნიდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი ასეთი მხარდაჭერის მიღების გარეშეც საქართველოს წინააღმდეგ დაუნდობელ ინფორმაციულ ომს აწარმოებს, რომ არაფერ ვთქვათ ქართული ტერიტორიების საავიაციო დაბომბვაზე.

ამ სცენარის საბოლოო განხორციელებას თავად რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული აქტებისადმი დასაველე-

თის დამოკიდებულებამ უნდა შეუშალოს ხელი, რომლის თანახმადაც ნუნების მიერ მოწყობილი ეს აქტები, არც თუ იშვიათად, თავად რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ არის პროვოცირებული.

მართალია რუსეთის მიერ ატეხილი ანტიქართული ფსევდოტერორისტული ისტერია, ერთის მხრივ, პოლიტიკური რევანშისტების პოზიციების განმტკიცებას ემსახურება, მაგრამ, მეორეს მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მიერ წამოწყებული ყველა წინა ანტიქართული კამპანიის ყველაზე თვალსაჩინო შედეგი, საქართველოში ანტირუსული განწყობის გაძლიერება იყო, ეს საქართველოს მოსახლეობაში პოლიტიკური რევანშისტების ქართველ “მოღვაწეთა” პოზიციების რეალურ შესუსტებას უეჭველად გამოიწვევს.

იმისდა მიუხედავად, რომ აშშ საერთაშორისო ანტიტერორისტულ ბრძოლით არის უშუალოდ დაკავებული, საქართველოში რუსეთიდან მხარდაჭერილი პოლიტიკური რევანშიზმის საფრთხის თავიდან აცილებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთადერთი გარანტიად მაინც აშშ და დასავლეთ ევროპა რჩება.

ოთხივე ვარიანტის განხილვა მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რომ აშშ და მასთან კოალიციაში მყოფი ევროპული სახელმწიფოები საქართველოს არა მარტო სტრატეგიული პარტნიორები არიან, არამედ მათი როლი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ევროპული ორიენტაციის შენარჩუნებაში განუზომლად იზრდება.

ყველა განხილული ვარიანტის შემთხვევაში რევანშისტების მოქმედების ვექტორს, სხვა თანაბარ პირობებში, სოციალური მიმართულება ექნება.

საქართველოს ეკონომიკური ფუნქცია, როგორც ეს 'სემოთ აღინიშნა, იმ სატრანსპორტო არტერიასე მისი ადგილმდებარეობითაა განპირობებული, რომელიც ევროპასა და აზიას აერთიანებს.

არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულ პირობებში ანტიტერორისტული საომარი მოქმედებები შესაბამისი ვადით ამ სატრანსპორტო დერეფნის გამოყენების შესაძლებლობას მეტ-ნაკლებად შეაფერხებს. ასეთ ვითარებაში გარკვეული პერსპექტივა რუსეთის სატრანსპორტო არხების განვითარებას ექმნება და ამ შანსს, ბუნებრივია, რუსეთი მაქსიმალურად გამოიყენებს.

ამასთან ერთად აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ აშშ-ის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპული ორიენტაციის მქონე ისეთი მუსლიმური სახელმწიფოების თანადგომა და მხარდაჭერა, როგორც თურქეთი და აზერბაიჯანია, განსაკუთრებით იზრდება. ეს კი საქართველოზე გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საერთაშორისო მნიშვნელობას კიდევ უფრო გააძლიერებს.

თავდაპირველად აშშ-სა და ირანს შორის საერთაშორისო ტერორიზმის მიმართ ერთიანი პოზიციების შესაძლო წარმოჩინებამ და აშშ-ის სპარსეთის ყურეში გააქტიურებამ იმის მოლოდინი შექმნა, რომ უახლოეს მომავალში სატრანსპორტო სქემა “დასავლეთი – სამხრეთი” ერთობ მიმზიდველი გამხდარიყო, კერძოდ, “ირანი – სომხეთი – საქართველო – ევროპა” სატრანსპორტო არხის პერსპექტიულობა გაზრდილიყო. თუმცა, ირანი მთელი რიგი ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზების გამო მაინც ვერ შეძლებს (და როგორც გამოჩნდა არც აპირებდა) აშშ-ის სრულფასოვანი პარტნიორი გახდეს და სატრანსპორტო სქემის “დასავ-

ლეთი – სამხრეთი” პოტენციალი ბოლომდე აუთვისებელი კვლავ დიდხანს დარჩება.

რაც შეეხება 'ხეობისენებული "ჩრდილოეთ – სამხრეთის" სატრანსპორტო არტერიის ამოქმედებას, აშკარაა, რომ მისი პერსპექტიულობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გამწვავების ფონზე კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება. მისი ამოქმედებისათვის თეორიულად მხოლოდ ერთადერთი შანსი არსებობს (თუმცა საკმაოდ დაბალი ალბათობით), თუ კი ეს სამხედრო ტექნიკისა და პროვიანტის ტრანსპორტირებისათვის (ბუნებრივია, აშშ-სა და რუსეთს შორის აქტიური თანამშრომლობის პირობებში) გახდება საჭირო. ეს, თუნდაც თეორიული შანსიც კი არ უნდა იქნეს საქართველოს მიერ ხელიდან გაშვებული, რათა აშშ-ის უშუალო მხარდაჭერით მოხერხდეს აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით არსებითი ნაბიჯების გადადგმა.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსათვის ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს სოციალური რევანშიზმი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი ქვეყანაში კორუფციისათვის ეკონომიკური საფუძვლების გამოცლის, ეკონომიკური აღმავლობის გზით სიღარიბის აღმოფხვრის გარეშე ვერასოდეს ვერ იქნება დაძლეული, რაც, თავის მხრივ, სერიოზული სისტემური რეფორმების გატარებას მოითხოვს; ეს კი სათანადო პოლიტიკური ნების არსებობასა და მის მუდმივ გაძლიერებას საჭიროებს.

თავი XX. “ახალი ეკონომიკა”, გლობალური ეკონომიკური  
კრიზისის საშრობი და  
საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია\*

სხვის ჯიბეში ფულის დათვლა  
ცუდი საქციელია, მაგრამ საინტერესოა.  
*ლენინი კრიტიკული*

ფული ძალიან ძვირი ღირს.  
*რალფ ემერსონი*

დაცემა, როცა სამუშაოს თქვენი მეზობელი  
კარგავს, ხოლო კრიზისია, როცა  
სამუშაოს კარგაო თქვენ.  
*პარი თრუმენი*

**§ XX.1. “ახალი ეკონომიკა” და  
დოლარის კრახის რუსული სცენარი**

2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ზე განხორციელებულმა შემოსარაე-  
მა ტერორისტულმა აქტმა მთელს მსოფლიოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა  
იქონია. სავარაუდოა, რომ ამ მოვლენების და შემდგომში განვითარე-  
ბული პროცესების ზემოქმედება საერთაშორისო ეკონომიკურ მდგომარე-  
ობაზე კიდევ უფრო საგრძნობი იქნება.

დებატები იმის შესახებ, თუ როგორია აშშ დოლარის სტაბილუ-  
რობა და ამერიკულ ეკონომიკასთან ერთად შეინარჩუნებს თუ არა იგი

\* ამ თავის თანაავტორია ეუფხია ჩოჩელი (პაპავა, ჩოჩელი, 2002; Papava, Chocheli, 2002).

მსოფლიოში წამყვან პოზიციებს გრძელვადიან პერსპექტივაში, 11 სექტემბრის დრამატულ მოვლენებამდე საგრძნობლად ადრე დაიწყო.

განვიხილოთ რუსი ექსპერტების მიერ შემოთავაზებული (Хазин, Григорьев, 2001) ერთი საკმაოდ სენსაციური პროგნოზული ხასიათის სცენარი. ისინი ამტკიცებენ, რომ ახლო მომავალში აშშ დოლარის კრაზი გარდაუვალია.

რას ემყარება მათი პროგნოზი?

გლობალური კრიზისის მაპროეცირებულ მიზეზად ეკონომიკის “ახალ” (ინფორმაციულ) და “ძველ” (ტრადიციულ, მაგალითად სამრეწველო) სექტორებს შორის ზრდადი დისპროპორციები განიხილება; კერძოდ, “ძველ ეკონომიკაში” შემოსავლიანობის ზრდა შედარებით მოკრძალებულ და იმავდროულად სტაბილურ დონეზე დარჩა, ხოლო “ახალ ეკონომიკაში” კი – თვეში 10 პროცენტამდეც კი აღის (Хазин, Григорьев, 2001, с. 16).

ნიშანდობლივია, რომ 2001 წლის 12 იანვარს აშშ-ის კონგრესისადმი პრეზიდენტ კლინტონის ეკონომიკურ მოხსენებაში ყველაზე დიდი ყურადღება ქვეყნის ეკონომიკაში “ახალი ეკონომიკის” წამყვან როლს დაემო, თუმცა ამ მოვლენის (და მისი შესაბამისი ცნების) არსი ბოლომდე გახსნილი არ არის (Дейкин, 2001, с. 3); ეს, ალბათ, არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ კი მხედველობაში იმ გარემოებას მივიღებთ, რომლის თანახმადაც არა ერთი ამერიკელი თეორეტიკოსი სამეცნიერო ბრუნვაში “ახალი ეკონომიკის” ცნების შემოღების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით სერიოზულ ეჭვს გამოთქვამდა (Дейкин, 2001, с. 22). აღსანიშნავია, რომ ჯერ-ჯერობით თეორიული საკითხი იმის შესახებ “ახალი ეკონომიკა” “პოსტინდუსტრიული” საზოგადოების “წინ წაწეუ-



ლი” ფაზაა, თუ განვითარების სრულიად ახალი ეტაპი – “სეპოსტინდუსტრიული” სტადიაა, გადაწყვეტილი არ არის (Дейкин, 2001, с. 20).

ამის მიხედვად ამ ე.წ. “ახალი ეკონომიკის” არსის დახასიათებას რამოდენიმე სიტყვით მაინც შეეცდებით (მაგალითად, Kelly, 1998, pp. 1-8; ЕЭК, 2000, сс. 3-5).

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ “ახალი ეკონომიკის” (“New Economy”, “Новая экономика”) სინონიმებად გამოიყენება ტერმინები: “ინფორმაციული ეკონომიკა” (“Information Economy”, “Информационная экономика”), “მაღალი ტექნოლოგიების ეკონომიკა” (“High Technology Economy”, “Экономика новых технологий”); იმავდროულად თავისი შინაარსით “ახალი ეკონომიკა” იგივეა რაც “ინტერნეტ-ეკონომიკა” (Курицкий, 2000, с. 22)<sup>1</sup>. ტერმინ “ახალ ეკონომიკასთან” შინაარსობრივად ძალზედ ახლოსაა ბოლო პერიოდში გავრცელებული ტერმინი “ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა” (Sayed, Cheng, 2002, pp. 39-40).

“ახალი ეკონომიკის” ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება ისაა, რომ მისი რეალიზაციისათვის ძალზედ დიდი პირველადი ინვესტიციები საჭირო, რომელთა მომგებიანობა პროექტის განვითარების მხოლოდ ძალიან დიდი მასშტაბების პირობებში მიიღწევა. მომგებიანობის საწყისი დონიდან მოყოლებული ინვესტიციების უმნიშვნელო გაზრდაც კი მოგების სერიოზულ ზრდას გამოიწვევს. ამასთან ერთად გამოიკვეთა წინააღმდეგობა მომგებიანობასა და შრომის მწარმოებლურობას შორის; კერძოდ, იმის მოლოდინი, რომ “ახალი ეკონომიკა” ამ უკანასკნელის ამაღლებაში რევოლუციურ გარდატეხას შეიტანდა თავიდანვე დი-

---

<sup>1</sup> ტერმინი “ახალი ეკონომიკა” შედარებით ნაკლებად გავრცელებული გაგების თანახმად ის XX საუკუნის ბოლო ათწლეულის აშშ-ის სწრაფად მზარდი ეკონომიკის აღსანიშნავად გამოიყენება (Покровский, 2002, с. 63).

დი იყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა: პირველმა კინც რამოდენიმე წლის წინ ეჭვი შეიტანა შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში კომპიუტერიზაციის მნიშვნელოვან როლზე ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი რობერტ სოლოუ გახლდათ, რაც მოგვიანებით სხვა ამერიკელი ეკონომისტების მიერ ნატარებული ემპირიული გათვლებით იქნა დადასტურებული (Дейкин, 2001, сс. 22-23).

ბილ გეთსის – კომპიუტერული ბიზნესის “ცოცხალი ლეგენდის” – შეფასებით, თუ ეკონომიკური განვითარების წინა ეპოქები ხანმოკლე რევოლუციური ცვლილებებით გამოიჯნული სტაბილურობის ხანგრძლივი პერიოდებით ხასიათდებოდა, რასაც ევოლუციონისტები *წვევად წონასწორობას* უწოდებდნენ, დღეს ელექტრონული ინფორმაცია ბიზნესის მუდმივად ცვლად გარემოს ქმნის, რომელსაც ის *წვევად ქაოსს* უწოდებს (Гейтс, 2001, с. 417).

საინტერესოა, რომ, თუ “ძველი ეკონომიკის” საქონელზე ფასები მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება, “ახალი ეკონომიკის” საქონელზე ფასს მომავალი მოგება განსაზღვრავს.

როგორც შედეგი, ახალი ეკონომიკა ძველი ეკონომიკისაგან განსხვავებული მოდელით ვითარდება, რომელმაც მიიღო სახელწოდება – *ინვესტიციური*. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საწყისი მნიშვნელოვანი დანახარჯები იმ ინვესტირების მიერ ხორციელდება, რომლებიც უდიდეს მოგებას შედარებით შორეულ მომავალში ელიან. ამასთანავე, “ახალი ეკონომიკის” კომპანიების აქციების ღირებულება საფონდო ბირჟებზე არა მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების ბალანსიდან, არამედ მომავალი, გარკვეული გაგებით, “ვირტუალური” მოგებიდან განისაზღვრება (Хазин, Григорьев, 2001, с. 19).

თავისი ბუნებით “ახალი ეკონომიკა” ე.წ. “საპნის ბუშტის” ეკონომიკის (“Bubble Economy”, “Мыльная экономика”) ტიპისაა, როცა აუიოტაჟური მოთხოვნის შედეგად შესაბამისი ფასიანი ქაღალდების კურსი ყოველგვარი ობიექტური საფუძვლის გარეშე იზრდება (Nariai, 2002, pp. 48-51; Бок, 2002, сс. 177-187).

განსახილველი სცენარის ავტორთა მტკიცებით, ასეთი სიტუაცია საფონდო ბაზრის სტაბილურობას აფერხებს, რადგანაც იგი საფინანსო პირამიდის ნიშნების მატარებელია და მისი მდგრადობა ფსიქოლოგიურ მიზეზებზეა დამყარებული.

რამდენადაც “ახალი ეკონომიკის” აქტივების ამოსავალი ბაზა საკმაოდ საეჭვოა, საფონდო ბაზრის ზრდის ტემპების ნებისმიერმა არსებითმა შენელებამ, ფართომასშტაბიანი კრიზისი შეიძლება გამოიწვიოს.

გამოკვლევაში ხაზგასმულია, რომ, აშშ-ში აღმავლობის შემდეგ (70-იან წლები) უკრიზისო განვითარება, გამოწვეული იყო, ერთის მხრივ, სსრკ-ის დანგრევითა და აშშ-ის მიერ ყოფილი სსრკ-ის ეკონომიკურ სიერცეზე ჩამოყალიბებადი ახალი აუთეისებელი ბაზრების ექსპანსიით და, მეორეს მხრივ, “ახალი ეკონომიკის” შექმნით, რომელმაც ჭარბი ფინანსური რესურსები თავისკენ “გადაქანა”. აშშ-ში კელაგ დაფიქსირდა 20-იანი წლების ფენომენი – სწრაფი ეკონომიკური ზრდა ინფლაციის გარეშე.

ავტორები ამერიკული სიტუაციის განსაკუთრებულობას აღიარებენ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ “ძველმა ეკონომიკამ” “ახალ ეკონომიკასთან” კრედიტების, ინვესტიციებისა და შრომის ბაზრებზე კონკურენტული ბრძოლის წაგება დაიწყო, რის გამოც წარმოების ფაქტორების რეალური ღირებულება გაიზარდა, რამაც თავის მხრივ წარმოების ხარჯების ზრდაზე კპოვა ასახვა (Хазин, Григорьев, 2001, с. 23).

ამდენად, “ძველი ეკონომიკის” ფარდობითი რენტაბელობის განუხრელი შემცირება და მისი შედეგები, განიხილება როგორც გლობალური ეკონომიკური კრიზისის “გამწეები” მექანიზმი. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლები ფასებს გასრდიან, იმპორტირებთან კონკურენტულ ბრძოლას წააგებენ, რაც იმპორტის ზრდასა და სავაჭრო ბალანსის დეფიციტის გაუარესებას გამოიწვევს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიწოდება დაბალი ფასებით განხორციელდება, მაშინ ადგილობრივი მწარმოებლები რეალური სარალის საფრთხის წინაშე დადგებიან.

მოცემული სცენარის თანახმად “ახალი ეკონომიკის” საფინანსო მასშტაბების არსებითმა გაფართოებამ დაგროვების წილის შემცირება და მოხმარების ზრდა განაპირობა, რაც საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან ერთად ინფლაციური პროცესების გამომწვევია.

დამატებითი ფაქტორი, რომელმაც ინფლაციური პროცესი გააძლიერა, აშშ-ის დოლარის სხვა ვალუტების მიმართ გაძვირებაა, რამაც ხელი იმპორტის სტიმულირებას შეუწყო. კერძოდ, 2001 წლის პირველ 7 თვეში აშშ-ის სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა 20.6 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 46 პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (Хазин, Григорьев, 2001, с. 24).

რადგანაც იმპორტი მოხმარებას აღემატება და აშშ-ის კომპანიები მათ აქციებზე ფასების შემცირების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით წარმოების შემცირებაზე არ მიდიან, ისინი მუშაობას “საწყობზე” იწყებენ (კერძოდ, სასაწყობო მარაგები საგრძნობლად – კვარტალში ერთობლივი შიგა პროდუქტის 1 პროცენტით იზრდება), რითაც საჯაროდ აფიქსირებენ, რომ თითქოს წარმოების გაფართოებას აქვს ადგი-

ლი; ამით კი თანდათანობით “ჭარბწარმოების” საფრთხე იკვეთება (Хазин, Григорьев, 2001, с. 25).

მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც წამოთვლილ მექანიზმებს გააძლიერებს, აშშ-ის სასაღვრებს გარეო განთავსებული და გლობალური კრიზისის პირველივე ნიშანზე უკან დაბრუნებადი აშშ დოლარებისა და ფასიანი ქაღალდების უდიდესი რაოდენობა განიხილება.

მოცემული სცენარის თანახმად საფონდო ბაზრის ანალიზიდან გამომდინარე “Dow Jones”-ის (ტრადიციული სექტორის) და “NASDAQ”-ის (მაღალტექნოლოგიური სექტორის) ინდექსების ზრდის ობიექტური საფუძველი აღარ უნდა არსებობდეს (მაგალითად, “Dow Jones”-ის ინდექსი 2000 წლის პირველ ორ თვეში 11000-დან 10000 ერთეულამდე შემცირდა და შემდეგ წლის განმავლობაში აღნიშნულ დიაპაზონში შენარჩუნდა). ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ აშშ-ის საფონდო ბაზარზე ინვესტიციური შემოსავლიანობა შემცირდა. ამასთანავე, ინდექსების მერყეობის დიაპაზონი გაიზარდა, რაც საფონდო ბაზრის პროფესიონალი მონაწილეების სპეკულაციურ ქცევაზე მეტყველებს; კერძოდ, 11 სექტემბრის შემდგომ პირველი დღეების შოკური მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ზემოაღნიშნული ინდექსები შესაბამისად გაუტოლდა: “Dow Jones”-ის ინდექსი – 8681,42, ხოლო “NASDAQ”-ის ინდექსი – 1499,04, ხოლო 12 ოქტომბრისათვის – ტერაქტიდან ერთი თვის შემდეგ “Dow Jones”-ის ინდექსმა 9410,45, ხოლო “NASDAQ”-ის ინდექსმა – 1701,47 პუნქტი შეადგინა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აშშ-ის საფონდო ბაზრის განვითარების შესახებ მსგავსი ხასიათის შეფასებას სხვა რუსი ექსპერტებიც (მაგალითად, Доронин, Загашвили, Приписнов, 2001) აკეთებენ. მათი აზრით, 2000 წლის ბოლოსა და 2001 წლის დასაწყისში გამოკვეთილი მა-

ღალტექნოლოგიური ე.წ. “ზრდის კომპანიების” აქციების კურსის დაცემა გამოწვეულია (Доронин, Загашвили, Приписнов, 2001, сс. 3-4):

- ჭარბი კაპიტალიზაციით; მაღალი ტექნოლოგიების კომპანიების წილი გაყიდვებისა და დასაქმების ნაწილში არასაფინანსო კომპანიების ანალოგიურ მანუენებლების 10 პროცენტს არ აღემატებოდა, მაშინ როცა აშშ-ის საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციაში მისი წილი 36 პროცენტს შეადგენდა;
- მოზიდული კაპიტალის არაეფექტიანი გამოყენებით; კერძოდ, აშშ-ის ინტერნეტ-კომპანიებმა 1995-1999 წლებში მოზიდული 150 მლრდ. აშშ დოლარის კაპიტალის 80 პროცენტამდე რეკლამაზე, აქციების პირველადი განთავსების მიზნით საინვესტიციო ბანკების დანახარჯების დასაფარადად და შეთავაზებული მომსახურების ღირებულების სუბსიდირების მიზნით დახარჯა;
- მაღალი ტექნოლოგიების აქციების ბასარზე “აღმველობის” სპეკულაციური ხასიათით, რამაც “ზრდის კომპანიების” გადაჭარბებული შეფასება განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ “შერილ ლინჩის” კომპანიის ექსპერტების შეფასებით აქციებზე კურსის დაცემამ სავარაუდოა აშშ-ში სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირება 100 მლრდ. აშშ დოლარამდე გამოიწვიოს, რაც თავის მხრივ ერთობლივ შიგა პროდუქტს 1 პროცენტით შეამცირებს (Доронин, Загашвили, Приписнов, 2001, с. 6). საინტერესოა, რომ აშშ-ში მთელი აქციების ნახევარის მფლობელი მოსახლეობაა, რის გამოც “ქალაქის სიმდიდრის” გაუფასურება მიმდინარე მოხმარებას მნიშვნელოვნად შეცვლის, რაც მოთხოვნაზე ჰპოვებს ასახვას და შესაძლო ეკონომიკურ კრიზისს დაამძიმებს (შესაძლოა გაახანგრძლივოს კიდევ) (Рубцов, 2001, с. 44).

აშშ დოლარის კრაჩის მოცემული რუსული სცენარის თანახმად ეკონომიკური კრიზისის დასაწყისად 2001 წლის ნოემბერი იყო დასახელებული, რადგანაც ამ დროს საწარმოები ტრადიციულად საკუთარ კვარტალურ ბალანსებს აქვეყნებენ (Хазин, Григорьев, 2001, с. 29). სცენარის მიხედვით, თუ ამ დროისათვის ინფლაციის დონე მაღალი იქნება, აშშ დოლარი კიდევ უფრო გაუფასურდება.

ამ სცენარის ერთ-ერთი ავტორის, მიხეილ ხაზინის შეფასებით კრიტიკულ ზღვარს გაცვლითი კურსი 0.96-0.97 ევრო – 1 აშშ დოლართან წარმოადგენს; ამ ზღვარზე გასვლის შემდეგ აშშ დოლარის მსოფლიო მარაგების ევროში გადაყვანა საკმაოდ დანქარდება, რასაც საწარმოთა აქციების კურსის დაცემა მოჰყვება და რაც თავის მხრივ საერთაშორისო ეკონომიკის მსხვილმასშტაბიან კრიზისს გაუკეთებს პროვოცირებას (Квитко, 2001, с. 7).

სცენარში მოცემული დასკვნები კრიზისის შედეგებთან დაკავშირებით საკმაოდ პესიმისტურია (Хазин, Григорьев, 2001, с. 29-32):

პირველი, საფონდო ბაზრის კრაჩი სხვადასხვა შეფასებებით 7-15 ტრილიონი დოლარის ზარალს გამოიწვევს. ამასთან, იგი (საფონდო ბაზარი) “ცხელი” ფულის განეიტრალების ფუნქციას დაკარგავს, რაც ინფლაციურ პროცესებს კიდევ უფრო გააძლიერებს და აშშ-ში იმ დოლარების დაბრუნებას გამოიწვევს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნის გარეთ დაგროვდა.

მეორე, გაკოტრდება საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს ფასიანი ქაღალდები შეადგენენ.

მესამე, შემცირდება საბიუჯეტო შემოსავლები, რაც, თავის მხრივ, სოციალური პროგრამების დაფინანსების კლებაზე აისახება. იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო მოხმარება მსოფლიოში 1,5-3-ჯერ დაეცე-

მა, კერძო მოხმარების შემცირება გრძელვადიანი დაგროვების ნორმის აღდგენის მიზნით აშშ-ის მოსახლეობის ცხოვრების დონეს კიდევ უფრო შეამცირებს.

მეოთხე, გარდუვალი იქნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაშლა, რაც პროტექციონული პოლიტიკის აღზევებას გამოიწვევს. ასეთ ვითარებაში აშშ დოლარი საერთაშორისო ვალუტის ფუნქციას დაკარგავს, ხოლო ევრო პოზიციების გამყარებას ჯერ კიდევ ვერ მოასწავებს. როგორც შედეგი, მსოფლიოში მრავალვალუტიანობა აღდგება.

მეხუთე, ქვეყნები წარმოების საბიუჯეტო დაკრედიტებაზე გადავლენ, რაც შიდა წარმოების კონკურენტუნარიანობის ამადლებას შეუწყობს ხელს, თუმცა ინფლაციის ზრდასაც მისცემს ბიძგს.

მექექსე, აშშ-ის მსხვილი იმპორტიორები იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები აშშ-ში ექსპორტის შემცირებით, ხოლო რუსეთი<sup>2</sup> და ლათინური ამერიკის ქვეყნები აშშ დოლარის გაუფასურებით (რადგანაც მათთვის იგი პარალელურ ვალუტას წარმოადგენს) სერიოზულად დაზარალებიან.

ცნობილია, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში აშშ-ისა და უმრავლესი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს შორის დადებითი კორელაცია არსებობს (Pyriaov, 2001, c. 41), რაც კრიზისის ფართომასშტაბიანი გავრცელების საფუძველს ქმნის. თუ ერთი თაობის წინ ნებისმიერ საფინანსო ბაზარზე საფონდო, თუ სავალუტო კრიზისის მსოფლიოში გავრცელებას რამოდენიმე კვირა და თვეც კი სჭირდებოდა, დღეს, როცა მსოფლიო საფინანსო სივრცე ელექტრონულ კავში-

<sup>2</sup> აშშ-ის ეკონომიკის ბოლოდროინდელი რეცესიის რუსეთის ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენის ანალიზი მოცემულია ნაშრომში (Потемкин, 2001, сс. 317-323).



რებს ეფუძნება, კრიზისის გაერცელების სისწრაფე პრაქტიკულად ერთი დღით შემოიფარგლება (Гейтс, 2001, с. 417-418).

სცენარის ავტორებს მიაჩნიათ რომ, თუ რუსეთი შედარებით “მოქნილ” შრომით კანონმდებლობას შექმნის და ინვესტორებს “თამაშის წესების” უცვლელობაში დაარწმუნებს, მაშინ, მაღალკვალიფიციური კადრებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება აშშ-ის საფინანსო ბაზრებიდან გამოთავისუფლებული თავისუფალი კაპიტალის რუსეთის წიაღისეულში დაბანდება (Хазин, Григорьев, 2001, сс. 29-31).

თუმცა, ჩვენი აზრით, თუ, რუსეთში კორუმპირებულობის მაღალ დონეს, დიდი რისკის ფაქტორის არსებობასა და უცხოელი ინვესტორის დაცულობის დაბალ დონეს გაეითვალისწინებთ, ასეთ პირობებში მასშტაბური ინვესტიციების ჩადება ნაკლებსავარაუდოა.

რადგანაც აშშ დოლარის კრახის განხილული რუსული სცენარის თანახმად გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდეგ პროტექციონიზმის აღზევებაა მოსალოდნელი, რუსი ექსპერტები მიმზიდველად ჩინეთის საფინანსო-ეკონომიკური სტრატეგიის გამოცდილებას მიიჩნევენ, რამეთუ ის მოსალოდნელი გლობალური კრიზისიდან მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ დღევანდელ ჩინეთში თანდათანობით იკეთება მიმდინარეობა, რომლის დაუფარავი მიზანია მსოფლიო ეკონომიკური, და შესაძლოა პოლიტიკური ბატონობის მიღწევა, ხოლო ძირითადი თეზისია “XXI საუკუნე – ჩინეთის საუკუნეა” (Гельбрас, Кузнецов, 2001, с. 119).

რუსი ექსპერტების მიერ დადებითად შეფასებული ჩინეთის საფინანსო სტრატეგია შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს (Анисимов, 2001, сс. 124-138):

- ფასწარმოქმნის რეგულირების შედარებით მაღალი დონე (დარგები, რომლებიც ნედლეულს აწარმოებენ, მოლიანად სახელმწიფოს საკუთრებაა, რის გამოც სახელმწიფოს შეუძლია ფასები ისე არეგულიროს, რომ, ერთის მხრივ, ექსპორტიორები წახალისოს, ხოლო, მეორეს – კი საბაჟო ტარიფებით შიდა წარმოება დაიცვას);
- “საგადასახადო” ტვირთის საშუალო დონე და იმგვარი საბაჟო ტარიფები, რომლებიც ხელს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას უწყობს;
- ფიზიკური პირების მიერ დაგროვების მაღალი დონე, რომელიც საკრედიტო სექტორში მსხვილ საფინანსო ნაკადს უზრუნველყოფს;
- სახელმწიფოს მიერ მსხვილი ინვესტორის ფუნქციის შესრულება (კერძოდ, სახელმწიფო კრედიტების საერთო რაოდენობა საშუალოდ წლიურად 3 მლრდ. აშშ დოლარია, რომელთაგან საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კრედიტების რაოდენობა 1 მლრდ. აშშ დოლარს აღემატება);
- რეგულირებადი სავალუტო სისტემა, რომელიც ბრუნვაში არსებულ ორივე ვალუტას – ჰონგ-კონგის დოლარს (რომელიც საგარეო ბაზრებზე საკმაოდ ეფექტიანად გამოიყენება) და იუანს (რომელც ჰონგ-კონგის დოლართან შედარებით “რბილია”, თუმცა პრინციპში მაინც საკმაოდ “მყარ” ვალუტად უნდა ჩაითვალოს) – გულისხმობს.

აუცილებელად მიგვანია აღინიშნოს, რომ ჩინეთის სახელმწიფო-მმართველობითი და საფინანსო-ეკონომიკური მოწყობა იმდენად სპეციფიკურია, რომ ამ მოდელის სხვა ქვეყნებში “ტირაჟირება” ნაკლებ შე-

საძლებელია. ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ როგორც ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს სახელმწიფოს მიერ ბაზრის არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის საკუთარ თავსე აღება, საბოლოო ჯამში, ამ მოდელის პერსპექტიულობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

აშშ დოლარის კრახის განხილული რუსული სცენარის შეფასების მიზნით ხაზი იმ გარემოებას უნდა გაესვას, რომ მასში აღწერილი პროცესები დიდი ხანია ცნობილია და ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგანაც თუნდაც “NASDAQ”-ის ინდექსის თანდათანობითი ვარდნა და მისი გამომწვევი მიზეზები სპეციალისტებისათვის არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. რუსი ექსპერტების მიერ მომზადებული სცენარის ყველაზე სუსტ მხარეს, ჩვენი აზრით, პროცესების ხედმეტი დრამატიზება წარმოადგენს, რაც აშშ-ის ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისული მოვლენების დოლარის კრახსა და გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში უცვლელად გადაზრდაში გამოიხატება.

მართალია, განხილული სცენარის ძირითად მიდგომებს შესაძლებელია ნაწილობრივ დავეთანხმოთ, თუმცა იმ მოსაზრებას, რომ აშშ-ის დოლარის კრახის უპირობო მიზეზი ახალი ტექნოლოგიების განვითარებაა, ძნელი გასაზიარებელია. კერძოდ, ძირითადი არგუმენტი “ახალი ეკონომიკის” სასარგებლოდ ისაა, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბაზრის ლიბერალიზაციამ შეცვალა ძირითადი მაკროეკონომიკური ურთიერთკავშირი წარმოების გაფართოებას, ინფლაციასა და უმუშევრობას შორის; ახალი ტექნოლოგიები მარაგების უფრო ეფექტიანი მართვის საშუალებას იძლევა; ინფორმაციული ნაკადების მართვის გაუმჯობესებამ კი რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება გაახალგაზრდა შესაძლებელი, ხოლო ინტერნეტმა მომხმარებელს არჩევანის პროდუქციის უფრო ფართო წრეზე გაკეთების შესაძლებლობა მისცა; უკა-

ნასკნელი კონკურენციას აძლიერებს და, სხვა თანაბარ პირობებში, საბოლოო ჯამში, როგორც ცნობილია, ინფლაციის დაბალ დონეს განაპირობებს (ЕЭК, 2000, сс. 2-5).

## **§ XX.2. გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობა საერთაშორისო ანტიტერორისტული ომის პირობებში**

აშშ დოლარის კრახის განხილული რუსული სცენარი შესაძლო ომების მიერ ზემოხსენებულ პროცესთა კორექტირებას არ ითვალისწინებს (Хазин, Григорьев, 2001, с. 33).

დღეს მსოფლიოში დაწყებული თვისობრივად ახალი საერთაშორისო ანტიტერორისტული ომის პირობებში გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობისა და აშშ-ის მიერ მსოფლიოში ეკონომიკური პეგემონიის შენარჩუნების შესახებ კითხვები ბუნებრივად იბადება.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა მასშტაბებს მიიღებს ანტიტერორისტული კამპანია და ტერიტორიულად რამდენად იქნება განფენილი.

აქ შესაძლოა ორი სცენარის განხილვა:

**პირველი**, როცა საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანია მხოლოდ ავღანეთით შემოიფარგლება და ტერორისტების მხრიდან საპასუხო დარტყმები აშშ-სა, თუ მის მოკავშირეებზე განხორციელებულ არ (ან ვერ) იქნება (რაც პრაქტიკულად ასე მოხდა კიდეც). ამ შემთხვევაში ანტიტერორისტული ომი აშშ-ის მიერ ვიეტნამსა, თუ ერაყში, ნატო-ს – კი იუგოსლავიაში წარმოებული ომის ხასიათს მიიღებს.

მოვლენების ასეთი განვითარება აშშ-ის ეკონომიკისათვის უკეთესი ცაა, რადგანაც მასში, როგორც აღინიშნა, სულ უფრო მეტად იკვეთება ჭარბწარმოების არასასურველი სიმპტომები, ხოლო ჭარბი საფინანსო და მატერიალური რესურსები ომის პირობებში სამხედრო საჭიროებისათვის "გაიწოვება". ეს კი აშშ-ის ეკონომიკური აღმავლობის სტადიას უფრო გაახანგრძლივებს.

ამასთან, აშშ-ის მიერ ანტიტერორისტული სამხედრო კამპანიის დაწყების გახმაურებამ და დროში მეტ-ნაკლებად გაწეულ ფირმები და მოსახლეობაც გარკვეულწილად შეამზადა იმისათვის, რომ ომის რისკი თავიანთ გადაწყვეტილებებში გაეთვალისწინებინათ.

მაშასადამე, პირველი სცენარის თანახმად გლობალური ეკონომიკური კრიზისი პრაქტიკულად გამორიცხულია.

აქვე იმ გარემოებასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ აშშ საერთაშორისო ანტიტერორისტული ომის წარმოებისას მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნით იფარგლება და სხვა ქვეყანაში მსგავსი ოპერაციის დაწყება მხოლოდ მაშინ განიხილება, როცა ის წინა ქვეყანაში დასრულებულია. კერძოდ, ერაყში ანტიტერორისტული საბრძოლო კამპანიის საკითხი მხოლოდ ავღანეთში მსგავსი აქციის დასრულების შემდეგ დადგა. სხვა სიტყვებით, *აშშ-ის საერთაშორისო ანტიტერორისტულ ომის ტაქტიკური სქემის თანახმად, ის საომარ მოქმედებებს დროსა და სივრცეში ერთი რომელიმე ქვეყნის მასშტაბში უკეთებს ლოკალიზაციას.*

მეორე სცენარის სახით განვიხილოთ შემთხვევა, როცა ადგილი ექნება საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინების მორიგ ფაქტებს და მის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი კონკრეტული ქვეყნის მასშტაბებს გასცდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ტერორისტული აგრესიის გაფართოების შემთხვევაში მხოლოდ ე.წ. “წერტილოვანი დარტყმებით” საერთაშორისო ტერორიზმის დამარცხება ძალზედ პრობლემატური გახდება, არ არის გამორიცხული, რომ მოვლენები საკმაოდ რთული სქემით წარიმართოს.

ჯერ ერთი, თუ, ანტიტერორისტული ოპერაციების ფონზე ტერორისტები შთამბეჭდავი აგრესიის განხორციელებას კვლავ მოახერხებენ, ამან შესაძლოა სერიოზულად იმოქმედოს ამ ოპერაციების შედეგიანობის, მათი ძირითადი განმახორციელებლის, აშშ-ის მიმართ ნდობაზე. ეს უკანასკნელი კი ძალზედ მაღალი ალბათობით შეიძლება აშშ-ის საფინანსო ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაკარგვაზეც აისახოს. კერძოდ, წარმოდგენები აშშ-ის და მისი ვალუტის ყოველისშემძლების შესახებ ნგრევის წინაშე აღმონინდება, შედეგად აშშ დოლარის, როგორც საერთაშორისო ანგარიშსწორების საშუალების გამოყენების არეალი მნიშვნელოვანწილად შემცირდება.

ამ ტენდენციის პირველი ნიშნები კი ბოლო ათწლეულში ისედაც გამოიკვეთა: თუ 1989 წლისათვის სავალუტო ბაზრების ბრუნვის საერთო მოცულობაში აშშ დოლარის წილი 45 პროცენტს შეადგენდა, 1995 წლისთვის 41,5 პროცენტი შეადგინა (მაშინ, როცა აშშ-ის წილი მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში 20,7 პროცენტს, ხოლო მსოფლიო ექსპორტში 15,2 პროცენტს შეადგენდა); ანალოგიური მასშვებლები ევროკავშირისათვის, შესაბამისად, 20,4 და 14,7 პროცენტს შეადგენს; აღნიშნულ პერიოდში გერმანული მარკის წილი 13,5 პროცენტიდან 18,5 პროცენტამდე და ფრანგული ფრანკი 1-დან 4 პროცენტამდე გაიზარდა; შვეიცარული ფრანკის გავლენა შემცირდა 5 პროცენტიდან 3,5 პროცენტამდე; რაც შეეხება იაპონურ იენს, ის 13,5 – 12 პროცენტის ინ-

ტერვალში მერყეობდა (Тавриач, 2001, с. 4). საინტერესოა, რომ 1996-2000 წლებისათვის M2-ის ზრდის ტემპების ანალიზიც ანალოგიურ სურათს იძლევა; კერძოდ, 1996-2000 წლებში აშშ-ში M2 4,7 პროცენტით შემცირდა, მაშინ როცა ამის საპირისპიროდ იაპონიის M2 47,9 პროცენტით, ევროზონის 47 პროცენტით, დიდი ბრიტანეთის 47 პროცენტით, აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (კორეა, სინგაპური, ტაივანი, ჰონგ-კონგი) 39,7 პროცენტით, შეიცივარისა კი 3 პროცენტით გაიზარდა (IMF, 2001A, p. 802; IMF, 2001B, p. 216). ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხსენებული ვალუტების მოცულობის ზრდა ძირითადად მათი გამოყენების საერთაშორისო არეალის გაფართოებით იყო განპირობებული; მაგალითად, იაპონიაში 1996-2000 წლებში ფულის მასის სერიოზული ზრდის ფონზე (47,9 პროცენტი) დეფლაცია დაფიქსირდა (6,6 პროცენტი), ხოლო რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, ანალოგიურ პერიოდში ფასების დონის ზრდამ აშშ-ის ფასების დონის ზრდას უმნიშვნელოდ გადააჭარბა და 13,6 პროცენტი შეადგინა, თუმცა ფულის მასის ზრდა ბევრად მნიშვნელოვანი (47 პროცენტი) იყო (IMF, 2001B, p. 205). აღნიშნული ტენდენციებიდან გამომდინარე, აშშ დოლარის გამოყენების არეალის კიდევ უფრო მეტი შემცირებაა მოსალოდნელი.

მეორე, აშშ-ის საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი საღღო მოკლევადიან პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდება; ეს, კი აშშ დოლარის საერთაშორისო ანგარიშსწორების არეალის შეზღუდვასთან ერთად მისი დეველუაციის მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს.

მესამე, აშშ-ის ანტიტერორისტული კამპანია გარკვეულწილად ჭარბი რესურსების უტილიზაციას ახდენს და ჭარბწარმოების შესაძლო კრიზისს გადააყადებს.

მეოთხე, უსაფრთხოების საშუალებების წარმოების მიზნით გაიზრდება აშშ-ის მთავრობის მოთხოვნა მაღალ ტექნოლოგიებზე, რაც კერძო ინვესტიციების სახელმწიფო ინვესტიციებში “გადაქანვას” გამოიწვევს (ანუ კერძო ინვესტიციების სახელმწიფო ინვესტიციებით გამოდევნის ეფექტს ექნება ადგილი). ეს თავის მხრივ საპროცენტო განაკვეთის ზრდას მისცემს ბიძგს, რაც აშშ-ის ეკონომიკის გახსნილობის მაღალი ხარისხის პირობებში კაპიტალის შემოდინების საგრძნობ ზრდას განაპირობებს, რაც კაპიტალის მოძრაობის ბალანსის გაუმჯობესებას და, შესაბამისად, აშშ დოლარის კვლავ გაძვირებას გამოიწვევს (თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მას პირვანდელ პოლიტიკებზე დაბრუნება გაუჭირდება).

მეხუთე, სააეიაციო და სადაზღვევო ბიზნესი სერიოზულად დასარაღდა, რამაც სხვა დარგებზეც შეიძლება იქონიოს უარყოფითი ზეგავლენა.

აღსანიშნავია, რომ აშშ-მა თავის აეიაკომპანიების ზარალის კომპენსაცია უკვე მოახდინა; აშშ-ის მთავრობამ მრეწველობის დახმარების მიზნით 100 მლრდ. აშშ დოლარი უკვე 2001 წელს გამოყო (КВНТКО, 2001).

შექმნილ ვითარებაში სადაზღვევო და გადამზღვეველმა კომპანიებმა, ეკონომიკურად გამართლებული ტაქტიკური ნაბიჯის თანახმად სადაზღვევო შენატანების განაკვეთები უნდა გაზარდონ, რაც საბოლოო ჯამში წარმოებრივ სარჯებს გაზრდის და, შესაბამისად, ფასების აწევასაც განაპირობებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ანტიტერორისტულ კამპანიაში ეუროპაც (განსაკუთრებით კი დიდი ბრიტანეთი) აქტიურადაა ჩართული, თეორიულად გამორიცხული არ არის, რომ მუსლიმი ტერორისტები შეეც-



დებიან ტერორისტული აქციები მის მიმართაც განახორციელონ. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში მოთხოვნა დაზღვევაზე ევროპაშიც გაიზრდება.

ტერორისტული აგრესიის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ფორმას კომპიუტერული აგრესია წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ტერორისტები შეეცდებიან სხვადასხვა სფეროებში ელექტრონული კავშირების რღვევას. აგრესიის ამ ფორმის საფინანსო ბაზრებზე გამოყენების შემთხვევაში მსოფლიო მასშტაბის საფინანსო-ეკონომიკური კრაზი გარდუვალი იქნება.

განხილული მეორე სცენარით წარმოებული საერთაშორისო ანტი-ტერორისტული ომის პირობებში გლობალური ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილების შესაძლებლობა აშშ-სა და მისი პარტნიორების შედეგად საომარ ქმედებებზე, მათი მხრიდან პრევენტული ანტიტერორისტული ზომების სრულყოფილებასა და დროულობაზეა დამოკიდებული. ავღანეთში განხორციელებული ანტიტერორისტული ოპერაციის წარმატებამ მეორე სცენარის განხორციელების შესაძლებლობის ალბათობა ერთობ შეამცირა.

### **§ XX3. მოსალოდნელი გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია**

მსოფლიოში განვითარებულ მოვლენათა ფონზე ნავთობზე ფასების მნიშვნელოვანი მომატება მოსალოდნელი არ უნდა იყოს. რაც შეეხება უმნიშვნელო მომატებას, ეს, ერთის მხრივ, მის მოპოვება-ტრანსპორტირებაზე გაწეულ ხარჯებში სადაზღვევო კომპონენტის ზრდით,

ხოლო, მეორეს – კი, მიწოდებაში გარკვეული შეფერხებებით იქნება გამოწვეული. ხაზგასასმელია ისიც, რომ ტერორისტების მხრიდან ტერორისტული აქტების განხორციელება ნაეთობმომპოვებელი მუსლიმური ქვეყნების წინააღმდეგ პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგანაც ეს მათ დასავლეთის წინააღმდეგ რელიგიური ბრძოლის – “ჯიჰადის” გამოცხადების პოტენციალურ შესაძლებლობას წაართმევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ “ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის” ნაეთობსაღენის საინვესტიციო პროექტის პოლიტიკურ მიმსიდველობას ეკონომიკური უპირატესობის შესახებ რაიმე დამატებითი არგუმენტი ვერც შემატოს (პაპავა, 2001ე, გვ. 20; Papava, 2002B; Папавა, 2002Г) (იხ. თავი XIX).

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო “მკირე” ეკონომიკის ქვეყანას წარმოადგენს, მას გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე რაიმე არსებითი სეგაეღენის მოხდენა არ შეუძლია, თუმცა მეტ-ნაკლებად გონიერული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით გარკვეული სარგებლის მიღებაც არ არის გამორიცხული, რომ არაფერი ეთქვათ აშკარად უარყოფითი ეფექტების ზეგაეღენის მინიმიზაციაზე.

ის, რომ ანტიტერორისტულმა საომარმა მოქმედებებმა საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირება შესაბამისი ვადით გარკვეულად შეაფერხოს (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ავღანეთში განხორციელებული ანტიტერორისტული ოპერაციის აქტიური ნაწილი დასრულებულია) ნაკლებად სავარაუდოა. თუ კი ასეთი, მაინც მოხდა, მაშინ გარკვეული პერსპექტივა რუსეთის სატრანსპორტო არხების განვითარებას ექნება და ამ შანსს, ბუნებრივია, რუსეთი მაქსიმალურად გამოიყენებს.

ის, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით საქართველოს საჯარისო ნაწილები ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ ანტიტერორისტული ოპერაციების საწარმოებლად გადიან მომსაღდებას, ეს ქვეყნის უსაფრთხოების მდგომარეობას თვისობრივად აუმჯობესებს, რაც, თავის მხრივ, საქართველოს მიერ სატრანსპორტო დერეფნის საერთაშორისო ფუნქციის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

აქ აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ აშშ-ის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით ისრდება ევროპული ორიენტაციის მქონე ისეთი მუსლიმური სახელმწიფოების თანადგომა და მხარდაჭერა, როგორც თურქეთი და აზერბაიჯანი. ეს საქართველოზე გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საერთაშორისო მნიშვნელობას კიდევ უფრო გააძლიერებს.

როცა რუსი ექსპერტები გლობალური სავალუტო კრიზისის შესაძლებლობას გარდუეულად მიიჩნევენ (რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი აზრით, ერთობ გაზვიადებულია), კითხვები იმის შესახებ, რომ აშშ დოლარის შესაძლო დევალვაციის პირობებში საქართველოს სავალუტო პოლიტიკა როგორი უნდა იყოს, და ლარის კურსის არსებულ დონეზე შენარჩუნებას რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ექნება – ბუნებრივად იბადება.

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს ფართომასშტაბიანი ჩრდილოვანი ეკონომიკა წარმოადგენს, რომელსაც ძირითადად აშშ დოლარი “ემსახურება”. მისი მნიშვნელოვანი გაუფასურების შემთხვევაში არსებით დარტყმას სწორედ ჩრდილოვანი ეკონომიკა მიიღებს, რაც მისი ლეგალური ეკონომიკით ჩანაცვ-

ლებას სულაც ვერ განაპირობებს, რამეთუ ეს უკანასკნელიც მართალია ჩრდილოეთთან შედარებით ნაკლები ოდენობით, მაგრამ მაინც საკმარის დიდადაა აშშ დოლარზე დამოკიდებული. საქართველოში სტატისტიკურად აღურიცხავი გამოშვების წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 2000 წელს 32,5, ხოლო 2001 წლის 31,6 პროცენტს შეადგენდა, ხოლო სამეწარმეო სექტორში კი, შესაბამისად, – 55,0 და 54,1 პროცენტს (სსსდ, 2002, გვ. 5). აშშ-ის დოლარის მნიშვნელოვანი გაუფასურება საქართველოს ეკონომიკის თითქმის ერთ მესამედს (ანუ ჩრდილოეთ ეკონომიკას), ხოლო სამეწარმეო სექტორის ნახევარზე მეტს (ანუ ჩრდილოეთ მეწარმეობას) თითქმის სრული განადგურების საშიშროების წინაშე დააყენებს, ხოლო მის ლეგალური სექტორში “გადანაცვლებას”, მასში არსებული მსგავსი სიტუაცია შეუშლის ხელს, როცა სადეპოზიტო ვალდებულები და არასამთავრობო სექტორზე საბანკო სისტემიდან აშშ დოლარებში გაცემული სესხების ოდენობა 2001 წლის მდგომარეობით 80 პროცენტს აღემატება (სსსდ, 2002, გვ. 29, 31).

საქართველოს ეკონომიკის ლეგალური სექტორისათვის აშშ დოლარის შესაძლო დეველუაციის დადებით მომენტს ის წარმოადგენს, რომ საგარეო ვალის ოდენობა ლარებზე გადაანგარიშებით შემცირდება, რაც საქართველოს ბიუჯეტისათვის გარკვეული შეღავათი იქნება.

ამავე დროს უარყოფითი მომენტებიც ყურადსაღებია.

ჯერ ერთი, იმპორტის წახალისება მოხდება, რაც საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს კიდევ უფრო გაზრდის;

მეორე, უცხოური ინვესტიციებიდან ბიუჯეტში გადასახადები შემცირდება;

მესამე, საგარეო წყაროებიდან ბიუჯეტის ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობები ასევე შემცირდება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველომ, მსოფლიოში ჩამოყალიბებადი ახალი ტენდენციების მხედველობაში მიღების საფუძველზე თავისი სავალუტო პოლიტიკის ადაპტირება უნდა მოახდინოს.

გარკვეული სირთულეები საქართველოს მისი ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში – თურქეთში მომხდარი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის გამო დაემუქრა, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ თურქეთისადმი გაწეული დახმარება ამ საფრთხის სიმძაფრეს ერთობ ასუსტებს.

ევიქრობთ, საქართველომ საბაჟო კონტროლის გამკაცრებასთან ერთად აუცილებელია ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე შესაბამისი შესლუდვები დააწესოს, რათა არა მარტო საქართველოში მცხოვრებ მომხმარებელთა უფლებები დაიცვას, არამედ საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებაც მოახდინოს.

მნიშვნელოვანია ლარის სტაბილური გაცვლითი კურსის შენარჩუნება. როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი ქართველი (ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნის) ეკონომისტისაგან არც თუ იშვიათად გაისმის მოსაზრება, რომ ეკონომიკური ზრდისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით გამართლებულია ლარის დეველვაცია, თუმცა თეორიულადვე მტკიცდება, რომ წარმოების ტექნიკური ჩამორჩენილობის, საერთაშორისო ბაზრებზე არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების პირობებში ვალუტის დეველვაცია ხელს არა წარმოებისა, თუ ექსპორტის, არამედ ინფლაციის გაზრდას შეუწყობს (იხ. თავი XIV). საქართველოს მაგალითზე ამ თეორიული ჭეშმარიტების პრაქტიკულ დადასტურებას სტატისტიკა იძლევა: 2001 წლის დეკემბერში 2000 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის რეალური გაცვლითი კურსი რუსული რუბლის მიმართ 18 პროცენტით, ხოლო აშშ დოლარის მი-

მართ 2,7 პროცენტით შემცირდა, მაგრამ ამან წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახდლო ბალანსის გაუმჯობესება ვერ უზრუნველყო: 2001 წელს საგაჭრო ბალანსის დეფიციტი 364,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა 2000 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელი კი – 341,1 მლნ. აშშ დოლარი (სსსდ, 2002, გვ. 34, 43).

აშშ დოლარის შესაძლო დეველუაციის პირობებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაციას ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ რეზერვებში აუცილებელია ყველა მეთ-ნაკლებად სტაბილური ვალუტის გათვალისწინება.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით აშშ-სა და მისი მოკავშირეების და ისლამური სამყაროს ტერორისტთა დაპირისპირების გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ყველაზე უფრო მეტ სტაბილურობას ის ვალუტები შეინარჩუნებენ, რომელი სახელმწიფოებიც ანტიტერორისტულ საომარ მოქმედებებში მინიმალურად იქნებიან ჩაბმულნი. ასეთ ვალუტათა რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, იაპონური იენი და შვეიცარული ფრანკი განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები სულ ცოტა ხუთპოლუსიანი ეკონომიკის (აშშ დოლარი, ევრო, იენი, გირვანქა სტერლინგი, შვეიცარული ფრანკი) ანარეკლი უნდა იყოს.

თუ კი გავითვალისწინებთ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საანგარიშსწორებო ერთეულის – სესხების სპეციალური უფლების (ანუ “SDR”-ის) ღირებულება მასში შემავალი ვალუტებისაგან განსხვავებით დიდი სტაბილურობით ხასიათდება (რადგანაც სავალუტო კალათაში შემავალი რომელიმე ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება ჩვეულებრივ სხვა ვალუტების გაცვლითი კურსის დინამიკით კომპენსირდება), მაშინ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვე-

ბის მეორე მოდელს საფუძვლად შეიძლება “SDR”-ის სტრუქტურა დაედოს; კერძოდ, ამ რეზერვების მაქსიმალური დაცულობის მიღწევის მიზნით მის სტრუქტურაში თითოეული ნამოთვლილი ვალუტა ისეთივე პროცენტული შემადგენლობით უნდა იყოს განთავსებული, როგორც “SDR”-შია.

“SDR”-ის ღირებულება, 2002 წლის 1 ივლისისათვის, იმ სავალუტო კალათის საფუძველზე განისაზღვრება, რომლის 45 პროცენტი აშშ დოლარის, 29 პროცენტი ევროს, 15 პროცენტი იაპონური იენისა და 11 პროცენტი გირვანქა სტერლინგისაგან შედგება (IMF, 2001B).

ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის, საერთოდ ყველა იურიდიული, თუ კერძო პირისათვის იმ სიგნალის მიცემას, რომლის თანახმადაც რისკის მინიმიზაციის მიზნით თავიანთი დეპოზიტების დივერსიფიკაცია მათაც მოახდინონ.

და ბოლოს, აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საქართველოსათვის ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს არა გარე ეკონომიკური შოკები, არამედ ქვეყნის შიგნით არსებული კრიზისული მოვლენები წარმოადგენს. ეს უკანასკნელნი კი ქვეყანაში კორუფციისათვის ეკონომიკური საფუძვლების გამოცლის, ეკონომიკური აღმავლობის გზით სიღარიბის აღმოფხვრის გარეშე ვერასოდეს ვერ იქნება დაძლეული, რაც, თავის მხრივ, სერიოზული სისტემური რეფორმების გატარებას მოითხოვს.

თავი XXI. დასკვნის მაგიერ, ანუ ქართული  
კაპიტალიზმის “არაკოლიტიკონომიური” ანალიზისათვის  
 (“არაეკონომიკური პოლიტიკისა” და “ეკონომიკის  
პოლიტიზაციის” სინთეზის მცდელობა)

*პოლიტიკა ძალზედ რთული საქმეა,  
რომ ის პოლიტიკოსებს ვანდოთ.*

*შარლ დე გოლი*

*ეკონომიკური კანონების არცოდნა  
პასუხისმგებლობიდან არ ათავისუფლებს.*

*საველი ციპინი*

2002 წლის ივნისში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მიერ საქართველოს პარლამენტში გაკეთებულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმთავრესი ხელშემშლელი ფაქტორი მისი ზედმეტი პოლიტიზაციაა, პარლამენტართა ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია. მათი ძირითადი არგუმენტები ის იყო, რომ პარლამენტი სწორედ პოლიტიკის განხილვისათვისაა მოწოდებული, რომ ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და ამდენად “ეკონომიკის პოლიტიზაცია” ცუდი და ამდენად აღსაკვეთი სულაც არ არის. ერთის შეხედვით პარლამენტართა არგუმენტების სამართლიანობაში ეჭვის შეტანა გამორიცხულიც კი უნდა იყოს, მაგრამ საკმარისია საკითხის არსში ჩახედვა, რომ ქვეყნის ეკონომიკაზე “პოლიტიზაციის” ქართული გამოცდილების საზიანო ზეგავლენას ნათელი მოეფინება.



როგორც ზემოთ აღინიშნა (წინასიტყვაობა), თანამედროვე ეკონომიკური თეორიის თანახმად “ეკონომიკური პოლიტიკა” ქვეყნის ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ქცევას ნიშნავს. ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი იცვლება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში აბსოლუტური ჩაურევლობიდან (Laissez-Faire), ეკონომიკის სახელმწიფოს მიერ მართვის უმკაცრეს ფორმებამდე, რომელიც დამახასიათებელია კომუნისტური ორიენტაციის მქონე ეკონომიკისათვის. საბაზრო ეკონომიკაზე პოსტ-კომუნისტური გადასვლის პროცესის არსი სწორედ მეორე უკიდურესი მდგომარეობიდან პირველისაკენ მოძრაობაში გამოიხატება; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ისეთ ქცევას გულისხმობს, როცა მისი ეკონომიკის მართვაში ჩარევის მასშტაბები თანდათან მცირდება.

ამ დებულებათა ფონზე განვიხილოთ დამოუკიდებელ საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილების დინამიკა, რამაც შესაძლებლობა უნდა მოგვცეს იმაში გავერკვეთ, თუ რას ნიშნავს “ეკონომიკის პოლიტიზაცია”.

1990-91 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის მართვის კომუნისტური ფორმების ლიბერალიზაციის მოკრძალებული მცდელობით გამოირჩეოდა. აქედან გამომდინარე გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ იმდროინდელი მთავრობის განცხადებით საქართველოში “სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელი” უნდა დამკვიდრებულიყო.

ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს ჩარევის პრაქტიკაში რევოლუციური ხასიათის გარდატეხა 1992 წელს იწყება, რაც უმთავრესად ფასების თითქმის საყოველთაო ლიბერალიზაციასა და სასოფლო-სამე-

ურნეო მიწების უსასყიდლო დარიგებაში გამოიხატა. ამავე ეტაპზე ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ქცევაში ისეთი მომენტები გამოიკვეთა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია კვალიფიცირებულ იქნეს თუნდაც როგორც ცუდი (როგორც ეს 1990-91 წლებში იყო), მაგრამ მაინც “ეკონომიკური პოლიტიკის” სახელწოდებით; კერძოდ, სრულ ლიბერალიზაციას დაექვემდებარა ფულად-საკრედიტო სექტორი, რითაც საკრედიტო ემისიამ არნახელ მასშტაბებს მიაღწია, კომერციული ბანკების შექმნა მაქსიმალურად გაადვილებული იყო, ხოლო ეროვნული ბანკის მხრიდან მათ შემდგომ საქმიანობაზე ზედამხედველობა პრაქტიკულად არ არსებობდა; არანაკლებ “შთამბეჭდავი” იყო ბარტერით თურქმენეთიდან გაზის შექმნის საკლირინგო მექანიზმის შემოღება, რამაც კორუმპირებულ მოხელეთა გამდიდრების ხარჯზე საქართველოს თურქმენეთის მიმართ 400 მლნ. აშშ დოლარზე მეტი ვალი შეუქმნა. საყურადღებოა, რომ 2001 წლიდან თურქმენეთის ვალის გასტუმრების მიზნით ავადსუნებული საკლირინგო მექანიზმი კვლავ იქნა ამოქმედებული.

ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ამგვარ ქცევას ეკონომიკური პოლიტიკა ვერანაირად ვერ დაერქმევა, რამეთუ იგი არა მარტო ეკონომიკურ თეორიასთან, არამედ უბრალოდ ჯანსაღ აზრთანაც კი წინააღმდეგობაში მოდის; მას უფრო კორექტული იქნება თუ “არაეკონომიკურ პოლიტიკას” ვუწოდებთ.

საქართველოში 1992-93 წლებში გატარებული “არაეკონომიკური პოლიტიკის” შედეგად ჰიპერინფლაციას ნოყიერი ნიადაგი შეექმნა, რაც სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა.

1994 წლიდან ხელისუფლების მიერ შემუშავებული ე.წ. “ანტიკრიზისული პროგრამის” საფუძველზე იწყება თვისებრივად განახლებული ურთიერთობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან (საერთაშო-

რისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან), რაც ქვეყანაში საფინანსო წესრიგის დაბრუნებისა და ეკონომიკის არსებითი ღიბერალიზაციის შესატყვისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საწინდარი ხდება. შედეგად 1994-97 წლებში ინფლაცია “მოითოკა”, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ 1996-97 წლებში 10 პროცენტთან მიჯნას გადააჭარბა; 1997 წლის ბოლოსათვის მცირე და საშუალო პრივატიზაცია პრაქტიკულად დასრულდა; 1995 წელს წარმატებით განხორციელდა ფულის რეფორმა, ხოლო 1996 წელს პურის ბაზრის სრული ღიბერალიზაციით ეკონომიკის კომუნისტური მართვის უკანასკნელი “ბასტიონიც” დაინგრა. სამწუხაროდ, 1994-97 წლები ის ხანმოკლე პერიოდი აღმოჩნდა, როდესაც საქართველოს რადიკალური დემოკრატიული რეფორმების შესატყვისი ეკონომიკური პოლიტიკა გააჩნდა და რეფორმის გამტარებელ გუნდს ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლამენტის სრული მხარდაჭერა ჰქონდა.

1997 წლის მეორე ნახევრიდან ხსენებული გუნდის ეტაპობრივი დაშლისა და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ საკვანძო სამთავრობო “პორტფელების” დაკავების კვალობაზე თანდათანობით “ეკონომიკური პოლიტიკის” “არაეკონომიკურ პოლიტიკად” ტრანსფორმაციის პროცესი იწყება, რომელმაც განსაკუთრებით მწვავედ თავი 1998 წლის საფხულში იჩინა, როცა ფინანსთა სამინისტროს “ნოვატორული” წინადადებით საგადასახადო დავალიანებათა ამნისტიის<sup>1</sup> გზით ეკონომიკური “გარღვევა” უნდა მიღწეულიყო. დიდი გამჭრიახობა სულაც არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ საგადასახადო დავალიანებათა ამნისტიის პრეცედენტის დაშვება, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნების

<sup>1</sup> სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საგადასახადო დავალიანებათა ამნისტიის პრობლემის დაყენების საკითხში საქართველო სულაც არ არის ორიგინალური: ეს პრობლემა აქტიურად განიხილება რუსეთში, ბელორუსსა და უკრაინაში, ხოლო ყაზახეთში განხორციელდა კიდევ (Николаев, 2002; Шылыға, 2002).

წინ, ამომრჩეველთა ხმების “კედვის” მიზნით, მისი მრავალჯერადი გამეორების რეალურ საშიშროებას ქმნის; ეს კი სახელმწიფოსათვის გადასახადის გადამხდელთა არსებით შემცირებას და ისედაც სუსტი ქართული სახელმწიფოს კიდევ უფრო დასუსტებას გამოიწვევს. ამასთანავე, ისიც ცნობილია, რომ როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ისე ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია საგადასახადო შეღავათებს პრინციპულად ეწინააღმდეგება. იმისდა მიუხედავად, რომ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი პირები ამ პროეოკაციული ხასიათის მქონე ფსევდოპოლიტიკის პრინციპული მიუღებლობის შესახებ ნეკენს მიერ გაფრთხილებულნი იყვნენ, ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაინც დაფინანსდა შესაბამისი “პროგრამის” (“ეკონომიკური გარღვევის დოქტრინის”) შესაქმნელად, რომლის შესათანხმებლადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სამთავრობო დელეგაცია ვაშინგტონშიც გაიგზავნა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობის გაფუჭების არაერთწლიანი პროცესი სწორედ ამის შემდეგ იწყება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ “არაეკონომიკური პოლიტიკა” ფსევდოთეორიულ საბურველში შეიძლება იყოს გახვეული (როგორც ეს 1998 წელს მოხდა), ხანდახან (არც ისე იშვიათად) ასეთი საბურველიდან გაშიშვლებული ფორმითაც წარმოჩინდება. ამ უკანასკნელის თვალსაჩინო მაგალითს ფინანსთა სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სექტორში გასაცემი მიმდინარე თვის (2002 წლის აპრილის) ხელფასების გაცემის შემდეგ თვეში (2002 წლის მაისში) ხელოვნურად გადატანა წარმოადგენს, რამაც საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მიერ ამ გზით მიუღებელი საშემოსავლო გადასახადით ბიუჯეტის თვის გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია. ასეთმა “მარტივმა” ოპერაციამ პარლამენ-

ტში სახელმწიფო მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება გამოიწვია, რადგანაც მან ის (პასუხისმგებლობა) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით რამდენიმე თვით ადრე საკუთარ თავზე აიღო.

თუ გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში განხორციელებულ “არაეკონომიკური პოლიტიკას” საფუძველად ძირითადად უეცრობა და სიხარბე ედო, 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მათ დაემატა, უფრო სწორედ კი ისინი პოლიტიკური ინტერესებით “შეიმოსა”, როცა ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკოსთა რამდენიმე ჯგუფმა და მათთან ნათესაურ კავშირში მყოფმა პირებმა პოლიტიკური ძალაუფლების გასამტკიცებლად სახელმწიფოს ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ერთდროულად დაიწყეს მოქმედება. სწორედ ეს არის “ეკონომიკის პოლიტიზაციის” “აქტივისტიანი სენის” საფუძველი.

ხაზგასასმელია, რომ “ეკონომიკის პოლიტიზაცია” თუნდაც ცუდი, მაგრამ მაინც “ეკონომიკური პოლიტიკის” პირობებში იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც ის – “არაეკონომიკური პოლიტიკის” დროსაა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის “არაეკონომიკური პოლიტიკისა” და “ეკონომიკის პოლიტიზაციის” სინთეზის ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითს ფინანსთა სამინისტროს დაშლა-აღდგენის მრავალჯერადი აქტი წარმოადგენს, როცა როგორც მის დაშლას, ისე მის აღდგენას საფუძველად არა ეკონომიკური მიზანშეწონილობა, არამედ მინისტრებისათვის თანამდებობის შენარჩუნება თუ თანამდებობიდან გაშვება ედო. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში “არაეკონომიკური პოლიტიკის” გენერატორის ფუნქცია ფინანსთა სამინისტროსა და მის “უღდეურ ნაშიერს” –

საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დაეკისრა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს რომ გასული საუკუნის 90-ანი წლების მეორე ნახევარსა და 2000-2001 წლებში მათ ამ ფუნქციის შესრულებაში, შესაბამისად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროები გაეჯიბრა და თანაც არაერთ “წარმატებასაც” მიაღწიეს (მაგალითად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ უკრაინულ და მოლდოვურ ღვინის ქარხნებს ქართული ღვინოების წამოსხმის უფლება მისცა, რამაც მათ ფალსიფიკაციას შეუწყო ხელი; ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს “სასახელოდ” კი მცირე ბიზნესის მხარდამკვირვებლის ატეხილი არაფრისმომცემი “ისტერიაც” საკმარისია, რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფო ქონების მართვისა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროებთან “შეხმატკბილებით” სახელმწიფო ქონების მართვის დარგობრივი სამინისტროებისათვის გადაცემაზე, რითაც ქვეყანა წარმოების მართვის კომუნისტურ რეჟიმში იქნა დაბრუნებული). ამ კონტექსტში არც პრეზიდენტის ცალკეულ რწმუნებულთა დავიწყება იქნება გამართლებული, რომლებმაც ფინანსთა სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით (რომ არაფერი ვთქვათ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროზე) “გაყინული” პენსიებისა და ხელფასების ნაცვლად ფქვილისა და სხვა სამრეწველო პროდუქტების დარიგების სქემები აამოქმედეს.

ლოგიკურად იბადება ორი ურთიერთდაკავშირებული კითხვა იმის შესახებ, თუ დღეს და უახლოეს მომავალში “არაეკონომიკური პოლიტიკისაგან” რამდენად ვართ დაცულნი, და მთავრობაში “ეკონომიკის პოლიტიზაციის” მასშტაბების შემცირების ობიექტური პირობები რამდენად არის შექმნილი.

“არაეკონომიკური პოლიტიკისაგან” დაცვის გარანტია პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დავეყოთ; პირველი სამთავრობო გუნდის პროფესიონალიზმი, ხოლო მეორე მის საფუძველზე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობაა.

პირველ ნაწილში რეალური იმედის მომცემა 2002 წელს მოქმედი სახელმწიფო მინისტრის უშუალო რეფორმატორული გამოცდილება და მის მიერ მთავრობის საქმიანობის მკაცრი კოორდინაციის უნარია (რაც განსაკუთრებით რელიეფურად მისი უსახური და ქმედითუუნარო წინამორბედის ფონზე გამოიკვეთა); არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის პროფესიონალიზმი, რაც მათ მიერ გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში გამოვლინდა.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, აქ, სამწუხაროდ, გარკვეული სირთულეები გამოირიცხული არ არის. მართალია, სახელმწიფო მინისტრს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან წარმატებული თანამშრომლობის არაერთწლიანი გამოცდილება გააჩნია, მაგრამ ამ სფეროში საკანცელარიო დაპირისპირებათა და მთავრობის ზოგიერთი წევრის მიერ ხსენებულ ინსტიტუტებთან საქმიანი თანამშრომლობის წარმართვის უუნარობის ფონზე, მათთან (ამ ინსტიტუტებთან) ურთიერთობის გართულება, სამწუხაროდ, სულაც არ არის ნაკლებ საეარაუდო.

საყურადღებოა, რომ მთავრობაში “ეკონომიკის პოლიტიზაციის” მასშტაბების შემცირების ობიექტური პირობების შექმნის მხრივაც ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური სიტუაცია, სამწუხაროდ, ჩამოყალიბებული არ არის. კერძოდ, სახელმწიფო მინისტრის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარედ გახდომამ და დაკავებული თანამდებობის შენარჩუნების მიზნით ზოგიერთი მისი კოლეგის ამ პარტიაში სასწრაფო გაწვევრიანებამ, საქართველოს ჯერ მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში გა-

ტარებულ ღონისძიებათა “საავტორო უფლებების” სამთავრობო თუ პარტიული პატრონის ვინაობა ერთობ ბუნდოვანი გახდა. ასეთ პირობებში “ეკონომიკის პოლიტიზაციის” ცდუნების საშიშროება ძალზედ დიდია, ამდენად მთავრობის შესაბამის წვერებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რათა კონკრეტულ სიტუაციებში სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უშუალო პარტიულ ინტერესებზე მაღლა დადგნენ.

და ბოლოს, რადგანაც “არაეკონომიკური პოლიტიკა” ეკონომიკურ თეორიას საერთოდ უგულვებელყოფს, მასთან შერწყმული “ეკონომიკის პოლიტიზაცია” ქვეყნის ეკონომიკისათვის მხოლოდ დამანგრეველი შედეგების მომტანია. ეკონომიკური თეორიის უარყოფის პირობებში კი საქართველოში აშენებული კაპიტალიზმის მახინჯი მხარეების ანალიზს უფრო უპრიანია არა პოლიტეკონომიური, არამედ “არაპოლიტეკონომიური”<sup>2</sup> ეწოდოს.

---

<sup>2</sup> მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმის აღნიშვნა, რომ გამოთქმა “არაპოლიტიკური ეკონომია” ტერმინოლოგიურ სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა მასში, ჩვენგან განსხვავებით, ე.წ. “ყიზიკურ ეკონომიას” გულისხმობენ (იხ. მაგალითად, Осипов, 2001, с. 3).



## ლიტერატურა

- აბაშიძე დ., 2001. საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის საკითხისათვის. კრებულში: *საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში. პოლიტიკა, პრაქტიკა, პრობლემები*. ბათუმი-თბილისი, გამომცემლობა “აჭარა”.
- აბესაძე რ., 1999. *ენერგოეკოლოგიური ბაზრის ფორმირების და მისი მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული პრობლემები*. თბილისი, “ცოდნის წყარო”.
- აბესაძე რ., 2002. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი II. თბილისი, “მეცნიერება”.
- აბრალავა ა., 2001. *გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომისაკენ. ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ინივაციურ სფეროში*. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ადგიშვილი გ., ასათიანი რ. (რედ.), 1998. *ეკონომიკური თეორია*. თბილისი, “სიახლე”.
- ავდოკუშინი ე.ფ., 1997. *თავისუფალი ეკონომიკური ზონები*. თბილისი, “ლამპარი”.
- ანანიაშვილი ი., 2002. *მაკროეკონომიკა. ნაწილი I*. თბილისი, “უნივერსალი”.
- არევაძე ნ., მიშინა ვ., 2002. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თავისებურებები და საქსპორტო პროდუქციის ხარისხი. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი II. თბილისი, “მეცნიერება”.
- არჩვაძე ი., 2000. *ეკონომიკა და დრო*. თბილისი, “მერკური”.
- ასათიანი რ., 1997. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე: სამეურნეო რეფორმის შედეგები და პერსპექტივები. კრებულში: *სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში*. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 13-14 ნოემბერი, 1997 წელი. თბილისი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი.
- ასათიანი რ., 2000ა. საქართველოს ფინანსური კრიზისი და ტრანზიტული პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირება. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*. ტომი I. თბილისი, “სიახლე”.

ასათიანი რ., 2000ბ. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 7-8.

ასათიანი რ., 2001. “ახალი სოციალური საკითხი” და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*. ტომი 2. თბილისი, “სიახლე”.

ასლამაზიშვილი ნ., 2000. ფარული ეკონომიკის მასშტაბების შემცირების სტატისტიკური ასახვისათვის. *ბანკი*, № 1.

აჭუბარდია თ., 1996. *საპაზრო სისტემა და სახელმწიფო*. თბილისი, “მეცნიერება”.

აჭუბარდია თ., 2002. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმების შესახებ. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სურია*, ტომი 10, № 3-4.

აჩელაშვილი კ., 1998. დარგთაშორისი ბალანსის საფუძველზე დარგების ფუნქციონირების შედარებითი შეფასების ერთი მიდგომის შესახებ. *ეკონომიკის აქტუალური საკითხები*, ტომი V. თბილისი, თსუ.

ახვლედიანი ა., 2001. ეკონომიკური ზრდა და კორუფცია პოსტსაბჭოთა გარემოში. *ეკონომიკა*, № 5.

ბაბუნაშვილი თ., 2000. *საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები და გზები*. თბილისი, “მეცნიერება”.

ბაკლანოვი გ.ი., 1977. *ინდექსური მეთოდის ზოგიერთი საკითხი*. თბილისი, თსუ.

ბალცეროვიჩი ლ., 2000. ლიბერალიზმი თუ პროტექციონიზმი? *კვალი*, № 7-8.

ბალცეროვიჩი ლ., 2002. *სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში*. თბილისი.

ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ., 2002. *რევიონული ეკონომიკური პოლიტიკა*. თბილისი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი.

ბასარია ვ., 2000. საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო წნეხი. კრებულში: *გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში*. ტომი IV. თბილისი, ფსკი.

ბასარია რ., 1996. გარდამავალი პერიოდი და ახალ საკუთრებრივ ერთიერთობებზე გადასვლის ამოცანები. კრებულში: *გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში*. ტომი I. თბილისი, ფსკი.

ბასარია რ., 2000. ეკონომიკური პოლიტიკის საერთო მიმართულება – “ექტორის” საკითხისათვის. კრებულში: *გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში*. ტომი IV. თბილისი, ფსკი.

ბასარია რ., კერესელიძე ნ., 1999. ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში. კრებულში: *გარდამავალი*

პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ტომი III. თბილისი, ფსკი.

ბასარია რ., მესხია ი., 1995. გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები. თბილისი, ფსკი.

ბასარია რ., შალამბერიძე ხ., 2002. სახელმწიფო ფინანსები მბრძანებლური სოციალურ-ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში. *ეკონომიკა*, № 8-9.

ბასილია თ., ბაქრაძე პ., ბეგიაშვილი გ., და სხვ., 1998. *ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. რეფორმის პირველი შედეგები*. თბილისი, ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრი.

ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., 2001. *პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე*. თბილისი.

ბერიძე თ., 1997. “შოკური თერაპია” თუ ევოლუციური ტრანსფორმაცია: დეფინიციები და რეალობა. კრებულში: *სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში*. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 13-14 ნოემბერი, 1997 წელი. თბილისი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

ბოლაშვილი პ., 2000. *მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები*. თბილისი, სესპსკი, სმპვსც.

ბოლოკაძე ე., 2002. ფასიანი ქაღალდები როგორც ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვანი ელემენტი. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები – ეკონომიკა*, № 1-2 (344).

ბურდული გ., 2000ა. საფინანსო-საკრედიტო სისტემისა და წარმოების განვითარების ინტერესების დაახლოების გზები. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი I. თბილისი, “მეცნიერება”.

ბურდული გ., 2000ბ. საქართველოში ქმედითუნარიანი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების გზები. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი I. თბილისი, “მეცნიერება”.

ბურდული გ., 2000გ. საქართველოში საბანკო-საკრედიტო საქმიანობის რეგულირების სრულყოფის გზები მსოფლიოში საბანკო-საკრედიტო სისტემების ევოლუციის ფონზე. კრებულში: *საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში*. ტომი I. თბილისი, “მეცნიერება”.

ბურკაძე გ., 2000. საქართველოს აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*. ტომი I. თბილისი, “სიანსლე”.

ბურკაძე ვ., 2001. საქართველოს აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის სოციურთი ძირითადი ღონისძიებების შესახებ. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი 2. თბილისი, "სიახლე".

გამსახურდია თ., 1995. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი, "მერიდიანი".

გამსახურდია გ., 1997. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბილისი, "მერიდიანი".

გამსახურდია გ., 1998. საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხისათვის. მაკრო მიკრო ეკონომიკა, № 7.

გამსახურდია გ., გამსახურდია თ., 2001. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები სრულყოფას მოითხოვს. სოციალური ეკონომიკა, № 5.

გარუჩავა პ., სოსელია ს., 1998. მრეწველობის ეკონომიკა. თბილისი, "სიახლე".

გველესიანი მ., 1997. ეკონომიკური ვითარება: რეფორმის შედეგები და ტენდენციები. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი 1. თბილისი, სესსკი.

გველესიანი რ., 1999. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბილისი, "სამშობლო".

გიორგაძე მ., 2001. საქართველოში უცხოური კაპიტალის მოძრაობის ძირითადი ტენდენციები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სერია, ტომი 9, № 1-2.

გიორგაძე პ., 2001. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ეკონომიკური პრობლემები. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი 2. თბილისი, "სიახლე".

გოგიაშვილი გ., 2000. შედარებითი ფედერალიზმი. თბილისი, "ინტელექტი".

გოგიაშვილი მ., უგულავა ვ., თოთაძე ლ., 2001. ანტიკორუფციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მათი გადაჭრის გზები საქართველოს მაგალითზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე – ეკონომიკის სერია, ტომი 9, № 3.

გოგოხია რ., 2000. ფაქტორული ბაზრების ფუნქციონირების თეორიული ასპექტები. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი 1. თბილისი, "სიახლე".

გოგოხია რ., 2001ა. საბაზრო ეკონომიკა თუ შერეული ეკონომიკური სისტემა. მაკრო მიკრო ეკონომიკა, № 4.

გოგოხია რ., 2001ბ. შერეული ეკონომიკური სისტემის საკითხისათვის მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში. კრებულ-

- ში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი 2. თბილისი, “სიახლე”.
- გოცირიძე რ., 1999. ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება. თბილისი, “ფაკორიტი”.
- გოცირიძე რ., კანდელაკი ო., 2001. გავლენიანი ჯგუფები და კორუფცია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მუქარა. თბილისი, გამომცემლობა “ელფი”.
- გრიშვიტაშვილი ა., 1998. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები: პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, სეპ.
- გუგუშვილი პ., 1936. შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში: 1821-1931წწ. თბილისი, თსუ.
- გუგუშვილი პ., ჩანტლაძე ვ., ჩიქავა ლ., კოშკელაშვილი ა., 2001. ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული). თბილისი, “სიახლე”.
- გტოს, 1992. საბაზრო ეკონომიკა, სტრუქტურული გარდაქმნა და პრივატიზაცია, ნაწილი I. თბილისი, Publishing House GCI.
- დათუნიშვილი ვ., 2000. საბაზრო ეკონომიკის არსისა და მისი წამოყალიბების კანონზომიერებების შესახებ. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I. თბილისი, “მეცნიერება”.
- დათუნაშვილი ლ., 2000. საინვესტიციო კლიმატი საქართველოში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I. თბილისი, “მეცნიერება”.
- დათუნაშვილი ლ., 2002. უმუშევრობის პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი II. თბილისი, “მეცნიერება”.
- დარბუაშვილი ნ., 1999. ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის კონცეპტუალური მიმართულებანი. თბილისი, სფს.
- დარბუაშვილი ნ., 2002. მონეტარული პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკა, № 8-9.
- დვალი თ., გოგოლაძე ვ., 2001. საგადასახადო სისტემის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი. სოციალური ეკონომიკა, № 5.
- ეკ. 1999. საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის ეროვნული პოლიტიკა. თბილისი, ევროკომისიის სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამა, RESAL – ევროკავშირის სასურსათო უზრუნველყოფის ქსელი.
- ელიაშვილი ლ., 2000. ერთობლივი შინა პროდუქტი როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და დემოკრატიზაციის საკვანძო მაჩვენებელი. კრებულ-

ში: გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ტომი IV. თბილისი, ფსკი.

ერისთავი ე., ჩომახიძე დ., ცინცაძე პ., 2000. ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები. წიგნი I. თბილისი, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.

ერისთავი ე., ჩომახიძე დ., ცინცაძე პ., 2001. ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები. წიგნი II. თბილისი, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.

ერსც, 2001. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში (1992-2000 წლები). თბილისი, ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცენტრი.

ვაშაქიძე თ., 1999. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემები. თბილისი, სესპსკი.

ვაშაქიძე თ., 2000. აგრარული რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი I. თბილისი, "სიახლე".

ვაშაქიძე თ., 2001. საქართველოს აგრარული პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პირობებში. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი 2. თბილისი, "სიახლე".

ვეშაბიძე შ., 1999. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები. თბილისი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი.

ვონსაჩი ე., 2001. პოლონური გამოცდილება პრივატიზაციის პერიოდში. ახალი პოლონეთი, სპეციალური ნომერი ქართულ ენაზე.

ზარნაძე ბ., 2002. ქართული ბიზნესის განვითარების მიმართულებები. კრებულში: საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებები. კონცეფცია, სტრატეგია, მიმართულებები, გარემო. ბათუმი-თბილისი, "ლეთა".

ზურაბიშვილი გ., 1999. საქართველოს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო შემოსავლების განაწილების მეთოდური საკითხები. კრებულში: გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ტომი III. თბილისი, ფსკი.

ზურაბიშვილი გ., 2000ა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის სრულყოფისათვის. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტომი I. თბილისი, "სიახლე".

ზურაბიშვილი გ., 2000ბ. საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში (1990-1999). კრებულში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ტომი V. თბილისი, სესპსკი.

**ზურაბიშვილი გ.**, 2001. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში (1991-1999 წლები). კრებულში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*. ტომი 2. თბილისი, “სიახლე”.

